

მნათობი



114
1934

7-8

შ ი ნ ა ა რ ს ი

ღმრთობა

პოეტი იაჭვილი

გიორგი კახანიძე

ვარლამ გუგუშვილი

გიორგი ლომიძე

ქალე გომიჯანიძე

ნ. ჯომელიძე

მეზარ ალღან

პ რ ი ზ ა

ა. მუხამბერაძე

ს. ნახა

ბ. მარტვილი

ვ. კულუმბეგოვი

ნარკვევი

ს. ფაშალიძე

წარსული

მრ. ლ. ლომიძე

ქართული და საზღვარგარეთის

მედიკალინური მუშაკები

გიორგი ნაბრევილი

საქართველოს პრესა

იოსებ მუხამბერაძე

გიგლიშვილი

ბ. ნაბრევილი

მანანა გვირიტი

ალ. გარბაძე



მნათობი

2

საუღიად საქართველოს საბჭოთა
მწიკლების კავშირის მოველთვიური
სალიტერატურკო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საკოლიტიკო ჟურნალი

1098/5
58216

1551

7-8



წელიწადი მეთერთმეტი



სახელგანი

1934

ტფილისი

პ/მბ. რედაქტორი: **გ. ყურულაშვილი**

საკრედიტო კოლეგია:

ს. უული, ბრ. მუშიშვილი, შ. რაღიანი, დ. სულიაშვილი,
ბალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, ვ. ჩხიკვაძე
(რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ/მგ. შვიციანი).



კრედიტის მისაბარტი: ტფილისი, მარაბლის ქ. № 13. ტელ. № 3-55-25.
ფგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

ქანტორის მისაბარტი: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი.

სახელგამის 1-ლი სტამბა. პლენონოვის პროსპექტი № 91.
მოთელ. რწმ. № ა — 2048. შეკვ. № 519. ტირაჟი 6000.

პაოლო იაშვილი

ღ ი ლ ა

დილამ დაასწრო ჩასაფრებულ ფიქრის სიმარდეს,
სიჩუმე ქვიშას ეფინება გამთბარ წუთებად;
ხელის გულიდან სიო ძირს რომ ვადმოგვივარდეს
მწვანე ბალახში წივილივით დაფაცურდება!

საბავშვო ნავებს ჰგავს იხვების მცურავი ფარა,
ხის წვრილი წვერო დაემსგავსა ანთებულ ასანთს,
ჯერ დაბურული ტყის წილი არ გამომთბარა
და ფრინველების აფეთქება არ ისმის არსად!

მაგრამ ვალობამ შეარხია უცბად ბუნება:
ბალახში, ტყეში, ხმა ძვირფასი სიომ დაბანდა,
ოვი მდინარის გაშლილ სარკეს ეწკარუნება
და მცურავ იხვებს უშხაპუნებს ხმები საფანტად!

ქლის ნაპრალები ამ განთიადს დინჯად ელიან;
მყვინთავებივით ფერდოებზე მუხები ჩანან,
და ლურჯ ჰაერის ელვარება ისე სქელია,
რომ დიდ მდინარეს ემატება ზეციურ ფშანად.

მაგრამ ახალი ხმაურობით და ამბოხებით
გამოწვეული სიხარული აღარ ნელდება:
როცა მუშებმა დაუშინეს ყანას თოხები —
და ნედლი მიწა ვადმოგორდა ფართო ბელტებად.

მწვერვალებიდან



ქართული
ბიბლიოთეკა

აი აქ არის, მეგობრებო, ის ასპარეზი,
რაც ბედმა მისცა ამაღლებულ გონებას ჩარჩოდ;
არც უკეთესი, ჩემო ძმებო, არც უარესი
არ გვიძებნია ახალგაზრდა სულისთვის სარჩო!

შებიზნული ვართ საქართველოს თვალტანად მთებში
და მივსდევთ ფერებს, ხმებს და სიტყვას მველური შადით;
კლდეში ქარივით — დატრიალდა აესილი თეფში
და უსმენს სივრცე საყვარელი სტუმრების ნადიმს.

თქვენ შორის, ძმებო, არჩეულის წელი მრგებიია,
რომ საიმედოთ გაეჩნდე ხოლმე უეცარ ზარშიც:
რადგან სიახლე, რადგანაც მზე ლექსის გერბია
რადგან ვერ ვითმენ და ნახშირსაც დაეატან ზარნიშს.

აღბად ეს არის ჭაბუკური სულისკვეთება,
რომ წვიმის დღესაც ჩემი ზეცა მწუხარე არ ჩანს,
ასე მახარებს უბადრუკი კუბოს კეთებაც,
როცა ოსტატი მას უმატებს მხიარულ ფარჩას!

ასეთ ცხოვრებას ვერ დაუდებს საათი ვადას,
და ასეთ მკერდებს ვერ შებოჭავს დაბეჩავება!
შრომაში, ომში, ქარიშხალში — ვიქნებით სადაც
ყველგან სიცოცხლის ჭადაგებად უნდა ჩავებათ!

მწევანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს წყარუნი,
ჭალის წამწამი — ხომ სულ მცირე სანუტყვარია,
მაგრამ როდესაც აიტაცებს მათ სიხარული,
ყველა მათგანი მარადიულ ციხის კარია!

გიორგი კაჭახიძე

აივნისანი სახლი

1

კოინდარს ჰქონდა ძარღვი და სისქე,
კარ-მიდამოსაც ძალ-ლონე ჰქონდა.
ჩანდა გემივით უნისლო ცისქვეშ
არყის ხეებში ჩადგმული ოდა.
ფართო აივნის იხდენდა სახლი,
აწვა მსუბუქად აგურის ბოძებს...
ქადით მაძლარი ბამბურა ძაღლი
კმაყოფილებით დახტოდა მოლზე.
ხშირად ალერსით იჭერდა ბავშვი,
მათი თამაში სიყვარულს გაედა.
გამრჯელი მამა, ქებული ხალხში,
ძროხას ბანჯგვლიან კარწახებს ჰბანდა.
ხელს უქონაედა მსუქანი თეძო,
ხო ება ახლო მსუნაგი, ანცი...
ლაპარაკობდა სახლი და ეზო:
— ხელმომთბარია ხუბუა მაცი!
სასიხარულოდ ცხოვრების რიერაეს
ქერი გაეხსნა ღარიბის სახლში,
გაჩნდა ღვინო და მუღმივად იჯრა
სადილისა თუ პატარა ვახშმის.

2

ამბობენ ხალხში: — ოდიშის გზებზე
იყო ქვისმტეხი ეძახდენ გლახას,
აშანაგობდა ერთ საწყალ ბერძენს...
ხუბუა იგი კაცია ახლა!
ვარ მოზარული და სიტყვებს ეხარჯავ,
ფეხზე წამომდგარ ცხოვრებას ვაქებ.
შიბლავს ხუბუას ძვალმსხვილი მაჯა
და წყაროსავით ცოცხალი საქმე.
მან იცის მინდვრის ფერი და ხორცი,
ხულის რღვევა და მარცვლის ხმა ესმის.

ბუჩქზე დადებულ დილის ნამს ჰკოცნის,
 როცა მიწაში ლევიდება თესლი.
 ნახულობს ხშირად მინდორთა ფერდებს,
 თვალები ცისებრ უხდება ფართო,
 პირველად ღერო რომ გაშლის ბელტებს,
 ამოიწვეს და შეხედავს მნათობს.
 უჩნდება გულში განცდები უხვად,
 განცდები სუფთა, თბილი და გამძლე.
 შრომის კაცია, გართობაც უყვარს,
 შნოსა და ლაზათს კოლექტივს აძლევს.
 საღამოობით მეგობრობს წიგნსაც,
 ქვეყნის გარდამქნელ აზრებში მიდის...
 უმღერის მარჯვენს და კიდევ იმ კაცს,
 ვინც გვიღალადა ცხოვრება დიდი.



3

მაისის თვეში, ხუთი წლის წინად,
 ძმურად ვყოფილვარ მაკისთან სახლში,
 დაჩეხილ ჯირკზე ბერტყავდა წინდას
 დაფლეთილსა და პატრონთან აშლილს.
 ცოლის ნაჭიოვი შარვალი ეცვა.
 ჰჭონდა თვალები მწყრალი და მძადრი.
 გავდა ოჯახი დაცრეცილ ზეწარს
 გაურეცხავს და დაღრეჯილს ძაფით.
 დარდი კუტივით ჰიშკართან იჯდა,
 ეზოში იდგა მიწური მარტო.
 დღე მთავრდებოდა, არ იყო იჯრა,
 არც იმედი და აზრები ფართო.
 მე იმ საღამოს ხუბუამ მითხრა:
 — არ ვარ ჯიუტი, ბუნებით მყრალი;
 მაგრამ მამბრაზებს მთავარი კითხვა:
 ყოფა ვერ შეეკმენ კარგი და მყარი.
 ნიშა არ არის დღეს ჩემი ხარი.
 ნაცარას პირშო, გაზრდილი ცალად.
 წინად ჩემს შრომის არ ახლდა ხეავი,
 ვერც კოლექტივმა მაჩვენა ძალა.
 თუმცა მახარებს, რომ მოვსპეთ მიჯნა,
 მამა-პაპათა მრავალი წესი...
 მაგრამ არ არის ოჯახში იჯრა
 მაინც მინდვრისთვის არ დარჩა თესლი.

ღმერთმა კარგი ჭნას, მეც არ ვხრი კისერს,
 მომბეზრდა დავა, ცხოვრება მონის...
 მაგრამ ქვეყანა აინგრა ისე,
 თავს ვერ ვაართმევს ვერავინ, მგონი!



4

მაისის თვეში, ხუთი წლის წინად,
 მწუთხედ მსჯელობდა ხუბუა მაცი.
 მასში არ იყო გრძნობები წმინდა,
 ნათელი სიტყვა ნათელი განცდის.
 მაგრამ ჩვენი დრო, სასწაულს რომ გავს,
 გულის ჯურღმულშიც გადაშლის სივრცეს,
 თუ კაცს ბრძოლაში უჭირს და ბორგავს,
 ხელს წამოკრავს და შარავზას მიცემს.
 მას არ ჩვევია კუნტრუში კვიცის,
 არც მოგვებივით სიზმრების ახსნა.
 მან სინამდვილის ბერკეტით იცის
 სიძნელეების რკალების გახსნა.
 ის ჩაწვდა შრომის ყოველგვარ დარგებს,
 უთაებოლობას აგემა მარცხი.
 სოფლად არტელში ლაყბობა დაგმეს,
 გაჩნდა გეგმა და გამხნედა მაცი.
 ვრცელი მინდვრები მანქანამ მოხნა,
 ხნულეები გაძლა სიმინდის მარცვლით.
 გამოაფინა მრავალმა ქოხმა
 სიმხიარულე მრავალი კაცის.
 ალაპარაკდა ხეხილის ფერმა,
 კარგი ცხოვრების ნიავი ქროდა...
 დამსუყდენ დღენი, და როგორც ბევრმა
 მაციმ ეზოში ააგო ოდა.
 წელს ენახე იგი...
 სახლის წინ ბაღში
 ცოლი ბერტყავდა ოსმალურ ფარდავს.
 ხუბუა თვითონ თეძოებ გაშლილ
 ძროხას ბანჯგვლიან კარწახებს ჰმანდა.
 დროდადრო ფრთხილად ურხევდა ჯიქანს.
 იყო გარემო გაშლილი სახის...
 სუფთა ფანჯრებით უმზერდა კიშკარს
 აივნიანი მაღალი სახლი.



მგერიდა სიხარულს ხუბუას ხვედრი,
 კეკიანი თვალი ბროლივით სუფთა,
 სასიამოვნოდ გაშლილი მხრები
 და ვაეკატური რიზი და სუნთქვა.
 საამო იყო ზაფხულის დილაც,
 არყის ხეებში ვალობდა შაშვი,
 კატას სახლის წინ ეძინა ტკბილად
 და სეირნობდენ ძერები ცაში.
 ხუბუამ პირუტყვეს აკმარა ზრუნვა,
 თვალი მოავლო ცის ყოველ ნაპირს...
 კიდან ცევი წყლით ააესო სურა
 და დაიბანა ხელპირი საპნით.
 ჩამოივარცხნა ლამაზად წვეერი,
 თმა შეისწორა ხუტუქი, ქერა,
 მოქნილი ღვედით შეიკრა წელი
 და კარ-მიღამოს დაუწყო ცქერა...
 დაეჯექით ბეოლის ხეების ჩრდილქვეშ,
 ცხელი ამბებით გავერთეთ დიდხანს,
 მიწიდან ცამდე მიეყავდით ფიქრებს,
 ბოლოს ნელი ხმით ხუბუამ მითხრა:
 — აი, ხომ ხედავ იმ მუხის ურემს,
 იგი ამჟამად დოვლათმა შობა.
 ძალა რარვიად ჰქონია თურმე
 მოწესრიგებულ ხალხსა და შრომას.
 გახსოვს, რომ გვლლიდა უთავო საქმე,
 რომლის შესახებ მასხრობა ითქმის...
 ის უწესობა მოვსპეთ და დავგმეთ,
 დღეს ყველაფერი რიგზეა თითქმის.
 მუშის შეგნებით გზადაგზა მივწვდით
 ბელადის აზრს და არ გვექონდა მოცლა.
 მიწამაც, ხალხის შრომით თუ სიბრძნით,
 გადიდებული დოვლათი მოგვცა.
 ახლა არ მახლავს ცხოვრების შიში,
 მაქვს პურ-ლეინო და სახლ-კარი წმინდა...
 ნუ გამახსენებთ ჭუჭყსა და შიმშილს,
 ნესტიან მიწურს, რომელშიც წვიმდა.

მაღალ ვანცდებში სიტყვები მხვევდენ.
 ჩრდილს ეძლეოდა სინაზე მთვარის.
 თქმულმა გონება გახსნა, და შემდეგ
 სოფელს დავხედე მყოფადის თვალით:



ქართული
საქართველოს

ქუჩებს ჩრდილავდა ნაძვების რიგი,
შორს დასაღვლეთით ფორთოხლებს რგავდენ.
იყო სიმწვანე და სივრცე იგი
მიწას ღიმილით ეკვროდა ზღვამდე.
ჩაის ბუჩქებში აკრთობდა ჟანდრებს
მატარებლებით დამფრთხალი ხიდი.
ჭვეყნის მშართველი კაცები ჩანდენ
მარჭსივით სრული, მარჭსივით დიდი.
და საღვაც ტყესთან სიციცხლის ჯავრად
ძველ სასაფლაოს ეძინა მარტო...
სქელი ასფალტით დაფარულ შარას
ქალადიდისკენ მისდევდა ავტო.
ჭვეყნის მომავალს ვაძლევედი ფიჭრებს,
ვისმენდი ჭვეყნის მომავალ ძახილს,
და შინათლებდა ნააზრევს იქვე
მაცი ხუბუას ნათელი სახლი.

1934 წ. ივნისი
ტფილისი

არქტიკის გმირებს

ჩრდილოეთისკენ სწრაფად მიჰქროდით,
სჭრიდით ყინულებს, ბურუსებს, ქარებს
და ერთ სურვილზე მხოლოდ ფიქრობდით:
გენახათ თვალით უცნობი მხარე.
პირქუშ ბუნების შურისძიება
ვერ გაშინებდათ ჩრდილოს ცისანი:
მეცნიერული კვლევა-ძიება —
აი რა იყო თქვენი მიზანი!
მოვარდა საფრთხე, როგორც გრივალი, —
ან კი სტიქიას რა დაიჭერდა? —
და თქვენი გემი, დაურიდალი,
ყინულთა შორის ღრმად გაიჭედა.
იგი დაინთქა და თქვენ კი დარჩით
ოკეანეში როგორც ნაფოტი,
მაგრამ უდიდეს ხერხით და გარჯით
შემუსრეთ ტანჯვა და ეშაფოტი.
ტექნიკა, ჭკუა, გამბედაობა —
ერთად შედუღდა სახსნელად თქვენდა,
და განა ასეთ სრულქმნილ თაობას
ველურ სტიქიის სიშმაგე ძლევდა?
სიკვდილს თვალეებში ბევრჯერ ჩახედეთ,
მაინც დაჩრდილეთ მოვლენა მკაცრი
და დაანახვეთ ჩვენს მტრებს — თავხედებს —
თუ რის შემძლეა ახალი კაცი.
კაცობრიობას ჯერ არ უნახავს
მსგავსი სიმტკიცე, თავის განწირვა...
ნეტა მას, ვისაც გადაულახავს
საფრთხე და ბედის მწარე დაცინვა!
ეს გამარჯვება თქვენ გერგოთ წილათ,
მით გაძვირფასდა თქვენი სახელი
და აწკრიალდა ჩანგი და წკირა,
დიდ ალტაცების გამომსახველი.
ასე ბულბული კრიმანჭობს მაშინ,
როცა მზე ღამეს ისარს ჰკრავს ფრთაში
და განთიადი ვარდისფერ რაშით
შემოიჭრება მელანთა ტბაში!



კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მთვარეა*

XI. კ ე ი ს რ უ ლ ი

არზაყანს არც კეისრულის რომანტიზმი აინტერესებდა, არც ლანდგაღ ქცეულ მოისართა დროის გარეშე ჭვრეტა. როგორც კი ისინდი დასრულდა. მყისვე გაეპარა იგი ამხანაგებს. მოზიმშიმე ხალხში მამას წააწყდა უცაბედად.

კაც ზვამბაია დაქვეითებულ იყო, ვილაც მოხუცს ესაუბრებოდა. არზაყანის შეხედვისას მოხუცი ცხენოსანს მიეჭრა, თანაც ეს უთბრა კაც ზვამბაიას:

„შენი ბიჭი რამხელა ვაჟაკი გაზრდილა კაც!“

არზაყან ცხენიდან ჩამოხტა, გადაეხვია არზაყანს კაც ზვამბაიას სიყრმის შეგობარი ლიპარტია. „ველური დივიზიის“ ყოფილი უფროსი ისე დაჩაჩანაკებული იყო, არზაყანმა ვერც კი იცნო, ვინმე მეთულუბჩე ეგონა იგი.

ლიპარტიამ აფხაზური არ იცოდა, ამიტომაც კაც ზვამბაიამ აბხაზურად ჩასჩურჩულა არზაყანს: მოხუცებულს მუხლი სტკივა და შინ მისვლამდის ცხენი ათხოვე, — იქიდან მარქაფად შინ წავეყვანო. არზაყანს გულით უნდოდა ცხენის თავიდან მოცილება, რადგან თამარის მოძებნა ეწადა. ამიტომაც სიამოვნებით მიაჩეხა არაბია მოხუცს.

დიდხანს ეძია თამარი თალზი ლანდების მწკრივში. თვალეზი დაექანცა და ის ის იყო შინ წასვლას აპირებდა, მუხის ნამორებთან შენიშნა იგი.

თამარი სჩივოდა: ძაბული შენი და თარაშის საძებრად წავიდა და აღარსად სჩანანო. ახლა ძაბულის ძებნას შეუდგნენ ორივენი. ველი ხალხისაგან დაცლილი იყო, მხოლოდ რამოდენიმე მოხუცის ლანდი დალოდავდა აქიქ.

თამარმა და არზაყანმა ხმაზე შეიცვენეს ორი წინ მიმავალი ნათავადარი. ისინი სვენებსვენებით მიდოდნენ, ოხრავდნენ, სწუხდნენ, ზვამბაიებს. აშხეაცავეებს და მალაზონიებს რომ დარჩათ ბურთი და მოედანი.

დადიანების, ემხვარების, ჩიქოვანების, შერვაშიძეების, აფაქიების, ლიპარტიანების მიერ გამართულ დოღისა და ისინდის ამბებს იგონებდნენ, ოხრავდნენ და წყევლიდნენ ახალ დროს.

*) იხ. „მნათობი“ № 5—6.

„გამარჯვება გერგო არზაყან“.

უღბნება თამარი, თანაც არაბია მოიკითხა.

— „მეო? ამბობდა არზაყან, — წინააღმდეგ, სასტიკად და სიძულვილით“.

— თავმდაბლობა ვაქცალების წესიო, შენიშნა თამარმა.

— „როგორ თუ დაგამარცხეს, აშხვაცავას ხომ აჯობე?“ არზაყან გაიტრუნა. გულით უნდოდა კიდევ ვილაცა ესენებინა თამარს და ამიტომ ჩაილაპარაკა:

„შენ სად იდექი?“

„მე და ძაბული მუხის ნამორებზე ვიდექით“.

„ყველაფერს ხედავდით?“

„ყველაფერს“.

„განა მარტო აშხვაცავას ვაჯობე?“

„აშხვაცავას, დოლაბერიძეს, ვაჩნაძეს და სხვა ტფილისელებს“.

არზაყან დადუმდა და თამარი თითქოს უსიტყვოდ მიუხვდა, რომ ვილაცას გვარი კიდევ აკლდა ამ ჩამოთვლას და მცირეოდენი დღემილის შემდეგ დასძინა ხმადაბლა:

„კაცმა რომ სთქვას ნაწილობრივად, თარაშსაც, მაგრამ ეს იყო ნაბადზე მამა შენმა მოგიგო“.

„მამა განზრახ არ გაერია ისინდის სროლაში. ხვალ ვნახოთ“.

არზაყან მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდა თამარის გვერდით. გული სტკიოდა. მამამ პირველობა რომ წაართვა ჯირითში. სანუგეშო ეს იყო: თარაშ ემხვარს რომ აჯობა ნაწილობრივ და ეს „ნაწილობრივ“ გულში გაეხიზა არზაყანს.

იმ ქოფაკმა გვანჯ აფაქიძემ უმტრო არზაყანს და სადავოდ გაუხადა კარგად ნატყორცნი ისინდი. ეს გაიფიქრა არზაყანმა, მაგრამ არ კი გაუშვილა თამარს.

„რა იქნა ნეტავი ძაბული და თარაში?“ წრიალებდა თამარ და მის გულში იქვის ნატამალი რიალებდა. მოაგონდა თუ როგორის განსაკუთრებული თავაზიანობით შეხედა წელან ძაბულის თარაშ ემხვარ. ძაბულის მეტად თარაშის გაუჩინარება აწუხებდა, უმთავრესი კი ის იყო: უკანასკნელი დღეების შემდეგ არზაყანთან მარტო სვლას ერიდებოდა. ყოველ წუთში მოელოდა, რომ არზაყან საყვედურს დაუწყებდა. არზაყანსაც ენის წვეტზე მოსდგომოდა საამისო სიტყვა, მაგრამ იგი ისე ბედნიერი იყო თამართან მარტოყოფით და იმითაც, ამ მრუმე ღამეში, ათასი კაცისა და ქალის ლანდების ტევრში იოლად რომ წააწყდა მას, ამიტომაც სდუმდა. ხან თამარის ლანდს შეავლებდა თვალს, ხანაც უმთვარო, ვარსკვლავებით მოოკვილ ცას ზეახედავდა.

თამარმა რომელიღაც ჯაგს ფეხი წამოჰკრა, არზაყანმა იდროვა და მკლავში გაუყარა ხელი. სულ აბლოს, მის სხეულთან სულ მჭიდროდ მისული მოსდევდა იგი თამარს და განუსაზღვრელ ნეტარებას გრძნობდა

ამ მშვენიერ საღამოს პირისპირ თამარის ხლებით გახარებული, როცა ორივეს გამოვლიათ სათქმელი თითქოს, განუზომელად ნუტარქსად, ბელტიონ ხნულებზე გადასვლისას მის სხეულს რომ ეხებოდა თამარის ტანი და ხანდახან ისე ახლოს ეკვრებოდნენ ისინი ურთიერთს, რომ არზაყანი შეაფიოდ გრძნობდა თუ როგორ სუნთქავდა თამარი.

„მამა ამბობდა, — დაარღვია დღმილი არზაყანმა, — ამ ველზე ოდესღაც დადიანისეული სანადირო ტყე იყო, გაუვალი ქაობები, ფალაგე, ლაქაში და უნაყოფო ეწერი. ასეთ დროს აქ შეიარაღებულ ცხენოსანსაც გაბრდღენიდნენ მგლები. ახლა ჩვენ ჩაის პლანტაციებს ვაშენებთ, ეგერ ზომ ხედავ ოდნავ მბეტუტავ ელექტროს ლამპიონს, იქ „საქართველოს ჩაის“ მეურნეობები იწყება“.

თამარი ამ წუთში თარაშ ემხვარისთვის ფიქრობდა და სავსებით ყურს არ უგდებდა თუ რას უამბობდა არზაყან ამ ჩაის მეურნეობათა მომავლისათვის.

საცემბით ჩამოხნელდა ველზე. შორიდან ძაღლების ყეფა ისმოდა. ენგურის ქალებიდან გზამოჭრილი მგზავრის თუ მეველის ყიყინი მოდიოდა, შორიდან, ძლიერ შორიდან ტურების ჩხავილი მოჭქონდა ნელსა და საამურ ნიავს.

თემშარაზე გადმოსულთ რამოდენიმე ჩამორჩენილი მგზავრის ლანდი შემოეყარათ, ისინი ხმადაბლა საუბარით მიჰყევიდნენ გზას.

ენგურის სადგურიდან მოღწეული ელექტროს ლამპების სხივმილეული ლიცლიცი ველარ ერეოდა აბრილის ბნელსა და დარდიან ლამეს.

თამარსაც გუნება შეეცვალა. იგი უკვე აღარ სწუხდა, რომ არც ძაბული და აღარც თარაშ ემხვარ აღარსად სჩანდნენ. დღეს მას განსაკუთრებით მოეწონა არზაყან. იმდენი სიხალისე, იმდენი სიძარდე და ვაჟკაცობა იყო მის დღევანდელ ჯირითში, რომ არზაყან ერთის დაკვრით იგივე გახდა მის თვალში, როგორც იყო იგი თარაშ ემხვარის ჩამოსვლამდის.

მიუხედავად ამისა, თემშარაზე გადასვლისას მან რედიკულიდან ცხიორსახოცის ამოღება მოაჩინებდა და არზაყანის ხელისაგან მკლავი გაინთავისუფლა.

გზიდან ლიანდაგზე გადავიდნენ. ტელეგრაფის სვეტებიდან საოცარი ლულუნი ისმოდა.

მოკლე გზით წავიდეთო ურჩევდა არზაყან. თამარი ნებას დაჰყვა. რადგანაც ერიდებოდა ამ სიბნელეში არზაყანთან რომ ენახათ იგი მეზობლებს, ამიტომ ეწერეწერ სიარული არჩია.

და არზაყანიც დაადგა იმავე მოკლე ბილიკს, რომლითაც ამას წინაღ შეიპარა იგი ტარიელ შერვაშიძის ხილნარში.

მთვარე აღარსად სჩანდა, თუმცა წინა დღეს ლუკაია ამტყიცებდა: ხუთმეტ მაისამდის მთვარიანი იქნებო.

მიდიოდნენ.

ბარდები,

ძეძეები,

ჯაგები წარამარა გზას უღობავდნენ. არზაყან წინ მიუძღვრება თამარს, ალაგალაგ ხელს წააგლეხდა, ბილიკზე გადმოშვერილ ქაჯციან შტოებს იგერიებდა, გზას უკაფავდა და თავათ მას ნარის შტოები უმოწყალოდ უღადრავდა ლოყებს.

მცირე ხანს ტრიაიმელ ტაფობზე იარეს. მრუმე ფიჭვებში გახვეულს მიაგავდნენ ვაკეზე შორისშორს გამდგარი მუხების, წიფლების ბნელი ლანდები. შეენაბდიან გუშაგებსავეთ სდარაჯობდნენ ისინი მძინარე ყანებს. საიღლანაც წისჭვილის მელოდიური ლულუნი ისმოდა, ხანაც კოტის ძაბილი შორიდან მოსული.

თამარი ჯაგს წამოედო, არზაყანმა ისევ გაუყარა ხელი იდაყვს ზემოდ, თამარი ნებას დაჰყვა.

არზაყან ბედნიერი იყო მარტოოდენ შემცნობი იმისა, რომ მან თამარის თვალში პირველობა მოიხვეჭა; ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდებს შორის. მამამ აჯობა, მაგრამ დიდოსტატობის სახელის მოხვეჭას ასაკიც უნდაო დიდი. ინუგეშებდა ჭაბუკი თავს.

თარაშ ემზვარ შეეცილა, მაგრამ ხეაღინდელი დღე შორს აღარაა და ხვალ აჩვენებს იგი სეირს თარაშ ემზვარს და მაშინ თამარიც ველარ იტყვის „ნაწილობრივ“-ო.

და ჭალი, ჭალი ხომ გამარჯვებულისა და მარჯვეს მხარეზე ყოფილა მუდამ, რადგანაც მხოლოდ მარჯვე თუ გაიმარჯვებს ჭალის თვალში. გამარჯვებული

და მარჯვე.

ეს გაიფიქრა არზაყანმა და მთვარემაც გამოიხედა ისე მორცხვად (როგორც აბხაზი პატარძალი გამოიხედავს ხოლმე თეთრი დარაიას თაეშლიდან). და გაანათა მყის, იგივე ბილიკი, იგივე ჯაგები, რომელნიც იმ საშინელ და მწუხარე ლამეს ვადაიარა არზაყან ზეამზაიამ.

დაფრთხა ძეძვებში შაშვი, უნუგეშო კუთვით ვადაინაცვლა საჯდომი და მერმე დადუმდა ბუნება.

იარეს კიდევ მცირე ხანს.

ახლა ენგური, ჭალებიდან ტურების კივილი მოისმოდა ოდნავ გასაგონი, ხანაც სიზმარივით მოდიოდა ბაყაყების ჭორალური ვიშვიში და ვასაკების მკაფიო, კანტიკუნტი კრორ, კრორ... კრორ... მაგრამ იგივე ხმები კაეშანს როდი ჰგვრიდნენ არზაყანს, არამედ ისინი სიყვარულია ეჩინან ძაბილს მოაგონებდნენ მას, მიძინებული ბუნების მკერდიდან გადმომსჭდარს.

გაშავდნენ გარეშემო ხეებს აყოლილი ეკლის ბარდები, საოცარ ქიმერებს მიემსგავსნენ ამ მშვენიერ ლამეში. ახლად გამოსული მთვარე ახლად ამოღებულ აბრეშუმსავეთ თეთრი სხივების ბლონდში ხვევდა ხეების მდუმარე ლანდებს.

არზაყანს ენის მობრუნებაც ეზარებოდა, თამარის გვერდით მოარულს. თამარი ხან პატარა თათიას ახსენებდა, ხან ლუკაიას ავადმყოფობას, ხანაც არაბიას იგონებდა ალერსიანი სიტყვებით.

წინ მიმავალი არზაყან შესდგა ერთავად. გაიკვირა, მხარი ატრიალდა, ამბობდა.

უკუმოიქცნენ, მეორე ბილიკს წააწყდნენ, მაგრამ ბილიკი დაჰკარგეს კვლავ.

იარეს,
იარეს,
იარეს...

ეუცხოვა არზაყანს ძეწნები. მთვარე ვერცხლისფრად ალაპლაპებდა გალაკულ ფოთლებს ძეწნებისას. ბაყაყებმა მორიგეობით ისკუპეს და წყლის უეცარ ტლამუნზე მიხვდა არზაყან: თხრილს წასდგომოდნენ, მოულოდნელად. არზაყანისთვის იოლი იყო აქ გადასვლა, მაგრამ თამარი?...

და არზაყანმა უკან მიბრუნება განიზრახა, ისევ ლიანდაგზე გასვლა და შორი გზით შინ მისვლა, მაგრამ რამხელა მანძილი უნდა გაეარნათ კიდევ. ამ თხრილის გადაღმა კი ტარიელ შერვაშიძის ხილნარი იყო, სულ ახლოს, სულ თვალწინ ხედავდნენ ტარიელის სახლს, თამარის ფანჯრიდან მომავალ ელექტროს სინათლის ბეტეტვას და გასწვრივ მდგარ ვაშლის ხეს.

ჯერ იყო და თამარს უნდოდა ლუკაიასთვის დაეძახნა. ფიქარი რამ მოეტანა ლუკაიას, მაგრამ დაფიქრდა. მამა უთუოდ ნერვიულობდა ახლა, აივანზე იჯდომებოდა თამარის მოსელამდის, ასე რომ ყველაზე ადრე მამა გაიგონებდა ძახილს და უთუოდ გაუწყობოდა არზაყანთან შინ გაბრუნებულს. ამიტომაც დადუმდა თამარი.

სხვა გზა აღარ იყო და არზაყანმა ვიწრო ყელი მოუძებნა თხრილს, გაღმაგამოღმა გასდგა ლაჯები, თამარი ხელში აიტაცა ბავშვივით, წელზე შემოხვია ხელი, შემოენთო გულზე თამარის ძუძუმკერდის მზურვალება. გაღმა გადაასკუბა, მაგრამ თანაც გადაჰყვა ქალს და ხელმეორედ შემოეჭლო წელზე და გაშმაგებით დაუწყო კოცნა.

არც ერთი მათგანი ამას არ მოელოდა. თამარი აიღეწა, რადგანაც ვაჟის ალტყინება ელდენსავით მოედო მის სხეულს. მცირეხანს ისე თაებრუნდასხმული იყო, წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ მიმხვდარიყო. კონს მოსულს ბრაზი წაეკიდა.

არზაყან რას შვრებო, წამოიძახა, არზაყანმა ნაბიჯის გადანაცვლება მოინდომა, მაგრამ თხრილიდან გადმოყრილ ბელტებს წაებლანდა, წაიფორხილა. თამარი მარდად გაუსხლტა ხელიდან. სახტად დარჩენილი არზაყან დაიბნა, მცირე ხანს შეეყოყმანდა, მაგრამ წამსვე გამოუდგა ვაჭეფულ ქალს.

თამარი საშინელის სისწრაფით გარბოდა თეთრად დათოვლილ ატმების ხეივანში პორტენიების თეთრ ბუჩქებს შორის. არზაყან რამოდენიმე ბუჩქს გადაევლო მწვერის უსწრაფესად და სწორედ ვაშლის ხესთან მიეწია თამარს და ხელმეორედ წელზე შემოაჭლო მკლავები. და ცახცახებდა აქმინებული ქალი ვაჟის მტკიცე მკლავებში მომწყვდეული.

„მამის დავუძახებ იკოდე“.

არამცთუ მოხუცებულ ნახუცარს, ვნებისა და რბენისაგან გაბოროტებული არზაყან ამ წუთში თვით სიკვდილსაც შეებმებოდა, რადგანაც უკვე გადაღახული იყო ის მონური მოკრძალება, რომელიც გაშლილსა და წინსვლაში დარჩენოდა ზეამბაიას შერვაშიძის ქალის წინაშე.

მან, მხვეალსავით წაავლო ხელი ამ ურჩსა და უდრეკელ თავადის ქალს, ისევე როგორც ათასგზის წაუვლია ხელი შერვაშიძებს ზეამბაიას ქალებისათვის.

ვაშლის ხესთან მიიყვანა და ზედ მიეკვრა თავათაც.

თამარის სხეული შედრკა ამ კუნთებმაგარი ვაჟური სხეულის წნევისა და შემოხვევის პირისპირ. იგი ისე ცახცახებდა არზაყანის მკლავებში, როგორც ახლად აფრენილი მტრედის მართვე, შავარდენის ქანგებში.

მთლად დაღუული, გაფითრებული ჩურჩულებდა იგი, უმწეოდ აღებდა ბეჭედივით ვიწრო პირს, ხმაწართმეული ამბგებდა არზაყანს, მამას დავუძახებო ემუჭრებოდა, მაგრამ ვერ კი ბედავდა ამას.

არზაყანმა ვაშლის ხეს შემოხვია ცალი ხელი, ცალითაც თამარს განზე გადაუწია თავი, აღერსიანად გადაუსვა თმებზე ხელი და აკოცა მრავალგზის. თამარი სტიროდა, ბრაზშემომთებული, არზაყანის გასაწბილებლად წარამარა მხრისთავისაკენ მიიდრეკდა პირს და ასე იწმენდა მის მიერ ნაკოცნ ტუჩებს.

იწყინა ვაჟმა და ხელი შეუშვა და რა ხელი შეუშვა, თამარმაც იდროვა და თბრილის დაბალ ლომზე გაასწრო. ლომის ლიწინზე აყუდნენ ძაღლები და ლუკაია გამოვარდა და ასტეხა ყიფინი:

„სისა, პო... სისა, პო“.

არზაყანმა თვალი ჰკიდა: გაქცეულ თამარის ფეხრით რაღაცამ იელვა. მიიჩინა: და თამარის ოჭროს ჯვარი იცნო, წითელი ლაღებით და ბრილიანტებით შემკული. ძეწკვი გაწყვეტილიყო. არზაყანი ვაშლის ხეს მიეფარა, კიდევ ამოიღო ჯვარი, ათვალეირებდა, შეჰხაროდა მის ციმციმს. უფრო მეტად ის ახარებდა რომ თამარმა დაჰკარგა იგი.

არზაყან ვაშლის ხესთან იდგა გარინდებული, ვიდრე ძაღლების გნიასო არ მიწყნარდა. სანატრელად მშვენიერი ღამე იყო, მაგრამ სავსებით ამოდ ერგენა მას ეს ღამეც, ეს მთვარეც და დღევანდელი გამარჯვება. ისევ ვადიარა თბრილი და მიყვა ბარდიან ბილიკებს რკინის გზის ლიანდაგისაკენ. მხარაქცეულსავით მიყიალობდა არზაყან, საშინელ მარტოობისაგან გულმოკლმშული და ირგვლივ გახმიანებული ბაყაყების ვიწვიში და ვასაკების კროჩორ... კროჩორჩორჩორჩორ კროჩორ. კრ... უფრო ამძაფრებდა მის მიუსაფრობას.

საშინლად მოუნდა ღვინო, ინანა ამხანაგებს რომ არ წაჰყვა საჭეიფოდ, მაშინ ისე არ მოეშამებოდა ეს საღამო.

ვიწრო და ბნელ შუკაში შეუხვია, ჰიშკართან ვილაც ქალვაჟი გადახვევოდა ურთიერთს, სიყვარულისაგან გაბრუებულებს არც კი გაუფონიოთ არზაყანის ფეხის ხმა, კიდევ გაიარა მცირე მანძილი, შეემა კატამ გადა-

ურბინა. არ იამა არზაყანს ამ „დაწყველილი ცხოველი“-ს შეხვედრა, ისე-
დაც დანამსულ ღამეს.

შერცხვა: კომუნისტს რომ სჯეროდა ასეთი რამ. ჩალმაშყყრეველი
დასცინოდა მას ამგვარ შემთხვევებში. ჩალმაზის ძვირფასი ნასქქქქქ და-
უდგა. ზის ახლა ჩალმაზი თავის სამუშაო ოთახში, რაიკომის საქმეებში ყუ-
რამდის ჩაფლული. ჩალმაზი უთუოდ წინ წაიწვეს. იდეური, პატიოსანი,
პარტიისათვის თავდადებული ჩალმაზი. ასეთი ახალგაზრდა კაცია და მას
პირადი ცხოვრებაც კი არ გააჩნია, მიუხედავად ამისა, დიდი ინტრიგები
მიღის მის წინააღმდეგ. ეს ასეა: ძლიერს ებრძვიან ყოველთვის:

საერთოდ ჩალმაზი ჭკუის კოლოფია. არზაყანს რომ ჩალმაზის ამხა-
ნაგური რჩევა გაეზიარებინა, მას სიყვარულის საქმეებშიაც არ შეხვედ-
ბოდა ამდენი დავიდარაბა. ჩალმაზი ძაბულის უჭებდა ყოველთვის.
„ფრჩხილებ დაფერილი“ თავადის ქალები ჩვენთავანს არ გამოადგებოთ,
ხვალ შეიძლება ჩვენს პარტიას მთელ მსოფლიოსთან მოუხდესო ომი, ასე-
თი ქალები რა ჩვენი საქმეაო. ახლა მით კომუნისტებისაკენ უჭირავთო
თვალი, მაგრამ ხვალ რომ რეაქციამ გაიმარჯვოს, ისევე რუსის პოლკოვნი-
კებსა და გენერლებზე გადაინაცვლებენო.

საერთოდ თავადების შესახებ თავისებური აზრი ჰქონდა ჩალმაზს.
მართალია თავადობა მოისპო, მაგრამ ფსიქოლოგიური თავადობა კიდევ
ღარჩაო. თავადობა ზერელობის, თავქარიანობის, კულაბზიკობის და
მკონარეობის ატმოსფეროს ქმნიდაო მუდამ. თავადის ქალი სახლში არააო
შესაშვები.

და მოგონებათა კონტრასტების ძალით ძაბული მოავონდა არზაყანს
და განუზომელად მოუნდა ძაბულის ნახვა და მიჰყვა არზაყან ძაბულისა-
თვის ფიქრს და ამ ფიქრისაგან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ძეგლების
სახელოსნომლის მიაღწია.


თაგჩაქინდრული იღვწენ უშველებელი, ფრთიანი სერაფიმები და ქე-
რუბიშები ამ მთვარიან ღამეში, იღუმალი ფიქრით გართულანო თითქოს.

ძაბულის ეზოში შესულს ფინია ყუფით შეუეარდა ფეხებში არზა-
ყანს და ისე საოცრად შეერთა, დაჯახებოდა თითქო აფთარი. ძაბულის
ოთახიდან შეჭის კიანთი მოდიოდა. არ სძინავსო, გაიფიქრა და გაეხარდა.

ძაბულის ტანზე გახდა მოესწრო, მაგრამ ჯერ არ ეძინა. იწეა, წივსს
კითხულობდა სტეარინის სანთლის მიღეულ შუქზე. კარის ჩაქეტვა და-
ვიწყებოდა. ასე რომ არზაყან ისე წაადგა, თავზე, ზედწამოდგომა და ჩა-
ცმაც ვერ მოასწრო.

ოთახში მთვარის შუქიც შემოდიოდა, ასე რომ სანთლისა და მთვა-
რის უსუსურ სინათლეზედაც შეატყო ძაბულიმ: არზაყანს მთლად აღ-
რეოდა სახე. ლოყები და ცხვირის კები სულ მთლად გასისხლიანებული
ჰქონდა. როცა არზაყანმა სკამი ახლოს მიიწვი, დაქსოვილი მისი და
ძაბულის, ქალი აიშლერა:

რა მოგსელიაო? შესძახა შეძრწინებულმა არზაყანს, იღიმდა და არ-
შემო იხედებოდა, თითქოს მოსდევდარ, ელატა და სამილითი ხერხეუსო



ახლა. არზაყანმა ტახტზე მწოლარე ბაღდებს შეავლო თვალი. ტარა უტას სასთუმალიდან გადმოვედო ბზუკებიანი თავი, არსად სახეს/ცოცხალის ნიშატი არ ეტყობოდა, მიცვალბულს დამსგავსებულს უჩინარე.

უფროსს, უჩინიას საბანი გადაეარდნოდა. პირაღმს/სწავლა/საბრ-ციო ეჩვენა არზაყანს ტყირპიანი ბავშვის საოცრად გაბერილი მუცელი. თვალში მოხვდა არზაყანს უჩინიას თხელი და ლილისფერი ტუჩები. ასე ეგონა: ტალახით შემურვილი ჰქონდა ტუჩები ბედშავს. მოაგონდა არზაყანს ძაბულის ნაამბობი, რომ უჩინიას სენად ჰქონდა მიწის ქაშა.

ოთახში საოცარი სიღატაკე სუფევდა, ობისა და ნესტის სუნი უფრო აუტანელი გამხდარიყო ღამით.

და როცა არზაყანმა ისევ ძაბულისაკენ მიიბრუნა პირი; ქალმა გაუმეორა კითხვა. არზაყანმა ბლუზის საკინძე გაისწორა, რადგან საკინძე განზე მოგქცევიან, შენიშნა ძაბულიმ. ბალიშიდან ოდნავ წამოწეულ ქალს, მომწუსხველი მზერით მიაჩერდა, იამა მისი სახეს მკერდის შეხედვა.

იკრუა: ცხენი დამიფეთდა, ბარდებში გადამიყოლა და ცკლებმა სახე დამიკაწრესო.

ძაბულიმ ეს დაიჯერა, მაგრამ სახისა მისის ფერმკრთალობა მაინც გაუგებარი დარჩა.

ემულდარა: ცოტა ხანს მეორე ოთახში ვადი, ავდგები, ჩავიცვამ, ვახშამს მოგიმზადებო, მაგრამ არზაყანმა არ დაანება.

ხელახლა იკრუა: ესეცაა სასტუმრო ოდიში ვივახშმეო ტოლებთან, და მალე სულ წავალ, მერე ისევ იკითხეო.

ახლა პირის დაბანა მოსთხოვა ძაბულიმ. თუნგი აიღე, პირი დაიბანეო. არზაყან დაემორჩილა, თუნგი მოსძებნა, ერთი პეშვი წყალი შეისხა სახეზე. მერმე სარკის ნატები ამოიღო ჯიბიდან, სახე მართლაც დაკაწრული ჰქონდა, ფერნამკრთალობა გადასვლოდა.

ციე წყალს ხალისი მოებრუნებინა რძისა და ლეინისფერ სახეზე. სავარცხელი ამოიღო. არზაყან თავს ივარცხნიდა ნელნელა, თანაც ძაბულის ნაწნაეებს წასწვდა მზერით, ბალიშის გადაღმა გადავლებულს.

„რათ ვინდა ქალო ამხელა თმები? არა სჯობია თმები შეიკრიჭო? მე ჩემს თმებს ძლიეს ვივარცხნი, არ გეზარება ამოდენა თმის ვარცხნა და ბანა?“

„დღეს თარაშ ეშხვარ გვეუბნებოდა მე და თამარს, თმები არასოდეს შეიკრიჭოთო. ქალის ვარცხნა თმის შეკრევიდან იწყებო, ჯერ თმას შეიკრიჭავსო, მერმე პაპიროსის წვევას დაიწყებს, მერმე ლეინის სმას და აქედან ყოველი მხრივ გზა ხსნილიაო.“

არზაყანს არ იამა თარაშის და თამარის ხსენება.

მაინც გაელიმა ნაძალადევად.

ახლა თავისი საბუთები მოიყენა. თმის რა კეუა აქესო, გრძელი ნაწნაეები ძველ ქალებს თან უნდა გავაყოლოთო, ჩვენ თანამედროვე ქალი გვინდაო.

გარდა ამისა, უთუოდ მოგიხდებოდა თმის შეკრეკა, ანუ შეკრეკა არზაყანა დაბუღის.

ეს უთხრა და ბალიშზე გადაგდებულ ნაწინავს გადასწვინდა და მსუქო-ზიდა როგორც ბავშობაში უწნია. დაბუღიმ საბნიდან სტარტისგან და ნაწინავი ხელიდან გამოვლიჯა. არზაყანმა ამ დროს ილიას ქვეშ მოსულ ხავსს მოჰკრა თვალი და აღელვება იგრძნო და ჩვეულებისამებრ პირი მოკემა და ზემო ტუჩს დააბჯინა ქვედა კბილები.

უხერხულ დემილის დასარღვევად სასთუმალიდან გადმოვარდნილი წიგნი აიღო. ამ წიგნის შინაარსის გამო დაუწყო გამოკითხვა უსაზნოდ.

ამ წიგნში ორი ერთმანეთზე სამკედროდ გადაკიდებული წარჩინებული გვარისშვილის ამბავიაო საშუალო საუკუნის იტალიის ცხოვრებიდან აღებული, კაპულეტისა და მონტეკის გვარები მრავალი საუკუნის მანძილზე ურთიერთს მტრობდნენ, ხოცავდნენ, სწვავდნენ და ანადგურებდნენო. მერმე კაპულეტის ვაჟს, მონტეკის ქალი შეჰყვარებიაო თურმე და რაკი მათი შეუღლება შეუძლებელი იყო, ერთ მთვარიან ღამეში კოშკში ჩაქეტილანო, გათენებამდის ღვინო უსვამთ, უკანასკნელი სიყვარულით დამტკბარანო და მერმე ღვინის ფიალები შხამის ფიალებით შეუცვლიათო.

არზაყანს გულმა რეჩხი უყო ამ ამბის გამგონეს. დაბუღის ნაამბობში ისე ენიშნა, თითქოს შეუძლებელი ყოფილიყო, რომ ასეთი რამ წიგნში რომ წერებულყო, თითქოს ეჭვიც შეეპარა არზაყანის გამოსაცდელად დაბუღის ხომ არ მოუგონიაო. ნერვიულად ფურცლავდა წიგნს და მართლაც რამოდენიმე ადგილას წააწყდა კაპულეტისა და მონტეკის გვარს.

მაშ ხანგრძლივ მტრობას სიყვარულისაკენ მიჰყავს აღამიანი? ემხვარების და შერვაშიძეების ამბავი მოაგონდა, მამისაგან მრავალგზის განაგონი. მამა იმასაც უამბობდა ზვამბაიები და ლაკობაც კი გადაკიდებოდნენ მათ გამო ურთიერთს. რადგან ზვამბაიები ემხვარებს უზრდიდნენ შეიღებს, ხოლო შერვაშიძეებს ლაკობა. თამარ შერვაშიძე და თარაშ ემხვარ თვალწინ დაუდგა. გული აემღვრა, სახე აემრიზა და დაბუღის რომ ეს არ შეემჩნია ფეხი ფეხზე გადაიღო, წიგნი ღამისისკენ გასწია, წარბები მოღუშა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდის ყურადღებით ათვალეირებდა ამ წიგნს. ზანტად ფარცლავდა, თანაც სულ სხვაგან ჰქროდა გონება მისი.

უკვირდა არზაყანს. რა საოცარი შეხვედრა იყო. ან დაბუღის რად ჩაუვარდა ხელში ასეთი წიგნი? ან ვის შეუთხზავს ასეთი ანდაზა, რომ იგი ზედმიწევნით მოხედროდა არზაყანის გულსა. ერთი კი დაამირა, როგორმე გამოერთმია იგი დაბუღისათვის და მერმე დაეწვა, რათა თამარს არ ჩაეარნოდა ხელში ასეთი ამბავი. იცოდა არზაყანმა რომ ხშირად წიგნში ზომხდარს ბაძავენ აღამიანები, რადგან წიგნებს საშინელი ზედგავლენა აქვთო, განაგონი ჰქონდა.

იმ წუთშივე უნდოდა გაეგო თამარისათვის ხომ არ უჩვენებია ეს წიგნი: დაბულის? მაგრამ თავი შეიკავა და ეს პკითხა მხოლოდ: „ვინ მოგცა შენ ეს წიგნი, დაბული?“

და ეს ისე უხერხულად და ისე სერიოზულად ჩამკითხს, მკითხლის ეგონა ვინმეს ხომ არ მოუპარავსო ეს წიგნი არზაყანისათვის და თავათაც შემკრთალმა ასე უპასუხა:

„ვინ მომცემდა? თამარმა მათხოვა ამას წინად. მალე წაიკითხე თარაშ ემზვარს უნდა ვათხოვო“.

ენიშნა არზაყანს. ესეც ხომ ცნობილია, რომ შეყვარებულები ხანდახან წიგნების საშუალებით უხსნიან ურთიერთს სიყვარულს და ამ წამში მზად იყო არზაყან ეს წიგნი ნაფლეთებდ ეტკია, რათა მას აქ გამხე-ლილი ამბავი თარაშ ემზვარის გულამდის არ მიეტანა და არზაყან ზეამბაია ციებასავით აიტანა ბნელისმეტყველთა ქადაგებამ: თითქოს წიგნები რყვნიდნენ ახალგაზრდათა გულებს.

დაბული დაპირდა თამარს დავუბრუნებ და მერმე ისევე გამოვართმე-ვო, არზაყანმა თვალის ასახვევად ვითომდაც მომეტებულის გულსაყუ-რით დაუწყო თვალთერება ამ წიგნს. ძალიან საინტერესო სჩანსო ამბობ-და, ფურცლავდა, ფურცლავდა და თანაც ფიქრობდა:

მაშ თუ ასეა და საუკუნოთა უღვეველ მანძილებზე გაღვივებულმა სიძულელიმა სიყვარულამდის მიიყვება ორი სამკედროდ გადაკიდებული გვარი, განა შერვაშიძეებსა და ზეამბაიებს ისევე არა სძულდათ ერთი მეორე, როგორც კაპულეტტისა და მონტეკკის ან თუნდაც შერვაში-ძეებსა და ემზვარებს? რა უყოთ მერე რომელიმე ზეამბაიას მორდულდ ან მორდილად თუ მოიგებდნენ ძველი თავადები, ეს ხომ იმისთვის სჭირდათ მათ, რომ სიყვარულის ძალით განემკვიდრებიათ მონური სული და მოა-გონდა არზაყანს თარაშ ემზვარის ნათქვამი, არაფერი ისე არ იმონებსო როგორც სიყვარული, სადაც სიძულელის შუბი ვერას ვააწყობს, იქ აღამიანები ხშირად სიყვარულის ქამანდას მოიშველებენო.

და დაბული თითქოს უსიტყვოდ მიუხვდა, რომ არზაყან თარაშ ემზ-ვარს იგონებდა გუნებაში, ლოგინიდან წამოიწია და საესეებით გულუბრი-ველოდ ეუბნება არზაყანს:

„თარაში ძალიან დავაგაკეცებულა, დამშვენებულაო“.

არზაყანმა წიგნი დახურა, მუხლზე დაიღო, მყისვე როყიო და მოუფი-ქრებელი რამ უნდა მიეხალა პირში, მაგრამ დადუმდა და დაოკებული მღელვარების გასაქარვებლად პაპიროსი პირში ჩაიღო და არც კი ჩაუქ-რია აღმოდებული ღერი ისე ექირა ხელში, ანთებულ ასანთს შესცქერო-და და ეუბნებოდა:

„როგორც სჩანს მოუხიბლავხარ, წედან რალაცას გეჭურჩულებოდა, სიყვარულს ხომ არ გიხსნიდა, ნეტავი?“

ეს უთხრა არზაყანმა და ასანთს სული შეუბერა.

„რას ამბობ არზაყან, ამ საღამოს შენ ველარ გცნობილია! თარაშ ბავშვობის ამბებს იგონებდა, დიას რომ მეძახდით, რუკუკუდედექსენის ხათუნას როლს ვთამაშობდი“.

რად მოაგონდაო ეს ამბავი თარაშს, გაიკვირვა არზაყანმა და მასაც გაახსენდა დიას რომ უწოდებდნენ ძაბულის, ისიც მოაგონდა ძაბული რომ დაწვებოდა საბძელში, ძაბული არზაყანის დედა ხათუნა ყოფილიყო ვითომ, ხოლო ბავშვები — თარაშ და არზაყან. მივარდებოდნენ და ძუძუს სწოვდნენ, ძაბულის პაწია კვირტებივით ძუძუებს, ფიქალივით მკერდზე რომ ძლივს მოსჩანდნენ. ეს მოიგონა, გონების თვალით წარმოიდგინა წელან ნანახი მკერდი მწიფე ნაყოფივით საესე და ვათქვირული, სულ ორიოდე წუთის წინ რომ შეამჩნია, როცა საბნიდან ხელი გამოიღო ძაბულიმ.

ეს მოიგონა და საშინელი იქვეულობის გეგნია წაგვიდა არზაყანს გულზე.

„მაშ თარაშ ემხვარ ისე წაგჩვევია, რომ ძუძუებზე გელაპარაკება?“ მიახალა არზაყანმა მკვახედ, თანაც მომწესხველი თვალით შეაქტვრდა ძაბულის.

„რა გემართება არზაყან, რად ამბობ მაგას? ასეთი რამ არც უკადრებია თარაშ ემხვარს, თარაშმა მხოლოდ ის მოიგონა, რომ დიას მეძახდით ბავშვობაში“.

არზაყან დადუმდა, ისევ წიგნის ფურცელა დაიწყო წარბმულუშულმა.

აჰა, ფიქრობდა იგი. ძაბული და თარაში რომ დაიკარგნენ, ვინ იცის, ეგებ მათაც ისევე დაებნათ გზა ამ სიბნელეში, როგორც თამარსა და არზაყანს.

„მაშ თარაშს შენ არ გამოუცილებიხარ?“ მცირე ხანს დადუმდა არზაყან და მერმე განაგრძო: რომელი გზით მოხვედით? ეკითხებოდა.

„მე ველარ გცნობილია არზაყან. ვინ თქვენ? რომელი გზა? მე ბევრი გეძებეთ, ვერც თამარი ვიპოვე, ველარც შენ. თარაში ცხენოსნებს წაჰყვა ენგურზე. ცხენები უნდა ვაბანავოთო, ასე ამბობდნენო მეუბნებოდა გზაში მეზობლის ცირა.“

„მაშ თარაშ შენ არ მოგყალია? მაგას ვერ დაგიჯერებ ძაბული“.

შერისხა იქვიანობით გახელებულმა ძაბული.

„დედის სულს გეფიცები, რომ მე მართალს ვამბობ“. უთხრა ატირებულმა ძაბულიმ, ბალიშში თავი ჩარგო და აქვითინდა. არზაყანს გული მოუღბო ძაბულის ცრემლებმა, მივიდა, ლოგინზე წამოჯდა, თავზე გადაუსვა ხელი, შემოაბრუნა, სახე შუქისაკენ მიაქცევინა და თვალეში ჩახედა, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ ძაბული მართალი იყო. მაგრამ ნამტირალეგმა ძაბულიმ თვალი არ გაახილა საკმაოდ. ერთ წუთში თითქოს უდანაშაულოდ მოეჩვენა ძაბული, მაგრამ როგორც კი შემთხვევით გადამძვრალ საბნის ქვეშ ძაბულის გაეხილ გულმკერდს თვალი ჰკიდა, ისევ შემოეგზნო იქვის ცეცხლი, ეგებ ამ საღამოს, ფიქრობდა არზაყან, სადმე ძეძვებში გადაეყვანოს თარაშ ემხვარს ძაბული, ეკოც-

ნოს მისი ძუძუმკერდი, და ამის გამო მოჰგონებოდეს თარაშს რომ იგი და არზაყან დიას რომ უწოდებდნენ ძაბულის და ოდესღაც კერძო ძუძუებზე რომ კოცნიდნენ.

და ამ ფიქრით ალტყინებული თავით მივირდა ძაბულის, საბანი გადახადა მკერდიდან და დაუწყაო ძუძუებზე კოცნა. კოცნიდა ძაბულის ძუძუებს და ახლა საესებით მოურიდებლად ერთსა და იმავეს იმეორებდა, აგონებდა თუ როგორ კოცნიდა მის ძუძუებს პატარობაში, დედის სულს აფიცებდა, ევედრებოდა გამომტყდარიყო ძაბული, ეთქვა მისთვის მართლაც ხომ არ ეკოცნა მის ძუძუებზე თარაშს, არწმუნებდა: ოღონდ მართალი მითხარი და ყველაფერს გაპატივებო.

ძაბული ევედრებოდა: დამშვიდებულიყო, ასკეცი ფიციტ უმტკიცებდა: თარაშ ემზვარ ბავშვობის შემდეგ დღემდის ახლოსაც არ მინახავსო, ხოლო მას შემდეგ რაც ისინდში მონაწილეობის მისაღებად ცხენზე შეჯდა, არც დამლაპარაკებიაო.

არზაყან მაინც არა სცხრებოდა.

ძაბული დედას აფიცებდა, ემუდარებოდა: ბავშვები გაიღვიძებენ, მე-ზობლები გაიგონებენ თავი მომეჭრებო, მაგრამ არზაყან არა სცხრებოდა, საესებით უაზროდ როშავდა, ვაუგონარი საყვედურებით კიცხავდა ძაბულის, ღალატისათვის სიკვდილით ემუჭრებოდა, თანაც გამუდმებულად ჰკოცნიდა ძაბულის ტუჩებზე, ხელებზე და ძუძუებზე, ევედრებოდა: მართალი ეთქვა მისთვის.

და როცა ძაბულიმ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, არზაყანის იდაყვი შანდალს მოხედა, შანდალი ძირს დაეცა და ჩაჰჭრა.

ალერსისაგან რეტდასხმული ქალი აიშლერა და უსიტყვოდ მიწებდა ვაეს. არზაყანმა საბანში ხელი ჩაუყო, წელზე შემოხვია ხელები ნეტარების ერეოლამორეულ ქალს და ისეთ წუთში, როცა იგი მკერდზე მიიკრა, უნებლიედ წამოსცდა მის ტუჩებს: თამარ...

ძაბული გველნაკბენივით წამოიჭრა თამარის სახელის ხსენებისას, მეორე ოთახში გავარდა ნახევრად შიშველი და მაგრად ვადარაზა კარი. არზაყან გონებაარეული წამოდგა, გაცოფებულმა ბნელსა და ნესტიან შუკას მიაშურა.

შუკაზე სრული სიჩუმე იყო, ხუხულეზსავით პაწია სახლებს უშველებელ ფირუზის მუზარადად ზედ ეხურა ვარსკვლავებით მოოქვილი ცა. და არზაყანს ყოველი მხრიდან მოესმოდა კეისრულის სიმღერა. მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც უცხო ცხენოსნები, უცხო და გაუგებარ სიმღერით შემოდდიოდნენ ქალაქში და ეს გრგვინვა ისმოდა გარშემო, თანდათანობით ძლიერდებოდა იგი და ახლოედებოდა.

ერთბაშით ცხენოსანთა ერთმა რაზმეულმა ჩამოიარა, არზაყან დაუკვირდა, ერთერთის მხრებზე თავის ჩაბალახს თვალი ჰკიდა, თარაშ ემზვარ შეიძნო. ხოლო თარაშ ემზვარს არ უცენია არზაყან. არზაყანს გული აუჩქროლდა:

მაშ ძაბული მართალი ყოფილა?! ცხადი იყო ეს ცხენოსნები მხოლოდ ახლა ბრუნდებოდნენ ენგურის ქალებიდან, ცხენებს ჯერაც არ შეშრობოდა წყალი ფეხმუცელზე. მაშ თარაშ ემხვარს არც კი ეჩვენებოდა ძაბულის ვაცილება, მაშ ეს ყოველივე უსაფუძვლო იქვე ყოფილა!

და ამ ამბავმა დაუფა გულის წყლული არზაყანს. ძაბული შეეცოდა, ასე უმართებულოდ რომ ცილი დასწამა. მაგრამ, იკვიანობის გესლი მაინც რიალებდა მის გულის სიღრმეში.

თარაშ ემხვარ სავსებით მოქანცული იჯდა ცხენზე თვალმილულული, მთვარის სინათლეზე თავის გვერდით მიმავალ ცხენოსნების ლასლასს ამჩნევდა მხოლოდ და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იგი კალხების იმ მოიხარ ჯარებს ხლებოდა, პეტრას ციხესთან რომ შემუსრეს ერთხელ სპარსები.

XII. დედის კუპუსთან წაქიდგაშენი

დოლის თავკაცების და ცხენის სპეცების წრეში დიდი ალიაქოთი გამოიწვია გვანჯ აფაჭიძის წინადადება: სარბენ მანძილად აბხაზური წესისამებრ ოცი კილომეტრი დაენიშნათ. სხვანი მოითხოვდნენ ინგლისური დერბი გამართულიყო ე. ი. ორი ათას ოთხასი მეტრი გადაეზომათ.

აბხაზური დოლის ამბავი, შესაძლოა მკითხველთა შორის, ბევრმა არ იცოდეს. ასეთ დოლში ჟოკეი ვაცილებით უფრო პასიურია, ვიდრე ინგლისურში.

აბხაზები პატარა ბიჭს შესვამენ კარგ ცხენზე, თავათ ცხენის პატრონი მეორე ცხენზე შეჯდება და როცა იგი შეამჩნევს: ცხენი იქანცებაო, ან ჟოკეიას დაუდევრობის გამო, ცხენი იგვიანებსო, მაშინ პატრონი თავის ცხენს გამოუდგება, გამოართმევს ლაგამს ზედმუჯდომელს, თავათ კისერზე გადაიდგებს, ყოყინით, სროლით, მათრახის ტკაცუნით, შეძახებით „გულს უსურვებს“ თავის ცხენს და პელოსკენ მიაქანებს.

გვანჯ აფაჭიძეს ძველი დროისადმი სიყვარულის ვარდა, კიდევ ერთი ჩამ ამოძრავებდა: არაბიას ნახვის შემდეგ იგი შეპყრობილსავეთ დადიოდა. მაგრამ გვანჯ აფაჭიძეზე მეტად მის სასიძოს — რაიკომის მდივანს არლანს ჩაუვარდა გულში არაბია. გვანჯი მოწადინებული იყო, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, არზაყან ვინმეს დაემარცხებინა დოლში. არავინ იცოდა გუნტერზე, ვინ შეჯდებოდა, მაგრამ აქ მზედარს მნიშვნელობა არა ჰქონდა. გუნტერზე ვინმე პატარა ბიჭს შესვამდნენ, შემდეგ ძველი ოსტატი ცხენოსნობისა, გვანჯ აფაჭიძე მთელს აბხაზეთში განთქმულ ჰაკზე — შამილზე შეჯდებოდა და შამილს არა ერთხელ გაუბათილებია დოლში მარშანიების, შერვაშიძეების და ემხვარების ცხენები.

წინა ღამით მთელი გეგმა დაუსახა არლანს გვანჯ აფაჭიძემ, უკეთუ ინგლისურის ნაცვლად აბხაზურ-ოდიშურ წესზე შეჯერებას შესძლებდა არლანი, ცხადია, არზაყან თავათ ვეღარ შეჯდებოდა მაშინ არაბიაზე, მას სხვა ცხენი უნდა ეშოვნა, გვანჯ აფაჭიძე ეცდებოდა: გვასალიას ბიჭი შეესვა არზაყანის ცხენზე, გვასალიას ბიჭს წამსუყოფდა, არაბია

უთუოდ დამარცხდებოდა; გვანჯ აფაქიძე კარგად იცნობდა თქვენს ძმის ყოფილ მოჯამაგირეს.

არზაყან ისეთი აზარტის კაცი იყო, იგი გულს აიჭრებდა ნაპოვნობაზე, გაყიდიდა კიდევაც. ნანობდა გვანჯ აფაქიძე: არაბიას მსგებრე მსგებრისე მოხიბლა იმ დღეს, რომ ქებით ყური გამოუჭედა არზაყანს. მაგრამ არაბიას შესყიდვის ამბავი გვიან მოაგონდა შინ მობრუნებულს. კაცმა რომ სთქვას, თავით არენბმა არლანმა ჩაუნერგა მას ეს აზრი გულში. იგი დალის რაიონში მუშაობდა, იქ ფორდის მანქანა უხმარი იყო, ამიტომ ჯიშინი ცხენის ყიდვას ლამობდა არლან.

დოლის დღე დასვენებისას დაემთხვა. დადიანისეულ სასახლეში, ზუგდიდის რაიკომის მდივნის კაბინეტში თათბირი გაიმართა.

უნდა გამოერკვიათ: აბხაზურ-ოდიშური დოლი გაემართათ თუ ინგლისური? თავით ზუგდიდის რაიკომის მდივანი თავს იკავებდა თავდაპირველად, მას არც ისე დიდ საკითხად მიაჩნდა ეს ამბავი, რომ თავით ჩარეულიყო. მახლობელი რაიონების მდივნები თავით მოაგვარებენო, ასე ფიქრობდა. მართლაც და საოცარი რამ მოხდა: ორმა რაიკომის მდივანმა აბხაზური დოლი მოითხოვა, ორი დანარჩენიც ინგლისურს გამოე-სარჩლა. ცხენის ოსტატებს შორისაც გაიყო აზრი. ტფილისელი ცხენის სპეცების მეთაური ვაჩნაძე ინგლისურს მოითხოვდა, ხოლო ადგილობრივთა თავკაცი აბხაზურ-ოდიშურს. მამა და შვილიც გათიშა ამ ამბავმა. არზაყან ინგლისურის მომხრე იყო, კაც ზეამბაია აბხაზურისა.

შარდინ აღშობაია თავს იკავებდა, იგი საერთოდ ასეთ აზრს ატარებდა ცხოვრებაში: უნდა ეცადო ქარის პირდაპირ არ იარო და გამარჯვებულებს მიემხრო ყოველთვის და თუ ვერ შეატყო მხარეთა შორის რომელი გაიმარჯვებს, ხამს შეიცადო ვიდრე რომელიმე გაიმარჯვებდეს, ბრძნული დღეებით სახე შეიბურგოო. ამიტომაც სდუმდა.

ბოლოს ზუგდიდის რაიკომის მდივანმა შამათავამ და ვაჩნაძემ გახსნეს ეგზომ დაბურდული კვანძი.

ზუგდიდელი რაიკომის მდივანი ასე ასაბუთებდა: ჩვენ ბოლშევიკები ძველ აზნაურებსავეთ გასართობად როდი ვმართავთო დოლს. ჩვენი მეურნეობის მექანიზირების მიუხედავით ცხენს ჯერაც ძლიერ ფაქტორად ვთვლითო და მოწადინებული ვართო, ცხენის მოვლის კულტურა გავაუმჯობესოთ და ამ დოლის გამართვით მშრომელ ხალხს დავანახოთო, რომ მამაპაპური ცხენოსნობისა და ცხენის მოვლის წესები უნდა უკუვადლოთ და ახალი სისტემით გავაუმჯობესოთ ცხენის ჯიშები და მათი მოვლაც ახალ ლიანდაგზე შევაყენოთო.

ვაჩნაძემ კატეგორიულად განაცხადა: აბხაზურ-ოდიშური ძველებური დოლი წარსულის ველურული ნაშთიაო, ოცი ვერსის მანძილზე ცხენის ქენება დიდი დანაშაულიაო და თუ ძველებური დოლი გაიმართა, მე ვერცერთ წმინდა სისხლის ცხენს, ვერც ნარევს, დოლში ვერ გაუშვებო, გარდა ამისა, ტფილისიდანაც ასეთი დირექტივა მაქვსო.

მაშინ აღშინაიამ აიღო სიტყვა. ძალიან ჰკვიანად, მოზერანგულად დაიწყო ლაპარაკი. იგი დაეთანხმა რაიკომის მდივანს, რომ ძველი ცხენოსნობა მოკვდა, ახალ ლიანდაგზე გადაგვყავს მთელი ქვეყანა. მაგრამ მას არც აბხაზების მომდურება უნდოდა, არც ტფილისელებს. ცხენოსნობისა და წინადადება შეიტანა, ინგლისური დერბი გემართათ, სარბენ მანძილად წესისამებრ, 2.400 მეტრი გადაეთვალოთო, ხოლო აბხაზებსა და ოდიშარებს, რომელნიც დოღში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულან, ამ წელს მივცეთ აბხაზური წესით მოუარონო თავის ცხენებს, და მართლაც დოღის დაწყების საათი ისე მიწურულ იყო, რომ ინგლისური დოღის მომხრეებმა თავი არ გამოიდგეს და ასეთმა ნარევემა აბხაზურ-ინგლისურმა წესმა გაიმარჯვა. ვაჩნაძე არც ამით დაკმაყოფილდა, მაგრამ დუმილი არჩია.

როცა დოღის თავკაცები დადიანისეულ სასახლიდან გამოვიდნენ, უკვე ყოველივე მზად იყო. ზუგდიდის ერთად ერთი პროსპექტი ხალხით გავსილიყო, შარდინ აღშინაიამ წინასწარ იცოდა, ზუგდიდის რაიკომის მდივნის აზრი, ამიტომ თათბირის დაწყებამდის გაცემული ჰქონდა განკარგულება ჰანდრების ხეივნის ვალმა-გამოღმა 2.400 მეტრის სიგრძეზე თოკებით გადაეტიხრათ ქუჩა, ასე რომ მთელს პროსპექტზე აღკვეთილი იყო მოძრაობა, ხალხი მხოლოდ ფილაქანებზე მიმოდიოდა და ფილაქანების გაყოლებით ბაწარი გაებათ. ჰალოდ-ფინიშად დანიშნული იყო ზუგდიდის თეატრის მოედანი. ასე რომ ცხენოსნებსა და ცხენების პატრონებს მოედანზე მოეყარათ თავი.

გვანჯ აფაქიძე სასტიკად დამარცხდა, მაგრამ იგი ისეთი ნაჭედობის კაცი იყო, ასე იოლად არ შედრკებოდა. სასახლიდან გამოსულმა მყისვე მოისაზრა: თარაშ ემხვარ შეესვა გუნტერზე, მას ურყევად სწამდა თავადის უპირატესობა გლეხის წინაშე და გუშინდელმა შეჯიბრმაც დაარწმუნა იგი, რომ თარაში თუ გუნტერზე შეჯიბრებოდა, უთუოდ დამარცხებდა არაბიას და მის პატრონს.

თარაში უწინარეს ყოვლისა აბხაზიო, მერმე ემხვარი, გარდა ამისა ევროპელისა და სპორტსმენის სული უდგასო, ფიჭობდა გვანჯ. დარწმუნებული იყო: განათლებული თარაშ ემხვარ არ იუკადრისებდა დოღში მონაწილეობის მიღებას და თარაშ ემხვარ განსაკუთრებით თავს გამოიღებდა, რომ ემხვარების ძველი გვარის ნაშთებს კიდევ ერთხელ, ახალ დროშიაც დაემარცხებინა წინაპრების თვისის „აშინაყმა“ ამ დოღში.

და ასე ფიჭობდა გვანჯ აფაქიძე, რადგანაც იგი საკმაოდ არ იცნობდა თარაშ ემხვარს და არც ის იცოდა, თომ თარაშ ემხვარ ამ საქმეს თამაშის თვალსაზრისიდან უცჭეროდა, ხოლო თავის დიდგვაროვნობას ისე განიცდიდა, როგორც წინაპრების მიერ დაკისრებულს, დაუმსახურებელ სასჯელსა და ცოდვას.

გარდა ამისა, დილით ადრე ქალაქში მიმავალ თამარს ელაპარაკა გვანჯ, თამარი ფრთხილ დაინტერესებული იყო: ვინ გაიმარჯვებდა დღევანდელ დოღში. გვანჯს გაგონილი ჰქონდა თამარსა და თარაშის ურთი-

ერთობის გამო დარბეული ქორები. თამარი მისი ნათლული იყო, მშობრ-
მაც დაინტერესებული იყო ამ მითქმა-მოთქმით, როცა სსახლიდან მო-
მავალ თარაშს, თამარსა და კაროლინას თვალი ჰკიდა, შეესწავლიდა.

თავაზიანობაში გამოწვრთნილმა ნათავადარმა ჯერ კიდევ უკეთეს-
კითხა დიდის პატივით, ორიოდ კომპლიმენტი უთხრა კაროლინას თა-
ვის ახალი კაბის გამო, რადგან იცოდა; კაროლინას ეს ძალიან მოსწონდა
და თავადურ პირფერობას ჩვეული იყო. თავათ კაროლინაც ასე მსჯე-
ლობდა: ადამიანმა საამური ტყუილიც რომ პირში მითხრას, უხეშ სი-
მართლეს ისა სჯობიაო. გვანჯ აფაქიძემ შეახსენა ქალებს, რომ ისინი
დოლის შემდეგ უთუოდ უნდა წამოსულიყვნენ მისი ქალის ქორწილში.
ბაბუა ტარიელისაგან ნებართვა აღებულ იქნა. თქვენი მეგობრები ძა-
ბული, არზაყანი და თარაში უთუოდ წამოიყვანეთო, სთხოვდა.

შემდეგ ამისა, თარაშ ემზვარს მიუბრუნდა:

„თარაშ გუნტერზე უნდა შეჯდე, მახარია“.

„გუნტერზე? მე რომელი ცხენოსანი მნახეთ? ეუბნება თარაშ და-
რცხვენილად.“

„ემზვარი ხომ ხარ?“

„როგორ თუ ემზვარი? ვანა მარტო ემზვარობა კმარა?“

„როგორ შეიძლება ემზვარი ცხენოსანი არ იყოს?“

„კი მაგრამ, თუ მას ცხენოსნობა არ უსწავლია?“

„ერთი მითხარი, ეუბნებოდა შაქარბაგიანი გვანჯ აფაქიძე თარაშ ემ-
ვარს: ვინ ასწავლა არწივს მახარია ლაგვარდში ფრენა, ან ვის უნახავს
ორაგულს ცურვის გაკვეთილებს რომ აძლევდნენ?“

და ამ სიტყვებს, ისე ნელა ამბობდა გვანჯ აფაქიძე, კაროლინაც კი
მიხვდა და გადაიკისკისა.

„თუ გიყვარდეს თარაშ, მამის სულს გაფიცებ, ერამხურტის, ბიძა შენის
სულს გაფიცებ, ნუ იუკადრისებ, ამ ჩემს ქალარას ეცი პატივი და დღეს
მონაწილეობა მიიღე დოლში. ეს უთხრა და თავის ქალარაზე ჩამოისევა
გრძელი თითები. თანაც თამარს გადახედა, თითქოს უსიტყვოდ ევედრე-
ბოდა: რამე უთხარი, ან უბრალოდ უბრძანეო. თამარი მიუხვდა ბე-
რიკაცს.“

„ბიძა გვანჯ, მამის სულს გეფიცები, მე ამპარტავენობით არ მომდის,
მე ცხენი ძალიან მიყვარს, ხშირად უკანასკნელი ფული ცხენის საქირავებ-
ლად დამიხარჯავს ევროპაში, მაგრამ მე ისეთი ცხენოსანიც არა ვარ, სა-
უკეთესო მოჯირითებს რომ შევეჯიბრო. საერთოდ მე ასე ვმსჯელობ:
არსად მონაწილეობა არ უნდა მიიღო კარგმა ვაჟკაცმა, სადაც დიდი ცოდ-
ნა არა გაქვს და დარწმუნებულიც არა ხარ, რომ პირველობას მოიხვეჭ“.

„რატომ? არზაყანი საუკეთესო მოჯირითეა, გუშინ არზაყანს გაუს-
წორდი შენ, რა უყოთ რომ ნაბადში ვაჯობა, ნაბადზე არ გივარჯინია,
ვარდა ამისა, გუნტერი ევროპულ საჯინიბოშია გაზრდილი და ამიტომ
ვერ შესძელი. არაბია?... არაბიაზე ხშირად ზის ის ქინკა კაც ზეამბაია და
იმან ასწავლა მახარია ჩვენებური წესები არაბიას“.

თარაშ ემზვარი ისევ უარზე იდგა.

ახლა კაროლინა ჩაერია საქმეში:

„თუ დაგამარცხებენ, მერმე რა? ერთბაშად დოქტორებს უთხარა არ ჩამოგართვან, ახალგაზრდა კაცი ხართ, თქვენც ხომ არც უნდა დაგმარცხებინებოდნენ დაემსგავსოთ ერთი ადლის სიმადლეზე რომ ვერ გადახტებიან და ამას თავიანთი მოუხეშაობით როდი ხსნიან, არამედ სიღარბაისლით“.

„არა, კეთილო ფრაუ, ეუბნება თარაშ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შე დღეს სასპორტო კოსტიუმიც კი არ მაქვია, სად ვაგონილა გრძელ შარვლიანი კაცი რომ ცხენზე მჯდარიყოს? აწი მე რომ შინ წავალ და გადავიცვამ, ამასობაში დოლიც გათავდება“.

„შენ მაგას ნუ სწუხარ, ჩამოართვა სიტყვა გვანჯ აუაქიძემ, მე ახლაც ვავეზავნი ბიუს, ჩემი უფროსი ვაჟი სწორედ შენი ტანისაა მაგის ჩოხას მოვატანინებ. აგერ სასტუმრო ოდიშში შევიდეთ, ხელად გადაიცივებ“.

„კარგია, მართლაც, ერთი ენახოთ, ჩოხა როგორ დაგშვენდებათ“ უთხრა კაროლინამ თარაშს, თანაც თამარს გადახედა. თამარმა გაიგო, სახე გაუბრწყინდა, არც კი უთხრა თავის რძალს, რომ მას ძლიერ, ძლიერ აინტერესებდა თუ როგორ დაშვენდებოდა ჩოხა თარაშ ემზვარს. თარაში მიხედა, თამარს ეს რომ აინტერესებდა, თავმოდრეკილად შეხედა გვანჯ აუაქიძეს.

„კარგო“ ჩაიღუღღღღა.

„მაშ ასე, ეუბნება ვახარებული გვანჯ აუაქიძე თარაშ ემზვარს, ათ წუთში „ოდიშში“ მოდიო, მხოლოდ გახსოვდეს მახარია, ჭენების დროს ჩოხის კალთები უკან შეიკეცე, არ გამოგივარდეს თორემ დაგკონებენ“.

„კარგი, კარგი ძია გვანჯ“, მიიძახა თარაშმა და თამარს გაუყარა ხელი. პროსპექტზე მოზღვავებული ხალხი მოუთმენლად ზიმზიმებდა: გოგო-ბიჭები სახლების სახურავებზე ეღარ დატეულიყვნენ, ტელეგრაფის ბოძებსა და ქანდრებზე გადასულნი.

ადრიან გაზაფხულის უბადლო დილა იყო.

ჩვენი მეგობრები ჯერაც დადიანისეული სასახლის ბაღში მოსეირნობდნენ. ლიმონის ფერი პეპელები დაფარფატებდნენ ბისონის ცის ქვეშ, ჰაერი ისეთი სუბუქი იყო, როგორც უხრწნელი ქალწულის სიზმარი. თამარი და თარაში დამტკბარნი მოდიოდნენ ერთმანეთის გვერდით, თითქოს ელიზიუმის წალკოტში სასეირნოდ წარუგზავნიათ ისინი ბედისწერას. თარაშ ემზვარ პაპიროსს აბოლებდა, ენერგიული ნაბიჯით მიჰყვებოდა ბაღის ბილიკს წელგამართული. ფრთხილად, თავაზიანათ ხან თამარის ნაპრუდის ფერ თვალებში ჩაიხედავდა, ხანაც კაროლინას თავლის ფერ თვალებს შეაველებდა მზერას.

ერთი გაზაფხულსა ჰგავდა ვარდობის თვეში კარზე მომდგარს, როცა მზითაღესილ ქვეყანას აღმოსავლური საფირინის ცა დაჰქათქათებეს, ხოლო მეორე ზაფხულს ხევერიელს, როცა მოოქროვილი ატმები კიან-

თობენ ხილნარში და ღამეებიც ისეთი შრუმეა, როგორც ძალით გაბზოვილი ქალის ხეაშიაღი.

თამარს მოლიბრო აბრეშუმი ეცვა, ვარსკვლავის დაწვნივით დაწვნილი და ამ თეთრ წინწკლებში მოყვითანო ფერის მითქოს განგებინად ოქროს წამალი უსხურებიაო მხატვარს. სპილენძისფერი ორმაგი ნაწინავი თუძოსთავამდის სწვდებოდა.

კაროლინას კრებდენშინის კაბა ეცვა, წვევებთან ლაღად შემოქუბული, მკერდისა და თუძოების სისავსეს ხაზს უსვამდა ტანზე შემოტმასნული სამოსი. იგი უქუდოთ გამოსულიყო, ბიჭურად შეკრეკილი თმა, გამდნარ ოქროსფერს გადაიკრავდა ოდნავ.

თარაში დოღისა და ცხენის ამბებზე ესაუბრებოდა ქალებს, ძველი საქართველოს ცხენოსნობას იგონებდა. ღიმილით უამბობდა ქალებს თუ როგორ ეახლა მას ჟამსა შინა ფარსმან იბერიის მეფე, პადრიანეს — რომის კეისარს. მერმე როგორ შეაწირვინა კეისარმა ფარსმან იბერიელს კაპიტოლიუმზე მსხვერპლი, მარსის მოტანაზე მისი ცხენოსანი ქანდაკივით ააგებინა და როგორ უცქეროდა თურმე შემდეგ ამისა კეისარი ფარსმან იბერიელის, ვაჟის მისის და ივერიელ დიდებულთა ჯირიტს მარსის მოედანზე. ესეც დასძინა თარაშ ემზვარმა: ბერძნულ ტექსტში ასეაო ნათქვამი: „გინმასიან ენ პოპლოს“.

დიდბანს გაგრძელდა სასტუმრო ოღიშში ტანისამოსის გამოცვლა. გვანჯ აფაქიძეს თავისი ვაჟის ჩოხა-ახალოზი მოეტანა, მაგრამ ჩოხა თარაშის ტანისათვის ზედმიწევნით გამოჭრილი არ იყო. მას ბავშვობის შემდეგ ჩოხა არ ცმოდა, ამიტომ ნახევარი საათი ისე გავიდა, ჯერ კიდევ საკინძე ვერ შეეკრა. დიდის ჰაპანწყვეტით ყელამდის შეიბნია ღილები, ეჩქარებოდა, რადგან დამები დერეფანში იცდიდნენ, ვიდრე შარვალს ჩაიცვამდა, ხვანჯარს და ახალოზის ღილებს მკერდზე მაინც შეიკრავდა.

გვანჯმაც ველარ მოითმინა და დამებიც შემოიყვანა. კაროლინა ჩვეულებრივად კისკისებდა.

„პერ ემზვარი, დამაკათ მოვიგონო ვის გაეხართ?.. მაგრამ ვერაინ მოიგონა კაროლინამ თარაშის დარი.“

„ეს ღილები, ეუბნებოდა თარაშ ემზვარ კაროლინას, ალბად რელიგიური მედიტაციისათვის შეუქმნიათო. ალბად მორწმუნე კაცი თითო ღილის შებნევისას თითო ლოცვას ამბობდაო“.

თამარი თვალგაბრწყინებული შესეკტროდა. დაინტერესებული იყო: ჩოხას როდის გადაიცვამდა თარაში. ბიჰს ბატის ფრთის მოტანა დაეიწყებოდა, არ იქნა და ვერ შეიბნია თარაშმა საყელო.

თამარი შივიდა, ბეგრი ეწვალა. თარაშს სიამოვნებდა თამარის ხელის ზურგი რომ ეხებოდა ნიკაპზე, მაგრამ მალე გამოტყდა თამარი: ამას ეშმაკიც ვერ შეგბნევესო. ახლა გვანჯ აფაქიძე ეწვალა, ვერას გაბდა.

„მოდი მე ესინჯოო“, წამოიძახა კაროლინამ, მაგრამ უკუიქცა. მან საერთოდ უნუგეშო საქმედ ჩასთვალა ამ გვირად ღილების შებნევა. ახლა კი ეხედავ როგორი დიდი მოთმინების პატრონი ყოფილანო აბ-

ხანები და მეგრელები, ყოველ დილას 32 ამგვარი ღილს ვინც რბნე-
სო, ამბობდა კაროლინა.

გვანჯ აფაქიძე ბატისფრთის საძებრად წავიდა რესტორანში, ეგებ
ჩოხიან მებუფეტეს ექნესო ბატის ფრთა.

თარაში სარკესთან მიდგა, მაგრამ ამოდ ეწვალა.

საერთოდ ღილების შებნევისა და კვანძის გამოსკვნის დროს, ვინც
ჩქარებს, იგი უთუოდ დაიგვიანებს, ამიტომაც ამოდ დაშვრა თარაში.
მას ცალკერძ დოღზე ეჩქარებოდა, ცალკერძ დამების ერიდებოდა, ხელი
უცახცახებდა და ამიტომ ვერ იბნევედა ღილებს, თავათ კი ამას ვერ ამჩნე-
და, რადგან მას დაეიწვნოდა დროული კაცების ნაცადი სიბრძნე, რო-
ცა რაიმე გეჩქარება, სწორედ მაშინ არ უნდა იჩქაროო, რომ ამბობენ.
ამ ღილების შებნევამ დაარწმუნა იგი, თუ როგორ გაეფუჭებინა მისი
ნერვები უკანასკნელი წლების მღელვარებას.

ზოლოს აქლოშინებულმა გვანჯ აფაქიძემაც მოაღწია, ბატის ფრთა
მოიტანა და როგორც იქნა საყულო შეიბნია თარაში ემხვარმა, მაგრამ
ახლა სახელოების ჯერი მიდგა. გაუყრიდა ბატის ფრთას დედალ ღილს,
მერმე მამალის საძებრად დაიწყებდა ფათურს და მამალი ღილი სწო-
რედ ისევე გაურბოდა დედალ ღილს, როგორც პირუტყმოდ ხდება ზოლმე
ბუნებაში ე. ი. როგორც ყოველი დედალი გაურბის ზოლმე მამალს, სწო-
რედ ისეთ მომენტში, როცა მამალს დედალთან სწყურია შეყრა. გვანჯ
აფაქიძეს ეკავა თარაშის მარჯვენა, თამარი და კაროლინა იცნოდნენ,
წამოიღებდა ისევ დედალ ღილში ვარკობილ ბატის ფრთას, თარაშ ემხ-
ვარ, გვანჯ აფაქიძე აუკრავდა ხელს და სწორედ მაშინ დააცილებდა თა-
რაში ბატის ფრთას დედალ ღილს.

კაროლინამ სამაჯე საათს დახედა, პირველის 15-იყო, წაიბუტბუტა.
თარაშმა უარი განაცხადა, თქვენ მიბრძანდით და ტანზე გავიხდიო, მაგ-
რამ თამარი და კაროლინა ვაჯიუტდნენ: არა, უთუოდ უნდა ჩაიცვაო.

„დამშვიდდი თარაშ, დოლი პირველ საათამდის არ დაიწყება, უჩემოდ
არამც და არამც არ დაიწყებენო“, აშოშმინებდა გვანჯ აფაქიძე.

„აბა ნუ მიყურებთ, რადგან შეხედვა ისედაც დანავსულ ნებისყოფას
აჩლუნგებსო მიმართა თარაშმა ღიმილით დამებს. ქალებმა გაიციინეს და
აივანზე გავიდნენ.

როგორც იყო ღილები შეიბნია თარაშმა. ახლა მეორე რიტუალი დაი-
წყო: აზიური წაღების ჩაცმა, მაგრამ აფაქიძის ვაჟს თარაშზე უფრო სხვი-
ლი ფეხები ჰქონოდა, ასე რომ წაღები იოლად ჩაიცვა თარაშმა, როცა
ქალები ისევ დაბრუნდნენ, თარაში ჩაცმული იყო. თამარი და კაროლინა
თვალეზგაბრწყინებული შესცქეროდნენ თარაშს.

„ხედმიწეენით ჰგავხარო ერამბუტს“ შენიშნა თამარმა, თარაშმა სარ-
კეში ჩაიხედა და თავათაც დარწმუნდა: იგი ისევე ჰგავდა ერამბუტს ამ
ჩოხაში, თითქოს მისი ორეული ყოფილიყო. და თარაშ ემხვარ განუზო-
მელად ბედნიერი იყო ამ წუთში რომ იგი ერამბუტს ჰგავდა, რადგან
თამარისაგან არა ერთგზის სმენია: ერამბუტ ემხვარის დარად ლამაზი

ვაგაკი აროდეს მინახავსო. გარდა ამისა, თარაშს სწამდა, რომ ადამიანის სული ელასტიურია, რომ ადვილად შესაძლოა წლებიანი სხეული იგი სხეულითაც იმას დაემსგავსოს, ვინც მას უყვარს და ეხერხება, რომ თარაშ ეძებარს, რომ ჩვენი სხეული მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქვენი განცხადება იყოს თითქოს და სხვა არაფერი. და როცა ხელახლა მიუახლოვდა თარაშს კედლის სარკეს, მან ერთმხედრით სახე და აღნაგობა შოიგონა უცნობი ფრანგი მხატვარის მიერ ეგზომ რესტატურად შესრულებული და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მის სხეულში ერთმხედრად ემხვარის სული გადასახლებულიყოს და საოცარად ეუცხოვა თარაშს ეძებარს თავისი თავი ამ ახალ ტანისამოსში და მაშინ იგრძნო მან თუ რა ძლიერი ზეგავლენა აქვთ იმ საგნებს, რომელნიც სხეულის ჩვენის გარშემო იმყოფებიან და როცა მოსცილდა სარკეს და ოთახში გაიარგამოიარა, მან შეიკნო: ნათხოვარ ტანისამოსსავით შემოეცალა არა მართო პარიზში შეკერილი კოსტუმები, არამედ მთელი მისი ბუნება, რომელიც ერთი საათის წინად მის სხეულში შეიზნულიყო. ახლა იგი უკვე მზად იყო დიდის ხალისით შემჯდარიყო გუნტერზე და მთელ ქვეყანას შეებოდა დოღში. და ეუცხოვა მას საკუთარი სული, სიარულიც სულ სხვაგვარი დაიწყო, მოკლე, მხედრული ნაბიჯით მიდიოდა, იცინოდა, ხუმრობდა, მაგრამ გულის სიღრმეში იგონებდა თავის ბავშვობას, როცა ჩოხა პირველად ჩაიცვა და ჩაღის კლერტოზე გადამჯდარს ერთმხედრად მოჰქონდა თავი და ასე ეგონა: შამილის პაზავატში ჩერქეზებს, ლეკებს და ჩინებს ეხმარებო აურუსების პირსისხლიან მეფის წინააღმდეგ.

გვანჯ აფაქიმე აღტაცებული მიუახლოვდა თარაშს. გაუსწრა ფომფოდ შემოარტყმული ჭამარი, ისე მაგრად მოუჭირა წელზე, როგორც დრანტებში სატენებ ცხენს მოუჭერენ ხოლმე მოსართავს, მაგიდაზე დაგდებულ ჭალალდს მოსწიწვნა მცირეოდენი, დაუნერწყვა და ჭამარის მანიკთან გახიარა, ახალხის საყელო აუწია, ფეში გაუსწორა მკერდზე, შემდეგ ძირს დაიხარა, ფეშის მისაკეთებელი ჩამოუზიდა, შემოაბრუნა: ბედანი ჩამოჩაჩული გქონიაო ჩაიბუტბუტა.

„ბედანი რაღაა, ძია გვანჯ?“

— ბედანი ჩოხის ნაწილია უკანა ბეჭიდან წელამდის“.

ყურები გაუსწორა ჩოხას. შემოატრიალა. მხარზე ხელი დაკრა „ნამდვილი ემხვარი ახლა ხარო“ ეუბნებოდა. მრუმე და ბუნდოვანი ფიქრები შემოესია მის გულს ერთმხედრის მოგონებისას, იგი ჭალებს სრულიად ველარ ამჩნევდა და როცა თარაშ ემხვარი სასტუმრო ოღიშის კიბეზე ჩამოდიოდა, მას მართლაც ეგონა მის ნაცვლად მკედრეთით ამდგარი ერთმხედრად ემხვარი ჩამოდიოდა თითქოს კიბეზე, ისევე სერიოზული და დაღვრემილი, როგორც იმ წამში, როცა მან 32 ლილი შეიბნია და ოღქის უფროსთან გაჰყვა სიკვდილთან ვაგაკურად შესაყრელად.

თარაშ ემხვარს გუნტერი მოჰგვარა გვანჯ აფაქიმემ, თავით თეატრის ტერასს მიაშურა. არზაყან არაბიაზე შემჯდარიყო. კაც ზეამზაიას თავის ცირაზე ტანმოჩილი გვესაღიას ბიჭი შეესვა, თავით მაჩაგვა ეშხას ცხე-

ნი აეყვანა. კაც ზვამბაია თავიდანვე დოღში მონაწილეობის შიშს არ აპირებდა. დარწმუნებული იყო: არზაყან მის გვარს არ შეარცხენდა, გუშინდელმა ჯიროთმა და გერულაფამ იგი დაარწმუნა, ^{მარტოკა მდგარს} უკუდ აიღებდა პირველ პირის მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ^{მას ვაშლის} მას ვაშლის პჭონდა: უკეთუ შეატყობდა, რომ არზაყან პირველს ვერ აიღებდა, მაშინ იგი ენერგიულად ჩაერეოდა და თავათ შეეჯიბრებოდა იმას, ვინც ზვამბაიას გასწრებას მოინდომებდა. მას გუშანი არა პჭონდა თარაშ ემხვარ მონაწილეობას თუ მიიღებდა.

„გახსოვდეს ცხენი არ უნდა აწვალო აღვირით ბაბა“. აფხაზურ დოღში გამოწრთობილი კაც ზვამბაია დარწმუნებული იყო, რომ ცხენოსანი ცხენზე შეტს მოასწავებდა, ამიტომაც არა ლელავდა და ჩვეულებისამებარს არ გესლავდა არზაყანს.

„სადავე მოკლედ გეჭიროს, მაგრამ ისე, ლაშები რომ არ ატყინო ბაბა. ტანი ცხენის კისრისაკენ უნდა გექნეს გადახრილი, ხოლო ბაყვებში მაგრად გეჭიროს ტანი, ფეხი კოკებამდის უნდა უჭერდეს ცხენის მუცელს, ბაბა“.

დიდი ხანია ასეთი ტკბილსიტყვაობა არა სმენოდა მამისპირისაგან არზაყანს.

დოღის დაწყებისას არზაყანიც მოღბა. არზაყან თამარსაც გაურბოდა და ძაბულისაც, ამიტომაც ძლიერ გაეხარადა, როცა თეატრის ტერასთან მარტოკა მდგარ თარაშ ემხვარს თვალი მოჰკრა. იგი თავათ მივიდა თარაშთან. თვალგაბრწყინებული შესცქეროდა ჩოხაში მორთულს.

„გახსოვს გუჩა, ბავშვებს ჩოხები რომ შეგვიკერა მამაშენმა და ვირზე ვიჯექით მე და შენ“.

თარაშ ემხვარს გული აუჩქროლდა. მას დიდი ხანია არზაყანისგან ასეთი ტკბილი მიმართვა არა სმენოდა და არც ბავშვობის თვისის სახელი გუჩა. და თარაშს, როგორც ყოველ ოდიშარსა და აზხაზს რამოდენიმე სახელი პჭონდა თარაშის გარდა. გუჩას მორღუ და ძიძა, დედა და მამა გულიკოს უძახოდნენ, ხოლო მამიდა არმადარ ფარჯანიანისა — მიუსოუსტს.

„ვირებზე ვისხედითო?“ თარაშმა გულიანათ გადაიხარბარა.

„იმ ვირს ნიკოლაშას არ ვეძახდით? მამა შენის დენშიკის სახელს?“ ჩოხა ძალიან გშვენის თარაშ, სოფელში შეცა მაქვს ჩოხა, მაგრამ მე ახლაველირ ვიგუებ ამ ტანისამოსს“.

„რატომ მერმე?“

„რატომ და მე ხომ თეძოსთავთან ტყვია მაქვს, ჩიპრიშის ტყეში ყაჩაღებს რომ ვსდევდით, ორი ტყვია მომხვდა: ერთმა თეძოს თავის ზემოდ გამიარა, მეორემ ნეკნი დამიმხზვრია და გავიდა, ამის შემდეგ მივატოვე ჩოხის ტარება“.

„ახლა არა გტყვიან?“

„მას წინათ ენგურში რომ გავედით, ისევე განმიხლდა ტკივილები“.

როცა ჩვენი მეგობრები ამ საუბრით იყვნენ გართული, შარდინ აღშობაია ნაცლებსავით ათუხთუხებულნი დარბოდა ბრბოში, წესრიგს აწყა-

რება, ბიჭებს უშლიდა ფილაქანების გასწვრივ გაბმულ თოქებს და დახტომას, ქანდრების შტოების ძტვრევეს და ყოველ ასეთ წერილს ზუგდიდის რაიკომის მდიენის სურვილებს უთანხმებდა.

ერკენულში

გვანჯ აფაქიძე თამარსა და კაროლინას გვერდით ~~ბტვრევეს~~ ~~სსსსსსსსსს~~ განმარტებებს იძლეოდა, ერთგვარ ჩიჩერონეს როლს ასრულებდა. უბთავრესად ეს უნდოდა: როგორმე ქალაქში დანთხეული ხმები შეემოწმებინა: მისი ნათლული თამარი მართლა თუ ისე გაბრიყვებულაო რომ ემხვარების „აშინაყმას“ ზეამბაიას ცოლად მიყვებაო. მართალია ამ ქორეში ორგვარი ვერსია იყო: ერთნი ამბობდნენ თარაშ ემხვარს მიყვებაო თამარი, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ: არზაყან დიდ პოსტზე მიყავათო ტფილისში და წინასწარ თამარ შერვაშიძე დაუნიშნაო.

გვანჯ აფაქიძემ ასეთ ხერხს მიმართა: ერთი ნეშოთი ორი ბუზის მოკვლა მოინდომა, ჯერ თარაშ ემხვარის ქებას მოჰყვა. თამარ გამოცდილი იყო ამ შექთხევევაში, თარაშ ემხვარს ხშირად უქებდნენ, ან უძაგებდნენ და ამგვარად ეწადათ თარაშისადმი დამოკიდებულება გამოერკვით.

„კარგი ბიჭია თარაში, მაგრამ ესაა ემხვარია“.

„მერმე რა ემხვარი რომაა?“ წამოსცდა თამარს.

„შენ არ იცი ემხვარი და შერვაშიძე რომ მუდმივი მტრები იყვნენ“.

„ეს როდის იყო?.. გარდა ამისა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, შე საესებით უბრალო მეგობრული დამოკიდებულება მაქვს თარაშთან“.

„შე რას მატყუებ, დაბეჯითებით ამბობენ... გვანჯო გვანჯ აფაქიძემ, თარაში კარგი ვაჟია, მაგრამ კომუნისტები მას არ გაახარებენ, თუ მამიდა არმადარს ოქროები არა აქვს მართლაც შემონახული“.

თამარი სდუმდა, ცხენებისაკენ იხედებოდა.

გვანჯმა ნიკაპზე ხელი წაავლო თავის ნათლულს, თვალეში ჩაჰხედა:

„ასე ამბობენ მხარია, არზაყანის დანიშნულიაო“. ეს უთხრა და ახლოს მიიზიდა თამარი და მისგან მხარმარცხნით მდგარმა მარჯვენა

მკლავზე წაავლო მარცხენა. თავი არ მოგვერა ვოგო, მთლად არ წაუშწაო ბედზე მამაშენს ისედაც გაძალღებული სიცოცხლე, ჩემი საქმე სხვა იყო, ოჯახი თავზე მენგრევა, მერმე არლანი დიდი კაცია, რაიკომის მდიენია, ბევრი ვებრძოლე ჩემს ქალს, სახლიდან გავავდე ერთ ორჯერ. მაგრამ საწინდარი მიცემული ჰქონია, ხომ იცი ამბაზები, არ შეგარჩენენ, მთელი არლანების გვარი ფეხზე დადგა. სხვა დრო იყოს გავიხარია, არლანები ირიბად შეხედვასაც ვერ გაუბედავდნენ ჩემს ქალიშვილს. ახლა შე უკვე ძველ ჯანზე აღარა ვარ, გამტებეს ბაბა ი ძალთაპირებმა“.

ისევე არზაყანს გადასწვდა გვანჯ აფაქიძე. აძაგებდა სიანჩხლეს, სიხარბეს და სულწასულობას მისას.

თახედიოა, აბეზარი და ფრიალ თავმოთნე, ასეთი კაცი საშიშიაო, რადგან თავმოყვარეობას თვისას მთელს ქვეყანას ანაცვალეზსო, მის კომუნისტობასაც წასწვდა, მალე ლოთობისა და დარდიმანდობის გამო საშხაბურიდან გაავლებენო, რამოდენიმე შენიშვნა მიღებული აქვსო პარ-

ტიისაგან, დღეს თუ ხვალ მის მფარველ ჩალმაზსაც მოხსნიანო, ~~ეს~~ ჩალ-
მაზის კაციაო, ჩალმაზი კიდევ სხვისი კაციაო და კაცის კაცი როდეს იქნებაო.

თამარს არ ესაიმოვნა, არზაყანის ვეზომი ძაგების მოსმენის შემდეგ უფლის
სილრმეში დარწმუნებული იყო ნათლია მისი ფრიად სამღალაშემსტარებელს
რამ თავს იკავებდა. ბუნებრივი თავაზიანობის თვისის წყალობით მოხუ-
ცებულ გვანჯ აფაქიძეს ველარ აუკრძალა არზაყანის ძაგება, არწმუნებ-
და ნათლიას არც თარაშ ემხვარს მივეყვებო და არც არზაყანს, საერთოდ
რა დროს გათხოვებაო, ეს დაბა საერთოდ ჭორიკანა ხალხითააო სავესე,
თვე ერთია და ჩემდა უკითხავად შეიღვერ გამათხოვებენო. შემდეგ ამი-
სა სიტყვა ბანზე ააგდო, მაზლობლად მდგარ ცხენებს მიაქცია ყურადღება
და გვანჯ აფაქიძეს ასეთი კითხვა მისცა:

„რომელი ფერის ცხენი სჯობია ნათლია, ყველას?“

თეატრის მოედანზე დაცოდე ცხენი ეჭირათ მხედრებს, აქ იყო მუხრო-
ვანელი კვიცი ლომისფერი დარღიმანდი, საქართველოს ცხენსაშენის სა-
ზღვრებთანმული ფალავანი (რომლის ქებით მე აროდეს დავეშვრები, რად-
გან მეც არა ერთხელ შევემჯდარეარ მასზე), მწითური კვიცი იარალი
ხან, თექელი ლახვარი, ინგლისარაბი, — გივი, თვალშშვენიერი და ჯი-
შიანი ნორიო და შამილი წმინდა სისხლიანი ინგლისური ულაყი, აქვე
იყო გუნტერი, ლაკირბაიას კვიცი და სხვა მრავალი.

„ცხენის კარაბადინი გვასწავლის მახარია; არიან ცხენნი შავნი და
ელვარენი, უხსნიდა გვანჯ აფაქიძე თამარს, აგერ ტანმორჩილ ყოკეის
რომ უჭირავს იმ ფერისა. კაი ცხენია მზიარულის შავწითლისა და შავი-
სა საშუალო, ცხვირი წითელი აქვს ამგვარ ცხენს და წითელ ყვითელი
ბარკლები, ოჭროს ფერი.

ნახე, ნახე, ეგერ ასალზე ნორიო რომ აწერია ქართულად, იმ ცხენს, თუ
ატყობ. ზაფრანის ფერი აქვს. კაია ცხენი ლომის ფერი, სანატრელად ქე-
ბულია მწითური რუბი ფერი, ფაფარბ რომ ექნება გიშრის ფერი, ან ოდნავ
მოშავო, ეგერ ყვითელ პერანგიანი ყოკეის რომ ცხენი უჭირავს ისიც კაია,
ფაფარი ისეთი ხასხასა წითელი აქვს, თითქოს ინით იყოს ნალები.

„ცხენთაგანი ზოგი ყვითელიც კაია მახარია, უკეთ რომ ეთქვა მხი-
არული ყვითელი, ამას ზარტს უწოდებენ სპარსნი, ჩალისფერი, ყვითლისა
და ლურჯისა საშუალო. კაია, როცა ამრიგ ცხენს ძუა და ფაფარი მუშკის
ფერი აქვს, ძველად ზერდაგს უწოდებდნენ ამგვარ ცხენს, ბალნის ძირი
შავი ექნება, ძუა და თვალები მუჭი.

აგერ რომ კვიცი უჭირავს პატარა ბიქს, იმ ფერ ცხენს თეთრლეგოს
უწოდებენ, მახარია, არის ცისფერი ლეგოც ცხენთა შორის, მახარია.

ე, მანდ ჭაკი რომა დვას, წერილ წერილად შავად და თეთრად და-
წინწკლული, იმას რაშიფეს უწოდებენ არაბნი, ე. ი. ქარმაგს, ხედავ, იმას
ცხვირი მოთეთრო აქვს, მაგრამ უკეთუ ეს თეთრი ზოლი შუბლამდის ვერა
სწვდებოდეს ცხენს, იმას იაღსუფ ერქმევა, მახარია.

აგერ ჩოხიან კაცს რომ ცხენი უჭირავს, ყურებს შორის თეთრანიშნი-
ანი იმას შუბლვარსკვლავა ჰქვია, მაგრამ ყველა ფერის ცხენზე ულამა-

ზესია რახსი ფერისა. ეს უთხრა და არზაყანის ცხენზე მიუთიოი გვანჯ აფაჭიქემ თამარს.

თამარი დააკვირდა, არაბია იცნო, მის გვერდით მდგარი არზაყანის თვალის ჰკიდა, არზაყანამაც შენიშნა იგი და მზერა შემოაგებინა გასხარისულმა, იგი უღიმოდა თამარს და გრძნობიერმა ქალმა ამ მზერაში ამოიკითხა შვერდომების, აღერსის და რალაც საოცარი ბავშვური ალტაცების ნამუსრევი. თამარსაც გაეცინა და არზაყან მიუხვდა, რომ გუშინდელი გულნაწყენობა გადაჰყოფდა თამარს და ამის შეცნობამ მომეტებული ხალისი შემატა არზაყანს.

„მაშ არაბია კაი ცხენი ყოფილა ნათლია?“ შეეკითხა თამარი გვანჯს, თანაც ალტაცებული შესცქეროდა იგი ცხენოსნობის დიდოსტატის მიერ შექმბულ არაბიას.

„გავიხარია შვილო კაი ცხენი იყოს არაბია, მაგრამ კაი საქონელს კაი მომვლელი უნდა, არზაყანი მუდამ კრებებზეა და კრებებზე მოარული კაცი ცხენს როგორ მოუვლის. ცხენს შვილზე მეტი მოვლა უნდა მახარია, თვალის ქუთუთოსავით მოვლა უნდა კაი ცხენს, გარდა ამისა, არაბია ფეთიანია, მოკლავს მაგ უბედურს როცა იქნება, ავტომობილის მაგას ეშინია და ტრაქტორისა. ამას წინად მე ვუყურე რამდენჯერმე დაუფრთხა, ლამის არ იყო ძირს დაანარცხა. კაც ზვამბიას ველაპარაკე მანაც დაამოწმა ფეთიანიაო, ცხენი კი არა თავი ვერ ურჩენია მაგ უბედურს, მისი ჯამგირი პაპიროსის ფულად არ ყოფნისო, მე ჩემ ცხენსაც ძლივს ვუვლიო, მერმე ასეთ ჯიშთან ცხენს ჭერი უნდაო, ახლა კი ჭერი ძალიან გაძვირდაო. მე ვურჩევ გაყიდოს, ეგერ ჩემი სასიძო არლანი აპირებს ცხენის ყიდვას, თუ გაყიდის“...

* * *

დოღის დაწყებას ათიოდე წუთი უკლდა, როცა ფრიად აღელვებულმა შარდინ აღშობაიამ მკიდროდ მიჯრალი ბრბო გაარღვია და თეატრის მოედანს მიაშურა. თურმე ლაკირბაია დოღზე მოსულიყო, ხოლო ეაჩნაძეს დოღში მონაწილეობის მიღებაზე უარი განეცხადებინა. ასე რომ გუნტერზე თავთ პატრონი შეეჯდა, ხოლო დარდიმანდი თარაშ ემხვარს უნდა აეყვანა.

პირველი საათი შესრულდა და თეატრის მოედნიდან ოთხი ცხენოსანი დაიძრა: არზაყან ზვამბაია, თარაშ ემხვარი, ლაკირბაია და ტფილისელი ეოკეი აბდულა რამაზ ოღლი. იგი რუპისფერ ნორიოზე იჯდა.

სამი პრიზი იყო დანიშნული პირველი — დიდ მარულისათვის ე. ი. 2.400 მეტრის შვიდჯერ შემოვლისათვის. საშუალო მარულა ხუთჯერ შემომვლელს უნდა რგებოდა, ხოლო მცირე მარულისათვის სამჯერ შემოვლა იყო დათქმული.

თამარი, ძაბული, კაროლინა და გვანჯ აფაჭიქე ზედ თეატრის კარებთან იდგნენ. მოულოდნელმა ცვლილებამ ვარაუდი შეაცვლევინა გვანჯ აფაჭიქეს, ამიტომაც მან გადასწყვიტა თავთ მაყურებლის როლი ეკმარნა.

აღტაცებული შესცქეროდნენ ქალები თუ როგორც მოწყვდნენ მოედნიდან რახსი, ლომისფერი, ცეცხლისფერი და რუპი.

„ჰაიტ შე გლახა“ წამოიძახა გვანჯ აფაქიძემ.

„რა იყო ნათლია?“ შეეკითხა თამარი.

„შენ ვერც კი შეამჩნიე, თარაშს ჩოხის ქალები გამოუფარდა. თამარს გაეცინა.

„შენ გეცინება და ეს დიდი სირცხვილია.

სხვა დროში ეს ემზავრს კი არა კიუტს არ მოუფიქროდა.

„კიუტ ვინლა? ჰკითხავდა მომლიმარე თამარი.

„კიუტ უკანასკნელი გლეხია, კიუტი ყველაზე მრავალ რიცხოვანი გვარია აბხაზეთში მახარია“.

რახსი, რუპი, ლომის ფერი და ცეცხლის ფერი ჯერ თანაბრის სისწრაფით მიჰქროდნენ, მხედრები განუსაზღვრელ ნეტარებას გრძნობდნენ ამ მშვენიერ დილას მხიარულად მოზიმშიმე ხალხის აღტკინებული ჟივილის პირისპირ.

ლომის ფერი დარდიმანდი და რახსი არაბია წყვილად მიგელავდნენ. არზაყან განუსაზღვრელად ბედნიერი იყო, მისი სიყრმის მეგობრის გვერდით რომ მიაქენებდა თავის არაბიას, თითქოს თარაში იგივე თარაში ყოფილიყო, ბავშვობაში მასთან ცხენს რომ ატენებდა, თითქოს ჟამი უკუ-ქცეულიყო, გაყმაწვილებულიყვნენ დავაჯაკცებული არზაყანი და თარაშ. თითქოს ოქუმის ქალებში დააქროლებდნენო ცხენს ისევე უდარდელად, როგორც მაშინ, როცა ორივეს ახარებდა გაზაფხულის პირველი ჯეჯილი და მრუმე ღამეები წისქვილებში გატარებული, საღამო ჟამს შინ მიბრუნება და ტფილი რძის დაღვეა და დედის კალთაში უდარდელად ჩაძინება.

მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ ტანმორჩილი რამაზ ოლლი და გრძელკისერა ლაკირბაია მოჰქროდნენ, ცხენის კისრის სიგრძეზე ჩამორჩენილიყო ლაკირბაია, იგი აბხაზური წესით ხან მარცხნიდან ურტყამდა ცხენს მათრახს, ხან მარჯვნიდან, ხოლო აბდულა რამაზ ოლლი გუდღურას ოდენა გამხდარიყო. თავზე ყვითელი სარტული ქუდი ეხურა, ცხენის კისრისაკენ გადმოწოლილიყო, ძლივსლა ნაბავდა მონტოლურ, წვრილ თვალებს და განუსაზღვრელი ნეტარება ეხატებოდა სახეზე, ნორიო ნირშეუტყველად უსწორდებოდა სახელგანთქმულ დარდიმანდს და არაბიას ამ მხარეში უზომოდ ჭებულს. ბავშვების ჩოჩქოლი და აბხაზური ყივინა შემოესმა თარაშ ემზავრს და მყისვე მოაგონდა გვანჯ აფაქიძის დარიგება: ჩოხის ბალთები არ გამოგვიარდესო, წამოიწია ოდნავ და მარჯვენა ხელით ამოიკეცა ბალთები და სწორეთ ამ უხერხული მოძრაობისას, კურდღლის ნახტომის ოდენა მანძილზე გაასწრო მას არზაყან ზეამბაიამ და მაშინ ჭვე-შეცნეულად ცხენის ფაფარისაკენ გადაიხნიქა თარაშ ემზავრ, ქუსლი ჰკრა დარდიმანდს და საჭართველოს სახელოვანმა კეცმა იწყინა აბხაზეთის ფალავანის გასწრება და მოუსვა საშინელის სისწრაფით და ირმის ნახტომზე გაასწრო არაბიას.

ირმის ნახტომზე გამასწორო? არაზაყანზე უფრო მეტად მიყვინა არაბიამ ეს, რადგან იგი პატრონზე მეტად ვერ ითმენდა სხვის მიერ გასწორებას და არზაყან ზეგამბაიამ მოუქნია თავის საყვარელ უფროს ძმასთან, სულ მცირე მანძილზე განზე გაუხვია არაბიამ და გზა განიშორებდა გზები-ზებულმა. იდროვა მაშინ დარდიმანდმა და უსწორესი გზით მოჰკურცლა ფინიზისაკენ და პირველად მიღწევამ ჰელოსთან ტაშის ტლაშენი გამოიწვია.

ფინიში გავლილიც არა ჰქონდა დარდიმანდს, როცა ცხენის კისრის სიგრძეზე მიეწია მას არაბია, ხოლო ნორიო და გუნტერი ცხენის სიგრძეზე მოსდევდნენ ორივეს კვალდაკვალ.

გასწორების მანძილი არც ისე დიდი იყო, ასე, რომ ტაში ორივეს ეკუთვნოდა, არაბიას და დარდიმანდის მხედრებს, მაგრამ იჭენეული არზაყანი აენტო მანც და კიდევ აკადრა მან თავის ულაცს საკმაოდ მწკვედ მოქნეული მათრახი. დარდიმანდი მათრახს არ იყო ჩვეული, მაგრამ მან ძლიერ ეშინოდა მათრახის ტაკუნისაც და ამიტომაც უარესად გაფიცებულმა ჰილობის სიგრძეზე გაასწრო არაბიას. გახელდა უარესად არზაყან და კიდევ გაისმა მათრახის ტლაშენი, მაგრამ დარდიმანდი უარესად შეხურებული მიჰქროდა, კვესავდა ფლოჭვებს ქვეშ კატი. ბრაზი წაეკიდა არზაყანს ჰანდრების შტოების, მოლურჯო რიალში. სიყრმიდან გამოყოლილმა ქიშპობამ იელვა მის გულში.

სამი წლის არზაყან და თარაშ ლაღობით ელაციებოდნენ ძუძუებს. მარჯვენას თარაშ ემხვარ სწოვდა დღენიადღ და ის იყო მარცხენას წაეპოტინა. ეს ძუძუ ჩემიო ატყდა არზაყანი და ლოყაზე წაუცაცუნა თარაშს. ძიძვასგან განებეგრებული თარაში გაწბილდა, გაგულისდა ერთბაშად, უჩქმიტა პატარას ლოყაზე. აენტო პატარა არზაყანი, ცხვირპირში წასწვდა პატარა მისოუტს და ორნივე აღრიალდნენ წამსვე...

და ახლაც ასე გამოდიოდა: თარაშმა გაასწრო არზაყანს, მან ჰვეყნის მოვლა მოასწრო, უცხოეთში განათლებების მიღება, თამარი მას უნდა მთლიანად, ძაბულისაც ის ეპოტინება, განათლებული კაცის სახელს და ცხენოსნობის ოსტატის წოდებასაც თავით იჩემებდა თარაშ ემხვარ. ეს გაიფიქრა არზაყანმა და შემოუქნია მათრახი თავის არაბიას და ისევ დაეწია ემხვარს და არაბიამ დარდიმანდის უზანგს გაუსწრო თავი. ლაკირბაია ნატერფალზე მოსდევდა ორივეს, ხოლო აბდულა რამაზ ოლლი ორი ცხენის სიგრძეზე ჩამორჩენოდა უკანასკნელს. — მეორე ჯგუფში კაც ზეგამბაიას ცირა მოჰყავდა უკანასკნელ მწკრივში გვესალიას ბიჭს. გვესალიას ბიჭი თამბაქოს კონტრაბანდის გატანისათვის არა ერთხელ დაუტუსაღებია არზაყანს, ამიტომაც გამძაფრდა მის გულში ძველი სიძულვილი არზაყანისადმი, დიაცურად დასჭყვილა ცხენს. კაც მოსახვევთან უცდიდა თავის ცხენს და როცა ცირა გაუსწორდა, იგი მიეჭრა გვესალიას ბიჭს სადავე წაჰგლიჯა ხელიდან. კისრზე გადაიგდო და ყიფინით გაჰქუსლა ცხენი და დაწინაურებულ მხედრებს ორიოდ მანძილზე წამოეწია.

მესამე ჯგუფში მალაზონია მოჰქროდა პირველი, მას ინალიბა ჩიჩაგი მოჰყვებოდა თეთრ ქაკზე მჯდარი, ინალიბა ჩიჩაგის ცხენს მარჯვენა მხარე მოსდევდნენ მისი ძიძაშვილები, დამბაჩებს ისვროდნენ და აბხაზურად ჰკიეოდნენ შემცხადებულსავეთ, გულს უხურვებდნენ დედადნობის ცხენს. ბესლან ტარბა მოუძლოდა უკანასკნელ ჯგუფს, შვიდი იმა ტარბა მის გვერდით მოაჯირითებდნენ ცხენებს „პაჰაიტს“ უძახოდნენ, მათრახების ტკაცუნით ამხნევებდნენ ჩალსფერ ულაცს. წითელ ჩოხიანი რეშიდ გეჩი შემცხადებულსავეთ ჰკიეოდა და აბხაზურ სიტყვებს ჰქანებდა გზადაგზა.

ამ ჯგუფიდან მოულოდნელად დაწინაურდა ედირბეი ჭანბა, საშინელის სისწრაფით მოსხლიტა თავისი ტანმოორჩილი მეგრული ქაკი, ზუთ ცხენოსანს გაუსწრო ერთის მოქნევით და კაც ზვამბაიას ცირას წამოეწია, მაგრამ მალაზონიამ გაასწრო ორივეს. კაც ზვამბაიას უკან ჩამოეტოვებინა ინალიბა ჩიჩაგიც, რეშიდ გეჩიცა და ედირბეი ჭანბას რომ თვალი ჰკიდა, გაახსენდა თუ როგორ აჯობა მას ერთხელ ოჩამჩირეში და ისევ მოიგონა თავისი ახალგაზრდობა და შემოუქნია მათრახი ცხენს თან გაიყოლა თავისი ცირა, მალაზონიას გაუთანასწორდა, თვალი შეეგლო მალაზონიას მდელოსფერ ფრენჩს, იგრძნო ის უპირატესობა, რომელსაც ახალდროში გლეხი იგრძნობს ხოლმე აზნაურისა, ხოლო ჩოხიანი, არა ჩოხიანის წინაშე, ერთიც დაჰკივლა მამაცურად და აბდულა რამაზ ოღლის გადაასწრო. აბდულა რამაზ ოღლიმ თურქულად დასჭყივლა თავის ცხენს, ელვის უსწრაფესად მოიგო ერთ წუთში წაგებული მანძილი, მაგრამ კაც ზვამბაიამ საოცარი ყიფინი მორთო და ჯიხვის ნახტომზე ჩამოიტოვა ნორიო და ახლა მიზანში ამოილო გაზრდილისა და შვილისათვის გაესწრო, რათა არც ერთს არ წამოეყვედრებინა მისთვის ბერიკაცობა. არზაყანმა მამაზ ყიფინი რომ გაიგონა, აენტო ისევ მამასა და შვილს შორის არსებული იდუმალი ჭიდილის გრძნობა, გაორკეცებულის ძალით მოუქნია მათრახი არაბიას, უკან დასტოვა მამა, მალაზონიას წამოეწია და გაუსწორდა კიდევაც დარდიმანდს. დაწყვილებული მოჰქროდნენ არაბია და დარდიმანდი უზანგი უზანგისა, კისერი კისრისა და თავი თავის გასწვრივ ჰქონდათ ორივეს და მეშვიდეჯერ დაიჭუბა გარშემო ტაშმა.

XIII. აზნაურის აღსარება.

გვანჯ აფაქიძე გაწბილდა: დიდმარულას პრიზი საზიაროთ ერგო არზაყანს. ასე ეგონა: არზაყან დამარცხდება, შემდეგ ამისა, არლანს მიყიდის თავის ცხენს და ავანდარად მივიღებო არაბიას.

ავანდარა იმ საჩუქარს ეწოდება, სასიძო რომ სასიძამროს მიართმევს ქორწილში.

თავათ ქორწილი იმავე საღამოსთვის იყო დანიშნული. არზაყანს მტკიცეთ ჰქონდა გადაწყვეტილი: აფაქიძის ქალის ქორწილში არ წასულიყო, რადგანაც არზაყან და ჩალმაზ არლანის წინააღმდეგ ფრიად ამრეზილნი იყვნენ. არლანის ჯგუფი ჩალმაზისას ებრძოდა. ამ ბრძოლის მიზეზი მრავალი იყო.

არენბა არღან მომეტებულ გულმოდგინებას იჩენდა კოლმეურნეობის გატარებისას, იგი გამძვინვარებული ებრძოდა ყველას, ვინც კი აბზაზეთისა და სამეგრელოს მთიან რაიონებში მთლიანი კოლმეურნეობის შემოღებას ეწინააღმდეგებოდა.

როგორც ყოფილი აშინაყმა, არენბა არღან აზნაურებს ბაძავედა ყოფა-ცხოვრებაში, ამ უეჭველ ზადს თავის ხასიათისას იგი ურამოღრიტიკით ჩქმალავდა, რელიგიურ ნაშთებს სასტიკად ებრძოდა, კომკავშირელებს აქეზებდა, რათა მათ ეკლესიები და მონასტრები დაეანგრიათ, მორწმუნენი შეევიწროებინათ, არღანმა, თავდაპირველად დურბაშის ხუთასწლიანი მუხის დაწვით გაითქვა სახელი. რამოდენიმე სამკედლური დააწვევინა, რაკი ამ სამკედლურებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აფირაგრდემლის თაყვანისცემა ხდებოდა. მან ჩამოაყრევინა ზარები როგორც დაღის, ისე ლიზინის და აჭანდარარას ძველთა ძველი ეკლესიებიდან. უმწიფარი ახალგაზრდობა აპყვა არღანს და ამ ზარების რევოლუციონერებმა უმოწყალოდ შემუსრეს ზარები მთელს აბზაზეთში.

უბრინციპო დაჯგუფებათა შექმნისათვის, პარტია რაიონიდან რაიონში აგზავნიდა მას წარამარა. ტუჭავედა, მაგრამ მაინც აფასებდა ძველსა და მამაც რევოლუციონერს.

ღოლი უკვე მოთავებული იყო, როცა ჩალმაში ჩამოვიდა მოფლოდნელად. ჩალმაში დარბაისელი ვაჟი იყო, მან წინასწარ გასკვრიტა: არღანის ქორწილში არ წასვლა უთუოდ გაამწვავებდა მასთან ურთიერთობას. ჩალმაზ დიდხანს ეთათბირა არზაყანს და იგიც დაიყოლია.

ღოლის გათავების შემდეგ დიდძალი ხალხი დაიძრა ილორისაკენ. აბზაზურ ქორწილში მარტოოდენ ნათესავნი და მოკეთენი როდი მიდიან, არამედ ყოველი კაცი. ვისაც ქეფი და სანახაობა მოესურვება. ამ ქეფუნის წესისამებრ სწორედ ამგვარი მიუწვეველი სტუმრები უფრო სანუკველია.

ნამდვილი სტუმრები ესენი არიანო, ასე ამბობენ აბზაზები.

ქორწილში ხელცარიელი არავინ მიდის მაინც. ეს იყო კოლმეურნეობათა შემოღების კვირაძალი.

ბობოლა გლეხოზა თამფრთხალი იყო: ვაძ თუ არა მარტო რქიანი, არამედ ორფეზა საქონელიც წაგვართვანო და მუსრს ავლებდნენ შინაურ პირუტყვს.

წინაღლიდანვე შეიქმნა მისაკითხებით დატვირთული სტუმრების დენა, აფაქიძეების ძველ სასახლისაკენ. მოჰყავდათ ბატკნები, ციკნები, მოზერები და თეთრი ზარები. დილიდანვე ცხენოსნების რაზმეულები სიმღერთა და სროლით მიემართებოდნენ ილორისაკენ.

ასე იტყოდით: ძველი დრო მობრუნებულა და ილორის წმ. გიორგისათვის მსხვერპლის შესაწირავად დაძრულაო ხალხი. თითქმის მთელი არღანიანთ გვარი წამოსულიყო დალიდან. რადგანაც აბზაზეთში მთელა გვარი თხოულობს და ათხოვებს ქალს. გვარი იხდის ქორწილსა და ქელესს.

არლანი თუმცა კომუნისტი იყო, მაგრამ ჯერაც ძლიერია აზრებითში მამებისა და წინაპრების ძალა.

ზუგდიდიდან ორასიოდე ცხენოსანი წამოვიდა. ქალები, ქვეყნები და მოხუცები საბარგო ავტობუსსა და ოჩამჩირის მატარებელს, რომლებსაც ზეამბაია ფრიად დააღონა მარულაში დამარცხებამ, მან თავის ცხენს მათრახი გადაუჭირა და ოქუშს მიაშურა.

არზაყანმა ტანმორჩილი მეგრული ცხენები უშოვნა თამარს, კაროლინას და ძაბულის. თამარის ცხენს ოქრომკერდით მოქარგული ასალი ამშვენებდა, ჯახანასეული, ამაზონური კაბა ეცვა. არზაყან თუმცა ძლიერ დაქანცული იყო, მაგრამ იგი ჩინებულ გუნებაზე დააყენა თამარის გახალისებამ.

არზაყან ცდილობდა მის სიტყვაბასუბში მცირეოდენი წყენის ნაჩრდილვეი შეემჩნია, მაგრამ ამაოდ. თამარი კისკისებდა, ხუმრობდა და ბრწყინავდა. არზაყან წარამარა მზერას აბარებდა მის ოდნავ მოშიშვლებულ მეგრდისაკენ, ჯვარის მიერ ოდნავ გახეხილ კანს ამჩნევდა და თამარის ჯვარისათვის უფრო მეტად ფიქრობდა უნებლიედ, ვიდრე თავათ თამარი.

ეს იყო: უკვირდა ფრიად: რად არ მოეკითხნა თამარს აჭამდის თავისი საყვარელი ჯვარი?

ვინ იცის, ეგებ სკოდნოდა კიდევაც თამარს, რომ ის ჯვარი ახლაც ფრენის ჯიბეში რომ უძევს არზაყანს.

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

არზაყანს ხომ კარგად ახსოვდა: როცა თამარი უკან მოუხედავად გაბობდა ხილნარში, სწორედ მაშინ აიღო ჯვარი არზაყანმა.

თარამ ემზვარ უზომოდ დაქანცული იყო, მას ქალებთან გასაუბრების ილაჯი აღარ ყოფნიდა და საესებით შემთხვევით გენჯ აფაქიძეს გვერდით მოხვდა.

„ყმაწვილებო ვინჩართ, თორემ ასე თუ ვიარეთ, გათენებამდისაც ვერ ჩავალთ ილორში“. ეს გადასძაბა გენჯმა ქალებთან მოლაყბე ქაბუკებს და თავათაც მოუჭნია თავის ცხენს მათრახი.

ძაბული ძლიერ უხერხულად გრძნობდა თავს, მას ამაზონური კაბა აჩა ჰქონდა და ცხენის მართვაც არ ემარჯვებოდა. წარამარა ხელით იჩინთავდა კაბას მუხლს ქვემოდ. მიჰქროდნენ მათ გვერდით ძეწნები, ლობებები, ისლით და ყაერით დახურული სახლები, მრუმე თხემლანარები, ფშალით, ავრებით, ვენახით დაბლანდული ხეები და ბარდები.

წავწყავედნენ უნიათოდ ღობის კიდებთან გადმომდგარი ძაღლები, ნაკიები ბავშვები და ქალები იმზირებოდნენ ღია კარებიდან და ჭიშკრებიდან.

სოფელი გაიარეს და ჰალას მიადგნენ ჰაობიანს.

კამეჩების ჯოგს დაეფარა ჰალა, აურაცხელი ყორნები დასეოდნენ კამეჩებს, ნაზამთრალ ბეწვს აცლიდნენ ტლაპოში ჩაცვენით.

ხანტად იგრესდნენ კისერს ტაროსფერ ლაფში ამოსვრილი კამეჩები და თავიანთი ვიშრისფერი თვალებით აცქერდებოდნენ ცხენოსნებს. იქვე

მახლობლად ყვავილითა და მწვანით მოსილი ტრაქტორი ჩაეარდა მოსკოვში, ქორწილში მიმავალ ტფილისელ ტრაქტორისტებს, უმწეროდ ხალხთუხუბდა მანქანა, შოფერები და ტრაქტორისტები აძაღვეს, წვედულებდნენ. მიაწვებოდნენ უკანიდან ტრაქტორს, ათუხუხუხებოდა მანქანის მძვინვარეობა. მიაწვებოდნენ უკანიდან ტრაქტორს, ათუხუხუხებოდა მანქანის მძვინვარეობა. მიაწვებოდნენ უკანიდან ტრაქტორს, ათუხუხუხებოდა მანქანის მძვინვარეობა. მიაწვებოდნენ უკანიდან ტრაქტორს, ათუხუხუხებოდა მანქანის მძვინვარეობა.

„მოკლავს მაგ უბედურს ე ცხენი, ეუბნებოდა გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს. შენი მამამძღმეს შეილია, ურჩიე გაყიდოს, თორემ ა, მე მოთქვამს და შენ დაიხსომე“...

„მაგას როგორ ვურჩიე არზაყანს ძია გვანჯ, იმ კაცს ხელისუფლებამ ცხენი აჩუქა მამაცობისათვის და როგორ შეეღებოდა? საინტერესო ისაა, რაც ერთგვარ რისკთანაა დაკავშირებული. ურა ცხენზე ჯდომია სიხარული, თორემ თვინიერი ჯაგლაგი რა სანატრელია?“.

„ურა ცხენს ურა ვაყვაცო უნდა მახარია“.

„რა ცუდი ვაყვაცოა არზაყან ძია გვანჯ?“

„ეპე შენი არ მიკვირს? ზეამბაიას ვაყვაცობა ვის გაუგონია? მაგ ხელა რომ ვიყავი, მაგისთანა ვაყვაცებს მტკაველობით ვყიდდი მახარია“.

თარაშ ემხვარს ეწყინა სიყრმის მეგობრის ეგზომ უმართებულოდ დაგება, მაგრამ მოერიდა მოხუცებულს, გულნაწყენი დადუმდა.

თარაშ ემხვარის ცხენი ოდნავაც არ შემეკრთალა, ისე ჩაუარა ტრაქტორს. გვანჯ აფაქიძემ აუჩქარა ცხენს.

ცოტა ხანს ისე მდუმარედ მიდიოდნენ, შემდეგ ამისა, მოისმა „ურაააა“ და გვანჯ აფაქიძემ თარაშ ემხვარიც მოახედა:

„შეხე რა ეშმაკებია მაგ გველისწიწილები!“ ეუბნებოდა ემხვარს. ეგერ რამდენი კამეჩი ყრია ტლაპოში, კამეჩები არ მოიშველიეს განზრახ, თავთ დაქვეითდნენ და ისე ამოყავთ.

თარაშ ემხვარმა ცხენი შეაჩერა, ხედავს: ჩალმაზი და არზაყანი ცხენიდან ჩამოსულიყვნენ, დანარჩენ ვაყვებსაც ქალებისათვის ვადაეცათ ცხენების აღვირი, კალთებაკეცილნი მისდგომოდნენ ტრაქტორს და ურაჰს ძახილით ამოყავდათ იგი ტლაპოდან.

„რაო მერმე, კამეჩები რად არ მოიშველიეს ძია გვანჯ?“.

„იციან, ხალხი დასციინებს მაშინ ტრაქტორს“.

თარაშს გაეცინა და არა უთხრა რა.

„მაგ ტრაქტორებს რომ წაიყვანდნენ და თავათაც მოგვშორდებოდნენ კაის იზამენ შენ გაზდას“. ამბობდა გვანჯ აფაქიძე.

თარაშ ემხვარ ისევ სდუმდა და აფაქიძემ კვლავ განაგრძო:

„მერწმუნე მახარია, ჩვენი ლომა კამეჩები მაგ ტრაქტორზე უკეთ მოუვლიან ჩვენს ყანებს“.

თარაშ ემხვარმა თვალი შეავლო გვანჯ აფაქიძეს, იგი ჩამოჭნილივით იჯდა ცხენზე.

„რამდენი წლის იქნებით ძია გვანჯ?“

„მე არასოდეს არავის ვუმხელ ჩემს წლოვანებას.“

„რატომ ძია გვანჯ?“

„სიბერე, სიკვდილი, შიში და სიმშლი ხსენებისაგან უფრო მეტად ვაღიქვამ, ვიდრე მათი ხსენება არ ვარგა მახარია.“

კარგ მანძილზე მდუმარედ მიდიოდნენ ცხენოსნები. ფრუტუნე და შორეული თქარა-თქური ისმოდა გზაზე, ხოლო კოდორის პირიდან ტურების კივილი მოდიოდა.

„ტურები ბლომად ყოფილან ამ მხარეში“.

გვანჯ აფაჭიძე სდუმდა.

„თქვენ არ ნადირობთ ძია გვანჯ?“ გაიღო ისევ ხმა თარაშ ემზვარმა.

„არ ვნადირობო? იმდენი წლის სიცოცხლე შენ და ჩემს ოთარს, რამდენი ასეული ტახი, ირემი და დათვი მომეკლას ამ მხარეში. ახლა გაიცვითა ქვეყანა, გაიფხიკა მახარია, ასე როდი იყო ჩემს ყმაწვილობაში. აქედან იდღერამდის სამას კილომეტრზე მეტია, ვინ იცის რამდენჯერ ნადირობა ნადირობით გამივლია ბიძი. ავტო რომ ნარინჯის ბაღებია, იქ ტყე იყო გაუფალი, კოლხეთის ჭაობებს ნუ იკითხავ, ნუმც ჯუღუღეიანის ველს.“

ნადირობა მაშინდელი იკითხე. ახლა ყველგან მურწუნობები, პლანტაციები გაჩნდა, რკინისგზამ, ტრაქტორმა და ავტომობილმა დააფრთხო ბიძი ტყიური. ჩვენი ძველები ჩვენზე უფრო ჭკვიანები იყვნენ. შენც გავგიფონია ალბად, ჭაობებს და ტყეებს განგებისად ინახავდნენ ბიძი, რათა სამტროდ მოსულ უცხოელებს გზა დაჰკარგოდათ და ხურეება შეჰყროდათ. როცა მეზობლები დესპანებს გამოგვიგზავნიდნენ, ამ ჭაობებით გამოატარებდნენ, ანაკლიიდან ზუგდიდამდის ოცი კილომეტრიც არაა, ხუთ დღეს ატარებდნენ ირიბი გზებით, კარებში ღამეს გაათევინებდნენ, რათა მაგრათ დაეკინათ კოლოებს. და იქ ისეთი კუდიანი კოლოები იყო, კალიის ოდენა, კუდიანი კოლოები... ახლა ჩვენში ყველგან გზაა და ყველას გზით პირზე გამოუღვია ტ . . . ი. ჩვენი ჭაობები და ჩვენი მთები იყო ჩვენი ქვეყნის მიუვალი ციხე სიმაგრე ბიძი. ირმის ჯოგები გაუფალ ჭაობებში იფლებოდნენ, რამდენჯერ ბღავილზე მიგვიგნია და ცოცხლები ამოგვიყვანია“.

— „დათვი თუ იყო ძია გვანჯ?“

— „დათვი და მგელი კურდღელზე მეტი“.

— „ერთი მითხარი ძია გვანჯ... შეეკითხა თარაში და თავის ცხენს გადაჰკრა მათრახი, რადგანაც ცხენმა კუნძი რამ შენიშნა გზის პირად გდებული და განზე გაიწია ჯიქურად და თარაში ემზვარმა შენიშნა: გზის პირად ვიღაც მარტოკა მოსახლის ეზო იყო დაბალი ღობით შემოვლებული. ეზოს კუთხეში პატარა ზაჭი მიებათ პალოზე. წაჭყეულიყო ზაჭი, უმწეოდ სხმარტალებდა ტოილოთი დაბორკილი. თარაში დაქვეითდა. თავაზიანათ სთხოვა გვანჯ აფაჭიძეს ცხენის სადავე დაეჭირა მცირე ხანს. მარდად ისკუბა და ღობეს ვადაევლო. წველობდა დედისაგან ახლად გა-

ნალოკი ზაქი. უმწეოდ ეგდო მიწაზე, სახსრებში ღონე გამოღვლიდა იწვა შველის მოლოდინში, თავისი მშვენიერი, მშველისებური თვალებით შესცქეროდა თარაშ ემხვარს, თითქოს წინასწარ მადლობას შეეღებებინებინა.

მივიდა თარაშ ემხვარი, მოჰკიდა ხელი ნაზბეწვიანს ფაფუკ კისერზე, თოკი მოაცილა ზედ ქეჩოზე შემოხვეული, მერმე პატარა გიშრის კლიკიანი ფეხები აიღო ხელში, სათითაოდ შემოხსნა ფეხიდან თოკი, მერმე აიტატა ზაქი, აკოცა მოშავო ღრუნში და ფეხზე წამოაყენა.

დაბანცალდა პატარა, რალაც უმწეო ყოყინისებური ხმა გაიღო, შეეცადა გაეარნა, მაგრამ წინა ფეხებმა უღალატეს და ისევ წამოიჩოქა მოლოზე. ისევ მიეშველა თარაშ ემხვარი, ისევ წამოაყენა. აიტატა ხელში, ახლა კისერზე აკოცა პატარას, ისევ აიტატა, ისევ დააყენა ფეხზე, მოუტატუნა უკანალზე. მაჟალო ვაშლის ოდენა ყვერებზე შეავლო ხელი. თითქოს შეახსენა: შენ ვაეკაცი ხარ და ასეთი სიძაბუნე არა გშენისო.

ცხენოსნებმა გზა განაგრძეს.

ბნელდებოდა. ცისკარის ლაპლაპი სცხრებოდა შორს და ხეების შტოების გადაღმა ელავდა მთვარისფერი ხახახა ტალღები.

— „დათვზე არ გინადირნია?“ ეკითხება გვანჯ აფაქიძე თარაშს.

— „საფარიდან კი, ჯვარში ვყოფილვარ“.

— „მთაში?“

— „მთაში ვერიდებოდი“.

— „რისი რიდი გქონდა მახარია?“

— „შემოტევა იცისო დათვმა, ასე მსმენია“.

— „არავენ მოგატყუოს მახარია. მე ძველი მონადირე ვარ, ისეთი კი არა, ჩვენს დროში რომ მომრავლდა უკანასკნელად. მე დაღში ვარ გაზრდილი და დათვი ხაფანგითაც დამიჭერია, ბუნაგიდან გამომიგდია მადეგრებითა და მეძებრებით. მარტეებით თავს დავსხმივარ უღრან ტყეებში გადახვეწილს. აღმართში შეეხვედრივარ და თავდაღმართში დამიგორებია. ვეფხისა და ლომის გარდა, ყოველ ნადირს ერიდება ადამიანის. ვერც ტახი და ვერც ლორი ვერ შეუტევს კაცს თუნდაც ვიწრო ბილიკზედაც მოუტრა გზა. მართალი ესაა ბიძი, სხვა დანარჩენი — მატყუარა მონადირეების მიერ გამოგონილი ზღაპარია. ერთ რამეს გიამბობ, ძველი ამბავია, მაინც არ გამთქვა შენ გაზდას. თუმცა კიდევაც რომ გამთქვა, მეტი რაღა უნდა მიქნან. გულამ კომისია იყო, სახლი ამიწერეს, საავადმყოფო უნდა გავმართოთო, ქალის გათხოვება მაცალეთ, ერთი კვირა მადროვეთ მეტქი და მომეშვენ“.

რამოდენიმე ცხენოსანი წამოეწიათ, გვანჯ აფაქიძე დადუმდა, მზარმარჯუნისკენ მოუღრიაკა ცხენს კისერი და როცა ცხენოსნებმა ჩორთვით განაგრძეს გზა, ისევ დაიწყო:

„ის სასახლე, რომელსაც ამდამ ნახავ, ჩემი პაპისეულია. პაპა ჩემი მერტულეს ქალს ჩასიძებია. ილორში ძველთა ძველი აზნაურებია ის მერტულენი, ილორის მეხატულენი. იმ კოშკის გვერდით ციხის ნანგრევია.“

იმ ციხეში სცხოვრობდა პაპა ჩემი — თემრაზ, სახელგანთქმული მკვლარე და მონადირე. იგი მაპაჯირებამდისაც ტყვეებით ვაჭრობდა. ტარიელ მერვა-შიძეს რომა პყავს ბედლაიწვარი, ლუკაია, იგი მამა ჩემმა, წყვეტულმა, მაპა-ჯირებს, მერმე ტარიელმა გამოისყიდა, ციხე დარბაზში მდებარე და მონებით იყო ვავსილი. საიდან არ მოპყავდათ აქ გურიის, იმერეთის, სამეგრელოს ულამაზესი ქალები. დღისით, მზისით გზებზე უხედებოდა პაპა ჩემი იარალიანსა და უიარალოს, ღამე შხუნებსა და გემებს თავს ესხმოდა და სცარცვაავდა თურმე.

ჩვენ ისეთ დროში ვართ ბიძი, ყოველმა კაცმა უნდა აღვიაროს თავისი და თავის წინაპრების ცოდვები.

ვანა რა გამოდის ამ აღვიარებისაგან? ბისტი. მაგრამ კია მინც კაცი რომ იტყვი. თქმა ჟანგს აცლისო კაცის გულს, ილორამდის კიდევ კი ძალია და წვრილად ვიამბობ. თუმცა მე არც ძველ დროში მწამდა ცოდვა და მადლი, ახალ დროს არც ცოდვა სწამს. არც მადლი, ეს ქვეყანა. რომ ზიარებად იქცეს, მერმე ეს ზიარება მღვდელმა მიმალეზინოს, მე სიამოვნებით ამოვარწყვედი ჩემი პირიდან ამ ქვეყანას, ბიძი.

პო, ტახის ამბავს ვიამბობდი და ტახის ამბავი კი დამავიწყდა. ჯერ უწვევრული ყმაწვილი ვიყავი, ოჩამჩირეს ვილაც ინგლისელი დიდი ვაჭარი მოადგა საკუთარი იახტით. ოცდახუთი, თავიდან ტერფამდის იარაღში ჩამჯდარი ვაქაკი ახლდა, ახლადშერთული ცოლი და სამი დაჲ, რამოდენიმე მოახლე, შინაყმა და თარჯიმანი.

ეს მაპაჯირების დრო იყო.

შენ იცი ალბად, რუსმა სოხუმთან დაამარცხა თათარი. აბხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარი ფუძიდან აიყარა, გადასწვეს თავიანთი სახლკარი, მთელი აბხაზეთი ცეცხლს მისცეს ისევ აბხაზეთმა. მე ცოტა აბხაზური სისხლი მაქვს დიდებიდან, მეცოდება ის საცოდავი აბხაზები. რუსებმა თვითმკვლელობა ჩაადენინეს ამ უბედურებს. ახლა რაღა დარჩა? 40 ათასი კაცი, ამდენი პოლიცია პყავსო თურმე ლემენცებს ბერლინიში. ზოგმა ოსმალეთს მიაშურა, ვინც ვერ წავიდა ტყვლრეში დაძრწოდა, სცარცვავენენ დიდსა და მცირეს. ასეთი დრო იყო და ყველას გაუკვირდა ამ თავზე ხელაღებული სოვდაგარის მოსვლა. მას რაღაც პლანტაციების გამართვა ნდომებია ოჩამჩირის მახლობლად. ი მიწები მამა ჩემისა იყო და შეევაჭრა.

შენ ისიც იცი, ჩვენ აზნაურებს მუდამ გაყიდვაზე გვეჭირა თვალი და ყოველ გამვლელს ფეხვეშ ვეგებოდით. ამიტომაც, ეს ჩვენ ვავხადეთ ჩვენი ქვეყანა ისეთ ღუქნად, სადაც უცხოელები ვაცილებით უკეთ ვაჭრობდნენ, ვიდრე ჩვენ თვითონ, და ყოველი კაცი მეორეს ეჯიბრებოდა რომ საქართველო ისე ვაეყიდა, როგორც ურიებს კვართი უფლისა. ჩვენი სტუმართმოყვარეობა უთუოდ ჩვენი მონური წარსულის ნაშთი უნდა იყოს ბიძი.

უცხო სტუმარი მოვიდაო და მამამ ვალში აფრინა კაცი, ხვიჩიები და გვიჩიები იხმო, ალანიები და კიუტები დაიბარა, ილორელი მერქულე-

ნიც აკმუტდნენ. ეგებ ჩვენაც გავყიდოთო რამე, მე მუდამ მძებნა მაგ უცხოელები. ცოტა ისტორიებში ჩახედული ვარ. არგონავტებიდან მოკლებული, უცხოელი მუდამ მძარცველად ჩამოსულა ჩვენი. უფრო უფრო იმის ცდაში იყო: რამე ეყიდნა, წაეგლიჯა და მოეთხარა ჩვენსა; სიტყვა შენც წაგიკითხავს ისტორიებში, ჩვენი ქვეყნისთანა მდიდარი ინდოეთს აქეთ არა ყოფილაო, ასე სწერია იმ ისტორიებში. ჩვენი წინაპრებიც ჩვენისთანა ბედოვლათები იყვნენ ალბად, ძალად ხომ ბევრი გაიტაცეს, ბევრიც გაგვიჩუქებია და გავვიმზითებია ბიძი. მე ერთი წიგნი ჩამივარდა ამას წინად ხელში, ღმერთო! რა მზითვები გაუტანებიათ თურმე ბიზანტიაში გათხოვილ ბაგრატიონების ქალებისათვის ჩვენს სულელ მეფეებს!

ჰო, იმ ოჯახჭორი ინგლისელის ამბავს ვიამბოდი.

არც იმ ინგლისელს დავხვედრივართ უპურმარილოდ. გაგიხარია, კაი პურმარილი დახვედრა იმ ინგლისელს ცხონებულმა მამა ჩემმა“.

პატარა თხრილი გადაელობათ, ბოგირი აეყარათ რატომღაც, ცხენი გადასაკუბა გვანჯ აფაჭიძემ და მერმე ისევე ვანაგრძო თხრობა:

„ხარები შამფურებზე იწებოდა, ძუძუთა ხბოები ქვაბებში ჩაჰყარეს და ნადირობა ვაეუმართეთ ისეთი, მარეკებით ნადირობა, კაცს რომ არ მოსწრებია.

ორასი ცხენოსანი შევედით ილორის ტყეში. ისეთი სროლა ატყდა. ომი გეგონებოდა.

იმ დროში შტუცერი ახლადმოგონილი იყო და იმ სოვდაგრის მზლებლებს ახალთ ახალი შტუცერები ჰქონდათ, ისეთი, ისეთი, პირდაპირ თვალი დამრჩა მაგ შტუცერებზე, მაგრამ რა შტუცერები, მის ცოლზე უარესად შემექნა გული. ლედი სვინბორნ ერქვა იმ ქალს და იცი, რა ფერი თმა ჰქონდა?

ჩვენში არ იცის იმ ფერი თმა. სიმინდის ტარო რომ პირველად ფოჩეს გამოისხამს, ისეთი ბრწყინვალე და ოქროვანი.

შუაგულ ტყეში დავქვეითდით დიდ მუხის ძირას. ლედი სვინბორნ დაიქანცა ცხენის ჰენებისაგან. მე ჩამოვიყვანე ცხენიდან.

ო ოჰ, როგორი ნეტარება ვიგრძენი როცა კისერზე ცალი ხელი მომხვია და მკერდზე მომენდო ძირს ჩამოხტომისას, ასე მეგონა ღმერთი ციდან ჩამოვიდა და ყელს შემომეჭლო მეთქი.

მუხის ნამორზე დავსვი, უკან დავიხიე და შევხედე: თეთრი ბატისტის ქვედაკაბა უჩანდა და მუხლის თავებთან გვირილასავით თეთრი აქურები. გადავირიე ეს რომ ენახე და ჩემს გულს ვუთხარი: ეს ქალი თუ ჩემი არ გახდა, უთუოდ ზღვაში თავს დავიხრჩობ მეთქი, ისევე როგორც თათბა შერვაშიძისათვის დაიხრჩო თავი გუდა მარშანიამ იმ წელს.

და შეიქნა ტყიდან მარეკების გამოხმობა, მოვიდნენ გვიჩიები, ხვიჩიები, ალანიები და კიუტები და მოართვეს ლედი სვინბორნს ახლად დახოცილი მშველები, ირმები, მათი ნუკრები, ტახები და ხობები. დედოფალივით იჯდა მუხის ნამორზე ეს საუცხოვო ქალი და ღიმილს ურიგებდა ნაალაფარის მომტანთ. მე გული ამემღვრა ეს რომ დავინახე, მეც

ბევრი შემომაკვდა იმ დღეს ნადირი, მაგრამ არც ერთი თავაზ არ მიმირთმევია, რადგან მე ასე ვფიქრობდი ყოველთვის; თუ ქალის გულის მონადირება გინდა, მომეტებული ყურადღება არ უნდა მამქებნაშა!!!

ახლა ეს აიჩემა ლედიმ: ცოცხალი ტახი მომგვარეთო!!!

ეს ამბავი ანეგლოტი არ გეგონოს ბიძი და იმ დღეს მე მართლა დავიჭირე იმ შშენიერ ლედისთვის ცოცხალი ტახი, მაგრამ არც იმ გვირად, როგორც ეს შემდეგ ინგლისურ გაზეთებში ეწერა, იმ გაზეთებში მადლობაც გამომიცხადა იმ სოვდაგარმა, თუმცა სამადლობელო ბევრი არაფერი წაუღია მაგ უბედურს. მე კი გაზეთებში გამწერეს, როგორც ცოცხალი ტახის ხელით დამჭერი. ის ძველი გაზეთები შინა მაქვს ახლა, თუ არ წაუღიათ, გაჩვენებ“.

ცხენოსნებმა რომლიღაც მდინარე გადაიარეს. ორივენი სდუმდნენ. თარაში ფიქრს მიეცა და გვანჯ აფაქიძის ცხენის ფეხებიდან ნაწხეფმა წყალმა გამოარკვია ფიქრიდან.

„ჰო, იმას ვიამბობდი ცოცხალი ტახი მომგვარეთო, აიჩემა ლედი სვინბორნმა და მეც დავფაცურდი.“

როცა ქალი გიყვარს, მისი ჭირვეულების შესრულებაც უდიდესი ბედნიერებაა. მეც დავფაცურდი, თუმცა არსად გამეგონა ცოცხალი ტახი რომ ვინმეს დაეჭიროს სადმე.

ჩამოდენიმი მარეკი ჯერაც არ იყო ტყიდან გამოსული და მამამ მიბრძანა: ცხენზე შეჯე და მიაჭითხო.

კვლავ შემოვახტი ჩემს ულაცს, ბუკი მეჭირა და ვუნბობდი. ტყეში გზა დამებნა უეცრად, ბუკით ხმობა შევეწყვიტე და ერთ ხეეს მივყვე ცხენდაცხენ. ვავიხედე და რას ვხედავ: უზარმაზარი ტახი მოექანებოდა ჯიქურად ჩემსკენ. თოფი თან არ წამომიღია, მაგრამ არ ვიცი ახალგაზრდულმა სითამამემ, თუ ლედი სვინბორნის სიყვარულმა ისე ამიტანა, მყისვე ცხენიდან გადმოვიჭერი და როგორც კი ტახი გამისწორდა, წამსვე სატევარს მივყავი ხელი. ხევის გაღმა-გამოღმა მტკიცე ბარდი იყო ასე რომ ტახმა პირდაპირ მომაშურა. ცხენი დაფრთხა, განზე გამიტაცა. ტახი ფეხებში გაუძვრა ცხენს და ამგვარად სატევარი ვერ ვუყალე მაგ ვერანას.

ისევ შემოვახტი ცხენს და გამოვუდექი. ამასობაში მარეკებმაც მოაწიეს და მწვერები გამოუდგნენ ტყიურს, და ნუ იკითხავ, სწორედ იმ ხევე უშველებელი ნაძვი წამოექცია გრიგალს. დაქანცული ტახი ზედ ვერ გადამხტარიყო, ქვეშ გაეძვრებო, ალბად უფიჭრია და როცა წამოვეწიე, ნაძვს ქვეშ გაკვეთებული ღნაოდა საბრალოდ, ხოლო მწვერები უკანა ფეხებს უძიძგინდნენ. ცხენიდან ვისკუბე და ხელი ვტაცე მყისვე კანქებში. მარეკებმა ჯერ ღინგი აუკრეს თოკით, შემდეგ გამოათრიეს და დაბორკეს. კეტი გაუყარეს. ოთხკაცს ძლივს მოჰქონდათ ის სამგლე. მე განზრახ ჩამოვრჩი. ვიცოდი: კარგია, როცა შენს გამარჯვებას სხვა აუწყებს სხვას.

მარცხებმა ამბავი მიუტანეს: გვანჯმა ხელით დაიჭიროდა.

ეს და აკლდა ჩვენს ზეიმს. მაშინ მეც გამილიმა ლედი სენზორნმა და ისე შეგონა ცისკარი გამეხსნა მეთქი. ის ღიმილი ჩემს წვეთულში არ დამავიწყდება.

— „ბიჭო მართლა შენა სტაცე პირველად ხელი?“ შემეკითხა იქვენულად მომღიმარი მამა.

— „ილორის მადლმა უკანა ფეხებში წავეწვდი მეთქი“.

მაშინ მოჩუმუნე ვიყავ და არც ტყუილი მითქვამს. მაგრამ ცალკერძ მამა მოვატყუე და ცალკერძ ღმერთი. ასეა მახა, ენა თუ გიკრის ტყუილის უთქმელად შეგიძლია კაცმა იცრუო.

გვანჯ აფაქიძე დადუმდა, ასე მიდიოდნენ მცირე ხანს.

— „მაინც ლედის ამბავი არ მოგიტავებიათ ძია გვანჯ“, შენიშნა მომღიმარე თარაშმა.

— „ეჰ, არა ღირს ბიძი, ჩემი ცხოვრების უკუღმართობა სულ რომ ვიამბო, არც ერთ წიგნში არ დაეტევა“.

— „მერმე... და მერმე ვერც ტახის დაქერამ მიშველა. ის იყო პირველი ქალი რომელმაც უზომოდ გამახელა და კინალამ თან არ გადაამიყოლა. ბევრი ვუტრიალე, მაგრამ ამოდენა ამაღაში რას გავხდებოდი. ქალი შეხვედრაზეა ბიძი. თუ კარგ პირობებში მიიმწყვდით, ყოველ ქალს ჩაიგდებ ხელში.“

მერმე და ის იყო, კეთვალეზე თევზაობას მიმაჩვია იმ თვალეუქუნა ინგლისელმა ქალმა.

— „როგორ თუ კეთვალეების... ძია გვანჯ?“

— „შენ არ იცი, ჩვენში კეთვალეებს როგორ იჭერენ მახარია? მთვარიან ლამეში ორ ნავეში ჩავსხდებით, შუაში თოკებს მობმული ჭილობი მოაქვს წყალს, ნავს და ნავს შორის. ხელში ორკაპიანი ქანგები გვიჭირავს. მოდის კეთვალე მთვარიან ლამეში, როცა ჭილობიდან მომდგარ ლანდს წააწყდება ბედშავი, ერთი შეხტება, ამ მუზმუზელა მოჩვენებას გადავახტებო იფიქრებს ალბად, ამოვარდება წყლიდან, ვერ კი გადახტება და ზედ ჭილობზე გაიშოთება.“

— „მერმე იმ მშვენიერ ლედი რა შუაშია?“

— „ახლავე გაიგებ მახა. სამი ჩემი ძიძაშვილი, სამიც მამიჩემისა და შვიდი დეიდაშვილი მერტულე ავიყოლიე. ბედს შეგყრით მეთქი დავბირდი.“

ეს იყო იმავე შაბათს, როცა სოვდაგარი თავის იახტით გავიდა ოჩამჩირიდან. შუაგულ ზღვაში გავედით კეთვალის საქერად.

გამოჩნდა თუ არა იახტა, მე ცურვით გავემართე იახტისაკენ. ერთი კი დავინახე: ჩემი ლედი გემის ბაჭანზე იდგა, თეთრი, თოვლივით თეთრი კაბა ეცვა, ხახულის ღვთისმშობელს ჰგავდა. მერმე ზურგულად ცურვა და ღრიალი მოგრთე ჩაბალახით თავშებურულმა: ვინ ხარ მამაცი, მიშველეთ მეთქი ვყვიროდი.

იახტა შეაყენეს. ტრაპზე ამიყვანეს, ამასობაში ჩემიანებიც აბრკვედნენ იახტის ტრაპზე. სატევრები ვიძვრეთ, ხელები მაღლა ავიწვირეთ ყველას, ვინც ზეზე დაგვებდა.

მე აროდეს დავშვრები სატევრის ქებით. თუ სატევრები ამოვსებოდა, რევოლვერი კი არა, ზარბაზანიც რომ გეკიდოს, ვერას ვიშველის მახარია.

მაშაკაცები შევკოკეთ. მე ლედი წავიყვანე და დანარჩენმა თორმეტმა გემზე მყოფი ქალები დაირიგეს. განაგონი მქონდა: თემურ ლენგს ასე სჩვევოდაო, ქმრებს ზმში დაამარცხებდაო, გაათოკინებდა, შემდეგ ფიცრებს ზედ დააწყობინებდა, მერმე მომეტებულის სიახით მისდგებოდაო მათ ცოლებს.

მეც თემურისებური ნეტარება ვიგრძენი, როცა ის ლიპიანი ინგლისელი კაიუტის ნარს ქვეშ შევაგდებინე, მერმე მოვკიდე ხელი იმ მშვენიერ ლედის და ოჰ, ნუ მათქმევინებ, თუ სადმე სამოთხეა ამ წყვეულ ქვიშა-ნაზე, ეს მაშინ ვიგრძენი ჩემს სიცოცხლეში პირველად, ვგონებ პირველად და უკანასკნელად.....

შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ ბიძი. მერმე მომიგონებ. ცხოვრებაში ერთხელ ხელში მოგვხდება ისეთი ქალი, რომელიც ბედნიერების ერთადერთი საწყაულია, მაგრამ ახალგაზრდული სიშლეგის, ან უბედურების გამო ხელს დაადენ და მერმე მთელი სიცოცხლე იმ ქალზე მოგონებად იქცევა. მოგონებად და სინანულად.

შემდეგ ამისა, სკივრები გავახსენეინეთ და დედიშობილა გავუშვით. შტუტგერებიც თან წამოვიღეთ და ერთ ერთი შტუტგერი, მათთვის წართმეული, ახლაც აგდია ჩემს სახლში. ბარე ორასი ლორი მომიკლავს იმ შტუტგერით.

ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ და ილორის ტაძრის შავი სილუეტი გამოჩნდა საფირონისფერ ცის ფონზე შავად ალანძული.

თარაშ ემხვარ აკვირდებოდა მთლად გაშავებულ ტაძრის სილუეტს. იგი შორიდან სტკებოდა ამ ძველთა ძველი ხურიათმოდგრების ნიშნით. გამხმარი გოლიათური ცაცხვების შტოები ინე მოსჩანდნენ. ცისა და ზღვის ფონზე, როგორც თავქვე ჩარქობილი გველესაბების ჩონჩხები. გვანჯ აფაქიძეც შესცქეროდა ილორის ტაძარს. სდუმდა, შესცქეროდა მაგრამ არას ამბობდა. ძაღლების უნიათო წკავწყავი აყრუებდა გარემოს. მთელი სოფელი აამტუტა შარბგზებზე გამოჩენილ ცხენების თქარათქერმა.

„ესეც კაი მავარი აბრაგი იყო“...

შენიშნა გვანჯ აფაქიძემ

„ვინ ეს?“ შეეკითხა თარაშ ემხვარ.

— „ილორის წმინდა გიორგი“.

— „როგორ თუ აბრაგი?“

— „ილორის წმინდა გიორგი უძლიერესი ფეოდალი იყო, მთელს აბხაზეთსა და საჭყონდროში. დღესაც მოდიან მლოცველები, ურმებს და

ცხენებს ხომ ხელავ ეგერ ცაცხვებს ქვეშ დაბანაკებულ ხალხს ის ციკნებიც ახლად მოყვანილია. ბოლშევიკები ღმერთსაც იმსახურებდა მანა. იმ ციკნებს ოჩამჩირეში აგზავნიან და უპატრონო ბავშვებს, ~~ვერსავენ~~

— „ჩვენმა დრომ დამარწმუნა, რომ ღმერთზე უფრო ძლიერი კაცი ყოფილა თურმე. თუ კაცმა მოინდომა, ღმერთს როგორც უნდა ისე გააპაძულებს.

ილორის წმინდა გიორგი მთელს ქვეყანას თავზარსა სცემდა.

ფორთხვით ეცემოდნენ მის ფერხითთ ათასები და ათიათასები, იგი იყო მთელი ოდიშისა და აბხაზეთის ჯოგების შტაცუნელი, პირსისხლიანი და მრისხანე ბატონი ამა ქვეყნისა. არა მარტო ქუხილის მოთსარი, დიდი ხარისპარია და შურისმგებელი. მე მგონია, ჩვენმა დრომ ამაოდ აკიდა მარტოდნენ ბედშავ მღვდლებს ეკლესიის ცოდვები. ილორის მეხატულენი მერტულენი იყვნენ, მერტულე და ჩვენი ოჯახი, რადგან ჩვენ მერტულეს გვარის ქალზე ვიყავით ზედსიძეთ მისულნი, როგორც გითხარი.

ყოველ გიორგობისთვის, 23 აპრილის წინა ღამეს საქართველოს უშორეს კუთხიდან მოვაყვანიებდით ხარს, რათა არავის ეცნო ილორის წმ. გიორგის მიერ მოყვანილი ხარი. ზღვაში ვაბანებდით, ზღვის ქვიშას მოვყრიდით, მერმე გამოვიდოდა ქადაგი და ყველას დააჯერებდა წმინდანმა ზღვიდან ამოიყვანაო ხარი“.

ერთი ცოდვა მეც მიმიძღვის სულა ცოდვილო.

ვილაც ლაზი მოვიდა ილორში და ასეთი რამე წამოროშა:

„თუ ილორის წმ. გიორგი მართლა ღმერთია, ჩემი თეთრი ხარი მოიპაროს, აქ მოიყვანოს და მერმე ვირწმუნებო“.

ხალხი ბაღლია, თუ შეაგულიანე, იგი ისევე ადვილად ირწმუნებს სასწაულს, როგორც გამოფხიზლდება შემდეგ. დაფაცურდნენ მეხატულენი მერტულეს გვარის აზნაურები. ლაზი დაათერეს, თავისი ხარის ნიშანდობლივობა გამოიკითხეს.

აღმოჩნდა: მისი ხარი მთლად თეთრი ყოფილა. სწორედ ასეთი ხარი მოაყვანინეს სვანეთიდან. ჯერ იყო და ლაზი პირქვე დაემხო ეს ხარი რომ ნახა. მაგრამ დღეობის მეორე დღეს ისევ დაიწყო ბუზღლენი, ჩემს ხარს მარცხენაყური ჰქონდა წაჭრილი.

მაშინ გადასწყდა მისი ბედი. იმავე ღამეს გავიტაცეთ ლაზი ჩაბალახით პირაკრული და მეორე დღეს ემანდ დიდი ცაცხვი რომ მოსჩანს იმის ფულურთში იპოვნეს მკედარი ლაზი, პირში ფოლადის ბოძალი ჰქონდა გარჭობილი.

მე მგონია მანა, ხვალ რო ბოლშევიკები აღარ იქმნენ, ჩვენ ყველამ ძველი უნდა ავუგოთ მათ, რადგანაც ეს მათ გამოფატრეს კაცობრიობა. შავი და თეთრი სააშკაროზედ გამოიტანეს, გამოარკვიეს ვინ ყოფილა მამაცი და ვინ დიაცი. მათ ნილაბი ჩამოგლიჯეს მატყუარა ღმერთებს, ტრაბახა მეომრებს, ცრუპენტელა ხუცებს და ქარაფშუტა პატრიოტებს.

მაგ ეკლესიაში წმინდა გიორგის უშველებელი მშვილდია. ^{ქვეშ} იცის რამდენი მილიონი ადამიანი გაუტარებიათ იმ მშვილდს ქვეშ კლორის მნათებებს. ასე მშვილდს ქვეშ გაატარეს მათ მთელი ქვეყანა. მათ მამა და შვილი ურთიერთს წაჰკიდეს, მეგობარი მეგობარს, პარში წაუყენეს და ყველა დააწმუნეს, რომ მეგობრობა ცარიელი ტრაბახი ყოფილა. მით სახატეები დააცარიელეს, ხუცები დაკრიჭეს და ხატები მუზეუმებს გადაუღოცეს, ეს კაია შენ გაზრდას კაი, მაგრამ ჩემთვის ეს ყველაწერი გვიანაა. ცა რისხევით მობრუნდა ჩემს თავზე და აწი სიკვდილი თუ გამატარებს თავის მშვილდს ქვეშ“.

ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ, ღია ქიშკარში შეაჯირითა ცხენი.

თარაშ ემხვარმა განზე მიიხედა: გაღებულ ქიშკართან ჯუჯა კაცის ლანდს მოჰკრა თვალი.

ლუკაია შეიცნო, ცხენი შეაყენა.

— „შენ რამ მოგიყვანა აქ ლუკაია?“

— „ჩვენებს მოვყევი“.

— „ვინ ჩვენებს?“

— „ოქუშელებს“.

XIV. შერიცხვალება

ცხენების იმ ჯგუფს, რომელსაც არზაყან და ძაბული მოჰყვებოდნენ ილორში შესვლამდის, თამარ შერვაშიძე მიუძღოდა. თუმცა აბხაზური წესისამებრ ურიგოა ქალი რომ უძღოდეს ცხენოსნებს. (ქალი უკან უნდა მოსდევდეს კავალერს). შერვაშიძეების წრეში მუდამ ქართული ტრადიციები სჭარბობდნენ ძველაბხაზურს, ამიტომაც თავათ თამარმაც ეს ბუნებრივად ჩასთვალა.

თამარი აროდეს შჯდარა ცხენზე, რადგან იმ ხანებში, როცა დედა და დიდდედა ასაბიებს აიყოლიებდნენ ქორწილებსა და ქელებებში ცხენით მიმავალნი, თამარი აქვანში იყო, მიუხედავად ამისა, იგი ჩინებულად მართავდა საკმაოდ გულფიცხ მეგრულ იაბოს.

განუზომელი სიხარული მიანიჭა მას ცხენზე ჯდომამ, წარამარა წინ გაუსწრებდა თანამგზავრებს და ხუმრობით ებაეჭებოდა ცხენოსნობაში არზაყანს. თამარის სიახლოვით გაღალღებული არზაყან ცას ეწეოდა სიხარულისაგან.

— „სად იყავი აქამდის, ასე თუ გიყვარდა ცხენზე ჯდომა?“

— „განა ცხოვრება ისეა მოწყობილი, ყოველი სურვილი რომ აისრულოს კაცმა?“

— „უნდა ეცადო ისე მოაწყო შენი ცხოვრება, რომ სურვილებიც იოლად აგიხდეს“.

— „ეს სად წაგვიყვანდა მაშინ“...

მცირე ხან დადუმდნენ ორივენი; კაროლინას და ძაბულის ლაპარაკს მიუგდეს ყური.

ძაბული სჩიოდა ამის მეტად ცხენზე არ შეეჯდებოდა.

კაროლინას მოსწონდა ცხენზე ჯდომა, მაგრამ „ქალურად“ აროდეს შეეჯღღებო, ასე ამბობდა. ნანობდა: ხერიპისის სასპორტო კოსტუმში ჩამეცვაო ნეტავი.

კაროლინა

— „წამოხვალ ოქტომში კარგი ცხენი რომ გიშოვო“

— „გააჩნია, შენ რას ვიქვია კარგი. არაბიას ან დარდიმანდის დარი ცხენი რომ მომიყვანო, მე რათ გამომადლებს. აი ახლა რომ ვხივარ, ასეთი“.

დარდიმანდის ხსენებამ თარაში გაახსენა არზაყანს. გაეხარდა: თარაში რომ არ ახსენა თამარმა და ნასიაშოვნები დადუმდა; შემდეგ კი ეს უთხრა:

— „სწორედ ამ ცხენს მოგიყვან“.

— „ოქტომში რა უნდა ამ ცხენს?“

— „ოქტომელისაა?“

— „ვისია?“

— „მაჩაგვა ეშბას გამოვართვი საშენოდ“.

ამაზე გაიერდნენ: თამარმა სიტყვა მისცა აგვისტოს 15-ს ტფილისს მივდივარო, თუ წინა კვირას ცხენს ჩამოიყვან, ოქტომში წაგყვებიო.

გამოირკვა: არზაყანსაც ნდომია ტფილისში წასვლა. ინსტიტუტში საბუთები უნდა წარვადგინო.

— „ძალიან კარგი იქნება, სწორედ თარაშ ემხვარიც მოდის ვგონებ ტფილისს და ერთად წაველთო“. ამბობდა თამარი.

თარაში მოდისო?

ეს კი არ მოეწონა არზაყანს. დღმილი არჩია სიტყვის შებრუნებას და სავსებით უმიზეზოდ გაუწყრა არაბიას. თამარი არ ისვენებდა ილორში შესვლამდის დავეწიოთო თარაშ ემხვარს და გვანჯ აფაქიძეს. არზაყან ძალაუნებურად აპყვა, რადგან თამარმა შთარაბი სწყვიტა თავის ცხენს და წინ გააქანა. არზაყან ზოგავდა თამარს. თავკისერს განზრახ უკერდა არაბიას. კაროლინა და ძაბული სულ მუდამ უკან რჩებოდნენ, წარამარა კაბის ჩამოწევას, ან თოქალთოს გასწორებას მოითხოვდნენ თავიანთ კავალრები-საგან. თამარი წინ მიიწევდა. იცოდა: გვანჯ აფაქიძე და თარაშ ემხვარ წინ იყვნენ წასული. ეს უნდოდა: მეწინავეებს წამოწეოდა და თარაშ ემხვარსაც გასჯიბრებოდა.

ძაბული და კაროლინა კი წარამარა უკან რჩებოდნენ, არზაყანს ერიდებოდა უცხო მხედრების ამარად რომ დაეტოვებინა ქალები.

თამარი არა ჩვეულებრივად გამშთარულდა, კისკისებდა, ხუმრობდა, მათრახს უტყაპუნებდა ისედაც გულფიცხ ცხენს.

როცა ილორის გუმბათი გამოჩნდა ცისკიდურზე, არზაყანს გულზე წაეკიდა უსიტყვო დარდი. მთელი გზა ესაუბრებოდა თამარს. განზრახ ჩამორჩა მეწინავე მხედრებს, რათა მარტო მის სიახლოეს ყოფილიყო თამარი, მარტო მას გაეგონა მისი ხმა, მარტოდნენ იგი დამტკბარიყო თამარის ხლებით. ასე უზომოდ ბედნიერი იყო არზაყან, თუმცა დოდის შემ-

დევ ძლიერ დაქანცული იყო, მაგრამ თამარის უეცარმა გახალისებამ დაღლილობა გადაავიწყა.

ასე სჩვევია ჭალს, ფიქრობდა არზაყან. სიხარულის ნეტარს განმეცხო უეცრად და ასევე უეცრად სამსალას გაგირვესო ნეტარს. ეს გაიფიქრა არზაყანმა და „ილორი, ილორიო“ წამოსცდა მღუმძიოდ მომავალ თამარს.

გაიხედა და თვალი ჰკიდა გაშვეებულ გუმბათს ილორის სამრეკლოსას.

საესებით მოუფიქრებლად წამოსცდა არზაყანს:

„ილორისათვის ჯვარი კიდევ არ მოუხსნიათო?“ თუმცა ბნელოდა, მაგრამ ჯვარი მაინც მოსჩანდა ვარსკვლავებით დახუნძულ ცაზე.

ჯვარი ახსენა არზაყანმა და თამარმა მკერდზე დაისვა ხელი. „ვეუა მე, დედაჩემო“ წამოიძახა და ცხენი შეანელა, აღვირი ხელიდან გაუვარდა.

არზაყან უსიტყვოდ მიუხვდა, ამ წუთში რომ შეიცნო თამარმა ჯვარის დაკარგვა.

ჩაჰკითხა.

და „ვეუა მე, დედაჩემო“ ისეთი საწყალობელი ხმით წარმოთქვა თამარმა, არზაყანს ბოძალივით გაუარა ტკივილმა თხემიდან ტერფამდის. ახლოს მიეჭრა ცხენდაცხენ, მთვარის ოდნავ მიღეულ შუქზე, ეძებდა მწუხარე ხაზებს მისის სახისას და თამარს ისე მოეღუშა სახე, სატირლად მომზადებულ ბაღსა მგავდა ამ წუთში.

ვგონებ ისიც შენიშნა არზაყანმა: ნიკაპი უტოკავდა დამწუხრებულ თამარს.

არზაყანს ისე ძლიერად შემოენთო გულზე ეს ამბავი, მზად იყო: ახლავე ეთქვა თამარისათვის, რომ მისი ჯვარი არ დაკარგულა, რომ ამ წამში შეეძლო მას ფრენჩის ჯიბიდან ამოეღო, ოღონდ თამარი კვლავინდებურად გამხიარულებულიყო. ის ის იყო დაიძრა მის გულში შესაფერი სიტყვაც, ძაბული და კაროლინა აქეთ იჭიდან ამოუდგნენ თამარს. რა მოგივიდაო, ეკითხებოდნენ. კაროლინა ბავშვავით ეფერებოდა, აშოშმინებდა, ჯვარი სად დაიკარგებოდაო, ალბად კომოდში გექნებაო შენახული, შენ ხომ დაწოლის წინ მკერდიდან იხსნიაო ჯვარს, სასათუმალს ქვეშ ინახავო, მსახური დაშა ნახავდაო უთუოდ, დაშა მრავალი წლის ნაცადი გვეყავსო, თავის დღეში არა მოუპარავსო—რა და რაღა იმ ჯვარს წაიღებდაო.

თამარი დამშვიდდა, მაგრამ გვანჯ აფაქიძის ეზოში შესვლამდის კრინტიც არ დაუძრავს არც თამარს, არც ძაბულის და არც კაროლინას, რადგან ყველა გრძობდა თუ რა მძიმე იქნებოდა თამარისათვის სიკვდილის პირთან მიღწეულ დედის მიერ ნაჩუქარი ჯვარის დაკარგვა.

აფაქიძის ილორელ სასახლის ეზოში ხალხი ზიზზიმებდა. ძველებურ სათონებში ცეცხლი გიზგიზებდა. სამზადში ველარ დატეულიყვნენ ჩოხაკეცილი ძიძაშვილები, მეზობლები, მოკეთეები და მერჭულეს გვა-

რის ახალგაზრდები. ორასწლიან ცაცხვებს ქვეშ ხუთ ადგილს ერთოცეცხლი. შამფურებით სწვავდნენ ხარებსა და ძუძუთა ხნოებს. ცალკერძ ინდოურები, გოჭები და ახალი ვარიები ტრიალებდნენ, ცხვირ ტყვიანება და ცეცხლში ჩამოღვენთილი.

ჩაბალახით თავშებურვილი მოხუცი მორიგენი ჯარგვალეებზე ისხდნენ, ახალგაზრდების საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ, ძველ ამბებს იგონებდნენ გულდაწყვეტილნი, ძველებური პურობის, ნადიმობის ამბებს, თითქოს გრძნობდნენ: ყოფილი აშინაყმების შვილები და შვილიშვილები, უკანასკნელად რომ ესწრებოდნენ ბატონკაცურ ქორწილს.

ცაცხვების გადაღმა ხუთასი კაცის ვარაუდით აეშენებიათ სეფა, ახალგაზრდა მორიგეები გამალეებული დარბოდნენ. ამ ქორწილში ძველები პურმარილიან გვანჯ აფაქიძეს სდებდნენ უკანასკნელ ამავს. იცოდნენ ხეალზეგ მის სასახლეს საავადმყოფოთ აქცევდნენ. ეს თითქოს მარტო-ოდენ ქორწილი როდი იყო მათთვის, არამედ აფაქიძეების ძველ ოჯახთან გამოთხოვება. მათთვის საყვარელ, ტბილ დროს ეთხოვებოდნენ მოხუცები და ამრეზილი აწიტებდნენ, ყალიონებს სტენიდნენ ზოგნი, ზოგნიც ქალამნის ჭვინტზე იფერთხავდნენ ჩიბუხებს. ცეცხლის გარშემო დაწყობილ ჯარგვალეებზე დროული კაცები ისხდნენ; მათ შორის ისეთნიც ვრივნენ: დროს გასატარებლად რომ იყვნენ მოსული.

კოლექტივი მოდის და ლოთიანად ექამოთო, სავსებით შორეულ ბობოლებს თავათ მოეყვანათ საკლავები, ჩვენცა ექამოთ და სხვებსაც ვუწილადოთო. ასე ამბობდნენ.

ეს იყო ის დრო, როცა უგუნური ბობოლა გლეხები უსაზნოდ ანადგურებდნენ საქართველოს ჯოგებს და ფარებს. ახალგაზრდები მოშორებით ზიმშიმებდნენ, უცდიდნენ ახალსა და ახალ ცხენოსნებს, რათა უფროსებისათვის უზანგები ჩამოეწიათ. და აბხაზური წესით როცა ერთი უფროსი კაცი ცხენზე ადის, ან ცხენიდან ჩამოდის, ორმოცი ახალგაზრდაც რომ იყვეს იქვე, ორმოცივე მისცივიდება ცხენს.

და ახალგაზრდები თავიანთ მხრივ რაიკომის მდივანს არლანს უმოწმებდნენ პატივისცემას ამგვარს.

ნალიების ქვეშ, ლობეების სარებზე, ხულას, მარანის, ძველებურ საბაზიერო და სამხარო სახლების კახებსა და სვეტებზე ცხენები მიებათ, ცხენები ება ბოსტნების, ხილნარების მესრებსა და ძეწნებზე. ადამიანების ძახილს, ბავშვების ზიმშიმს, სამზად სახლიდან გამოსულ ქალწულების კისკისს; ცხენების ჭიხვინი და უცხოთავან შემკრთალი ძალღეზის ყეფა და წკავეწკავი ზედ ერთვოდა.

საერთოდ აბხაზები შეკრებულებაში იშვიეთად ხმაურობენ, მაგრამ აქ განა მარტო აბხაზები იყვნენ, არამედ სამურზაყანოს, ოდიშის შორეულ სოფლებიდან მოსულნიც და თორმეტოდე კაცი ტფილისიდან ჩამოსული, მათ შორის შვიდი ქალაქელი შოფერი და ტრაქტორისტი, რომელთაც ცალკერძ აფხაზური პურმარილი მონატრებოდათ, თავათ კი

იკვებოდნენ იდუმალ: აბხაზები და მეგრელები ისე დავათროთ, რომ გუ-
დურებსავეთ გადავყაროთო სუფრიდან.

სტუმრების მიღებას, ცხენების ჩამორთმევას, კიბეებზე წაყვანას, აა-
ჯდომების მოქმენას, გაუთავებელ „მობრძანდი“-„დაბრძანდის, თავა-
ზიან მოკითხვას, სალამს და ქალამს ვლარ ასლიოდნენ აფაჭიძეები და
მერტულენი, ალანიები და არლანიები, მალაზონიები და მაანიები, ხვიჩიები
და გვიჩიები, კიუტები და შელიები.

გვანჯ აფაჭიძის, მისი ქალვატის და ცოლის ძიძაშვილები და მოკეთენი.
თუმცა ბნელოდა, მაგრამ ლუკაია ლაბახუს მაინც ყველა ამჩნევდა,
იგი შეგნებულად გაურბოდა ახალგაზრდებს, მოუსვენრად დაწრიალებდა
და იმ ადგილებს ეტანებოდა, სადაც მოხუცები ჯარგვავლებზე ისხდნენ,
ან რომელიმე ხის ქვეშ დაცუქქულნი ძველ-ძველ ამბებსა და ახალახალ
გასაჭირს იგონებდნენ.

ვერსად ისვენებდა ლუკაია ლაბახუა, რადგან ძველები მას არად აგ-
დებდნენ, ახალგაზრდებს ეუცხოვებოდათ ეს ძველ დროებიდან გადმო-
ნატყორცილი სასაცილო გოჯილა და ასე დაწრიალებდა ამ მთვარიან ლა-
მეში ლუკაია ლაბახუა — ეს ძველი ლამურა ამ ახალ დროში.

მას არც „მობრძანდი“-ს ეტყოდა ვინმე, არც თუ „დაბრძანდი“-ს,
არც „მიირთვი“-ს, არც „როგორ ბრძანდები“-ს, ამიტომ ერიდებოდა იგი
შეკრებულებას, რადგან რაც უფრო მრავალრიცხოვანი იყო ხალხი მის
გარშემო, მით უფრო მძაფრად გრძნობდა იგი მიუსაფრობას და ეს ასე
სჩვევია ყოველ მარტოსულს, სულ ერთია მეფური ბუნების მატარებელი
იყოს იგი, თუნდაც გლახაკის ძონძებისა.

ბიჭებმა უყელეს ლუკაია ლაბახუს, მოატყუეს: თარაშ ემზეარ გეძა-
ხისო, რადგან იცოდნენ: თარაშ ემზეარ განუზომელად უყვარდა ლუკაიას.
მარანში შეიტყუილეს. ღვინო შესთავაზეს. ლუკაიამ იუარა. ღვინოს არ
ესვამო.

ღვინოს არა ესვამო? ეს რა პასუხია? თუ ღვინოს არა სვამდი ქორ-
წილში რად მოდიოდით? მაშ ნეფე-დედოფალის ცუდი მეფეხური ყო-
ფილხარო, შენ ამ ოჯახის დაქცევა გნდომიაო?

დედის სული დაიფიცა ლუკაია ლაბახუამ. პურის ნამუსრევი აიღო.
ამის მადლმა ღვინოს არა ესვამო. დაუმოწმა ბიჭებს აფაჭიძის ოჯახი-
სადმი ერთგულება. ვერც ამ ფიცმა უშველა. არ გვჯერა, კიდევ დაი-
ფიცე ლუკაია. ჩააცივდნენ. ილორის მადლმა არ ესვამო.

„ილორის მადლმაო? ჰაა, ჰა ჰა... ხარხარებდნენ ბიჭები.

ილორი სადღა არისო, შენი ხარიპარია წმინდა გიორგი გაქცეულაო,
ილორს ჯვარი მოვხსენითო და ხატებს ამ დღეებში ტფილისის მუზეუმში
გავგზავნითო. ლუკაია ლაბახუამ, რა თქმა უნდა, არც კი იცოდა რა იყო
მუზეუმი, მაგრამ მაინც შეწუხდა, მუხლებში ღონე გამოეღია და იჭვე
ჩაჯდა. მაშინ დააცხრნენ ბიჭები. საესე ყანწი მიაყენეს. პირველ ყანწს
ვაუძალდა ლუკაია, მას სიმთვრალე აროდეს გამოეცადა, ისევე როგორც

ქალის სიახლოე, მაგრამ მეორე და მესამე ყანწი ისე გამოსცია, მაინც და მაინც დიდი ჯაფა არც კი დასდგომია ბიჭებს.

იბორიალა, იბორიალა ლუკაია ლაბახუამ და ძლივეს მიაგნო, ქანდრის ქვეშ მრგვალ ჯარგვალზე წამომსხდარ თამარს, ძაბულის, კაროლისას, არზაყანს და თარაშ ემხვარს. ისინი განმარტოებულნი ისხდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ დღევანდელი დღის გამო. ამბობდნენ: დღის მსაჯე-ბი მიუყერძებელი ვერ აღმოჩნდნენო, საშუალო მარულა კაც ზემბაიამ აიღო და მალაზონიას მიუსაჯესო, ხოლო მცირე მარულა აბდულა რამაზ ოღლის ნაცვლად ლაკირბაიასათვის მიუსჯიათო.

თარაშ ემხვარ თამარის გვერდით იჯდა და განმარტოებულად მდგარი ლუკაია რომ შენიშნა, პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი ხომ არ გექნებაო? შეეკითხა ლუკაიას, თუმცა ასანთი ჯიბეში ჰქონდა. ცეცხლი არა მაქვსო, ამბობდა ლუკაია, იქ მივიდეთო, ხელით ანიშნებდა ცაცხვისქვეშ გაჩაღებულ ცეცხლზე. თანაც ძლივეს აბრუნებდა ენას და მუხლებიც ეკეცებოდა.

ცაცხვსა და ქანდარს შორის ახალგაზრდები ზიშნიმებდნენ, ლუკაიას არ უნდოდა მათ მოჩვენებოდა; მიუხედავად ამისა, თარაშის მხარმარტხ-ნით მიმავალმა ზურგიდან მოუარა მას, მხარმარჯვენივ ამოუღვა და ცეცხლამდის კერამდის მიასწრო; ღველფი გამოიღო, ცეცხლი მიაწოდა. თარაშმა შენიშნა: ლუკაიას ხელი უკანკალებდა, პირიდან ღვინის სუნი ამოდიოდა — მიხვდა: ბიჭები უთუოდ შეაწუხებდნენ მთვრალ ლუკაიას. მადლობა უთხრა, იდაყვს ზემოდ მკლავზე წაავლო ხელი ლუკაიას, მთელი ეზო გაატარა და ძველ ციხეს მიაშურეს ლუკაია ლაბახუამ და თარაშ ემხვარმა.

ძველთაძველი, ზღვისპირა კოშკი ფეოდალისა სანახევროდ დაღეწილი იყო; ქონგურები ჯერ კიდევ შერჩენოდა სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედელს, დასავლეთის კედელი სანახევროდ დანგრეულიყო, ამ ნანგრევებზე ლეღვისა და თხილის მოზრდილი ხეები ამოსულიყვნენ. მთავარ ნაგებობის გვერდით ბათმანის დარი მცირე კოშკი იდგა, მას არც კარი უჩანდა და არც ფანჯარა, არც თუ მისასვლელი ან ხერგელი რამ. ვრდო სავსებით სწორი იყო, ამ ვრდოზედაც ხეები ამოსულიყო ბუჩქოვანი. თარაშ ემხვარმა აქ მოირთხა. ჯირითით, მგზავრობით და ხალხის ზიშნიმით დაქანცულმა, ლეღვის ხეს მიაყრდნო ტანი, ნებიერად გაიჭინთა სახსრები, დიდხანს მღუმარედ გასცქეროდა მთვარისაგან მოსვეადებულ ზღვას.

ზღვა წყნარად და უდრტვინველად სთვლემდა. ასე ეგონებოდა კაცს, ზღვა კი არა ველი არისო მოლიბრო ჯეგილით მოსილი, დასავლეთით ფრთა გაშლილ ქურუმებსავით ეთეროვანი ღრუბლები უძრავად ეკიდნენ სფეროში და ცის შუაგულიდან მოყოლებული სამხრეთისაკენ, შორს, ვიდრემდის თვალი მისწვდებოდა გაჭინთულიყო, თეთრ ეტრატსავით წაგრანგილი ღრუბელი, თხელი, გამსქვირვალე და მთვარისაგან გაბრწყინებული. ხოლო ჩრდილოეთისაკენ ზღვასა და ცას შორის გახიდულიყო

ორფრთიანი მრუმე ღრუბელი, რომელსაც ისე საოცარად ეტყობოდა ადამიანური ფორმა თავისა, ასე იტყოდა: უზარმაზარი ირიბფრთებიანი სატანა გაბირულაო ზღვისა და ცას შორის. ეძინა ორივეს. ზღვისა და ცას. ლაპლაპებდა შორიდან ხარიპარია ვარსკვლავი და გამდნარი ოქროსფერად მოკაშკაშე მთვარე რძისფერ სინათლეს ათოვდა რულმოდებულ ზღვას.

„რამდენი ხნის იქნება ეს ციხე, აა, ლუკაია?“

ლუკაია კოშკის კიდესთან დაცუკებული იჯდა, ორივე იდაყვი მუხლის-თავებზე დაეყრდნო და ზელის გულეში ორივე ლოყაზე მიებჯინა, ისე დალეული, საოცარი მოსიანდა მთვარის შუქზე განათებული, ასე იტყოდით ბავშვად ქვეულაო თეთრწვეროსანი მოხუცი, უფრო ზღაპრულ კომბლესა ჰგავდა ლუკაია, ვიდრე ადამიანს, უფრო მოჩვენებას, ვიდრე ზორციელს. იგი ზღვას ვასცქეროდა ფიჭვებში ვართული.

— „აჰ... რა სთქვი შურივე?“ თავაზიანად შეეკითხა თარაშ ემხვარს.

— „მე გეკითხებოდი ლუკაია, ეს ციხე რამდენი ხნის იქნება მეთქი?“

და ეს სიტყვები ისე ხმამაღლა ჩასძახა ყურში თარაშმა ლუკაიას, თითქოს ლუკაია მთვრალი კი არა, ყრუ ყოფილიყო.

— „ეს კოშკი შურივე, ალბად იმ მთვარესავით ძველია. დედა ჩემი ვაყიდეს ამ კოშკში, მე სულ ერთი ციდა ვყოფილვარ, აქედან რომ გამოვეყვანივართ, შურივე“.

თარაშ ემხვარ დადუმდა.

მართლაც და ვინ იცის ვინ არ ყოფილა ამ კოშკში, ფიჭვობდა იგი, ეგებ ბერძნები აქ ყოფილიყვნენ, იაზონი და მისი მზღებელნი, ალბად ლაზებს სჭერიათ ოდესმე, მერმე ბიზანტიელებს, ვენეციელებს, ქართველებს და თურქებს. ვინ იცის რამდენ ერს დაუსერავს იმ ზღვის გული თავის ნიჩბებითა და გემების ჭვინტებით.

თარაშ ემხვარ სიგრძეზე გაიშხვართა კოშკის ზეთაეზე.

გულმკერდზე ზელდაჭდობილი შესცქეროდა ხან ზღვასა, ხან ცას, ხან ლუკაიას გადახედავდა. ახლა მას არაფერი უნდოდა სხვა, აქ დარჩენილიყო, ამ ნამცვარევე ამო ბალახის რბილ და სურნელოვან სარეცელზე წამოწოლილი... ბალახი დაცვარული იყო და ალმასის საყურებზე კიანთებდნენ ბალახებისა და ველური ყვავილების კლერტობზე.

ისევ შეეცოდა თარაშს მარტოხელა, დარდიანი მოხუცი და კიდევ გადაუგდო სავესებით უსაზნნო კითხვა. ილორში თუ ყოფილხარო? ეკითხებოდა.

— „ილორში თუ ვყოფილვარო, შურივე? ილორში შეიდი წელიწადი მნათეთ ვიყავი, შურივე. ჩემი ბატონი აქ სწირავდა წინად, ვიდრე დეკანოზობას მიიღებდა. ვინ იცის, რამდენ ათას კაცს გადაუვლია ჩემს შურგზე ვიორგობას შემდეგ“.

— „როგორ თუ გადაუვლია, რას ამბობ ბეჩა ლუკაია?“

— „რას ვამბობ შურივე? მე ილორის შეწირული ვიყავი მაშინ.“

თავქვე დავეშობოდი ტაძრის შესავალთან, დიდი და შიშველი ვადამ-
ჯეგავდა, ვადამივლიდა და ისე შედიოდა ილორში“.

თარაშ ემხვარმა კარვად იცოდა ასეთი რამ თეთრი ვაშლის კულტში
რომ შედიოდა, მაგრამ განგებისად გამოკითხავდა ლუკაიას, რასთა ვაჟგო,
როგორ განიციდიდა იგი ამ დროში ამ ძველ წამებას.

მორწმუნე არა გრძნობს ტკივილს, როცა იგი ლეთაების ზეარაკი გა-
ხდება შურივე. მაგრამ ჩემმა ცხოვრებამ ისე ჩაიარა, დიდი და შიშველი ჩემს
ზურგზე ვადადიოდა შურივე“. ამბობდა ლუკაია მეგრულად.

თარაშ ემხვარ დაფიქრდა. მართლაც საშინელი საღიზნია იმ წამება-
ში, რომელსაც ღმერთი მოითხოვს თავის მსხვერპლისაგან. იგი გულარეუ-
ლი ფიქრობდა თუ როგორ მივიდა ქრისტეანობა ადამიანის სისხლისმის-
კულტამდის: ან თეთრი გიორგის მონის წამება რად უნდა ყოფილიყო
მილიონების ცხოვნების საწინდარი.

იგი ფიქრობდა, ფიქრი ფიქრს გამოენთო, როგორც ერთ ფუტკარს გა-
მოუდგება ხოლმე სხვა ათასი, როცა დედაფუტკარი სკას გამოეყოფა. და
ისეთ შემთხვევაში თარაშ ემხვარ თვალს ზუქავდა და თითებს მაგრად
დააბჯენდა დახუჭულ თვალებს.

— „მე ერთი იგავი უნდა გიამბო ამის გამო შურივე“. დაიწყო ლუ-
კაიამ.

თარაშ გაოცდა, მას აროდეს სმენია, ლუკაიას რაიმე დალაგებულად
რომ მოეთხოვო, თვალეში გაახილა, ლუკაიას ვადახედა. ასე ეგონა: ლუ-
კაიას ფერი უცვლიაო ამ მთვარიან ღამეში. მაგრამ გაიტრუნა და ლუკაიამ
განაგრძო.

და ქართულად ამგვარი იყო ლუკაიას მიერ მეგრულად ნათქვამი
იგავი:

„თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ მაღალ, ძლიერ მაღალ ხის ქვეშ.
ამ თორმეტში თერთმეტი ბრმა ყოფილაო. და ამ ერთმა თვალხილულმა
ნახა თურმე ამ ხის ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ
ბუმბულით მოსილი. სახილველად საამური იყო ფრინველი იგი. მაგრამ
დანარჩენი თერთმეტი ვეღარ ხედავდა მშენებებს მისას.

თვალხილული აღუტანცია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს. მაგ-
რამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედისაშოდანვე.

ხე მაღალი იყო, ქაცვებიანი, არც თუ კიბე სჩანდა სადმე ზედმისა-
დგომი. მაშინ უქადაგა კოჭლმა ბრმებს. დაიყოლია, კაცი კაცზე შემდგა-
რიყო და მეთერთმეტეს თავათ შემოქცეოდა.

და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმან, მეთერთმეტეს ფეხზე
შეადგა ფეხი, სულ ქვევით მიწაზე მდგარმა, ზევიდან დათვლით, კაცმა
უკანასკნელმა, არ ინდომა თერთმეტი სულის ტვირთვა, წაიქცა მაშინ
განგებისად კაცი იგი უკანასკნელი და ცოცხალი კიბე წაიქცა მყისვე.

თვალხილულმა ხელი ააცდინა იმ საოცარ არსებას და ხელშეუვლემა
გაფრინდა თურმე უცხო იგი ფრინველი“.

— რად ამბობსო ამას ლუკაია? შეეკითხა თარაშ ემხვარ.

— „ისე ჩემთვის გამბობ შურივე?“

ცას ფერი ეცვალა ანაზღეულად, ჩრდილოეთით დაკრძალული შრომე-
ლორბელი უფრო გაშავდა. მდუმარედ იწეა პირაღმა თარაშ ემხვარ და
გასცქეროდა თუ როგორ უჩინარად ეპარებოდა უფრო მუჭი, თალხი ფე-
რები ნამრუდისფერად ქცეულ ზღვასა და ცას.

სადღა იყო ზღვა, ზღვა უკვე აღარ სჩანდა და მოაგონდა მას აპოკა-
ლიპსის სიტყვები, ზღვა უკვე აღარ იყო, რომ დაწერილა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი ლონია

ტფილისის განთიადები

1. გათიადებისას შერძევე მოვა

გათიადებისას შერძევე მოვა
მას გაეღება პირველად კარი
გაიშრიალებს ოთახში ყანა
ოჭროს ეფენებით დარეკავს მტკვარი.

ქცეულა ქართლი ზურმუხტის ზღვითა,
მოფრიალებენ ტყემლის აფრები
და ფიროსმანი დუქანში ხატავს
ქიქა არაყზედ ფრინველს გაფრენილს.

ვიცი, ტფილისი ჰხედება განთიადს,
ღრუბელს ჰკიდია იის ბუჩქები,
ვიცი, რა ცეცხლიც გულში ანთია
და მდიდარი ვარ დასაჩუქრებით.

მიყვარს დილის ცა, ზღვები, ქალაქი,
მიწა მერცხლის ფრთით შემოხაზული
და სადღაც ერთი მცირე ქალაქი, —
ძველი საძირკვლით მიწას ჩასული...

2. მე ვკითხულობდი კართლის ცხოვრებას

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დიდხანს გათიადამდი, —
როგორ გლეწავდენ ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი.

გამოვეარდები:

ხარ, თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩება? —
ვხედავ შენ სახლებს,
ვხედავ შენ აბრებს
და მიხაროიან, რომ ისევ დგებარ...



შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
აბაღ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას,
ამ ვარდებს, ვისაც არგუნებ...

რა საჭიროა ლექსისთვის ტაში ,

რა საჭიროა ლექსისთვის ტაში,
ყველა ზევსური ვიცი, — დანტეა;
ვიცი, ბელურას პატარა ფრთაში
არხისტრატის ცეცხლი ანთია.

ვიცი, დამდნარი თოვლის წკრიალი, —
ბესიკის ხმაზედ უფრო ტკბილია;
ქვაც ყველა არი ნაპერწკლიანი, —
გული რომ იყოს, — გასაკვირია?

ს. რ ა ნ ბ ა

ს ე ი ზ ი უ ი *

მოთხრობა

ი. აღლაძის თარგმანი

თ ა მ ი VI

სოფლის საბჭოს შენობის წინ ცხენოსანი გაჩერდა, მათრახით ჰაერო გააბო, შემდეგ გადმოხტა ცხენიდან და სადავე პატარა ბიჭს გადაუდლო-მერე მოკეცა, ორად მათრახი და ჩაირჭო უკან სარტყელში, რომელიც მაგრა ჰქონდა შემოკეტილი წვრილ წელზე. მისი მოხდენილი ტანი კობ-ტად იყო ჩამჯდარი მოკლე ჩოხაში. თავზე ლამაზად ჰქონდა შემოხვეული ჩაბალახი, რომლის ფოჩიც მარცხენა ლოყასთან ეკიდა. ღონიერ ფეხებზე ყელიანი წულეები ეცვა.

— დილა მშვიდობისა! — გადასძახა მან სოფლის საბჭოს წევრებს, რომელნიც ცაცხვის ქვეშ ისხდნენ.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს! — მიუგეს მათ და დააპირეს ფეხზე წა-მოდგომა.

— ისხედით, ისხედით! — კვლავ გადასძახა და მტკიცე ნაბიჯით გაე-მართა სოფლის საბჭოსაკენ.

ახლადმოსული სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო — ახალგაზრდა, აქტიური მუშაკი ღარიბთაგან. დაბრუნდა შორი უბნიდან, სადაც ჩაატარა კრება თესვის კამპანიის შესახებ.

თავმჯდომარე შევიდა სოფლის საბჭოს ფართო დარბაზში. კედლებზე ბელადების სურათები ეკიდა. ერთ-ერთ კუთხეში ეყუდა ცაკის გარდამა-ვალი დროშა, რომელიც სოფელმა მიიღო თამბაქოს დარგვისა და ალბის საქმეში მიღწეულ პირველობისათვის.

კუთხეში მოსჩანდა მარმარილოს ბუხარი. მის გვერდით კედელზე ოდ-ნავ ემჩნეოდა ადამიანის ნახევარი სახე ცალი თვალით, რომელიც გეზად, მტრულად გამოიყურებოდა, და ნახევარი გვირგვინით თავზე. ეს იყო განრისხებული ხალხის მიერ რევოლუციის დღეებში განადგურებული სურათის ნაშთი. იგი როგორცაა ვადარჩა დასახიჩრებული სახით. ყო-ველივე ეს მოწმობდა, რომ შენობა, სადაც მოთავსებული იყო სოფლის საბჭო, ოდესღაც თავადს ეკუთვნოდა.

ერთ მხარეს საწერ მაგიდასთან იჯდა და კალამს აწრიპინებდა კაცი, რომელსაც წამწვეტებულ გამხმარ ცხვირზე სათვალეები ჰქონდა ჩამოფხატული. ეს იყო სოფლის საბჭოს მდივანი, ძველად სოფელის მწერალი. მელოტი, გადატიტვლებული თავი ძალზე უბრაწყნავდა მწერლის ირგვლივ ნაფლეთებად ეკიდა შეჭლარავებული თმა. სახის კანი დანაოცებული ჰქონდა.

ძველი მწერალი ვერ იქნა ვერ შეეგუა ახალ მუშაობას, მუშაობას საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, ისეთი მდივნის, რომელიც, თავის საკანცელარიო მუშაობის გარდა, უნდა ეხმარებოდეს საბჭოთა მშენებლობის ყოველ საკითხს, რომელიც აქტიურად უნდა მუშაობდეს. ხანგრძლივმა ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულმა მუშაობამ ძველი რეჟიმის დროს მასში ყველაფერი ჩაახშო და ახლა თავისი ქალაქების მეტი მას არაფერი აინტერესებდა. მთელ მის აუჩქარებელ მოძრაობასა და მოქმედებაში აშკარად მოსჩანდა „ძველი კანცელარიის თავი“. დღემდე ვერ გადაეჩვია იგი სიტყვებს „ჩემო ბატონო“*), იმდენად ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში მონობა უფროსებისადმი. ამ დღეებში ის უნდა შესცვალოს ახალმა მდივანმა. სოხუმიდან მოელოდნენ ადგილობრივ კომკავშირელს, რომელიც გაგზავნილი იყო სოფლის მდივანთა მოსამზადებელ კურსებზე.

— ფოსტა მიიღე? — ჰკითხა თავმჯდომარემ და მაგიდასთან თავისი ადგილი დაიჭირა.

— მივიღე, ჩემო ბატონო! — მიუგო ჩვეულებისამებრ მან.

— თუ კაცი ხარ, არაფერი გამოსტოვო მიღებულ ქალაქებში, ყველაფერი მითხარი. მე კითხვა არ ვიცი, საქმე კი გაცეთებას მოითხოვს! — სთქვა თავმჯდომარემ საქმიანად და საყვედურის კილოთი დაუმატა: — რა უთხრა ჩემ მშობლებს, რომ განათლება არ მომცეს! — და მოემზადა მოსასმენად.

მდივანმა გაისწორა ცხვირზე სათვალეები და დაიწყო დინჯად რაილმასკომიდან მიღებული ქალაქების სინჯვა. დიდხანს არჩევდა ქალაქებს, დაჰყურებდა მათ ხან სათვალეებიდან, ხან სათვალეებს ზევიდან. ბოლოს, ამოარჩია ერთი და შეანათა სათვალეები თავმჯდომარეს.

— აი ეს ქალაქი სასწრაფოა, ჩემო ბატონო, — სთქვა. — მოითხოვენ სამ დღეში გავათაოთ ფულადი სახსრების მობილიზაცია. — და, ჩვეულებისამებრ, ჩაიკითხა ქალაქი თავიდან ბოლომდე, არ გამოსტოვა არც თარიღი და ნომერი და არც რაილმასკომის მდივნის გვარი. წაიკითხა, კვლავ შეანათა თავმჯდომარეს სათვალეები და სული განაბა, თითქოს ამით ეუბნებოდა: „მე გავათავე, ჩემი საქმე გავაკეთე და ახლა თუნდ ქვეყანა გადაბრუნდეს! ქალაქის შინაარსის პრაქტიკულად განხორციელება მე არ მეკითხება“. მერე პირი მიიბრუნა და დამწვიდებულმა თავი ჩაჰყო მაგიდაზე გაშლილ ქალაქებში.

*) მდივანი ნახევრად აფხაზი, ნახევრად მეგრელი იყო.

თავმჯდომარე ოდნავ ჩაფიქრდა, მერე ფეხზე წამოდგა.

— აუცილებლად ვადაზე უნდა შევასრულოთ! — წარმოსთქვა მან გადაკრით და მიმართა მდივანს: — რამდენი შემოვიდა და რამდენი კიდევ ასაკრეფი?

— შემოვიდა ათასი მანეთი და შემოსასვლელია სამასი, — მიუგო მდივანმა.

— ხვალ და შემდეგ დღეებში შევასრულებთ! — წარმოსთქვა თავმჯდომარემ მტკიცედ და დაუსტვინა.

შემდეგ გაახსენდა სხვა სამუშაოებიც: საგზაო მშენებლობა, სასკოლო საქმე, კოოპერატივი, თესვის კამპანია... დახმარება უჯრედს... დახმარება კომკავშირს...

— გამიგონე, მიხა! — მიმართა მან მდივანს. — შეადგინე საქმეების ნუსხა და ყოველდღე გამახსენე, რომ სხვა სოფლის საბჭოებს არ ჩამოვრჩეთ!

ამ დროს კარმა ოდნავ დაიჭრაქუნა და გამოჩნდა ჩაბალახში ვახვეული თავი. ჩაბალახიდან გამოიყურებოდა მოლიმარე, დანაოჭებული სახე თხელი ნაცრისფერი წვერით.

— შეიძლება, დად, შემოვიდე? — მოკრძალებით იკითხა ჩაბალახიანმა.

ა-ა-ა, ხაზგერ! შემოდი, შემოდი! რაღას კითხულობ? უცხო ადგილას ხომ არა ხარ, შენი სოფლის საბჭოა! — ღიმილით მიუგო თავმჯდომარემ, და ფეხზე წამოუდგა ახლად შემოსულს. მოხუცი ვაახარა ასეთმა თბილმა მიღებამ.

— ეჰ, დად! ახლაც მახსოვს, როგორ გამაგლო ურიადნიკმა კისერში ცემით ჩვენი სოფლის სამმართველოდან. — ჩაილაპარაკა მან მაგიდასთან მისვლისას.

— აღარ არის, ჩემო ხაზგერ, აღარც ურიადნიკი და აღარც მამასახლისი. არა მეფის, ურიადნიკის, მამასახლისისა და ყაზილბაქის, არამედ საბჭოთა ხელისუფლებაა ახლა. სოფელს ვანაგებთ თქვენ და თქვენი შვილები. თუ ისინი ცუდად მუშაობენ, შევიძლიანთ შესყვალთ, ამოირჩიოთ ახლები, უკეთესები. აი როგორ არის საქმე, ხაზგერ! — მიუგო საბჭოს თავმჯდომარემ და სკამი დაუდგა.

— სასიამოვნოა, დად, სასიამოვნო მაგის ვაგონება. ალახი იყოს შენი შემწე! — სთქვა ხაზგერმა და დაეშვა სკამზე.

— რისთვის მოსულხარ, ხაზგერ, რა საქმე გაქვს? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ბევრი გადასახალი შემაწერეს, დად, ამიტომ მოვედი შენთან. — მიუგო მოხუცმა და შეუდგა რალაციის ძებნას ჭეითარებით და ბარათებით გაჭედულ ძველ, გაცვეთილ ტყავის ქისაში. იყო იქ როგორც ძველი რევიმისა და მენშევიკების ბატონობის, ისე საბჭოთა ხელისუფლების დროს მიღებული ქალაღებები. ზოგი ხანგრძლივი დებისაგან გაშავებული და გაჭონილი იყო, ზოგიც თეთრად პრიალებდა. და ყველა ამას მოხუცი ფრთხილად ინახავდა იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმე გამოედავებოდა.

დიდხანს ეძებდა მოხუცი რომელიღაც ქალაღდს. თავმჯდომარემ წინადადება მისცა, ეჩვენებინა თავისი ქალაღდები მღიევისათვის და ის მოუძებნიდა საჭირო ქალაღდს.

— ამ წუთში, დად, ამ წუთში. ნიშანი გაუკეთე ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ კოხუცმა და ამოაძრო ახალი ქალაღდი, რომელსაც ერთ კუთხეში ნახშირით ჯგარი ჰქონდა დასმული. — აი, დად, ეს არის. გუშინწინ მივიღე. აქ როგორც მითხრეს, სწერია, რომ მე მყავს ორი ცხენი და სამი კამეჩი. ნამდვილად კი მყავს ერთი ცხენი და ორი კამეჩი, — სთქვა მან და გადააწოდა ქალაღდი თავმჯდომარეს.

თავმჯდომარემ ჩამოართვა, შეამოწმებინა შინაარსი მღიევის და სთქვა:

— ხვალ თქვენს უბანში ვიქნები, ხაზგერ. შემოვივლი, შენთანაც, შევამოწმებ ყველაფერს და შეცდომას გამოვასწორებთ.

— კარგი, დად. უკანონობა არ უნდა მოხდეს. თორემ კანონით რაც გერგებათ, მზად ვარ გადავიხადო. მოდი, დად, გადაგეხეო, — სთქვა გულთბილი მღიებით გახარებულმა ხაზგერმა, წამოდგა, მაგიდას შემოუარა, გადაეხეა თავმჯდომარეს და მერე კარებისაკენ გაემართა, თან ლოცავდა თავმჯდომარეს და საბჭოთა ხელისუფლებას.

დაუძახეს სხდომაზე სოფლის საბჭოს წევრებს.

დარბაზში შესვლისას უფროსები ერთმანეთს უთმობდენ გზას. უფროსებს შემდეგ შევიდენ კომკავშირელები — საბჭოს წევრები.

სეიდიცი როგორღაც ყველაზე ადრე შევიდა. ადგილი მან მაგიდის მახლობლად დაიჭირა, პირით დანარჩენ წევრებისაკენ, რომლებიც დარბაზში ჩამწკრივებულ გრძელ სკამებზე ისხდენ.

მფილდი ჩვეულებისამებრ მძიმედ დაეშვა სკამზე მაგიდის ბოლოში, ჩაახველა, მიტრიალდა კუთხისაკენ და გადააფურთხა. შემდეგ წვერულვაშზე ხელი ჩამოისვა, ამოიღო ჩიბუხი და შეუდგა თამბაქოს ჩაყრას.

კომკავშირის სკამებიდან ხმაურობა მოისმა.

ხანში შესულები ჩუმად ისხდენ.

მფილდემ გატენა ჩიბუხი და პირში ჩაიღო, მერე ამოიღო ტალ-კვეცი და აბედი და რამდენჯერმე ჩამოჰკრა. ცეცხლ-მოკიდებული აბედი ჩასდო ჩიბუხში, ცერის ფრჩხილი დააჭირა და დაიწყო წევა, მცირე ხნის შემდეგ პირიდან გამოუშვა ხშირი ნაცრისფერი კომლი, ერთხელ კიდევ დააჭირა ჩიბუხს ფრჩხილი ზევიდან; ასწია თავი და გადახედა კომკავშირელებს.

— თქვენ ეი, კომკავშირელებო, ჩუმად იყავით! — გადასძახა მღილით.

ერთმა კომკავშირელმა ხმამაღლა გაღიხარხარა. მალე მას მთელი დარბაზი აჰყვა.

მფილდი მიხვდა, რომ სიცილი მისმა შენიშვნამ გამოიწვია, გულკეთილად გაიღმა და ჯოხით დაემუჭრა კომკავშირელებს.

ამ დროს წამოდგა საბჭოს თავმჯდომარე, დარბაზში, სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს განსახილველი გვაქვს ერთი საკითხი, რომლის შესახებ ილაპარაკებს კუბრიცი. სიტყვა შენ გეკუთვნის, — მიმართა მან კუბრიცს.

კუბრიცი ფეხზე წამოდგა, მცირე ხანს ჩემად იდგა, ყოფილყოფილებს იკრებსო, შემდეგ ქული მაგრა ჩამოიფხატა და შეუდგა ღამაჯისკენ ლაპარაკობდა მტკიცედ, თან ყოველ წინადადებაზე მაგრა მოკუმულ მუშტს იშველიებდა.

— სოფლის საბჭო სოფლის ბატონ-პატრონია. ის ადგილობრივი ხელისუფლებაა. საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას ის უნდა ჩაუდგეს სათავეში, მან უნდა გაატაროს ეს ღონისძიებები ცხოვრებაში. ჩვენ, სოფლის საბჭოს წევრებს, გვეკისრება დიდი პასუხისმგებლობა როგორც იმათ წინაშე, ვინც ჩვენ აგვირჩია, ისე საბჭოთა მთავრობის წინაშე...

— სწორია, დად, სწორი... აბა, აკებროუს*) სათამაშოდ კი არ შეგვკრიბებს აქ... — ჩაურთო თავის ქნევით კედელთან მჯდომმა ბაზალამ.

— ჩვენ, საბჭოს წევრებს, — განაგრძო კუბრიცმა, — სერიოზული მუშაობა მოგველის...

— როგორი? — წამოსცდა უნებურად ერთ კომკავშირელს, რომელიც გულმოდგინედ უგდებდა ყურს კუბრიცს.

— გაჩუმდი! რას ეჩრები? — ჰკრა ხელი მეზობელმა კომკავშირელმა.

— ჩუმად! ყური დაუგდეთ! — შენიშნა მახლობლად მჯდომმა კომუნისტმა ხაბახუმ.

— ახლავე ვიტყვი, — მიუგო კუბრიცმა უნებურ კითხვაზე კომკავშირელს და განაგრძო: — ჩვენს მთავრობას უნდა აამაღლოს გლეხის მეურნეობა, მისი კეთილდღეობა, მაგრამ არა მამაპაპური ზერხებით, არამედ მეურნეობის წარმოების ახალი ფორმით... ეს არის კოლმეურნეობა...

— მივხვდი, — წამოსცდა კუჭირს, როდესაც კუბრიცმა გაამართლა მისი მოლოდინი და კოლმეურნეობაზე დაიწყო ლაპარაკი.

— ლენინი სიკვდილის წინ ამბობდა, — განაგრძო კუბრიცმა, — რომ „შოლოდ კოლმეურნეობა იხსნის მშრომელ გლეხს სიღარიბისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი საქმე წასულია! კულაკი — აფთარი — უკანასკნელ სისხლს გამოსწოვს მას“... და ჩვენ მტკიცედ უნდა დავადგეთ ამ ნაჩვენებ ვზას, — განაგრძო კუბრიცმა და კიდევ დიდხანს ილაპარაკა კოლმეურნეობის მნიშვნელობაზე.

როდესაც კუბრიცმა ლაპარაკი გაათავა, თავმჯდომარემ წინადადება ზისცა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი. არავის არ უნდოდა პირველს დაეწყო ლაპარაკი. ახალგაზრდობას მრავალი კითხვა ჰქონდა მისაკენი, მაგრამ უფროსების პატივისცემით გაჩუმებული იყო, უცდიდა მათ გამოსვლას.

სეიდიყი ვითომ ფიქრებში ვართული იჯდა. ნამდვილად კი სხვების შეუმჩნეველად თვალებს აშტერებდა მის მიერ წაქეზებულ მასას, სელიმს

*) აკებროუს — ერთჯერა თამაშობაა.

და სხვებს, რომლებსაც ანაც მოელოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ გალაშქრებას.

მისა, რომელიც იჯდა მესამე რიგში, საბჭოს წევრებს, მუხრანელ-სვენრად ტოკაედა, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, ხან კოლმეურნეობისაგან იყურებოდა. მან არ იცოდა — ახლავე დაეწყო თუ ჯერ მოეცადა.

კუნაჭი ჩაფიქრებული იჯდა და ენის წვერით კბილებს იჩიჩქნიდა.

თავმჯდომარემ გაიმეორა თავისი კითხვა.

სედიციმა გაუბედავად დაიწყო:

— შეუდგეთ, დადრია, განხილვას, სთქვით რამე...

— შენ თითონ სთქვი, სედიცი! ჩვენ რატომ უნდა ვილაპარაკოთ? — ეწვინა მოხუც ჩახმათს, რომელიც სხვების მოშორებით იჯდა და კბილებით წვერის ბოლოებს იწიწქნიდა.

— რა იყო, ჩახმათ?.. ვიტყვი... რასაკვირველია, ვიტყვი!.. — მიუგო სედიციმა, რათა მასზე რაიმე ეჭვი არ შეეტანათ. სედიცის არ უნდოდა პირველს ელაპარაკა კოლმეურნეობაზე. ეშმაკ მოხუცს სურდა ჯერ სხვების აზრი გაეგო. მაგრამ ამ დროს კომუნისტმა ხაბახუმ გამოიყვანა იგი გაჭირებულ მდგომარეობიდან.

— რას გაეჭუმებულვართ? — დაიწყო მან, ჩაიცინა, და მიმოიხედა, მაგრამ გაახსენდა, რომ თავმჯდომარის ნებადაურთველად ლაპარაკობდა და ღიმილით მიმართა მას:

— იძლევი სიტყვას?

— ილაპარაკე, ხაბახუ! შენ უკვე აღებული გაქვს სიტყვა, — გაიცინა თავმჯდომარემ.

— ჰა, კუბრიცი? — დაიწყო ხაბახუმ ირონიით. — უშველებელი კეტი უნდა დაგეცხო, დად, თავში... რადგან კარგის გაგება არ გვინდა...

— მე, მგონი, გარკვევით ვლაპარაკობდი! — გაიღიმა კუბრიციმა.

— კარგი საქმე გვიჩიე, დად, კარგი საქმე... მაგრამ ჩვენ არ გვინდა გავიგოთ...

— თუ აგრეა, შედი შენ თითონ კოლმეურნეობაში! — ჩაიბუტბუტა მისამ, მაგრამ თითონვე შევშინდა თავისი სიტყვებისა და გაიფიქრა: „საშინელი ხომ არაფერი ვთქვი“ —ო. მიმოიხედა აქეთიქით და, დარწმუნდა რა, რომ ყურადღება არავის მიუქცევია მისი სიტყვებისათვის, დაწყნარდა.

— ეისი ხელისუფლებაა? ჩვენი, — განაგრძო ხაბახუმ. — განა ეს ხელისუფლება ცუდს მოისურვებს ჩვენთვის? არა, არ მოისურვებს!..

— კომუნისტი ხარ და იმიტომ ლაპარაკობ მაგრე! — წამოიძახა თავისი წრიპინა ხმით გამზმარმა სელიმმა.

ეს არ მოეწონა მფილდის.

— ე-ე-ე!.. რას ამბობ, სელიმ? მერე საბჭოს წევრი მაინც არ იყო!.. განა შეიძლება?.. როგორ?.. რანაირად?.. — და აღშფოთებისაგან შესაფერი სიტყვები ვერ გამოეძებნა მფილდის.

— რა ამბავია, რას აშინებ! — გამოესარჩლა სელიმს კუნაჭი.

— საქმეზე ილაპარაკეთ! — შენიშნა თავმჯდომარემ. მგერამ მისი უკრს აღარ უგდებდენ.

— მაღალი ხმა ვაქვს და გგონია, შეგიძლია იყვირო! — მისი სიტყვით კუნაქმა. — რანაირ კაცად გაგაჩინა ღმერთმა! ისერი წიგნებს, მძიმე, ცარიელ სიტყვებს! ფუი! — გააფურთხა მან.

— ჰეი, ვის აფურთხებ, კუნაქ? — იწყინა მფილდომ. — შენ რომ ჩემზე ახალგაზრდა იყო, სხენაირად მოგეტყუოდი!.. — არა წყნარდებოდა მფილდი. მერე სელიმს მიუბრუნდა: — ცუდად სთქვი, სელიმ, რა შუაშია კომუნისტი? ჰა? აი მე უპარტიო ვარ, მაგრამ პირველი შევალ კოლმეურნეობაში, როცა მოეწყობა!..

ბევრმა ამ სიტყვებზე ტაში დაუკრა. ამით გამხნეებულმა მფილდომ დაჰკრა ჯოხი იატაკს, შეხედა კუნაქს და გაიმეორა:

— ჰო, ჰო! პირველი შევალ კოლმეურნეობაში, პირველი!..

სეიდიყი ვაფაციცებით ადევნებდა თვალს უკრს ყველაფერს. იმედი დაეზარდა, რომ სოფლის საბჭო უაყოფს კოლმეურნეობას.

უკმაყოფილო იყო, რომ მისა ხმას არ იღებდა. სეიდიყი დააშტერდა მისას და როდესაც ამ უკანასკნელმა მისკენ მიიხედა, თვალით ანიშნა — ხმა ამოიღეო. ეს შენიშნა ჭობლუხმა, რომელიც მისას წინ იჯდა.

— რა გინდა, სეიდიყ? მე მანიშნე? — ჰკითხა მან.

— არა... დად... ისე... რაღაც ჩამივარდა თვალში... — დაიძვრინა თავი ეშმაკმა მოხუცმა უხერხული მღვთმარეობიდან და შეუდგა თვალის სრესას.

მისამ მოხუცის გავლენით, ბოლოს, გადასწყვიტა გამოსულიყო. მიმოიხედა, გასამხნეებლად ხმამაღლა ჩაახველა, მერე წამოდგა, ნაბდის კალთები გადაიწია, დაეყრდნო ჯოხს, ფრთხილად გაიხედა თავმჯდომარისაკენ, ერთხელ კიდევ ჩაახველა და გაუბედავად სიტყვა ითხოვა.

სეიდიყმა შეატყო მისას გაუბედაობა და ზიზღით თავი დახარა.

— სთქვი, მისა! — ხმამაღლა დართო სიტყვის ნება თავმჯდომარემ.

„ყველამ გაიგონა, რომ სიტყვა მომცეს“, — გაიფიქრა მისამ. ახლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ერთხანს კიდევ ყოყმანობდა, ბოლოს მიმჭრალი ხმით დაიწყო:

— მე, დადრაა... თუნდაც გამაგდოთ სოფლის საბჭოდან...

— არავინ არ გავდებს! საიდან აიღე? — ვერ მოითმინა მის გვერდით მჯდომმა კომკავშირის მდივანმა კუჭირმა: — იმიტომ ხარ საბჭოს წევრი, რომ ილაპარაკო. არავინ არ გიშლის ამა თუ იმ საკითხზე შენი აზრი იტონიო. დამფრთხალს თავისი გულისცემის ეშინიაო!.. ვილაცამ დაგაფრთხო!.. ნუ გეშინია, სთქვი, რაც სათქმელი ვაქვს!

— მეც მაგრე მგონია, დად...

— ჰო და თუ აგრე გგონია, სთქვი, რაც გულში გიდევს! — მოუჭრა ისევ სიტყვა კუჭირმა.

— ნუ უშლი! როგორ იქნება? ახალგაზრდა ხარ და უფროსს მაგრე უბასუხებ! დაგავიწყდა ჩვეულება? — შენიშნა უკმაყოფილოდ სელიმმა.

— რას ჩამაცივდი, სელიმ? საქმისთვის შე მუდამ მზად ვარ პატივისცემით მოვეპყრა უფროსებს! — მიუგო მტკიცედ კუჭკრამ. სელიმი გაჩუმდა.

— ვიტყვი, დად, ვიტყვი! — მიმართა მისამ კუჭკრამს ლაფერზე... მაგრამ კოლმეურნეობა... თანახმა არა ვარ. — სთქვა მან და ხმა ისე დაუმდაბლა, რომ უკანასკნელი სიტყვები ჩურჩულად გაისმა, შემდეგ შეშფოთებული თვალით გადახედა მაგიდას და დაჯდა.

დარბაზში ჩამობნელდა. აანთეს ნავთის ლამფა. მკრთალმა შუქმა სახეები გაანათა.

— ვის სურს კიდევ ლაპარაკი? — იკითხა თავმჯდომარემ.

— მე, დად! — დაიძახა კუნაქმა და ფეხზე წამოდგა. ორივე ხელი ხანჯლის ტარს წაავლო, წელში გასწორდა და დაიწყო: — მე, დადრაა, დიდი ხანია საბჭოთა ხელისუფლებას ვუჭერ მხარს... ამე შენთან ერთად ხაბაზუ, მფილდი, ლაკობასთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი სოხუმის აღებაში... შე ძველი კერაზელი ვარ...*)

— სწორია, კუნაქ! არავის ეჭვი არ ეპარება მაგაში. მაგრამ რა გინდა მაგით სთქვა? — ჰკითხა ხაბაზუმ.

— რა მინდა?... მე წინააღმდეგი არა ვარ საბჭოთა ხელისუფლების, არც კოლმეურნეობის... მაგრამ...

— ე-ე-ე! როგორ თუ არა ხარ წინააღმდეგი?... ვანა შენ არ იყავი, რომ მედავებოდი? — მიიტანა იერიში მფილდომ. უხაროდა, რომ შემთხვევა მიეცა სამაგიერო გადაეხადა იმ მწარე სიტყვებისათვის, რომლებითაც იგი კბენდა. — რას გავს ეს, კუნაქ! — აყრუებდა მთელ დარბაზს მფილდი. — მაშინ ერთს ამბობდი, ეხლა სხვას ამბობ? ჰა? მაშინ კოლმეურნეობის წინააღმდეგი იყავი, ახლა მომხრე ხარ? — არ ცხრებოდა მფილდი, ვიდრე თავმჯდომარემ არ გააჩუმა.

გული მოუვიდა კუნაქსაც.

— მაგრე იყოს! წინააღმდეგი ვარ კოლმეურნეობის!... მაგრამ, ვამბობ, კოლმეურნეობა ალბათ კარგი საქმეა... მხოლოდ ჯერ უნდა მოვიფიქროთ, კარგად უნდა მოვიფიქროთ... ამიტომ არ უნდა აფჩქარდეთ... — დაამთავრა კუნაქმა და დაჯდა.


— მაგრე იტყოდი და გაათავებდი! რალას მიედ-მოედებოდი! — უთხრა დაბალ-ტანიანმა ხაუდმა, რომელიც მანამდე ჩუმად იჯდა კედელთან და რომელსაც დაფლეთილი ნაბნის ქუდი ეხურა.

მორიგი სიტყვა მიიღო სელიმმა. იგი სწრაფად ფეხზე წამოდგა.

მისი გამზდარი სახე ნაკლებად იყო შემოსილი ბალნით: თითქოს განგებ ჩაურჭვიათო მის ლოყებსა და ნიკაპში თითო-ოროლა ბალანი. გადაპარსულ თავზე ეხურა ჩრჩილისაგან მთლად დახრული თბის ტყავის ქუდი.

— კუნაქმა მართალი სთქვა, — დაიწყო სელიმმა წერილი, უსიამოვნო ხმით. — ჯერჯერობით არ გვინდა ეს კოლმეურნეობა... უნდა მოვიფიქ-

*) კერაზი — ბოლშევიკების მებრძოლი პარტიზანული რაზმი.

როთ... თუნდაც კაცებმა მოვინდომოთ, ჩვენი ცოლები ჩვენ წინააღმდეგ გამოვლენ...


— რატომ ფიქრობ, ნან, მაგრე? ყველა ქალი არ არის მადეკანა... არიან გაგებულებიც... გამოეკამათა საბჭოს წევრი ამინა, რომელიც სხვა ქალებთან ერთად უკანასკნელ სკამზე იჯდა.

— ხე! ხე! ხე! — გადაიხარხარა გულიანად მფილდმა. — მასე გეკუთნის შენ, სელიმ!.. კარგად გიპასუხა! ყოჩაღ, ამინა! რატომ ლაპარაკობ ყველას მაგიერ? თუ შენი ცოლი ვერ მოგირჯულებია, ეგ სხვა საქმეა! ხე! ხე! ხე! — ხარხარებდა მფილდი. მისი ძალდაუტანებელი, გულკეთილი სიცილი ყველას მოედო და მთელ დარბაზში გაისმა ხარხარი.

— განაგრძე, სელიმ! — მიმართა თავმჯდომარემ სელიმს, როდესაც დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა.

— მე ყველაფერი ვთქვი, — მიუგო უკმაყოფილო სელიმმა და დაჯდა. წამოდგა ერთ-ერთი კომკავშირელი და ცხარედ დაიწყო:

— ჩვენ, ლენინელი კომკავშირელები, მეფის ხელისუფლების დროს პატარები ვიყავით. კარგად ბრ ვიცნობთ მას. თქვენ კი, ჩვენი მამები, მისი მოწინააღმდეგეები ვიყავით. ასეა! ახლა ჩვენი ხელისუფლება გეყავს. ის ეხმარება ღლებებს, საშუალო ღლებებს, ებრძვის მუშებისა და ღლებების მტრებს. ასეა! რატომ უნდა გვეშინოდეს ჩვენი ხელისუფლებისა? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ჩრდილის გვეშინოდეს! ასეა!

— ცეცხლია, ნამდვილი ცეცხლი!.. ეს შენ შეგებება, კუნაქ! ხე! ხე! ხე! — კვლავ გადაიხარხარა მფილდი, რომელსაც მოეწონა კომკავშირელის სიტყვა. — თითის ტოლაა და დიდები კი შეარცხვინა ხე! ხე! ხე!..

— ბავშვია, მაგრამ ჩვენზე კვკიანია, — სთქვა ოსმანმა.

— დროა ჩვენც დავტკვიანდეთ, მაგრამ არ გვინდა, — დაუმატა მოხუცმა ჩახმათმა.

კომკავშირელი დაჯდა, კმაყოფილი თავისი გამოსვლით.

— ვის სურს კიდევ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— მე! — წამოხტა ამხანაგის გამოსვლით გამხნეებულ მემორე კომკავშირელი, რომელიც კუპირის უკან იჯდა. — კუბრიცმა ნათლად აგვიხსნა კოლმეურნეობის, ე. ი. კომუნის მნიშვნელობა...

— გაჩუმდი ერთი! მუდამ ურევ!.. — გააწყვეტინა კუპირმა. — არ ფიქრობ, როცა ლაპარობ!..

— მეე? — აენტო მოლაპარაკე.

— ჰო, შენ!

— მე ურევ?

— ერთმანეთში ურევ კოლმეურნეობას და კომუნას,

გაკვირვებულმა კომკავშირელმა დარბაზს თვალი შემოავლო. მან მაინც ვერ ვაიგო, რა აურია, და დაჯდა.

— ამბობენ, კოლმეურნეობაში რაღაც მანქანა იმუშავებსო. მართალია თუ არა? — იკითხა მზოუჩმა, რომელიც მანამდე ჩუმად იჯდა.

— ტრაქტორია ეგ, ტრაქტორი, მზოუჩი! — გადასძახა მფილდომ. ეს სახელი კუბრიცისაგან ჰქონდა გავონილი.

— რას აბამენ შიგ? — იკითხა სხვამ.

მფილდომ თითონაც არ იცოდა, რას აბამდენ, და უმწეროდ შეხედა კუბრიცს.

— არაფერს არ აბამენ. — მიუგო კუბრიცმა. — შიგნით ცეცხლი ანთია, მანქანას კი კაცი განაგებს.

— ალახ, ალახ, — გაუკვირდა მზოუჩს.

— თუ ცოცხალი ვიქნებით, რას არ ვნახავთ! — დაუმატა ბაზალამ.

— ეგ ჩვენთვის არ ივარგებს! ჩვენს მიწაზე არ გამოდგება! — წარმოსთქვა მკვებედ სელიმმა.

— სწორი არ არის, სელიმ! — გამოეკამათა კუჭირი. — გუთანი გაქვს?

— მაქვს.

რატომ გადაავდე კაცი და გუთანს მოჰკიდე ხელი? ალბად უკეთესია? უკეთესზე, სელიმ, უარს არ იტყვი, ხომ?

სელიმი სდუმდა.

წამოდგა მოხუცი ოსმანი.

— მე, დადრაა, — დაიწყო მან და გაპარსული თავიდან ჩაბალახი უკან გადაიგდო: — იმას მივდევი, რაც ჩვენმა მამებმა, პაპებმა და პაპისპაპებმა გვასწავლეს...

— სწორია, სწორია... ძველ წესს ვერ ვუღალატებთ, — ჩაუბრუნო სელიმმა.

ქობლუხმა, რომელმაც მუდამ ყველაზე ბოლოს იცის ხოლმე ლაპარაკი, ველარ მოითმინა და ფეხზე წამოდგა.

სედიყმა შუბლი შეიკუმუნა. გაახსენდა, როგორ ლაპარაკობდა ქობლუხი ყაზილბაკთან.

— რა ამბავია, ოსმან, მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებ? — მიმართა მან ოსმანს.

— რას?

— რასა და გაიძახი: მამები და პაპები, მამები და პაპები! გატყუებს ის, ვინც მავას ამბობს! — და აღლეგებულმა ქობლუხმა განაგრძო: — დაგავიწყდა, ოსმან, შელოცვილი ხაჰაპურით როგორ ანთავისუფლებდნენ ძველად ჩვენი მამა-პაპები იმას, ვინც ეკლებში გაიხლართებოდა?

ყველას გაეცინა. ქობლუხმა განაგრძო:

— აი აქ ყველას ეცილება ჩვენი მამა-პაპების სისულელეზე, შენ კი ამ სისულელეს ებლაუჭები.

ახალგაზრდობა ტაშისკვრას შეუდგა.

— რა უნდა ვთქვა? შენ ჩემ მაგიერ ლაპარაკობ, ქობლუხ! — გაიხუმრა ოსმანმა. მას სრულიად არ სწყენია ქობლუხის სიტყვები.

— ჩვენი პაპები მთელ თავიანთ სიცოცხლეში ჩიჩქნიდნენ კაცი თ მიწას. მათ ერთი ნაბიჯით ვერ წაიწიეს წინ. მე, დადრაა, ბევრი ვიფიქრე ჩემ ცხოვრებაზე და მამა-პაპის ცხოვრებაზე... ისე როგორც ჩვენ ვცხოვრობთ,

არ გამოგვადგება. უნდა დავადგეთ ახალ გზას, ახალ ცხოვრებას, როგორც ჩვენი ხელისუფლება გვეუბნება... აი, რა უნდა ვქნათ! — სთქვა მან და დაჯდა.

— მომეცი ნება! — მიმართა თავმჯდომარეს დაბალტანიანმა ხაუდმა, მოიხადა ნაბდის ქუდი და მაგრა მოუჭირა ხელი.

— სკამზე ადი. თორემ ვერ დაგინახავთ! — იოხუნჯა ვილაცამ.

— ჩემი დანახვა საჭირო არ არის, ხმას კი გაიგონებთ! — გაიცინა ხაუდმა და მტკიცედ დაიწყო: — კოლმეურნეობა ახალი საქმეა, მაგრამ რატომ უნდა გვეშინოდეს!.. ცუდი რომ იყოს, ჩვენი ხელისუფლება არ გვირჩევდა... მოგვეწონება — შევალთ კოლმეურნეობაში, არ მოგვეწონება — არ შევალთ... ეს არის სულ! — სთქვა, გადააფურთხა, დაიხურა ქუდი და დაჯდა.

მის გვერდით იჯდა კომუნისტი ყემსისი, ჩუმად იყო, განუწყვეტლივ სწევდა და კბილებით ჩიბუხის ტარს ღრღნიდა. მთელი საღამო ხმა არ ამოუღია, არაფერი არ უთქვამს კოლმეურნეობაზე. რაღაც ვაორებებს გრძნობდა: ის კომუნისტია, სულით და გულით უჭერს მხარს კომუნისტურ საქმეს, მაგრამ კოლმეურნეობა მის გულს არ ეთვისება. თავმჯდომარის შეკითხვაზე: ვის სურს ლაპარაკიო, მან დააპირა წამოდგომა, მაგრამ გადაიფიქრა და გადასწყვიტა სბდომის შემდეგ ეამზნა ყველაფერი კუბრიცისთვის და რჩევა ეკითხა.

— ვის სურს კიდევ ლაპარაკი? — იკითხა ხელახლა თავმჯდომარემ.

— კმარა, კმარა! გვიან არის! — გაისმა აქეთ-იქიდან.

სეიდიყი შეშფოთდა. არაფერი ეთქვა და ისე წასულიყო — არ ივარგებდა, ეჭვს შეიტანენ. ამიტომ სიტყვა ითხოვა.

— დადრია! — დაიწყო მან და თავისი მჭრელი თვალები მთელ დარბაზს გადაავლო: — მე დიდბანს ვუგდებდი უფროს და ვიტყვი ერთ რამეს: თუ მისამ, კუნაქმა, სელიმმა და სხვებმა წინააღმდეგ ილაპარაკეს, მე ვფიქრობ, ეს სიფრთხილით მოუვიდათ... ახალი საქმეა, დად, ახალი!.. — და აქ სიტყვა ერთბაშად შეატრიალა: — მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ცუდს არ გვირჩევს...

სიტყვებს „ჩვენი ხელისუფლება“ სეიდიყი ძალიან ხშირად ხმარობდა თვალის ასახვევად. ამის გაგონებაზე მისა შეტოკდა, მან თვალები გაუშტერა სეიდიყს და გაიფიქრა: „განგებ ლაპარაკობს, თუ მართლა ასე ფიქრობს“.

სეიდიყი განაგრძობდა:

— რატომ უნდა მივებძოთ მამა-პაპას? ჩვენი თავის პატრონი ჩვენ თითონ ვართ... მოველაპარაკოთ ხალხს კოლმეურნეობაზე... მოველაპარაკოთ, დადრია...

— შენ, სეიდიყ, კოლმეურნეობის მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე? — პირდაპირ შეეკითხა კუბრიცი, რაკი დაინახა, რომ ეშმაკი მოხუცი სიტყვას ბანზე აგდებდა.

ცეცხლივით გაიფლავა სედიციის თვალბემა, მაგრამ არაფერი არ შეიმჩნია და ვითომ კითხვა ვერ გაიგონა, განაგრძო:

— მოველაპარაკოთ ხალხს და...

— შენ გეკითხებიან, სედიცი, თითონ შენ რას ფიქრობ? — უკანადაა დახრიალდა თავისი ბოხი ხმით მფილდომ.

— პირადად მე გეკითხები?.. ხი! ხი! ხი! რა მიუხევედრელი ხარ, მფილდი! მერე, მაგისთანა ზორბა კაცი მაინც არ იყო! ხი! ხი! ხი! აბა მითხარი...

— მფილდის კი არა, შენ გეკითხები სედიცი! თითონ შენ კოლმეურნეობის მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე? — კვლავ გაუმეორა კუბრიცმა.

— მე გეკითხები?

— ჰო, შენ!

— ე-ე, დად, კუბრიც, შენ მგონი კარგად უნდა მიცნობდე... რასაკვირველია, მე იმის მომხრე ვარ, რასაც ჩვენი ხელისუფლება გვირჩევს, მაშასადამე, კოლმეურნეობის...

— იტყოდი მაგრე და გაათავებდი, რაღას აქიანურებ! უკვე გვიანაა! — სთქვა მფილდომ, მიუბრუნდა მეზობელს და თვალი ჩაუკრა.

— ეს არის, დადრაა, რაც მინდოდა მეთქვა. — დაამთავრა სედიცმა. კუბრიცი წამოდგა.

— ბევრი რამ ითქვა აქ... — დაიწყო მან. — კოლმეურნეობას არავის არ ვახვეთ თავზე... ასეთია პარტიისა და ჩვენი მთავრობის დირექტივა... კოლმეურნეობა ნებაყოფლობით უნდა მოეწყოს...

— მასე ლაპარაკობ, დად, მერე კი სულ სხვა რამეს იტყვი! — დაიწრობინა თავაუღებლად სელიმმა.

— მართალია, მართალი! — გამოეხმაურა ვილაც.

— სწორედ მასე იქნება! — დაუდასტურა მეორემ.

— უბრძანებენ და ეგენიც გააკეთებენ! — ჩაილაპარაკა მესამემ და თითი განზე გაიშვირა, ალბათ ცენტრალურ ხელისუფლებას გულისხმობდა.

— ჰო და, რა ქნან ჩვენებმა, უბრძანებენ და მაგათაც უნდა გააკეთონ! — დაუმატა მეოთხემ.

კუჭირმა ველარ მოითმინა და წამოხტა.

— არ ირწმუნო შენი ხელისუფლება, არ დაუჯერო მას — რას ნიშნავს ეს? იმას, რომ არ დაუჯერო საკუთარ თავს, რომ ხელახლა გაჰყო თავი მტრის უღელში, — სთქვა მან. — ვისი პირით ლაპარაკობდა აქ საბჭოს ზოგიერთი წევრი?

— თავისი პირით, დად, თავისი პირით! — მიუგო გესლიანად სელიმმა.

— არა, სელიმ! შენ და სხვები ლაპარაკობდით ყაზილბაყის პირით, კულაკების საბაყაის და ყელამატის პირით, ზუცისა და მოლა ესიფის პირით, ყველა იმის პირით, ვისაც არ უყვარს ჩვენი ხელისუფლება, ვისაც უნდა მეფის, თავადებისა და აზნაურების ხელისუფლების დაბრუნება. აი, ვისი პირით ლაპარაკობდით, სელიმ!

— ე-ე-ე, მკითხაობენ, კუჭირ, მკითხაობენ სელიმი და სხვები... თითონ არაფერი იციან და სხვასაც არ უჯერებენ! — წამოიძახა ჩაუღმა, ქუდი მოიხადა, განზე გააფურთხა და ისევ დაიხურა.

როდესაც სიწყნარე ჩამოვარდა, კუბრიცმა განაგრძო:

— მართალს ამბობს ხაუდი. ზოგი ჩვენგანი მკითხაობს... სახელმწიფო საქმე არ კეთდება ისე, როგორც მოესურვება კუბრიცს, კუნაქს, ხაუდს, ოსმანს, მზოლქს... ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ ისე, როგორც ვეირჩიეს ლენინმა, და მისმა პარტიამ... კოლმეურნეობა უნდა მოეწყოს მხოლოდ ნებაყოფილობით. ამ საქმეში არ შეიძლება რაიმე ძალდატანება მუშათა და გლეხთა მთავრობის მხრით, კანონი არ დაუშვებს ამას...

— აი, ხომ ხედავთ! — წამოხტა ხელახლა ხაუდი და მოიხადა ქუდი: — სირცხვილი თქვენ! — ვადასძახა მან მოწინააღმდეგეებს, გააფურთხა განზე, დაიხურა ქუდი და დაჯდა.

— სამოთხეში ამყოფოს ღმერთმა! დიდი კკუის პატრონი იყო ალბათ ლენინი! — წარმოსთქვა მოწინააღმდეგეებთან მოხუცმა ოსმანმა.

დარბაზში სიცილი გაისმა.

— ჩემ სიტყვებზე ხომ არ იცინით, თქვენ ეი? — მიმართა მან ღმილით კომკავშირელებს.

— შენ სიტყვებზე, მაშ! სამოთხეო, იძახი, ჩვენი ახალგაზრდობა კი ამბობს, რომ სამოთხე არ არის, ამაზე იცინიან, — განუმარტა სელიმმა.

— ღმერთიც არ არისო, ალბათ იტყვიან, — ჩაილაპარაკა ოსმანმა.

— ამბობენ, ამბობენ, მავასაც ამბობენ, — არწმუნებდა სელიმი.

— მაშ ასე, — განაგრძო კუბრიცმა: — არავის არ ვაძალეებთ შევიდეს კოლმეურნეობაში. მაგრამ ავტოციას კი გავწევთ კოლმეურნეობისათვის... და თუ აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც შეერთდებიან და საერთო ძალდონით მოისურვებენ მიწის დამუშავებას, მათ სოფლის საბჭო დაეხმარება, მთავრობაც დაეხმარება...

— რა არის მერე მაგაში ცუდი, დად, ეს ხომ იგივე აუაახურაა, *) ურთიერთდახმარებაა? — წარმოსთქვა მზოლქმა.

— ჰო, ურთიერთდახმარებაა, მზოლქ, და მერე როგორი? საუკეთესო, — მიუგო კუბრიცმა და დაუმატა: — რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლის ყრილობას მოვიწვევთ და სოფლის საბჭო აუხსნის მას ყველაფერს, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა გაიგონ კოლმეურნეობის მნიშვნელობა.

სეიდიცმა ამის გაგონებაზე ყურები ცქვიტა და მის გონებაში ახალი გეგმა მომწიფდა.

— სოფლის საბჭო, ადგილობრივი ხელისუფლება, სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ საქმეს, ვინც ამის მომხრეა, ხელი ასწიოს, — წინადადება მიცა კუბრიცმა.

*) აუაახურა — ურთიერთდახმარება.

ერთბაშად მრავალმა ასწია ხელი. დანარჩენები ჯერ აჯექით და იყურებოდნენ, მერე თანდათან მათაც ასწიეს ხელი.

— ასწიეთ, დად, ხელი, ასწიეთ! — დაიძახა სეიდიყმა ყველაზე მაღლა აიშვირა ხელი.

მისა სეიდიყს ადევნებდა თვალყურს და რამწამს დაინახა მაღლა აშვერილი მისი ხელი, მანაც ასწია.

— მაშ ასე, ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ კოლმეურნეობისათვის. ჩასწერე ეს ოქმში! — მიმართა თავმჯდომარე მდივანს. მან თავი დაუქნია და მელოტი გამოაჩინა.

სხდომა დაიხურა.

უკვე შუალამე იყო. საბჭოს წევრები ხმაურით წამოიშალნენ და კარებისაკენ გაემართნენ. კუბრიცთან მივიდა კომუნისტი ყემსისი, გაიხზო განზე და დაიწყო:

— შე, კუბრიც, შენთან რჩევისათვის მოვედი. როგორც იცო, მე კომუნისტი ვარ... დღეს მეც მიწოდდა მელაპარაკა კოლმეურნეობის სასარგებლოდ...

— მერე? — ყურები ცქციტა კუბრიცმა.

— ვერ მოვახერხე...

— რატომ?

— როგორც კომუნისტი, გულითა და სულით ვეჭერ მხარს კომუნისტურ საქმეს... მაგრამ კოლმეურნეობაზე რაღაც გული არ მიმდის...

— მაშ შენ მტკიცე კომუნისტი არ ყოფილხარ!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვერ განთავისუფლებულხარ ზოგიერთი ძველი შეხედულებისაგან... ძველი გებლაუქება და იმდენი გამბედაობა არა გაქვს, რომ მოიშორო თავიდან. შენ ფიქრობ — როგორ შეიძლება ხელის აღება საკუთარ გუთანზე, საკუთარ ხარზე, საკუთარ მიწაზე და ყველა ამის გადაცემა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის...

— სწორედ მასეა, სწორედ!...

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენ საკუთრება მაგრა გაქვს ძვალ-რბილში გამჯდარი.

ყემსისი ჩაფიქრა.

— ხომ დაინახე, როგორ ლაპარაკობდა უპარტიო ქობლუხი? — განაგრძო კუბრიცმა — ქობლუხი კომუნისტი არ არის, მაგრამ მან შენზე უკეთ შეიგნო ყველაფერი. ის, მაშასადამე, ზოგიერთ კომუნისტზე მაღლა დგას. ხომ გაიგე?

— გაიგე... — გულზე მოეშვა ყემსისი. — მოვიგდებინე მძიმე ტვირთი... მართალი ხარ... ვეცდები განთავისუფლდე ძველი ხავისაგან.

დარბაზში დარჩენ კუბრიცი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და კუჭირი.

— ხომ დაინახეთ, — მიმართა მათ კუბრიცმა, — როგორ ეჭირა თავი ზოგიერთ წევრს. დიდი სიფხიზლე გემართებს. უცხო ვავლენა სოფლის

საბჭოში აშკარაა. გაფაციცებით უნდა ვადივნოთ თვალყური ბეგრის, სელის და ზოგიერთ სხვას და კარგად გავიგოთ მათი ზრუნვები.

— ბეგრმა დღეს ძალიან კარგად ილაპარაკა, მათ საუბარზე უსუსუნი გასცეს კოლმეურნეობის მოწინააღმდეგეებს, — მიუგო ვანაძე.

— სწორია. აქედან აშკარაა, რომ უნდა დაერაზმოთ და შევაკავშიროთ ლარიბი გლეხები და დავუპირისპიროთ ისინი კულაკებისა და შეღებულების ოინებს. ამ სიმაგრის წინაშე შავი ძალები ვერაფერს გააწყობენ. ისე დაიმსხვრევა მათი ცდა, როგორც კლდეზე დაჯახებული ტალღა. პრაქტიკულად და სწრაფად უნდა განვახორციელოთ ლარიბ გლეხთა შორის მუშაობის ის გეგმა, რომელიც დავსახეთ დღეს პარტიის უჯრედის სდომამზე კომკავშირის აქტივთან ერთად. მაშინ ლარიბი გლეხობა საუკეთესო დასაყრდენი იქნება მთელ ჩვენს მუშაობაში და არავინ და არაფერი საშიში აღარ იქნება.

— სწორია, სწორია!

— ახლა აი რა უნდა გავაკეთოთ, მეგობრებო! — მიმართა მათ კუბრიცმა. — ჩვენი სოფელი ოთხი ახაბლისაგან შესდგება. ერთში უკვე ისახება კოლმეურნეობა. მაგრამ უნდა ჩავვიღოთ ხელი ამ საქმეს და დაუღალავად ვიმუშაოთ. ხვალ დილაადრიან მოიწვიეთ ის გლეხები, რომლებმაც მიწის საერთო ძალღონით დამუშავების სურვილი განაცხადეს და მეც იქ მოვალ.

— ცხელ კვალს უნდა მივყვეთ, — ნაიცინა კუჭირმა.

— სწორედ, სწორედ!.. ახლაკი წავიდეთ!

ბნელი დამე იყო. ზღვიდან წამოსული შავი ღრუბლები ცას გადაკროდენ. ღრუბლებს შუა აქა-იქ ვარსკვლავები ბეჭტავდენ. სოფლის საბჭოს წევრები, თანამგზავრთა ძებნაში, ერთმანეთს ეხმაურებოდნენ და შოედნიდან სიბნელეში იკარგებოდნენ. ვილაცამ ტალს კვესი ჩამოჰკრა და წყვილიდში ნაპერწყმებმა გაიფლევს.

სეიდიყი დაეშვა კიბეზე და სახლისაკენ გაემართა. კუბრიცის სახე სიბნელეშიაც კი თვალწინ ედგა. მძიმე ლოდად აწვებოდა მას ამ კაცის ძალა, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობდა მთელი სოფლის ცხოვრებას, რომელიც ამავრებადა საბჭოთა ხელისუფლებას. კუბრიცთან ერთად მისი გონების თვალს არ შორდებოდა ორი სხვა სახეც, ერთი ეკუთნოდა კუჭირს — ამ მაგარ კაბუტს, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობდა კომკავშირს, ხოლო მეორე — სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც სათავეში ედგა და მოხერხებულად უძღვებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ეს იყო სამი ძალა, სამი სიმაგრე, რომლის კედლებზედაც იმსხვრეოდა ყველა მისი განზრახვა, ყველა მისი შეგბნელი საქმე.

ამ დროს მისი ფიჭრები დაარღვია მისამ, რომელიც შეუშინეველად დაეწია.

— სეიდიყ! — დაუძახა მან დაბალი ხმით.

— ვის ხარ? — ჰკითხა სეიდიყმა, რადგან ბნელაში ვერ გაარჩია.

— მე ვარ, მისა.

— რა გინდა?

— მითხარ, სედიცი, არაფერს მიზამენ იმისათვის, რომ კოლმეურნეობის წინააღმდეგ გამოვედი? — ჰკითხა შეშფოთებული კლეოფიქსი.

— არაფერს, შენ ღარიბი გლეხი ხარ, რისა გეშინია? — სულ ორიოდ სიტყვა! — მიუგო უკმაყოფილოდ სედიციმა.

— მაშ არაფერი იქნება? — ხელახლა ჰკითხა მისამ.

— არაფერი.

— ღამე მშვიდობისა! მე აქეთ უნდა წავიდე...

— მოიცა! — გააჩერა სედიციმა. — სოფლის საბჭოში, მისა, საქმე წავაგეტ... სოფლის საბჭომ მხარი დაუჭირა კოლმეურნეობას. მაგრამ ეს არაფერია, არის სხვა გზა, სადაც ისინი კისერს მოიტეხენ... ხომ ვაიგონე, მალე მოიწვევენ სოფლის ყრილობას, რომელზედაც დაისმება საკითხი კოლმეურნეობის შესახებ... აი ამისათვის უნდა მოვემზადოთ. საქმე ისე უნდა მოვაგვიროთ, რომ ყრილობამ უარყოს კოლმეურნეობა... ხომ ვაიგე?

— ვაიგე, სედიცი, ვაიგე...

— ახლა კი ღამე მშვიდობისა, დადი! — სიტყვა სედიციმა.

— მშვიდობა ნუ მოგაკლავს! — მიუგო მისამ და განშორდნენ ერთმანეთს.

თ ა ვ ი VII

ხიკუჩი, სედიციის ქალიშვილი, სამზარეულოში კერასთან იჯდა და ელოდა მამის დაბრუნებას სოფლის საბჭოდან.

უცხად ხაბაში შევარდა. ხელში გაზეთი ეჭირა, სახე გაბრწყინებული ჰქონდა.

— ხიკუჩ, ხიკუჩ! ხელად ამას? — გახარებულმა მიმართა ხიკუჩს. — იცი, აქ ისეთივე ასოებია, როგორც შენ მაჩვენე! გზაში წავიკითხე, გაზეთის სახელი „აფსნი კაპშ“^{*)}. რა განხარებული ვარ! სიხარულით გამოვიქეცი და პირდაპირ ლობეს ვადმოვახტი. რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი! კაცად მაქციე...

ხიკუჩს გაეცინა. ხაბაშმა ღიმილით შეხედა და გაიფიქრა: „რატომ იცინის“—ო.

— არა, ყური დამიგდე! ერთი ყური დამიგდე! — და ასო-ასო ჩაიკითხა: „ა-ფ-ს-ნ-ი კ-ა-პ-შ“^{*)} — სიხარულსაგან დაუსტვინა და წამოიძახა: — ლაპარაკობს! კაცივით ლაპარაკობს! ეი, ხაბაში! უბედურო მწემსო! კაცი გახდი, კაცი! ეჰ, ხიკუჩ, რით უნდა გადავიხადო? — და დაავიწყდა მორიდება და სირცხვილი და იქვე გადაეხვია.

შემკრთალ ხიკუჩს გაეცინა.

— რატომ იცინი? — ღიმილით შეეკითხა ხაბაში და დააქტერდა.

— შენი სიხარული მეც მახარებს... კაცი გახდი... — მიუგო ხიკუჩმა და თავის მხრივ ჰკითხა: — სად იშოვნე ეს გაზეთი?

*) აფსნი კაპშ — წითელი აფხაზეთი.

— ერთმა მოწაფემ მომცა, — და, გაახსენდა რა, როგორ გამოართვა ვახეთი მოწაფეს, ღიმილით სთქვა: — იცი, არ უნდოდა მოეცა ვახეთი... დამცინოდა, დიდი ხარ და კითხვა არ იციო... რათ გინდათქო თითის ტოლა ბავშვი იყო, წელამდი ძლივს მწვდებოდა.

— რატომ არ უთხარი, რომ კითხვა იცი?

— შემრცხვა... მერე მომცა, როცა უთხარი, რომ ხიკუჩისთვის მინდა მეთქი.

— დაჯეგ აქ და წაიკითხე, მე ყურს დაგიგდებ. — უთხრა ხიკუჩმა.

ხაბაში იქვე, მის გვერდით დაჯდა და კითხვას შეუდგა:

— „კოლ-მეურ-ნეობა ა-რის ახა-ლი ფორ-მა მე-ურ-ნე-ობის წარ-მო... წარ-მო...“

— ებისა, — დაეხმარა ხიკუჩი.

— ე-ბი-სა“, — გაიმეორა ხაბაშმა, ასწია თავი და შეხედა ხიკუჩს. — უპ, გრძელი სიტყვაა! — წარმოსთქვა და განაგრძო კითხვა: — „უნ-და ჩა-ვა-ბათ კოლ-მეურ-ნეობა-ში მშრო-მე-ლი გლე-ხე-ბი“... იცი რა, ხიკუჩ, კოლმეურნეობა თუ მოეწყო ჩვენში, შევალ იქ სამუშაოდ... — დაუმატა მან.

— კოლმეურნეობაში?.. შედი!.. — მიახალა უკმაყოფილოდ, რადგან შეეშინდა მისი მოშორებისა. მერე დაუმატა: — მე კი ველარ მნახავ!.. მე დაკარგული ვიქნები შენთვის!..

— ველარ გნახავ?.. მაშ არ გინდა, რომ წავიდე აქედან? — შეეკითხა ხაბაში.

— არა, არა, წადი!.. შენ ახლა დიდი ხარ... ვის შეუძლია შენი დაკავება! — ჩაილაპარაკა მწუხარე კილოთი, პირი მიიბრუნა და კუთხეს დააცქერდა.

— არა, ხიკუჩ... არსად არ წაველ... არსად! არ შემიძლია უშენოდ... — სთქვა მწუხარედ.

ამ სიტყვების მწუხარე კილომ გული მოუღბო ხიკუჩს და მან სწრაფად სახე მიიბრუნა. ხაბაშმ თვალები დახარა. ხიკუჩს დედობრივი სიყვარულის გრძნობამ წამოუარა, უნდოდა მიაღერებოდა, მაგრამ ქალწულობრივმა მოკრძალებამ შეაჩერა.

— მაშ არ წახვალ? — ჰკითხა მან ალერსით.

ხაბაშმა თავი ასწია.

— არა... სად უნდა წავიდე?.. თქვენს მეტი არავინ არა მყავს... შენ გულკეთილი ხარ, დედაშენიც... შენ უნახავად ვერ გავძლებ... ჩვენ ზომ ერთად ვიზრდებოდით!.. — სთქვა და კვლავ დახარა თვალები.

ხიკუჩმა თავისდაუნებურად ხელი შეახო ხაბაშის ხუჭუჭა თმას, მაგრამ სწრაფად მოაშორა და სთქვა:

— ხაბაშ, წაიკითხე კიდევ...

ხაბაშმა პირი მიიბრუნა მისკენ და ხელახლა გაშალა ვახეთი.

ამდროს სოფლის საბჭოდან დაბრუნებული სეიდიყი თავის ეზოში შევიდა. დაინახა რა შუქი სამზარეულოში, იქითკენ გაემართა. ფეხაკრეფით

მივიდა სამზარეულოს კედელთან, მიაღო თვალი ჰუტურუტანას და შეიხედა; ხიკუჩი და ხაბაში ერთად ისხდნენ კერასთან.

„გაზეთს კითხულობს ჩემი მწყემსი!.. სად ისწავლა?“ — და კვლავ მიაღო თვალი ჰუტურუტანას.

„კაცად გამხადე, ხიკუჩ“, — მოესმა ხაბაშის სიტყვები და ამან ერთბაშად აუხილა თვალები.

„ურწმუნო გიაური! მან ასწავლა კითხვა!“ — წარმოსტევა გონებაში სედიცმა, მოშორდა კედელს და ჩაფიქრდა. მერე ჩქარი ნაბიჯით კარებისაკენ გაემართა და სამზარეულოში შევიდა.

ხაბაში სწრაფად წამოხტა და დააპირა გაზეთის დამალვა ზურგს უკან. — რას მიმაღავ, დად? — ჰკითხა სედიცმა აღერსიანი კილოთი. პირველად მიმართა მან ხაბაშს სააღერსო სიტყვა „დად“.

— არაფერი... ისე... — მიუგო ხაბაშმა და თვალები ძირს დაუშვა.

— როგორ თუ არაფერი?.. ხომ გიჭირავს რაღაც ხელში!..

— გაზეთია... — მიუგო ბოლოს გაუბედავად.

— მერე, რატომ მიმაღავ, დად?

— არა... არ დამიმაღავს... ისე... — ჩაილაპარაკა ხაბაშმა და ხიკუჩს შეხედა. შეეშინდა, გაიფიქრა: ეწყინება ხიკუჩს, თუ სედიცმა გაიგო, რომ მან მასწავლაო.

— იცი კითხვა?

ხაბაში სდუმდა.

— იცის, — მიუგო ხიკუჩმა.

— ვინ გასწავლა, დად?

ხაბაში კვლავ სდუმდა.

— მე, — მიუგო ხიკუჩმა.

— შენ ასწავლე?

— ჰო.

— კარგი საქმეა, დად, კარგი... კაცს კითხვა ასწავლო... ნამდვილი უღვა ხარ... — ჩაილაპარაკა სედიცმა. ისე ეჭირა თავი, თითქოს ძალიან გმაცოფილი არისო. მერე ხაბაშს მიმართა:

— აბა, დად, მაჩვენე, როგორ კითხულობ.

ხაბაშმა გაუბედავად გაშალა გაზეთი:

„კოლმეურნეობა არის ახალი ფორმა მეურნეობის წარმოებისა“, — წაიკითხა.

სედიცმა შუბლი შეიკუმუნა.

— მანდაც კოლმეურნეობაზეა ლაპარაკი!.. — წამოსცდა უნებურად სედიცს.

— ჰო, — მიუგო ხაბაშმა და განაგრძო:

„უნდა ჩავებათ კოლმეურნეობაში მშრომელი გლეხები... კულაკი“...

— როგორ, როგორ? — ვააწყვეტინა სედიცმა კულაკის გაგონებაზე.

„კულაკი კოლმეურნეობის მტერია“...

— კმარა, კმარა!.. ყოჩაღ, გკოდნია კითხვა... — სთქვა სეიდიყმა და მიმართა ხიკუჩს თითქო ხუმრობით: — შენ, დად, კარგი მასწავლებელი ყოფილხარ... მაგრამ როგორ ასწავლე ისე, რომ მე ვერ ვეცდებოდი ბიჭი დაწვა?

— დაწვა.

— წადი, გააღვიძე და გამომიგზანე. მჭირია, — სთქვა მოხუცმა და კერასთან ჩამოჯდა.

ხიკუჩ წავიდა. დააპირა წასვლა ხაბაშმაც, მაგრამ სეიდიყმა შეაჩერა.

— ხაბაშ, მოიცა, დად, საქმე მაქვს, — უთხრა მან და შეხედა. დიდხანს უყურებდა. ხაბაშმა თვალეები ძირს დაუშვა. — ხი-ხი-ხი! — ჩაიცივნა სეიდიყმა და მიმართა ხაბაშს: — შენ, დად, ალბათ ფიქრობ ახლა, მე ხომ არ დამცინის მოხუციო. მაგრამ არა, ხაბაშ? მე პატარა აღარა ვარ. მე ახლა ისეთ ხანში ვარ, როცა სიკვდილი და სიცოცხლე დაობენ ჩემზე... კაცის სასაცილოდ აგდება აღარ შემშვენიის... ამ უკანასკნელ დროს, დად, მე ბევრს ვფიქრობ ერთ საქმეზე... ასეც აეწონე, ისეც და ერთ აზრს დავადექი. ხაბაშ, ნუ დამიმაღავ, დად, ხომ გიყვარს ხიკუჩი? პა?

ისე მოულოდნელი იყო ხაბაშისათვის ეს კითხვა, რომ მან სწრაფად თავი ასწია, მაგრამ მალე ისევ დაბარა.

— ნუ გრცხვენია, დად... შენ ხომ ქალიშვილი არა ხარ, ვაჟაკი ხარ... — განაგრძო სეიდიყმა: — თუნდაც შენ არ მითხრა, მე თითონ ვხედავ ამას... თვალეებზე გატყობ... თვალი ხომ გულის სარკეა... სეიდიყს ვერაფერს დაუმაღავ... ესეც რომ არ იყოს, კაცი ბედს ვერ გაეძევეს... თუ ბედმა ხიკუჩი გარგუნა, შენი იქნება, შენ მოგთხოვდება... ვინ შესცვლის ალახის ბრძანებას? ვერავინ! როგორც ვხედავ, ხიკუჩსაც უყვარხარ...

— სეიდიყ... ნუ დამცინი!..

— ე-ე-ე, არ გჯერა, როგორც ვხედავ... — წარმოსთქვა სეიდიყმა ჭითომ უკმაყოფილოდ: — დეე, მომკლას ალახმა ახლავ, აი აქ, გული გამიპოს თუ სიმართლეს არ ვამბობდე!.. დად, ხაბაშ, ჩემ მეორე შვილად მიმანჩინარ შენ... პატარაობიდან აქ ცხოვრობ, ჩემთან... ჩემ პურ-მარილს სჭამდი...

— მე, სეიდიყ, არ დავიფიწყებ მაგას, — სთქვა ხაბაშმა და გაიფიქრა: „იქნებ გულწრფელად მელაპარაკება“-ო, მაგრამ მაშინვე განდევნა გონებიდან ეს აზრი.

— ვფიქრობ, რომ არ დავიფიწყებ. — სთქვა და თითქოს მწუხარებით განაგრძო: — აი ახლოვდება შენი მწყემსობის ვადა... მე არ მინდა, დად, ერთმანეთი დავკარგოთ... ვთქვით წახვედი... სად წახვალ მერე? არაფერი შენ არ გაგანჩია... ცარიელ-ტარიელი ხარ... იქნებ ფიქრობ, რომ სასირცხოდ მიმანჩია შენისთანა სიძის ყოლა?... შენ ლამაზი ვაჟაკი ხარ... აი აქვე გვერდით მიწას მოგვებით... სახლს ავიშენებთ და იცხოვრებთ ტკბილად... მეტი რაღა გინდა? ერთმანეთს არ დავკარგავთ... რაც მე მაქვს, შენი იქნება... ასეა, დად... მე არაფრის დამალვა არ მიყვარს, რასაც ვფიქრობ, პირდაპირ ვამბობ... ახლა გავათაოთ, დრო ბევრი გვაქვს, მერე კი-

— ვერ შესძლებ? — წამოვარდა სეიდიყი. — თუ შენ მაძლავს ამიგანჩივარ, დღესვე უნდა წახვიდე ჩემი სახლიდან! — დაუყვირა მან ალარ მინდიხარ ალარც შევილად და ალარც სიძელ!.. თვალით ნულოვარ დამინახვები!.. ვერც ერთ თხას ჩემგან ვერ მიიღებ! შენ, მართალია, ჩემს ძუებს ამოვებდი, მაგრამ სამაგიეროდ მე გაგზარდე, გაქმვედი, გასმვედი... მაშაშვილურად გარიგებ: ნუ დაიღუპავ თავს, წადი, გააკეთე რასაც გეუბნები... იქვე ახლოს, ტყეში ბალახებით და ეკლებით დაფარული ძველი კაარის. ხომ იცი?

— ვიცი! — მიუგო თითქმის ჩურჩულით ხაბაშმა.

— აი იქ ჩააგდე გუთანი და ალახიცი ველარ იბოვის... წადი... ნუ კარგავ ბედნიერებას... წადი, დად, წადი... — დაამთავრა ალერსიანად სეიდიყმა.

— არ შემძლია, სეიდიყ. — წარმოსთქვა გაუბედავად ხაბაშმა.

— მაშ გამეცალე აქედან! ალარ დამინახო, შე უბედურო, შენა! ძალი ჰყუფს, ცხენი კი სძოვსო. ველაბარაკები, ეს კი ყურსაც არ იბერტყავს! გამეცალე! — დაუყვირა სეიდიყმა.

თაქილუნული ხაბაში კარებისაკენ გაემართა.

— ერთხელ კიდევ მოიფიქრე... — დაუმაბლა ხმას სეიდიყმა. — კარგად დაუყვირდი, რაც გითხარი, თუ არ გინდა დაგვეკარგო მეც, მოხუციც, ხიკუჩიც... მე შენთვის სიკეთე მინდა... — უთხრა მიმავალ ხაბაშს, მიტრიალდა და კერასთან ჩამოჯდა.

ხაბაში გარეთ გავიდა. მუხლები გვეცემოდა. გული ძალზე უცემდა, სისხლი თავში უვარდებოდა. მიდიოდა ტორტმანით, ანგარიშ მიუცემლად... მწარე ტკივილი დაუმსახურებელი შეურაცხყოფისაგან ტვინს უხვრეტდა... ასე მიდიოდა, სანამ სახლის უკანა კუთხეს არ დაეტაკა. შეჩერდა. ერთხანს უგონოთ იღვა კედელზე მიყუდებული.

მოშორებით თხმელის ხეების ქვეშ სიბნელეში ბუნდად მოსჩანდა გადახურული ფაჩხი. ხაბაში იქითკენ გაემართა. თხები კიკინით შეხვდნენ თავიანთ საყვარელს, სიბნელეში თვალებს აბრიალებდნენ, მაგრამ როცა დაინახეს, რომ მეგობარი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ, გაკვირვებულბმა შეხედეს და კიკინს თავი მიანებს. ხაბაში სახურავზე ავიდა და ზურგით წამოწვა. თავი ძალზე უხურდა. შუბლზე ხელი დაიდო. თხმელის ფოთლებში აქა-იქ ოდნავ ბეუტავდნენ ცივი ვარსკვლავები. ისინი აგონებდნენ თემირთან ერთად სათბომში ვატარებულ ვარსკვლავებიან დამეებს. გაახსენდა, როგორ იწვნენ ისინი გულალმა თივაზე და შეჰყურებდნენ ვარსკვლავებს, რომლებიც ცაზე გაფანტულ გავარვარებულ ნაკვერჩხლებად ერგებოდნენ. გაახსენდა ისიც, თუ როგორ ესარჩლებოდა მას თემირი და როგორ იცავდა მოუსვენარი სეიდიყისაგან... და აი ახლა მან, მეგობარმა, ვნება უნდა მიაყენოს თემირს. გული ეკუმშებოდა, მწარედ უკენესოდა... უცბად მისი გონების თვალწინ ხიკუჩის სახე ამოტივტივდა... ხიკუჩი გვერდით უზის, ალერსიანად თავზე ხელს უსვამს, მერე დარცხვენილი ისევ ამორებს ხელს...

დაქანებულ სახურავზე წვერგრძელა თბა აცოცდა... ხმაურობისაგან ხაბაშს შეაეროლა, მაგრამ როცა თბა დაინახა, გაუხარდა... თბა გაჩერდა, ტუჩები შეაბო მის ზეზლს... სიბნელეში ორმა თვალმა გაეფიქრე... გაიღვეს ისე, როგორც თხემლის ფოთლებში ვარსკვლავები ვეუფლქრე... ხაბაშმა ყურებში ხელი წააელო და მისი თავი ლოყაზე მიიღო. მერე ისევე განზე გასწია და დიდხანს ჩაყურებდა თვალებში. ბოლოს გამოეღაპარაკა:

— ეჰ, ჩემო კარგო თბავ, გული მტკიცია... ბოლმა მახზობს! მიყვარს ბიკუჩი... მიყვარს თემირი... და რალაც კული უნდა ჩავიდინო...

თხამ თავი გააქნია, თითქოს არ მოუწონია ვანზრახვა.

— არ მოგწონს?.. მართალი ხარ... მართალი... მაგრამ თუ არ ჩავიდნენ ხვალვე გამაგდებს აქედან ბოროტი მოხუცი... არაეინ არა მყავს... ბიკუჩი?

— არ წასულხარ? — გაისმა სიბნელეში სედიციის უკმეხი ხმა.

ხაბაში სწრაფად წამოღვა. ძირს ჩახტა. ხაბაშმა ჩაიკლა გულში სიყვარულის გრძნობა თემირისადმი, ჩუმაღ ჩაცოცდა სახურავიდან, მწუხარედ გულზე ხელები დაიკრიფა და თემირის სახლისაკენ გაემართა.

როცა სედიცის პასუხი არ მოესმა, გადასწყვიტა, რომ ხაბაში წაეიდა. მიტრიალდა და უკანვე სამზარეულოში შეეიდა.

— მოხვედი, დად! — მიმართა შვილს, რომელიც ის იყო შეეიდა. — კარგი ქენი. ამსაათში შეკავზე ცხენი და ყაზილბაკთან წადი.

— რა უნდა უთხრა?

— უთხარი, რომ სოფლის საბჭოში გადაწყდა იბრძოლონ კოლმეურნეობისათვის. უნდა მოიწვიონ სოფლის ყრილობა. რასაც დაგაბარებს, გადმოძკემ!

— ამ საათში წავალ!

— მოიცა! თუ გზაში გკითხა ვინმემ — საღ მიხვალო, არ უთხრა, რომ ყაზილბაკთან მიდიხარ. სხვა ადგილი უჩვენე. ახლს წადი, დად. ჩქარა დაბრუნდი!

— კარგი! — სთქვა მორჩილმა შვილმა და გარეთ გავარდა.

სედიცი ჩიბუხის წევას შეუღვა. ამ დროს მისი ცოლი შეეიდა. — რატომ დაიგვიანე შუალამემდე? — ჰკითხა მან.

— რატომ და დიდი საქმე იყო... სოფლის საბჭომ მზარი დაუჭირა კოლმეურნეობას.

მოხუცი ერთხანს გაჩუმებული იღვა და რალაზედაც ფიქრობდა. მერე ჰკითხა:

— შვილი საღლა გავზაენე ასე გვიან?

— ყაზილბაკთან.

— რაში დაგჭირდა ამ შუალამისას ყაზილბაკი?

— შენი საქმე არ არის! — შეუტია სედიცმა.

— იცოდენ... რამ რომ დაგემართოს, შენივე ბრალი იქნება... ჭათამმა ჩიჩქნა, ჩიჩქნა მიწა და დანა გამოჩიჩქნაო. შენც ასე გამოჩიჩქნი რამეს...

— გაჩუმდები თუ არა!.. უკეთესია შენ ქალიშვილს მიხედოს... კითხობა. საყვედურით სეიდიყმა.

— რა იყო? რა მოხდა? — შეშფოთდა მოხუცი.

— რა მოხდა! ცემა მოუხდება იმას, აი რა!..

— არ იტყვი, რაშია საქმე?

— დედამისი დაუკითხავად მწყემსს კითხვა ასწავლა!

— უბედური ხარ, უნან, უბედური! მე მეგონა, რაღაც საშინელება მოხდა! გული გადამიტრიალდა!.. რა არის მერე ცუდი იმაში, რომ კაცს კითხვა ასწავლა? — წარმოსთქვა მოხუცმა.

— კმ... რა არის ცუდიო!.. ნასწავლი მოჯამაგირე თითს არ გაანძრევს! იცი შენ ეს თუ არა?.. რა სწავლა უნდა უბადრუქს!

— ყველაფერში უსამართლო ხარ! — სთქვა მოხუცმა. დაამოკლა. ჯაჭვი, რომელზედაც ქვაბი ეკიდა, და განაგრძო: — ბიკუჩი ჭკვიანია, ცუდს არაფერს ჩაიდენს...

ამ დროს ბიკუჩი სამზარეულოს უახლოვდებოდა, გაიგონა თავისი სახელი და გაიფიქრა: „ჩემზე ლაპარაკობენ, ალბათ მლანძღავენ, რომ ხაბაშს კითხვა ვასწავლე“. ფეხაკრფებით მივიდა კედელთან და ყური მიადო. სეიდიყმა სთქვა:

— მინდა ერთ რამეზე მოგელაპარაკო... — სთქვა მან აღერსიანი კილოთი.

— რაზე?

— ბიკუჩი უნდა გავათხოვოთ...

— გავათხოვოთ?! ხუმრობ თუ?

— რა დროს ხუმრობაა!

— უნან, რას ამბობ? ბავშვია ჯერ, რა დროს მისი ვათხოვება? ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — ხელების ქნევით წამოიძახა მოხუცმა.

— ჭკუაზე არ შევშლილვარ... საქმეზე გელაპარაკები... ბავშვიაო!.. როგორ არა, გუშინ არ მოაშორე ძუძუს!.. ხი-ხი-ხი! ბავშვი კი არა, მომწიფებული ქალიშვილია.

— განა რამდენი წლისაა?

— მეთვრამეტეში გადადგა. შენ კი გაიძახი, ბავშვიაო.

— ნან, ნან, ჩემი ბიკუჩი... ნეტა მის ბედნიერებას მომასწრო და მერე თუნდა მომკლა...

— ნუ ეჩქარები სიკვდილს, — გააწყვეტინა სეიდიყმა. — აი სწორედ მაგ ბედნიერებაზე ვლაპარაკობ. შენ თითონ დამეთანხმები... განა მე, მამა, ცუდს მოვიწოდებ შეილისათვის?

ქალიშვილის სიყვარულით გულაჩვილებული დედა განზე გაიყურებოდა და თავისას გაიძახოდა:

— უი, ნან, ნეტა შენ ბედნიერებას, შენ ქმარს მომასწრო, მერე თუნდა ერთ დღესაც ნუ მაიხივია...

— ვნახავთ, ვნახავთ, როგორ არ იცხოვრებ... ახლავე სახელსაც გატყვი...

მოხუცმა სწრაფად პირი მიიბრუნა.

— ეინ არის? — ჰკითხა და დააშტერა თვალები.

— კოსტა! — მიახალა ერთბაშად სეიდიცმა.

— რომელი კოსტა, უბედურო? — შესძახა ცოლმა.

— კოსტა, ვაჭარი...

ხიკუჩი უცბად მოსწყდა კედელს, თითქოს გველმა უკბინაო.

— აი, ღმერთმა კი დაგწყველოს, ღმერთმა! როგორ ამოგივიდა პირიდან ეგ? მივათხოვოთ ისეთ კაცს, რომელსაც ერთ თვალზე ლიბრი აქვს გადაკრული! — იძახდა აღშფოთებული მოხუცი.

— რა საჭიროა სილამაზე მამაკაცისათვის! აი მეც ერთ თვალზე ქუთოთოები შევიწროვებული მაქვს. რატომ მომთხოვდი? კედლობი ჩემთვის! ხი-ხი-ხი! — ჩაიციხა სეიდიცმა.

— არ დამინახავს მაშინ ეგ შენი ბრუციანი თვალი...

— ხი-ხი-ხი! — კვლავ ჩაიციხა სეიდიცმა. — დაბრმავებული იყავი ჩემი სიყვარულით, დაბრმავებული!..

— რომელი სიყვარული! ერთხელ მეტად არც კი მინახავხარ! მშობლებმა ძალით გამათხოვეს... არა, არა! აღარ გამაგონო ეგ სახელი! აღბათ წამოგცდა! არა! არა! — ვეღარ ისვენებდა მოხუცი.

— სულელი ხარ, სულელი! — დაიწყა ისევ სეიდიცმა. — კოსტა ვაჭარია, მდიდარია, კარგად ცხოვრობს... რაც შეეხება პატარა ნაკლს თვალზე, ეს არაფერია! სამაგიეროდ გამოსადეგი კაცია...

— ნუ შეუბნები, ნუ მავას! გინდა გაჰყიდო შვილო?! არა და არა! — სიტყვა მოხუცმა და გავარდა გარეთ.

— ე-ე-ე! ეშმაკმა კი წავიღოს! მოიცა, მოინდომებ! — ჩაილაპარაკა თავისთვის სეიდიცმა, მიუჯდა კერას, გასწია-გამოსწია შეშები, წააყარა ნაკვერჩხალს ნაცარი, მერე წამოდგა და ოდისაქენ გაეშარათა დასაძინებლად.

ხიკუჩს მთელი ღამე არ დასძინებია. თავიდან არ შორდებოდა ის აზრი, რომ მამას ძალით, მისი სურვილის წინააღმდეგ, უშნა მიათხოვოს ისეთ კაცს, რომელიც არ უყვარს... კომკავშირელი ქალი ვაჭარზე უნდა, გაათხოვონ! ისიც ნახევრად ბრუციანზე! ხიკუჩმა საბანი გადაიგდო და ლოგინში წამოჯდა. აღშფოთდა ახალგაზრდა გული... გაგანიერებული უძრავი თვალები წყვდიადის გარღვევას ლამობენ... ქუთუთოებთან ცეცხლის რგოლები დახტოდენ... ამავე დროს მის გულს სხვა იღუმალი შიში ეოთლებოდა... „სად გაგზავნა მამამ ამ ყრუ ღამეში ჩემი ძმა?“ — ფიქრობდა იგი. ჰკითხა დედას, მაგრამ მან არაფერი არ იცოდა. ვერ გაბედა ეკითხა მამისათვის. ხიკუჩი გრძნობდა, რომ მამას რალაც უკეთური ელო გულში. უკანასკნელ დროს სულ შფოთავდა, სულ ბუზღუნებდა საბჭოთა ხელისუფლებას. ყაზილბაიკი მოვიდა მის სანახავად... ნათლად და ცხადად წარმოუდგა სეიდიცის ყოფაქცევა, რასაც მანამდე ყურადღებას არ აქცევდა. გაახსენდა მთელი თავისი ცხოვრება, ბავშვობიდან დაწყებული. მიხვდა რომ მამა ყოველთვის მტარვალი იყო ოჯახში, რომ იგი უკანასკნელ სისხლს



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

სწოვდა მეზობელს, ღარიბ გლეხს თემირს და ობოლ ხაბაშს. განმარტენი-სათვის შეეძლო ყველაფერის ჩადენა, საკუთარი ქალიშვილის გაყიდვაც კი... დილით სამზარეულოს წინ ეზოში ძმას შეხვდა.

— სად იყავ წუხელ? — ჰკითხა ბიკუჩმა და თვალეზმანს მტკიცად

— რა შენი საქმეა! — მოუკრა მან.

— არ ვინდა მითხრა, არა? მამ კარგი! მამა ცუდ რაღაცას აკეთებს და მეც სველი... კომკავშირელს დამიხედეთ! აი ნახავ, განვაცხადებ შენზე კომკავშირში...

— აბა გაბედე! გიჩვენებ სეირს! ცემით მოგკლავ! — დაუბრიალა თვალეზი და განშორდა.

ამან უფრო დაარწმუნა, რომ მის მამას რაღაც ცუდი საქმე აქვს განზრახული. და ყველაფერში კომკავშირელი შვილი ეხმარება.

ბიკუჩი მოაჯირს მიეყრდნო და ჩაფიქრდა.

მან გონების თვალი გადაავლო მამის მეურნეობას და შეუფარდა მას კულაკური მეურნეობის ნიშნები. ცხადად დაინახა, რომ მისი მამა კულაკი იყო. ამ აღმოჩენამ ძალზე დააღონა და დააფიქრა.

„მამა კულაკი... მე კომკავშირელი... უნდა განვაცხადო კომკავშირში თუ დაეფარო მამა“... — დიდ საგონებელში ჩაეარდა ბიკუჩი.

დიდხანს იბრძოდა მასში პატრიარქალური აღზრდით ჩანერგილი სიყვარული და მორჩილება დედმამისადმი კომკავშირის გავლენასთან.

„გავწყვეტო კავშირი კომკავშირთან?... არა, არა, არ შემიძლია! მაცვარს იგი... სულით და გულით შევეთვისე... ამავე დროს მამა საბჭოთა ხელისუფლების მტერია! აქტიური მტერია. თანაც სოფლის საბჭოს წევრი!... რა საზიზღარი კომკავშირელი ვარ!... უნდა განვაცხადო ყველაფერი კომკავშირში!“... — მტკიცედ გადასწყვიტა მან.

თ ა შ ი VIII

— ჰეი!.. ადექ! — დაუძახა თემირმა თავის ცოლს, რომელსაც ბავშვებთან ერთად იქვე მისი თავით ეძინა.

— რა, განა გათენდა? — იკითხა ასიამ და სწრაფად ჩამოჯდა.

დილის რიყრაყი ჭუჭრუტანებიდან უკვე იპარებოდა ფაცხაში.

— დედა... მეც მინდა ადგომა!.. — წამოიძახა ბიკუჩმან, რომელიც დედას გვერდით ეწვა.

— არა, შვილო, იწექ! ჯერ ცეცხლი არ არის... ცივა! — უთხრა დედამ.

— მე კი ვიწვეები!.. — სთქვა გოგომ და თავიც საბანში ჩაჰყო.

— აბისტა*) მოამზადე... მე ცეცხლს გავაჩაღებ. — ჩაილაპარაკა თემირმა. — დღეს მრუდე კაკალთან ვიკრიბებით მე, ბაზალა, ქობლუხი და სხვები. უნდა მოვილაპარაკოთ მიწების ერთად დამუშავებაზე.

*) აბისტა — სიმინდის ფაფა.

— ვიცი. აკი მითხარ, რომ კუჭირი გელაპარაკა მავს შესაჩივრად.

— აი სწორედ მავსთვის უნდა შევიკრიბოთ! — სტკეა თემირმა, კერას მიუჯდა, ნაცარი გაშალა და ნაკვერჩხლები გამოაჩინა. მანქანაში მხოლოდ ბი დაყარა და ბერვა დაუწყო.

აპრილდა ალი. ფაცხის კედლებზე ჩრდილებმა ხტუნაობა დაიწყეს. მერე თემირმა ფაცხის კარი გააღო. დილა სიცილით შეიჭრა ფაცხაში.

აღმოსავლეთით გამოღვიძებულ მთებს ამაყად ამართათ თავები. მათი მწვერვალების უკან მზეს უკვე გაეშალა ფრთები. იგი ნელ-ნელა მიოცავდა ზევით. დაბლობებში ღამიდან დარჩენილი წყვედიანი, მზის შუქით დამფრთხალი, სწრაფად მიიპარებოდა. ფიკვის ხიშტებით შეიარაღებულ ტყიდან ხეობებს ჯერ კიდევ ლურჯი ბინდბუნდი ჰქონდა ვადაკრული. ღიმილით ხედებოდა მზეს შორეული ერცახეს წამწვეტებული მწვერვალი. ამავე დროს თეთრ ფაფახში გამოწყობილი ეს ძაღოვანი გოლიათი თვალს არ აშორებდა ქვემოთ ლურჯად გაწოლილ ზღვას.

ბოლო თვალწვედენელი ზღვა ჯერ კიდევ უზრუნველად სთვლემდა მწვანე ხუტუტოვან ნაპირებთან. მთის ნაკადების შეუწყვეტელი რაკრაკი ნანიხად ეწვეთებოდა მის ყურს. ბოლოს მზემ მასაც გადახედა. ცელქსხივების ნაზ ალერსს და თბილ კოცნას გამოღვიძებული ზღვა ღიმილით გამოეპასუხა — ოდნავმა ტალღამ გადაიბრინა მის ზედაპირზე. მაგრამ აი ატოკდა, ატორტმანდა მისი მწვანე-ხავერდოვანი მკერდი, და გველივით დაკლაკნილი ტალღები ნაპირებისაკენ გაეშურნენ.

ახმაურდნენ ბუები, ატოკდენ ლარივით ამართული ალვისხის თავები. აჩუჩუნდენ ფოთლები, ალაპარაკდენ სხვადასხვა ხმაზე ფრინველები, გამოეხმაურენ ახაბლაში ერთმანეთს მამლები, აყეფდენ ძაღლები და, ბოლოს, ფეხზე წამოდგა ნამძინარევი კამეჩი, რომელმაც ზანტად ასწია უკან გადახრილი, ძაღოვანი რქებით შემქული თავი და დიდი ხორკლიანი ენა წაატანა თხმელიდან ჩამოშვებულ ვაზის ფოთოლს.

ლურჯი ხავერდით გადაკრულ ცაზე კი სწრაფად გარბოდა ფერმკრთალი მთვარე, რათა მალე ჩაშვებულიყო ზღვაში და გაეგრილებინა მზისაგან დამწვარი სხეული.

თემირი ნამიან ეზოში გავიდა. თვალი მოჰკრა კამეჩს, ხმამალა დაუყვირა და მოაშორა ვაზს.

დილა ალერსით შეხვდა თემირის სახეს. მისი გული მღეროდა. და სიხარულისაგან სტვენას შეუდგა. ახარებდა საუცხოო დილა, ახარებდა ის, რომ რკინის გუთანით უნდა შესდგომოდა ზენას, რომ სედიციის უღელი უკვე გადაგდებული ჰქონდა, რომ მოელოდა ახალი, კარგი ცხოვრება. მოუთმენლობამ აიტაცა: უნდოდა ახლავე წასულიყო მრუდე კაკალთან. თემირი მიტრიალდა და ღიმილით ფაცხაში შევიდა. ცოლს უკვე ჩამოეკიდა კერის თავზე წყლიანი ქვაბი და ახლა იგი ფქვილს ცრიდა.

— გამიგონე, მე წავალ, — მიმართა მან ცოლს.

— სად? მშიერი?

— მალე დავბრუნდები.

კოლმა შეატყო, როგორ ეშურებოდა თემირს, და ღიმილით უთხრა:
— კარგი, წადი.

თემირი ფაცხიდან გავარდა. დაავლო ხელი წალღს და გავაშენდა.

უხარმახარი მრუდე კაკლის ხე თავისი გაშლილი ტოტებით ზევით დაჰყურებდა პატარა ველს. მძლავრი ფესვებით იგი მაგრა ჩაბლაუქებოდა მიწას.

თემირი პირველი მივიდა. მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერს დაინახა. მოუსვენრად მიტრიალ-მოტრიალდა, მერე ფესვზე ჩამოჯდა, თამბაქოს ფოთოლი დაახვია, მოუკიდა და წევას შეუდგა.

სიჩუმეს არაფერი არ არღვევდა. მზის სხივებს ოქროსფრად შეეღებათ კაკლის ხის თხემი. ღამის განმავლობაში დამშეულმა შაშვემმა შავ წერტილებად გაიღვეს და მოშორებით მდებარე ხეს მიაშურეს. თემირს მოსწყინდა ჯდომა. წამოდგა, ნამწვი გადაავლო და სტვენით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მერე კაკლის ხეს შემოუარა, გაჩერდა, თვალი ააყოლა ხის მრუდე ტანს და გაიფიქრა:

„საკვირველია! რატომ არ წაიქცევა?“

— რას იყურები, თემირ, ზევით? კვერნა ხომ არ შეაგდე ხეზე? — მოესმა უკანიდან. მიიხედა. მისი მეზობელი ბაზალა იყო.

— შენა ხარ, ბაზალ? რატომ დაიგვიანე? მე კი მზე არ იყო ამოსული, როცა მოვედი! — მიუგო ღიმილით თემირმა.

— მოვლენ... აგერ ქობლუხი და კუქირიც მოდიან.

მალე სხვებიც მოვიდნენ. შეიკრიბა ათ კაცამდე. ყველა ერთი ახაბლიდან იყო, „მრუდე კაკლის ხის“ ახაბლიდან. აქედან სამი კაცი ღარიბი გლეხი იყო, დანარჩენი — საშუალო. ახმაურდა კაკლის ქვეშ.

— მოდით, საქმეზე მოვილაპარაკოთ! — სთქვა ქობლუხმა. და ყველანი ჩამოსხდნენ: ზოგი — ქვაზე, ზოგიც — ფესვებზე.

— შენ დაიწყე, ქობლუხ, — მიმართა ბაზალმა.

— მე? თემირ, იქნებ შენ დაიწყო?

— როგორ შეიძლება, როდესაც უფროსები აქა ხართ? — მიუგო მოწინებით თემირმა.

— იქნებ შენ, ბაზალ? — მიმართა ბაზალას ქობლუხმა.

— დაიწყე, დად, დაიწყე...

— მასე იყოს, რაკი არ იშლით, — დაიწყა ქობლუხმა. — ჩვენ აქ ათი მოსახლე შევიკრიბეთ. ყველამ არ იცის რაზე უნდა მოვილაპარაკოთ დღეს.

— სწორია, დად, სწორი. ყველამ არ იცის, — დაუდასტურა ბაზარათმა.

— არ იციან ბაზარათმა, ქაჩბეიმ და ყუათალეიმ. დანარჩენებმა იციან. პირდაპირ დაეიწყებ. ჩვენ ვფიქრობთ შევეაერთო ჩვენი ძალები და ერთად დავიმუშაოთ მიწები.

— როგორ? ეგ ხომ კოლმეურნეობაა? — დააჭყიტა თვალები ბაზარათმა.

— რამ შეგაშინა, შე კაცო? დამფრთხალი ძაღლია ვინაა? — უყუფდაო. შენც ასე ხარ, — გაიციხა ქობლუხმა.

— ეგ ხომ კოლმეურნეობაა, დად? — გაიმეორა კითხვა ბაზარათმა

— რაც ვინდა დაუძახე, კოლმეურნეობა თუ სხვა რამე... ჩვენ კი მოვილაპარაკოთ მიწების საერთო ძალ-ღონით დამუშავებაზე. შენ ამის წინააღმდეგი ხარ? — ჰკითხა ქობლუხმა.

— არა, დად, მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ შევერდეთ და ისე ვიმუშაოთ. წაიყვანეთ ჩემი კამეჩები, წაიღეთ ჩემი სახნისი, ყველაფერი, რაც საერთო მუშაობისათვის გამოდგება, მაგრამ კოლმეურნეობა არ მინდა.

კუჭირს გაეციხა. გაეციხა სხვებსაც.

— რას დამცინი მოხუცს, კუჭირ? განა რა ვთქვი სასაცილო, დად?

— შენ ხომ წინააღმდეგი არა ხარ, ბაზარათ, რომ შევერდეთ, რომ ერთად ვიმუშაოთ? — ჰკითხა კუჭირმა.

— არა ვარ...

— ჰო და ეგ არის კოლმეურნეობა.

— კოლმეურნეობა?

— ხი-ხი-ხი! — ჩაიციხა ეშმაკურად ყუთთაღეიმ, რომელიც მანამდე რუმად იჯდა.

— შენ რაღას იცინი? — მიმართა მას ბაზალამ.

— მეე?

— ჰო, შენ!

— არა, სულ ერთი არ არის, ბაზალა... კოლმეურნეობას უნდა მისცე კამეჩიც, სახნისიც, სახლკარიც, ძროხაც, ხარიც, ქათამიც, ბატიც... ყველაფერი, რაც გაგაჩნია... საკუთარი თავიც...

კუჭირმა გააწყვეტია.

— მართალი არ არის, ყუთთაღეი. ეილაც გაშინებს და შენც გჯერა. — მიუგო მტკიცედ კუჭირმა და განაგრძო: — რასაც შენ ამბობ, მაგას ჩვენი მტრები ამბობენ... ვინ არიან ისინი? კულაკები, თავადები, აზნაურები, ყველა ის, ვისაც საბჭოთა ხელისუფლებამ აუკრძალა ხალხის ძარცვაგლეჯა. ვისაც არ უნდა, რომ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა ერთად იმუშაონ. იმით იციან, რომ როცა კაცი მარტო მუშაობს, ვერ გამდიდრდება, ვაჭირვებულ კაცს კი ადვილად ჩაიგდება ხელში, ადვილად ამუშავებენ თავიანთ სასარგებლოდ... აი როგორ არის საქმე ყუთთაღეი!..

— სწორია, დად, სწორი. ელაში ცხენი მშინარააო, ხომ გაგიგონია? შენც ასე ხარ, ყუთთაღეი, — სთქვა ბაზალამ.

— ძროხების, წილფება პირუტყვის, ფრინველის, სახლკარის გაერთიანება, განსაზოგადოება არ არის ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი... — განაგრძო კუჭირმა. — პირიქით, საბჭოთა ხელისუფლება ებმარება კოლმეურნეს, ცდილობს, რომ ყველა კოლმეურნეს ჰყავდეს ძროხა, წერილფება პირუტყვი, ფრინველი და სხვა. ასეა საქმე!..

კუჭირმა ამოიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება და ჩვეულებრივად დასწრეებს, რა არის არტელი, როგორ უნდა მოეწყოს, როგორ უნდა იმუშაოს და სხვა.

— ეგ ხომ ერთმანეთის დახმარებაა! რით არის ცუდი? — სთქვა თემირმა.

— სწორია, დად, სწორი! — დაუდასტურა ბაზალამ.

— რას გაჩუმებულხარ, ქაჩბეი? — ჰკითხა ქობლუხმა.

ქაჩბეი ბაზალას მეზობელი იყო, ღონიერი საშუალო გლეხი.

„კარგად ვცხოვრობ, რად მინდა კოლმეურნეობა?!“ — გაიფიქრა მან. ნანობდა, რომ მოვიდა და ახლა მიზეზს ეძებდა თავის დასაძვრენად.

— შე მეკითხები? — ჰკითხა ქობლუხს და თავი ასწია.

— ჰო.

— შე... არ მომწონს... — დაიწყო მან. — ჩვენ სოფელში ჯერ არსად არ არის კოლმეურნეობა... ჩვენ რატომ უნდა მოვაწყოთ პირველად? უკანა ეინ მოგვდევს!..

— ხომ უნდა დაიწყოს ვინმემ? სულ ერთი არ არის აქ იქნება თუ რქ? — მიუგო კუჭირმა.

— მასეა... მაგრამ... შე მაინც არ შემიძლია... — სთქვა ქაჩბეიმ.

ამ დროს ყუათაღეიმ წასტურულა: „წავიდეთ“—ო.

— როგორც გინდა, ძალას არავენ არ ვატანს, — მიუგო ქობლუხმა.

— ნუ გეწყინებათ და... — სთქვა დარცხვენით ქაჩბეიმ და წამოდგა. წამოდგა ყუათაღეიც.

— შენც მიდიხარ? — შეეკითხა თემირი.

ყუათაღეი დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს წაილულლულა:

— ჰო... მეც...

— კარგი. წადით. კალთებს არ დაგავლეჯთ! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ ქობლუხმა.

— კეთილად იყავით! — სთქვა ქაჩბეიმ და გზას გაუდგა. მას ყუათაღეიც დაედევნა.

— იქნება სხვა ვინმესაც უნდა წასვლა? — იკითხა ქობლუხმა.

— არა, დად, არა! — მიუგეს მტკიცედ დარჩენილებმა.

— მაშ რვა კაცი დავრჩით!

— ნუ სწუხარ, ქობლუხ, რომ ცოტანი დავრჩით. ხომ ვავიგონია. ზღვაც წვეთისაგან შესდგებაო, — ანუგეშა ბაზალამ.

სწორია.

— ჰოდა, მაგრა ჩავეჭიდოთ ერთმანეთს ხელი და შეუდგეთ საქმეს. რომ არ დაგვეცინონ ისეთმა კაცებმა, როგორიც არიან ქაჩბეი, ყუათაღეი და სხვები.

— სწორია, დად, სწორი...

ამ დროს კუჭირიც მივიდა. მიესალმა შეკრებილთ.

— ზოდი, დად, დაჯექ! — მიიწვიეს იქით-აქედან.

— ისხედით, ისხედით! აი აქ დაეჯდები! — სთქვა კუბრიცმა და კუჭირის გვერდით დაჯდა.

— როგორ მიდის თქვენი საქმე? — იკითხა მან.

— საქმე ცუდად არ მიდის, მხოლოდ ორი კაცი შემოვიდა კუბრიცმა.

— ვინ?

— ჭაჩბეი და ყუათალეი.

კუბრიცი ჩაფიქრდა.

— ნუ სწუხართ, სთქვა მან ცოტა ხნის შემდეგ. — ერთი დამპალი ვაშლი ასს კარგ ვაშლს გააფუჭებს...

— სწორია, დად. ჭიანი ვაშლი არ გვინდა! — მიუგო ბაზალმა.

— კარგად სთქვი, ბაზალ! — ჩაილაპარაკა კუბრიცმა. მერე იკითხა: — მაშ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი?

— მტკიცედ, დად, მტკიცედ! — მიუგეს ერთხმად.

— ახლა უნდა მოვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ დავიწყოთ მუშაობა.

— უპირველეს ყოვლისა უნდა გააერთიანოთ თქვენი მიწები. — სთქვა კუბრიცმა.

— მიჯნები, დად, მიჯნები? — შეეკითხა ბაზარათი.

— უნდა მოსპოთ! ეგ არის, რომ გაშორებთ ერთმანეთს. — გაიცინა კუბრიცმა და განაგრძო: — მაშ ასე, გააერთიანეთ მიწები და არა სახლ-კარი და ის, რაც სახელდახელოთ ოჯახისთვის საჭიროა, მაგალითად, ბოსტნები!

— ეგ, დად, კუჭირმა უკვე აგვიხსნა, — სთქვა ხათარმა.

— უფრო კარგი... თქვენი მიწები შორი-შორს არის?

— არა, ერთი-ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ. მგონი, ხათარმა მიწებია მხოლოდ შორს.

— ჰო, ცოტა მოშორებით არის. როგორ უნდა მოვიქცეთ? — ჰკითხა მან.

— ეგ არაფერია, იმასაც მოხნავთ! — მიუგო კუბრიცმა და განაგრძო: — შემდეგ გააერთიანეთ თქვენ მუშა პირუტყვი, სახნისები და გუთნები, და იმუშავეთ ერთად. — სთქვა და შეხედა თემირს. გაახსენდა გუთანი და ღიმილით ჰკითხა: — ჰა, თემირ, როგორ არის შენი გუთნის საქმე?

— კარგად! შევბამ ბაზალას კამეჩებს და დავიწყებთ საერთო მიწების ხენას, — წარმოსთქვა მან გახარებულმა, და გაახსენდა ახალი გუთანი თავისი პრიალა საკვეთით იქ, ყანაში, თხმელის ქვეშ.

— ჰოდა შეუდევით მუშაობას, ყოჩაღად, ხალისით! — სთქვა კუბრიცმა. — სოფლის საბჭო დაგეხმარებათ, შთავრობაც დაგეხმარებათ. მალე ტრაქტორიც გექნებათ.

— ეგ რაღაა, დად? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით ბაზარათმა.

— მანქანაა. შიგნით ცეცხლი ანთია. თავისით მუშაობს. მხოლოდ კაცი განაგებს. დღეში ათ დესეტინას მოხნავს, — მიუგო კუბრიცმა.

— ალახ, ალახ! — გაიკვირვა სიტყვა-ძვირმა სიყუნმა.

— იმისათვის, რომ კოლმეურნეობის საქმე კარგად წავიდეს, ყველაზე უფრო საჭიროა ძმური, ერთსულოვანი მუშაობა. — სთქვა კუჭირი. — პირველ ხანებში ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შეგხვდებოდა, მაგრამ თანდათან ყველაფერს დასძლევთ...

— სწორია, დად, სიძნელე ყველა საქმეშია... ჩიბუხი ხომ არაფერია, მაგრამ როცა აკეთებ, აქაც ბევრი რამ შეგიშლის ხელს, — სთქვა ბაზალამ.

— სოფლის საბჭო ყურადღებას არ მოგაკლებთ. დაგეხმარებათ მუშაობის მოგვარებაში, შრომის მოწესრიგებაში. ჩვენი მტრები და ისინი, ვინც უქმეაყოფილა კოლმეურნეობით, ათას ხმასა და ჭორს გაავრცელებენ, შეეცდებიან ამ ახალი საქმის ჩაშლას, შფოთის ჩამოგდებას თქვენს შორის და სხვ.

— არა, დად, არ ჩავიდნით ისეთ საქმეს, რომ ქაჩბივ და ყუათაღვიმ სასაცილოდ აგვიგდონ. როგორ უნდა შევხედოთ მაშინ ხალხს თვალებში? — მიუგო ბაზალამ.

— როდესაც კოლმეურნეობის საქმე კარგად წავა და როდესაც სხვები დაინახავენ, რომ ის ხელსაყრელია მშრომელი გლეხისათვის, მაშინ თითონ შეგებეწებიან. მიგვიღეთო, — დაამთავრა კუჭირი.

— დეე კეთილად დამთავრდეს ჩვენი საქმე! — სთქვა ხაზარათმა.

— მასე იყოს, მასე! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ამ დროს მათთან ცხენოსანი კაცი მივიდა.

— გავიგე, რომ აქ ხართ შეკრებილი. ზეგ მახუას სულის ხსენებაა, — სთქვა მან.

— კარგი, დად, მოვალთ, — უთხრეს, ცხენოსანი გატრიალდა.

კუჭირიცა განზე გაიხმო კუჭირი.

— აი რა, კუჭირ! — მიმართა მან. — კომკავშირის აქტივი და პარტიის წევრები უნდა დაესწრონ მახუას სულის ხსენებას. საჭიროა აგიტაციის გაწევა, ფრთხილად კი, ამ გამალატაკებელი ჩვეულების წინააღმდეგ.

ამ დროს გამოჩნდა თემირის ცოლი. აღუღებულმა განზე გაიხმო თემირი.

— რა მოხდა? — ჰკითხა მან.

— გუთანი სად დად? — თავის მხრივ შეეკითხა იგი.

— თხმელის ქვეშ, ყანაში.

— იქ აღარ არის!

— როგორ თუ აღარ არის?

— იქ მარტო ჯაჭვი გდია.

ალბად ბიჭებმა გადაათრიეს საღმე...

— არსად არა სჩანს.

თემირი შემფოთდა. უცბად მოსწყდა ადგილს და სახლისაკენ გაიქცა.



ყანაში შეეარდნილმა თემირმა თხმელისაკენ გაიხედა. მსჯერამს გუფთან არ სჩანდა. მაინც მივიდა ხესთან. მიწაზე მარტო ჯაჭვი ეგდო. თვალი დაუბნელდა. ცივმა ოფლმა დაასხა. ასწია. ჯაჭვი, მერე ისევ დააგდო. ჯაჭვმა საბრალოდ დაიწკრიალა. ეს წკრიალი ეკლად მოხვდა თემირის გულს. ყელში რაღაც გაეჩხირა: არ შეეძლო აღარც ლაპარაკი, აღარც დაყვირება. გადახედა მთელ ყანას. არსად არაფერი სჩანდა. თვალი მოჰკრა კაცის კვალს. კვალი ტყისაკენ მიდიოდა. გაჰყვა მას, მივიდა ლობესთან და გადავიდა ზედ. მეორე მხარეს ტყე იწყებოდა. მიწაზე ბევრი შარშანდელი ფოთოლი ეყარა და კვალი იკარგებოდა. თემირი უკანვე გადმოხტა და ხელახლა მიიჩბინა იმ ადგილთან, სადაც დაობლებული ჯაჭვი ეგდო. მერე ამოიღო რევოლვერი და სამჯერ გაისროლა.

მოიჩბინა ცოლმა.

— ვერ იპოვე? — ჰკითხა მან.

— მოიპარეს!.. — სთქვა ჩახლჩილი ხმით თემირმა.

— უნან, უნან, ვინ გამოგვჭრა ყელი, ვინ? — წამოიძახა ცოლმა.

თემირი გაჩუმებული იდგა.

— რა მოხდა, დად. რა? — დაუძახა შორიდან ბაზალამ, რომელიც თემირისაკენ შორბოდა.

მას მოსდევდნ სხვებიც. სროლის ხმაზე ხალხი შეიკრიბა. გაჩნდა სეიდიციც. შეხედა კუბრიცს და ოდნავ შეერთა. სწრაფად თვალი მოაშორა.

— რა მოხდა, დადრაა? — იკითხა თითქოს შეშფოთებულმა სეიდიცმა.

— მომკლეს! ყელი გამომჭრეს! — სთქვა თემირმა და თვალით ანიშნა ჯაჭვზე.

— როგორ?

— გუთან მომპარეს... მარტო ჯაჭვიღა... — წარმოსთქვა ყრულ თემირმა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! ვის, ვის უნდა ჩაედინა? — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ვის უნდა ჩაედინა? — გაიმეორა სეიდიცმა და მწუხარე სახე მიიღო.

— არ ვიცი, ვის, მაგრამ ყელი კი გამომჭრა! — ჩაილაპარაკა თემირმა.

მარტო შენ კი არა, ყველას გამოგვჭრა ყელი... ყველას, ამ ახაბლის მცხოვრებს! — წარმოსთქვა სეიდიცმა.

კუბრიცი ამ დროს ფიქრობდა: „მტრის ხელის საქმეა ეს“, მერე მან თემირს მიმართა:

— ეჭვი ხომ არავისზე გაქვს, თემირ?

სეიდიცმა ყურები ცქვიტა.

„სეიდიცმა ხომ არ ჩაიდინა?“ — გაუელევა თავში თემირს, როცა გაახსენდა სეიდიცთან ლაპარაკი. ის, თუ როგორ გაავლო იგი სწორედ ამ ადგილიდან, მაგრამ მაშინვე განდევნა თავიდან ეს აზრი, გაიფიქრა: „აბა-

ტივცემული მოხუცია, სოფლის საბჭოს წევრი, „არა, არ ჩაიბნენდა ამას“... — და სთქვა:

— არა, არავისზე შემდის ეჭვი.

სეიდიყმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— კვალი არ შეგიმჩნევია? — ჰკითხა თემირს ბაზალამ.

— შევამჩნიე... აგერ კვალი, ტყისკენ მიდის, მაგრამ ლობის მეოჭე მხარეს იკარგება...

გაპყვნენ კვალს.

სხვებს სეიდიყიც მისდევდა. მას ახალი აზრი აწუხებდა: „ვაი თუ იმ უბედურმა ხაბაშმა ვერ დამალა კვალი!“

— აი აქ ლობე ოდნავ ჩაქყლეტილია! ალბად აქ გადაათრია გუთანი, — დაიძახა ვილაყამ.

— ჰო, ჰო! ეტყობა აქ გადასულა! — დაუდასტურეს იქეთ-აქედან.

გადავიდნენ ლობეს. მეორე მხარეს კვალი იკარგებოდა. გაიფანტნენ ტყეში. სეიდიყ ცდილობდა ქის ახლო არ გაეველოთ. დიდხანს იარეს ტყეში, მაგრამ კვალი ვერსად შენიშნეს. ბოლოს ერთ ადგილას მოგროვდნენ. ილაპარაკეს. კუბრიცის წინადადებით გადაწყვიტეს ეცნობებიათ ეს ამბავი სოფლის საბჭოს თავმჯდომარისათვის.

წასვლისას კუბრიცმა მხარზე ხელი დაჰკრა თემირს და უთხრა:

— ხუ სწუხარ, თემირ, სხვა გუთანს გიშოვით!

გაიგონა რა ეს სეიდიყმა, გონებაში გაილიმა და გაიფიქრა: „ჰა დღია, სხვა გუთანსაც დაიტევს“ — ო.



როდესაც სროლის ხმა გაისმა, ხაბაში თავისი თხებით ტყეში იყო მკითხველისათვის უკვე ცნობილ წყაროსთან. სროლაზე მიხედა, რომ ქურდობა შენიშნეს. შეშფოთებული ეცა მალალ ხეს, თვალის დახამამებაზე კენწეროში ავარდა, გასწი-გამოსწია შტოებს და გაიხედა იქითკენ. საიდანაც სროლა მოისმა. თხმელასთან ყანაში დაინახა თემირი, რომელიც მარტოდ-მარტო იდგა. გული შეეკუმშა. თვალზე ცრემლები მოადგა. ჩადენილი დანაშაულის შეგნება სტანჯავდა, გულს უღრღნიდა. „რა ვქენი?.. ყელი გამოვჭერი მეგობარს... რატომ ჩავიდინე?“ — გაიფიქრა და ცრემლიანი თვალები ასწია.

მთელი ახაბლიდან ხალხი თემირის სახლისაკენ გარბოდა. სროლის ხმამ ყველა შეაშფოთა. ხაბაშმა თვალი მოჰკრა აჩქარებით მიმავალ სეიდიყსაც. „უი, ძაღლო!“ აღმოხდა გულიდან და გაიფიქრა: „მოდი მეც წავალ... გამოვტყდები, ვიტყვი, როგორ შემაკდინა სეიდიყმა“ — ...მაგრამ სირცხვილმა ხელ-ფეხი შეუბოჭა, და ხაბაშმა მწუხარედ თავი დახარა.

კალე ბოგოხიძე

სიხვარული

სიხვარული

სარკმელში ცელქი სიო მოძვრება
არბევდა ბინდებს — ციურ ხომალდებს,
სიხვარშიც ჩამყვა შენზედ ოცნება,
ვით განათება — ზღვიდან ხომლამდე...

მთვარის სხივებმა მთები შევერცხლეს
თმაც დამფენია მყინვარ ვერცხლებად.
ჩემო ლამაზო ნეტაც შემეძლოს
გამოგიგზავნო კოცნა მერცხლებად?..

შენშიც ანთია ვნება ცეცხლივით
და სიახლოვით გული ვერცხრება,
რომ დაგინახო სახეშეცვლილი
ვიცი ინანებ, ვიცი შეგვრცხვება...

მაშინ, კალამიც იყოს უტარო,
და მგოსნის განცდა გამოფიტული:
გულში დენივით თუ არ ვატარო
შენზედ ფიქრები — ტრფობის სირთულით?!

რა ექნა ძვირფასო, შენებრ საქმიანს
— შრომაშიც მახლავს შენზედ ოცნება,
როდესაც ვიცი — მეტი ბარგია,
ვინც დამკვრელობას ტემპში მოცდება?!

მაგრამ ახლა ხომ ღამის ძალია
ნორჩ ყმის ძილივით გამეფებული?..
— შენი ალერსი მინდა ძალიან
მზიურ ღიმილით განათებული!..

ნუ გვეგონება ვიყო უხეში
და აღარ მჭონდეს გრძნობა ანკარა.
რადგან ყვევილად გაშლილ უბეში
მოსასვენებელს ვეძებ აგარაკს.



ჩემო ძვირფასო, ნუ ჩამთელი უცბოდ,
ჩემი ცხოვრებაც ქარიშხალია; ;
შენებრ, ზღვის ღელეებს მანაც გაუძლო
და გამარჯვებით გაუხარია.

იქნებ ბრძოლაში ვაეხდი უხეში,
მაგრამ ეგ გული სარკეა წმინდა;
არ მინდა მყავდე ცოლი უღელში,
მაგრამ მხურვალე ალერსი მინდა.

რა ექნა თუ მინდა იყო ლამაზი
და გაზაფხულის ვარდივით ნორჩი,
მასულდგმულებდე მუდამ ამ აზრით...
— ვეტრტი მეგობარს, და არა მორჩილს.

არ მინდა იყო ფეხთქვეშ ნათელი
და შემოდგომის დამკუნარი მოლი
აღარ გაგვიქრეს გრძნობა ნათელი
არ მშეზრდებოდე, როგორც ქმარს — ცოლი.

ღამე მუქია. ბალი შრიალებს,
ქალაქი ელვის ვარსკვლავებს მაყრის,
მე ყრუ ოცნებით შემოვიარე
და ენაზე შენი პატარა სახლი.

გაეხედე ახალ შენობის სარკმელს
მყუდრო ოთახში დუმილი იწვა
და შუქმფინავი, ვით ჩენი საჭმე
მძიმედ სუნთქავდა საბჭოთა მიწა.

ხვალ, ვიცი ჩემსკენ კვლავ შემოივლი
და უცხოსავეთ შეარხვე ფანჯრებს
თან შემოიტან ალერსს და ღიმილს,
რომ უკვდავ ხსოვნის სიმბოლოდ დარჩეს.

ო, მამატიე ნუ ჩამთელი ბრიყვად,
 თუ მინდა იყო ანკარა წყარო
 თუ ჩვენი ყოფა იქეთკენ მიგკეყავს,
 რომ ნეტარების ცრემლები ვღვაროთ!



ვაკეთოთ -საქმე და შრომით წინსვლა
 დე, ბუღბულივით ვუმღეროთ დაზგებს
 თუ მეგობარი მანქანად იტყა
 ახალ ეპოქამ დატოვოს ვანზე.

ხომ მანქანების პატრონი ჩვენ ვართ,
 გულში ყვავილად სიყვარულს ვაეზრდით
 და ვარსკვლავივით შენს გამოჩენას
 მოაქვს სიციცხლის ბრწყინვალე აზრი.

იმღერე შებზე შემდგარო ქარო
 შენც სივთვაცის ჰიმნი ანკარა,
 იმღერე ვულო — პოეტის თარო
 და მეგობარო დატები ამგვარად.

დატები და სიო შეუშვი ბალში,
 მხოლოდ არ იყოს მოლი ნათელი
 და რომანტიულ ოცნების სახლში
 არ მიიღულოს ტრფობის სანთელი!..

1934 წ. 20 ივნისი
 ტფილისი

ელენე ქართველიშვილი

ნოველები

1. ჩაჩანი მემნა

თავის ქვეყანაშიც ასე ჩაჰყურებდა მთვარე თვალეზში გულალმა ძნებში ჩაწოლილი ემენას და მაშინაც და ახლაც ეჩვენებოდა, რომ სიციცხლე ტკბილი, საამური და მხოლოდ სიყვარულისათვის იყო გაჩენილი.

ბებერი პაპა კი სისხლის აღებას მოითხოვდა, სისხლს, ოდესღაც, ვიღაცის მიერ დაღვრილს.

ემენას კი უყვარდა ქალი, უყვარდა ქალის ძმაც და არ უნდოდა სისხლი.

აი ასე, როგორც ქართლში, ჰახუხახა ღამეში, ემენას თვალეზში ასეთივე თითბერის ტაშტივით მოკრიალებული მთვარე ჩაჰყურებდა და გაზაფხულის ტკბილი ნიაფი უბერავდა.

ოჰ, რა მაღალია მთები, მთები დაღესტანისა, საიდანაც უბერავს ასეთივე თბილი ნიაფი.

მოუსვენარი ძილით სდუმს თავადის სახლი. ემენა ფხიზლობს. გვერდზე შაშხანა თოფი უდევს. ჩაჩანი, ჯამაგირს იღებს და თავადის სიციცხლე ყარაულობს.

1905 წელია.

თავადს ჰყავს ქალი.

ლეკის ქალივით წვრილია წელში, უშიშარი, თამამი.

მაშინ, როცა თავადებს უფროთხის გული და ბინდისას კარს იკეტავენ, გულნაზი მთვარის შუქზე შინ ბრუნდება ქაფით დაფარული ცხენზე და არ ეშინია არაფრის.

გულნაზს ახლა ძინავს და ემენას, გაჩენილს ამ ქვეყანად სიყვარულისათვის, სურს დაინახოს თითბერის ტაშტივით გაკრიალებულ მთვარეში ის, ვინც ლეკის ქალივით წვრილია წელში. მსუბუქი და ხედავს ემენა შორეულს სახეს, დაღვრემილს, ხედავს იმას, ვინც დარჩა იქ, შორს, მთებს იქით.

ნიავე შემოეხვია ემენას სახეს. თბილად აუშალა გრუხა თბილი და ყურში რაღაც ყრუ ხმაური ჩაუშვა.

ემენამ თავი წამოსწია, ყური უმახვილა, შემდეგ ძნიდან ძირს ჩამოხტა და მთვარით განათებულ ბევობს გაჰხედა.

არაფერი. ჩამოჯდა, ხმაური მაინც ისმოდა და მალე მიწაზე დადებულმა ყურმა ცხენების შორეული ფეხის ხმა გააჩიოა.

ემენამ თავადის ოთახის კარებს მიუკაკუნა. წყნარი ხმით დაამშვიდა, მაგრამ განკარგულება სთხოვა.

ხმაურობა უკვე გარკვევით ისმოდა, გზა კი უკაცო იყო. გაკვირვებულმა ზევით ააყოლა თვალები და იქ, სადაც ბევობი თავდებდა, დიდ შალონზე, ცის კამარაზე ცხენოსანთა ჯგუფი გამოიკვეთა.

აჲლაჲ! ვინ არიან. სადაურები. ერთი... ორი... ხუთი... ექვსი.

ემენამ თოფი ვადმოიღო და ლოდინი იწყო. ეტყობოდათ რომ ცხენები თავდაჭერით და ფრთხილად ეშვებოდნენ ქვევით. ვინ არიან? თავადი მტრებს ელის, ოჯახის განადგურებას, ემენას ფულს აძლევს და მან ბატონი უნდა დაიცვას განსაცდელისაგან.

ოოი! ემენას არ უნდა სისხლი.

ემენას უნდა მშვიდი ცხოვრება და აი იმ მაღალ მთებს იქით ლეკეთში დატოვებული ერთი ქალი.

უკვე კარვად არჩევს როგორ ჩამოდის ქვევით შვიდი ცხენოსანი. ემენა ძნას ამოეფარა და უჩინარი უთვალთვალეებს ყოველს მათს მოძრაობას.

იქ, სადაც ბევო თავდებდა, ვიწრო ბილიკი გადის და იქვე შარაზე წყდება. ცხენები შეჩერდნენ, თითქოს შეეკუმანდნენ. შემდეგ შარა გზისაკენ დაუხვიეს. გახარებული ლეკი ელის, როცა გლეხის სახლს მიეფარებიან, ის ისევ ჩაწვება სურნელოვან ოქროს ძნებში და კვლავ ოცნებას გაჰყვება. დამშვიდებულმა ფეხი წინ გადმოდგა და უეცრად ძნას მიკრულმა, ძლივს მოასწრო მიფარება და თოფის მომარჯვება: ერთი მთვანი ბილიკზე საშინელი სისწრაფით მოაჭენებდა თეთრ ცხენს. ბილიკი აქ თავდებოდა. გასავალი არსაით არა აქვს, იქ კიდევ ექვსი ცხენოსანია.

ემენამ დაუმიზნა. გაისმა ერთი გასროლა და გაშვებული ემენა გაჩერებულ თეთრ ცხენს და ზედ ჩამოკიდებულ კაცს ხედავს.

თოფი დაავდო. ერთი ნახტომით მივარდა იქ, ადამიანს მოეხვია და ფრთხილად დაუშვა მიწაზე. სახეზე დახედა, ორი წყვილი თვალი ერთი მეორეში ჩაიძირა.

— აჲლაჲ! და ცას შეხედა.

მთვარე გაკრიალებული თითბერის ტაშტივით ისე დაჰყურებდა დედა-მიწას, როგორც იქ, იმ ქვეყანაში, ლეკეთში.

— რად მომკალ, ძმაო? — ნიავეთან ერთად მოისმა თბილი სიტყვები და მისწყდა სამუდამოთ.

— ძმაო, ძმაო! — წამოსწია მხრებში მოკლული და მიუჯდა თავთან.

— ყოჩაღ, ემენა, რა დიდი აჯანყებული გაისტუმრე საიჭიროს! — წამოიძახა თავადმა როცა კარგათ გაარჩია მოკლულის სახე.

ემენა ზეზე წამოხტა, თოფს ხელი დაავლო და უკან გადხტა მკვეთრი სიძულვილით გაჰხედა თავადს.

— შენ ფული მომეცი... მე კაცი მოვკალი! ალლაჰ, მე სისხლი არ მინდოდა.

კვლავ იელვა თოფმა და ძირს დაცემული თავადი გვერდში ამოუწვა მოკლულს.

თეთრ ცხენს მიაჭენებდა დიდ შარაზე და ვინ იცის სად მიდიოდა ემენა, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე და არ უნდოდა სისხლი.

2. კოჭლი კეკე

ოდნავ შეზარხოშებული ტირზნისელი ალიაანთ საბა მასპინძლის სუფრიდან წამოდგა და სახლიკაცის კისერზე ხელგადახვეული გაემართა იქითკენ, საიდანაც ლხინის ხმა მოისმოდა.

ცხეთიჯრობა იყო და ერედველები ეკლესიის გარშემო ცაცხვების ქვეშ შინაურულად ატარებდნენ დროს. საბა გზაში ქერივობრობას სჩიოდა, სჩიოდა ოჯახის მოუვლელობას და, ოცდაათი წელში მდგარი მამაკაცის უჭალობას.

ნათლიმამა პატივისცემით ვაჟკაცობას უქებდა, ლამაზ გოგოებს უსახელებდა და არჩევანში აგდებდა.

ლხინში ხალხმა მიიწ-მოიწია და სტუმარს ადგილი დაუთმო. წრეში მაგრად გადაკრული მაისურაანთ ნიკა იდგა, დამძიმებული ხელები ზევით ვერ აეზიდნა, ქალამნების თასმები დახსნოდა და ფეხებს ერთ ალაგს ძლივს უბარტყუნებდა.

კეკეს კი მკლავები ფართოდ ვადაეშალა, ყელი გედევით მოედერებინა და წყალზე გაცურებული ნავევით უვლიდა გარშემო.

სოფლისათვის ხანგადასულ ოცდაშვიდი წლის გასათხოვარ ქალს, დარცხვენა კარგა ხანია დაეძლია, თავისუფლად იყურებოდა და მოძრაობაში ნაგრძნობ სიამოვნებას ლალი გატაცებით მისცემოდა.

ხანდაზმულობის გამო თავდაზურულს ლეჩაქი ნიავისაგან აფრასავით უფრიალებდა და ზედ დაბასმული სურათები თეთრი პეპელებივით გარს ეხვეოდნენ.

გასრიალდა კეკე და თან ალიაანთ საბას თვალი და გული გაიყოლა.

გასწია იქით ულაზათოდ აჯანჯლალებული მაისურაანთ ნიკა და გაჰყვა თითონ მძიმე ლეკურით.

ხალხმა თითქოს თავი მოიწონა კეკეს გამარჯვებით და მაგრად დაარტყა ტაში. ვაჩერებულ ქალს საბამ მდებლად დაუკრა თავი, ნათლიმამასთან მივიდა, ხალხიდან გარედ გამოიყვანა, კიდევ გაახსენა რაღაცეების ამბავი და შუამველობა სთხოვა. ნათლიმამას თითქოს შეეჭინა.

— დაიცა, კაცო, ქალი კარგად გაშინჯეო.

აბირებულმა საბამ ხმაც არ ამოაღებინა. მალე მთელმა სოფელმა გაიგო რა ბედი ეწია ორივე თემო ამოვარდნილს კოკლ კეკეს.

ვინ არ იცნობდა პატროსნებით სავსე დარბაისელს, წყნარსა და მშვიდს, მარჯვენაღონიერ ალიაანთ საბას.

ნიშნობა მალე გადაიხადეს, სასიძო გააცილეს და ადგილიდან დაუძვრელი კეკე თანაგრძნობით ანუგეშეს:

— შენ ჯავრი ნუ გეჭნება. ისე ჩაგიყვანთ მეფიანთსას, რომ ტრაპეზის გარშემო სამჯერ შემოვლასაც ლეკურად მოვაჩვენებთო.

კეკე დაღვრემილიყო და გული მოტყუებას უჩიოდა.

აბირებულმა საბამ კი ქორწილიც შორს არ გადასდო და დიბაატლასში გამოქიმული პატარძალით მთვარიან ღამეში გზას გაუდგა.

ურემში კეკეს ფუნჩულა ხელებს დასცქეროდა და ამ ხელებით მოზელილ პურზე ოცნებობდა.

მეურმე ქართლის მოჭედილ ცას ტკბილად უღიღინებდა:

„წამწამსა და წამწამსა შუა ბალი ვაგიშენებიაო“. საბამ ცოლის სახეს გადაჰხედა, ღიახეში ჩამდგარ ურმის ქალას ერთი ხელი მაგრათ ჩაავლო, მეორე წყალში ჩაისველა:

— დალოცოს ღმერთმა ჩვენი ღიახევი, ამ შემოდგომაზე კარგა ხილს გავეიტანთ სოფლიდან.

კეკემ ჯერ თავი თავის სოფლისაკენ იბრუნა, მისი სიახლოვე იგრძნო, მერე ქმარს თვალეზში შეჰხედა.

— სულ იმას ვნატრობდი, ნეტა ღიახევი ასე შორს არ იყოს შეთქი.

— ტირზნისმა პატარძალს ახედ-დახედა, ღამაზ სახეს მინგრეულ მონგრეული თემოები ვერ აპატია და ასეთ ოჯახიშვილს, წარმოსადგევაკაცს, არჩევანი ვერ უქო.

სახლიკაცებმა უკმაყოფილოდ ჩაუბუზღუნეს:

— დალოცვილო, საქალეთი ამოწდა ამ ჩვენს საქართველოში თუ რა ბედენა დაგემართა.

საბამ შუბლი აიმაღლა, მიმავალ ცოლს თბილი თვალეებით გაჰხედა და ეშხიანად გამოაჩინა კბილები.

— ჩემი კეკე ჩემ თვალში მუდამ ლეკურს თამაშობს.



3. ზურაბა

რა ჭნას, რა უყოს ქვრივობერმა იობაანთ სალომემ, რეჟიმეტ ვაჟურდ-ნილი ტყე-ველად დაწანწალებს მისი ერთად ერთი ნუგეში, — შახტმისს და-ვაქვაცებული ბიჭი ზურაბა.

ვერც ქვაბთებში სალოცვად წასვლამ, ვერც ვერში ფეხშიშველა ასვლამ ვერ უშველა საცოდავ დედაკაცს.

ხელში შურდული უჭირავს, გვერდით ფეხმოტეხილი, მუდამ მშვიერი ბროლია ჰყავს და დაძრწის, ხან აქ, ხან იქ, ვერ ისვენებს ვერც შინ, ვერც გარეთ.

დაუქმუხენია შუბლი, დაუქუმშია მუშტი და მგელივით გამოიყურება ბოროტი თვალებით.

ერთხელ გაქირვებისაგან სასოწარკვეთილმა დედამ, ამოიღო რა ილიაში პურისცხობაში მიღებული ორი შოთი, ქალბატონს თავის ბიჭისათვის მოჯამაგირეობა გამოსთხოვა და დასტურით გახარებულმა კერასთან მიმჯდარი ბიჭი გულში ჩაიკრა, მაგრამ ხმა პირში ჩაუწყდა ისე შეუბღვირა დედას ზურაბამ.

— უიმე! მამისავით ყელში გჩრია, შვილო, გული და ვაი შენს დედას, თუ იმისავით დღე დაგადგა შენცა. — წაუყვირა სალომემ და ძლივსლა მოასწრო კარში მიმავალი ბიჭის თოფრაკში ერთი შოთის ჩაგდება.

ქვაბთების გრილოში ბროლია კუნელზე ჩამოკონწიალებულ ნაზუქის კვერებს მივარდა და, სანამ ზურაბა მივიდოდა, მთლად ჩამოყარა ძირს „ბატონისათვის“ მიტანილი ძღვენი.

ზურაბა ძაღლს გაუჯავრდა, სიარულისაგან დაქანცული იქვე ჩამოჯდა და — მოაგონდა...

როგორ იყო ოთხი წლის წინად თითონაც ავად ყვიანახველათი და წითელა ბატონებით.

ერთხელ, როცა სიცხისაგან გავარჯერებულს მეზობლიანთ დედაკაცები იავნანას და ვარდონანას უგალობდნენ, როცა ხუბულურიანთ სიღოს ხმა ისე წკრიალებდა, როგორც ლამაზიანთ დეკეულის ყელზე შებმული პაწაწინა ზარი, ვაილო კარი და სახლში თავპირგასისწლიანებული მამა ჩიტა შემოიტანეს. ჩიტა „ბუნტის“ დროს „ერთობის“ კაცად ითვლებოდა და ბატონი თავის ხოდაბუნებში ფეხს აღარ ადგმევინებდა. თურმე ახლაც ამ დალოცვილმა ძაღლად შესვლა მოინდომა და რიხიანი ხმით მომდგარ მოურავს დედაც ბევრი ავინა, მაგრამ მოშვებულ ჩაჩანს ვეღარ გაუმკლავდა და იმ დაწყევლილმა სულ თოფის კონდახით ამოაცალა სული.

ორი დღე-ღამე სულთმობრძავე მამა შეიღს ქალაქად წასვლას აბარებდა და რაიმე ხელობის შესწავლას ურჩევდა, თან ბატონსა და მოურავს წყველა-კრულვას უტოვებდა და წაგებულ ერთობის საქმეს კვლავ მოგებას უქაღნიდა.

მოაგონდა: აწიოკებული დედა, გაოხრებული, ნაკელით შევსებული მიწური, შეეცოდა მუდამ თვალცრემლიანი, გნასგამოღებული მშრბელი სახე და გაქვავებული ზეზე წამოდგა.

იცის: უფრო იტირებს ქვრივი, იჭნება ველარც ვადანტანსადს, შეილის უნახაობას, მაგრამ ვერა, ველარ დარჩება ზურაბა ასე, უნდა წავიდეს ქალაქში.

ბაგების ორლობეში იყო შესული, პური რომ მოშივდა, იქვე ღობის ძირში ჩაჯდა, თოფრაკიდან შოთი ამოაძრო და ყბა მოუჭნია.

გზაზე ვილაც ცხენიანი მოდიოდა და ვილაც ფეხით მოსდევდა. ლაპარაკის ხმა თანდათან აბლოვდებოდა.

ბროლიამ ყურები სცქვიტა და აყეფდა, გავარდა წინ, მაგრამ ზურაბამ გაიგონა, როგორ გასჭრა მოქნულმა მათრახმა ჰაერი და საწყალი აწმუვლებული ძალი ძუნძულით უკან მოვარდა.

თავის ყარაბახზე მედიდურად გამომყურე ბატონი მშვიდი ხმით ემუსაიფებოდა ცხენთან ფეხდაფეხ მომდევნო მოურავს.

ზურაბა შეუფხვებლად წამოუდგა ფეხზე და ქუდი მოიხადა.

დაშინებული ბროლია ბიჭის უკან მიწას გაეკრა და ყუფას რომ ველარ ბედავდა, უშნოდ იღრინებოდა.

ბატონს ბიჭის მშისა და ქარისაგან გარუჯული სახე და მაღალი ტანადობა თითქოს თვალში მოუვიდა, ცხენი შეაჩერა და მოურავს კითხვით შეხედა.

— ი საწყალი იობაანთ ჩიტას ბიჭია — თავისებური წამოყვირებით მოახსენა ამან და ტანში რალაც უგემურობა იგრძნო როცა აქამდინ ძირს დახრილი ზურაბას თვალები თავის თვალეებში მინდვრის ეკლებივით ჩაესო.

— უნდა ვატიალდეს ამათი თესლი, თორემ მოსვენებას ვერა ვნახავ — ჩაუშვა ტვინიდან გულში და ცხენს მეორე მხრიდან შემოუარა.

ჰაერში ვერცხლის მანეთიანმა გაიპრილა და ბიჭის ფეხებთან ქვაზე წყარუნე მოიღო.

ლაპარაკის ხმა რომ მისწყდა, ზურაბამ ფული ხელში აიღო, მაგრამ მოუჭირა მუშტი და დედისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა. შემდეგ მეორე ხელით თითი თითზე გადახსნა და შავი ხელის გულზე თეთრად მოელვარე მანეთიანს დააკვტერდა. უკან დაბრუნდა. ის ქვა, რომელზედაც დაკემისას ფულმა დაიწკრილა, თვალით მონახა და ზედ დააჯდა.

ფულს კვლავ თვალით ჩააცვიდა და იქიდან მამის გასისხლიანებული თავპირი ცხადლივ ამოიყვანა. ქვის უკან გადაცურდა და ლაჯებში მოქექული, ორივე ხელით გადააბრუნა. მანეთიანი მიწაში მუშტით ღრმად ჩასვა და ქვა კვლავ ორივე ხელით გადმოაბრუნა.

წინ გაიხედა და ბაგების ვენახის ჩაზნექილი ღობე თვალით კარგად ვაზომა.

ზეზე წამოხტა. სოფელში აირბინა. მეზობლისას მივარდა. რაღაც დაუბარა. წყაროზე გაიქცა, ხევში ჩაირბინა, ჩაიკუნტა და უბეწურულად წაკარუკით ჩაიგროვა. გაჯიუტებული ბროლია თოკით მხამხამდნის მსგავსი ტრლობისაკენ დაეშვა. ის ქვა მოსძებნა და ჩამოჯდა.

უბიდან წვრილი კენჭები გვერდზე დაილაგა. შურდული ხელში მოიმარჯვა; გადასწყვიტა, სულ ერთია ერთი იქნებოდა თუ მეორე თუ ორივე ერთად.

ცხენს კენჭი კისერში მოხვდა, მაგრად წაიბოროძია. თავში რომ მოხვდა, უკან დაიხია.

მესამემ უკან გააბრუნა, მაგრამ კნიაზმა თავი მოუგრიხა და თითქოს ყალბზე დამდგარი აღვირის მძლავრი მოწვევით ვინაღამ წინ წააჩოქა და თვალის დახამამებაზე ძირს გადმოხტა.

— რომელი მიჰქარავს მანდა — ერთი კი შეპლრიალა ისეთი ხმით, რომელიც არა ერთხელ უყინაედა სისხლს მინდვრად მომუშავე გლეხებს და პაწაწინა თეთრი კენჭით შეტეხილი შუბლით დაეშვა ძირს ეს უზარმაზარი კაცი.)

ლობის იქიდან ბებერი მეზვრე გაცეხებული შეპყურებდა დატრიალებულ ცხენს, აღტაცებულ მეშურდულეს და თექვსმეტი წლის ბივის მარჯვენას და მკრელ თვალს უღალადებდა.

აქეთ გადმომხტარს პირზე ოფლი მოსწმინდა და საჩქაროდ ურჩია სოფლისაკენ წასვლა.

— იქ დაუხედი, როცა ამ ლეშს ამოათრევენ.

6. ზომილეთიელი

ფ თ მ ნ ა

(პოემიდან).

9.

როცა ბელადის დიად ანდერძებს
ბელადმა საქმედ დაუწყო ქცევა,
წარსულის ნაშთთა ეკვეთა ლერძებს,
მიწიდან ფესვთა დაიწყო წევა,

ბარ-საკვეთელი დარჩა საჭირო,
საჭირო დარჩა მკრელი სახნისი,
თორემ ეს სივრცე, ზღვა უნაპირო
რა ბედენაა ან რის მაქნისი?

მართალი არის, ნედლეულ რესურსს
უამრავს იტევს ქვეყანა ჩვენი,
თავისუფალს კი და მშრომელ ერს სურს,
რომ ჩამორჩენის მოიხპოს სენი.

რომ გაუსწორდეთ წინ წასულ ქვეყნებს!
რომ ასეულ წელთ ათ წლით ვთოკავდეთ!
და მაშ, ვინ გვკადრებს ჩვენ, ამის შემგნებს,
რომ ჩვეულებრივ კაცთ ჩამოვგავდეთ?!

წინათ ვიწვევდით ჩვენსკენ ურკვარტებს,
სხვათა იმედმა ველარ გვიშველა:
უღლის სიმძიმეს ის მოგვიმატებს,
მოგვიწევს ხანგრძლივ ფურივით წველა.

სხვა იმედები ყველა ფუჭია,
უნდა დავეყრდნოთ საკუთარს მკლავებს,
ჩვენ მებრძოლნი ვართ და არა ჭია,
თუ წინ დავიძვრით, ვინ შეგვაკაეებს?!

ინდუსტრიაა ჩვენი იმედი,
დასაყრდენი და სადგომი ბურჯი,
აი, სად გვიხსნის ურალის ქედი,
მწვინტკის უბის რკინა და თუჯი.



აღსდგა მშრომელთა ბელადი-გმირი
და დაიბადა კლასობრივ აზრად,
რომ გადაიქცეს ურალ-ციმბირი
ამ ინდუსტრიის მეორე ბაზად.

და გადაესვენა მაგნიტკა — კუზნეცს
თუჯის და რკინის მოძრავ ჯაჭვებით,
დაეცა ბარი ორი მთის მუცლებს,
მადნის ნახშირზე გადანაცვლებით.

დაეცა ბარი და ბუნკერები
აიესო მადნით, ნახშირით, შიხტით,
აქით მარტენთა მილთა წვერები
და ცის შუბლს ხევენ დომნები იქით.

ჯერ რვა, კვლავ ათი ვეშაბი დომნა
და ათასობით კოკის ღუმელი,
ვით ლურჯ მინდორზე შავ ჯოგის ძოვნა,
ავარდა ცისკენ ბოლის ქუმელი.

და სადაც უწინ მგლის ხროვა ძრწოდა,
ძრწოდა უსაზღვროდ ურალის ქარი,
სადაც ყმა-გლეხის ჯანი იწოდა,
მადანთან ერთად ლითონად მდნარი,

სადაც მონობის სიმძიმის ქვეშა
იზნიქებოდა მშრომელი მასა,
იყო ტყეში და აკლდა კი შეშა,
ნატრობდა პურს და ზიდავდა ქვასა,

რომ მდიდრის შეილთა საზრდოდ ფუნთუში
თუ სხვა ტკბილ-მსუყე ეშადათ კერძი,
რომ ლიპიანს კაცს აეცო ფუში,
მისი ვაგებით, ეს წინსვლის ღერძი;

სადაც ხეც ირგვლივ არ შერჩა მიწას,
ურკვარტის მელოტს ჰგავდნენ ქედები, —
ფუძე გაუღდეს ჩვენს დიად მიზანს,
გაჩნდნენ ახალი ყოფნის მჭედლები.

დადგენ დურგლებიც მათთან ცერებზე,
კალტოზებიც... და ხელის მოსმით
ამ თვალუწვდენელ მთებს თუ სერებზე
გადაიჭიმა მაგნიტოგორსკი!

ეს მოხდა ათას ცხრაას ოცდაათს,
ანუ ამ წელში ზილეს ტალახი,
მე ახლა წლებთან არ ვმართავ კამათს,
მხოლოდ სამს წელში აღსდგა ქალაქი.

ქალაქი არა, რალაც გიგანტი,
თვალუწვდენ სიერცეს ვერ იპყრობს თვალი,
ამაოდ იღებთ სიგრძეს მიზანში,
მიუწვდომია ის, იღუმალი.



ველარც განს სწვდებით, ველარც ერთ კუთხეს,
ეს შავი ბოლიც რომ ხედვას გიშლის,
ნამეტნავ მაშინ, თუ ცაც გაფურთხებს
და გახვევია დოღბანდიც ნისლის.

მხოლოდ ეს ბოლი, ეს შავი ბოლი,
ცაზე გაშლილი ყომრალ ჯოგებად,
თითქოს ასფალტის ქუჩების ზოლი
გიხმობს ოცნების გასაგოგებლად.

და ექსოვები გზას მერმისისკენ,
ამ ბოლთან ერთად, მოძრავი გზებით;
არა ოცნების გაფრენით ცისკენ,
არამედ ახალ ცხოვრების გებით,

სადაც მაგნიტკის მადნის სიმძიმეს
მძლედ მიაქანებს კაცის გენია...
და უშუერ ამ გზის მწველ სიციმციმეს,
და გრძნობ, რომ ეს გზა, ეს მთაც შენია!..

10

მოქჩრის ურალზე მატარებელი,
„მაგნიტოგორსკი — მოსკოვი“, სწრაფი,
მოსაწყენია ეს შარა გრძელი,
ვაგონის რწევა თუ თელების ხაფი.

მოვდივართ რბილით, მაგრამ ზანზარი
გვიკლებს, ატანა მისია ძნელი,
ცივა: ვაგონშიც ურალის ქარი
ძვრება და სითბოს მოსწყვეტა წელი.

ვაგონს გამყოლი ათბობს, თან სჩივის:
„რომ აღარ თბება ეს დასაწვავი?!“
გვიჭერს თანდათან სალტე სიცივის
და გვხვდება გზებშიც ნამქრისგან ზეავი.

ხშირი დგომისგან გულსა ღრღნის ჯავრი,
მოსწყინდა ყველას და, ვით წესია,
მგზავრს ეკითხება კრძალულად მგზავრი:
„თქვენი სახელი და პროფესია?!“

— ინენერი ვარ, გვიარად — პეტროვა,
მაგნიტოგორსკში ვარ სამი წელი!
ინენერობა ქალს არ ეტყობა,
გამზდარი, წვრილი, როგორც რომ ლელი.



თან — ორი ბავშვიც, ორივე ცელქი,
აკლებულია ვაგონი მათგან:
მობობლვენ, გთხოვენ აყვანას ხელში,
მოსრეს, მონაგვეს ვაგონი ათგან.

არა სად ეს და სად ინეწენერი?
აქ უნდა იყვეს გაუგებრობა.
მაგრამ ამ იჭვეებს ეცვალა ფერი,
დადგა ინტიმი და შეგობრობა.

— სამი წელია, რაც ანგარიშად
მაგნიტოფორსკში ვარ ოფლის მღვრელი,
შეწელს მე დომნას ვედექ ფარეშად,
იქ, სადაც დნარი მოღვარავს ცხელი.

ორი წელი კი მის მშენებლობას
ვხელმძღვანელობდი და ვამბობ, რომა
ბევრით არ სჯობდა ის მადნის დნობას,
იყო საკმაო სიმძიმის შრომა.

ვიცი, რაც შეეხას ჰგულისხმობს ისა,
მას მკერდში ცეცხლი ჯომ ეკიდება,
ის თაემღებია მშრომელთა ხსნიისა,
დომნაა, დომნა ჩვენი დიდება!

დეე, წაიღოს მან კიდევ ჯანი,
შეებულებიდან რომ დაებრუნდები,
რადგან ჩემი ვზა, ჩემი მიზანი
დომნაა და მეც დომნას ვუნდები.

მაგნიტოფორსკი მომწყინდა კია,
მაგრამ რას იზამთ? სესხი და ვალი!
სწავლა და ცოდნა თუ მიმიღია,
განა, მისთვის, რომ ავიბა თვალი?

ან სხვას აფუბა და ვაყენაზო,
ეითომ, როგორც ქალს, არ მეკადრება
დომნასთან ჩემი ქალობა ვაზრო,
სად დომნა და სად ეს ვაყადრება!

სჯობს გამოგიტყდეთ: მიყვარს ეს საქმე...
— „მერე და სხვა რამ არ გყვარებიათ?!“
— სხვაც!.. მაგრამ უნდა შეგნიშნოთ აქ მე,
რომ თქვენ ერთი რამ დაგვიწყებიათ.

ადამიანი მარტო ძირადი
ვიწრო სიციცხლით რის მაქნისია?
საზოგადოა უფრო ძირადი,
მისი ხელობა, მისი მისია.



მეც, ქალი რომ ვარ, განა, მარგია
 ამის არ ცოდნა ან არ ვაგება?
 კაცი ცხოვრებას თუ არ არგია,
 და დროს თუ არ სცნობს, დროს ეძაგება.
 მოვახსენებდით: დიახ, მაგნიტკამ
 ბევრი წამართვა ჯანი თუ ძალი,
 მაგრამ სჯობს მოვეყვე ისევ თავიდან...
 და დომნასავეთ აენტო ქალი.

11

არის ურალი — ქედი,
 წიწვის ტყით მეტი წილით,
 ქარი რომ იცის ყბედი
 თოვლის ნამჭრით და სილით.
 მთის ღრანტეებში ხეებით
 ჰყრის ქარი თოვლის ზეავებს,
 ბილიკთა ამოკეტვით
 აქ გზაც ეკრებათ ყვავებს.
 ვერ ჩაეშვება ზღაზენით,
 თუ სადმე ჰგდია ლეში,
 და სქდება გულზე ბრაზით
 გლოვით მოცული ტყეში.
 და სპეტაკ ფონზე შავად
 მოსჩანს ის ერთად ერთი,
 მთის ღრეებში რომ ზეავედ
 თოვლის მთებია თეთრი.
 შუე გაზაფხულის ამ თოვლს,
 ცრემლებად დანაწურალს.
 მთაში ქეებს თმებად აქსოვს,
 აჩენს მდინარე ურალს.
 მოყვება ქეებზე ჩქერით
 თავქვე ხტუნვით და ბრტუნვით,
 ხეებზე ხარბი მზერით,
 ჩირგეთა შევილდებად ლუნვით.
 და მთის მდინარის ძალა
 აყრუებს არემარეს,
 გარს სევდიანი ქალა
 გლოვით შესცქერის მთვარეს.
 ცალმხრით — სიცოცხლე სწრაფი
 და მეორე მხრით — სევდა.
 თუმც წყლის ხშიანი ხაფი
 ამ სევდას აქ სულ სდევდა.



მეგრამ ცხოვრების ჩარხში
შებმულა წყალი ანცი?
სანამ მდინარის არხში
არ დატრიალდა კაცი.

ხერხისებური ტიხრის
არ ჩასდგა კაშხლის ქედი,
ურალი ქედს რომ იხრის,
ტალღებს ვერ დენის ყბედი.

შესდგა ის მორევ-წყალად
და ტურბინებში დენით
იქცა ელექტრო-ძალად
მზეებრ სინათლის ფენით.

მეტალურგიულ გიგანტს
ზღვა ენერჯია უნდა,
აბა, შიზტს ვინ აიტანს
დომნების თავზე თუნდა?

ვინ ასძრავს ბლიუმინგებს,
კონვეიერებს, პრესებს?
უროთა დიდრონ დინგებს
დაკვრით ვინ დააკენესებს?

ვინ მოაბრუნებს ძრავებს,
ხვედებს, ხვეწებს თუ ქლიბებს?
კრანებს ვინ ამუშავებს,
ამ სიმძიმეთა კიბებს,

რომ ააქვთ, დააქვთ ძალით,
ჰკენკვენ, ვით ჩიტი — ქიას?
დიახ, მდინარის წყალით
ველით ამ ენერჯიას!..

დადგება წყლისა გუბე
მარაგად ელსადგურის:
კილომეტრ განის უბე,
ადრე გზა ზვირთთა კენესის.

ამოივსება წყალთა
თხიადი აგურებით,
რომ დენად იქცეს ძალთა
ტურბინთა აბრუნებით.

დენი გაჰყვება სინებს,
ქალაქი ელის მასა:
აქ ქობში შეიცინებს,
იქით გამოსცემს ხმასა:

აზანზარდება გრდემლი,
აგრუხუნდება ურო,



მშრომელთ შუაშრე ცრემლი,
მას უნდა ემსახურო!

ბურლი უქირავს ხელში,
ელევა რკინის ზოდებს,
და მას, მოკაჯულს წელში,
სხვა ვინ-ღა შეიცოდებს?

შეძვრები რკინის ბურღში,
დაასხამ ლითონს ხერელებს,
მკვარტლსა და მტვერის ბულში
ძალას სძენ მშრომელ ხელებს.

ბარაქიანი ხელიც
დატრიალდება უფრო,
სწორდება კაცის წელიც!
შენც, გარემოცვაე ქუფრო,
დასუფთავდება შექში,
დაიფერები მზეში,
ეს რკინა რომ გცემს შუბლში
ძალით, ნაპოვნით ჰესში!

იციო? აგება კაშხლის
ჩვენ იქ დაგვიჯდა ძვირად,
აწ მბობა ამბის ამ წლის
არ გვიჩანს ესდენ ჭირად.

ჭირი კი იყო მაშინ
ნამდვილ მშენებელ მასის,
მტრად შემომძვრალი კლასში
წვერი მეტოქე კლასის.

იმ ვასაჭირის წლებში
იგი ხლართავდა ფესვებს:
„ბრიყვნო!“ — აძვრენდა ხმებში:
„ვისთვის აგებთ ამ ჰესებს?“

მშიერ-მწყურვალნი ჰყრიხართ
ჭუჭყსა, ტალახს და მტვერში,
ძნელს ულოებთ კი ჰგრიხავთ
ამ ცივს, უდაბურს სერში.

რა ინტერესი გაწვევთ?
რა მიზანია თქვენი?

ეს ვისი ვალი გაწვეთ,
რა ჭირი გჭირთ ან სენი?

გამოახილეთ თვალი,
ესენით მძიმე ტვირთებს,
დეე, ურალის წყალი
დენილეს თვისთვის ზვირთებს!..“

და იყო ყურადღებით
მტრის ამ ჩურჩულის ნღობა,
საქმისგან ხელის ღებით
ფრენა თუ დენადობა.

ოპოზიციაც რეკდა
ოპორტუნიზმის ზარებს...
პარტია კი არ შედრკა,
უწყო დარაზმვა ძალებს.

სოციალისტურ მეთოდთ
ხელში იმარჯვებს სწორად,
მშენებლობის წინ შემცოდთ
დენის თავიდან შორად.

ურწმენობას და ყოყმანს
ასე დაუდგა თვალი,
და აბლა კაშხალს რომ ჰბანს,
შეგუბდა აქ ეს წყალი.

— წყალს ეს გაუძლებს, აბა?!
წყალი წაიღებს მასა!
იძახდა მტერი დაბლა,
ნემსში აძვრენდა ხმასა.

ვერ გაუმრუდა მაჯა,
ვერ გაუტეხა გული,
კაშხალმაც გაიმარჯვა:
აი, ის აგებული!

ელექტრო-ენერგიას
არ უჩანს სიგრძე-განი,
თითქოს ჩიტი ჰკენეს ქიას,
ხუთათას ტონიანი.

უხარმახარი კრანი
რომ სწევს ფოლადის ზოდებს,
და ერდოა თუ ბანი,
ქვე თუ ზე მიაწოდებს.

ბლიუმინგების ყბებში
ის ზოდიც ისე ზრება,
თითქოს ძაფია, ნემსში
რომ თავისთავად ძვრება.

კოკის ათასობით ღუმელს
უგზნებს თაკარა ალით,
და ნახშირის შავს ქუმელს
სწევავს და აგრილებს წყალით.

და კოკის ამ ნამცხვრებით
აესებს მარტენთა მუცლებს,





და ამ წვით და ამ ძვრებით
სწერს ისტორიის ფურცლებს.

ჰა, რად ვაქციეთ, რაც მთაა,
რეცხდა ურალის წყალად,
მრავალ ათეულ ათას
კილოვატ საათ ძალად!

აი, ვით აღსდგა მტკიცეთ
ურალ-მაგნიტკის ცესი,
რაც ლენინს ჩვენ შევფიცეთ,
რომ დაეამყაროთ წესი.

მაგრამ ამისთვის ჩვენ დღეს
არ გვეოფნის არც ეს დენი,
და გვიფართოებს ამ ცეხს
კაშხლის ახალი კლდენი.

სიმაღლით ჩვიდმეტ მეტრზე
აღიშართება ისა,
და ერთი მეტრით მეტზე
აიწვევს სიღრმეც წყლისა!

ოცეულ კილომეტრად
გადიქიმება გუბე,
რომ იქცეს ნახშირ-თეთრად
ეს წყლის ვეება უბე.

რომ ამუშავდეს ამით
ეს კომბინატი მთელად,
ცისკრის ქაშს, დლით თუ ღამით,
შეუსვენ-დაუღლეღად.

აღნოს და ასხას თუჯი,
რომ კვლავ ფოლადად აღნოს,
არ დასთმოს კვამლის რუჯი
და მილში გაზად გზავნოს.

სტენოს ცისტერნა-ბეღლის
ხალთა ამ გაზის მასით
მას იგი კვლავ ცეცხლს შეხლის:
დომნებს ანთებს გაზით.

მარტენებს აქცევს ალადა,
ათაკარებს დნარით
და ფოლადს ლითონ-წყალად
ასბაშს ცხელ ნიაღვარით.

დალიე, გადაჰკარი,
ასტონიანო ციცხეო!
ყალიბებს ჩაკარი,
ზოდებად რომ დაგვიცხო.

ბლიუმინგები წევანან,
როგორც მშიერი მგლები,
მგლებსა რა, ლომებს ჰგევანან,
გადაუყარე ძვლები!

რომ გაიგდებენ ზოდებს
და გატყლაბ-გამოტყლაპვენ,
მათ ვინ არ შეიცოდებს,
ლომები ისე ყლაპვენ.

და დასწორდება ძვალი,
დაიწვლება ზოდი,
უკეთესს კაცის თვალი,
რას ნახავს, შეუკოდი?

ეს ძალთა შეჯახება —
გამარჯვებაა ჩვენი,
არც ძარღვი ილახება
და არც ოფლის სდის წვენი.

მხოლოდ უსწორებ საჭეს,
ბლიუმინგს მიუმარჯვებ
ფოლადის ზოდის ნაჭერს,
გასწევ და გაიმარჯვებ.

ნუ გზურს განძრევა ხელის,
რადგან მიღწევით მიზნის
წინ ბრწყინვალეა გელის
უკლასო კომუნიზმის!..

12

დღეს მთა და ველზე მინდორ-სერებზე

გადაქიმულა მაგნიტოგორსკი,
თითქოს მხედარი ფეხის ცერებზე,
რკინის მერანზე შემჯღაღრა მორკმით.

მორკმით, გაქცევას რომ არა ფიქრობს,
არ ეშინია მოსეულ მტრისა,
თვალით სცვეთს ყველას და, თუ ხმაღს იძრობს,
მტერს ჩაუჭრება ნათელი მზისა.

მთლად ამ მიდამოს, ამ არემარეს
ის თვალით ზომავს და იპყრობს თვალით,
მადლა ცა-ვარსკვლავთ, მზესა და მთვარეს,
ქვეშ მიწას მთა-ბარ-ტყე-მინდორ-წყალთ.

მან ეს მდინარე რომ შეაყენა,
ხომ ამოყორა ამ მთისა უბე,
ყოფილ ხმელეთზე ტბა მოაშენა,
რომ ამსახუროს ხმელეთს ეს გუბე.





იქ, ტბის გაღმა რომ სოცქალაქია,
და ტბის გამოღმა კი ეს გიგანტი;
აქ მთა ყოველი არის ბაჭია,
ძლევა მიწისა რომ ააქვს ცამდი.

ინდუსტრიალურ ქარხნის ცეხები
სართულებრ ისე დაყუდებულან,
რომ მიწაში აქვთ მათ ღრმად ფეხები,
თორემ სხვებრ თითქოს ცით ჩამოსხმულან.

აღმართულია ჯერ ოთხი, რვა და
აღმართება კვლავ ათი დომნა.
აღმშენებლობას აქვს თავის ვადა,
დროს და მასალას რომ უნდა შოვნა.

თუ პირველ დომნას ვიძენთ ოქროზე,
საზღვარგარეთის ეხმარობთ მასალას,
აღმშენებლობა რომ გვექნას დროზე,
უნდა დავეყრდნოთ საკუთარს ძალას.

და აი, ვაგებთ აწ ჩვენც გიგანტებს,
აქ „ურალმაში“ მოქმედობს ტემპით,
ის ლუმელებში ცეცხლს მისთვის ანთებს,
რომ გაგვამდიდროს ამ გიგანტებით.

მაგნიტოგორსკშიც იმ დომნის ახლოს,
რომ აღმართულა უცხო მასალით,
ღღეს სხვა ახალი დომნებიც სახლობს,
ავებულები საკუთარ ძალით.

მაგრამ მაგნიტკას კუზნეცკიც მოსდევს,
ვით კომბინატის ორი თაური,
უცხოელებმა რომ მთაბარს მოსდეს
პროვიაკაცია ზედ უცნაური.

რომ „თავის დროზე მაგნიტკისათვის
იარაღები, იქ შექმნილი,
მაგნიტკის მადნის სიმკირისათვის
კუზნეცკში იქნა გადაგზავნილი.

რომ იმედები გაცრუვდა ყველა
მაგნიტკის მთაზე საბჭოთა ქვეყნის,
რომ ინდუსტრიის არ არის შველა,
რომ ის საგანი ყოფილა კვენის“...

ღიახ, არ ვმალავთ, ეს იყო ასე,
და თუ ვაყვავით მასალა მაშინ,
კუზნეცკიც გვიდგას დღეს იმავ გზაზე,
რა მშენებლობაც გვაქვს მაგნიტკაში!

სადაც მადანის ღირსებას მაღალს
ზედ ერთვის შისი უამრავობაც.

და რომ კუზნეცკის ნახშირთან ამ ძალს
ველარ ამოღევეს ბევრი თაობაც!

აი, დღეს აზრი იმ გადაგზავნის
და შედეგიც იმ ბრძნული აზრისა!
და მას რას მიხედეს გონება მავნის
ან კიდევ ჩვენი აშკარა მტრისა?!

მაშინ ამას არ ვაზვიადებდით,
არც დღეს გვაქვს დიდათ ჩვენ თავი კვებნის,
მხოლოდ ვიციტ, რომ, რასაც ვაგებდით,
არის დიდება საბჭოთა ქვეყნის!

რადგან მარტენთა ათეულს ლუმელს
აწ ათი დომნაც ზედ ემატება,
და უღვას მწყემსად მზე კვამლის ქუმელს,
ცაზე შავ ფარად რომ იფანტება...

13

ამაყად, დინჯად, ვით შახტიორი,
ცად აზიდულა ვეშაპი დომნა,
ვერ ენებს ქარის და თოვლის სიორი,
ვერც აეტაროსის წვიმა თუ თოვნა.

ცეცხლგამძლე ჯავშნით შემოქანჩული,
სწორუპოვარი სღვას, ვით რაინდი,
ცეცხლგამძლევეა მისი სარჩული:
ქმართვეს უსაზღვრო ცეცხლის მაინდი.

ათას გრადუს ღველფს აიტანს მკერდით,
ათას ტონიან შიხტის ამტანით,
რომ დაანთხიოს თავარა ბრძმედით
ცხელი ლითონის გულუბვ ონკანით.

შავი ლითონის და კოკის შიხტის
მარტენის ლუმელთ საზრდოდ აძლიოს,
ათასოთხასი გრადუსი სიცხის
კვლავ ცხელ ნაკადად რომ დაანთხიოს,

რომ ჩამოისხას ძელქვა ზოდებად,
მრავალტონიან ფოლადის ზევაად,
ბლიუმინგთათვის მისაწოდებლად
ამ ლომის ყბებში გასატკეპნავეად.

გაპკრავს, გამოპკრავს ყბაც ამ ზოდს ლომის,
გასწევ-გამოსწევს ისე, ვით თასმა;
ოი, დიდებაც ეს არის შრომის
და ძლევისნობის იმისი ფრთასხმა!

შემდეგ ისე, ვით ნადავლის ნაჭერს,
ამ ზოდს მიუგდებს ლომი მაკრატელს,





ვით ვეფხვის კბილი, ზედ რომ დააჭერს,
და ვით მაკარონს, შუა გადაჰკენეტს.

და მოდის ასე მოკლე ნაპურებად,
ურიცხვ ქარხნებში რომ ჩამოროგდეს,
რომ გადაიქცეს იქ მანქანებად.

კვლავაც უკლებენ განსა თუ სიგრძეს.

ვეშაპ უროებს ქვეშ მოჰყვებიან,
ათას ტონიან დაზგებს თუ პრესებს,
იგრიხებიან თუ ბრტყელდებიან,
თუ ნებდებიან შრომის სხვა წესებს...

და იკედება ჩაქუჩად, ნამგლად,
ავტოდ, ტრაქტორად, ქვემებად, თოფად,
რომ შრომას ჩვენსას გაუხდენ საგძლად
და მტრებს დაასქდენ რისხვად და ცოფად!

ჩვენ სულაც არ გვსურს უკანასკნელი,
ჩვენ მშვიდ ცხოვრების ბერკეტებს ვაგებთ,
ძირს ომი, რადგან საქმის ვართ მქნელი,
ხელის შემშლელებს რომ ვაჩანაგებთ.

„ციდა მიწაც კი არ გვიინდა სხვისა,
მაგრამ ჩვენს მიწას, თუნდ ერთ გოჯ მიწას
არ ვის დავეუთობთ საგნად პარვისა,
ვერ მიალწევენ „ავტორნი“ მიზანს!..“

სხვა ავტორებს კი თუ შემოქმედებს,
მწერლებს, ხელოვნებს თუ მოაზრებებს,
პირიქით, ვუხმობთ, ვინც ჩვენს გმირ მქედლებს
ასწერენ, ჩვენს ხედვას, ჩვენს შრომის დღეებს.

ასწერენ, რათა მსოფლიოს მშრომელთ
ზედ წარმოდგენა ჰქონდეთ ნამდვილი,
სოციალიზმის მიღწევის მდომელთ
რომ შეუმოკლდეთ გზა და მანძილი...

და იწვის დომნა, მოქმედობს დომნა,
ცისკენ ქვემებად აწვდილ ლემელის
ყომრალი კვამლის ბოლქვებად თოენა, —
ეს არის თოენა ძლევის ღრუბელის!

ის შორს მიიწევს, ვით ზღვაზე ტალღა,
შავი ზვირთების უსაზღვრო ჯოგად
და იწევს მაღლა, და უფრო მაღლა,
მიიწევს მძლეთ და თავდაუზოგად.

და სუნთქავს დომნა მფეთქავი გაზით,
და აგზნებს მკერდი ცეცხლს მოვარვარეს,
ქვა და ნახშირი იხრჩობა ბრაზით,
დნება და აჩენს ცეცხლის ტბის ღვარებს.



და ამ სუნთქვაში, და ამ ხრჩოლვაში
 ცეცხლოვან ბოლს რომ ამოაღანძებს,
 ის ჰგავს ავარდნილს თავის ლტოლვაში
 მზისგან ატყორცნილ პროტუბერანცებს!

და როცა სულ მთლად გაღხებება მკერდი,
 როდესაც მასა გადნება შიხტის,
 დომნის ფერდს გახვრეტს ფოლადის კვერთხი,
 წამოვა ღელე თაკარა სითხის.

ამ სითხეს ჰქაჩვენ დაქნილი კვლებით,
 თავზე რომ შლაკი მიღვარავს მარცხნით,
 მარჯვენით კი ჰკრებენ ლითონს ციცხვებით,
 ოთხმოც თუ ას-ას ტონიან ვარცლით.

რკინის რელსებზე პირსავე ვარცლის
 ვაგონს მანქანა წინ დასძრავს ხელად,
 ვაცივებას რომ სითხეს არ აცლის,
 მომცრო ვარცლებში გადასასხმელად.

და ამ ვარცლებში ცივდება დნარი
 ლადრის კვერებად ცხელი თუჯისა...
 ასე იქცევა დომნის ხანძარი
 ლითონად, ფერად ქუფრ-სილურჯისა.

მაგრამ სანამდის ცხელია იგი,
 სანამდის დომნის ონკანით ჰფონავს,
 თუმც დაცულია წესი და რიგი,
 სტიქიონისკენ ის მაინც სწონავს.

და აი, უცბად მოსქდება ღვარი,
 და მოასქდება იმ თუ ამ კუთხეს,
 თითქოს ეს შრაპნელს გვაყრის მტრის ჯგრი,
 მაგრამ ნუ შიშობთ!.. „დომნა აფურთხებს!“

სასიკვდილოა ამ დროს იქ დგომა,
 ჰაერში საზარ მარცხად გაჰკივის,
 განსაცდელშია ამ წუთში შრომა,
 შრომა, — ეს ღირსი ღიდის პატივის!..

სასიკვდილოა ამ წუთს იქ ყოვნა
 და ყველა თავს თვით დომნას აფარებს.
 დომნა კი, მტკიცედ სდგას მათ წინ, დომნა,
 და ალბათ, თავს თვით მხსნელ შზეს ადარებს,

რადგან ეს მოსდის მას არა თრობით,
 რადგან ის სჩადის მას არა მტრულად,
 ეს მოსდის მკერდის მას ჭარბი თბობით,
 რომ განწყობილი არის მოყვრულად.

იცის, თუ თუჯი რა ზომ გვეჭირია,
 რა საშურია მისი გადნობა,

დომნაც ხომ მისი მდნობი გმირია,
დაიშახურა ამაში ნდობა!

და თუ ეპყრობა ის დაუნდობლად,
და თუ ცეცხლს აყრის იმ თუ ამ კუთხეს,
ათასი მავნე ზომ დაძრწის სოფლად,
აი, ამ მავნეთ დომნა აფურთხებს!

დომნა აფურთხებს ოპოზიციას,
ობორტუნისტებს ყოველი ფერის,
ჩვენს გზას კი შუჭს ჰფენს, როგორც შზის ციალს,
გამდნარ ლითონის მხურვალე ჩქერის.

დომნა აფურთხებს ჩვენს ჩამორჩენას,
აფურთხებს დომნა ყოველ სიძნელეს,
ის შუხესთან ჰპოებს საერთო ენას
და ანადგურებს ცეცხლით სიძნელეს.

ამ აქვეყნად არის ბევრი პირუტყვი,
სოცდოვლათისა რომ უყვართ ძოვნა,
აი, მათ ცეცხლით, სხვა ენით უტყვი,
კომუნისტურად აფურთხებს დომნა!

დომნა აფურთხებს ყვითელ ზღვას, ნიპონს,
და იქ ხერელში მჯდომ გულფუჭ არაკებს,
დომნა მსოფლიოს გულისყურს იპყრობს
და მას სხვაგვარად ალაპარაკებს!..

დომნა აფურთხებს პიტლერს და ფაშიზმს,
რაც არამზადა, მავნე, თუღია,
დომნა მოჰყვება კომუნიზმს, მარქსიზმს
და ლენინიზმით დატვირთულია!

დატვირთულია კიდევ სტალინით,
ქვეყნის მუშათა კლასის ბელადით!
იგი თუჯს ასხამს, გამდნარს წყალივით,
მაგრამ იკვებნის რკინით, ფოლადით!..

იკვებნის კიდევ მსოფლიო ხანძრით,
დიად ოქტომბრის დიდ მოწოდებით,
სოცმშენებლობის საქმით და საზრით,
გეგმების მთით და ტემპთა ზოდებით!..

14

დადუმდა ქალი. მაგრამ თვალეებში
კვლავ ისევ ენთო დომნის თაკარა,
და მისი ხედვის ნაკვერჩხალეებში
სჩანდა მთა და არ ქალი პატარა.

მთა — მაგნიტკის თუ ატაჩის გვერდით —
მთად აი-დარლად თუ სხვა ალაგად,



დღეს რომ ნაკადი გადმოსდულთ მკერდით
უდასასრულო სითბოს მარავად.

სითბოც, ლითონის გამძლე მარავის
რომ შეიცვლება ცივ ნაკადულად,
სოციალიზმის ძვირფას ბარაქის
ძალად, მშვენიებად და სიქადულად!

მშვენიერებაც არის სხედასხვა,
სხედასხვაც არის იმისი ზომა:

ზოგს აჯადოებს ზვირთთა ძვრა და ზღვა,

ზოგს კიდევ — სარკედ წყლის ტბაში დგომა;

ზოგს — დიდ მდინარის მღვრიე ზვირთები,

ზოგს კიდევ — ანცი მთის ნაკადული,

ზოგს — ბრძოლა თუ ზოგს — შრომის ბირთვები,

ქვეყნის დიდება და სიქადული!

ამ უკანასკნელთ ჩემი საღამოც,

როგორც პოეტის და მოქალაქის,

მთლად იმას ჩემი სუსტი კალამიც

და ძალაც ჩემი აზრის თუ საქმის!

ყოველი ჩემი ნაკეთის შერხვევა,

გონებისა თუ გრძნობის ფუნქცია,

მზოლოდ ბრძოლას და შრომას ემთხვევა

ჩემი ცხოვრების კონსტიტუცია.

როგორც იმ შრომის გმირი ქალისა,

ჩემს გულს დაემთხვა ფოტოგრაფია,

ვინც დღეს შემოქმედ ჩემი ძალისა

შრომის ქნარი და ბრძოლის დაფია.

დომნაა, დომნა მისი სახელი.

რომ მყავს ოცნების წარმტაც მხარეში,

მისი შემთხვევით გახლდით მწახველი,

საუკუნოდ კი გავხდი ფარეში!..



მ. კოლუმოვსკინოვი

ილუზიები მთავი*)

მეთოთხმეტე თავი.

ივლისის თვეა. ეს ის თვეა, როდესაც პაპანაქება სიცხე არამთუ მწვანე ბალახს უშრობს წვეს, არამედ ჰაერსაც კი აშრობს და უქარგავს უნარს გამაგრებლად ინაკადულოს.

ამ პაპანაქება სიცხეში ფოთოლიც კი არ ირხვევა. ცად აზიდული ევკალიპტები, ქინაქინის ხეები, მაგნოლიები და მთელი ხეხილნარი შეურხვეველი და მიუჭებელია. ზედ მხოლოდ ფრინველთა ელმუილი გაღსმის, რომელნიც პატარა ნისკარტებით მოაფრენენ ჭილუებს და თავიანთ ბარტყებს ამომშრალ ხახას უსველებენ.

უწვიმობით და უწყლობით გამზმარა და დაშკდარა მიწა. ამოხეთქილი ნაყოფი სწუწის უკანასკნელ სინოცივრეს და არ ჰყოფნის, თითქოს სულიეროვით ჭკნება, ხმება, ფოთლები უყვითლდება და ცვივა. ასე ემართება ბალნარში მანდარინს, ლიმონს, ხერმას, მუშმულას, ფორთოხალს.

ასე აჩერებენ თავის გახარებას ყვავილები: ტიულპანები, ვარდები, ვაშლები, კამელიები, იასამანები, ნარგიზები, გიაცინტები.

და, რაც მთავარია, წყალი სწყურია სიმინდის ტაროებს, ბრინჯის თავთაეებს, ჩაის პლანტაციების სურნელოვან ფოთლებს.

წყალი სწყურია მიწას, რომ შესვან, რომ იზარდოს და გაიხაროს მის გულმკერდში ჩამწვდარმა ფესვებმა.

სოფელს გული არ უხარის, მთელი სოფელი სჩივის უწვიმობას, ლოდინმა დაღალა თვალები, ნატვრამ დაგლიჯა გული.

დილით თუ ღამით, სამხარზე თუ ბინდისას, შესცქერიან ცას, და როდესაც ღრუბლის პატარა ნაგლეჯს დაინახავენ, იმედითა და სიხარულით ევსებათ გული. მაგრამ ისიც ჭრება და ისევ მოწმენდილი ლურჯი ცა, ისევ მხურვალე მზე, ისევ მშრალი ბულიანი ჰაერი.

მოთმინება შემოვლია სოფელს, რამე უნდა იღონოს რამე უნდა მოიშოქმედოს, თორემ ჭირნახული დაელუპება, ზამთრის სარჩო-საბადებელს ვერ აიღებენ.

*) იხ. „მნათობი“ № 5—6.

ორლობებში, თემშარებზე, კოოპერატიულ დუქანთან, ~~ცვერტან~~ სა-
დაც კი გლეხები ერთმანეთს ხედებიან, ლაპარაკობენ მზისა და ცის წვი-
მისა და მიწის შესახებ. უკანასკნელ დღეებში სოფლის ~~მთავარ~~ ^{მთავარ} დერ-
ეს არის.

შებანი სადაც კი მიდის, ვისაც კი ხედება, სულ ერთსა და იმავეს
ეუბნება:

— ალლაპი გამწყრალია თქვენზე, ალლაპი გსჯით. თუ ჩემი არ გჯე-
რათ, ხოჯა ეფენდის ჰკითხეთ, ის ხომ ჰკვიანია, ის გეტყვით, რომ ისევე
ალლაპმა უნდა გვიშველოს, ცას უნდა ეთხოვოთ წვიმა გამოგვიგზავნოს.

გლეხები უსმენდნენ და სწუხდნენ. რა დააშავეს ალლაპის წინაშე, რომ
ასე უწყალოდ სჯის?

მერე შებანმა ყველაფერი კოლექტიველებს დააბრალა. ჯოხი მათზე
გადასტება.

სწუხან კოლექტიველებიც. ჩაი დასთესეს, უკვე მეორე ზაფხული
დაუდგა მათ გასახარებელ პლანტაციას, მაგრამ უწყლობით შრება ნია-
დაგი. არც არხი აქვთ გაყვანილი რომ წყალი მიუგდონ, ხელოვნურად
მაინც მორწყონ.

მემედ ალი უკვე არხის საჭიროებაზე ფიქრობს, რომ ნათესების გა-
ზრდა ცაზე არ იყოს დამოკიდებული.

შეშფოთებული გლეხები ხოჯა ეფენდისთან მიდიან, სთხოვენ ილო-
ცოს მათთვის. შესთხოვოს ალლაპს წვიმა მოიყვანოს, დალუპავს გადაარ-
ჩინოს ამოდენა მოსავალი.

ხოჯა ეფენდი სათნო და მშვიდი სახით გადასცქერის სოფლის კრე-
ბულს. მოუწოდებს განთიადიდან მდინარესთან წაიღონ. კენჭები მოაგრო-
ვონ, ილოცონ, შესთხოვონ ალლაპს და ალლაპიც შეისმენს.

გლეხები თანახმა არიან. ელიან მხოლოდ განთიადს. წინა დღეს მღელ-
ვარებაში ატარებენ. მთელ სოფელს ამცნეს, რომ დილიდან დიდი და პა-
ტარა, ქალი და კაცი აქცვაზე უნდა წაიღეს.

კოლმეურნენი განზე დადიან. მემედ ალიმ მოუწოდა, რომ არ აყო-
ლოდნენ ამ უაზრო საქმეს და სალოცავად არ წასულიყვნენ.

ორლობებში, ყოველი სახლის წინ, ყველა ზვალინდელ დღეზე ლაპა-
რაკობს. ერთმანეთს აფრთხილებენ, ერთმანეთს მოაგონებენ.

მაგრამ ხოჯა და შებანი ჩაფიქრებული არიან. სოფელმა მდინარის
პირას ოთხმოცი ათასი კენჭი უნდა მოაგროვოს, ოთხმოცი ათასი კენჭისა-
გან მთა უნდა ამართოს, მაგრამ სოფლის ეს მკირერიცხოვანი მოსახლეობა
ამას ვერ შესძლებს, მით უმეტეს, რომ კოლმეურნენი სალოცავზე არ მი-
დიან. საჭიროა კოლმეურნეების ჩარევაც.

ამის მოსაწყობად ხოჯამ შებანი გაგზავნა. შებანი სოფელში გავიდა
თუ არა, პირველი კოლმეურნე ჭიცილა შეხვდა. ჭიცილას სულელად
სთვლიდა და ამიტომ მისი გამოყენება მოისურვა.

— სალამაღლეიტუმ, დურსუნ!..

— გაგიმარჯოს, შებან. მარა სიდან მოდიხარ, ციდან თუ მიწიდან?..

— ცოდან და მიწიდანაც, დურსუნ!.. — უპასუხა შებანმა.

ქიცილა დურსუნის დაძახებამ ჩააფიქრა. ბარე ხუთმეტრი წველიწილი-არავის არ უხსენებია მისი ნამდვილი სახელი. ყველა ზედმეტად დარქმე-მეულ სახელს უწოდებს. ბევრს დაავიწყდა კიდევ, რომ მას დურსუნო ერქვა, ახლა კი თავის ნამდვილი სახელი რომ გაიგონა, რაღაც სასიამოვნო გრძნობა მოეკიდა გულზე.

შებანა კი განგებ მიმართა ამ ხერხს. ამით უნდოდა ნდობა და პატივისცემა; მოეპოვებინა, რომ თავის მიზანი აესრულებინა.

— ხო ხედავ, დურსუნ, მიწას წვიმა უნდა, ცა ვარზეა. როცა ცა არა გეწყალობს, მაშინ არც მიწა გეწყალობს, სიმინდები გადახმა, ბრინჯის თავთავები აიტრუსა, თქვენი ჩას ფოთლებიც ქვანება...

— შერე რაი ეჭნათ? არხები რო არ გევიყვანეთ და ი აქვეა ტყვილაო მიჩხრიალეს, ამა ხეირი დაგვეყრებოდა?..

ქიცილა მიხვდა, რომ შებანი ეშმაკურად მიუდგა. სულ რამდენიმე წამში მოიღჭრა მოხერხებული პასუხით მოეცილებინა და ხახვაგამომშრალი დაეტოვებია.

— არხები კი არა, დურსუნ, შენი მიკვირს, ღმერთმანი, რავე თლათ ვაგიაურებლხარ. დაგავიწყდა, რამდონხელ წასულხარ მდინარეზე, წუ-მისთვის გიოცია, ალლაჰსაც წუმა გამიუღზავენია. შენ მაშინ ბალო იყავი, მარა აინც გემახსოვრება.

— კაი ყო მაშინ, დიდგრან-დიდგრანი კაცები და ქალები, ი უღვა-შებიანი ხალი ბალებივით რომ გასულელებული იყვნენ და ბალანებთან ერთად კენჭს აგროვებდენ, მაი გამიხარდებოდა, ამა რა იქნებოდა!

— შენ მთე თქვი და წუმა ქე მოვიდოდა ხოლმე. ლოცვა თავისას იქმოდა. დემეურე, დურსუნ, მეიწი აქეთ, შენ ჰკვიანი კაცი ხარ და კარ-გად ვაგეგებაგი და ქეც დაგოჯერებენ. კოლექტიველები წამეიყვა ლო-ცვაზე, თვარაიქვენი ჩაც ქე ქვანება, თლათ ნაპარტლად იქცევა.

— შებან, აკვირს მაგას რო უნობ. რავე, ჩვენ არ ვფიქრობთ ჩაზე?.. კერძოები რო ლოცებენ, წუმა მართლაც ქე მოვა, ღმერთს კერძოებო უყვარს. კოლეკტიველი რავე ეყვარება. თუ წუმა მოვა, ჩვენ მიწასაც ქე დასველებს, ჩწი ჩაც ვეიხარებს. კერძოებმაც ილოცეთ და თქვენ ხარჯზე პაწას ჩნ ვისარგებლებთ. — ღიმილით უთხრა ქიცილამ, იქვე მდებარე დიდ ქტე ჩამოჯდა და ლაპარაკის მადა გაეღვიძა.

შებანიც მუხებზე ჩაცუქქდა. ჯიბიდან კრიალოსანი ამოიღო და მარ-ცვლა დაუწყო. რიალოსანზე ოთხმოცდაცხრამეტი ქარვის მარცვლი იესა. კარგა ხანსსდენ ჩუმად. ქიცილა მოსაწევ თამბაქოს იშაადებდა, შებანი კი ქარვიმძივებს ითელიდა. სამჯერ ოცდაცამეტი გადასთვალა დუმილში, ქიცილაგან კარგი სიტყვის მოლოდინში, და როცა მეოთხედ შეუდგა თვლას, ვარ მოითმინა და ხმამალა წამოიძახა:

— კერძოები ზია სიმინდს ქე მიიღებენ, ზამთარს რამე ფერათ გა-ატარებენ. ცოდვა ქვენ, გამხმარ ჩაში თავრობაც აფერს მოგცემთ და აღარც კერძოები შეგხედავენ. თლათ სიმშილით ამოწყლებით. — და შე-

ბანი ზეზე წამოდვა. მის სახეს ბრაზი ემჩნეოდა. ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელიც მოსაუბრეს ეუბნება, მე მივდივარ და შენ თავში ქვა გიხლიათ.

— შეიკა, შებან, შეიკა, პაწია ვისაუბროთ. რაცა მიწადე შენ ქვა. თუ არ დამავიწყდა, ამ წამს გეტყვი. რავე ლელაგბარ, მიძია, აგი ჩემი ბრალი კი არის. ყოლიფერში შემედ ალია დამნაშავე. იგი ისეთი კაცია. ყოლიფერს გეგმით აკეთებს. როცა პირველათ ჩა დავთესეთ, ასეთ თქვა გეგმით გათვალისწინებული გეჭონდა, ოცდაათი პექტარი უნდა დავგეთესაო. გეგმაც ქე შევასრულეთო. მაისში კოლექტივში სამი იჯახი შემოვიდა, პაწია რაცა მიწა შემეიტანა, მაშინ მე ეუთხარი, აქრე ბრინჯი დავთესოთ მეთქი, მარა შემედ ალიმ თქვა, გეგმაში არ გეაქვენ გათვალისწინებულიო და ვერ დავთესავთო. ჩემო ბუძიე, რაიზა უნდა გეწყინოს. შემედ ალის გეგმით რო უყვარს მუშაობა. წყალზე რო წვედეთ თელი კოლექტივი და ოთხმოციათასი ქვა და კენჭი მოვაგროვოთ, რაცა გორაკი ავაშენოთ, აგი კოლექტივის გეგმაში არა გეჭონია ჩაწრილი. არ იზამს შემედ ალი უგეგმით კენჭების მოგროვებას. მაი გამორენილია. მოშავალ წლისთვის შევიტანთ გეგმაში და ვაისათ ჩვენც გამოვალთ ლოცვაზე. სწორს არ ვამბობ, შებან?..

შებანი ჯერ პირლია უსმენდა, მერე უცნაურად დაინაჭა სახე და ბრაზიანი ბურტყუნით წავიდა.

— რაიზა მიგეჩქარება. შებან, ჯერამ არ გამითავებია. ეიცო, პაწიას კილო გეტყვი. რავე შენ მე გამაცურებ? შენ მე აგიტაცია მიზამ? მოკვდეს ჭიცილა კოლექტიველი, შენზე ნაკლები ქკუა თუ ქნდეს. შენ მე აწიცი იგი არ გეგონო, ერთ დროს ყოლი კაცი კისერზე რ მეჯდა. ჩვენ არგათ ვიციოთ. რაეარი წუშაც მოია...—მუშტის მკერდზე არტყმით მისძახოდა უკან ჭიცილა და თანაც უხაროდა, რომ ასე მარჯე პასუხი გასცა და კოლმეურნეობისაკენ გაეშურა.

„შენ მე იგი არ გეგონო, ერთ დროს ყოველი კაცი ომ მეჯდა კისერზე“ — უნებურად გულში ხელმეორედ გაიტარა წენ ნათქვამი სიტყვები და თავისთავი მოეწონა კიდეც.

ამ ერთ წელიწადში, რაც ის კოლექტივში მუშაობსდიდი გარდატეხა მოხდა ჭიცილაში. თითქოს გონება გადაეხსნა. ამ ერთ ელში ბევრი ახალი რამ გაიგონა და ბევრიც ისწავლა. მხოლოდ ბევროპარაკს ვერ გადაეჩვია, თორემ სხვა ყველაფერში კარგად ერკვევა. ოვრების ავკარგი ესმის.

წინათ ყველა ატყუებდა მას, ყველა ვააცურებდა. მუშავებდენ კიდეც და მდლობასაც მას ათქმევიებდენ.

ერთხელ ჭიცილა ბათომში ჩავიდა. ბაზარზე წეები უნდა იყიდნა. კოტა თამბაქოს და შესახვევ ქალაღსაც იყიდვ გავლც უნდოდა. ჰაერის ჩაყლაპვა.

როდესაც უკან ბრუნდებოდა, სადგურის კიბეს კუნჭულში რამდენიმე შავი გამურული ბიჭი ჩაცუცქულიყო. წინ ვებლისა და ქალაღის

ფული ეყარათ. დამუშტულ ხელს მკერდზე ირტყამდენ და ისე ფეხობდნენ კამათლებს.

ქიცილამ მათ გვერდზე აუარა და ცნობისმოყვარეობაში დაჰმხედდა. კარგა ხანს უტკეროდა და ხედავდა როგორ იგებდა და ხეობდა ფეხებს ის, ვინც წყვილს აგორებდა.

ქიცილამ ჯიბიდან ვერცხლის აბაზიანი ამოაცურა და სთხოვა ეთამაშებინათ. სიხარულით მისცეს ნება. პირველი ხელი მოაგებინეს. ქიცილას გული აუტოკდა. ჰყარა მეორედ. კიდევ წყვილი გააგორა. მეორედაც მოიგო. ისიც ჩაცუცქდა და კამათლები მოიმარჯვია.

განაგრძო თამაში, მაგრამ შემდეგ ერთი ხელიც ვერ მოიგო. რაც ფული ჰქონდა, სულ ამოალაგებინეს. სამ მანეთამდე წააგო. ეს ქიცილასთვის მთელი ქონება იყო. ისე გაბოროტდა, რომ წასვლა აღარ შეეძლო. ერთმა უთხრა წულეებზე ეთამაშოთო. ქიცილა დაეთანხმა.

უკვირდა ქიცილას. ისე ხშირად მოსდიოდათ წყვილები, რომ ეჭვიც შეეპარა, ხომ არ მატყუებენო, მაგრამ ეშმაკობაში დაქტრას ვერ ახერხებდა. წულეებიც წააგო. ჯიბიდან თამბაქოს შეკერა ამოიღო. ისიც გაათამაშა და წააგო.

იღმა ბოღმა მოწოლილი ქიცილა და ცარიელ ჯიბეებში დაკოყრილ თითებს ათამაშებდა. რა უნდა ჰქნას ქიცილამ? რას ეტყვის შინ? როგორ გაუშვილოს, რომ კამათლებში მთელი აელადიდება გამურულ ბიჭბუკებს დაუტოვა? კარგა ხანს ფიქრობდა.

ერთმა ბიჭმა წინადადება მისცა ქედზე ეთამაშათ. მას ქიცილას სახედრო ფერის ქუდი მოეწონა რადგან თვითონ ჩამოფლეთილი და მახუთიანი ქუდი ეხურა.

ბიჭმა ქუდიც მოუგო და მაშინვე თავზე ჩამოიხურა, თავის დაფხრეწილი ქუდი კი მუხლებზე დაიდო.

ბოლოს ხალათიც გაახდევინეს და ტიტველი, გაყვითლებული პერანგის ამარა დასტოვეს. ბიჭები მზად იყვნენ მისთვის შარვალიც გაეხადნათ, მაგრამ ქიცილა ამაზე ალბათ არ დაეთანხმებოდა.

გამურულ ბიჭს ქიცილას ხალათი ტანზე დიდი მოუყვიდა, მაგრამ მაინც დიდად კმაყოფილი იყო თავისი მონაგებით.

ქიცილას სიმწარისაგან თვალეები აუწითლდა. მართო რომ ყოფილიყო. იტირებდა კიდევ. ბიჭებმა შენიშნეს და გულკეთილობის ნიშნად ერთმა თავის დამონძილი ხალათი აჩუქა, მეორემ დაგლეჯილი ქუდი. წაგებულ თამბაქოდან ერთი პაპიროში შეახვევინეს, რომ ბოღმა ჩაეკლა, დარდი გადაეყოლებინა, და ისე გაისტუმრეს, თვითონ კი სტვენითა და სიმღერით გაიქცნ.

ამ ხალათსა და შარვალში მურიან ბიჭებს დაემსგავსა, და თუმცა მატარებლით უბილეთოდ წავიდა, მისთვის ხმა მაინც არავის გაუტია.

სოფელში რომ ჩავიდა, ხმა გაავრცელა:

— უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი. ერთი თუმანი ~~ფარა მჭონდა,~~
ბედს ჩემთვის ისიც შეშურდა. პაცანები დანებით თავს დამესხენ, ტანთაც
გამხადეს და რაც მჭონდა, იგიც ამომართვეს.

პაცანების ქული და ხალათი ნათქვამს უდასტურებდა: ~~ხეივანე~~
ჯერა, სირცხვილს ვადარჩა.

ეს მოხდა რვა წლის წინათ. მას შემდეგ არავითარ თამაშს ახლო არ
გაპყარებია. ახლა კი, როდესაც კოლექტივში შევიდა და დამჯდარ ცხოვ-
რებას შეუდგა, ჭიცილა ძველებურად აღარ ამბობს:

— უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილიო.

ახლა ის ვინმესთან ლაპარაკში მხიარულად დააყოლებს ხოლმე:

— ცხოვრება გამეიცვალა. ვარსკვლავებიც შეიცვალა ცაზე. აწი ჩემი
ვარსკვლავიც გამოჩნდა მაღლაო.

კოლექტივისაკენ მიდიოდა ჭიცილა, რომ ამხანაგებისთვის ეთქვა, თუ
როგორი პასუხით გაისტუმრა შებანი.

ზოგიერთ კოლმეურნეთაგანს უნდოდა კიდევ, კერძობთან ერთად,
ხოჯას წინამძღოლობით წვიმისათვის სალოცავად წასულიყო, მაგრამ
უმრავლესობის ერიდებოდათ და სცხვენოდათ. თავიანთ სურვილსაც კი არ
ამხელდენ.

დალამდა. დღის მღელვარება და ხვალინდელი დღის მოლოდინი
მშვიდმა და ღრმა ძილმა მოასვენა. სოფელი მიყურდა. გრილმა ნიავმა დაპ-
ბერა და სამხრეთ-დასავლეთიდან გუნდ-გუნდად ჯერ თეთრი, შემდეგ
რუხი, მოშავო ღრუბლები წამოიშალა. ამ ღრუბლებმა ღამის განმავლო-
ბაში მთელი ცა დაჰფარეს.

ვანთიადისას, უკვე წვრილი და ხშირი წვიმა წამოვიდა. წვიმიან დი-
ლას სოფელი გაბარებული შეხვდა.

მარტო ხოჯა ეფენდი იდგა ფანჯარასთან ფიქრიანად და გაშტერე-
ბული შესტეროდა ამღვრეულ ცას.

— ერთი დღეც კიდევ დაგეცადა. რაზე აჩქარდი? სოფლის ლოცვა
სრულდებოდა!.. — წაიბუტბუტა ოდნავ შეფერადებულ წვერულვაშში და
ხელი ჩაიჭნია.

შაპუნა წვიმამ მიწას წყურვილი მოუკლა.

გეზუთმეტე თავი.

გადიოდა დღეები, კვირეები.

ხოშნეთი კოლექტივის წევრთა ოჯახებში ისე დადიოდა, როგორც სა-
კუთარ სახლში. ის ესაუბრებოდა ხოლმე ქალებს მთელი საათობით და
მოუწოდებდა გამოსულიყვნენ სამუშაოზე, და ყველა იმ კრებაზე, რო-
მელსაც სოფელში ან კოლექტივში აწყობდენ.

თითო-ოროლა ქალს გააბედინა კიდევ ქმრის ნება-დაურთველად ჩად-
რის ახლა.

ქმრებმა აღმაცურად დაუწყეს ცქერა თავიანთ ცოლებს, მაგრამ აშკა-
რად ვერ ეწინააღმდეგებოდენ, რადგან ხოშნეთმა კოლექტივის კრებაზე

დასვა საკითხი ჩადრის ახლის შესახებ. ამ კრებაზე მამაკაცებმა ერთ-მანეთს დაუწყეს ცქერა, უნდოდათ გაეგოთ იყო თუ არა ვინმე ამ აზრის მომხრე, მერე კი, როდესაც ჰუსეინმა და შემდეგ ალიმ გადაწყვიტეს მისწინელობა მისცეს ჩადრის ახლის საქმეს, ერთხმად ასწიეს ხელს, რომ ცხელს და ქალებს ხელს არ შეუშლიან, და მათ ნება აქვთ როგორც მათ მოესურვებათ, ისე მოიქცენ.

— ხოშნეთ, ერთში უკვე გამარჯვებული ხარ. აწი საქმე თვითონ ქალებზეა. თუ ეს ნაბიჯი გადაადგმეინეთ, საბოლოოდ გამარჯვებული მაშინ იქნები, — უთხრა შემდეგ ალიმ ხოშნეთს, როდესაც კრება დახურა.

— კაცებზე რომ გევიმარჯვე, ეს უფრო დიდი საქმეა, ვიდრე ქალების დაყოლება. შემდეგ ალი, განა შენ გგონია, რომ აქარელ ქალებს მაინც და მაინც ძალიან უხარიათ ჩადრის ტარება?.. არა, შემდეგ. ჩემს თავზე არ ვილაპარაკებ, ბევრ სხვა ქალის აზრს გეტყვი. იმათ სული ეხუთებათ ფერჩე ქვეშ და განა თანახმა არ არიან რომ შეინადონ?..

შემდეგ ალი უსიტყვოდ იდგა, სახეზე ღიმილგადაკრული უსმენდა.

„განა მე დაჯერება მინდა?.. განა მე ეგ არ შესმის?“. ფიქრობდა შემდეგ ალი და ლაპარაკს მაინც არ აწყვეტინებდა. მას უხაროდა კიდევ ხოშნეთი ასეთი გარკვეული და სწორი შეხედულებისა რომ იყო აქარელ ქალებზე.

— იცი, შემდეგ ალი, უმეტეს შემთხვევაში მამაკაცები აბრკოლებენ ჩადრის ახლას. ცოლებს ეშინიათ ქმრების. აი, მე თვითონ ასე არ ვიყავი?.. ქალიშვილებს მამებისა და სოფლის აზრის ეთაკილებათ. ისინი შიშობენ, რომ ქმრები წაიხეხებებიან, გალანძღავენ, სცემენ. სწორედ ესენი, დღეს რომ აქ დათანხმდნენ, თავიანთ ოჯახებში სხვაგვარად მოიქცევიან. იქნებ დაარიგონ კიდევ, რომ ქმრები არ გასცენ, რომ ისინი ჩადრის ახლის ნებას არ ამღევენ.

ასე ეუბნებოდა ხოშნეთი შემდეგ ალის, მაგრამ ამავე დროს გულში ფიქრობდა, რომ უსათუოდ გაიმარჯვებდა, მთელი სოფლის ქალებს სულ მოკლე ხანში უჩადროდ ვაატარებდა. ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ რამდენიმე გაბედული ნაბიჯი, პირდაპირობა და შეუღრეკლობა.

— თუ კი ქალი მოისურვებს, ჩადრს მოეახდევინებ, მამაკაცებს არ დავერიდები... — გადასწყვიტა ხოშნეთმა და ერთ დღეს სოფლის ქალების კრება მოიწვია.

ჩადრიანი ქალები კრებაზე რაღაც განსაკუთრებული სიხალისით მოდიოდნენ. ისინი დააინტერესა ამ კრებამ და შინ თითქმის არავინ დარჩენილა ქალთაგანი. თითქოს მოფრინავენო, ყორნებივით შეგგუფდნენ სოფლის საბჭოს ეზოში და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. ყველანი შავებში იყვნენ გამოწყობილი, მხოლოდ ზოგი თეთრ ფერჩე აფარებული და ორისამიცი ფერჩე-მოხდილი ქალი სცვლიდნენ ამ საერთო ელფერს.

მათი მსჯელობის საგანი იყო ჩადრის მოხდა. კრების დაწყებამდეც ამაზე ლაპარაკობდნენ და თვით კრებაზეც. ცალკე-ცალკე ჯგუფებში არც ერთი არ იყო ჩადრის მოხდის მომხრე, მაგრამ როდესაც ხოშნეთმა ხმა-მალა წარმოსთქვა:

— აქარელო ქალებო, თუ თქვენ თავისუფლება და მამაკაცობა/გათანასწორება გინდათ, თავდაპირველად ჩადრი უნდა მოიხადოთ. ჩადრი გართმევთ სახეს, სიტყვას, უფლებას. — მაშინ შეერებილმა ჩადრიდან თვალის გამოსახედები გააფართოვეს და თვალგაშუქებით მიაყრეს მთელი გულისყური ხოშნეთის სიტყვებს.

აქვე იდგენ მემედ ალი, სულეიმანი, ჰუსეინი, კოლექტივის სხვა წევრებიც და შესცქეროდენ შავ ტალღებივით ამრიალებულ ქალების ჯგუფებს. რომლებზედაც თანდათანობით თეთრი ისახებოდა.

ჭიცილა მეტისმეტად ლელავდა. ის ვედრების თვალით შესცქეროდა მემედ ალის. მასაც უნდოდა რამე ეთქვა, გამოსულიყო ამ ქალთა კრებულზე და ელაპარაკა ჩადრზე, ქალებზე, ცხოვრებაზე, ყველაფერზე. რაც მას აღელვებდა და რაც ენაზე მოადგებოდა. მაგრამ მემედ ალი აკავებდა მას, სიტყვას არ აძლევდა. იცოდა მემედმა, რომ თუ ჭიცილა ლაპარაკს დაიწყებდა, მისი სიტყვის დამთავრება ძალიან შორი დროის საქმე იქნებოდა. გარდა ამისა, ვინ იცის რას იტყოდა, რა სისულელეს დაფქვავდა ამ მნიშვნელოვან კრებაზე.

ჭიცილა ვერ ისვენებდა. ის ერთი ადგილიდან მეორისკენ მიიბოდა. ეკყანებოდა ხან ჰუსეინს, ხან სულეიმანს, მაგრამ ყველა გულგრილად ხედებოდა მის სურვილს. კრება უიმისოდ მიმდინარეობდა. როდესაც დარწმუნდა, რომ სიტყვას არ მისცემდენ, მიიბრინა იქვე მდგომ მამაკაცთა ჯგუფთან, და მათთან დაიწყა ლაპარაკი:

— ამხანაგებო, რავე იქნება ასეთე? სოფელში ასეთი ამბავი ხდება და მე რომ შეხედულემა მაქვს, საშუალებას არ მაძლევენ ყველას თვალწინ გამოუხატო. ფერჩე, რასაკვირველია უნდა მეიხადონ ჩვენმა ცოლებმა მეც ამას მხარს უჭერ ორივე ხელით და მთელი გულითაც. ჩვენ ცოლებს უნდა მოვთხოვოთ მეიხადონ, მე რო შინ წავეალ, ულფედს მაშინვე ჩადრს მოვახთიებ, ეს კაია, ეს საჭიროა. მუშათა კლასს უნდებიან ასე...

ჯგუფი, რომელთანაც ჭიცილა იდგა, თანდათან დაიშალა. მათი ყურადღება კრებაზე ატეხილმა ხმაურობამ მიიპყრო.

მის წინ ერთად-ერთი მოხუცი გლეხი-ლა იდგა, რომელიც სიბერისგან თავს აჯანყებდა, ჭიცილას კი ეგონა, რომ მას ეთანხმებოდა. ჭიცილა შემოტრიალდა, ხელი გაიშვირა ერთ-ერთ მხარისაკენ და ხმამალა დაიძახა:

— კულაკობის ოჯახობა რომ მოსულა, ისინი ჩადრს მეიხდიან?... სეირის საყურებლად არიან მოსულნი, აი, ნახეთ თუ ტყვილს ეუნობ.

როდესაც ჭიცილა შემოტრიალდა, ნახა, რომ ის მოხუცი გლეხი ჩამგდარიყო, მუხლებზე თავი დაედო და ჩასძინებოდა. მას აღარაეინ არ უსმენდა. ლაპარაკის ეინი კი მოიკლა. თითქოს დამშვიდდა, დაწყნარდა. შხიარული ელფერით ქალების კრებულში შევიდა, თავის ცოლი მოძენა და ყურში მუქარით წასაჩურჩულა: „ფერჩე არ მეიხადო, ულფედ, თვარა სახლში არ შევიშვებ!“ და უკან გამობრუნდა.

„რაში ეკითხება მუშათა კლასს, ულფედს ფერჩე ახურია თუ არა!.. იგი მისთვის ერთია... სხვის ცოლებმა შეიხადონ, მე წინააღმდეგი არა ვარ“ — გაიფიქრა გულში და პრეზიდენტისაკენ გაემართა.

ამ დროს ხოშნეთი სიტყვას ამთავრებდა. მან თავის მხრივ დასტურ-ვილი ჩაუნერგა თითოეულ აქარელ ქალს.

— ჩვენ უნდა მოვიძროთ ჩადრი. ჩადრი გვჩაგრავს... — დააბოლოვა სიტყვა ხოშნეთმა და მთელს კრებულს მომთხონი და მომწოდებელი სა-ხით გადაეწო თვალი.

— მოვიხსნათ, მოვიხსნათ!..

— აღარ გვინდა ჩადრი!..

— მოესპოთ!.. დაეწვათ!.. გაისმოდა ამ აღელვებულ კრებულში და აქა-იქ დაიწყეს კიდევ ფერჩეების ჩამოხსნა, თავიდან ვადიოდეს შუბლამდე წამოფარებული შავი წამოსასხამები. გამოჩნდა სახეები? გამოჩნდა თვა-ლები. წარბები. შუბლი. ბაგეები. ლაწვეები.

გამოჩნდა სახეები, რომლებზედაც ღრმად აღბეჭდილი იყო უღროთ ღარები. სახეები, რომლებზედაც დანერგული იყო ტანჯვა და მწუხარება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იფარებოდა ამ ნაჭრის ქვეშ. ამ ნატანჯ სახეებს, ამ დაღარულ სახეებს, ამ დაჩაგრულ და დამალულ სა-ხეებს დაეცა სინათლის შუქი. აშკარად, ყველასთვის სახილველად მოე-ფინა ამ სახეებს შვის ბრწყინვალეობა და თითქოს სახეებმა თავისუფლება მოიპოვესო, გაიხარეს. სიამე იგრძნეს, მათ ღარებში და ნაოჭებში ჩადგა შვის სხივი. ბაგეებმა მკერდთან ერთად თავისუფლად ამოისუნთქეს.

შებდეთ!. რამდენი წარმტაცი გიშრის კრიალა თვალია! რამდენი მარწყვებივით ნაზი მთრთოლვარე ტუჩებია! რამდენია ჩამოთლილივით ლამაზი ვადახსნილი შუბლი! რამდენია სახე დიადი, წარმტაცი. მშვენიერი. და ყველაფერი ეს მოქცეული იყო ჩადრს ქვეშ, მთელი ეს სილამაზე და-მალული და დამარხული იყო!

რა ჰქონდათ მათ დასამალავი!..

— მოესპოთ!.. დაეწვათ!.. — გაჰკიოდნენ თავისუფალი ბაგეები და იგივე ბაგენი ხარობდნენ, იცინოდნენ.

გამოვიდა მალლობზე ერთი მათგანი, ჩადრი მხრებამდე გადაგდებულა ჰქონდა. ხელში ფერჩე ეჭირა. ეს ფერჩე ხელებში დაქმტუნა, მერე ასანთი ანთო და მოუკიდა. აენთო. ქალმა ანთებული ფერჩე ფეხქვეშ დაიგდო. მიჰბადეს სხეებმაც და უკვე ყველანი ამ ცეცხლისკენ მორბოდნენ, მოჰქონ-დათ საკუთარი ფერჩეები და ჰყრიდნენ შიგ. ცეცხლმა იმატა. ავარდა ალი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ამ ცეცხლში იწვოდა ფერჩეები და ჩად-რის შავბნელი ადათი.

ცეცხლი ჩაჭრა, ჩაიფერფლა.

ხოშნეთი გახარებული დგას და შესცქერის თავის გამარჯვებას. შე-სცქერის ქალებს. ათვალიერებს ყველას და ხედავს: რამდენიმე ქალს ჩადრი ისევ ახურია. მათ არ გაუზიარებიათ ეს საერთო აჯანყება სიბნელის წი-

ნააღმდეგ. ისინი ძველებურად ურყევად დგანან მათთან შეზღვეულ ჩვეულებებზე.

— სულეიმან... — მიმართავს ჰუსეინი — ჩადრმოუხდენდი ქაღალდი! დგას, მგონი შენი ცოლია, ფერიდე, არა?..

— სწორედ ფერიდეა... — ჩახლეჩილი ხმით უპასუხებს სულეიმანი და ოდნავ წაბარბაცდება. ეყრდნობა კედელს. უჭრელდება თვალები და თითქოს მის გონებაში ყველაფერი ირევა, თითქოს ეს შავპირსაბურავიანი ქალი მის ტვინზე ფეხებით დგას და ტყეპნის.

— სულეიმან, რა კომუნისტი ხარ! ცოლს ჩადრის ახდის უფლებას არ აძლევ!.. — მიადახა ისევ ჰუსეინმა და სახე ისე გაუწითლდა, ისე დაენთო. თითქოს სისხლი გადმონთხევას აპირებდეს.

— მე?! — წაილულულა სულეიმანმა და მეტი ველარაფერი სთქვა. ტუჩები აღარ დაუმორჩილა. სახის ძარღვები მოეშვა. მოუდუნდა.

— სწორედ რომ შენ...
და ჰუსეინი ფერიდესკენ გაიქცა. მას მიაჩვენებდა ბრაზი და ჯავრი არა მარტო ჩადრზე, არამედ სულეიმანზეც. ის დაურიდებლად მივირდა ფერიდეს. ხელი წაატანა მის სახეს და მისთვის მოულოდნელად ფერზე წამოაგლიჯა.

— ვერ მოიშორებ ამ ჭინჭს?.. ხომ ხედავ?.. ესენი ქალები არ არიან?.. თუ ჭმრისა გეშინია? ნაწყვეტ-ნაწყვეტად წრმოსთქვა ჰუსეინმა და ფერზე ნუჭიში მოიქცა.

ხალხმა განცვიფრებით შეხედა ჰუსეინის საქციელს. თუმცა უმეტეს მათგანმა ამ წუთს მოიცილეს ჩადრი, მაგრამ უცხო მამაკაცისაგან სახიდან ფერჩეს ჩამოგლეჯა არაფრად ეჭაშნიკათ.

ფერიდე სახტად დარჩა, ერთ ადგილზე გაშეშდა, გაშრა. სიტყვა ვერ ამოიღო, გაწითლდა, ათრთოლდა, მერე ყვითელი ფერი გადაეკრა და მუხლებიც ჩაეკეცებოდა, რომ იქვე მდგომი ქალები არ შეშველებოდნენ.

ჰუსეინმაც რაღაც უხერხულობა იგრძნო. ყველანი ჩუმად იდგნენ და მას შესტყუროდნენ. არაეინ ხმას არ იღებდა. გაჩუმებული იყვნენ, მაგრამ ჰუსეინი გრძნობდა, რომ ეს დუმილი მის წინააღმდეგ იყო მიმართული. ის უხერხულად შემოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით ეზო მიატოვა.

ფერიდე თვალებს აფაციცებდა. ეძებდა სულეიმანს. მას უნდოდა ვაეგო, გამოესარჩლა თუ არა ჭმარი, მაგრამ ის კედელზე მიბჯენილი უძრავად იდგა და ხმას არ იღებდა. ფერიდე სწრაფად შემოტრიალდა და გაიქცა.

— ეგ პასუხს აგებს ამ საქციელის გამო. პარტიულ ბილეთს დასტოვებს... — წამოიძახა ხმამალა ხოშნეთმა და მემედ ალის მივირდა.

— აი, ესეც შენი ჰუსეინი, კომუჯრედის მდივანი. ეს ხომ დათვობაა! დახმარების მაგიერ მტრობაა.

არა ნაკლებ ეწყინა მემედ ალის. ის ბრაზს გულში იკლავდა. კბილებით ტუჩებს იკვნეტდა და მაინც სდუმდა. გონებაში კი ათასი ფიქრი უტრიალებდა. რა შედეგი მოჰყვებოდა ამ საქციელს?.. როგორ გამოიყე-

ნებდენ ამას კულაკები? რა მორიგი ქორი გავრცელდებოდა სოფლიდან სოფელში? — ფიქრობდა მემედ ალი და ბრაზი ყელში ეხვეწებოდა. ქალები დაიძაღნენ. ყველა შინისკენ გაემართა. ზოგი მათგანი კულაკ ფარულ შიშა და ლელვას განიცდიდა. მათ მოაგონდათ, რომ შინ დაუხვდებოდნენ ქმრები, მამები, ძმები. კვლავ მოექცნენ ტრადიციის ბნელ და ძაღვან ბორკილებში და გულში ინანიებდნენ ჩადენილს.

ზოგმა თავის კართან მისვლისას უფრო მწვავედ შეიგრძნო ოჯახში მოსალოდნელი უსიამოვნება, უბიდან მეორე ფერზე გამოიძრო, ისევ საბეზე აიფარა და შინ შევიდა. უმრავლესობა ჩადრგადახდილი მივიდა შინ. აღრენილები დაუხვდნენ ქმრები, მაგრამ გადადგმულ ნაბიჯის უკან წაღებას აღარ აპირებდნენ.

მღელვარე დღე ბინდისაკენ ვადიიხარა. თითქოს სოფელში ყველაფერი მიყუჩდა, მიწყნარდა. თითქოს არავის აღარაფერი აღელვებსო, გამოიკეტნენ ოთახებში და დაწყნარდნენ. მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ძროხების ქლოშინი, ძაღლების ყეფა და ლობეების შორი ლაწანი.

სულეიმანი განგებ დაგვიანებით წავიდა შინისკენ. მას უნდოდა ფერიდუ მის მოსვლამდე დაწყნარებულიყო, დამშვიდებულიყო, რომ არიდებოდა ჩხუბსა და უსიამოვნებას. შორიდან დაინახა, რომ მის ოთახში სინათლე არ ენთო. ამან სულეიმანს გული აუღელვდა და ნაბიჯს აუჩქარა. გამგებლებული შევარდა ოთახში. ბნელოდა. გაკჭრა ასანთი. ირგვლივ მიშოიხვდა.

— ფერიდუ!.. — დაიძახა ოდნავ აწეული ხმით...

პასუხი არ იყო...

— ალი!.. — შეჰყვირა ოთახიდან ვარეთ ეზოსკენ, ბოსელისაკენ, სიშინდებისაკენ. მაგრამ არაფერ უპასუხა. კრაქი ანთო. დახედა ტახტს. ზედ აწეწილად ეყარა სხვადასხვა ტანსაცმელი. მიმონგრეული იყო საბნები, ლეიბი, ბალიშები.

ვალო სკივრი. დიდხანს ათვალეირებდა შიგ მდებარე ნიეთებს. მისი თვალები ეძებდნენ ფერიდეს ნიეთებს, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

სულეიმანს გულში ძარღვი ჩაუწყდა. მწვავედ იგრძნო გულის ტკივილი, თითქოს ქრილობა მიაყენესო. შესცქეროდა კედლებს, ქერს, ოთახის ნიეთებს. უცბად ოთახი დაცალიერდა. უცბად სითბო გაჭრა. ოთახში ველარ გაჩერდა. ჩუმაღ, უსიტყვოდ გამოვიდა ვარეთ. თითქოს ზურგს უკან შთელი ქვეყანა დასტოვა, სიმწარითა და სიყვარულით განცდილი ქვეყანა.

მიდიოდა მარტოდ. არ იცოდა სად, ვისთან, ლეჩაქივით თხელი და ბურუსიანი სივრცე ვაშლილიყო ირგვლივ. ბნელოდა. ქარხნის შავი მიღებვიით აზიდული ალგები დასცქეროდა მყუდრო ვარემოს. ცას გადაჰკროდა ჩამუქებული ნისლი.

მიდიოდა. ფეხები ებჯინებოდა მიწას. სხეული არ გრძნობდა ფეხებს, და თითქოს მუხლები თავისთავად იღუნებოდნენ, თავისთავად მოძრაობდნენ.

ცა გაღურჯებულ ბურუსში ჩაძირულიყო.

ფიქრი არ ჰქონდა სულეიმანს, არც რამე აზრი, არც სალი გრძნობა.

ფეხებ ქვეშ იმტვროდა გამხმარი ბალახი, იფშენებოდა ძირს დასველებილი გამხმარი ფოთლები. მაღლა აიხედა, და ცას მიმოავლო თვალს. ასე იგრძნო მან თითქოს ცის რომელიმე კუნჭულში შუჭი უნდა დაეშალა, ვარსკვლავი უნდა მოჩანდეს.

შეჩერდა. თვალი მიმოავლო ცას. არც ვარსკვლავი იყო, არც შუჭი. განაგრძო სელა. კარგა ხანს ასე მიდიოდა. არ იცოდა სად წასულიყო. მემედ-ალის სახლს მიუახლოვდა. უნდოდა შესულიყო, ეთქვა რაც დაემართა. მაგრამ გადასწყვიტა უკან დაბრუნებულიყო და დაეძინა. ხვალ შრომა-დღე დაეკარგება. ამხანაგებს ჩამორჩება. კოლექტივის არ ეღალატება. და სულეიმანი შინისაკენ გაემართა.

კარები რომ შეაღო, ისევე ჯავრი შემოაწვა. ტახტზე მიწვა. მიიძინა. განთიადისას მზემ შემოანათა. სულეიმანმა მაგიდაზე ქალაღის ნაგლეჯი შენიშნა, აიღო და წაიკითხა.

„მე, სულეიმან, წავედი, იმიზა რომ აღარ გინდებვარ. ალის ნახვა რომ მოგენატროს, გამეიარე, გაივენებ. ააშენეთ კოლექტივი, ქალებს სახიდან ფერჩეები ჩამოაფხრიწეთ და წაართვით ხალხს თუ რამე აქვთ. შეიღობითს არ გეტყვი, იმიზა რომ მინდა კოლექტივმა დაგტანჯოს.

მაგან წამართვა შენი თავი.

„ფ გ რ ი დ ე“.

სულეიმანი დასცქეროდა სტრიქონებს, სიტყვებს, ასოებს და ფიჭრობ-და, მწარედ ფიჭრობდა. მერე თვლები ფანჯარისკენ გაისროლა.

— რამდონზე ასულა მზე!.. — წარმოსთქვა და სამუშაოსკენ გაემართა.

მეთექვსმეტე თავი

რამიზმა ყანაში დაიწყო მუშაობა. უსაჭმოდ ყოფნას თავის სახლ-კარში შრომა არჩია. ტაგიძე და ანანიძე საუკეთესო ბარკასებს ჰპირდებოდნენ, ისეთი ბადეები უნდა დააწნევიან მისთვის, რომ საუელს ქობულეთში მისი ბაღალი არ იყოს.

რამიზი კარგა ხანია ელოდება მათ დანაპირებს, მაგრამ მათი სიტყვა-ჯერ არ სრულდება.

სამაგიეროდ რამიზსაც მოუთმენლად ელიან.

— რას გაჩერებულხარ, ტყვია გენანება?.. — სულ მუდამ ჩასისინებენ რამიზს და არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ აძლევენ. ყოველთვის კოლექტივის სიაგეზე ელაპარაკებიან.

— ხო მოგივიდა შინ ცოლი ფერჩე-ახლილი? ხო გეიგე, ჩვენს ქალებს რა დღე დააყენეს?..

— ჩემ ცოლს ფერჩე არ აუხდია, ის შინ ჩადრმოხვეული მოვიდა.

— თელმა დუნია მ ნახა, რომ შენს ცოლს ფერჩე არ ეხურა. ალბათ ეხოში ეიფარა. ხომ იცი, კრებაზე ძალით ახადეს ჩადრი. კომუნისტებმა დაუარეს და ვინც არ ეიხადა, თავიანთი ხელით ჩამოგლიჯეს სახიდან.

მაშინ რამიზი ბრახმოჩეული შემოტრიალდა, კიბეზე აირბინა და დაუძახა ცოლს.



— ბესირე!

ბესირე საჩქაროდ გამოვიდა.

— შენ გუშინ ჯამაათში იყავი?

— ვიყავი.

— კაცებმა ფერჩე ჩამოგაგლიჯეს?..

— ფერჩე რაღა ჩამომავლიჯეს! ახლოს რაღა მიუშობდი? მე კი არა და ფერიდეს კი მართლა მივიარდა ჰუსეინ კვესეიშვილი და სახიდან მოავლიჯა. საცოდავი ფერიდე კილამ დეცა. ისეთ გლახათ შეიქნა. მე არა, რამიზ, ჩემთვის არა. მე... თვითონ, მარა მერე ისევე დევნიხურე, რაცხა გადავიფიქრე. პირველად მეგონა, კაი იქნებოდა მარა ფერიდეს გლახათ შეემთხვა. აღარ მინდა ფერჩეს მოხდა. ასეთ მირჩევნია.

ლაპარაკობდა ბესირე და რამიზი თანდათან მშვიდდებოდა. მას უხაროდა, რომ ასეთი ჭკვიანი და გონებიანი ცოლი ჰყავდა.

— რაღა გაბედეს და ქალებს ებრძვიან!— გაიფიქრა რამიზმა და სოფლის შუა გულისკენ გასწია.

სალამო ხანი იყო. ყველა გარეთ გამოსულიყო.

სოფელს ახარებს ხოლმე ყოველი ახალი ამბავი. მას უჩნდება სალაპარაკო, გასაქორავი, გასაზვიადებელი. დღესაც სწორედ ამ ამბავზე ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებულ გულშემმატივრობას იჩენდენ ახმედი და ძემედი. მათ უხაროდათ მომხდარი ამბავი. იცოდნენ, რომ ამას მათთვის სასიამოვნო შედეგი მოჰყვებოდა.

— თუ რამე არ ვიღონეთ, თელ ჩვენს ცოლებს გააგიყვებენ.

— ეს სულ ხოშნეთ დუმბაძის საქმეა. საკეთილოდ არ ჩამოსულა ჭიბულეთიდან.

— თითონ გამოჭკევია ქმარს, ახლა ჩვენი ცოლების გაჭკევაც უნდა, ოჯახებს დაგვინგრევს.

ლაპარაკობდნენ ამას სოფელში და უკვე აშკარად აგინებდნენ მთავრობას, პარტიას, კოლექტივებს და მთელ იმ საქმეებს, რომელიც სოფლად იყო წამოწყებული.

კულაკები მოხერხებულად და ჭკვიანად იყენებდნენ ქალთა საერთო კრებაზე მომხდარ ამბავს. ჰუსეინ კვესეიშვილს სთვლიდნენ მთავრობად და მის ჩადენილ საქმეს მთავრობის ნაბიჯად.

ეს ამბავი სოფლიდან სოფელში გადადიოდა. ზედ ემატებოდა მოგონილი და უცნაური ამბებიც. ამ ხმამ ააღელვა და შესძრა აქარელი მამაკაცი და ქალი. მათ უნდოდათ როგორმე გდმოენთხიათ ეს ბრაზი და წაეღეკათ ყველაფერი, რაც მათს საუკუნოების განმავლობაში გამომუშავებულ გრძნობებს და აზრებს ეწინააღმდეგებოდა.

საგონებელში ჩაადგო რამიზი ამ ამბავმა. ის ფიქრობდა:

„მართლაც რაღაცა ხდება სოფელში. მას მემედი ხელმძღვანელობს. მემედი რ უნდა ვაცოცხო, თეარა კიღო გამაფუჭებს კაცს“.

დღემ დააგროვა ბოღმა, ღვარძლი და ლამით სამი ამბავი მოხდა:

პირველი ანბანი



ქართული

შეღამეა. არ ეძინება რამის, თვალი ვერ მოუხუჭავს. ის ფეხსაცმელს ატარებს, ხან ზღვის ზედაპირზე გადაცურდება, ხან ტოკავს და ქანაობს ატივტივებულ ნავებსა და ბარკასებში, ხან თვითონ ეხვევა უზარმაზარ ბადეში და მოათრევინებს ზღვის ნაპირისაკენ.

ხან კიდევ ასეთ რამეს გაივლევებს გონებაში:

„რამდენი ვიწრომე იმისთვის, რომ ბესიროე ჩემი გამხდარიყო. მისთვის, ჩემ ოჯახში ბედნიერება შემექმნა. იხნი არ მიმიცია, ფერზე მოუხდია. იქნებ ხვალ უარესი ქნას, ჩემს ოჯახში რომ კოლექტივი შემოვა, თლათ ამირევეს ყველაფერს“...

მერე დედაც გაიხსენა, რომელიც ორმოცი წელიწადი ატარებს ჩადრს და სიბერის დროს კი უსირცხვილო უნდა გახდოდა. მოაგონდა მამაც, უდროოდ და უსიხარულოდ მოკლული ოსმანი. შურისძიების გრძნობამ გაიღვიძა მის არსებაში. დაფიქრებული წამოდგა, თავზე ყაბალახი შემოიხვია. ძველი, შემოგლეჯილი მაზარა გადაიცვა. წელზე მაუხერი შემოირტყა.

ლამის სიბნელეში გავიდა გარეთ.

ნაბიჯებს სდგამდა შეუწყობლად. თვალი არაფერს ხედავდა. აქა-იქ ჩნდებოდა ოდნავ განათებული ფანჯრები, და მიდიოდა რამიში. მისი ხელი მაუხერის ტარზე იყო დაკრული, ფიქრი კი მემედ ალის სიცოცხლეზე.

შავი ღამე, როგორც დედამიწის ბნელი ფრთა, ისე გაშლილიყო. ეს ფრთა თავის ილღის ქვეშ ფარავდა მთებს, შენობებს, ხეებს, ღობეებს. მას ყველაფერი ეს ჩრდილებად გადაეჭტია და მოესპო.

ამ ფრთის ქვეშ მიიმართებოდა რამიში.

ოდნავ განათებულ ქობის წინ გაჩერდა. ფანჯარას მიუახლოვდა. მინაში ჩაიხედა. ფარდამ ყველაფერი დაუმალა. კარგა ხანს იდგა კარის წინ და ფიქრობდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

უცხად, თითქოს მოიფიქრა და გადასწყვიტა. მარცხენა ხელით ფანჯარაზე მძლავრად დააბრაზუნა.

ყველაფერი ისევე მიყუჩნდა, მაგრამ რამიზის ყურში მაინც ისმოდა ბრაზუნის ხმა. ყურში ის სიტყვებიც ზუსტუნებდა, რომელიც მას გამხადებული ჰქონდა დასაძახებლად.

— ეინ არის?... — ყრუდ მოისმა ოთახის შიგნიდან.

ეს იყო მემედის ხმა. რამიზს ტანში ურუანტელმა დაურბინა. ააძვადვავა. თითქოს დაიბნა ამ ხმის გაგონებაზე. ველარ მოიფიქრა, როგორ ეპასუნა.

— ერთწამას გარეთ გამოდი, საქმე მაქვს. — სწორი, შეუშლელი ხმით უპასუნა რამიზმა.

— ახლავე... — მოისმა ოთახიდან. — მოვდივარ...

ოთახში რალაც უმნიშვნელო ხმაური გაისმა. რალაც შეინძრა, ძირსაც დაეარდა. სინათლესაც მოემატა, მაგრამ ამას რამიზზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ის კლდესავით მტკიცედ და შეურყევლად იდგა.

კარში გასაღები გადატრიალდა. კარი გაიღო.

გამოვიდა მემედ ალი მთელი მზარბეკით. ამ ტანადმა, ჩახსმულმა გავაკაპმა ზურგით ოთახის სინათლე დაჩრდილა. მის სახეზე არ ჩანდა არც ჯერი, არც ლიმილი.

— მემედ ალი ვარ. რას მეტყვი?.. ვერ გცნობილვ. ვინა ხარ?..

ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს ამ ადამიანის მთელი ბუნება გამოჩნდაო...

— ეს როგორ არის, მემედ ალი, ჭალებს ჩადრებს რომ აგლეჯენ?..

— მაგაზე ღლეც ვიპასუხებდი, შუალამისას რას სწუხდებოდი? შემოხვალ ოთახში?..

— არა...

— შენთან კიდევ ვინმა?..

— მარტო ვარ.

— ის წუთი გასხლტა, როდესაც ჩემი მოკვლა შეგეძლო. ხელი კიდევ იარაღზე გაქვს?..

— არც ერთი წუთი არ არის, რომ სიკვდილის მოსვლა არ შეიძლებოდას. პასუხი მომეცი.

— ერთი კაცი გამოჩნდა ჩვენს შორის, რომელსაც შეეძლო აგეთი დანაშაულის ჩადენა. ჩვენ გვეკარგება სულეიმან ნულაიდელი, რომელიც ჩვენი საუკეთესო ამხანაგია პარტიაშიც, კოლექტივშიც და მთელ სოფელშიც. მას ოჯახი დაეგრა. პუსეინი კი დაუსჯელი არ დარჩება.

— მარტო მაგიტომ?..

შეიძლება სხვაც იყოს მიზეზი.

მემედ ალი ვარეთ გამოვიდა. ისიც ბნელ ფრთაში მოექცა. რამიზს იარაღის ტარიდან ხელი ჩამოუვარდა.

უცნაური სიწყნარე იყო. ისეთი სიწყნარე, თითქოს ცაზე ღრუბლების სიარულის ხმა ისმისო.

— მე რატომღაც არ მეძინებოდა. სიკვდილის მოლოდინში თუ ვიყავი. თუმცა არა მგონია რომ ჯერ ის ტყვია ჩამოსხმული იყოს, რომელიც მე მომკლავს. შენ ვინ გამოგზავნა?..

— არავის მოჯამავირე არა ვარ.

— აბა რა გაქვს ჩემთან საჩხუბარი? მე გიცანი. შენ რამიზი ხარ. ჩვენ მუდამ კაი სალამი ვიცოდით. შენ უსათუოდ სხვამ გამოგზავნა.

რამიზი იღვა და ფიქრობდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ისე უხერხულად გრძნობდა თავს, თითქოს დანაშაულში დაიჭირესო. მას იარაღის ხმარება აღარ შეეძლო. რამიზს უნდოდა ეთქვა, რომ მას მისი სისხლიც მართებს, მაგრამ თავი შეიკავა, გულში ჩაიტოვა ეს ბოღმა. ახლა უკვე ნანობდა კიდევ, რომ ასეთი სულელური ნაბიჯი გადასდგა. ყველაზე ძლიერ ის უხაროდა, რომ ბნელოდა და მისი სახე არ ჩანდა, ვერ უცქეროდა მემედ ალი თვალებში და ვერ ამჩნევდა სირცხვილს.

— წადი, რამიზ, გადაეცი შენს გამომგზავნელებს, რომ მემედის მოკვლა ვერ ზერხდება-თქო. ან და ასე უთხარი: სიკვდილის ღირსი არ ყო-

ფილა-თქო. და მემედი რამიზს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დასო და განავრძო:

— მე შენი მტრობა არ მინდა, ჩვენ საერთო მტრები გვყავს... დამიჯერე. ამის გაგება ძნელი არ არის. თითონ ნახავ, როდისმე დაიწყებდები. ამ დროს მიწყნარებულ პაერში კივილი გაისმა. ეს ხმა უცბად მისწყდა. ორივემ ყური დაუგდო. კოტახნის შემდეგ რამდენჯერმე გმინვა განმეორდა.

— ეს ქალის ხმაა... რალაც მეცნობა... — წამოიყვირა მემედ ალიმ, — იქ რალაც ხდება. უნდა მივეხმაროთ.

მემედ ალი ოთახში შევიარდა. ტანთ გადაიცივა და ისევ გარეთ გამოვარდა, ხელში ნაგანი ექიარა.

— ჩვენ შევეთანხმდით თუ არა?.. მგონი აღარაფერი გვაქვს სადავო, — სხაპასხუპით მიიძახა სემედ ალიმ და კარი გამოიკეტა.

— დღეს არაფერი. სხვიმისთვის იყოს.

ცაზე მთვარემ ღრუბლები გაარღვია. მას განსაკუთრებით შავი ღრუბლებიდან გამოძრომა უჭირდა. მის წინ თეთრი ღრუბლებიც იყო გაშლილი, მაგრამ ამისი არ ეშინოდა, მის განათებას შესძლებდა.

მთვარემ გაარღვია შავი ღრუბლები და ამოანათა. ეს სინათლე ამ სოფელსაც დაეცა.

მემედ ალიმ და რამიზმა ერთმანეთს შეხედეს. ისეთი გრძნობა ჰქონდა მემედ ალის, თითქოს მარტო წასვლა უმძიმდაო. ეს გრძნობა სახეზე გამოეხატა. რამიზმა შენიშნა, რომ მემედ ალის სახე ეკითხებოდა:

— „ხომ არ წამოხვალ ჩემთან ერთად?“

— მე წამოგყვები, მემედ ალი, მარტო რას ვახდები... — რალაც თბილ და მეგობრულ კილოზე უთხრა რამიზმა.

— კარგი იქნება. ვინ იცის რა მოხდა სოფელში! მოეძებნოთ.

და ორივენი სირბილის მაგვარი ნაბიჯით გაემართნენ.

მეორე ანბანი

მაშინ, როდესაც მთვარე შავ ღრუბლებში იხლართებოდა, სიბნელეში და წყვედიადში ორი ჩრდილი მიდიოდა, მათი მოძრაობა იმდენად ფრთხილი და ჩუმი იყო, რომ ნამდვილად ჩრდილების სიარული გეგონებოდათ.

ერთ ეზოში შევიდნენ. ერთმა აივნის მოაჯირზე დააბრაზუნა, მეორე კი სიბნელეში ჩაღვა.

ოთახიდან კრაქით გამოვიდა ქალი. კრაქი ანათებდა მის სახეს და მთლიანად მას, თვითონ ქალი კი, ხუთი ნაბიჯის იქითაც ვერაფერს ხედავდა.

— ვინ გინდებიან?.. — შეეკითხა გამოსული.

— ხოშნეთი შინ არის?.. მემედ ალი კითხულობს. საჩქარო საქმე აქვს. მე გამომგზავნა.

ამ ხმას ცვლილება ეტყობოდა. ეს ხმა იყო დაბალი, ხვეწრდივით სუფთა და რბილი.

— ხოშნეთი შინ არ არის. თქვენ ვინა ხართ? გადაეცემ.

— ამელამ ველარ შეხედებიან. გვიანაა. გადაეცით, დილაზე ^{ქართულ} ნახოს. ლამე მშვიდობისა. — და ეს ჩრდილი სასწრაფოდ შეტრიალდა. ^{ქო-} ლან გარეთ გავიდა. მას მიჰყვა მეორეც.

ქალი კრაჩით დიდხანს იღვა და სიბნელეში იტკირებოდა. ^{ქო-} მარადფერს ხედავდა. მერე უკმაყოფილო ბუზუნით შევიდა ოთახში და კარი მტკიცე ურდულით ჩაკეტა.

— ჯერ არ მოსულა...

— დავუცადოთ...

წაილაპარაკეს მათ და კარის მახლობლად ჩამოსხდნენ. ელოდებოდნენ. ლოდინი მათ გულს უღრღნიდა, ნერვებს უშლიდა. მაგრამ მაინც სდუმდნენ. ხმას არ იღებდნენ. ბრაზობდნენ, რომ შინ არ დაუხვდათ.

მძიმედ გადიოდა წუთები. ზღაზვნით მიდიოდა დრო. უტრუფვებოდათ იძელი. იქნებ ამალამ არც კი დაბრუნდეს. ჩაეშლებათ გადაწყვეტილება. მაგრამ მაინც სხედან. მაინც ელიან.

შორს რაღაც ხმაური გაისმა. თითქოს ლაპარაკობდნენ კიდეც. ხმა თანდათან მოახლოვდა. გარკვევით ისმის სიტყვები:

— მგონი ეს არის ჩემი ეზო.

— არ შეგეშალოს, კარგა დააკვირდი.

— კი, ეს არის, აი კარებზე ვატყობ.

— მე დავბრუნდები.

— დაბრუნდი. მაშ ასე, პუსეინ, სოფელში რამდენიმე დღეს ნულარ გამოხვალ. ხალხი აღელვებულია. უკეთესია ქობულეთს წახვიდე.

— ქობულეთს წაველ, ხოშნეთ, როგორ დამემართა? ავღელდი. ხომ იცი, სულეიმანი კომუნისტია. შეტი მოეთხოვება.

— ფერიდე ხომ არ არის კომუნისტი? აი კიდეც სად სცდები, ქმარმა უნდა უბრძანოს?... არ შეიძლება. ფერიდე გაჰტყვევია სულეიმანს.

— მისი მამა დიდი მესაკუთრეა. მანდარინის ბაღები აქვს. გზა ჰქონდა წასასვლელი. ან აქამდე როგორ ცხოვრობდნენ ერთად... მაგათ საერთო არაფერი აქვთ.

— ეგ სხვა საკითხია. მე გირჩევ, სამაზრო კომიტეტში მიდი. ყველაფერი განუცხადე. ვშიშობ, ცუდად წაგივა საქმე.

— ერთის დაკვრით მოვსპობდი, გადავასახლებდი. მთელი სოფელი კოლექტივი უნდა იყოს.

— კარგი, კარგი, მე მივდივარ.

— მშვიდობით.

აჰ გაიარა ერთმა მძიმე წუთმა.

— ხოშნეთ!... — მოესმა ხოშნეთს პუსეინის ხმას მიმსგავსებული ძაბილი.

— რა გინდა?... ველარ მოვიცილე? — გამოეპასუხა ხოშნეთი.

დინჯად, უსიტყვოდ მიუახლოვდა ერთი.

მეორე როგორღაც ეზოს კართან გაჩნდა. უცბად მძლავრი უხეში ხელები მკლავებს შემოეხვია და...

— პუსეინ... რას შერები? მხეცო!... — წამოიძახა ხოშნეთმა.

იმავე წუთს მეორე წყვილი ისეთივე მძლავრი და ტრანტირ ხელები ტუჩებზე შემოეწება და ხმა ჩაუწყდა.

თოკით მკლავები სხეულზე მიუკრეს. პირში ხელსაწყო მსაჯულს. ოციოდე ნაბიჯი რომ წაათრიეს, ცხენი დაუხედათ. ხელსაწყო დასდეს და სოფლის გარეთ გაეშურნენ. ვიდრე ტყეში შევიდოდნენ, ხოშნეთმა მთელი ხნის განმავლობაში ერთი ხელი შეიმსუბუქა, პირთან მიიტანა, ხლსახოცი გამოიძრო, რომელიც სულს უხუთავდა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იკივლა.

მივარდნენ ორივენი (და ისევ დაუგუბეს პირი. შეშინდნენ კიდევც, ამ ხმაზე არაფერ არ დასდევნებოდა. არ მიეგნოთ მათთვის და არ დაეჭირათ.

ეს ის წუთი იყო, როდესაც მთავარემ შავი ღრუბლები გაარღვია და გარემოს სინათლე მოჰფინა.

— ბოზო! ნამუსახდილო! ალლაჰის დაწყევლილო!

— ყვავებს დავაკორტინებთ მაგ ენასა და თვალებს.

— ჩვენი ცოლების ნამუსის ახდას ვინც გაბედავს, ყველას ეს დღე მოელის. ჩასახოდნენ ხოშნეთს და თანაც მუშტებს ურტყამდნენ. უღურვებდნენ სხეულს. ხოშნეთი თანდათან გრძნობას ჰკარგავდა.

სოფლის გარეთ გავიდნენ. აქ ცხენი შეაჩერეს და ხოშნეთი ტომარასავით გადმოაგდეს ძირს. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. უნდოდნენ მოეკლათ, მაგრამ ჩამოეხრჩოთ თუ ქვებით ჩაექოლათ, ვერ გადაეწყვიტათ.

— სოფელმა ნახოს, რომ უნამუსოებს ჩაქოლვა მოელის — სთქვა ერთმა და ანიშნა, ხისკენ მიეთრიათ. უღონო ქალი მუხლებზე შეაყენეს და ხეს მიაბეს.

ცხენი აფრუტუნდა. დაიხეიხეინა. დასვენებულად იგრძნო თავი და ღამის ნამით დასველებულ ბალახს დაუწყო ჭამა.

— მემედ ალი, აქეთ წამოდი... აქეთ ხალხია... — მოულოდნელად გასროლილ ტყვიასავით გაარღვია ამ ხმამ შუალამის სიჩუმე.

— მოვდივარ... — გამოეხმაურა მემედ ალი.

ხელში მომარჯვებული ქვები ხელიდან გაუვარდათ. ერთი ცხენს მოახტა, მეორე პირდაპირ ტყისკენ გაიქცა.

რამიზმა შენიშნა გაქცეულები. ხმამალა შეჰყვირა. მაგრამ მათ რა გააჩერებდათ! დამფრთხალ ნადირებივით მირბოდნენ... ბოლმა და ჯავრი ჰკლავდა, რომ დაწყებული საქმე ვერ მოათავეს.

ამოიბრინა მემედ ალიმაც. იჭაურობას თვალეირება დაუწყო.

— მემედ ალი, რალას დგებარ, დედევენოთ. აი ასე წავიდნენ...

— არა, რამიზ, ტყეში შეყოლა არ ივარგებს. აგერ იმას ხედავ? — და ხელი ხისკენ გაიშვირა. — რალაც მოსჩანს. მგონი ადამიანია.

ხესთან მიიბრინეს. ასანთი აანთეს. ხეზე მიკრული ხოშნეთი ნახეს. უგრძნობელ ხოშნეთს თავი ჩაეჭინდრა.

რამიზს, როგორც მეთევზეს, ჯიბეში დანა ყოველთვის მართა და ახლაც სწრაფად გაუსვა თოკებს და წუთის განმავლობაში სოწნითი გაათავისუფლეს. ფერდობზე მიაწვინეს და მოასულიერეს.

ვიდრე ხოშნეთი მოსულიერდებოდა, რამიზი მოუხვედრებოდა ის ეუბნებოდა მემედ ალის, რომ მარტო მაინც დასდევებოდა. ბოროტ-მომქმედთ, მაგრამ მემედ ალი ნებას არ აძლევდა.

— აღმოვაჩინეთ. ხოშნეთი რომელიმეს იცნობდა, — ეუბნებოდა მემედ ალი.

ხოშნეთი მოსულიერდა. მას გაუკვირდა კიდევ, რომ მის გვერდით მემედ ალი და რამიზი იყვნენ.

— საიდან გაჩნდით? ან თქვენ ერთად რამ შეგვარა? — ეკითხებოდა ჩურჩულით ხოშნეთი და მისდამი ასეთი მეგობრობის გამოჩენის გამო სიხარულით იცნებოდა.

— ეს მერე იყოს. როგორ ხარ?.. სიარული შეგიძლია?..

ხოშნეთი წამოდგა. სხეული დაჩქევილი ჰქონდა. ძლივს ადგამდა ნაბიჯებს, მაგრამ მაინც მიდიოდა.

— ვერ იცანი ვინ იყვნენ?..

— ყაბალახები ჰქონდათ ახვეული, სახე არ უჩნდათ. მათი ხმა ახლაც კარგად მახსოვს. მე შემიძლია ხმით ვიცნო. — და ხოშნეთმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

რამიზი ბრაზობდა ასეთი ძალადობის მოხდენის გამო და ამავე დროს სცხვენოდა კიდევ, რომ ამ ღამით ისევე, როგორც ის ორი უცნობი, მკვლევლობის ჩადენის მიზნით თვითონაც მივიდა მემედ ალისთან.

ლურჯად თენდებოდა. ცას მთვარე შაქარყინულივით დაადნა.

მიდიოდენ სამივენი ერთად და თითოეულ მათგანს საკუთარი ბოღმა უღრღნიდა გულს.

— მემედ ალი... — წამოიწყო რამიზმა. — პირდაპირ უნდა გითხრა. მე შენს მოსაკვლელად მოვედი.

— შავას დაძახებისთანავე მიეხვდი, მაგრამ ისეთი მითრთოლვარე ხმა ჰქონდა, რომ დავრწმუნდი, შენ ტყვიას ვერ მესვროდი.

— ეგ არ ვიცი, ჩემ ხმას არ ვუსმენდი. მარტო ის კი არ იყო მიზეზი, რაზეც გესაყვედურებოდი. მე შენი სისხლი მქონია ასაღები. მამაშენს ოსმანი მოუკლავს.

— მე და შენ რა დავაშავეთ?..

— მე და შენ არაფერი, მაგრამ.. სისხლის აღება ხომ დანაშაულს აკობს?

— მე არ მომწონს მამაჩემის ნაბიჯი. თუ შენ ადათის შესრულება გინდა, მომკალი. მე წინააღმდეგობას არ ვაგიწევ. მაგრამ ადათი ხომ დღეს სისულელედ არის გადაქცეული? მე ვებრძვი ამ ბნელ ადათებს და ჩვეულებებს, მე მინდა ეს მთლიანად აღმოიფხვრას. იმიტომ კი არა. რომ მეც სასიკვდილო ვყოფილვარ, არამედ იმიტომ, რომ დღევანდელ სოფელში, როდესაც სულ სხვა ცხოვრება ეწყობა ვიდრე ათი და ასი წლის

წინათ იყო, ეგ ადათები აღარ შეგვეფერება. დამოჯერე, რამიზ, სიციხე-ლია მაგაზე ლაპარაკი ისეთი ადამიანისათვის, როგორც შენ ხარ. არ ჩვენ რესპუბლიკისთვის ვიბრძვით, თავს ვწირავთ. შრომა გვენდობა. მშრომელი გვინდა გავებატონოთ. ხომ შენი თვალით ტყვეობაა კი ხარ, მეც, ხოშნეთსაც, ბევრ სხვა ამხანაგსაც სიკვდილი მოგველის. რისთვის? განა იმიტომ, რომ სიკვდილი გვიხარია?.. ტავიძე და ანანიძე რომ გვებრძვიან, განა მხოლოდ იმიტომ, რომ ჭალებმა ჩადრი არ მოიხადონ, რომ შენ სისხლის აღების ადათი არ დაგავიწყდეს? არა, რამიზ, აქ სხვა ბრძოლაა, სულ სხვა ბრძოლა. ისინი თავის ქონებისთვის იბრძვიან, ისინი ბატონობისთვის იბრძვიან. მშრომელს გონებას თუ ვადაუხსნიოთ, ეს მათთვის საზარალოა. ისინი შეუღებლობით სარგებლობენ. შენ როგორ გგონია, ხოშნეთის წვალებაში ტავიძის ან ანანიძის ხელი არ ურევია?.. შენ მეუბნებოდი, დავედევნოთო. რა დადევნება მინდა, განა არ ვიცი, რომ ისინი იქნებოდნენ! კოლექტივს კულაკები ებრძვის. სხვა ვინ?..

რამიზი გულმოდგინედ უსმენდა. თავჩალუნული მიპყვებოდა გვერდზე და თან ასამართლებდა ახმედს, ხოჯას, მემედს, რომელნიც მთელი თვეების განმავლობაში ასე დაეინებით მოითხოვდნენ მისგან სისხლის აღებას.

— ჯაერის გულში ჩატოვება ხომ არ იცი, მემედ ალი?.. მე არ მინდა ეს ლამე გახსოვდეს.

— არა, რამიზ, ჩემ სიციხლეში ერთ სასიამოვნო მოსაგონარად ეს ლამე მექნება. მთელი ლამე გამარჯვების გზით დავდივარ. განა სასიხარულო არ არის?.. მე შენში ამხანაგი ვიპოვე. შენში დღევანდელი ადამიანის გრძნობა და აზრი წარმოვშვი. უნდა ჩავკლა იქვი ახალი სოფლის ცხოვრებისადმი, რომელიც მხოლოდ შენში კი არ ბუღობს, შენისთანა ათასებში, მრავალში.

— მე ყველაფერი კარგად არ მესმის, მემედ, თუმცა შენ ისე ლაპარაკობ, რომ მჯერა, მართალს უნდა ამბობდე. მე რომ ყველაფერი ვიცი, კარგი მეგობრები ვიქნებოდით. მაგრამ სულ სხვა რამეს ვფიქრობ ხოლმე. ყოველთვის კი არა, ხანდახან. თუმცა, იცი, ყოველთვისაც. სასახლოდ მიმჩნია მამის სისხლის აღება. სოფელი იტყვის: რამიზმა ყან-ალმალი შეასრულაო. სოფელი პატივით დაგიწყებს ცქერას. მართალს არ ვამბობ?..

— სასახლო ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს სოფელში. ოღონდ სარგებლობას თუ მოიტანს. აბა რა ფასი აქვს ათასჯერ სისხლი აიღო, ვის რას შეჰმატებს, სად რა დარჩება?.. ერთი კარგი ახორი რომ ავაშენოთ, ის არ აჯობებს? ან ისპანის ჭაობი ამოვაშროთ, მეტი ხეივი არ ექნება სოფელს? არც ხარ-კამეჩი დაეღუპება გლეხს, არც ციებით გახდება ავად. სათესიც მოემატება. ეს უფრო ძნელია გასაკეთებლად, მაშასადამე, უფრო სასახლოც ეს იქნება.

რამიზს პასუხი აღარ გაუცია. მოდიოდა თავდახრილი და ფიქრობდა, მსჯელობდა, ასამართლებდა თავის თავს, მემედ ალის, ყველას, ვისგანაც კი ოდესმე რამე გაუგონია. რაღაც უცნაური და მისთვის უჩვეულო აზრები ებადებოდა გონებაში.

- საით წავიდეთ, ხოშნეთ? კოლექტივში არ გავიაროთ?...
- გავიაროთ, მივხედოთ, სამუშაოდ გამოვიდნენ თუ არა...
- სიარული შეგიძლია? მთლათ დამავეიწყდა, ხოშნეთ, ჩემთან ერთად მოდიხარ. რატომ იყავი გაჩუმებული? როგორაქცევიყვიყვიყვი
- უკეთესათ. ახლა სიარულიცა და მუშაობაც შემიძლია.
- მაშ ხნულებისკენ წავიდეთ. გადავხედოთ ნათესებს. ჩაის ფოთო-ლი ამოსულაო. უკვე წვანედ დასტყობია ხნულებს. შენც წამოდი, რამიზ ნახე კოლექტიველები როგორ ერთსულოვნად მუშაობენ. დღეს თონხაზე გამოვიდოდნენ. ხომ იცი, სოფელში ჩაი არავის დაუთესია. ჩვენ, პირველ-ნი ვართ.
- წამოვალ.

სოფელს მიუახლოვდნენ. აქედან უკვე გამოჩნდა ოცდაათ ჰექტარიანი ფართობი, ერთი მთლიანი ღობის შიგნით გადაჭიმული. სამივენი ამ ფართობისაკენ გაემართნენ...

მ ე ს ა მ ე ა მ მ ა მ ი

ახმედი თავის ეზო-კარში ნადირივით დაფეთებული შემოვარდა. მისი ცხენი მეტისმეტად დაიფლიანებულიყო. ლაჯებს შორის თეთრ-მოყვითალო ქაფი ჩაჰკეროდა. ნესტოები გაჰფართოებოდა და სუნთქვის მაგიერ ზენწოდა. ცხენიდან ვადმობტა. ყაბლახი შგმოიხსნა და ცხენს უნაგირის მოსართავეები გაუხალვათა. უნაგირიანათ ასორში შეაგდო. თვითონ გარეთ გამოვიდა და გაჰხედა იმ გზას, რომლითაც მორბოდა. კარგა ხანს უტკე-როდა, ვაეკაჟის გული უძგეროდა მუშტის დარტყმის ოდენა სიძლიერით.

შხის პირველი მკრთალი შუქი, საღდაც მთებს იქით დაბადებული, ცას ეკვროდა და ლურჯმონაცრისფროდ დგებოდა დილა.

— ოოოჰ. — მკერდზე მუშტი დაიკრა. — აილაი... — ორთავე ხელი ცისაკენ ამართა. — ბილაი... — მუშტს ჰაერში იქნევდა და კბილებს აკრაჭუნებდა. — რამიზი, ხედავ, რამიზი და მემედ ალი ერთად! ხოჯა, ჰკვიანი კაცი იყავი შენ, ოცდაათი წელიწადია ეფენდის გეძახით, როგორ მოტყუილებულხარ... — ლაპარაკობდა ახმედი ხმამაღლა.

ახმედს ისეთი ბრაზი უგორავდა გულში, რომ სუსტი ნებისყოფის კაცს ეს ბრაზი დაახრჩობდა კიდევ. მაგრამ მას, პირიქით, ძალას ჰმატებდა. ის აქ თავისუფლად გრძნობდა თავს და ხმამაღლა იმუქრებოდა. მიიზბინა კოლექტივის ღობესთან, შესტკეპროდა დიდხანს, მერე ბოსელში შევარდა და რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც ბოსელში ხარ-კამეჩი ჰყავდა, გარეთ გა-შორეკა. ხელში უზარმაზარი სახრე ეჭირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ურტყამდა. მიერეკებოდა ღობისაკენ. ღობე საკმაოდ მაღალი იყო. ხარ-კამეჩს არ შეეძლო მასზე გადასვლა და აქეთ-იქით მიიწევდნენ, მაგრამ ახმედი არ ეშვებოდა. არტყამდა სახრეს, სცემდა და ღობის იქით ერეკე-ბოდა საჭონელს. ისინიც ვიი-ვაგლახით ვადადიოდნენ, შირბოდნენ ღობისა-გან შორს, რათა სახრე აეცდინათ. ახმედს არ ეცოდებოდა საჭონელი, რომელსაც ყოველთვის თვალის ჩინივით უვლიდა. მთელი ღამის განმავლო-

ბაში დაგროვილი ბრაზი და ბოლმა იმით გადმოანთხია, რომ კოლექტივის ნათეს მიწებზე საქონელი შეეშვა. ხარ-კამეჩმა კი ამ ფაიოთე მოყვანზე თავისუფლად გაინავარდა. ახლად ამოსულ ჩაის კლორტეტიკულ ფლოლებს კაშა დაუწლო. ისინი სტეკპნიდენ ნათესებს და ავერანგებულს ყოფილს შევლების ნაშრომს.

ახმედმა შუბლიდან ყაბალახის წვერით ოფლი მოიწმინდა. წვერზე რამდენჯერმე ხელი ჩამოისევა. ამოისუნთქა, რაც ღრმა ოხერას უფრო ჰგავდა, და გაშტერდა. სახეზე მთელი ღამის უძილობა დაეტყო. ნაოქიანი სახე თითქოს უფრო დაუნაოქდა. მის ტვინში ერთად-ერთი სიტყვა ბრუნავდა. «გასთელეთ!.. გასთელეთ!..»

— ახმედ!.. — გაისმა მისი სახელი.

— ახმედ!.. კაცო... რას ვაშეშებულხარ? მთელი ღამე დავიტანჯე. გელოდებოდი.

გამოერკვა ახმედი. შეტრიალდა. კიბეზე დინჯად ავიდა. ცოლს გვერდზე გაუარა. ტანსაცმელიანად ტახტზე მიწვა. მკვდრის ძილით მიეძინა.

არ გასულა ნახევარი საათი. მემედ ალი ტაგაძის ეზოში შემოვარდა. მას შემოჰყვენენ რამიზი და ხოშნეთი.

— ეს რა ამბავია, მეზობელო, სადაური საბალახო ნახეთ ჩაით ნათესი ფართობი? — შიდახა მემედმა აივანზე წამოსკუპებულ ახმედის ცოლს.

— ეგ განა საბალახოები არ იყო რამდენიმე თვის წინათ?.. ჩვენ მუდამ მანდ ვაძოვებდით საქონელს.

— როგორ თუ საბალახოები!.. ახმედი სად არის? დაუძახეთ.

— ახმედს სძინავს.

— გააღვიძეთ.

ცოლი ოთახში შევიდა.

მცირე ხნის შემდეგ ახმედი თვალების ფშვენტით გამოვიდა.

— მუშაკაცი ცოტა უფრო ადრე იღვიძებს. კულაკები ხომ შრომის მოყვარულები ხართ, რა დროს ძილია?

— შენზე მეტი მიშრომიია, შენზე მეტი შემოძენია. რა გინდებიან?..

— ეს საქონელი თუ შენი არ არის, კოლექტივში დავიტოვებთ.

ახმედმა თითქოს არ იცოდაო. ისე გაავლო თვალი საქონელს. მერე ხოშნეთი დაინახა. მისმა ნახვამ მთლად დააბნია. ღამის გულს შემოჰყროდა. მუხლები მოუდუნდა. არასოდეს თავის სიცოცხლეში ასეთი დაძაბუნება არ უგვრძნია, როგორც დღეს. არ იცოდა, რა ეპასუხა.

— შენ, როგორც გეტყობა, მთელი ღამე არ გძინია. მუყაითები ხართ კულაკები. დღე და ღამ შრომობთ. წუხელის ეს ქალი ხომ არ გინახავს?..

— არა...

— ძალიან მოკლე პასუხები გცოდნია. ახლავე საქონელი გამოიყვანე. მთელი ღამე შრომობდი, ნურც ამას დაიზარებ.

ახმედი კიბისკენ წამოვიდა.

— ხოშნეთ, სცნობ?..

— ეს სულ სხვა ხმაა...



— აქ უფრო რბილი და წყნარია, არა?

— იმ ხმასთან შედარებით ძალიან ტკბილად მეჩვენება.

— მკვლეელი თან დაგყვებათ... — მისვლისთანავე დაგეგმეს სიკვლეო-
თქვა ახმედმა.

— შენი იარაღი ყველას ხელში არ ემარჯვება... არც ამის ხელში
გამოდგება..

რამიზი ჩუმად იდგა. ის მხოლოდ უსმენდა და კბილს უსინჯავდა
ახმედს.

— ჩემი იარაღი თოხი და კავია.

— შენზე ამბობენ, ახმედ, ლამლამობით სოფლად სიარული უყვარსო.
კარგი მონადირე ყოფილხარ.

ახმედი ფიქრობდა: „რალა პირდაპირ ჩემთან მოვიდნენ: ნუთუ რაიმე
ნიშნით გაიგეს წუხანდელი ამბავი? ვის რა საქმე აქვს, ღამე მეძინა თუ
არა...“ და უცბად რალაც აზრმა გაურბინა გონებაში.

— თქვენი დღითაც ნადირობთ. ჩენს ოჯახში ხელებს აფათურებთ,
ფეხქვეშ გაგთელავთ... — რალაც მეტისმეტად აენტო ახმედო და აყვირ-
და. — წადით აქედან. დაიკარგეთ, თორემ, ალლაი, შემომაკედებით... ჩემს
ეზო-კარში რა გინდათ?... აღარ მომასვენებთ?... წაიღეთ, ყველაფერი წაი-
ღეთ. ეგ საქონელიც თქვენნი გარეკილი იქნება... — ღრიალბდა ახმედი და
თანაც აქეთ-იქით იხედებოდა, ეძებდა რამეს რომ ხელში მოეგდო და
აბეზარ სტუმრებს გამკლავებოდა.

— ნამუსახილეები, ბოზები, დალაზერულეები, ფართი ნაყიდი კაცები
თავს მესხმიან... — წამოიყვირა და ბოსელთან მიგდებულ ნაჯახს ხელი
წაატანა.

ახმედი ყვიროდა. ბრაზს ანთებდა და თავდაცვის მაგიერ იერიშზე მი-
დიოდა, რადგან სწორედ ამ იერიშით უნდოდა თავის დაცვა.

ის ნაჯახს მოარბენინებდა.

ხოშნეთს ყურში შხამივით ჩაესმა:

— ნამუსახილეები! ბოზები!.. — მას გაახსენდა წუხანდელი ამბავი,
როდესაც ხელფეხშეკრულს ურტყამდნენ და ამავე სიტყვებით ლანძლავდნენ.
რამიზმა ვერ მოითმინა ამდენი შეურაცხყოფა, იძრო მაუზერი და თი-
თი ჩაზმახს დააჭირა.

— რა საქირია, რამიზ, იარაღი? შენ გგონია გამარტყამს? არა, რამიზ,
შავას თავისი თავი უფრო ძლიერ უყვარს და უფრო მეტად უფრთხლ-
დება, ვიდრე მე და შენ. დაუშვი ხელი. ისეთი სულელი არ არის ახმედი,
როგორც შენ გგონია, თავს არ დაილუპავს. — დინჯად, აუღლეებლივ
უთხრა მემედ ალიმ.

რამიზმა ხელი დაუშვა. იარაღი ბუდეში ჩასდო. ახმედი ათიოდე ნაბი-
ჯის მოშორებით ვაჩერდა, ნაჯახი ხელიდან გაავდო.

— აი, სწორედ ეს ხმა იყო. ასეთი ბრაზი და ღვარძლი მისმოდა მას-
შიც. — წამოსთქვა ზოშნეთმა.

— წავიდეთ... — სთქვა მემედ ალიმ. — ყველაფერი ნათელია...

საშვიენი ერთად გაემართენ.

— არაფერს არ შეგარჩენთ, არაფერს, სასიკვდილო მოკვდება... — ყვიროდა ახმედი და დიდხანს ვერ მშვიდდებოდა.



მეჩვიდმეტი თავი

— ასეთი ამბავი მოხდა სოფელში. ხედავ, ჰუსეინ, შენმა მოქმედებამ რა გამოიწვია?.. შენი უტაქტო საქციელით მტერსა და მოყვარეს აღიზიანებ, კულაკობას კი საშუალებას აძლევ გლეხობაზე გავლენა გააძლიეროს ასეთი შემთხვევების გამოყენებით. — დაემდურა მემედ ალი ჰუსეინს მას შემდეგ, როცა წინა-ღამის მომხდარი ამბავი უამბო.

ჰუსეინი ისე აენტო ამ ამბის გაგებაზე, რომ ბრაზისგან სიტყვა ვერ ამოიღო. კარგა ხანს ჩუმად იდგა და სულ იმას ფიქრობდა, თუ როგორ გადაეხადა ახმედისთვის ამ თავდასხმების სამაგიერო.

— შენ მე ტყვილა მემდურია. აქ კლასიური მტრის გამოძრომაა. ასე თუ ისე, ისინი თავდასხმას მაინც მოაწყობდენ. ჩარჩაპის მოგლეჯა რა საბაბია?! სულეიმანი ცოლთან იმიტომ ვერ რიგდება, რომ მისი ცოლი კულაკის ოჯახიდანაა. გაანებოს თავი, როგორ მომეთმინა, მთელი სოფელი ჩარჩაპს იხდის და პარტიული ამხანაგის ცოლი კი არაფრად ავლებს ჯამაათის გადაწყვეტილებას. იმ წუთში მეც ჩავფიქრდი, თითქოს გლახად გამევიდა მეთქი, მარა აწი სწორად ვთვლი ჩემს მოქმედებას.

მემედმა ბრაზიანად დააკრაჭუნა კბილები, ადგილიდან მოსწყდა და მაგიდას მუშტი დაარტყა.

— შენ მაინც შენსას გაიძახი? ამას სამაზრო კომიტეტში ვიტყვი. შენს შესახებ საკითხი დაისმება. იქ გადაწყდება, შეგნებული თუ შეუგნებელი მტრები ჩვენს რიგებში არ უნდა იყვნენ.

ჰუსეინიც გაჯავრდა. ის უფრო აენტო. ისიც წამოხტა ადგილიდან.

— კულაკებს გასაქანს არ მიეცემ. ქალი მოსაკლავად გაიტაცეს და ჩუმად შევხვდეთ?.. იერიშს იერიშით უნდა ვუბასუხოთ. დღესვე უნდა განვაკულაკოთ. მე კომუჯრედის სახელით, ვაცხადებ, კულაკობა უნდა ავლაგმოთ. შენ კი ელოდები რაღაც დროს. ამაზე უკეთესი დრო სად მოიძებნება?.. შენ ალბათ იმ დღეს ელოდები, როდესაც სოფელში ყველა კომუნისტს ამოგვწყვეტავენ. ისე ლაპარაკობ, თითქოს კულაკობას ეხმარებიო. ეს შენი დინჯი მოქმედება ბოლო დროს აღარ მომწონს. აღარ გეთანხმები.

მემედ ალის ეს უკანასკნელი სიტყვები იმდენად ეწყინა, რომ მოწოლილი გრძობებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. უსიტყვოდ შესცქეროდა და თვალები ნაპერწკლებით ევსებოდა. მერე შემოტრიალდა, კარებისკენ გაემართა და ოდნავ გასაგონი ხმით წაილაპარაკა:

— მაგით კოლექტივს დაანგრევ. წუხანდელი ამბავი სისხლის სამართლის დანაშაულია. მაგას ისინი გაარჩევენ. სოფლსაბჭოს და რაიონის დაუკითხავად არ შეიძლება კულაკების ალაგმვა, გახსოვდეს. — სთქვა მემედ ალიმ და გარეთ გავიდა. არ იცოდა, რითი დაეჯერებინა ჰუსეინი, რომ

მისი მოქმედება სწორი არ იყო. გადასწყვიტა ჭობულეთში წასულიყო. ყველა დაგროვილი საკითხი რაიონის კომიტეტში გადაეწყვიტა. ჭუსეინის შესახებაც განეცხადებინა, რომ დროზე ზომები მიეღონ და სოფელი მოსალოდნელ უსიამოვნებისგან გადაერჩინათ.

ამ გადაწყვეტილებით სახლში შევიდა. მოუჯდა მაგიდას. გადმოაღაგა ქალაღები, მასაღები დააგროვა, ჩამოსწერა და წასასვლელად მოემზადა. ჭუსეინს ბევრი არ უფიქრია. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ახმედ ტაგიძის განკუღარება. მას განსაკუთრებით ის მდგომარეობა აღელვებდა და აწუხებდა, რომ მისი სახლკარი ზედ კოლექტივის მიწაზე იყო ნიკრული.

„ნათესებს გვიფუქებს. კოლმეურნეს ნაშრომს უკარგავს. ჩვენს ამხანავს ჩაქვავებს უპირებენ. ვინ იცის, კიდევ რას გვიმზადებენ. მისი სოფელში გაჩერება არ შეიძლება“. — ფიქრობდა ჭუსეინი და შუაგულ სოფლისკენ მიდიოდა. მერე ერთი შენობის წინ შეჩერდა და ხმაძალა დაიძახა:

— მურად!..

ოთახიდან მურადი გამოვიდა. ვრც კი მოასწრო პასუხი გაეცა, რომ ჭუსეინმა მისი დანახვისთანავე გასძახა:

— თოფი ზურგზე შეიდე და წამომყევი.

— ჭუსეინ, თოფი სადა მაქვს?!

— რა კომკავშირელი ხარ, რომ თოფიც არა მაქვს! აბა რითი ებრძვი კულაკებს?..

მურადი ასეთი მოულოდნელობით განცვიფრებული მიუახლოვდა ჭუსეინს.

— ცოდნით უნდა ებრძოლოთ. პოლიტჭრეში ასე გვასწავლეს.

— კულაკები თავს გვესხმიან. მაგ ნასწავლობა რაღა ვინდებიან გამეიყენო. გუშლამ ხოშნეთი მუუკლავთ. შენ აგი გაიგე?..

— არა!..

— არ გამოსდგომია ნასწავლობა. მაგარი მუშტია საჭირო. ჩაიციე და წამომყევი.

მურადი ელვის სისწრაფით შევარდა ოთახში. მხრებზე ყაბალახი გადაიდო, ღვედი შემოიჭირა და გარეთ გამოვარდა. ჭუსეინს ეზოს კართან დაეწია.

— შინ ერთი თოფი მაქვს, იმას მოვცემ. გადაუღებელ საქმეზე უნდა წვედიდეთ. ხომ არ გეშინია?..

— რაღა გეშინია, მარა რა საქმეა?..

— გეტყვი ყოლიფერს. კილო ვინ წვეიყვანოთ კაი კომკავშირელი?..

— უსუფა გრძელიძე. აი, აქავეა.

— წვეიდეთ მასთან.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი უსუფას ელაპარაკებოდნენ.

— სანადირო თოფი მაქვს, ამხანაგო ჭუსეინ, იგი შეიძლება?..

— სიდოური მწყრები ნახე კულაკები? ლივერი არა მაქვს?..

— ხუთი ნომერი ბრაუნინგი.

— აფერია, წამელიე.

სამივენი ერთად წავიდენ.

ჰუსეინი ფიქრობდა, ვიდრე მემედ ალი ჭობულეთიდან დაბრუნდებოდა, განზრახვად დაკვრითი წესით შეესრულებინა, თორემ თუ ის ჩამოუსწრებდა, საქმეში ჩაერეოდა და მაშინ ველარც გაატარებდა ტაგიძის განკულაკებას.

მურადი და უსუფა თავის სახლში მიიყვანა.

ჰუსეინმა წალოდან თოფი გადმოიღო. მაჯებით მტკერი გადასწმინდა. საკეტი გამოსწია, ვალო და ისევ დაკეტა. საკეტს ენგი მოსდებოდა. მერე თაროდან ვაზნები გადმოიღო და დიდხანს ათვალიერა.

ვაზნები დანესტილიყო. მომწვანო ხავსი გადაჰკროდა.

— აგი არ გაეარდება, ჰუსეინ, თლათ დაეანგულა. — შენიშნა მურადმა.

ჰუსეინმა პასუხი არ გასცა. ის ამ ვაზნებიდან არჩედა უფრო მშრალსა და სამიედოს, მაგრამ ყველა ერთნაირად დანესტილიყო.

— კაი ხანია აღარ მიხმარია. რაი მენშევიკების დროს აჯანყება გათავდა, მას შემდეგ ხელი არ მომიკიდია. აგი მაშინ დიდათ დამეხმარა. ძანნი თოფი იყო. ნიშანში რომ ამევიღებდი, უთუოდ მოხედებოდა. აჰა, იგი შენ დეიჭი. გასროლა არ დაგჭირდება. აფერია, გადიგდე მხარზე. — და ჰუსეინმა თოფი და ვაზნები ხელში მიაჩეჩა.

— აღარ ვარგა, ჰუსეინ, აგი თოფი, დაგვალალატებს, თლათ დაეანგებულა. დათვებზე მიინც გენადირა. რაიზა აფუტეზი ასთე?

— ვინ მიშობდა თოფის ხმარებას? სიტყვით უნდა გარდაეკმნათო. ავზარდოთო. რაფერ შეიძლება მტრების გარდაქმნა? ან აზრდა? მტრებს ან თოფი უნდა დაადო გულზე. ან ლიფერი. მაშინ შეიკაცება ზრუგში. ვერც რამეს გაბედავს. ასთეა, კომკავშირლებო, მე აგი ყოლიფერი განმიცდია. აჯანყებებში ცყოფილვარ. ტყვით გადაგვიწყვეტია ყოლიფერი.

მურადი და უსუფა საიმოვნებით უსმენდენ ჰუსეინს. მათ წარმოიდგინეს აჯანყებულთა ძლევამოსილი შეტევაც, მშრომელთა მყვლეფელების წინააღმდეგ, წარმოიდგინეს ეს შებრძოლება და ამ ბრძოლაში სროლა, ყიფინა, გმინვა. ისინი ჰუსეინს, როგორც ძველ ბოლშევიკს, შეპნატროდენ კიდევ მის წარსულ გმირობას.

— აჰა, ჰეიდელ!.. — შესძახა ჰუსეინმა და ოთახიდან გარეთ გავიდა კომკავშირელებიც გამოჰყვენ.

ჰუსეინმა კარი გამოკეტა და ორლობისკენ წავიდა. შუაგულ სოფელს გვერდი აუხვია.

მურადი გზაში სულ თოფზე ფიქრობდა. ნანობდა მის დაეანგულობას. უსუფა კი თავის პატარა ბრაუნინგს ჯიბეში ჩაყოფილ ხელში ათამაშებდა.

კოლექტივის მიწაზე შევიდენ. გაემართენ ახმედ ტაგიძის სახლისაკენ. გზაში კომკავშირელებს უჩვენებდა ალაგ-ალაგ დატყეპნილ ნათესებს და ვუბნებოდა:

— გუშინ დილით ტაგიძეს საქონელი შეუშვია და გუუღბრებია ჩვენი ნათესები. შვალამეზე კი ხოშნეთ დუმბაძე სოფელს გარეთ გატაცდა, ჭვით ჩაქოლვა მუღუნდომებიანთ. რაცხაფრათ მემედ ალის მუღუნდომებთან ვერა მოუხერხებიათ. გაქცეულან. ხოშნეთი ამბობს, მათში ტყვედგენენ. ჩვენ ახლა ახმედი უნდა განვაკულაკოთ. სოფლიდან უნდა გავაძევოთ. ანანიძეც რო განაკულადეს ჭეა საჭირო, მარა პარტიე არ თანხმდება. ასთე უცფათ არ ივარგებსო. ჯერ მას აშკარათ აფერი არ დუღუშავებია. ახმედია, ძალუანი რო გვებრძვის.

კომკავშირელები უსმენდენ და ფიქრობდენ, თუ რა არის განკულაკება. ოლონდ არ ეკითხებოდენ, რადგან სულ მოკლე ხანში საკუთარი თვალით ნახავდენ ყველაფერს. ცოტა არ იყოს ეჭვიც ეპარებოდათ ჭუსეინის განზრახვის კაი საქმიანობაში, მაგრამ მაინც მიჰყვებოდენ.

სამივენი ღობეზე გადახტენ. აივანზე ისე სწრაფად ავიდენ, რომ ვერც ახმედმა და ვერც მისმა ცოლმა გარეთ გამოსვლა ვერ მოახერხეს. ოთახში შევიდენ. ახმედი ყავას სვამდა.

ჭუსეინის შესვლისთანავე ფინჯანი დასდო და ზეზე წამოხტა. ერთ წუთს განცვიფრებული უტკბროდა, მეორე წუთში ნაძალადევად გაიღმა და ორთავე ხელი წინ წამართა.

— სალამი თქვენს მოსვლას, დაბრძანდით.

მაგრამ ჭუსეინი უკვე იჯდა.

— ამ წამში თქვენთან არავინ არის?..

— ვალლაჰი, არავინ.

— კაი, მჯერა. ახლა შენი ცოლი დაარიგე, ჭკუით შეიჭკეს. იქითურა ოთახში გევიდეს, ვიდრე არ დუღუძახებდეთ.

ახმედმა აღარ დააყოენა. მაშინვე სთხოვა ცოლს მეორე ოთახში გასულიყო.

— მურად, გაჰყევი.

მურადი გაჰყვა.

— ახმედ, რამდონი ლივერი გაქვენ?..

— იარალი სადა მაქვს!

— თუ თვითონ გამოაჩენ, ყოლიფერს გაპატიებ.

— არა მაქვენ, ვალლაჰი, თალლაჰი, ბილლაჰი!.. — და ახმედმა თვალელები ჭერს მიამტერა.

— შე მაი ვალლაჰის აფერი მჯერა. ხოშნეთი თქვენ გეიტაცეთ?

— რაფა გეკადრებათ!

— მაგას, სულ ერთია; გათქმევენებენ.

— ხოშნეთი ერთხელზე მეტათ არ მინახია, სოფელში, იგიც ჯამაათში. ჭუსეინი ზეზე წამოდგა და ჯიბიდან ნაგანი ამოიღო.

— სთქვი, ახმედ, ხოშნეთს ჩაქვავებას თქვენ უპირებდით?..

— არა, ჭუსეინ, ალლაჰია ყოვლის მოწმე, მე მაგეთი კაცი არა ვარ. ჭუსეინი მიუახლოვდა. რევოლვერის ტუჩი გულთან მიუტანა.

— მოწმე არ გივარგა, ახმედ, გამოტყდი...

— არა, ჰუსეინ!..

— ახმედ, ორმოცი წელიწადი ყაჩაღობ. გლეხებს ავიწროვეს. ფეხბარა-
ხალხს ლუკმას ართმევ და შენს ცხოვრებას იშენებ. *დასწრებასა მტერა-
სა მისაჲსა მისაჲსა*

ახმედს ეგონა მოკვლას უპირებდა. აცხცახდა. სახე უცნაურად დაე-
კრუნხა. ტუჩებმა ტანჯული გამომეტყველება მიიღო და დაუბატარავედა.
მოწყვეტილად დაშვებულ მკლავებზე თითები დაეკაკვა, და ეს კაცი სი-
ამაყეს და ბატონობას მიჩვეული, უცბად დაბატარავედა, დაკნინდა. ის
ატირდებოდა კიდეც, ოღონდ მის გულში ტყვიას არ გაველო. ოღონდ
ფეხქვეშ ნიადაგი ეგრძნო და თვალებში სინათლე არ ჩაჰქრობოდა.

მაგრამ ჰუსეინმა იარაღი სწორედ ამ დროს დაუშვა ძირს.

ახმედი თითქოს განათავისუფლდაო. თითქოს შვერიდან მძიმე ლოდი
გადიგდოო. მის ღრმა ამოსუნთქვას ოხვრა ამოჰყვა და ამ ოხვრას კი თით-
ქოს მთელი მისი ადამიანობის სიღრმე ამოაყოლაო. საკუთარმა მწარე
ოხვრამ ახმედს თავის თავი იმდენად შეაცოცხლა და შეაბრალა, რომ მწვავე
გრძნობების ბოღმა მოაწვა ყელში და რაღაც ველური და არა ადამიანური
ხმით წამოიღრიალა:

— რა გინდებიან?... რეიზა მიშრობთ სისხლს?... თუ მკლავთ, მომკა-
ლით. დალიეთ!.. დალიეთ... დალიეთ!.. — და თითქოს ველარ გაბედა დაე-
მატა „სისხლიო“.

ის ამ ღრიალთან ერთად თავისი დიდი სხეულით მიიწვედა წინ —
ჰუსეინზე. ჰუსეინი მასთან შედარებით იმდენად უმნიშვნელო ტანის ჩან-
და, რომ გვერდებოდათ, ეს დიდი სხეული მას წალეკვას უპირებდა...

უსუფა ჩუმად იდგა კართან და ახმედს ისეთი თვალებით შესცქერო-
და, როგორითაც უცქეროდნენ სცენაზე რაიმე საინტერესო და ამალეღვე-
ბელ მოქმედებას. ის ჯერ ვერ მიმხვდარაიყო, რა უნდოდა ჰუსეინს მისგან,
ან რას უპირებდა მას.

ჰუსეინს ხელი აუძაგძაგდა. რევოლვერზე დაკრული თითები ისე მძლავ-
რად შემოეჭოდო ტარს, რომ ხელის ყოველი ძარღვი აუთამაშდა. მას უნდო-
და ამ ისტერიულ ბლავილზე იარაღის ტუჩის დარტყმით ეპასუხნა. მაგ-
რამ თავი შეიკავა, ოღონდ იარაღის ტუჩი მოვარდნილ ახმედს ცივად და
მღუმარედ შეაგება, ისე რომ შეაჩერა მისი წინსვლა და ბლავილიც.

— მაშ, ვაეათავოთ, ახმედ. შენ ამ სოფლიდან უნდა წახვიდე. სოფე-
ლი უნდა დასტოვო.

— სახლკარი?!

— დარჩება. კოლექტივი გამოიყენებს. შენ და შენი ცოლი უვნებლები
წახვალთ. დროს ნულარ დაკარგავ. შენ გყავს ცხრა უღელი ხარი. ცხრი-
დან სამი უღელი აირჩიე. ურმები ბარჩიე. სამ უღელზე რაც დაგებავ
წვილე.

— მე აქიდან არსად არ წავალ. მე თვითონ ავაშენე ეს კედლები. ათი
წელიწადი ვაშენებდი ამ სახლს. არსად არ წავალ!.. არსად არ წავალ!.. —
გაჰკიოდა ახმედი.

ვიდრე ჰუსეინი წასვლაზე ელაპარაკებოდა, ახმედს თავს რეტი ესმოდა. მას უკვირდა კიდევ ის, რასაც ჰუსეინი ეუბნებოდა. წარმოუდგენლად შიანდა სახლყარის მიტოვება. ნაამაგდარის დაკარგვა. იმ წესსავე წასვლა, სადაც მამაპაპითგან იყო დამკვიდრებული.

— ასეთ სჯობია, ასეთ. შორს რო იქნები, ერთმანეთს აღარ შევეჯახებით. აღარც შენი საქონელი გადმოსთელავს ჩვენს ნათესებს. ჩვენს ამხანაგებსაც სიკვდილის საფრთხე და მოლოდინი აღარ ექნებათ.

მერე ჰუსეინმა მურადს დაუძახა. მან მაშინვე თავი შემოპყო.

— გამეიყვანე აქანე. გამეიყვანე. საქმე მოთავებულა. ახმედი თანახმაა. — შიამახა ჰუსეინმა.

მარადდ შემოვიარდა ახმედის ჩარგვალბული დედაკაცი. მან შემოსვლისთანავე ქმარს დაუწყო ძებნა. მისი ქმარი მიყრდნობილი იყო კედელზე და მოლუშულ შუბლით და თვალებით გამოიციკირებოდა.

ჰუსეინმა ჯერ მისთვის უჩვეულო სიმშვიდით და სიტკბოთი აუხსნა ახმედის ცოლს მათი სოფლიდან წასვლის აუცილებლობა, მერე კი მწყრალი ხმით მოსთხოვა, სასწრაფოდ გადმოეღაგებინა რის დატოვებაც ენანებოდა და წასაღებად გაემზადებინა.

ის ქმრისაგან ელოდა დასტურს, მაგრამ ახმედი იდგა კლდესავით გაჭვავებული, მას ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს შიანდა ამ კლდესხეულში როგორ სჩქედდა ბრაზისა და ღვარძლის ნაკადული.

ახმედის დუმილი ცოლს თანხმობა ეგონა. ნიეთების გადმოლაგებას შეუდგა. სკიერებიდან ამოალაგა რაც საუკეთესო ქსოვილები ჰქონდა. ალაგებდა რაც შეიძლება დინჯად, გულმოდგინედ, ჰკეცავდა და ბოლჩებად ჰკრავდა.

ჰუსეინი კი აჩქარებდა. მან უსუფა ბოსელში გაგზავნა, რომ ხარები გამოეყვანა და ურმები გაემზადებინა.

ბოსელში მხოლოდ შვიდი ხარი იყო.

უსუფამ ყველაზე კარგი ხარი აშოარჩია, ცალკე გაიყვანა და დანარჩენი სამი უღელი გარეთ გაიყვანა. თუ დარჩენა იყო, კოლექტივს ეს ერთი კარგი ხარი მაინც დარჩენოდა. მაგრამ ერთი კი უკვირდა უსუფას, სად იყო დანარჩენი ექვსი უღელი ხარი. ალბათ ახმედს მათთვის თავი დროზე უზრუნია.

რამდენიმე წუთში ხარებს უღელი დაადგა და კიბესთან გააჩერა.

ახმედის ცოლი ფუსფუსებდა, ის ერთსა და იმავე ნიეთს რამდენჯერმე უზრუნდებოდა. აბნეულივით დადიოდა და გონს ვერ მოსულიყო. გონების რომელიღაც წერტილში კი ჩასახული ჰქონდა ცოცხალი აზრი, რომ თავის ნათესაებში წავიდოდა.

ჰუსეინი მოფუსფუსე ჭალს თან დაჰყვებოდა. ცნობის მოყვარუბით ათვალეირებდა კულაქის ქონებას. ბევრი რამ ჰქონდა. სახარბილო, მაგრამ არაფერი არ აკვირებდა.

ერთი ოთახის გადმოლაგება მოთავდა. გადავიდნ მეორეში. თავდაპირველად სკივრი გააღო. სკივრმა ვალების დროს ჩვეულებრივად შე-

სიკა დაუკრა. ეს ხმა მისწვდა ახმედს და ბუნდოვანობიდან გამოიღვიძრა. ის უკერად თავის ადგილს მოსწვდა და თავზარდაცემულივით მერჩო, ოთახისკენ გაიქცა.

ამ დროს ჭუსენიმა სკივრში ხელი ჩაჰყო და, როდესაც ახმედი ოთახში შევარდა, ჭუსენის ხელში უკვე ლურჯი ფოლადის კრიალა ნაგანი ეჭირა.

— ამას კი არ გაგატანებთ, — წარმოსთქვა მან და ნაგანი მურადს გადასცა.

მურადმა გახარებული სახით მიაგება ხელი გამოწვდილ იარაღს. თავისი თოფი გვერდზე მისდო. ნაგანი ისე ბრწყინავდა, თითქოს ერთი წუთიც არ გასულიყოს მას შემდეგ, რაც მის გამომჩარხველ დაზვას მოშორდა.

ღვას და ფიქრობს:

„როგორ გაჩხრიკეს მთელი მისი ოჯახი?! როგორ გაქაქეს ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული?! თითქოს გულში ჩაიხედესო, თითქოს შის სულში აფათურებენ ხელებს სრულიად უცხო ადამიანები, მის არსებაში იჭვირებიან უცხო თვალები. უცხო თითები სძიძვნიან მისი სხეულის თითოეულ ძარღვს, თითოეულ ნერვს“.

— ნებას არ მოგცემთ!.. ვათელვის ნებას არ მოგცემთ!.. — წამოიყვირა მან და კედელზე მიყუდებულ თოფისკენ გაეჭანა.

ამ თოფს, რომელიც მურადმა მიაყრდნო კედელს, ახმედი კარგა ხანია ხარბად შესცქეროდა. უხაროდა, რომ მურადმა თოფი მიიღიწყა. ამ ხელსაყრელ წამში თოფი იღლიაში მოიგდო, ლულა ჭუსენისკენ მიმართა და შეჰკიცვლა:

— გარეთ გაეთრიეთ!.. გარეთ გაეთრიეთ!..

ჭუსენი იღიმებოდა. ადგილიდან არ იძროდა.

ამ ღიმილმა უფრო გააბრაზა ახმედი და თოფის სასხლეტს თითა დაჰკირა.

ჩახმახი დაეცა. ჭუსენი იატაკზე არ დაეარდნილა. მან იცოდა ნესტიანი ვაზნებისა და ქანგიანი საკეტის შესახებ.

— მაგ ბრაზი აფერს გიშველის. აწიკე ყოლიფერი და გეიტანე! — მიამახა ჭუსენიმა, — რაიზა გგონია, რო შემეცოდები, ან შეგვაშინებ? ტყუილი კარგავ ვახტს. გზაში შემოგალამდება.

სახტად დარჩა ახმედი. გაუკვირდა, რომ ქანგიანი თოფით მოადგენ ვასასახლებლად. თოფი კედელს მიახეთქა და იქვე ჯორკოზე ჩამოჯდა. ზურგი კედელს მიაბჯინა, თავი მალლა ასწია.

— დეებმარეთ კულაკს, კომკავშირელებო, გუუტანეთ აგი ხაბაკი ურმებამდე, — მიმართა მურადს და უსუფას.

ისინი მაშინვე სწვდენ ბოლჩებს და ზურგზე მოიგდეს.

სწორედ ამ დროს ახმედი ვასავალ კარისკენ გაიქცა ფეხთ გაიხადა. გადმოიღო კედლიდან ქეჩხო, კარის შუაგულ დაავლო და მუხლებზე დაეცა.

შორეული მთებიდან სულგანაბულ სულლდგმულივით მოაბიჯებდა საღამო.

ახმედმა სამხრეთ ცას მიაპყრო თვალები. შეუდგა იქინდ ნამასს. თქვივე მკლავი ხელისგულებით შიგნით შუბლზე დაიდო, მერე მკერდზე დაიწყო. დაემხო პირქვე. შუბლი და წვერი იატაკს დააბჯინა. მკერდზე დაიწყო ლეხდა.

სიხარულით

კარგახანს იმეორებდა ამ მოძრაობას.

მერე, როდესაც ლოცვა დაამთავრა, დუაზე დაჯდა, ორივე ხელი ცისკენ აღმართა, ხელებს თვალები გააყოლა და ხმამაღლა, მორთოლვარე და დაქიმული ხმით წარმოსთქვა:

— ერთ არს ღმერთი...

ღმერთს მიმართავს ვაჭირვების დროს ყოველი სულდგმული.

არ უშობია, არც შობილა.

სწორი არა ჰყავს, რაშია ცუნდა იყოს.

ღმერთმა ცათა და ქვეყნის საიდუმლონი უწყის. ყოველ თქვენს მოქმედებას ხედავს.

არ დავიფიცო უკან დამხვევი ვარსკვლავები, რომელნიც სწრაფად რბიან და თავს იმაღავენ.

ვფიცავ ღამესა, ოდეს შემოდის.

ცისკარსა, ოდეს ინთება.

ვფიცავ მზეს და მის ბრწყინვალეობას,

მთვარეს, ოდეს მას მისდევს ახლოს,

ცასა და იმასაც, რომელსაც ის აუგია.

ვალლაჰ!..

შენ ერთი ხედავ დუნიას.

შენი სიმაართლით გადაუხადე ჩემს დუშმანს.

შენ დააყენე სრულ აზრზე შეშლილები და უგუნურები“.

გარკვევით, სიტყვების დაყოფით დააბოლოვა ახმედმა ლოცვა. რაც კი ყურანიდან ზეპირად იცოდა, ყველაფერი გადმოაღო, სასოებით წარმოსთქვა. რაც თვითონ გულში ჰქონდა, ისიც შიგ ჩაუტოო და უკანასკნელი სამი სტრიქონი განსაკუთრებული სიმწეავით შესთხოვა.

მურადი და უსუფა კარების ახლოს გაშეშებულნი იდგენ და უსმენდენ მის სიტყვებს. მათ გულში შიშის და ლოცვისადმი რალაც ფარულმა გრძნობამ გაიღვიძა. ბოლჩები დააგდეს და შეტრიალდენ.

ახმედი ისევ მუხლებზე დაეცა.

ისევ თავს იატაკამდე ხრიდა, ისევ ჩურჩულებდა წყველას უღვაშით დაფარული ტუჩებით. თან წარბების ქვემოდან მალულად იცქირებოდა. თვალს ადევნებდა ჰუსეინს, რომ ენახა, თუ რას იქმოდენ ისინი.

თანაც განაგრძობდა საღამოს ნამაზს.

სივრცე მოსჩანდა მოწითალო იისფრად. მზე ჩადიოდა და თითქოს შორეულ მწვეან მთებზე და ტყეებზე გადაეფინა მისი სინათლის შუქის უკანასკნელი ბადე, რომელიც ნელინელ ადნებოდა ამ ღამაზე ბუნებას.

მურადს და უსუფს ბავშვობიდან გაგონილი ჰქონდათ, რომ ნამაზის ადგილზე მიკარება და ხელის შეშლა არ შეიძლებოდა. ამის გამო გარუ-

მებული იდგენ და ელოდენ, რომ მოეთავებინა ახმედს ლოცვა თუ წველა და ბარგი გაეტანათ.

ახმედი კი განგებ კარებში ჩადგა და განგებ აგრძელებდა ლოცვას. მას უნდოდა როგორმე დაელამებინა, როგორმე ეს ლამეც გაეტანებინა აქ და ხვალ რამეს მოახერხებდა. მთელ სოფელს გადასძახებდა, მთელ სოფელში აყვირებოდა.

ჰუსეინმა გაითვალისწინა ეს. ხვალ მემედ ალიც ჩამოვიდოდა და, რადგან ის განკულაკების წინააღმდეგი იყო, ახმედი გადარჩებოდა. შერცხვებოდა ჰუსეინი, დამარცხდებოდა.

„დღესვე უნდა მოთავდეს“ — გაიფიქრა ჰუსეინმა და ბოლჩებს ძარღვიანი ხელეები ჩასჰიდა, გადააბიჯა კარის ზღურბლს. ჩაიტანა ბოლჩები. მას წაჰბაძეს მურადმა და უსუფამ.

ახმედმა ნახა, რომ ამ ხერხმაც უმეტყუნა, მხნედ ზეზე წამოდგა და ცოლს ამაყად უთხრა:

— ჰეიდელ, ქალო, წამეილე, კაი აფერი დაგარჩეს. კარგათ მოათვლიერე. თუ აგინს არ ვინანო, ეს უღვაშები ღორის ბანალი ყოფილიყოს. — და ახმედი თვითონაც სწვდა ფუთებს და კალათებს. რამდენიმე გზობა მარჯვედ ჩაიტანა.

უკანასკნელად, ოთახიდან რომ გამოვიდა, კედლებსა და ჰერს მიმოავლო თვალი. გადაჰხედა დარჩენილ უმნიშვნელო ბარგს და ბაგეების ცალ კუთხეში მწარედ გაიღიმა. მერე აივანზე გავიდა და დამოკილი მიეკრო ოთახის კედლებს. ის ტუჩებით დაეკრო ცივს, უსულგულო ფიცრებს და ჰკოცნიდა. ის ისე ემშვიდობებოდა ამ ჰერს და კედლებს, როგორც სულიერ არსებას.

ვინ იცის, რატომ?..

შეიძლება იმის გამო, რომ შერცხეული იყო მას და უნდა გადასჩვეოდა, ან კიდევ იმის გამო, რომ ჰკარგავდა მას.

სამი ურემი კარგად აიესო. მის ცოლს ისეთი არაფერი დაუტრეგებია, რომ დასანანი ყოფილიყო.

ყველაზე მეტ სინანულს სახლკარი იწვევდა, ბოსელში შევიდა.

მას რჩებოდა ერთად-ერთი ხარი, მისი საყვარელი გილდიზა. ხარების გაყიდვის დროს ის ვერ გაიმეტა, ახლა უსასყიდლოდ სტოვებდა.

კარგა ხანს იდგა და დასცქეროდა გილდიზას.

— შენ ხომ ჩემთვის მაინც დაკარგული ხარ!.. — წაიჩურჩულა ახმედმა. მერე ოდნავ დაიხარა. მარჯვენა ხელი ჩექმის ყელში ჩაიყო და თეთრი, კრიალა პირიანი დანა ამოიღო.

ეს დანა რაც ძალი და ღონე ჰქონდა გილდიზას ფერდში ჩაუსო. დანა აღარ ამოუღია. შიგვე ჩატოვა.

გილდიზა მაინც ფეხზე იდგა და მაინც განავრძობდა ცოხნას.

სისხლმა ჯერ წვეთობით დაიწყო დენა. მოსრიალებდა დანის ტარზე და ეცემოდა ნეხვში შერეულ თივაზე. შემდეგ სისხლმა იმატა და თქრიალით წამოვიდა. ახმედი სწრაფად შეტრიალდა. გარეთ გავიდა.

პირველ ურემს უღელთან დაუდგა. ხარები გაიყულონ, ეზოდან გავიდა.

გილდინა კიდევ ორი საათი იდგა ფეხზე, მხოლოდ შუაღამის უკანასკნელს შეაჩერებდა ხოლმე და თითქოს რალაცას უსმენდა, მკაცრ მსახურსა და მიწვა.

გილდინა ორი დღე კვდებოდა.

ახმედმა ცოლის ნათესავებისკენ გასწია. სულ ხუთი კილომეტრი იყო იმ სოფელამდე.

ჰუსეინმა უთხრა შუაგულ სოფლისაგან გზა აექცია. იმანაც დაუჯერა. წინააღმდეგობა აღარ გაუწია. ის უკვე დარწმუნებული იყო, რომ ჰუსეინთან არაფერი არ გავიდოდა, იგი მაინც თავისას გაიყვანდა.

ჰუსეინი და კომკავშირელები სოფლის ბოლომდე გაჰყვეს, მერე თავთავიანთ სახლებისკენ გაეშურენ.

თითოეული მათგანი ჩატარებული საქმის ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ იყო.

ფიჭობდენ, სწონიდენ, მაგრამ ერთ გარკვეულ დასკვნამდე ვერ მისულიყვნენ. მურადმა და უსუფმა ღამე უძილოდ გაატარეს...

მეთვრამეტე თავი

— ძალიან ბრველი იმუშავეთ, თქვენი მიწები თლათ დახნულია. მართლა დაღლილები ხართ. თქვენთვის აწი კაი საბალახო მისწრება იქნება. ისეთ ამეგვესებათ მაგ ფერდები, რომე კულაკ ახმედას ხარებს დაემგვანოთ. ნუ გეშინიათ, გაგასუქებთ. ისეთი თესლი დავთესეთ, ისეთი ჩამოგვივა, რომე თელ ქობულეთში ჩვენ შემოგვანატროდენ. ჩა თუ ბრველი გვექნება და კაი, მაშინ ჩალაც და ქატოც ზომ გვექნება და გვექნება. წამოდით, აწი გაგიყვანთ საბალახოზე და თელი დღე ქამეთ. იქნებ მართლა ქე გასუქდეთ. კოლექტივს სუქანი ხარები უნდა ჰყავდეს. თითონაც სუქანი უნდა იყვეს. აბა რა კოლექტივია იგი კოლექტივი, თუ სუქანი ხარები არ ეყოლება? ნუ გეშინიათ. თქვენზე ქე დუღდგენიათ პარტიეს და თავრობას, რომე გაასუქეთო, გააღონიერეთო, კარგათ მუღართო. ზოო და კიდევაც უნდა მოგიაროთ. მუშათა კლასს ასეთ უნდებიან. — ასე ელაპარაკებოდა ქიცილა თავის ორ უღელ ხარს და ბოსელიდან გამოჰყავდა საბალახოზე წასაყვანად. მან ამაყად გადაატარა სოფელზე თავისი საქონელი და გაიყვანა სოფლის გარეთ, იქვე მახლობელ მწევანით მოფენილ მინდორზე რომლის ახლოს ისპანის ქაობი იყო გაშლილი. ეს ქაობი მოფენილი იყო მწევანე და მაღალი ლაქაშებით და თვალს ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ეს ზედაპირი საუკეთესო იონჯით არის დაფარულიო, ნამდვილად კი მის ქვეშ ადამიანის სიმაღლის ოდენა წუმბეები იყო.

ქიცილამ აქეთ მორეკა ხარები. ის მათ გზაშიც ესაუბრებოდა, განსაკუთრებით გასუქებას ჰპირდებოდა.

ხარები მწევანეზე გამოვიდენ თუ არა, მაშინვე დაეწაფენ დილის ნაშით დარბილებულ ბალახს. აქვე მიდიოდა ქობულეთის გზა და რომ ქი-

ცილას არ მოსწყენოდა, გზის პირას ჩამოჯდა, გამვლელ-გამოვლელს შეხედავდა, გამარჯვებას ეტყოდა, გამოელაპარაკებოდა, რამე მშაქს გაიგებდა.

ქიცილამ ჯიბიდან გაზეთი ამოიღო. პატარა ოთხკუთხედი ნაჭერი მოახია, მერე შარვლის ჯიბეში თამბაქოს ნამცეცხები მოაგროვა და ქალაღღში ჩაყარა. დაატრიალა. ცეცხლი მოუკიდა. მხარ-თემოზე წამოწვა და კვამლი ამოუშვა.

სარები ბალახს სძოვდენ.

ქიცილა მარტოა და ფიჭვებში გაეხვია.

მისი თვალები სახის წინ აშლილ კვამლის კვირტებში ბურუსიანად გამოჩნდა. ის არასოდეს არ დარჩენილა საკუთარ თავთან მარტო. მას ყველაზე ძლიერ ეს ეგავრებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც მეხრედ გადაიყვანეს, ხშირი შემთხვევაა მისი მარტობა. თუმცა ხარბსაც კი ელაპარაკებოდა, მაგრამ ისინი სულ სდუმდენ და ქიცილას საშუალებას არ აძლევდენ თავის აზრი განეფითარებინა, მთელი თავისი მეტყველება ამოქმედებინა. მემედ ალიზე გულში კიდევაც ბრაზობდა, მაგრამ ყველასაგან პატივცემულს ვერ უბედავდა უკმაყოფილების გამოთქმას.

ფიჭვებში გაეხვია ქიცილა.

ჯერ დღემდე ანგარიში არ მიუცია მას თავის-თავისათვის, კარგია თუ არა ფუხარა კაცისათვის კოლექტივი?.. მისცემს თუ არა მას იმდენს სარგებლობას, რომ შეეძლოს ადამიანური ცხოვრება, ცოლშვილის რჩენა... მოაგონდა ქიცილას წარსული წლები. მან გადიხედა თავის ახალგაზრდობაშიც. თვის ყოველდღიური ჯაფა და მუშაობა ისე გაიხსენა, თითქოს ეს გულში ყოფილიყო. მას უმუშავნია ტაგიძესთან, ანანიძესთან, გოგიტიძესთან. მათი კარგი და ბარაქიანი მოსავლის გულისთვის წულებზე ფეხი დაუდგამს. უმუშავნია ერთგულად, თავგამეტებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაფერი არ შესძენია. ყოველთვის ისეთივე ფუხარა ყოფილა, როგორც დედამამის კერაში იყო.

ქიცილასთანა მოჯამაგირე რამდენი მუშაობდა ტაგიძესთან. მის სიმინდის ყანებს ოცდაათი კაციც არ ჰყოფნიდა, ხოლო რომ დაემუშავებინათ, დაეთესათ დაეტებათ და ოქროსფერი იმერული ტაროები მილიონ მარტულად დაეფშვნათ. მას უმუშავნია მანდარინის ბაღებშიც, მენახირედაც ყოფილა. ასეული პირუტყვი სხვებთან ერთად მთაში წაუყვანია, მოუვლია, უპარტონია, და ამისათვის მხოლოდ უკმევიათ. მის ოჯახში, შეიძლება ითქვას, ჭადი და პრასი არ გამოლეულა, ეს ყოველთვის ჰქონია. მაგრამ განა მარტო ეს ეკუთვნოდა ქიცილას იმ ჯაფისა და შრომის გასამრჯელოდ, რომელსაც ის ეწეოდა?!

— მატყუებდა ახმედი, ანანიძეც, გოგიტიძეც. ყოველი კაცი მატყულებდა, თერა მარტო პრასი და ჭადი რაიზა უნდა მეჭამა იმოდენა ჯაფიზა? — წაილაპარაკა ქიცილამ და გვერდზე გაიხედა. თითქოს უნდოდა მასთან ვინმე ყოფილიყო, რომ ამაზე პასუხი გაეცა.

დღეს ქიცილა უკვე კოლექტივეშია. ის ჰაპან-წყვეტაში აღარ არის, როგორც სოფლის იმ ბატონ-პატრონებთან იყო. დღეს უკეთესად იცხოვრობს. ამას წინათ კოლექტივის წევრებზე კოოპერატივეში მუშაობის და შპკარი დაარიგა. ჩაისაც სევას. ლამვაც უნთია. ძველად რომ მძინე გამურული ჭობი ჭრაჭით ნათდებოდა და ჭვარტლით ივსებოდა ჭერი და კედლები, დღეს ისე აღარ არის.

— რამდონიც შეკუთვნოდა, იმდონს არ მაძლევდენ გასამრჯელოს. მატყუებდენ დალაზერულები. ჩემი ნაშრომის მართებთ!.. — სთქვა და ღრმა ნაფაზი დაარტყა, მერე დაგროვილი კვამლი მკერდიდან დინჯად ამოუშვა და ამ კვამლის სრიალს გააყოლა თვალი.

ის კიდევ დიდბნს ფიქრობდა.

მან წარმოიდგინა სოფელი. სოფლის ორად გაყოფილი ცხოვრება — მზრუნველი და უმზრუნველი.

„აწი სხვაფერ იქნება ცხოვრება, ვენაცვალე პარტიესა, იგი აღარ მოშობს სხვებთან ყმისავეთ ვიმუშაო, კაი საქმეა, კაი“, — გაიფიქრა ქიცილამ და წამოდგა. მერე თავის მარჯვენა ხელს დახედა. პაპიროსი თითქმის დამწვარიყო, ისე რომ ცეცხლს თითებამდე მიეტანა და უწევდა. თითქოს ჯერ ვერ მიხვდა სიმწვავის მიზეზს, მაგრამ შემდეგ მოიფიქრა დანამწვავი გადაადგო. დამწვარი თითები ნერწყვით დაიოკა.

— ქიცილას გუუმარჯოს!.. რაეა ხარ კოლექტიველო?!

ქიცილამ შეხედა საიდანღაც მოულოდნელად მემედ ანანიძე გაჩნდა და ცხვირწინ აეტუზა.

— მე რო ვამიმარჯოს, შენ რაი მერე?.. ხეირი დაგეყრება თუ?.. — ბრაზიანად უპასუხა ქიცილამ

— რაეა მიწყრები, ქიცილა, პარტიაში ხომ არ შედი?.. კოლექტივეში რო ხარ მიტომ თუ?.. მაი აფერია, დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები.

— რაიზა აღარ ვიქნები?..

— ისთე, იმიზა...

— მაინც, მაინც?!

— იმიზა, რომე არც კოლექტივი იქნება. ვის გუუგონია ერთად მუშაობა, ერთად ჰამა, ერთად ძილი. ასთე ნახირი ცხოვრობს. შენ ქე იცი კარგათ. საქონელს რო გადენიან საბალახოზე, ხარი, ხბო, კამეჩი. ძროხა თლათ როა ერთიმეორეში არეული და ყველაფერი ერთად რო ხდება — პარტიეც, ჰამაც, ძილიც. ასთე ადამიანის შეილი რაეა იცხოვრებს, რას შეუბნები შენ?..

— ვინ თქვა მერე რო მასთე იქნებაო?!

— ვინ თქვა და არ იცი შენ აგი?..

— რაი?..

— რაი და ბათუმიდან საბნები რო მოაქვენ. იცი, რამხელაა თითო საბანი?.. ქე ჩეებთეა შით თუთხმეტი კაცი. ერთათ უნდა დეიძინონო. თქვენ კოლექტივის სამი საბანი ეყოფა. აწი ერთ ყაზარმასაც აგიშენებენ

და იქნებით ზამთარში თბილათ, თუმცა თქვენთვის ავი აფერია კოლექტიველები ხართ. გიყვართ ერთმანეთი.

ქიცილას ეჭვი შეეპარა. მან თითქმის დაუჯერა კიდევ ერთი ვულუბრყვილო იყო, როგორც მემედ ანანიძეს ეგონა. მემედი კვლავად ჰქონდა ყველაფრისათვის ეჭვით შეეხება, ამიტომაც ორკოფულად შეეკითხა:

— მაი ჯერამ მე არ გამოგონია, შენ საიდან გეიგე?..

— აბა, რაიზა წაიდა მემედ ალი ბათომში?!

— საქმიზა წვეილოდა.

— საბნების მოტანაც ჭეა საქმე... აწი აღარაფერი გიკირთ. ზამთარი კარზე მოვადგებათ და თქვენ ერთმანეთს ჩაეხუტებით, — სიცილით დაუშტა მემედმა და გზისკენ შეტრიალდა.

— მილიხარ, მემედ?.. — გულნატკენი ხმით შეეკითხა ქიცილა.

— აბა, მეც საბანში ჩაგიგორდები თუ?..

— მემედი გაჩერდა. შავი, სქელი და დაგრებილი უღვაშები ორივე ხელით შეისწორა და ოდნავ გაიღიმა.

— მემედ, მე ძლიერ ბრველი მიმუშავია შენთან, მიწაც დამიხენია, სიმინდიც დამიტეხია, მითოხნია კიდევ, მარა, შენ იმდონს არ მაძლევდი, რამდონიც მეკუთვნოდა. მატყუებდი ნაშრომის გადახდაში. შენ ჩემი გამართებს.

მემედი ერთი წუთით ჩაფიქრდა. თითქოს რაღაც გამოიანგარიშაო და დინჯი ხმით უპასუხა:

— რავა, ქიცილა, თუ რამე მმართებს, უარს გეტყვი თუ?.. მოდი და წვილე. მე სხვისი აფერი მინდა. ალბათ ჭე დარჩა მართლა.

არ მოელოდა ქიცილა ასეთ პასუხს. ის საჩხუბრად იყო გამზადებული. მას უნდოდა გაელანძლა იმის გამო, რომ მთელი წლების განმავლობაში მუქთად ამუშავებდა.

— კი, მარა სით გაეიხსენო, ათი წელიწადი შენთან მიმუშავია, რომელი ერთი ჩამოვთვალო?..

— იანგარიშე და რაც გერგება მოდი და წვილე: გინდა სიმინდი წვილე, გინდა ლობიო.

ჩაფიქრდა ქიცილა. ნუ თუ მართლა მისცემს მემედი სიმინდს ან ლობიოს უწინდელ ნამუშევრის გასამრჯელოდ? ნუ თუ ასეთი პატიოსანია მემედი, რომ უარს არ ამბობს იმაზე, რომ ყოველწლივ რაღაც რჩებოდა მასზე? ფიქრებმა ისე გაიტაცეს, რომ მთლად გადაავიწყდა თავისი ხარები და ისიც კი დაავიწყდა, რომ კოლექტივის წევრი იყო და უკვე იმას ანგარიშობდა. თუ რამდენი ბათმანი სიმინდი უნდა მოეთხოვა.

— რას ამბობს, ქიცილა, პუსტინი?.. რას უპირებს სოფელს?.. თუ გაგიგონია, ჩემზე ხომ აფერი უთქვამს?.. — როგორც მეგობარმა მეგობარს, ისე დაადო მემედმა ქიცილას მხარზე ხელი და ცალი თვალი ჩაუპაქუნა.

— მოი, ერთი მითხარი, მემედ ალი და სულეიმანი ერთმანეთზე არ ჩხუბობენ?.. — ეკითხებოდა მემედი ცალთვალდახუჭული, რადაც არაბუნებრივად კისერში და ზურგში მოხრილი, თითქოს თევზად დაფარული მხრებში ჩაუფარდაო.

— სოფელში ასე თქვეს, ჰუსეინმა მემედ ალის მოკვლა დუღუპირაო. ისიც კი გევიგონე, თითქოს კოლექტივის დაშლა უნდებინაო. აფერი არ ვამოდისო. თქვი, ქიცილა, თქვი, — მემედმა ქიცილას მაჯაში ხელი ჩასჭიდა, იზიდავდა თავისკენ და თანაც მძლავრად უჭერდა.

ქიცილა გაბრუებული იდგა. პირველად დაიბნა თავის სიცოცხლეში. ველარ გარკვეულიყო, როგორ ემოქმედნა, რა ელაპარაკნა. ან მემედი რათ ეკითხებოდა ისეთ რამეს, რაც მასაც კი არ გაეგონა.

— თქვი, ქიცილა, სოფლიდან ტაგიძე რო გუუსახლებიათ, კოლექტივის როგორ მოსწონს?.. ჯიდოვ ვის უპირობენ გასახლებას?..

— არ ვიცი, არა! ძლივს წამოიძახა ქიცილამ და თმებში ხელი იტაცა. უცბად თვალის კაკლები გაუფართოვდა. საფეთქლებმა ხშირი ცემა დაუწყეს. სახეზე ყველა ძარღვი აეშალა. ტვინში წარმოეშვა აზრი გაქცეულიყო, მაგრამ ფეხები თითქოს მიწაზე ჰქონდა დაკრული. ნაბიჯი ვერ გადაედგა. უნდოდა ეყვირა კიდევ, მაგრამ ყელმა ხმა არ ამოუშვა.

ამ თავზარდაცემამ ერთ წამში გადაიარა და კვლავ დაუბრუნდა უნარი მოძრაობისაც, ყვირილისაც, მოქმედებისაც.

მემედის ძლიერ ხელს თავისი მაჯა გამოჰგლიჯა და მოსწყდა ადგილს. რაც ძალი და ღრნე ჰქონდა გაიქცა. ის მირბოდა ხარებისკენ. მირბოდა და ყვიროდა:

— აჭით წამოდით, აჭით, თქვე დაღუპულებო!..

ერთი ხარი ისპანის ჭაობში შესულიყო ბალახის ძოვით, სხვებიც ნელი-ნელ მიდევდნენ. ეს პირველი უკვე მუხლამდე იყო ჩაძირული და რამდენსაც ცდილობდა ჭაობიდან ამოსვლას, იმდენად უფრო მეტად იძირებოდა შიგ. იბრძოდა საცოდავი ხარი ვადარჩენისათვის. კისერს და თავს მალლა სწყევდა. სცდილობდა წინა მუხლებიც ამოეძრო ტლაპოდან, მაგრამ უფრო ღრმად უფარდებოდა. პირისახეს დაარტყამდა ხოლმე ყვითელი, ხავს არეულ წუმშეს და თანდათან ძირს მიდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ არაერთარი მოძრაობა აღარ შეეძლო. მხრებამდე ჩაიძირა. მხოლოდ თავი უჩანდა კისრის ზევით და გამხდარი, გაძეალული გავა. იბრძობოდა, კვდებოდა.

მოვარდა ქიცილა.

მან პირველ ყოვლისა ორი უკანა ხარი გარეკა სხვა მხარეს. მესამესაც კოჭებამდე შეეტოპა და თავდაპირველად მას. ესაჭიროებოდა გადარჩენა. პირველ ხარს აღარაფერი არ ეშველებოდა.

ქიცილა გაჰკიოდა:

— დამეხმარეთ, დამეხმარეთ!.. ხარები დამელუპა! მაგრამ იქ არავინ იყო, რომ დახმარებოდა.

იდგა მხოლოდ შემდეგი... ის შორიდან გაუნძრევლად შესცქეროდა და რალაც არაადამიანური ხმით იცინოდა.

ქიცილა ქაობთან ახლო ვერ მისულყო. იტაცებდა მისი მხარე... შემოხსნილ ღვედს უქნევდა, რომ უკან გამოებრუნებინა... ხარი ხარისკენ მიდიოდა. უღელში მისი მუხლზე იყო და ამ შემთხვევაშიც მარტო არ სტოვებდა.

შემედის ხმაშალალი სიცილი ესმოდა ქიცილას და უფრო მეტ ბოლმას და სიმწარეს ჰგვრიდა მას.

ბოლოს ქიცილამ გადასწყვიტა დახმარებისათვის სოფლისკენ გაქცეულიყო, კოლექტივში შეერთობინებინა.

ქიცილა გაიქცა.

— მაშ არ იცი, ქიცილა, რა ხდება კოლექტივში?.. გამეიარე, შენი ეალი მიიღე... ხა... ხა... ხა!.. ხი... ხი... ხი!.. — ზურგში დააყოლა გაქცეულ ქიცილას და მოღიწარე, გახარებულმა, გულგრილად აუარა ერთს დაღუპულს და მეორეს დაღუპვის პირას მყოფს ხარს. ის ქობულეთის გზას გაუდგა.

რამდენიმე წამის შემდეგ უკვე მთელი კოლექტივი მორბოდა ისპანიასკენ ხარების გადასარჩენად. ხელში ეჭირათ თოკები, ფიცრები, გრძელი კეტები და თავგამეტებით მოისწრაფოდნენ.

ამ ყოყინამ და ყვირილმა მეორე ხარი დააფრთხო. წაიწია წინ. მაგრამ თითქოს მიხვდა, რომ ვანსაცდელი ელოდა და იმასაც შევლას უპირებდნენ. თოკით გაკეთებული ყულფი რამდენჯერმე გადააგდეს, მაგრამ ვერ ახერხებდნენ კისერში ჩაგდებას. ბოლოს, როგორც ბჭა, ყულფი რქებში მოსდეს და ხარი ნაპირისკენ წამოსწიეს.

ერთი ხარი დაღუპვას გადააჩინეს.

პირველი ხარი კი ღრმად ჩაფლულიყო. რქებიც კი ძლივს მოუჩანდა. პირში წუმპე ჩასდიოდა, იბერებოდა. გაეშურენ მისკენ.

მთელი ორი საათი წვალობდნენ, ვიდრე ხარს მშრალზე გამოათრევდნენ. როდესაც გამოიყვანეს, კიდევ სუნთქავდა. ფერდები უცემდა, ენა გადმოგდებული ჰქონდა და აქლოშინებდა, მაგრამ სულ მოკლე ხანში გათავდა, გაშეშდა.

ამ დროს მოვარდა ზაფითი.

მას ყველაზე გვიან ვაგვო ხარების ქაობში შესვლის ამბავი. ამ ოთხ ხართავანი ერთი მისი ლამაზი მურეშა იყო.

ის შორიდანვე გაპკიოდა:

— რომელი ხარი დეილუბა. დეიქცეს თქვენი ოჯახი!

შესცქეროდა საბალახოზე მდგომ ხარებს. ხედავდა, რომ მათ შორის მისი მურეშა არ იყო და უფრო სასოწარკვეთილად აყვირდა:

— ჩემი მურეშა დაღუპულა, ჩემი მურეშა!..

ქაჭანით მოვარდა.

მისი მურეშა მუცელგამობერილი ეგდო. წუმპესა და ტლაპოს დაეფარა მისი თეთრი და წითელი ხალებით აქრელებული ტყავი.

უფრო ძლიერ აყვირდა. შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს, გამაგებული თვალებით დაეძებდა ქიცილას, რომ მისგან პასუხი მოეთხოვნა ხარის დაღუპვის გამო; მაგრამ იქ აღარ ჩანდა.

მოვიდა სულეიმან ნოღაიდელი. შეხედა დამხრჩვალ ხარს, მდუმარედ დააქნია თავი, მერე აყვირებულ ზაფითს მიუახლოვდა და მხარზე ხელის დარტყმით უთხრა:

— ზაფით, ეს შენი ხარი კი არ იყო, ყველასი იყო. კერძო საკუთრების უფლება მაგ ხარზე მაშინ დაჰკარგე, როცა კოლექტივში შემოიყვანე.

— მაი მართალია, მარა მაინც კიდო ჩემსას ახლოს იყო, შეჩვეული ვიყავი. მიყვარდა.

— ჩვენ ყველას გვიყვარდა, იმიტომ, რომ მუშა საქონელი იყო. ქიცილა ხომ კაცს აღარ ჰგავს. გიყვივით დარბის. რას იზამ?! — უპასუხა სულეიმანმა და კოლექტიველებს სთხოვა ურემი ჩამოეყვანათ, ხარი სოფელში აეტანათ, დაეკლათ, გაეტყავებინათ.

ხალხი ნელინელ იშლებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ზაფითი სულეიმანს გზაში წამოეწია და დაბალი ხმით შეეხვეწა:

— ტყავი მაინც მომეცი, ცოდვა ვარ. თლათ დევიქეცი.

— არა, ზაფით, ტყავი კოლექტივს სჭირდება... — უპასუხა სულეიმანმა და რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო.

დილას კოლმეურნენი უკვე დამშვიდდენ, მაგრამ სოფელში ახალი სალაპარაკო შეიქმნა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ელგარ ალლან კო

ზ ა რ ე ზ ი

I

გესმის, როგორ რეკავს ზარი,
მარზილებს ვერცხლის ზარი!
და გეძახის რომ ღიაა ალტაცების ქვეყნის კარი!
თოვლიანი თეთრი ღამით
სიხარულით რეკავს წაში
და თეთრ გზაზე გაფანტული ვერცხლის ზარიც რეკავს, რეკავს—
საოცრების ნათელ მძივებს
საიდუმლოთ აციმციმებს
ვარსკვლავებით მოწინწკლული გადაშლილი ზეცის თექა.
რეკავს ისე ჩქარა, ჩქარა
რუნულ ლექსის ნიაღვარად,
რომ ფარულად ამგერდება მარზილებში ზამთრის ქარი.
დახეული ზარი, ზარი,
ზარი, ზარი, ზარი, ზარი
იბნევა და იფანტება ვერცხლის ზარი, ვერცხლის ზარი.

II

გესმის, როგორ რეკენ ზარებს,
საქორწინო ოქროს ზარებს!
მათი რეკა მორცხვად ალებს სიხარულის ქვეყნის კარებს!
როცა მწვინდათ სძინავს ღამეს,
ზარი თითქოს ითვლის წამებს!
და მღელვარედ დაღვრილ ხმებათ
ააზვირთებს ოქროს ღვარებს.
მათი მღერით ხარბათ თვრება
გვრიტი ღამით მიბინდული და ოცნებით აშტერდება
ფერდაკარგულ ღამის მთვარეს.
ოჰ, ეს ხმები აგიშლიან
ოცნებათა მიმჭრალ მხარეს!
შენი მკრთალი
მომავალი
ოქროსფერი
ნაზი ღღერით

აერიალებს მშვიდ ღამეში აერეოლებულ ენით ზარებს.

საქორწინოდ მრეკავ ზარებს,

ზარებს, ზარებს, ზარებს, ზარებს,

თითქოს რეკა აატოკებს ამღერებულ დამთვრალ ზარებს.

ქართული
საქორწინო

III

გესმის, ნელი ოხვრა რვალის,

მწუხრის ზარად ღელვილ რვალის!

რა საზარელ ზღაპარს ამბობს ღამით მისი რეკა ცივი!

როგორც შიშის ერუანტელი

შეინძრევა ღამე ბნელი

და ზარი კი ცივ ღამეში განწირულად ჰკივის, ჰკივის.

ზეცას შესთხოვს გადმოაელოს მოწყალებით თავის თვალი

და თანდათან ეკიდება შეშლილი და შმაგი ალი.

მუდამ ზევით, ზევით, ზევით

უიმედოთ უნდა ჰჭროდეს,

გარდაუვალ სიერის ძღვევით

ახლა ან და არასოდეს

იგი უნდა დაესახლოს გაფითრებულ შთვარის გვერდით!

ოჰ, ამ ზარებს, ზარებს, ზარებს

სასომიხდილ რვალის ზარებს

ვინ მიხედავს, შეიბრალებს და აჩვენებს სხვა მშვიდ მზარეს!

მათი რეკა თრთოლით მოვა

და ღამეში ისმის გლოვა;

რადგან ღამემ კარგად იცის

რვალის ზარი რისთვის რეკავს,

როცა ზვირთი ბნელი შიშის

მის ნაპირებს გადალექავს.

უაუნეთმა იცის ეხლავ.

რომ ეშვება ბინდის ფარდა

და ზვირთების უყვარს შეხლა

მრისხანებას რვალის ზართა.

დაკარგული იმედების რეკა უყვართ რვალის ზარებს,

რვალის ზარებს, რვალის ზარებს,

ზარებს, ზარებს, ზარებს, ზარებს,

როცა მათი აზრთება, ცივ ღამეებს აზანზარებს.

IV

გესმის როგორ რეკენ ზარებს,

მგლოვიარე რკინის ზარებს!

მათი რეკა აღებს მძიმედ მწუხარების ქვეყნის კარებს!

მღუმარებით სავსე ღამე
მოგვდებია, როგორც შხამი
და ყოველი მისი წამი

სევდიანად გვაცახცახებს.
იმუქრება თითქოს ენით
ზარის კვნესა და ქვითინი.
დარწეული ზარაზინი

დაგვისევლებს ცრემლით სახეს.
და ის ხალხი — ოჰ, ეს ხალხი! —
შემოსილი მარად თალხით

იქ რომ ცხოვრობს, სამრეკლოში, მუდამ ცალკე, მუდამ მარტოდ
მგლოვიანე რკინის ზარებს
ყრუ გუგუნით აზანზარებს,

რომ მათ ოხვრას ვერ გაეჭყე, ქვითინს თავი ვერ გაართო.
და ეს ხალხი, სისხლის მსმელი,
ამ სამრეკლოს ბნელი მცველი,

ოჰ, ისინი თითქოს გულებს მწუხარების ცეცხლში სდებენ.
და ის, ზევით, იქ რომ რეკავს
ხარხარებს და ისევ ცეკვავს,

აგუგუნებს გლოვის ზარებს — ის იმ ხალხის არის შეფე.
და სიცილი მისი ცივი
ბნელ ღამეში ჰკივის, ჰკივის
და საოცარ პეანს მღერის
მისი ყელი ჯანგისფერი,

თითქოს მოსავს ძამისფერად დამძიმებულ გლოვის ზარებს.
ლელავს, ლელავს, სტირის, სტირის,
როგორც სევდა ზღვის ნაპირის

ცივ მიდამოს დაჰქვითინებს, ცივ მიდამოს დაჰზარზარებს.
რეკავს ისევ ჩქარა, ჩქარა
რუნულ ლექსის ნიაღვარად,
აკივლებულ რკინის ზარად

ჭარიც ისევ ღამეს არევს
და აეარდნილს ღამით ჭარებს
და იმ ჭარში მრეკავ ზარებს
ველარავინ დააწყენარებს
რკინის ზარებს, ზარებს, ზარებს.

თარგმანი ინგლისურით

გივი ბანიჩილაძისა.





ს. ფაშალიშვილი

უღახნო

(რამოდენიმე თავი ნარკვევების წიგნიდან: „როგორ იბადებიან გიგანტები“).

— გრუზა!

ნელა გარეკე, აღმართია, დაიღლებიან!

— თვითონ ჩქარობენ ძია გიორგი, ნამთევებს მუხლი ერჯით და გული ბინაზე მიუწევთ!

ამ სიტყვებით, გრუზა მეეტლე სკიმავეს გაპოხილ სადავეებს და თავს უქერს აღმართზე ჩოროთით მიმავალ გათქვირულ ცხენებს.

ჩვენ ბაქურიანის გზატკეცილით მივდივართ უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საიალალო ბინებში — ქციაზე.

მზე დასაველეთით იწვერება და შუაშემოდგომის ნესტიანი ნიავე რბილად გვეშეფება სახეში. ეს გზატკეცილი შეჭრილია ბაქურიანის ტყის მწვანე კედლებში და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საგანგებოდ დადგმულ დეკორაციებში შევდიოდეთ: ტანჩამოქნილი ფიჭვის ხეები არხევენ ღრუბლებამდე ატანილ ქოლგებს, ხოლო მათი თეთრი კანიდან ჩამოღვენთილი ფისი სურნელებით ეღენტავს სიერკეს. შეყვითლებულან წიწვებში შერეული ფოთლოვანი ხეები და ნიავის ყოველ შეჭროლებაზე შხელით იბნევა მათი წითელ-ყვითელი, დაქანგული და დასისხლული ფოთლები.

ასეთი შესანიშნავი ტყე შუაწელამდე არტყია თრიალეთის ქედებს. მათ მწვერვალებს კი ზამთარში თოვლი ათეთრებს, ხოლო ზაფხულში — ცხვრის ფარები.

იმ მწვერვლებისა და თეთრი ფარებისაკენ მიყვევართ ამ გზატკეცილს.



ამ საუცხოო გზის ლამაზი სანახაობა მხოლოდ თვალს იტაცებს. ჩვენი საუბარის თემა კი — უდაბნოს მეურნეობის დაარსებასა და მისი განვითარების ეტაპებს შეეხება.

საგულისხმო ეპიზოდებს მოგვითხრობს უდაბნოს ერთერთი დირექტორი გიორგი მაქარაშვილი ჩვენი მეცხვარეობის მდგომარეობის შესახებ

იმ პერიოდში, როცა საძირკველი ეყრებოდა უდაბნოს გავანტის იგი ამ საქმის ენტუზიასტია. თავის წილად საკმაო შრომა და ამავე მიუძღვის სოციალისტური მეცხვარეობისათვის გაწეულ ბრძოლაში. ცოცხალი მატთან დააქვს მას ხსოვნაში და ახლა უხვედ მსოფლიოს.

მოსმენილი საუბარი სავსეა სიურპრიზებით და ახალი ფაქტებით ამდირებს ჩემს ბლოკნოტს — ამ დიდი სოციალისტური მეურნეობის ზრდაგანვითარების შესახებ.

მალე თხელდება თრიალეთის ტყიანი ზოლი. შემდეგ უცბად სწყდება ტყე და გადადის შიშველ ქანობებზე. იწყება ალპიური ზონა და ჰავაც იცვლება, მაგრამ ამ უტყეო, მწვანე ფერდობებზე — მოხასხასე ბალახებისა და ყვავილების ფერადი ხალიჩები ყრია და აღარ იცი, სად უფრო მეტსილაძაზეა დაბლა — ტყეში, თუ აქ — ჩვენს ალპებში!

თრიალეთის მაღლობები:

ეს არის ჩვენი საილალო საძოვრების შარგალიტი, სრულიად თავისებური ბალახებითა და იშვიათი ყვავილებით!

სწორედ ამითაა გამოწვეული ის დაინტერესება, რომელსაც ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები იჩენენ თრიალეთის ქედების მიმართ. აი ახლაც, ჩვენთან ერთად, მგზავრობს ტფილისის სას. სამეურნეო ინსტიტუტის საკვებთა მოპოვების კათედრის მეცნიერი-მუშაკი აგრონომ-ბოტანიკოსი ამხ. შალვა ყიფიანი. ამ ახალგაზრდა მეცნიერს უკვე თავისი ხუთი თითივითა აქვს შესწავლილი ეს სიმაღლეები — მათი მდებარეობით, კლიმატითა და ფლორით. იგი მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის აჭაური საძოვრების მნიშვნელობისა და პერსპექტივების შესახებ.

მაგრამ ჩვენს საუბარს სწყვეტს უეცარი სიბნელე და წვიმა.

გამართლდა გიორგის ვარაუდი: ჩვენ ავედით უღელტეხილზე და ნისლში და ეჩხელში გავეხეეთ.

ტყენები მარცხნივ, აღმართზე აღიან, უხვევთ რკალივით მოღუნულ გზატკეცილს და გავაკებულ თხემზე გავდივართ. მწვანე მოღზე თავქვე ვშვება ეტლი. წვიმა ჯერ თხელდება, შემდეგ მთლიანად სწყდება და სულ ცოტა ხნის შემდეგ, გაცრიატებული ღრუბლებიდან ცაზე შირქობილ კაროსავით ჩნდება მთეარის ქიმი. ამას იქით ბილიკი უკვე აღარ არის, მიწაზე გართბმული მწვანე ქუჩი გაბმულ ფარდაგვივით გადაფენილა მიწის ზედაპირზე და ქვიისაკენ მიმავალ გზას გვანიშნებენ მხოლოდ ალაგ-ალაგ წამომჯდარი ხავსიანი ლოდები და აგროვებული ნატები ქვა.

მალე მივდივართ ვიწრო ხრამში ჩაქედილ მდინარის ნაპირებზე, რომელიც ბუზლუნით მიეკანება დაღმართისაკენ. ესცილდებით მთის წამოწვილ პატარა ქიშს და თვალწინ სანახაობა გვეშლება:

იქ, დაბლა, მაღალი მთებით შემორკალულ ტაფობში, ლარივით გაბმული შენობების ფანჯრებიდან გამოციმციმებს სანათების შუქი.

შენობებს შუა ხევი ჩაულის ომახიან მდინარით.

გაღმა. ქიუხებზე თეთრი ნისლები აწყვია,

დაბლიდან ძალის ბოზი ყუფა მოისმის.

ეს არის უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ბინები, მისი ადმინისტრატიული ცენტრი, ქალაქური უბანი — მთხე, რომელიც 2250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს!

ეს მარტო საინტერესო კი არ არის, საკვირველიცაა დასაწყისი: საუკუნეების განმავლობაში, ყოველ ზაფხულობით დადიოდა აქ ცხვარი, მოდიოდა ხალხი, მწყემსავდა და მუშაობდა, მაგრამ მათ ასანთიც კი არ გააჩნდათ. ცეცხლს, პირველყოფილი ადამიანებივით კაეითა და აბედით ანთებდნენ, ხოლო ერთი გომურის მეტი, აქ არავის არაფერი უნახავს. ახლა კი, სულ ორიოდ წლის განმავლობაში, „ქალაქი“ გაუშენებიათ. ამ უდაბურ მწვერვალებზეც ამოსულა გაზეთი და მანქანა, მედიცინა და მეცნიერება, — მოდის ელექტრონი და რადიოც.

აი სოციალისტური მშენებლობის ერთი მკერმეტყველი მაგალითი. მაგრამ გათენდეს და გავეცნოთ აჭაურობას.

ორიოდე სიტყვა წარსულიდან.

მეცხვარეობა უხსოვარი დროიდან ახასიათებს ჩვენს ქვეყანას. ისტორიული საბუთებიდან სჩანს, რომ მეურნეობის ეს დარგი ქართველებს თავის ძველ სამშობლოშივე ჭონდათ განვითარებული. იქ მეცხვარეობა ისე მაღალ საფეხურზე მდგარა, რომ ისინი ცხვრითა და ცხვრის პროდუქტებით ფართო აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ წინა-აზიის ქვეყნებთან.

არის ცნობები, რომ ასურელებთან ომში დამარცხებულ ქართველებს, კონტრიბუციის სახით გადაუხდიათ საქონელი და ცხვარი. ისინი ცხვარს ხარკად აძლევდნენ აგრეთვე ასურეთის გამოჩენილ მეფეს — სარდანაპალს (ასურ-ბანი-პალი).

ქართველებმა მეურნეობის ეს დარგი მოიყოლიეს თავის ახალ სამშობლოში და აქაც თავისი ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად დარგად გადააქციეს ის.

ამ მხრივ საგულისხმოა ეკონომიური ურთიერთობა ძველ საბერძნეთთანაც:

პონტოს ნაპირებიდან ბერძენ კოლონისტებს დიდძალი ქართული ცხვრის მატყელი გაჰქონდათ. ამ მატყლის ხარისხი ისე მოსწონდათ, რომ მას ოქროს აღარებდნენ.

შეიძლება აქედან იყოს წარმომდგარი ლეგენდა — საქართველოში ოქროს მატყლოვანი ვერძისა და არგონავტების შესახებ, რომელიც კლასიკური მითოლოგიის ავტორმა ძველმა ბერძნებმა შექმნეს.

თვით ბერძენი ისტორიკოსები და გამოჩენილი მწერლები — ჰომეროსი, პლინიუსი, ქსენაფონტე და სტრაბონი განსაკუთრებით აღნიშნავენ საქართველოში მეცხვარეობის მნიშვნელობას.

ჩვენი ძველი ხალხური ეპოსიც სავსეა ლეგენდებითა და სიმღერებით, რომლებშიც ასახულია მეცხვარეობის, როგორც მასიური მეურნეობის ხასიათი და თვით ხალხის დამოკიდებულება ამ დარგზე.

ამ მზრივ ყურადღებას იპყრობს ერთი გადმოცემა: *მეცხვარეობა*
საწყალი კაცის ოჯახში შევიდა ცხვარი. შუა-ცეცხლთან მას მხართეძონე წამოწოლილი სიღარიბე დახვდა.

— დამიცალე ეგ ადგილი, — უთხრა ცხვარმა.

— რა გინდა?

— რძით სავსე საწველელი უნდა დაედგა!

სიღარიბემ სახლის ერთ კუთხეში გადაინაცვლა.

— ეგეც დამიცალე!

— ეს რალად გინდა.

— მანდ ყველის გულები უნდა დაეაწყო!

— აბა მეორე კუთხეში გადავა!

— არც იქ შეიძლება, იქ მატყლის ბარდანები უნდა დავალაგო!

— მაშ მესამე კუთხე იყოს.

— მესამე კუთხეს არ სცალიან, იქ ერბოს ქილები უნდა დაედგა.

— მეოთხე?

— არც იქ. ჩემი შვილები მალე ხორცსა და ტყავებს მოიტანენ და ის ადგილი მათ დასჭირდებათ!

სიღარიბემ მზრები აიჩეჩა, ბუხარში მიიყუჯა და ჩაიძინა.

როცა ცხვრის შვილებმა ხორცი მოიტანეს, სახლის პატრონმა, ყაჯრმისთვის ცეცხლი აანთო და ბუხარში შემძვრალი სიღარიბე კომლს გააყოლა!

ამ გადმოცემაში, საუცხოვოდ არის გამოხატული ხალხის შეხედულება მეცხვარეობის ბარაქიანობაზე და მშასადამე, მისდამი მისწრაფებაც.

ეს თქმულება უხსოვარ დროიდან მოდის.

უხსოვარ დროს ეკუთვნის ცნობები საქართველოში მატყლის რთვისა და მისი საფეიქრო დანიშნულებით გამოყენების შესახებაც, ამას ადასტურებს ჩვენში შალისა და ნოხ-ფარდაგის ქსოვისა და მენაბლეობის კულტურის სიძველე.

მშასადამე, ოდითგანვე მეცხვარეობა ჩვენში შეადგენდა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგს.

რა ვააკეთა ამ მანძილზე ჩვენმა ხალხმა მეცხვარეობის განვითარება-გაუმჯობესებისათვის?

ის მატერიალური მემკვიდრეობა, რაც ჩვენ წარსულიდან მიგვიღია, — ერთობ ღარიბია ამ თვალსაზრისით. ცხვრის მოვლისა და მისი ექსპლოატაციის ჩვენამდე მოღწეული ყველა მეთოდები აშენებულია აშკარა პრიმიტიულ ხერხებზე და არავითარ სტიმულს არ წარმოადგენს მეცხვარეობის განვითარების საქმის გაუმჯობესებისათვის.

მიუხედავად ამისა, მაინც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჩვენში მეცხვარეობას არ ჰქონდეს ვაველილი თავისი გენეტიური განვითარების საკმაოდ

სერიოზული საფეხურები. ამას ამტკიცებს მაგალითად, თუშურ ცხოვრების შესახებ არსებული მოსაზრებები, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვაქნება ლაპარაკი.

ეკონომიკური

ამას, ცხადია, თან უნდა ზღებოდა მოვლის პირობების გაუმჯობესებაც, მაგრამ ალბად რაიმე ისტორიულმა უკუღმართობამ, ეს დარგი კვლავ პრიმიტიულ დონემდე დაიყვანა. ამ პრიმიტიული სტრუქტურით მოაღწია მეცხვარეობამ ჩვენამდე.

ძველად მეცხვარეობა განვითარებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. შემდეგ მიწათმოქმედების განვითარების ნიადაგზე, მოხდა მისი ანგარიშიანი დარაიონება. მიწათმოქმედების გაშლამ ცხვარი განდევნა მთაში, სადაც საძოვარი ფართობი დიდია და ხვნა-თესვა კი — მცირე.

ეს ერთი ძირითადი მიზეზია იმისი, რომ მეცხვარეობას ჩვენი მთიანი კუთხეები ქონდა კერად. მთის მცხოვრებთა შორის კი მეცხვარეობა თუშფშაველებსა და ნაწილობრივ კი ხევსურების ხელში იყო.

განსაკუთრებით თუშეთში, ბუნებრივი პირობების გამო, ცხვარი მოსახლეობის ეკონომიკის დედაბოძა და მარჩენალს შეადგენდა. ეს დარგი მისი განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად იყო გადაქცეული.

ცხვრის მოშენებისათვის და როგორც ირკვევა, მისი ჯიშის გაუმჯობესებისათვის ზრუნვაც სწორედ მთის თემური ურთიერთობის პრინციპზეა წარმოშობილი. ამ მხრივ განსაკუთრებული კულტივ კი ქონდათ თუშებს: მათ ყავდათ მეცხვარეობის მფარველი ხატ-ღმერთები და მათთვის მსახურების ადათ-წესები ქონდათ გამომუშავებული.

თემური ზრუნვის საგანს შეადგენდა მეცხვარეობის შენარჩუნება-განმტკიცების საქმეც:

ერთის მხრივ, მესაკუთრული ინსტიქტი, და მეორეს მხრივ ცხვრის, როგორც კუთხის სამეურნეო ობიექტის, შენარჩუნების სიფრთხილის ალლო უძეგს საფუძველად მაგალითად, ოჩხარის, ანუ ოჩხის ტრადიციას, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, როგორც ჩვენი მეცხვარეობის სპეციფიურმა ჩვეულებამ:

ოჩხარი, ანუ ოჩხი — წარმოადგენდა ჯგუფური, ან თემური შეწირულების მოწყობას დაზარელებული მეცხვარის სასარგებლოდ.

თემურ ადათებში, საერთოდ, ცნობილი იყო შეძლებულ მეურნეთაგან ერთი-მეორის საკუთრების შენარჩუნებისათვის ხელის შეწყობის ჩვეულება. განსაკუთრებით საჭირო იყო ამ ჩვეულების დადგენა იმ აუცილებელი სტიქიური ხიფათის გამო, რაც კერძოდ პრიმიტიულ მეცხვარეობას სდევდა თან. ამ ხიფათს კი იწვევდა არამარტო კლიმატური პირობების ცვალებადობა, არამედ უმთავრესად ის, რომ ცხვრის მოვლა-მოშენების საქმეში აბსოლიუტურად არავითარი პროფილაქტიკა არ იყო, არავითარი წამლობა არ სწარმოებდა.

რის სანიტარია, რის ექიმი და წამალი!

— ცხორს რაით უნდების წამლობა? წამალ და დღმტურ ქალაქი მაგონილ იქნების!

— ცხორ თუ იავადებს, შალოცვაი უნდების, წყალჩინაქაშურაღვიინ-
ქილაის გავლენა!

ასეთი იყო მთიელ მეცხვარეთა „პროფილაქტიკა“ და მეკურნალობა. აუცილებელ შემთხვევაში კი — ისინი ყუთურს — შარდით „მეკურნალობდნენ“, რეტს — გიშერ-მძივების ნარეცხით და შელოცვილი წყალით, ხოლო მტაცებელთაგან დასაცავად და „მგლის პირის“ შესაკრავად“ შევტარა დანას და მაკრატელს დაბუტბუტებდნენ უაზრო ლოცვებს.

რა თქმა უნდა, ამ ცრუმორწმუნეობას ცხერის გადარჩენა არ შეეძლო და ზოგიერთ შემთხვევაში კი ის ამგვარ საფრთხეს პირიქით ჰქმნიდა და აძლიერებდა კიდევ.

ამის გამო, ხშირად იყო შემთხვევა, რომ მეცხვარეს მთლიანად ელუპებოდა ცხვარი და ხელცარიელი რჩებოდა საკუთრებიდან.

ასეთ დროს მას ოჩხარის წესით დახმარების იმედი ჰქონდა.

აი ამის შესახებ ერთი დამახასიათებელი ლექსის ნაწყვეტი:

...ჭრელა წავიდა ხოშორსა,
ცხორი შაჭჩა მთაზედა,—
ცივი რამ შახვდა თოვლ-ქყაპი —
სათრიალეთოს გზაზედა,—
მთლად ჩაურეგვა ფარაი
მეტ რო ებადა თმაზედა
სარეკ და ძაღლებ ლა დარჩა
ეგრე დაბრუნდა გზაზედა.
— ჭრელუა, რათ გი ძაღლები,
რალათ მაგიდის ბარჩია?
— კიდევაც გამამადგებან
ოჩხარით ნაშოვ ცხვარჩია.

ამ ლექსიდანაც სჩანს, რომ ოჩხარი, საკუთრების პრინციპის განმტკიცებისაკენ მიმართული თემური სტატუტის ერთი თვალსაჩინო მუხლი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წესი მხოლოდ მეცხვარეობას შეეხებოდა.

მეცხვარეები, ან საკუთარი ინიციატივით, ან ვისიმე შუამავლობით უწყობდნენ დაზარალებულ თანამოძმეს ასეთ ოჩხარს.

აი როგორ იმართებოდა ოჩხარი:

დაზარალებული პირი მოამზადებდა ლუღს, არაყს და ზორავს და მიიტანდა მას ხონჩებით ამორჩეულ ადგილზე, სადაც მიწვეულნი იყვნენ შეძლებული მეცხვარეები. აქ დალაგდებოდნენ „ღრეობად“, სვამდნენ გაპოხილი ჯამებით და ილოცებოდნენ:

„მშვიდობა მაგცას ყველასა, ლაშარი და კოპალი
 მაგეწივით, ერთ-უცის გატანაი შაგაძლებინათ, ცხორ-
 ძროხაი გიმრავლათ, ზარალ გაშორათ, ძალღ და კედლები
 ფხიძელ მაგცათ, მტერს დაგწივით, ზინათს მაგეწივით“

სადღეგრძელოებისა და ღრეობის შემდეგ, იწყებოდა დაზარალებულისათვის ცხერის გადალოცვა იმის მიხედვით, თუ დამსწრეთა შორის ვინ როგორი შეძლებისა იყო: აძლევდა ზოგი ხუთ სულ ცხვარს, ზოგი — ერთს, ზოგი ათს და ასე ხშირად ისევ ათასობით უგროვდებოდა ფარა დაზარალებულს.

ერთი კურიოზული ეპიზოდი, რომელიც ამგვარი დახმარების მასშტაბს ეხება:

ერთ ოჩხარზე, მიწვეულთა შორის მოხვედრილა ვინმე დიდი შეძლების პატრონი თუში მეცხვარე, რომელიც ჩამოხეულ-ჩამოგანგლული გამოცხადებულა ამ თავისებურ „ბანკეტზე“. რადგან საწყალი კაცის შთაბეჭდილება დაუტოვებია, ის სუფრის ბოლოში დაუსვამთ და სადღეგრძელოების დროს ყურადღება არ მიუქცევიათ. სადღეგრძელოებმა ჩამოიარა და ყველამ თავისი წვლილი აღუთქვა მეოჩხარეს.

არავის 4—5 სულ ცხვარზე მეტი არ უჩუქებია. ბოლოს ღვინით საესე კარახანა მიაწოდეს ამ „საწყალ“ თუშს.

მან უეცარი მუნასიბით უპასუხა:

საწყლათ ჩამთოლეთ ვაჟი? —

საწყალი მტრისამც ძმა არი:

გაგეგონების ყველასა

თრიალეთ დიდი მთა არი,

რვა ათას სული ცხორი მყავ

იმის ბატკანი სხვა არი, —

მე ასი მიჩუქებია

ოთხი და ხუთი რა არი?

ამრიგად, კერძო საკუთრების განსამტკიცებლად თავის კლასობრივ მოძმეს ზოგჯერ ასობითაც სწირავდა კულაკი თუში, რომელსაც „ტალავარ“ არ ეცვა ტანზე.

ბარში, ეს თავისებურად რაინდული ტრადიცია შერყენეს და ოჩხარი ჩარჩებმა გამოიყენეს სპეკულიაციის საგნად. არა ერთი შემთხვევა მახსოვს ჭიზიყიდან, რომ მრავალი დაღლარა და საზოგადოების პარაზიტი მოხერხებულად მოწყობილი ოჩხარის საშუალებით, დიდ ცხერის მებატრონე გახდა და ცა ქუდათ აღარ მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მაგრამ ასეთ ხალხსაც კი მხარს უჭერდნენ ძველი შეძლებული მეცხვარეები, რადგან მათ კლასობრივი ალლო მინც აახლოვებდა, როგორც ექსპლოატატორებს.

ეს ნათლად გამოსჭვიოდა მწყემსებთან დამოკიდებულებაში:

რამდენადაც ერთი-მეორისათვის კერძო მესაკუთრე მეცხვარეები არ ზოგადდენ ხელბარაქიანობას, იმდენად აუტანელ პირობებში ამუშავებდნენ ისინი დაქირავებულ მწყემსებს. არა ადამიანური ექსპლოატაციური მუშაობისა და ისინი მწყემსებს უწევდნენ, ნაზღაურდებოდა სრულად უმწიფროდ გასამრჯელოთი:

„წელიწადში ორი თოხლი, ერთი ლუბი შიშაქი, ერთი წყვილი ღორის ტყავის ქალამანი, რვა მანეთი და ერთი აბაზიცი ფული“.

ან „ნაბადი, ორი წყვილი ქალამანი და ერთი თოხლი“.

აი მწყემსის წლიური შრომის საშუალო ხელფასის შესახებ დადებული პირობის ქალაქის ზედმიწევნითი შინაარსი!

არც ადამიანური კვება, არც ბინა, არც ჩასაცმელი, არც საეჭიმო დახმარება, არც შევებულება.

კულტურული მომსახურება და საყოფაცხოვრებო პირობები. ეს ჩინური ზღაპარი იყო მაშინ, როგორც დამქირავებლებსათვის, ისე თვით მწყემსისთვისაც.

ამას დაუმატეთ, კატორღული რეჟიმი და მძიმე შრომა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გამდიდრების სურვილით გატაცებულ ცხვრის მეპატრონეს არ სურდა საკმარისი შტატი ყოლოდა და ცდილობდა მთელი ენერჯია გამოეწოვა მწყემსისათვის.

ხშირად ფეხშიშველა მწყემსი რთვილში და თოვლ-ქყაბში დაყვებოდა ცხვარს, ხდებოდა ავად და ბევრი მათგანი სიცოცხლესაც ესალმებოდა იმის გამო, რომ არ ქონდა ავადმყოფობის დროს მაინც თუნდაც ნაბად-ქვეშ დაწოლისა და ელემენტარული საეჭიმო დახმარების არც საშუალება და არც უფლება.

ბევრი ძველი მწყემსისაგან ვაიგონებთ გულის გამგმირავ სიმღერას მთაში შრომელი ვაჟაკის ასე უაზროდ დაღუპვის შესახებ:

ვაიელ-ვაიეილა,
 ღრუბელმ გააბა მზარი;
 გუგუთაშვილ მიტროს ბინა
 თრილეთშია — ცხვარი...
 პეტრემ ფარები გაშალა
 ბალახ გაუყვა ცხვარი,
 ერთმა გავლილმა ნოტომა
 კლდეზე მოსხლიტა ქვანი, —
 პეტრე ზევემა მაიტანა
 კენესით აჩამდენ მთანი
 ვაი რა ვაჟაკი კვდება —
 მშველელი არაეინ არი.
 სად არი დობტურ-წამალი
 შაუწყედეს სისხლის ღვარი?

...მეორე დილა გათენდა
შინ წამაიღეს მკვდარი, —
ეგეთია მწყემსის ბედი
უკულმართი და მწარი...



უკულმართი არ იყო სამაგიეროდ ცხვრის მეპატრონეთა ბედი. განსაკუთრებით მდიდარ მეცხვარეთა ბედი არ იყო უკულმართი.

მათი ცხვრის ფარები სერავდა შირაქის ველებსა და თრიალეთის იალალებს. გაზაფხულზე ნაახურევი ცხენებით წინ მიუძღოდნენ ისინი წალკასათუშოს გზით თრიალეთისაკენ შექეჩილ ბინებს, ახალქალაქში და ბაკურიანში კვირეების განმავლობაში ქეიფობდნენ ღრიანცელითა და „ტოშფანდურით“, ხოლო შემოდგომაზე მათს მსუქანს სახედრებსა და მძიმე ჯაფაში ჩამომხმარ მწყემსებს მიჰქონდათ ბარად მათთვის შექმნილი ღოვლათი: ყველის გულები და მატყლის ბარდანები, ტყავის კონები, გადამდნარი ერბო და ახლაკი.



ჩვენებური ცხვრის ბარაქიანობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც მეცხვარეობა, საქართველოს ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებდა, იგი რიცხვობრივად მაინც და მაინც დიდი არ იყო. მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში, ამ მხრივ სარეკორდო წლად შეიძლება ჩითვალოს იმპერიალისტური ომის დაწყების წინა წელი: 1913 წელს, სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ითვლებოდა სულ 1,663,488 სულაცხვარი. აქედან მილიონ-ნახევარი სული აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა, დანარჩენი კი — დასავლეთ საქართველოზე აჭარისტანსა და აფხაზეთზე.

მაგრამ ცხვრის ეს რიცხვი წლიურად მაინც ათი მილიონი ოქროს მანეთის პროდუქციას იძლეოდა (მატყლი, ყველი, ხორცი, ტყავი).

10 მილიონი ოქროს მანეთი — ქვეყნის ეკონომიკის წლიურ ბალანსში — აი როგორი იყო ჩვენი მეცხვარეობის როლი ომის დაწყებამდე!

ომმა და 1917 წლის რევოლუციამ მძიმე დაღი დაასვა მეცხვარეობას: შეიზღუდა ჩვენი საძოვრების ფართობი და კარჩაკეტილ მდგომარეობაში მომწყვდეული საქართველოს მეცხვარეობა კატასტროფიული შემცირების გზას დაადგა. და აი, 1921 წელში, მთელს საქართველოში ცხვრის რიცხვი 1,663,488 სულიდან 872,883 მხოლოდ სულამდე ჩამოვიდა.

47,5 პროცენტი დაკლება, ანუ სრული განახევრება 10 წლის განმავლობაში!

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ განვლილი დროის საველდებულო ნამატის რიცხვს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ათი წლის მანძილზე, თითქმის მთლიანად განადგურდა ომის წინადროს არსებული ცხვრის სულადობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გადაჭრით შეჩერდა ეს რღვევის პროცესი. კერძოდ, მეცხვარეობის შენარჩუნ-

ნებას და მისი განვითარებისათვის ხელის შემწყობი პირობების შექმნას დიდი ყურადღება მიაქცია პარტიამ და ხელისუფლებამ და მიიღო ზომები, რომ არ განადგურებულიყო ეს დიდი სახალხო დოვლათი.

სერიოზული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენი მეცხოველეობის აღდგენისაკენ მიმართული ღონისძიებები განადგურებული სოფლის მეურნეობის საერთო აღდგენისათვის ბრძოლის ფონზე. მაგრამ ეს იყო ჩვენი სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის შესავალი. ხოლო თვით ამ მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის მომავალი გეგმები კი, მეცხოველეობასაც ჩვენი მეცხოველეობის ისტორიაში ჯერ არნახულ პერსპექტივებს უქმნიდა.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ შეარყია სოფლის მეურნეობის პატრიარქალური წესებიც. კულაკობამ იყოსა მომავალი ბედი და ამოქმედა თავისი ავენტურა, რომელიც მიმართული იყო მესაქონლეობის დაჭუსმაკება-განადგურებისაკენ. „მწყემსში“ თავშეფარებულმა ნაჩარჩალებმა მოინდომეს თავისი „დარჩენილი საჭონლის ფულად ქცევა“ და სასაკლაოებისაკენ უქნეს პირი ძვირფას საშენებელ ცხვარს, დანითა და მასათით გამოეკიდა კულაკობის დიდი ნაწილი შირაქის ყალთაღებზე, ივრის სანაპირო კაქახუნებზე და თრიალეთის იალაღებზე შეფენილ ფარებს. ნაწილი კი ყოყმანობდა:

— კაცნი ვართ, ეგების გადავრჩეთ, უბნობენ, დიდი დღე არ უწერიათო.

რადიკალურად დადგა საკითხი მესაქონლეობა-მეცხოველეობის სოციალისტური გიგანტების ჩამოყალიბების შესახებ.

არა მარტო — ცხვრის ომის წინაპერიოდის რიცხვობრივ დონემდე აყვანა, არამედ მისი კიდევ მეტად გამრავლება, მეცხოველეობის კულტურულ საფუძველზე განვითარება, მისი მეცნიერულ-რაციონალურ ღიანდაგზე გადაყვანა — ასეთი იყო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბების ძირითადი ამოცანა. და აი პირველ ასეთ წამოწყებას საფუძველი ეყრება — უდაბნოში — აშხ. სევა კუნძულიშვილის ხელმძღვანელობით.

ეს იყო 1928 წელს:

საქართველოს მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტმა ყაზბეგში შეიძინა 7,112 სული თუშური ჯიშის ცხვარი და შეუდგა მის მომრავლებას — უდაბნოს ყოროლებში.

შვიდი ათასი სული ცხვარი — ეს ზომ მეტად მოკრძალებული ციფრია გიგანტური საბჭოთა მეურნეობის დასაწყებად, მაგრამ როცა ამ ციფრს საფუძველად ბოლშევიკური ტემპები უძევს — იგი საკვირველმოქმედ ციფრს წარმოადგენს.

ამ დღიდან დაიწყო ცხვრის მასიური შესყიდვა საქართველს ყველა კუთხეებში.

და აი 1929 წელს უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა უკვე 29,696 სულ ცხვარს ითვლის, 1931 წელს კი ეს ციფრი 48,000 სულს აღწევს.

უდაბნოს

მეცხოველეობის

ამას ეწოდება ზრდის გიგანტური ტემპები!

უდაბნოს მეურნეობა, არა მარტო თვითონ განმტკიცდა, სულ რაღაც სამ წელიწადში. ის ვადაიქცა სხვა, დიდი სოციალისტური მეცხოველეობის მეურნეობადაც, გამომჟღავნა კერადაც. აქ ჩატარდა ჩვენებური თუ შური ცხვრის კულტურულ ჯიშებზე შეჯგავრების პირველი ცდები, ხოლო უდაბნოში მიღებულ გამოცდილებებზე საფუძველი ჩაეყარა გიურ-არ-ხის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეცნიერულ საფუძველზე ჩამოყალიბებას და ელდარის მეცხვარეობის გიგანტს, რომელიც ამჟამად 54,000 სულ ცხვარს აერთიანებს და რომლის უახლოეს პერსპექტივას წარმოადგენს ცხვრის რიცხვის ნახევარმილიონ სულამდე აყვანა.

ამრიგად, ძველი, პრიმიტიული კერძო მეცხოველეობა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. იგი შესცვალა კოლექტიურმა მეცხოველეობამ და კულტურულ, მეცნიერულ საფუძველზე აღმოცენებულმა სოციალისტურმა გიგანტებმა. უდაბნო მეცხვარეობის ერთ-ერთი ასეთი მძლავრი გიგანტია.

დღეს უდაბნოს მეურნეობას 41.000 სული ცხვარი ჰყავს მის მუდმივ საზაფხულო იალაღზე. ამ ლაქვარდი ცით ვადმოხურულ და ახასხასებული ბალახების მწვანე ყდაში ჩამჯღარ მთის ქედებზე, უდაბნოს „პატარა ქალაქი“ აქვს გაშენებული.

მე ეს ქედები უდაბნოელთა საიალადო ცხოვრების გასაცნობად ამოგზავნი.

გაეცნოთ:

ჩინებული დილა გათენდა.

ცა უღრუბლოა და უფრო ლურჯი, ვიდრე ბარის ცა.

მე ახალგათენებისას გამოველ აივანზე, მაგრამ მზეს მაინც ვერ აუსწარი. ალანძულ დროშასავით ვადმომდგარა ის მაღალ მთაზე და სხივების ძნებს ისვრის ამ ტაფობში.

მაინც ცივა.

წუხელის რთვილი დასდო. მზეს ჯერ კიდევ იმდენი სითბო არ გამოუშვია, რომ გაედნო და აეშრო ქირხლი.

აი რას ნიშნავს მთის ჰავა. უკვე დურა-ტყავებით, ფარაჯებითა და ნაბდებით გამოდიან ქციელები!

დიდი ქვითკირის შენობის საჩხის ქიმზე ჩამოკიდებულ ფოლადის ნაჭერს, ტყავაქონილმა დარაჯმა რამოდენიმეჯერ შემოაკრა გრძელი ქვა და გატეხილი რკინის ზრინწიანი ხმაურობა მოიტაცეს ქედებმა, გადასცეს ერთი-მეორეს და ამ ჭარაფებში ჩაღვა გუგუნი.

ეს საყვირის მაგიერი იყო. მუშაობის დაწყების ნიშანი. გამოთინენ ამ მწკრივი ოდებიდან და აიენიანი ქვითკირის შენობებიდან. დაიწყო მიმოსვლა, ხმაურობა, განკარგულებების გაცემა.

გარკვეული

ამ შენობების კვარტალის ბოლოში გაისმა სატენების ჯახხხხი და ხელეჩოების კაკენი. იქ დიდი ქარხანა შენდება, ცემენტის სქელ კედლებს უკვე ლატანის ჩარდახს ადგამენ, მოზიდულია ყაფარი დასახურად, — წყაროს ნაპირას ქვითკირის ფართო შენობის წინ განიერ კუნძუზე დაკაპიწებული მზარეული კუწავს მსუქანი ქედლის ხორცს და პეშეებით ისერის ვეებერთელა ქვაბში. ეს მეურნეობის სასადილოა და მუშების და მწყემსებისათვის მზადდება საუზმე.

დაიწყო სამუშაო დღე ქციაზე და ამ მუშაობისათვის ერთი თვალის გადავლებაც გარწმუნებთ, თუ რამდენად დიდ საქმეს ჩაყრია აქ საფუძველი და რა დიდი მნიშვნელობის აღმშენებლობა ტარდება თრიალეთის ქედებზეც.

ტაფობს, რომელზედაც მოთავსებულია უდაბნოს მეურნეობის ადმინისტრაციული ცენტრის საზაფხულო სამყოფელი, უკავია 30 კვადრატული ჰექტარი. მას შუაზე ჩამოუდის უღელ-ტეხილის ქედიდან დაქანებული პატარა მდინარე, და ერთვის ამ ტაფობის ძირში, ცხრა-წყაროს ქედისა და მშრალი მთის ქუსლთან სანისლოს მწვერვალებიდან ზოგან აურ-ზაურით, ზოგან კი უხმოდ მომავალ მოზრდილ მდინარეს — ქციას, რომელიც მიიმართება აღმოსავლეთისაკენ, და ბორჩალოს გადაჭრით — მტკვარში ვარდება. ეს ქცია, იგივე მდ. „ხრამია“, რომელმაც მალე მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ამიერკავკასიის ელექტროცენტრალის შექმნის საქმეში.

გარს უვლი, ვათვალიერებ და ფიქრში ვთვლი ამ კობტა, ქლაქურ შენობებს. ხომ არ არის ფუფუნება ამდენი ნაგებობანი მთაში. აგერ მწკრივზე ჩამოყოლებულია საცხოვრებელი ბინები — ისინი ერთსართულიანია, მაგრამ მაღალ ბალაგერზე დგანან და ფართო აივნები აქვთ. თითოში რამოდენიმე ბინაა. ცხოვრობენ სპეციალისტები კანტორისა და სხვა დარგის მომუშავენი, აგერ იმ გრძელ და მაღალფანჯრებიან შენობებში კი საადრიცხო-საანგარიშო განყოფილებაა — იქვეა კლუბი და მის ქვეშ კი საწყობები, შემდეგ საბნის საბდელი პატარა ქარხანა, საერთო საცხოვრებელიც ცოტა მოშორებით არის. უახლოვდები ფერდობზე გრძელაივნიან დიდ შენობას და ვკითხულობ პატარა წარწერას:

„სააეადმყოფო და აფთიაქი“.

შევიღვარ. მშვენიერი ამბულატორიაა მთის კვალობაზე: ყაფაზები წამლებით სავსეა. მოდიან მწყემსები, ზოგი გაჭრილ ხელს იხვევს, ზოგი წამალს ღებულობს. ერთი გაქონილტყავიანი მწყემსი თბოულობს რაღაც წვეთებს.

— ხანდისხან მუცლის ტკივილი ვიცი ხოლმე, ცოტა „ლობანწყის კაპლი“ („გომფანის წვეთები“) ჩამისხი ამ ბოთლში, „ზაპასათ“ ვიჭონიებ.

— გაზეთები მოსულა, ახალი გაზეთები! — გადასძახიან ერთ-მეორეს ეზოში მოფუსფუსეები.

მალე კიბეზე ამოდის რამოდენიმე მწყემსი და მოითხოვენ გაზეთებს.

— მაიტა ჩვენი „პორცია“ გაზეთები, — ფერმაში მივდივართ და თავთ დაეარიგებთ!

მწყემსებს ილღიაში ამოუჩრიათ ახლად მიღებული კოსტად შეკერილი ტანისამოსი და საქალამნე ტყავი. დღეს იმიტომ იყო ასეთი ფუსფუსი: კანტორის ეზოში, კუთვნილ სპეცტანსაცმელს ურიგებენ მწყემსებს, გუშინ მთელი ურემი მოიტანეს დატვირთული თბილი ტანსაცმელით.

— ამ დღეებშია სევა ზუხალაშვილი (კუხალაშვილი) იყო აქ, — გვეუბნება ჭალარა-შერეული, მზით სახეგარუჯული მალალი მწყემსი, — გენახა რომ ტანისამოსი დაგვძველებიყო და გვითხრა გამოგვიზავნითო, — მართლაც კარგი „ფეცტანისამოსი“ გამოუგზავნია.

— ძან ჩასბანდი კაცია ჩვენი სევაი, — ურთავს დამჭაშვით მეორე ტანდაბალი მწყემსი, რომელსაც რკინით მოსალტული კომბალი უჭირავს და თან ტყავის ქუდის გაქონილ ფამფაროებს იცილებს თვალებიდან.

— ჩაიცი რალა, ძია სანდრო, ენახოთ როგორ დაგშვენდება.

— აქ რათ წაეზბინო: — აი მივდივარ შვებულობაში და ბარში ჩავიცვამ!

ტანდაბალი მწყემსი, რომელიც დამჭაშვით უდგას გვერდით, გამკილავი კლოთი მიუგებს:

— შაი-შაი რო მორთული ჩაუხვალ ი ბებერ დედაკაცსა!

დანარჩენები იცინიან.

ორიოდე შეკითხვას ვაძლევ ძია სანდროს მწყემსების ახალი ყოფაცხოვრებისა და მუაშობის პირობების შესახებ, — მას ზომ აი გაცვეთილ გუდასთან ერთად, მხრებზე ჰკიდია ძველი მწყემსის დუბჭირი ცხოვრებიდან დარჩენილი მოგონებები.

სანდრო მოკლედ მიჭრის:

— ცხვარში მუშაობაი, ადვილი არ არის, მაგრამ ძველი პირობები მაინც რა მოსაგონარია? აი ზომ მხედავ, ამ ბებერ კაცსა ქალაღის კითხვა მასწავლეს, — ბაღლობისას მენატრებოდა, მაგრამ სად იყო შაძლებაი? ეხლა სხვაა, თვალი აგვიხილა, ჭვეყნის ავ-კარგი დაგვანახა ჩვენმა მთავრობამა.

— ზუხალაშვილმა მთაში გამოგვიგზავნა მასწავლებლები, დაგვსხეს და ანა-ბანა შაგვასწავლეს, — ისევ ურთავს ტანდაბალი „დამჭაში“.

საკითხი ეხება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, რისთვისაც თავის დროზე მართლაც გაიგზავნენ მასწავლებელთა ბრიგადები და ინსტრუქტორები ცხვრის ბინებში.

და აი შედეგიც:

ეს ხნიერი მწყემსები, რომელთაც წინად ჭვეყნის ბრუნვისა არაფერი გაეგებოდათ, დღეს გაზეთების საკუთარ „პორცია“-ს მოითხოვენ!

— როგორ ფიქრობ, ძია სანდრო, ცხვარში ცოდნა საჭირო ყოფილა?

ძია სანდრო ილიმება და თვალებთან მარაოსავით ევეცება მისი აგან გარუჯული კანი.

— საჭირო და ენგრე? — ცხვარშია უფრო ძალუმ ყვეფეფეფე, სჭირო ცოდნაი, — ცხვარი ჭევენის შამნახავია, იმის კარგ მოვეფეფეს ჩევეფეფე სდომებია. წინათ ეს არ ვიცოდით, ეხლა კი — ჩვენი მთავრობაი აუფს არა შვრება რომ ბალღ-მოხუციანათ ყველას გვასწავლის.

მერე თვითონ მაძღვეს შეკითხვას:

— ეგრე რითენინა მკითხავ, თითონ ნასწავლი ჩანხარ და განა შენ არ იცი ცოდნის ძალია?

— შენი აზრი მაინტერესებს, ძია სანდრო, შენ ძველიც გინახავს და ახალის შედარებაც შეგიძლიან.

ის მცირეს ფიქრობს და მერე დამაჯერებლად მომიგებს:

— ჩემი აზრი ის არი, რომა რაც ახლა ჩვენი მეცხვარეობითენინა კეთდება, ამას ჯერ არავენ მოსწრებია. ამას სწავლა უნდა, რომ ჩავხედეთ და გავიგოთ.

— აკი იმიტომაც მოაყარა ხუხალაშვილმა ამოტოლა ნასწავლი ბალხი ამ ჩვენ შეურნეობასა, — დასძენს ტანდაბალი მწყემსი, რომელიც აქამდე მიღებულ გაზეთს ათვალეირებდა.

დანარჩენები თანხმობის ნიშნად თავს იქნევენ.

— ენგრეც უნდა!

და ძია სანდრო მიღებულ გაზეთებს იბლუჯავს, აწყობს მათ მხრებზე მოკიდებულ გაცრეცილ გულაში და კიბეზე ჩასვლისას ხელში გვიდებს მუხის ქერჭივით დასერილ და ქონით გაპოხილ ხელს.

— მშვიდობით დარჩით!

— კარგათ იყავით. — უმატებს „დამქაში“.

— გამარჯვებით იარეთ! — დასძენენ და ჩადიან კიბეს.

ექიმი ღიმილით მიყურებს და შეკითხვას:

— გეტყობათ თქვენთვის მოულოდნელ ეპიზოდს გადააწყდით არა?

— ნ-და-ა, საინტერესოა!

ამ პრიმიტიულ „ინტერვიუშიც“ ნათლად მოსჩანს ჩვენი ეპოქის ტუხილები. მოსჩანს ის დიდი მუშაობა, რომელიც გაშლილია შეურნეობაში, როგორც მეცხვარეობის ახალ საფუძველზე განვითარების, ისე მწყემსების კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესების დარგში.

— „რაც ახლა ჩვენს მეცხვარეობაში კეთდება, ჯერ არავენ მოსწრებია“.

რა მკვერმეტყველური პასუხია მოხუცი მწყემსისაგან, რომელიც მიწაზე მიჭყლეტილი ყავდა ძველ ცხოვრებას და რომელსაც ახალ ადამიანად აკეთებს ჩვენი დრო.

და მე უნებურად მაგონდება ჭიზიყელი მეჩონგურის სევდიან სიმღერაში აწერილი მეცხვარის უკულმართი ბედი და ტრადედია, რომელიც შეიძლება სწორედ აქ, ამ ვაღმა კლდეებში მოხდა:

„... ვაი რა ვაგაკი კედება,
მშველელი არვინ არი,
სად არი დობტურ-წამალი
შეუწყდეს სისხლის ღვარია...“



გათავდა.

შოგონებად გადაიქცა ის უსიხარულო დრო. ახლა არის მშველელიც და „დობტურ-წამალიც“, წერკუმსიც და გაზეთებიც, შვებულებაც და კლუბიც, სპექტანსაცმელიც და „ლოხმანწყის კაბლიც“, ელექტრონიც და რადიოც, არის ახალი ეპოქა, დიდი სოციალისტური მშენებლობა, რომელიც აქაც, ამ თრიალეთის ქედებშიც, ამოჭრილა თავისი ძველამოსილებით.

და თითქოს ყველა ამ გარემოებისათვის ხაზის გასმა მეზობელ ოთახიდან გამომავალი გულიანი სიმღერა:

ძველი დრო მოკვდა, დაემარბეთ,
ზედ მივაყარეთ მიწა
საბჭოთა ხელისუფლებამ
ხალხს შეება-ლხენა მისცა, —
მოვსპეთ ძველი სიდუხჭირე,
ძველი ადათებია,
კულტურულ ცხოვრებისაკენ
გავიკაფეთ გზებია.

რეზონანსიანი მთები იმეორებენ ნამღერს. სიერცე საესეა ჰანგით.



ქციაზე, მეურნეობის ნაგებობათა შორის ყველაზე დიდ ყურადღებას ახლად აშენებული ყველ-კარაქის ქარახანა იქცევს.

ეს არის ცემენტითა და ნახლენი ქვით ნაგები დიდი მკვიდრი შენობა. მისი კედლების სისქე უდრის ერთ მეტრს, აქვს ფართო ფანჯრები და ცემენტის იატაკი. ქარახანა აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და მასში მოწყობილია რძის გადამამუშავებელი და ყველის დამზადების ყველა პროცესების გამეღელი განყოფილებანი (რძის მისაღები, გასათბობი, დრიტვის მოსარეველი, სეპარატორებში გასატარებელი და სხვ.). ქარახანა უკვე დამთავრებულია და გამართული ახალი მანქანებით, ორთქლით სათბობი სისტემით, სეპარატორებითა და დამხმარე ხელსაწყოებით. საქარხნო წესით ყველის დამზადება ქციაზე თუმცა აქამდეც სწარმოებდა, მაგრამ მას ერთგვარი კუსტარული ხასიათი ჰქონდა, 1934 წლის გაზაფხულიდან კი იმ ქარახანას ევალება მეურნეობაში ყველისა და კარაქის მთლიანად დამზადება.

ქარხნის ამუშავება ახალ პერსპექტივებსა ჰქმნის იალალზე ვასული ცხვრის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნაყოფიერების

ზრდის საქმეში და თუ გავითვალისწინებთ, რომ 1933 წლის წველის პერიოდში უდაბნომ 240 ცენტნერი ყველი და 1500 კილოგრამი კარაქი დაამზადა, ცხადი ვახდება ამ ქარხნის ამუშავების დიდი მნიშვნელობა.

ქარხნის გადასწერივ, მთის ძირში შემოფარგლული მოზრდილი საფარდულო ადგილი, რომელშიც გამართულია გრძელი მაგიდები.

— ეს ჩვენი მომავალი საპარსი საამქროა, — გვიხსნის მეურნეობის უფროსი სპეციალისტი ზოტეჩნიკოსი ამხ. ირ. სიფროშვილი, — ჩვენ პარსვის მექანიზებით უნდა მოვსპოთ ცხვრის გაპარსვის პატრიარქალური წესი, რომელიც სტანჯავს ცხვარს, აძნელებს მპარსავის მუშაობას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და ზრდის მატყლის დანაკარგს.

საპარსიდან საქმაოზე დაშორებით, მდინარის პირად, ბექობზე დიდი შენობაა ორი განყოფილებით — ერთი ვეტპუნქტი, მეორე — ცხვრის ლაზარეთი, რომელშიც სანიმუშოდ არის დაყენებული ცხვრის პროფილაქტიკის საქმე. მათ ასწერივ კი გადაჭიმულია დამხმარე შენობათა მოზრდილი კვარტალი.

ამრიგად, ეს შეიძლება მიწის გაჩენის დღიდან უდაბური მთის კალთები დღეს მოფენილია მკვიდრი შენობებით, საწარმოო, სამკურნალო და კულტურულ დაწესებულებებით და სცემს ახალი ცხოვრების ჯანსაღი ნაკადი.

და რა უცნაურ კონტრასტად მოგეჩვენებათ აი ამ ქარხნის გვერდით დარჩენილი ძველი მიწურის ნახევრად დანგრეული ქვა-ალიზის კედლები, სადაც წინად კერძო მეცხვარეთა ბინა ყოფილა მოთავსებული. ამ წივას ბოლით გარუჯულ ქვებს, რაღაც პირველყოფილობის დაღი აზის და როდესაც უყურებთ მათ და მათ გვერდით გაშენებულ კვარტალს, უფრო მეტი აზრი და სიმაგრე ეძლევა ახალგაზრდა თუშის სიმღერას.

„ძველი დრო მოკვდა, დაემარხეთ,
ზედ მივაყარეთ მიწა“...



ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში არის ერთი „ახირებული“ პრეცედენტი:

გამოჩენილი ქართველი რომანისტი ალექსანდრე ყაზბეგი ერთხელ ცხვარში იყო როგორც მწყემსი. ეს, ყველას ფანტასტიურ მოვლენად მიაჩნდა.

— ნასწავლი კაცი, უნივერსიტეტის შემდეგ, ცხვარში. რა დაცემაა ადამიანის, — აი მაშინდელი საზოგადოების „მარბილი“ შეფასება.

მთაში ყოფნას და მეცხვარეებთან სიახლოვეს უძრახავდნენ ვაჟა-ფშაველასაც, თუმცა იგი მეცხვარე არასოდეს ყოფილა.

ისე რომ მეცხვარეობა წინად უტოლინართა და უვიცთა ხელობად მიაჩნდათ.

ეს შეხედულება და რეგენული ტრადიცია დაამსხვროს საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩვენმა უნივერსიტეტმა და ინსტიტუტებმა მრავალი აფაჩქრეცულნი სპეციალისტი გამოუზარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სპეციალისტად მეცხვარეობას. ამას ადასტურებს უდაბნოს მეურნეობის მცოდნე სპეციალისტთა კადრებით სიმდიდრე, თვით მეურნეობის სტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბებულია მეცნიერ სპეციალისტთა ფართოდ გამოყენების ბაზაზე და ის დიდი მუშაობა, რომელიც ტრესტმა ჩაატარა და ატარებს სოციალისტური მეცხვარეობის კულტურულად განვითარების დარგში.

მეურნეობის ყველა პასუხსაგებ სამუშაოს ხელმძღვანელობენ უმაღლესი კოდნით აღჭურვილი სპეციალისტები — დაწყებული დირექტორიდან ფერმის გამგებამდე.

ამ ხალხის ხელთ იქედება დიდი სოციალისტური მეურნეობა. ტარდება უაღრესად მნიშვნელოვანი აგრო-ზოოპროდუქტიკური ღონისძიებები და გაშლილია ინტენსიური მუშაობა მეცხვარეობის ახალ საფუძველებზე განვითარებისათვის.



მეცხვარეობის გაუმჯობესებისათვის წარმოებულ მუშაობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხვრის კვების პირობების გარდაქმნა-გაუმჯობესების საკითხიც.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა დაწყებული ქციაზე.

უდაბნოს მეურნეობას ქციაზე უქირავს 10,000 ჰექტარი საძოვარი ფართობი. ეს ფართობი მთლიანად თრიალეთის ალპიურ ზონაში შედის. როგორც უცხოთ, დაბალლეროვანი, ალპიური ბალახების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მწვანედ (საძოვრის სახით) ამ თვალსაზრისით, თრიალეთის ალპიური ზონა ჩვენში პირველხარისხოვან საძოვრებად ითვლება და მდიდარია იშვიათი ბოტანიკური კოლექციით:

ეს ბუნებრივად მდიდარი საძოვრები პირდაპირ გააპარტახა ძველმა პრიმიტიულმა მესაქონლეობა-მეცხვარეობამ. კერძო მეცხვარეები პირდაპირ დანაშაულებრივად ტვირთავდნენ ამ ძვირფასი ბალახებით გადაშვანებულ ფართობებს.

ასე ყუათგამოცლილი და დაღლილი საძოვრები გადავიდა უდაბნოს მეურნეობის ხელში. მათ აღსადგენად, ლებულობენ სერიოზულ ღონისძიებებს: სწარმოებს ტიტველი კორდების გადახვნა-გადათესვა, ცალკე ნათესებზე მინერალური სასუქების მოყრა, უჯიშო, სარეველა ბალახების განდევნისათვის მიღებულია პარტიკული ღონისძიებები.

ერთის სიტყვით, გათვალისწინებულია ყველა შესაძლებლობათა გამოყენება იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ამ საკმაოდ ფართო და მეტად იშვიათ მწვანოვანი საძოვრების მთლიანად აღდგენა და ამ გზით

მეურნეობის მტკიცე საიალალო საკვები ბაზით მთლიანად უზრუნველყოფა.

ეს კი უდიდეს პერსპექტივებს უქმნის ჩვენი მეცხვარეობის კულტურული განვითარებისა და ზრდის საქმეს.

საქართველოს
სოციალისტური
საბჭოთა რესპუბლიკის

წუხელ შემოდგომის პირველმა თოვლმა მოვერცხლა მთები. ახლა კი — მწვერვალზე გადმომჯდარი პირბუდალი მზე თავზე გვამტვრევს ჩალისფერ სხივებს, მაგრამ მას სითბო უკვე აღარა აქვს. მთამ თეთრად დაიჩაჩქნა თავი და მოახლოვებული ზამთრის სუსხით დაიწყო სუნთქვა. დამთავრდა საიალალო სეზონი. ცხვრის ფარები დაბლობებში ჩარეკეს და დღეს-ხვალ მთლიანად უნდა დაქეჩონ ისინი თავქვე-აღვეთისაკენ. ქციაზე ფუს-ფუსია: ლაგდება, იკვრება და იტვირთება ქარაენები. ყველა იკრეფს გუნდა-ნაბადს და ბარში წასასვლელად ემზადება.

მეც მოვათავე სტუმრობა და ავიკარ ბარგი-ბარბანა.

— უდაბნოშიც უნდა გვეწვიოთ, — მპატიჟობენ გამოთხოვებისას ქციელები.

— დიდის — ხალისით გეწვევით ამხანაგებო!

ტფილისიდან უდაბნომდე ორ გზას მივყევართ:

— ერთს — მატარებლით საგარეჯომდე, რომელსაც ივრის გადაღმა 30 კილომეტრიანი მრუდე გზატკეცილი აგრძელებს, მეორეს — ლოჭინ-სამგორისა და აზამბურის კალთების გავლით — ივრის სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ.

მეორე გზის სიგრძე 70 კილომეტრს უდრის და აეტოთი ორი საათის საეალია.

შურდულივით მიჰქრის ამ გზაზე ფორდის მანქანა და ახალ ნამთევ თვალს იტაცებს ტრიალ-ბარბაციით უკან გაქცეული მინდვრების ფერადების სხვადასხვაობა.

მაინც რა მკვეთრი კონტრასტებით არის საესე ჩვენი ქვეყნის ბუნება: ორი კვირის წინად მთიდან თოვლმა და ჯანლმა გამოგვაცილა, ბარმა კი — მწიფე მტევნები, გატენილი ტაროები და ყვითელი ფოთლების შრიალი შემოგვაგება.

ახლა შუაშემოდგომის ამინდია და ჯერ კიდევ აღმურს უშვებს ყალთალებში ჩამდგარი შუადღის მზე. მაგრამ ნიავის სისინში მაინც იგრძნობა ზამთრის მოახლოვება: დილით რთვილი ედება მინდვრებს, საღამოთი კი — მზე უცბად ეარდება ტაირის დაბალ გორაკებს იქით.

მანქანამ უსუნთქებლივ დალია ნავთლულის გადატრუსული მინდვრები, გავცდით სამგორისა და ლოჭინის მწვენიან კალთებს და აზამბურის ვენახებიანი ზოლიდან შევიჭერით ივრის სანაპირო ყალთალებში.

ივრიდან დაწყებული ყარღან-ავშანით, სატკბურათი, ველურა იონჯით, ურო-ბალახითა და ზარანით დაფენილი ბორცვები და შთაოქნები უწყევს ტაირისა და აჯია-ბაიდარის სერებამდე, რომლის შემდეგ იწყება ყარა-დუზისა და არამ-დარის გასადევრები.

ივრის სანაპირო სანახები ძველთაგანვე საუკეთესო საძარო საძოვრებად ითვლებოდა. ძველი მატთანე ამ ადგილებს იხსენიებს, როგორც იშვიათ საზამთრო ყალთალებს:

„... ამით შეუნიერთა ადგილთა, — აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი... შინა ზამთრსა ვითარცა არესა გაზაფხულისასა ითიბების თივა და აქუს შემაი და წყალი უხუბებით, და მუნ არის სიმრავლე ნადირთა თითოფერთა და საშუებელი ყოველი“ — ი. (იხ. ფ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“).

ივრის სანაპიროები, თუმცა მათზე ზამთრობით თივა აღარ „ითიბების“, მაგრამ დღესაც საუკეთესო გარდამავალ საძოვრებადაა მიჩნეული. შემოდგომა-გაზაფხულობით იქ თავსდება თითქმის მთელი გარე-კახეთისა და ნაწილობრივ ბორჩალო-ადრბეიჯანის რაიონების ცხვარი და ძროხა.

ამ ველებისა და ივრის სანახების მოზრდილი ფართობი წარმოადგენს უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის გარდამავალ საძოვრებს. აქ არის გაფენილი თრიალეთიდან ახლად დაბრუნებული ცხვარი, რომელიც ნელ-ნელა ინაცვლებს ზევით, საზამთრო ბინებისაკენ.

გზაში გვერდს უვლით ხე-ტყით, ლურსმანით, შუშების ყუფებითა და ჩალით დატვირთულ ურმების გაბმულ ქარავენებს.

ეს მასალები უდაბნოში მიდის. იქ ახლა გახურებული მუშაობაა: შენდება ახალი სახლები და კანტორები, სწარმოებს საზამთრო კულტურული ფარეხების კაპიტალური რემონტი, რომ კარზე მომდგარი ზამთრის სუსხიან მათრახს დროზე შეუსწროს ცხვარმა თბილ, ნათელ და სუფთა ბინაში. ამისათვის წიელს შემოდგომაზე რამოდენიმე ასეული ათასი მანეთი იხარჯება, საგარეჯოს რაიონში იწინდება მუშა-ხელი, ურმები, გამწევი ძალა. ქალაქიდან მოდიან კვალიფიციურ დურგლებისა და კალატოზებისაგან შედგენილი ბრიგადები და გზაშივე იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აი ამ აღმართებს იქით, ბორცვებით შემორკალულ ტაფობში უთუოდ ქალაქი უნდა შენდებოდეს.

ზმუილით აღის მანქანა ამ გორაკზე და შურდულივით ეშვება დაღმართზე. ამ გორაკის ზურგიდან იშლება მოულოდნელი სანახაობა:

დაცემული ტაფობი 30 ჰექტარის რადიუსით, რომელსაც გარემეშორკალად არტყია თრიალეთის ქედიდან მომავალი სერების ნაწყვეტები: ნატახტარის, ბაიდარის, დეფსიზ-ტარის და გარეჯის სახელიანი და უსახელო გორაკები და ბორცვები. ტაფობში პატარა „ქალაქი“ მწყრივი შენობებით და მოედნებით, „ქალაქს“ სამხრეთ კი — ვრცელი მინდვრები შემოდგომის უკვე მოზიბინე ჯეჯილით.

ეს არის უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა.

ამ შენობების შუამოედანში რომ შედიხართ, სმენას მართლაც ქალაქის ხმაური ეღება:

ქლოშინობს ელექტრო-სადგური, გუგუნებს ძრავის წიქქეფი და ხეობს ქარხნებში წივიან ფოლადის ხერხები, საზეინკლო-მექანიკური სამსახურის ნოში ზრიალებენ გრდემლები და ჩაქუჩები, ხოლო ეზოდან ეზოში გადაძახილი, მოგროვილი ხალხის საუბარი და შენობებიდან გამომავალი ლაპარაკის ხმა ავსებს აქაურობას.

მეურნეობის ცენტრში ყველაზე დიდი აივნაიანი შენობაა, რომლის სოგრძე ათეულ საეწეს აღემატება. ამ შენობაში მოთავსებულია მთავარი კანტორა, კოოპერატივი და მშვენიერად მოწყობილი კლუბი რადიო-მიმღებითა და წიგნთსაცავით. მის დასწვრივ დიდი სასადილოა, შემდეგ საწყობები, სატრაქტორო ბარკი, აბანო, ფარდულეები და მრავალი წვრილი ნაგებობანი. მეურნეობის თავში დირექციის შენობაა, რომელსაც აგრძელებენ ქალაქის ტიპის საცხოვრებელი სახლები, მოშორებით კი განცალკევებით დგას ამბულატორია თორმეტსაწოლიანი სტაციონარითა და აფთიაქით, ამ სამკურნალო დაწესებულებისათვის ახლად შენდება მეორე ქვის შენობა, რომელიც მოწყობილი იქნება სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მოედნის მეორე ქიშში დიდი ახალი თეთრი შენობაა აღმართული: ეს ვეტ-ამბულატორიაა. მის გვერდით კი გრძელი და ნათელი კულტურული თავლა აუშენებიათ, რომელსაც ახლა ყავრით ზურავენ და მასში აყალონახერხიდან აგებენ ზღვე-იატაკს.

ეს თავლა მართლაც იმდენად კულტურულია, რომ არა თუ ცხენების მოსათავსებლად, არამედ ის რომ ტფილისში გადმოიტანოთ, ალბად მასში ჩასახლებისათვის ორდერების მისაღებად ყურთა-გლეჯა შეიქნებოდა ქალაქის საბჭოს კომუნალურ განყოფილების კარებთან. ამ შენობას რკალად ევლება უფრო ადრე აშენებული ბოსლები, თავლები და დროებით საცხოვრებელი ბარაკები.

ამას გარდა, ახლა გახურებული მშენებლობაა. ორი-სამი ალიზის შენობა მთავრდება, იხურება და იქვსება. დაწყებულია დიდი საცხოვრებელი ქვეთიკირის სახლის შენება. ისე, რომ უდაბნოში არ იგრძნობა ბინების სიმცირე, რაც ეგრე დამახასიათებელია ჩვენს სხვა დარგის ახალ მშენებლობებზე. წელს კი უდაბნოში იმდენი ბინები იქნება, რაც კი საჭიროა ყველაზე ჭარბმუშაბელიან სეზონში.

ცალკე, დამოუკიდებელი ბინები აქვთ მეურნეობის სპეციალისტებსა და ოჯახიან მუშა-მოსამსახურეებს. მათ მოუწყვიდა საკუთარი მეურნეობანიც: ყავთ ძროხები, ღორები, ფრინველი და მეურნეობის ნათესებზე ეძლევათ ცალკე დამუშავებული ნაკვეთები ბოსტნეულითა და სხვა მოსავლით.

ამასთანავე, დირექციის შენობაში გამოყოფილია ცალკე სასტუმრო ოთახი — დროებით მიმსვლელთათვის.

შენობებიდან ცოტა მოშორებით მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური, რომლის მგრობობიერი მოწყობილობანი გამუდმებით ამოწმებენ ამინდის პულსს.

ენციკლოპედია

ერთ-ერთ კუთხეში პირამიდისავით დგას ახლად აგებული კვლევითი ცენტრი: მისი სიგრძე 60 მეტრს უდრის და 22,000 ფუტ მარცვლელს იტევს. ეს ბეღელი საკუთარი მოსავლისათვის აუგია მეურნეობას. ბეღლის გადმოსწორივ კი განუწყვეტლივ იზრდება და ნამდვილი პირამიდები იღვამება რალაც შავი ალიზის ბრტყელი კუბიკური ნაჭრებისაგან.

ეს გემრის წივაა, — რომელსაც ცხვარი იძლევა, როგორც უფასო ქვანახშირს.

გემრა — ცხვრის განავალს ეწოდება. იგი სქელ ფენად იტკაცება ზამთრის ბინებში. და როცა ხმება, ყავარივით იბობა და შესანიშნავ საწვავ მშალას წარმოადგენს. აქვს დიდი თბიერება და უტყუო ადგილებში, იგი თავისუფლად სცელის შესასა და სხვა სათბობს. უდაბნოს უტყუო მიდამოებშიც გემრის წივა დიდ პატივშია და მეურნეობის ყველა ბინები და შენობები მხოლოდ მისით თბება.

ზიდავენ, ზინავენ, ანაწილებენ, მიაქვთ გემრის წივა ბინებში, სასადილოში, ოჯახებში. ზამთარი ახლოა, სიცივე მოდის და ხალხი ფუსფუსებს თეთრი სტუმრის შესახვედრად.

მოედნის თავში, მალალ ბოძებზე ჩამომხულია დიდი ყოფილი საეკლესიო ზარი. იგი საათის მაგიერობასაც ეწევა და კანდელის როლსაც ასრულებს.

— აქ დიდი ნისლები იცის ზამთრის პირას, ჯანლი ელექტრონის შექსა ჩრდილავს და ღამე მოსიარულე მწყემსებსა და მგზავრებს გზა ეკარგებათ. მაშინ, დრო-გამოშვებით ზარს ვრეკავთ და მის ხმაზე მოდიან გზა-აძღენილინი, — გვიხსნის მეურნეობის კომენდანტი ქიტა მანგოშვილი.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა.

ამ „პატარა ქალაქს“ აქვს თავისი ნამდვილი კომუნალური და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება და გაქანება. აქ სცემს მშენებლობის მძლავრი მაჯა და ამ მშენებლობის მასშტაბი ისე დიდია, რომ ყოველი თვე თუ კვარტალი უცვლის მას გარეგნულ სახეს: ზრდის, აფართოვებს და აღმაზნებს უდაბნოს.

მაგრამ ეს არის მეურნეობის მხოლოდ ცენტრი. ამ „ქალაქს“ თავისი ჭანჭტოება აქვს აი ამ მთებისა, ღელეებისა და შოროქნიანი მინდვრების უბნებში. ეს ადგილები მოფენილია ბინებით, ფარეხებით, საცხოვრებელი ქოხებით, კანტარებითა და მათი რადიუსი 60—80 კილომეტრს უდრის. იქ ცხოვრობს და სძოვს ცხვარი, იქ მრავლდება ის, იქიდან მოდის მისი ოქროს წონა პროდუქცია.

ამიტომაც რომ ამ „ქალაქიდან“ განუწყვეტლივ მიდიან სააღმშენებლო მასალებით დატვირთული ურმების ქარავნები, საველე სამზარეულოები, გეგმები და განკარგულებები.

სტოცხლობს და ფუსფუსებს მთელი ეს სანახები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაყრუებული და დაყამირებული იყო — სტოცხლობს უდაბნო ამ შრომისა და მშენებლობის სიმფონიაში.

გაქონული
ბიზნისიონი

მთიდან დაბრუნებისას მეცხვარეთა პირველ საზრუნავს საზამთრო ბინების მოწესრიგება შეადგენს. ზამთარში კარგად დაბინავებაზე დამოკიდებულია არა მარტო ცხვრის ფიზიკურად გადარჩენა სიცხეებში, არამედ მისი გამრავლებისა და ზაფხულის ჯანმრთელობის საქმეც.

ზამთარში მაკე ცხვარს უნდა მეტი ჰაერი, მეტი სისუფთავე, შუქი და სითბო.

ამაზე კი როდი ფიქრობდენ ძველად.

ძველი, მიწამიყრილი გომური, ჩაორთქლებულ-ჩახურებული გვირაბი იყო ჩვენი ცხვრის საზამთრო პრიმიტიული სადგომი. საშინელი სიციწროვე და ანტისანიტარია ჩვენს ცხვარს ვზას უხსნიდა დეგენერაციისა და დაჩაივებისაკენ, ზრდიდა მის ზარალიანობას და ავრცელებდა ცხვრის მემკვიდრეობითი სნეულებას.

უდაბნოს საბჭოთა მეურნეობამ პირველმა დაარღვია ჩვენში ცხვრის საზამთრო დაბინაების ქვის საუკუნის დროინდელი ტრადიცია. მან ცხვარს მისცა ჰაერი, შუქი, სიმზრალე და სისუფთავე. ჩვენი ბარის კლიმატიურ პირობებთან შეფარდებით, მეურნეობამ გამოიმუშავა ცხვრის კულტურული ბინების ტიპი, რომელიც აშენებულია მიწის ზემოდ, აქვს ფართო ფანჯრები, ვენტილაცია და საჭირო შემთხვევაში გათბობის შესაძლებლობაც.

ასეთი ტიპის ბინა აგებულია ფიცრის კედლებით, მას აქვს საკმაოდ მაღალი ჭერი, და გადახურულია ჩალით. ძირში მეტრ-ნახევარ სიმაღლემდე, კედელსა და კედელს შუა შემოყრილი აქვს მიწა — შიგნიდან კი აკრულია ფირფიცარით, რომ ქარის დროს ან ჰაერის მერყეობა არ შეიქმნეს, ან მტვერი არ დადგეს ბინაში. ტიპური ბინის საშუალო სიგრძე 80 — 85 მეტრს უდრის, სიგანე 5 — 6 მეტრს. აქვს რამოდენიმე ფართო ფანჯარა და ორი, ან სამი კარები.

სასურველია მეტი ფართობის ნორმა ჰქონდეს შიგ შერევილ ცხვარს, ვინაიდან ვიწროდ მოთავსებულ ფარის ბინაში დიდი აზიაკის პროცენტის ვაჩერება, რაც იწვევს მატყლის გაცევის გაძლიერებას და თვით ცხვრის სასუნთქ ორგანოებისა და ლორწოვანი გარსის გაღიზიანება-დაავადებას.

ვიწრო ბინაში დიდი ტრავმატიზმის პროცენტიც. ამას ვარდა, მკიდროდ შერევილი ცხვარი ერთმანეთს ეხლება და იღვერება. ხშირია ვაოფლვის შემთხვევებიც, რაც იწვევს განსაკუთრებით მაკე ცხვარის ადვილად გაციებას და მის გაბერწყმას.

ყველა ეს დეფექტები თავიდან აცილებულია მეურნეობის ბინებში, რომლებშიაც ამჟამად მოყენილია დეფსიზის, აჯიას, ყარა-დუზის უდაბ-

ნოს, ჯანგირის, მალაჩის, თელიან-ხევის და ჩამძვრალას მინდორებს და ღელეებს.

ჩამოთვლილ რაიონებში მეურნეობას აქვს 34 ასეთი ტიპის მშენებლობებიც საჭირო ნორმის ფართობით იტევს და აკმაყოფილებს 45.000-მდე სულ ცხვარს.

ამ ბინების შეკეთება, მათი დეზინფექცია, გადახურვა გაუმჯობესება და პირველი თოვლის მოსვლამდე მათი მთლიანად მომზადება — ცხვრის შესარეკად — აი დიდი საბრძოლო ამოცანა, რომელსაც შემოდგომა აყენებს ტრესტიასა და მეურნეობის ხელმძღვანელობის წინაშე.

სწორედ ამ პერიოდში ვესტუმრე უდაბნოს და სიამოვნებით ვსარგებლობ შემთხვევით, რომ დავათვალიერო და გავეცნო მეცხვარეობის საბინაო მშენებლობა და მისი ახალი შილწევები.

ჩვენ ცხენებით მივემგზავრებით ბინებისაკენ, რომლების საერთო რაოდენობაც 70—80 კილომეტრს უდრის.

პირველი მარშრუტი ჯანგირისა და ყარა-დუზისაკენ ავიღეთ.

ეს ყორულები და საზამთრო ბინები მდებარეობს მეურნეობიდან სამხრეთ დასავლეთით, ტფილისის მიმართულებით და მანძილი 25 კილომეტრამდე აღწევს. მათი გასადევარი სათიბ-საძოვრები კი ათას ჰექტარებში გამოიხატება.

მივცვებით აღმართ-დაღმართზე და ხეობებში დაქნილ გზებს. ადგილ-ადგილ გვხვდება კუბიკურად დადგმული ქვის ზეინები და დაგროვილი მასალა. ეს ფერმების ახალი ბინებისა და კანტორების ასაშენებელი მასალაა. რამოდენიმე ადგილას კი ბორცვებიდან ლარივით დაქანებული ღელეების ძირში მუშაობენ ბრიკადები — თხრიან, ტკეპნიან, ლოტნიან, აღრმავებენ და რკინის კოჭებითა და მიწაყრილებით ამგვრებენ ხევს. ეს გრანდიოზული მიწის აუზები კეთდება, სადაც ზამთრის თოვლის ნაღობი და გაზაფხულის ნაწვიმარი უნდა ჩადგეს, რომელიც შემდეგ ცხვრის სასმელად იქნება გამოყენებული.

ასეთი მიწის რეზერვეუარი ამჟამად სამ ილაგას კეთდება. უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც უწყლო ბინებია, რომ ცხვარს შორს მანძილზე არ მოუხდეს წყალზე სიარული.

ადგილ-ადგილ კი მეურნეობას მშვენიერი სასმელი წყაროები აქვს. გამოყვანილი საკმაოდ შორი მანძილიდან. აი ჯანგირ-ყარა-დუზის გზაზეც, ოდესღაც უდაბური ხეები, ახლა დაქსაქსულია წყალსადენის თუჯის მილებითა და ცემენტის ლარებით.

ამ წყალსადენის მიმართულებით უხვევთ, ხევის ბოლოში გავდივართ და თვალწინ გვეყუდება ბორცვის ქიმზე აშენებული, წითელი თუნუქით გადახურული რამოდენიმე სახლი. ბორცვის ძირში კი რამოდენიმე მწკრივად ჩალაგებულია გრძელი ცემენტის ნაგები და ონკანის მილიდან მაჯის-სისხოდ სცემს ანკარა, ცივი წყალის შადრევანი.

ეს ჯანგირის ბინები და საზამთრო ყოვლებია.

თუნუქიან შენობაში ფერმის კანტორა და საცხოვრებელი ბინებია, ხოლო ცხვრის სადგომები მოზრდილი ინტერვალებით ქედებს ქედებს შორის მიმოფანტული. ისინი აშენებულია ისე მოხერხებულად, რომ ქაჩის დედას, რაც აქ ხშირად იცის, არ გაცივდეს ცხვარი და არ დაიფანტოს საკვებად მოზიდული თივა.

ჯანგირზე ცხრა ბინაა ასეთი.

აქ შეკეთება უკვე დამთავრებული დაგეგვდა. შიგ რომ შევედი, გადარბეულ მშრონველობად მომეჩვენა პირუტყვისათვის ასეთი ბინების აგება, მათზე ამდენი ხარჯის გაწევა და მასალის დაბანდება.

— აქ ხომ სიამოვნებით იცხოვრებს ადამიანი: საჭიროა ტახტი და მაგიდაც დაუმატოთ და მშვენიერი, ნათელი, დიდი, სუფთა საცხოვრებელი ბინა იქნება.

ვაგრძელებთ გზას და ამ თემაზე განვაგრძობთ საუბარს.

ამ საუბარში მე ბევრ ახალს და საინტერესოს ვგებულობ საქონლის ცხოვრებისა და მისი მოვლა-მოშენების დარგში.

მუსაიფს მოულოდნელად გააწყვეტინებს ხევიდან ამოვარდნილი ხელჩოებისა და ჩაქუჩების კაკუნი.

ეს ყარა-დუზის ბინებს მივადექით.

ღურგალთა ბრიგადები დასევიან გრძელ ფარეხებს და ავლებენ ახალი ფიცრების სარტყელს, აბამენ კარებს, უცვლიან ჩარჩოებს, სხავენ შუშებს. ზემოდან კი — აზამბურელი დუხაბორები ზურავენ ჩალას და თან გუნდათ ბოშურ კილოზე რალაც ხალისიანს მღერაინ.

ნელი ნიავი მოდის ყარაიიდან, სიმღერას, კაკუნსა და შრიალს იტაკებს: შიაქეს ველებზე, ხევებში გორაკებზე და ყარა-დუზი ივსება შრომისა და მშენებლობის ხმაურობით.

ყარა-დუზ!

ათასეული წლების განმავლობაში ყრუ და უდაბური შოროვნები, აქ მყუდროება იწეა მუდამ გაზაფხულობით, ყარაიელები თუ გამოატარებდნ აქეთ საქონლის ნახირებს, ან სათიბებზე ვადმოსული გარეჯელები თუ დაარღვედნ აჭაურ ხავსიან დუმილს, ისინიც ეშურებოდნ, რომ ყარა-დუზზე ხროვად მოთარეშე მგლების სარჩოდ არ გამხდარაყვენ.

აქ რა უნდოდა შენობას, ჩაქუჩ-ხელჩოხსა და მომღერალ ხალხს?

ახლა ყარა-დუზის მინდვრებზე უზარმაზარი მკვიდრი ფარეხები და საცხოვრებელი ბინებია აშენებული. მის ფართო ყოვლებში დგას თივის უთვალავი ზვინები და ისმის შრომისა და მშენებლობის ხალისიანი ხმაური.

— ყარა-დუზ!

ეს წმინდა თათრული სახელწოდებაა. ქართულად შავ მინდორს ნიშნავს, ისევე, როგორც „ყარაიაზ“ ნიშნავს შავ ზაფხულს.

რამდენი ალაგია ჩვენს ქვეყანაში ასე გადანათლული, მაგრამ რატომ, ვისგან, რა მნიშვნელობით, — არავინ იცის.

რატომ ჰქვიათ ამ მშვენიერ მინდვრებსაც — შავი? *ერკუნული*

შეიძლება იმიტომ, რომ აქაური ჩირგვიანი ხეები ყველგან ყველგან ყველგან იშვიათი ჯიშის შავი მელებით, მუქი გნოლებითა და ყორნისფერ შურგიანი შვლებით. ან შეიძლება რაიმე ისტორიულ შავ მოგონებასთანაც იყოს დაკავშირებული ეს ახირებული სახელი.

არავინ იცის.

ის კი გამორკვეულია, რომ ყარა-დუზზე უფრო კომპაქტურად ამოდის შედარებით სუფთა ბალახები, ზამთარ-გაზაფხულზე ცხვრისათვის ზომიერი და რბილი ჰაეაა, ხოლო ზაფხულში ბლომა თივა ითიბება.

უდაბნოს საბჭოთა მეურნეობას ყველა ეს პირობები გათვალისწინებული აქვს. აქ დიდი ბინაა, და თითო მათგანი იტევს 1,000-დან 2,000-მდე სულ ცხვარს.

მეურნეობას ასეთი ბინები აქვს ჯანგირზე, დეფ-სიზზე, უდაბნოში, აჯიაზე, ჩამძვრალაზე, ჩალიან-ხევში, მალაჩში.

მალალი, ნათელი, სუფთა, ჰაერიანი, თბილი ზამთრის 34 ბინა, რომლის მსგავსი ჯერ არ მოსწრებია ჩვენს მეცხვარეობას.

ამ საბიანო მშენებლობაზე ტრესტს უდაბნოში დღევანდლამდე დაზარალებული აქვს 1,905,155 მანეთზე მეტი.

ორ დღეს მოუნდით ცხენებით ამ უბნების შემოვლას და შთაბეჭდილება, რაც ამ ბინების დათვალიერებით მივიღე, ჩემთვის, მეცხვარეობის საქმის უცოდინარი კაცისათვისაც, ნათელს ხლის იმ უდიდეს ძვრებს, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა ჩვენს მეცხვარეობაში და რაც ბრწყინვალე პერსპექტივებს უქმნის მისი შემოდგომა განვითარების საქმეს.



დადგა ზამთარი.

ივრის სანაპიროებიდან ამოსულმა ცხვრის ფარებმა გადააპენტეს უდაბნოს ველები. ყინვამ შეკუმშა ჰაერი და ცხვარი დაბინავდა თავის დროზე შეკეთებულ და დეზინფექცირებულ თბილ ბინებში.

ახლა გარშემო ფივი მყუდროებაა. მთებზე ჯანლები აწყვია და იჭიდან ვადმოყრილი მატყლზე უთეთრესი თოვლის ფანტელები ავსებენ უდაბნოს ველებს. ზოგჯერ ქარი ქრის და ბუქს აყენებს. სიცივე ძვლებამდე ატანს და თოვლი მუხლამდეა.

ასეთ ამინდში ცხვრის საძოვრად გარეკა არ შეიძლება. არ შეიძლება განსაკუთრებით მაკე ცხვრის გარეკვა, რადგან თუ ცხვარს თოვლი მუცლამდე სწვდება, იგი შდილად ცივდება, ემართება ანთება, ბერწდება და სასიკვდილოდაც იწირება. ამ პერიოდში მეურნეობის ცხვარი იკვებება ბინებში, როგორც თივით, ისე კონცენტრირებული საკვებით.

კონცენტრირებულ საკვებად ითვლება სხედასხვა სახის კარმოვან-ცილოვანი კობკონები. შერია, ჭერი, ქატო, როში. ასეთი საკვები საჭიროზე მეტია უდაბნოს ზამთრის ბინებში.

სოციალისტურმა მეცხვარეობამ სამუდამოდ დამარხა, ^{უცხოეთის საკვები} ცხენის საკვები რო მთელის პრიმიტიული წესები. ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში საზამთრო ჰიგიენური ბინებისა და რაციონალური საკვები ბაზის შექმნამ გამოაფხიზლა მათი შემხედვარე მეზობელი მეცხვარეებიც.

დღეს — უდაბნოს მაგალითებს ნაწილობრივად უკვე იყენებენ ყარაიისა და გარე-კახეთის მეცხვარეობის კოლექტივები. ისინი ზრუნავენ ბინების გაუმჯობესებაზე, შეაქვთ მასში სანიტარიის ელემენტები და შეძლებისდაგვარად საზამთრო საკვებსაც იმარაგებენ.

ეს კი მეურნეობის ორნაირ გამარჯვებას ნიშნავს.

ზამთარში უდაბნოელებს მარტო ცხვრის კება როდი აქვთ საზრუნავი.

უდაბნოს აქვს თავისი საკმაოდ მოზრდილი დამხმარე მეურნეებიც:

მეძროხეობის ფერმა,

ცხენთსაშენი,

მარცვლეული,

მდელოსნობა და...

პატარა ვენახებიც კი.

ყველაფერ ამას მოვლა უნდა, თავის გართმევა, სამზადისი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტრესტის სისტემაში შემავალ სოციალისტური გიგანტების უმრავლესობას აბასიათებს მეტად შესანიშნავი მიღრეკილება: ისინი თავის გარშემო ანეითარებენ საკმაოდ უნივერსალური განზრის დამხმარე მეურნეობებს იმ ვარაუდით, რომ თავისი დიდი შტატის საჭიროებისათვის ძირითადი პროდუქტები თვითონვე მოიწიონ და ერთი-მეორესაც მიაწოდონ.

ამ მხრივ, არც უდაბნო ჩამორჩენილა.



თოვს.

ზამთრის პატარა დღეს კიდევ უფრო აპატარავენს ჯანლიანი დილა და საღამოს აღრეული ბინდი. დემურ-დალისა და აჯია-ტაირის გორაკები დოლბანდიანი ხოჯებივით შემოსხდომიან გარშემო უდაბნოს ველებს.

ველებზე კი — სითეთრე და მყუდრებაა.

დრო-გამოშვებით, შორეული სიგნალებივით გაიელვებენ ფარეხებში შორივთ მწყემსების ფარნები, სადღაც აბაბანდებიან მშვიერი მგლები, ხოლო ფარეხების გარშემო მათ გააეებული ყეფით უპასუხებენ თეოზე მწოლი ძაღლები.

მათი ხმა ბინიდან ბინაზე გადადის, მრავლდება და ქუხილივით ედება ხეობებს. შემდეგ კი მისწყდება და ლამის სიჩუმე კვლავ ხუფივით ეხურება აქაურობას.

თოვს.

ეს სიჩუმე მართლაც უდაბნოს გაგონებთ.

მაგრამ აბა გაყურდით და დაუგდეთ ყური:

საიდანაც შადრევანივით ცოცხალი, ჯანსაღი სიმღერა იმდროგამომშვებით, ჩონგურის მონოტონური ჭკითინი იცვლება ტაშით, ხარხარით, შეძახილით და კვლავ სიმღერა მოდის.

ეს ბინებში თავმოყრილი მწყემსები მღერიან, ცეკვავენ, სიტყვით კენწულაობენ, შაირობენ და მარჯვედ ნასროლი სიტყვა გულიან სიცილად აღნობს მათ ქარბ ენერგიას.

მეცხეარობას, მწყემსობას, ძველათგანვე ჰქონდა თავისებური ფოლკლორი, თავისებური ეპიკა: აზრიანი და სევდიანი შაირებით, პამფლეტებით, ფანტასტიური ზღაპრებით საესე ეპოსი.

ეს ფოლკლორი მწყემსობამ სოციალისტური მეურნეობის ბინებშიც შემოიტანა. მაგრამ იგი შეივსო, გააღამაზა, აზრი და ჯანსაღობა მისცა ახალმა ცხოვრებამ. და მწყემსის თითებმა გაჭონილ ჩანგურზე ახალი ჰანგები ააწყო.

ახლა ამ ჰანგებზე მღერიან მწყემსები: შაირობენ, პაექრობენ, ცეკვავენ, იცინიან და გულიანად მოდის ხალისის შადრევანი.

გარეთ თოვს.

თეთრ ფანტელებად ჩამოდის და უდაბნოს ველებს ეფინება მყუდროება და სიცივე.

უდაბნოს ბინებში კი შუქი და სითბოა.

ბინებში ახალი ცხოვრებაა,

ახალი ხალისი,

ახალი აღამიანების განწყობილება.

თაროებზე ათასჯერ გადაფურცლილი გაპოხილი წიგნები აწყვია, კედლებზე ბელადების სურათები, შაშხანები და ხანჯლები ჰკიდია, კუთხეში კი დვას დაფა გვეგმებითა და დიაგრამებით.

თითოეულმა მწყემსმა იცის ამ დიაგრამებისა და გვეგმების ენა.

მწყემსი და დიაგრამა!

ფთიოდე წლის წინად რომ გეკითხათ მწყემსისათვის:

— იცი რა არის დიაგრამა?

ის უმწეო ღიმილით შემოვანათებდათ თვალებს და გაკვირვებით შეგეკითხებოდათ:

— აბაიძე, სადაველ ენაზე უბნობ?

ახლა კი — აბა რომელ ბინაშიც ვინდათ, შედით, რომელ მწყემსსაც ვინდათ, მოუთითეთ დიაგრამაზე და კითხეთ:

— ეს რა არის ამხანაგო?

ის გაკვირვებით ავითვალღიერ-ჩაგათვალღიერებთ და გაკვირვებითვე შეგეკითხებათ:

— რატო ენგრე მეკითხები?

— მაინც რა არი?



— რა არი და დიაგრამაა, ვერა ხედავ?

შემდეგ განვიმარტავთ:

— ეს ჩვენი „ცოცხლის“ საერთო დიეგრამაა, ეს კიდევ უფრო დაგვიმარტავს, — აგერ ის დაყოფილი სვეტები კი ფარებსა ნიშნებს უნდა ჩვენი გვემბოი, ყველამ თავისი საქმე უნდა იცოდეს, გვემით უნდა იმუშაოს. და მწყემსი ამაყად იღიმება.

ეს ამბავი პირადად შემემთხვა ერთ ხნიერ მწყემსთან და მაშინ ვიფიქრე:

აი როგორ გადაუკეთებია სოციალიზმის მშენებლობის ეპოქას ეს ძველი მასალებიდან აგებული ადამიანი!

შემდეგ გულიანი საუბარი შემხვდა ახალგაზრდა მწყემსთან და დავსძინე:

აი როგორ ჯანსაღ და მომზადებულ ახალ ადამიანებსა ზრდის სოციალიზმის მშენებლობის ეპოქა!

აი ამ გადაკეთებული და ახალი ადამიანების პატარა სერია მეურნეობის საერთო ოჯახიდან:

უდაბნოს კანტორის აივანზე ვდგევარ. დაბალი კიბით ამოდის ხნიერი მწყემსი. მას ცხვრისოდენა ქუდი ხურავს. ქალაქებზე გაყინული თოვლი აძევს და ჭლარა ულვაშებზე ჭირხლი შეყინვია. ის ჩერდება კედლებზე გამოფენილ დიდ წითელ დაფასთან — რომელსაც შავი განყოფილებაცა აქვს, დიდხანს უცქერის და ტუჩებს აცმაცუნებს. შემდეგ საყვედურით ამბობს.

— ე ტიელა ველარ კი ვარჩევ და!

შემდეგ მე მომმართავს:

— ერთი წამიკითხე გეთაყვა!

— რა წავიკითხო? — გაკვირვებით ვეკითხები.

— რა და, აი დაფაი!

— რა გაინტერესებს?

— მინდა გაეიგო, კიდევ ვწერივარ თუ არა?

— ეწერე როდისმე?

მან ჩაიცინა.

— სულ ვწერივართ! ერთი წყება ბიჭები, აი, საიჭ, ორი წელიწადიც იქნება, რაც ვწერივართ. — ჯაბრშია, როცა პირველათ გავიმარჯვეთ. (სოცშეჯიბრებაში) მაშინ ჩავვწერეს: ჯილდოც რამტოლჯერ მოგვეცეს... აი ემ ადგილას ვეწერე ხოლმე და, რაღაც ეხლა ველარ ვარჩევ!

და მწყემსი ერთ კუთხეში მიმითითებს დაფაზე.

— შენი გვარი? — ვეკითხები მე.

— საგინაშვილი სანდროი, ჩაილურიდანა!..

დაფაზე იმ ადგილას არ სწერია საგინაშვილის გვარი, არც სანდრო, არც ჩაილური. იმ კუთხეში, სადაც მან მიმითითა, გამოქიმულია თათრული გვარი:

„მაჰმად ისმაილ-ოღლი“.

მე ვკითხულობ ისმაილს: — და ვკითხები მის ცნობას.

— ეგ მულანლოელი თათარია, მართლაც კარგი მწყემსია, კარგად იცნობს რელი. ეგ უნდა იყოს, მაგრამ მანდ, მგონია, მე ვეწერე. აბა ქვევით წაიკითხე!

— ნიკა მეურმიშვილი, — ვკითხულობ მე.

სანდროს კმაყოფილებით თავს მიკანტურებს და ნიკას ვინაობასაც მაცნობს.

— ო, ეგ კარგი ბიჭია. ძველი მწყემსია. აგრე სცნობს ბატყანსა, როგორც კაცმა შვილი იცნოს. საქმე უყვარს და მუყაითია. ჰო, ეგ ღირსია წითელ დაფაში ჩაგდებისა...

სანდროს მაინც მხრების აჩეჩვით ეძებს თავის გვარს.

— აბა ქვევით ჩაიკითხე, მაშ მე და ჩვენი ბიჭები რო ვიყავით ჩაგდებული, აღარა ვართ?

— ფილაური მიხა — განვაგრძობ კითხვას.

— აი აღალია მაგაზედა! ვენაცვალე ჩვენს უფროსებსა, რო ღირსეულებს აფასებენ ხოლმე. — კმაყოფილებით მაწყვეტინებს სანდრო.

შემდეგ პეშვით უღვაშებს იწმენდს და განაგრძობს:

— ამ ეგ მიხაი, პირდაპირ მეცხვარეობისთვი გაუჩენია ღმერთსა. მაგისი ხელი და ფეხი არ მაისვენებს, ფიქრითა საქმით ცხვარს არ მოშორდება, გაჭირვების ტალკევისს რომ იტყვიან — სწორეთ ის არი. შარშან გაზაფხულზედაც ორი-სამი კაცით დოლი ისე ჩაატარა, რომ ყველას გვაჯობა, ჰაი ჰაი რომ ეკუთვნოდა წითელ დაფაში ჩაგდებაი!

სანდროს მაინც არ ასვენებს ცნობისმოყვარეობა:

— ქვევით ვინლა სწერია?

და მე ვკითხულობ მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი მწყემსების სახელებს: სანდრო ნაცვლიშვილი, ვასო შიოშვილი, პეტრო ტურაშვილი, გიორგი ფილიონაშვილი, ლადო ყუშიტაშვილი, მიხა ჯანიაშვილი, მუსა-აჯი-ოღლი, ზაქრო ფოლადაშვილი, ლადო ჯარიაშვილი, ფიფო კოქლაძე-შაშვილი, სანდრო სავინაშვილი, ვანო თედიაშვილი და ასე შემდეგ. გრძელი სია დაფის ბოლომდე ჩასდევს. აქ არ ეტყევა. მათი დამატებითი სიები აწყვია ღირექციაში, მუშკომში, ფერმებში.

ბევრი სახელი მეცნო დაფაზე:

ბინებში ყოფნისას, არა ერთხელ მომისმენია ფერმების გამგეებისა და უფროსი მწყემსების ატესტაცია ამ ხალხზე. ბევრი არიან ისინი — ეს საუკეთესო და მოწინავე მწყემსები. ბევრია მათში ხნიერი, ძველი მეცხვარე, მაგრამ არც ახალგაზრდობაა მცირე.

და მათ შორის შესანიშნავ ურთიერთგავლენას იგრძნობთ:

ძველების მაგალითებზე ახალგაზრდები სწავლობენ ცხვრის მოვლის ყველა სპეციფიურ მეთოდებს. ითვისებენ მათს ამტანობას და იძენენ მეცხვარის ჩვევებს. თავის მხრივ კი ახალგაზრდები აჩვენებენ მათ ახალი აღმოჩენების მისაბამ მაგალითებს, ათვისებინებენ ახალ, კულტურულ მეთოდებს, აჩვენებენ საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური მო-

პურობის ნიმუშებს და ხელს უწყობენ შრომის სოციალისტური ფორმების დანერგვას.

აი წელს ფერმებში სამეურნეო ანგარიში გატარდა, ხელფასებს პროგრესიული სანადრო სისტემა იქნა შემოღებული. ეს ძველმა მკვირვარებმა შეყოყმანდენ, იტყვიეს და აბუზლუნდენ.

— როგორ?

მგელმა ცხვარი შეჭამოს და დანაკარგი ჩვენ გამოგვიჭვითონ?

— ავადმყოფობამ ცხვარი მოკლას და ზარალი ჩვენ ვზლოთ?

— სად გავონილა?

— როდის ყოფილა?

საკითხი ახალგაზრდებმა დასჭრეს.

მეურნეობას გამოყოფილი ყავს კომკავშირელების ცალკე ფარა. ამ მთლად ახალგაზრდები მუშაობენ. მათ იციან შრომის სოციალისტური ფორმების ძალა, იცნობენ სამეურნეო ანგარიშის მნიშვნელობას, კომკავშირელების ფარა გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე და მალე საქმით დაუმტკიცა ყველას, რომ სამეურნეო ანგარიში ნიშნავს საქმის განპიროვნებას, პატიოსანი შრომის სტიმულს, მეტ პასუხისმგებლობას სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

და ხელფასის გადიდებას.

ძველმა მწყემსებმა შეიგნეს სამეურნეო ანგარიშის ძალა, შეიგნეს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის მნიშვნელობა და დღეს მეურნეობის თითქმის ყველა ფერმაში და ფარაში სამაგალითოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეტად აქტუალურ ობიექტებზე, იქ არა ერთი მოწინავე დამკვრელი მწყემსი ითვლება, რომლებიც თავისი სამაგალითო მუშაობით, თავისი ერთგულებითა და მუყაითობით იძლევიან ჩვენი ეპოქის მოწინავე მშრომელი ადამიანების მისაბამ მაგალითებს.

მუშაობს ეს ხალხი შეთანხმებულად უფროსიდან — უმცროსამდე — მუშაობენ დღისით მინდვრებში და ფარებებში, ნახნავეებში და სახელოსნოებში, კანტორებში და კლუბში, ასრულებენ დავალებებს და საღამოთი კი, როცა ცხვარი დაბინავებულია, იკრიბებიან ისინი ბინებში და წითელ კუთხეებში, კითხულობენ, საუბრობენ, უკრავენ, ცეკვავენ, პაექრობენ, აწყობენ შაირებს და მათი სიმღერისა და ჯანსაღი სიცილის ხმა არღვევს უდაბნოს მყუდროებას.

გარეთ კი თოვს.

დებურ-დალისა და აჯია-ტაირის გორაკები თეთრი დოღბანდებით შემოსხდომიან გარშემო უდაბნოს ველებს და უცდიან გაზაფხულს, მწვანეს, დოღს, თავის კალთებზე ფარების გაშლას და ჩვილი ბატყნების ბღავილს.

თოვს.

მეურნეობის ორმოციათასი სული ცხვარი იცნობება ზამთრის ბინებში და ვლის გაზაფხულს, მწვანეს, დოღს.

გაზაფხულისა და ამ მიდამოების ყრიაშულით ავსებას შიგლიან მწყემსები და მეურნეობის ხელმძღვანელები. ამ მოლოდინის სიღრმეში ატარებენ ისინი შუაზამთრის ღამეებს. — და უდაბნოს შორეულ მხარეებში იღვრება ბინებიდან გამომავალი სიმღერების შადრევანი.

გარეთ კი სითეთრე და მყუდროებაა.

მთებზე ჯანღები აწყვია.

მინდორზე მსუხსხავი ქარი ზუის.

ხევებში სიბნელე წევს.

თოვს.



... მთამ გადიყარა თოვლ-ჭირბლი,
ხევ-ხუვებს შიბარაო,
და ზედ იმაზე, ქუჩ-ქუჩად
ლუსუმამ გამოყარაო,
ქალები ფრინველით ივსება,
ცხვარ-ძროხის ძუძუ-რძითაო,
ტყე და მინდორი — მწვეანითა
ბექ-ბუქი ბალახითაო.
დოლი დგას, ველი აჩქამდა
ჩვილი ბატყების ხმითაო.

დოლი!

ბატყობა!

მეცხვარეობაში ყველაზე პასუხსაგებ და გულისსაფანცქალო პერიოდს შეადგენს დოლის პერიოდი:

ეს არის თავისებური ცოცხალი მოსავლის აღება, თავისებური დოვლათის ნიაღვარის მოვარდნა.

აი, შერეკავთ საღამოზე ფარეხში ათას სულ მაკე ცხვარს: შუალამისას შეიძლება ის ათას-ასად გადაიქცეს, გარიჟრაჟზე კიდევ ასი მიემატოს, ხოლო დილით კი ათას-სამასი სული დაგზვდეთ.

არა, კი არ უნდა დაგზვდეთ, — ეს თქვენს თვალწინ უნდა მოხდეს, თქვენი ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გაიხსნას ეს ცოცხალი მოსავლის მოდენის პროცესი.

სათუთი ბღავილით, ლასლასით, ტუჩების ცმაცუნით, ნახევრად გაუხვლი თვალებით მოდის და ემატება ფარეხს ახალი თაობა. მოდის და მოაქვს მეტად ჭირვეული მოთხოვნები. თუ დროზე არ მიაშველეთ ფხიზელი თვალი და მზრუნველი ხელი — მას დალუპვა მოელის.

ამიტომ, დოლი ყველაზე საგაწამაწიო პერიოდით ითვლება მეცხვარეობაში საერთოდ და საბჭოთა მეურნეობებში კერძოდ, სადაც რამოდენიმე ათეული ათასი სული ცხვარი ითვლება.

ასეთია დოლი უდაბნოშიც.

დოლი ზამთრის მიღვევისას იწყება. ამას მოითხოვს ჩვენი მეცხვარეობის მომთაბარული აუცილებლობის ინტერესები:

ნადრევე დოლს ის უპირატესობა აქვს, რომ ჯერ ერთი ბატკანი უკვე მოზრდილი და მომავრებული წავა მთაში და ის ადვილად აიტანს ყველა მოსალოდნელ სიძნელეებს. მეორეც ის, რომ დოლის ჩატარება ცივ ამინდში უფრო ხელსაყრელია ცხვრისა და ბატკნის ჰიგიენის თვალსაზრისით. მაშინ ადვილად ასაცილებელი ხდება ცხვრის ისეთი მასიური ავადმყოფობა, როგორცაა წიტა — ანუ თეთრი ფალარათი, რომელიც აუცილებლად თან სდევს დოლიანობას და რომლის მიკრობების გავრცელებას ხელს უწყობს თბილი ჰავა.

ამის გამო, მეურნეობაში ცხვრის გასანერგავად ყოჩების შეშვება იწყება იმ ვარაუდით, რომ დოლიანობა დაახლოვებით 15 თებერვლიდან დაიწყოს.

მეორეს მხრივ, ამ სასურველ მოვლენას წინ ეღობება მნიშვნელოვანი დაბრკოლებანიც:

ეს ის, რომ ჩვილი ბატკნის გამოკვება ადრეულ გაზაფხულზე შეუძლებელია, თუ უზრუნველყოფილი არ არის ნოყიერი საკვები ბალახებით მდიდარი ახლობელი საძოვრები და ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი ბინები.

წელს მეურნეობის მუშაობა მიმართულია ამ მოთხოვნილებათა მთლიანად დასაკმაყოფილებლად და როგორც ზემოდ აღვნიშნე, ამ დარგში უკვე დიდი წარმატებებია მოპოვებული. ისე რომ უღაბნოს საბჭოთა მეურნეობა ჰქმნის ადრეული დოლიანობის უზრუნველყოფელ ყველა წინაპირობებს.

ერთი სიძნელეც:

ადრეული დოლის დასაწყისად შუათებერვალია მიჩნეული.

ეს ისეთი დროა, როცა ჰაერის მერყეობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს დედა-ცხვარზე, და, მაშასადამე, განსაკუთრებულ სიფხიზლესაც მოითხოვს მისი მოვლის საქმეში.

დედა-ცხვრის ორგანიზმი, დადოლების შემდეგ, უფრო სათუთი ხდება და ადვილად ცივდება. ასეთ ვაციებებს კი თან სდევს ცურის ანთება, რაც იწვევს რძის ქიმიური შემადგენლობის ცვლას. ანთებით დაავადებული ცურის რძე ლუბულობს შრატის კონსტიტენციას: წყალდება, ყვითლდება, ჩირქდება, მასში იზრდება ხიბალი ელემენტები და ბატკანს ჩიჩრადავს.

ჩიჩრალის ნიადაგზე ბატკანი ლუბდება და იზრდება მისი სიკვდილიანობის პროცენტი.

ისე რომ ადრეული დოლი კიდევ უფრო აორკეცებს მეცხვარეთა პასუხისმგებლობასა და უზრუნველობის გრძნობას ცხვრის მოვლისა და ბატკნის გადარჩენის საქმეში.

ამ მომენტს დოლიანობის ვადამწყვეტად სთვლიან ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში.

ამიტომ დოლის ჩასატარებლად მიმდინარობს გულდაუპირარ მოსამზადებელი მუშაობა. ფარეხები იესება გამოცდილი კადრებით, მარჯდება ყველა ხელისშემწყობი საგნები, ტარდება ბინების დამატებითი დეკორაციები, მზადდება მათში კორაქნები, ლასტები, სანათურები, მინაში საფენი მასალა.

თვით დოლის დაწყების დროს ფარეხებში ინიშნებიან მორგე მწყემსები, რომელნიც უძილოდ ატარებენ ღამეს, ფხიზლობენ, ათვალეობენ ცხვარს და უცდიან მშობიარობის დაწყებას.

ამ შემთხვევაში, ცხვარსაც თითქოს აქვს თავისებური სიგნალის ინსტიქტი: იგი მშობიარობის წინ იწყებს ხშირ ადგომა-დაწოლას, ფეხების ბაკუნს, ზღაფილს და კენესას.

გამოცდილ მწყემსს ესმის ეს სიგნალი და თავზე ადგია, საჭირო შემთხვევაში დახმარების აღმოსაჩენად.

მწყემსის უპირველეს მოვალეობას შეადგენს მოგებისთანავე გაწმინდოს, გაამშრალოს ბატკანი, მოაწოვოს და დედასთან ერთად მოათავსოს ცალკე განყოფილებაში, რომელიც ახალმომშობიარებულ დედაცხვრისათვის არის გამოყოფილი. მეორე დღეს მწყემსი სინჯავს მოწოვა თუ არა ბატკანმა დამოუკიდებლად ძუძუ.

ხშირია, როცა პირველი ბატკნის ახალგაზრდა დედა, ვერ ერკვევა თავის ფუნქციებში, ფრთხება, ძუძუს არ აძლევს, ზოგჯერ ფეხით თელავა კიდევ ბატკანს.

აქ დაკვირვება მართებს მწყემსს.

იგი იჭერს გამოუცდელ დედა-ცხვარს და ბატკანს ძალით აწოვებს.

მოწოვების შემდეგ, თუ კარგი ამინდია, მწყემსს დედა-ცხვრები ჩვილ ბატკანებთან ერთად გამოყავს ბინის ახლო მიჩენილ საძოვარზე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ბატკანი დააკვირდეს ძოვის პროცესს, მასში განვითარდეს ძოვის ინსტიქტი. ეს ინსტიქტი კი მეორე-მესამე დღეს უკვე ილვჩებს ბატკანში და რძით კვებას გარდა, იგი ეტანება ზალახს. მწყემსს ევალება იქონიოს წინსაფარში არჩეული თივა და მიაწოდოს ის ბატკანს. ამას გარდა, ბატკანი ეტანება მიწას. მიწის მჭამელი ბატკანი ავადდება და კვდება.

აქაც სიფხიზლე მართებს მწყემსს.

ჩვილი ბატკანი დედასთან სამ დღეს რჩება ასეთ ნებიერ ყოფაში. სამი დღის შემდეგ დედა-ცხვარს აშორებენ და მიყავთ საძოვრებზე. ბატკანს კი — ურევნ თავისი ჰასაკის „ტოლ-ამხანაგებში“.

დოლის ამ საფეხურზე, ფარაში ხდება დედა-ცხვრისა და ბატკნის ასეთი დიდფრენციაცია: ერთი ჰასაკის ბატკანებსა და მათ დედებს ცალკე მწყემსები იბარებენ. ეს ჰქმნის დედა-ცხვრისა და ბატკნის სრულ განპიროვნებას და მწყემსებს საშუალებას აძლევს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიონ და ხელი შეუწყონ ცხვარ-ბატკანში დედაშვილური გრძობების გაღვივებას. ეს საჭიროა ფარაში ნორმალური წიოვებისათვის, რაზედაც დამოკიდებულია ბატკნის ზრდა-განვითარება.

აი ცხვარ-ბატკნის დედა-შვილური გრძნობებისა და დისციპლინის განვითარების რამოდენიმე ნიმუში:

საძოვრიდან დაბრუნებისას, დედა ცხვრებს ურევნ ^{უკვირებენ} ცხვრებს ბატკნებში. რამოდენიმე ასეული ცხვარ-ბატკანი ირევა ^{ცხვრებს} ბლაგილი. დედები ეძახიან შვილებს, შვილები-დედებს. თითქოს ერთნაირად ბლაგის ყველა ცხვარი, თითქოს ერთმანებსა ვაგვს ყველა ბატკნის ხმაც. მაგრამ დედებიც და შვილებიც სცნობენ ერთმანეთს სწორედ ხმაზე და ჟივილ-ხივილით გარბიან ერთი-მეორისაკენ. შეხვედრისას კი დედა-ცხვარი ყნოსვითაც ამოწმებს ბატკნის თავისიანობას და შემდეგ უკვე უშვებს ძუძუზე.

მოსდევნ უკან მწყემსები და თავისებური შეძახილით მიყავთ დედები შვილებთან, ვიდრე ყველა ცხვარი არ იპოვის და არ მოაწოვებს თავის ბატკანს.

ცხვარ-ბატკნის მოსაწოვებლად შერევის ასეთ წესს ცხვარში ეწოდება გასარდლევა.

როცა წოვებისათვის დანიშნული ვადა თავდება, მაშინ მწყემსები ჩადგებიან ბაჯის შუა-გულში და დედა-ცხვრებს აძლევენ ნიშანს, რომ გათავდა მათი შვილებთან ყოფნის ვადა. ეს ნიშანი ეძლევა ცხვრებს, მართლაც და რაღაც ცხვრულ ენაზე:

დრე, დრე, დრე-ე-ე... უძახიან მწყემსები!

ამ ძახილის გაგონებაზე, ცხვარი ძუძუდან იშორებს ბატკანს და გარბის ბაჯის კარებისაკენ გარეთ.

ხშირია, როცა რომელიმე ხარბი ბატკანი არ სტოვებს ძუძუს, ან თან მიყვება დედას. ასეთ შემთხვევაში დედა სჯის უდისციპლინო ბატკანს: მიუბრუნდება, მკერდსა კრავს და შეაბრუნებს უკან. ასე სწავლობს ბატკანიც თავისი ცხვრული ოჯახის წესიერებას და რამოდენიმე ასეთი გაკვეთილის შემდეგ, მან უკვე იცის, რასაც ნიშნავს მწყემსის ძახილი:

— დრე, დრე, დრე-ე-ე.

და ასრულებს თავის ბატკნურ მოვალეობას: სტოვებს ძუძუს და რჩება ადგილზე.

ცხვარ-ბატკნის ასეთი გაშორების წესს მეცხვარეები გ ა რ ე რ ა ვ ე ბ ა ს უწოდებენ.

დოლის დროს მეტად ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა დედა-ცხვარი ვერა სცნობს თავის ბატკანს. დარბის, ბლაგილით დაეძებს, გვერდზე უფლის; მაგრამ ვერ სცნობს.

აი აქ საჭიროა მწყემსის დაკვირვების უნარიანობა.

აქ საჭიროა მცნობი.

მცნობები უსათუოდ განსაკუთრებული ნიჭის ადამიანებად ითვლებიან მეცხვარეებში. მაგალითად უდაბნოს მეურნეობას 250 წყემსი ყავს. მათში 2—3 კაცი ითვლება კარგ მცნობად. მათ შორის ნიკა მეურმიშვილს ყველაზე საუკეთესო მცნობის სახელი მოუხვეჭია.

ეს ხალხი ზოგჯერ გაგაოცებთ თავისი მცნობელობის ინტუიციით:

გამოიყვანთ, ესთქვათ, ათას სულ ცხვარს. ადებთ ხელს რომელიც ცხვარსაც მოისურვებთ და ეუბნებით:

— ნიკა, იცანი ამის ბატკანი.

— მაგისი ბატკანი. — ეგრემც იყოს.

და ნიკა შედის ათას სულ ბატკანში ქორის თვალებით ეძებს, დადის ათვალღირებს: ასი, ხუთასი, რვაასი ბატკანი გაატარა თვალქვეშ, ვერ პოულობს და ეძებს.

— დაიბნა, — ფიქრობთ თქვენ, — როგორ შეიძლება ამ ზღვაში სწორედ ის იპოვოს.

მაგრამ აი უცბად ნიკა კავს გამოსდებს ფეხში ბატკანს, იჭერს და მოათრევს.

— ვითომ ეგ არის?

— ეს არი ჩემი სიყმის მზემა, გაუშვით დედა-ცხვარი!

დედა-ცხვარს უშვებენ. მასთან ბლავილით მორბის ნიკას მიერ გამოყვანილი ბატკანი. ცხვარი ყნოსავს და ძუძუს აძლევს.

ასეთები არიან მცნობი მწყემსები.

ისინი ეხმარებიან დაბნეულ და ჭირვეულ დედა-ცხვარს თავისი ნაშობი, ცნობაში.

მაგრამ იშვიათი არ არის, რომ ნაპოვნ ბატკანს დედა მაინც ეჭვით უყურებს, ან შეიძლება იცნობს კიდევ, მაგრამ რაიმე ცხვრული „მოსაზრებით“ მაინც ითვალწუნებს მას, არ ლებულობს, ძუძუს არ აძლევს.

ძუძუს არ აძლევს და ამით ჩვილ ბატკანს სიკვდილი მოელის, ცხვარს გაშრობა და მეურნეობას — ზარალი.

მაშინ მწყემსები მიმართავენ რებრესიებს:

ასეთ დედა-შვილს ისინი ამწყვდევენ კორაკანში.

კორაკანი — ეს თავისებური კამერა-საპატიმროა, რომელშიც ბატკნიანი ცხვარი თავსდება.

ამწყვდევენ, აძლევენ მას თივას და გავლენას ახდენენ, რომ ცხვარმა მიიღოს და ძუძუ მისცეს თავის ნაშობს.

ცხვარი ბოლოს ასრულებს მწყემსის ამ მოთხოვნილებას: ეჩვევა ბატკანს, თანხმდება ძუძუს მიცემაზე.

დოლიდან სამი თვის განმავლობაში ცხვარი არ იწველება.

ბატკანი ამ ხნის განმავლობაში ძუძუს სრული ბატონ-პატრონია. სწოვს და სძოვს. იზრდება და უკვე მომაგრებული მიდის მთაში, სადაც იწყება ცხვრის წველა და ყველ-კარაქის დამზადება.

იქ კი ბატკანს რძის მხოლოდ ნაწილი ღა ხვდება. მაგრამ ეს იმდენად აღარ ეჭირება მას. მთაში ასული ბატკანი უკვე დავაყვაცებულია, თოხლის უფლებებით აღჭურვილი.

აი, დოლის მთელი პროცესები.

აქ შეიძლება ფერადების მოშველიება, ლირიკული გადახვევებიც, მაგრამ სიტყვიერი ფოტოგრაფიაც ისე მდიდრად მომეჩვენა, რომ მხოლოდ დოლში პირადი დაკვირვება ავსწერე.

ამრიგად, დოლი მეცხვარეობაში მეტად სავაჭარო და გეოლოგია-
ფანქარო საქმეა. იგი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მწყვეთებს და
მათ ბელმძღვანელებს.

უდაბნოელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ცხოვრება არ
აკლიათ.

წელს უდაბნოს მეურნეობამ დოლში ჩააყენა 19,430 დედა-ცხვარი.
დოლი საუკეთესოდ ჩაატარა და თავის ფარებს შემატა 15,835 სული
ბატკანი.

ამ შენამატიტ წავიდა ცხვარი თრიალეთის საიალალოებზე, სადაც მან
ოქროსწონა დოვლათი უნდა დაუმზადოს სოციალისტურ ქვეყანას
მატყლის, ყველის, კარაქის, ტყავისა და ხორცის სახით.

ასეთია უდაბნო.

პოლა ლომთათიძე

ღ ღ ი უ რ ი *

12 ნოემბერი 1907 წ. პრედვარილკა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ალიაქოთი გამოიწვია ამხანაგებში იმ გარემოებამ, რომ ჩვენი საქმე დახურულ კარებში უნდა გაირჩეს — 22 ნოემბერს. ბევრი იძახის — ეს ისეთი თავხედური საქციელია მთავრობის მხრით, რომ აუცილებლად ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ სასამართლოს, არავითარი მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ბევრიც წინააღმდეგ — რაც უნდა პირობები იყოს, ჩვენ მაინც ვაღიარებთ ვართ მივიღოთ მონაწილეობა, გავარკვეით ჩვენი ფიზიონომია და თუ არ ლეგალურად, არალეგალურად მაინც გამოვცემთ პროცესის შინაარსს და ქვეყანას თვალებს აფუხელთ, დავანახებთ (თითქოს ისედაც ვერ ხედავდეს ქვეყანა), თუ რა შეიღია მთავრობაო.

მე ბოიკოტისტი ვარ, ჩემი სინიღისი ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ჩვენ აშკარად, საქვეყნოდ მოგვახვიეს ბრალდება და როცა ჩვენ გვეკუთვნის სიტყვა, როცა ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი ამ ბრალდებაზე, ამ დროს გვამწყვდევენ ცხრაკლიტულში, რომ არავინ გაიგონოს ჩვენი ხმა. მე ღრმად მწამს, რომ ჩვენ ხალხის თვალში გვამართლებს დახურული კარები, არც დამცველი გვჭირია, არც ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა...

*) პოლა ლომთათიძის დღიური, რომელიც უკანასკნელ ხანებში იქნა აღმოჩენილი და პირველად ქვეყნდება, წარმოადგენს მეტად საყურადღებო დოკუმენტს. მისი მნიშვნელობა მრავალმხრივია. იგი იძლევა მდიდარ მასალას კოლას ბიოგრაფიისათვის. მას აქვს წმინდა ლიტერატურული მნიშვნელობაც იმ მხრით, რომ გზადაგზა კოლას გამოთქმული აქვს თავისი შეხედულებები მხატვრული შემოქმედების ცალკეულ მოვლენათა შესახებ (პეინეს და ბერანტეს შეფასება, მოსაზრებანი ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ, თუ რომელ მწერალთა ნაწარმოებებს კითხულობდა სატუსალოში და სხვ.). მაგრამ ეს დღიური უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, როგორც პოლიტიკური მოღვაწის საზოგადოებრივი და პარტიული შეხედულებების გამომხატველი.

დღიური დაწერილია პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ — 1907 წელს. ამ დროს კოლა დატუსაღებული იყო, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს დე-

ეს მასხარად აგდება ჩვენი. ათასჯერ მეტი შეურაცყოფა იმაზე, რაც შეურაცყოფა მოგვაყენეს და ერთად ერთი პასუხი ჩვენის მხრიდან, დირსეული, შესაფერი პასუხი იქნება ის, რომ ჩვენ სენატორებს ვაწუფებთ და ვიწუფებთ ზიზღი და დაებრუნდით კამერებში.

ბოიკოტის წინააღმდეგია, სხვათა შორის, არჩილ ჯაფარიძე და კ. წერეთელი. გმავკვირველია არჩილის საქმე — ის ყოველთვის თავდაპირილი და დინჯი, ზედმიწევნით ზრდილობიანი და დარბაისელი, ამ კითხვაში კი ისე დაჰკარგა ყოველივე ზომა, რომ ყველა ბოიკოტის მომხრეებს ეძახის „ბალღანებს“, „ლარებს“ და რა ვიცი, კიდევ რას. წერეთელმა სხვათა შორის თქვა: ერთი ნაწილი სრულიად დაიშალა და არა თუ სასამართლოში, არამედ დაპირილიც არ არის, მეორე ნაწილი ბოიკოტს ამირებს (იმიღლებს ხმას), რას იტყვიან ამაზე ამხანაგები, ნუ თუ... მაგრამ აქ უცებ ვერ შევიმაგრე თავი და დავიძახე:

— ჩვენ ყველა დავიშალბოდით, რომ გვეცოდნოდა, დახურულ კარებში ვაარჩევდნ ჩვენ საქმეს, ეს ჩვენი წმინდა მოვალეობა იქნებოდა...

რამდენიმე თანაგრძნობის ხმა გაისმა... ყველა ნარვებაშლილია, ერთმანეთს ლანძღვენ, არაფერს არ გაეს ჩვენი საქციელი. დაებრუნდი თუ არა „პროფულკიდან“, ხელახლა გადავსინჯე ყველა მოსაზრება pro და contra, მაგრამ ოდნავადაც არ შერყეულა ჩემი რწმენა, ბოიკოტი აუცილებლად საჭიროა. ჯაფარიძე თლათ უკარგავს კაცს ყოველივე სურვილს სიმპატიით მოეპყრა ანტიბოიკოტისტებს, წერეთელთან ერთად მას არ შერცხვა ეს კითხვა უსაქციელო კითხვათ ექცია და ახლანდელი ბოიკოტისტები შეედარებია იმ ბოიკოტისტებისთვის, რომლებიც პარტიაში სახ. დუმის ბოიკოტს ჭადაგებდნ. „უშალებით“ გვაშინებს ეს დალოცვილი.

პეტრტი სხვა სოციალ-დემოკრატ დებუტატებთან ერთად, დღიური დაწერილია პეტრ-ბურგის სატუსალოში.

დღიური წარმოადგენს ნათელ დოკუმენტს იმის გასაგებათ, თუ რა წინააღმდეგობებს და შინაგან უთანხმოებას ჰქონდა ადგილი ამ დროს მენშევიტურ ბანაკში, განსაკუთრებით მათ ბელადებს შორის. დღიურში საკმაოდ მოსჩანს ამ ბელადების წერილ-ბურჟუაზიული, ოპორტუნისტული სახე.

აღსანიშნავია, რომ ჰოლა თავის დღიურში ცდილობს გამოამჟღავნოს მაიდაში „კრიტიკული“ დამოკიდებულება. მაგრამ იგი ამას სათანადოდ ვერ ახერხებს. ეს გასაგებიც არის. როგორც ცნობილია, თვითონ ჰოლა ორგანიზულად იყო დაკავშირებული მენშევიტურ ფრაქციასთან. „კრიტიკა“, რომელსაც მიმართავს ჰოლა მენშევიტების ბელადების მიმართ (ი. წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე და სხვ.), მეტისმეტად „შინაურულ“ ხასიათს ატარებს, მიუხედავად ცალკეული მწვავე სიტყვებისა და გამოთქმებისა, იგი მას არ გამოაქვს საჯაროთ, არ აძლევს მას პრინციპიულურ ხასიათს. თუმცა თავის დღიურში ჰოლა ააშკარავებს იმ მოღალატურ გზას, რომელზედაც მაშინ უკვე შემდგარნი იყენნ მენშევიტების ბელადები.

სამწუხაროდ, ჰოლას დღიურები მთლიანად არ არს აღმოჩენილი. ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არის დღიურის მესამე რეეული, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ. დღიური გადმოგვცა ს. თაფაძემ.

ლამე, 12 საათი.

არაგის ჩვენგანს არ მოსვლია აზრად გახსენებოდა ის ფაქტი, რომ ჩვენ გამოგვეთიშა 7 კაცი, რომლებიც უარს ყოფენ დუმის გარეშე მოქმედებას (внедумская деятельность), რომლებიც თავისუფალია და არა ფრაქციის წევრებად, სოციალ-დემოკრატებად, მარა ფრაქციის ყველა მოქმედებას არ ეთანხმებიან თითქოს და ამბობენ: არც ვიცოდით და, რომც გვცოდნოდა, არც დავეთანხმებოდით იმ გარემოებას, რომ ფრაქცია ცენტრალურ კომიტეტთან იყო დაკავშირებული და აგრეთვე ადგილობრივ ორგანიზაციებთან. უარს ყოფენ დამოკიდებულებას ჯართან. მასასთან და სხვ. ერთი სიტყვით, პროკურორთან ერთად ისინიც გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ სასამართლოში, არც ბოიკოტის მომხრე არიან, რა თქმა უნდა, ვეკილებოდაც, წინააღმდეგ ფრაქციის დადგენილებებსა, იწვევენ კადეტებს. ეს კი საყურადღებო ფაქტია, ეს გარემოება მე მადიჭირებს — არის თუ არა საჭირო წასვლა სასამართლოში და ამით წინააღმდეგ ვალაშქრება. ჩვენ არ წავალთ, მიდის შვიდი კაცი, მათი ჩვენება, მათი საქციელი — ბოდიში და ყოველივე სისაძაგლე იქნება შეტანილი ოქმში, ჩვენი მხრით კი არაფერი, არც ერთი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში ხომ არ არის საჭირო ეგრეთწოდებული — спасти дело? ამ გარემოებას საჭიროა ყურადღება მიექცეს.

13 ნომბერი.

ის, რასაც წუხელის მე ყურადღება მივაქციე, დღეს სეირნობაზე წამოაყენა მ ა ხ ა რ ა ძ ე მ, იმასაც მოსვლია თავში ეს აზრი. დანარჩენი ახალი არაფერი თქმულა. ვუყარეთ კენჭი ბოიკოტს და არა ბოიკოტს. მე, მ ა ხ ა რ ა ძ ე მ და ბ ე ლ ო უ ს ო ე მ ა თავი დავეიჭირეთ, ბოიკოტს მიემხრო უმცირესობა (შესამჩნევი), გავიდა მონაწილეობის მიღება. ეშველა! ჯ ა ფ ა რ ი ძ ე — წ ე რ ე თ ე ლ ი იტყვიან „რენებს“ — ექვსი თვეა სწერენ — что и требовалось доказать. ყველა მოღბა, ყველა დამშვიდდა, კარგია მაინც, თორემ არაქათი წამართვა ყველა იმ აურზაურმა, რაც ჩემ გარშემო ხდება. ეჰ, რა კარგია ერთი სულით დასვენება, დაძინება, სიკვდილი... ერთი სიტყვით, არ ვიცი, რა ეთქვა — вечный жид-ს გავს ჩემი არსება, ყოველთვის ძალღივით უნდა ვიყო მე.

14, 15, 16 ნომბერი.

საშინელი ცივება ამიტყდა. გათავდება თუ არა ცივება, ჩამავლებს სიციხეში, რას ებოდავ, ღმერთმა იცის, ვათავდება სიციხე და მაცივებს. მესამე დღეა, ლუკმა არ ჩამიდვია პირში. გუშინ დილას დარაჯმა მიაშხო: წამოვარდნილიყავ ღამის ორ საათზე და დამეწყო კარებზე მუშტების ცემა. პალტო-კალოშებიანა ყველაფერი ჩამეცვა. მოსულა დარაჯი. რა ამბავია? — როგორ თუ რა ამბავია, გამიშვი, მელიან, დამავინდა საქმეზე მეთქი... ხომ არ შეიშალაო, იფიქრა თურმე დარაჯმა. და დიდი ამბით დამაჯერა, რომ ახლა დამეა, რომ დილაზე არაფერი საქმე არ შეიძლება,

დილას გაგიშვებო. დილას კი მე თვითონ არაფერი მახსოვდა. ექიმ ხომ არ გინდა მოგიყვანოვო. თანაგრძნობით დამეკითხა ის. მე უარი ვუთქვი. ჭირივით მეჯავრება ექიმის დანახვა — ხარკით არის ფეხებზე დასველებული. შემოვა, შემახარბებს ჯანმრთელობას, მომკიდებს მკლავში, ხელს დაკეცილის. რა ოხრად მინდა მისი შეხედვა.

17, 18 ნოემბერი.

სულ ვწევარ, სასეირნოდ კი ვავდივარ. არც კითხვა მენასიათება, არც ფიქრი. თითქოს არაფერს არ ვგრძნობ. თავი მიბრუა.

19 ნოემბერი.

ხელახლა ატყდა ალიაქოთი ჩვენ „პროგულკაზე“. ბოიკოტისტებმა წამოყვეს თავი და მოითხოვეს კითხვის ხელახლა გადასინჯვა. მიზეზი ის არის, რომ 16-მა კაცმა ჩვენმა დამცველებმა ერთხმად გადასწყვიტეს თურმე, რომ ბოიკოტია საჭირო. მოტივად მოყავთ, სხვათა შორის, ერთი ისეთი გარემოება, რომელსაც ვერ შევტიან ვერც დღიურში. ყოველ შემთხვევაში მახსოვს, რომ ციხეში ვზივარ... ამ მოტივმა ისე გამაბრაზა, რომ ერთი დაკვრით მივემხრე ანტიბოიკოტისტებს (ჩემდა სამწუხაროდ!). იდავეს, იდავეს — გადავსინჯოთ თუ არა ეს კითხვაო და დაბოლოს 19 ხმით 11-ს წინააღმდეგ გადასწყვიტეს გადასინჯვა, რაიც de facto *) ნიშნავს ბოიკოტის მიღებას. აი ამ დროს მოხდა ერთი მეტის-მეტად ბინძური, ყოველად საძაგელი და სამარცხვინო ინციდენტი. გადაითვალეს თუ არა ხმები, წერეთელმა და ჯაფარიძემ გამოაცხადეს — ამ ფრაქციას ჩვენ არ ვთვლით პარტიულ დაწესებულებად, არ ვემორჩილებით მის დადგენილებას და ჩვენ ორი ვავდივართ სასამართლოში, ჩვენ ორი მივიღებთ მონაწილეობას და ჩვენ... ერთი სიტყვით კამარულიამ ვერ დამალა ბანჯგვლიანი სახე. მთელი სულისკვეთება გამოაშკარადა. რამდენად ბევრი მუშაობაა საჭირო პარტიაში, რომ ასეთი თავხედობა არ გამოვრდეს. ეს პარტიოსანი „დემოკრატები“ მანამდე სცნობენ დემოკრატიზმს, სანამ ეს მათი სურვილების წინააღმდეგ არ მიდის, ხოლო თუ მათ არ მიჰყევით, მაშინ 30 კაცში 28 კაცს ორი კაცი აცხადებს პარტიის გარეშე. საშინელი ალიაქოთი ატყდა. Разврат, разврат! — გაიძახოდნენ ამხანაგები. ბოიკოტისტების წინააღმდეგი ვიყავი (ჩემდა სამწუხაროდ) და საშინლად მცხვენოდა, რომ ამ ყმაწვილების მონაწილეთ გამოვდიოდი... კამათში მაინც მივიღე მონაწილეობა. ფრაქციას უმტკიცებდი, რომ ბოიკოტი არ ღირს, ის კარგავს თავის მიმზიდველ მხარეებს მას შემდეგ, რაც დამცველებმა თქვეს მეოჭი. კითხვა გადაიდვა. მახარაძე მოვიდა ჩემთან და მითხრა:

*) ფაქტიურად.

— რა ყოფილა, ბიჭო, კამარილია, რა ყოფილა, რა ყოფილა?..

ბედნიერი კაცი ყოფილა მახარაძე, თუ აქნამდე არ იცის მან, რა არის კამარილია. პარტიული კამარილია — ყველა კამარილიაზე უკმადაღლესი და უბინძურესი მოვლენაა.

დღეს საღამოს ვინახულეთ დამცველები. როცა ვაიგვს ეს სკანდალი, ძალიან შეწუხდენ და თქვენს — რაკი ასეა საქმე, უმრავლესობამ უნდა დაუთმოს უმცირესობასო. ერთმა მათგანმა ასე თქვა: Вы находите более целесообразным бойкотировать, меньшинство находит абсолютно невозможным принять это, следовательно вы можете идти на компромисс, а они не могут — ქეშმარიტი დემოკრატიზმი (ჩემებურად ულტრა-დემოკრატიზმი) ამ შემთხვევაში უმცირესობას დაუთმობსო. გადაწყვეტეთ — ერთი დამცველთაგანი წავა ც. კ — ნ და ც. კ — ს აზრს ვაიგვბს.

20.

ამერიკა თანდათან ჩნდება — ესე იგი კამარილია ირცხვენს თავს, როგორც რიგი და წესია. ვეჭილმა მოიტანა პასუხი. ც. კ-მა ბოიკოტის შესახებ არავითარი დასკვნა არ გამოიტანა, ხოლო „რასკოლის“ შესახებ კატეგორიულად აცხადებს — ერთიც თუ წავიდა სასამართლოში, ყველამ წადით, „რასკოლი“ არ მოახდინოთო. მეორე მხრით მენშევიკ ბალშევიკებს კერძოდ ქონოდათ თათბირი ბოიკოტის შესახებ და მენშევიკები, პოლონელები 5 კაცი, 4 ბალშევიკის წინააღმდეგ ბოიკოტის მომხრე გამოდგნენ. ასე გამართლდა ბრძენი ჯაფარიძის ეუპელი ბოიკოტისტების შესახებ — თქვენ ძველი სენით ხართ ავადო. კამარილია? რა უნა კამარილიამ? როცა ეს ვაიგო მან — მენშევიკები ბოიკოტისტები არიან გარეთო, მოვიდა ფრაქციასთან და გამოაცხადა: ჩვენ მიგვაქვს უკან ჩვენი სიტყვები, ვიდავოთ და უმრავლესობას დავემორჩილებითო. ფრაქციას კი გადაწყვეტილი ჰქონდა, რეზოლუციის გამოტანა ბოიკოტის სასურველობაზე, ხოლო რადგანაც ჯაფარიძე - წერეთელი მაინც მიდიოდენ სასამართლოში, ამიტომ მათი საქციელს სასტიკად ვაკიცხვა და გამოცხადება ც. კ-ს საშუალებით, ხოლო სკანდალის თავიდან ასაცილებლად, სასამართლოში ერთად წასვლა, წინააღმდეგ უმრავლესობის სურვილისა. ამ უკანასკნელმა ვარემოებაამაც გვარიანად გალუნა წელში კამარილია. ხმის უმრავლესობით მიიღეს ბოიკოტი. ჯაფარიძემ შემოიტანა კომპრომისული წინადადება — წაიკითხულ იქნას სასამართლოში მოკლე დეკლარაცია, რომელშიაც არსებითად პასუხი გავცეთ ბრალდებას და მერმე ვავიდეთო. ფრაქცია დაეთანხმა ამას. დეკლარაციის პროექტი მზად ჰქონდა ჯაფარიძეს და წაიკითხეს. მიიღეს. აქ კიდევ მოხდა ერთი ინციდენტი — ვინ წაიკითხავს სასამართლოში დეკლარაციას? ყველამ დაიძახა — რა თქმა უნდა ავტორი — ჯაფარიძე!

მაგრამ ჯაფარიძემ ძალიან შელანძლა ფრაქცია — ეს нахальство არის თქვენი მხრით, რომ მე მეუბნებით წაიკითხვას, ეს насилне არის,

მხეცობაა და ვინ იცის კიდევ. მაშ რათ შემოგაქვს წინადადება, თუ შენ წინააღმდეგი ხარ მისი სისრულეში მოყვანისა? სამართლიანად დავეცით მას. პასუხად ისევ ლანძღვა მიიღეს. მიანდევს სეროვს იმის წარმოთქმა, თუ ვინიციობაა არ დაანებებენ ლაპარაკს, იმ შემთხვევაში, როდესაც სერილობით მიცემა, ჩვენ კი ხვალ ყველა ხელს მოვაწერთ.

ორი კვირის შემდეგ, დღეს ვნახე ცილია. საღამოს გამაცივა.

21.

დეკლარაციაზე ყველამ ხელი მოვაწერეთ. მე შევიტანე ასეთი წინადადება: თუ ვინიციობაა ერთს არ დაანებებს დეკლარაციის წარმოთქმა, მეორე განაგრძობს, მეორეს მერმე მესამე და სხვა. კენჭის უყრელად უარყვეს ეს. დავსვი კითხვა: როცა ატყდება კამათი კარების გაღების შესახებ, ამ კამათში შეგვიძლია თუ არა მონაწილეობის მიღება მეთქი. — ეს ბოიკოტის დარღვევააო, ბრძნულად წამოიძახა ვილაკამ. — ღმერთო რამდენი ანარქისტებია ჩვენ ფრაქციაშიო, მელანქოლიურად შენიშნა ვინოგრაღოვმა. მომივიდა გული და ვუპასუხე — ანარქისტი არა და სულელი (аурак) ბევრი ყოფილა მეთქი. ვინოგრაღოვი აღელდა, მეც ავლელდი ზომასზე მეტად (ყოფდა გამოტეხილი ჯობია) და ბევრი შეურაცხყოფა მივაცენე. კატეგორიულად მოვითხოვე, რომ სიტყვა ანარქისტის დაძახება არ გაეხდეს მეორეჯერ. დაგვაშვიდეს... ეს ოხერი, ამ ბოლო დროს მშვენიერ ხასიათზე ვიქნებოდი, მაგრამ არ მომასვენებს.

22.

დღეს დილის რვა საათზე წაგვიყვანეს სასეირნოდ. 9 ს. 15 წ. სეირნობა გათავდა. 10 საათზე ვიყავი „სანახავად“, ცილია ვინახულე. მშვენიერ ხასიათზე ავდექი, მშვენიერ ხასიათზე ჩავირბინე ქვევით. ცილია შემეგება ყვავილებით — წითელი და თეთრი ყვავილები მომიტანა. ამან კიდევ უკეთეს ხასიათზე დამაყენა. ვერც კი გავიგე როგორ გათავდა 20 წუთი, ვხუმრობდი, ვოხუნჯობდი. აი ღირსებას აგვხდიან მალე მეთქი, ვამბობდი, მაგრამ არ ვიცი მჭონდა თუ არა რაიმე ღირსება გარდა იმისა, რომ ყველა პოლიციელსა და „დვორნიკს“ შეეძლო ჩვენი მიბეგვა. თვით ჟანდარმსაც კი ვაეცინა ამ სიტყვებზე და თავაზიანად ბაპიროსი მომაწოდა. გათავდა „აუდიენცია“. დამბბრუნეს „გალიაში“. თერთმეტ საათს გადაცილებული იყო, როცა 38 კაცი ერთად შეგვეკრიბეს პირველ გალერეის კარიდორში. მრავალი ჟანდარმი და აფიცრები იდგნენ. გაგვაფრთხილეს — ყვავილები არ იქონიოთ, სულ ერთია, წაგართმევეთო. მე გამეცინა და დავეკითხე — ყვავილი ხომ ბომბა არ არის, ხომ არ გასკდება მეთქი. რამდენიმე ამხანაგებმა მიჯიკავეს — ალბათ ესეც ანარქიზმი ეგონათ — სუ, სუ! მომადახეს. ეჰ, ღმერთო, რა ეშველება ამდენ ჭირისუფალს!.. იძრეს ჟანდარმებმა ხმლები, ჩაგვიყენეს შუაში და ტრაბ-ტრუხ! ტრაბ-ტრუხ! — გავწიეთ სასამართლოში. როცა შეგვიყვანეს, იქ უკვე დაგვხვდნენ სამხედრო ორგანიზაციის წევრები, ორი ქალი, ერთი სტუდენტი-ებრაელი, ერ-

თიც უბრალო-ებრაელი, დანარჩენი ჯარისკაცები, ისინი ისხდნენ ჩვენს პირ-
დაპირ, გაღმა, „ლოქაში“, როგორც ხუმრობით დავარქვით იქვე ჩვენ „რე-
ზოტკას“. ბნელი და ვიწრო კამერის შემდეგ, ფართე, ნათელი დარბაზში
შესვლამ თლათ გადაამაფიჭა ყოველივე, ერთიან გავმხიარულდნენ, მხარულ-
ლი იყვნენ დამცველებიც — ატყდა მუსიკა, ოხუნჯობა. ერთ ხანს მერმე
შემოუშვეს ჩვენი ნათესავებიც, დავინახე ცილია, თავი დავუკარი, გა-
ვუციინეთ ერთმანეთს, გავიდა კიდევ პატარა დრო და პირველის ნახევარ
საათზე გაისმა: суд идет, вставайте!

ყველაზე წინ მოდიოდა დეიერი — თავმჯდომარე „ოსობოე პრი-
სუტსტიეს“. დაჯდა საშუალო სკამზე, ხელები უკანკალვდა, თავს ძლივს
აჩერებდა, რალაც დაილაპარაკა და ანიშნა სხვებს დამჯდარიყვნენ. მსა-
ჯულებმა დაიჭირეს ალაგი. აი ამ დამძალებულმა ბებრებმა უნდა გადა-
სკრას ჩვენი, ახალგაზრდების ბედი, გამიელვა გულში.

ნელი ხმით დაიწყო დეიერმა ვინაობის გამოკითხვა:

— Аникин?

— Да, Аникин.

— Крестьянин?

— Да, крестьянин.

— Православный?

— Да, православный.

და ასე ყველა, ზოგი ამბობს აზნაური, ზოგი სასულიერო წოდებას,
ზოგი რას, ზოგი რას. მოაწია ჯერი ჩემზე. უცებ გამიელვა გულში — ვუ-
კბენ, ვაწყეინებ რალაცას მეთქი.

— Ломтатидзе Викент Би-бибикович? დამეკითხა ის.

— Да!

— Вы мещанин гор. Озургеты?

— Нет, такого звания я не признаю — я гражданин, жит. гор-
Озургеты.

შეიკმუხნა.

— Вы православный?

— Числюсь православным.

— Ах, только числитесь? — ბოროტად შემეკითხა ის.

— Совершенно верно!

დავეკეტი. გათავდა ვინაობის გამოკითხვა.

დეიერი ამბობს — წაიკითხეთ სია იმ მოწმეებისა, რომლებიც გა-
მოცხადდნენ. ამ დროს წამოდგა სოკოლოვი და მიმართა:

— ვთხოვ „ოსობოე პრისუტსტიეს“ ხელახლა გადაათვალიეროს თა-
ვისი დადგენილება კარების დახურვის შესახებ.

— არავითარი გადათვალიერება არ შეიძლება... ეს გადაწყვეტილია...
გადაჭრით უპასუხებს დეიერი და განაგრძობს: სია მოწმეების...

სოკოლოვი: მე ვთხოვთ ჩემი შუამდგომლობა დასევთ პრისუტ-
სტიეში, მე მინდა გავიგო სასამართლოს აზრი და არა კერძო თქვენი.

დღიერი (კანკალებს) არამც და არამც... აქ რაც ხდება, პრინციპულ-ში იწერება. მე არ დავსვამ მაგ კითხვას.

სოკოლოვი ჯდება. წამოდგა სეროვი.

სეროვი: ამხანაგების მონდობილებით მე მსურს შექმნა კანცხადება...

დღიერი — არაერთი განცხადება არ შეიძლება... ვთხოვთ დაჩუმდეთ.

სეროვი — რადგანაც კარები დაგვიხურეთ...

დღიერი — დაჩუმდით... დაჩუმდით (მოძრაობა ბრალდებულებში).

წერეთელი — ჩვენ გვინდა განვაცხადოთ, რომ არ შეგვიძლია...

დღიერი (მითითებს წერეთელზე) გაიყვანეთ კარში. (სამსაჯულოს ბოქალევი გარბის წერეთლისაკენ).

ჩვენ (აღუღებულები) ჩვენც... ჩვენც გაგვიყვანეთ... ყველა გაგვიყვანეთ აქედან.

დღიერი — გაიყვანეთ ყველა.

ხმაურობა — ყვირილი: ზასტენოკ... ჯალათები... ინკვიზიცია!

ჯადვარიძე — ჩვენ უარს ვამბობთ დამცველებზე, არ გვინდა ისინი.

ერთი ხმა — ჩვენ დავიცავს დახურული კარები, ის გვამართლებს ჩვენ და გამტყუნებთ თქვენ.

მუშალოპატკინი: რომ გვეცოდნოდა კარებს დაგვიხურავდით, ჩვენ წმინდა მოვალეობად ჩაეთვლიდით გადავმალულიყავით.

დღიერი — ჩქარა, ჩქარა გაიყვანეთ... (მაგრამ ჩქარა გაყვანა შეუძლებელია, „ლოგიდან“ ორ ორ კაცს შეუძლია მხოლოდ გასვლა).

მახარაძე — თქვენ ვერ უნდა გაგებდათ ხალხის წარმომადგენლების ასე აბუჩად აგდება, ниже нашего достоинства присутствовать здесь.

ერთი ხმა — Торжествуйте... не долго будете торжествовать.

დღიერი — ჩქარა გაიყვანეთ.

ერთი ხმა — Мы и требуем поскорей вывести нас отсюда, это не суд, это застенок... Мы требуем вывести нас поскорей отсюда...

წერეთელი (მატრინდება) არ შეიძლება, კაცო, ასე, სირცხვილია, გაჩუმდი!

გამოგვიყვანეს, აღშფოთებულ-აღუღებულები ჩავდექით ჟანდარმებში და წავედით სატუსალოში. გზაში ავეიტყუდა სიცილი, ჟანდარმებიც, არ ვიცი რათ, დიდი თანაგრძნობით მოგვეპყრენ. ერთმა პაპიროსი და სპიჩქა მომაწოდა. თუმცა „კანვოსი“ ხელში ჩვენ არ გვაქვს ნება თუთუნის მოწვევის. შევედით ციხეში თუ არა, იქვე დავვხვდა ციხის უფროსის თანაშემწე ჟანდარმები.

— ასე მალე გავასამართლეს? სიცილით კითხულობს ერთი მათგანი.

— გავასამართლეს... გაისმის პასუხი.

„კონვოი“ მოგვაშორეს და ჩვენ ბინებში წავედით.

უცბე წამომეწია ჯ ა ფ ა რ ი ძ ე — რათ გვიფუტებ, კაცო, შენ კოველ-
გან საქმეს? რა თქვი ის — числюсь православным?

— მერმე რა, თუ ვთქვი? ვეკითხები მე. გულში მწყენს. მაგრამ კარგ
ხასიათზე ვარ, გული გადაწმენდილია ერთი ორი ენერჯატიკის მასალების
შემდეგ და ვუფრობილდები თავს.

— Это хотя оригинально, но глупо, очень глупо!

— А может быть я не православный, отчего не сказать?

— Глупо! глупо! — არ იშლის ჯაფარიძე. მე შევედი ჩემს კამერაში.
რა ვუყოთ, თუ გლუპო-ა, იყოს გლუპო. მე კი მიამა და!

მე გუშინ, თუ შინწინ წინადადება შევიტანე — ერთს რომ გააჩუმებენ,
მეორემ განაგრძოს მეთქი. კენჭის უყრელად უარყვეს მაშინ ეს, როგორც
„ანარქისტული“ წინადადება (ეუპელოა მა რა ოხრობაა ეს ანარქიზმი,
პირდაპირ მოსკოვის კუმჩიხებივით ეშინია ჩვენ ს.-დ.-ბს ამ სიტყვისა).
დღეს კი მოხდა ისე, როგორც მე ვთქვი. სერო ეი გააჩუმეს, წერე-
თელმა განაგრძო, წერეთელი გააჩუმეს, ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ იყვირა. რომ
წინდაწინ დაეთანხმებულყავით, იმ პირობებში, რომელიც სასამართლო-
ში იყო, თვითთელი ჩვენგანი ხუთხუთ წუთს ლაპარაკს მოასწრებდა...
პო, მართლა გადამაიწყდა. მივეციოთ ხელმოწერილი განცხადება — არც
ის მიიღო სასამართლომ, უკანვე გადმოაგდო.

სასამართლოში დარჩა სამხედრო ორგანიზაცია 12 კაცი, 7 დებუტა-
ტი-რენეგატი. სულ 19 კაცი. მაგრამ ჩვენ დემონსტრაციას ისე გაეხურებია
პაერი, რომ სამხედრო ორგანიზაციამაც უარი თქვა დამცველებზე და
ციხეში დაბრუნება მოითხოვა. ეს ნაბიჯი მე არ მომწონს და არც ფრაქ-
ციის იმის თანახმა, წინათ ურჩიეთ კიდევ არ შემოგვევრთებოდნენ ჩვენ,
მათი საქმე სულ სხვანაირი იყო და მათი გამართლებაც შესაძლებელი იყო
მეცადინეობით. მაგრამ ვერ შეიკავეს თავი და ისინიც გაიყვანეს ჩვენ შე-
მდეგ. დარჩა შვიდი დებუტატი. ამათაც შერცხვათ და მოითხოვეს წა-
სვლა, — წაიყვანეს. ზალა დაცალიერდა. თხუთმეტობე ნათესაგების შე-
ტი აღარავინ ყოფილა დღეს სასამართლოში. ბურთი და მოედანი პროკუ-
რორის არის — აბა აიღე ციხე, რომელსაც არავინ ამაგრებს, აბა შენ იცი
რა მხნეობას გამოიჩენ.

28 ნოემბერი.

დღესაც დილის რვა საათზე წაგვიყვანეს სასეირნოდ. ახალ მონახალი
მჭონდა ციხეა — გამთენიას გამაცივა. გავედი თუ არა სასეირნოდ, მო-
მვარდა წერეთელი. გაბოროტებული სახით, დაშტომული თვალებით,
ის სულ ახლო, როგორც რუსები იტყვიან, вплотную, გამიჩერდა წინ,
გააქნია თავი და დაიძახა:

— ლომთათიძე, ლომთათიძე... რა ხელიგნობა ჩაიღინე შენ გუშინ...
ხელიგანი ხარ შენ...

სისხლი ამივარდა თავში, არც ერთხელ ჩემ სიცოცხლეში არ გამომი-
ცდია წყურვილი ადამიანისთვის გამერტყა სილა, დავმუქე ხელი, ავიღე
კიდეც, მაგრამ გამახსენდა, რომ გარშემო ღარაჯები გვიცქერდნენ, გამა-

ხსენდა, რომ სატუსალოდან ითასი თვალი გვიყურებდა, დაღწიწი, საშინელი ტკივილი ვიგრძენი და რამდენიც შემძლო, დავიწვე დახმევა:

— Подлец... мерзавец... сволочь!.. ცრემლები წებობდა მუკონა, გული ვასივდა...

— რა გინდა ჩემგან?.. რა გინდა?.. რა გინდა?.. მეტი ვერაფერი მოვხერხე.

— შენ არაფერს არ უჯერი, შენ ხულიგანი ხარ! გაიმეორა ამ პატიოსანმა ყმაწვილმა.

— ვუჯერი კი არა, რომ ვიცოდე შენისთანაებისგან შედგება პარტია, მე იმ პარტიას მივაფურთხებდი რამდენიც კი შემძლეოდა.

— მოიცა, შენ ამას მალე ჩაიდენ! დამიძახა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ.

— არა, ჯერ არ მგონია, თუ თქვენისთანაებია ყველა პარტიაში და მანამდე კი თქვენ ახლა გაფურთხებთ, ამ წუთში! და მე მივაფურთხებ მათ. მოცინდენ, შემოგვესიენ. მახარაძე მეპწიალება — სირცხვილია, სირცხვილი.

ახლაც არ ვიცი, რა უნდათ? ახლაც არ მესმის, რა დავუშავე მათ. არ მესმის და ვერც მიგზვდები ვერასოდეს, რა დანაშაულია იმაში, რომ გუშინ მე ისეთი პასუხი მივეცი დეიერს. ფრაქციის წევრები ცალცალკე არაკითარ დანაშაულს არ ხედვენ ამაში და თუ გინდ დაინახონ, განა დამაჯერებს ვინმე, რომ მე ხულიგნობა ჩავიდინე?

დავბრუნდი თუ არა კამერაში, ისევ გამაცივა და დავწექი. თერთმეტ საათზე ჩემთან შემოვიდა სამსაჯულოს ბოჭაული და მკითხა — გსურს თუ არა სასამართლოში წასვლაო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. წავიდა.

სადილს ვერ წავეყარე. ერთიან ვკანკალებ, წყეული ნერვები ისე დაიშლენ, რომ ვერაფერი ველარ ააწყობს მათ. ერთი ძველებურად დამაძინა მაინც, ერთი მაგრად, ძლიერად დამაძინა... თუგინდ ნურც გამაღვიძა. სატუსალო გარყვნის კაცს.

ცილიასგან მივიღე ოთხი ღია ბარათი მშვენიერი სურათებით. მივიღე აგრეთვე ერთი ღია ბარათი, რომელზედაც დაბატულია რწმენა, იშედი და სიყვარული, ერთი ნაცნობი ქალიშვილისაგან. ფოთიდან მივიღე ე — ს წერილი. ავად ყოფილა. ბენია კარგად არისო მწერს. ჩემი ბიჭი რას შობა, ნეტავი, ახლა? ბენდიერი კაცი ვარ, მაშ რა ოხრობაა: „შვილი მყავს, რომელსაც არც უნახავარ მას შემდეგ, რაც ადამიანის ცნობა შეიძლო.“

წავედი აბანოში და რამდენიც კი შეიძლება ცხელი წყლის ატანა, იმდენად ცხელ წყალში ჩავწექი. ვიცი, მაწყენს ეს, მარა მომეხასიათა ძალიან.

24 ნოემბერი.

სასამართლოში დაბრუნებულა ისევ დეპუტატებიდან ოთხი, სალდათებიდან 3, ამნაირად 49 კაციდან სასამართლოს. ესწრება 7, არ ესწრება 42.

25 ნოემბერი.

დღეს სულ ვიწვევი — გამაცევა.

26 ნოემბერი. ორშაბათი.

დღეს სეირნობის დროს ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ გაგვაცნო ც. კ.-ს წინადადება — ვისაც სურს სასამართლოსათვის მომზადებული „რჩევის“ დაბეჭდვა გამოგზავნეთო. მე თუმცა მზად მაქვს, მაგრამ არ ვაგზავნი — რა მნიშვნელობა აქვს! სასამართლოში პროკურორის ვუკებენდი, ვინმეს ვაგავჯავრებდი, ახლა კი ყოველივე ფასი დაეკარგა ჩემთვის. აგრეთვე ც. კ.-მ წინადადება მოგვცა თანაგრძნობის გამოცხადების გამო რუსეთის პროლეტარიატს მიმართეთ მოწოდებით, უსურვეთ იმედი და გამარჯვებულო. ჩვენ ვადავწყვიტეთ დაიბეჭდოს ჩვენი დეკლარაცია, რომელიც სასამართლომ არ მიიღო და ეს ვიცანით საკმაოდ. სპეციალური მოწოდების გამოცემა უარვეყავით.

ამას წინად ჩვენ გამოვიტანეთ რეზოლუცია, რომლითაც ფრაქციიდან გამოვრიცხეთ შვიდი დეპუტატი — კ ა ლ ი ნ ი ნ ი, ს ა ხ ნ ო, რ ი ბ ა ლ - ჩ ე ნ კ ო, გ უ ბ ე ნ კ ო, ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი, პ რ ი ხ ო დ კ ო და გ უ ბ ა რ ი ო ვ ი. ცენტრალურ კომიტეტს მივეცი წინადადება გამოაცხადოს ისინი პარტიის გარეშე, როგორც მოლაღატენი. მათი დანაშაული იყო ის, რომ ისინი უარს ამბობდნენ ფრაქციის ყოველივე მოქმედება ეკისრათ თავზე. ახლა კი ამ შვიდი კაციდან სამი — ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი, პ რ ი ხ ო დ კ ო და გ უ ბ ა რ ი ო ვ ი, ჩამოშორდა მათ, ჩვენთან ერთად ბოიკოტი გაწოუტხადეს სასამართლოს, უარი თქვეს დამცველებზე — მაშასადამე, არაერთარი პრაქტიკული ნაბიჯი ფრაქციის წინააღმდეგ მათ არ გადაუდგამთ. მე დღეს შევიტანე ამის შესახებ წინადადება — ამ სამი კაცის შესახებ შევეცვალოთ ჩვენი აზრი, შეიძლება მათი დასჯა, მაგრამ არც ისე სასტიკად, როგორც ნამდვილი მოლაღატეებისა მეთქი. წინათ ისინი შეშინდნენ მართალია, მაგრამ უკანასკნელი ნაბიჯი აღარ გადადგეს. ისევ დაიხიეს უკან და დღეს ჩვენთან არიან მეთქი. ნ ე კ რ ა ს ო ვ ი ს არ იყოს — у кого не слабели ноги перед дверью тюрьмы и могилы?

იშოვა დრო წერეთელმა. წარმოთქვა სიტყვა და ბძანა, რომ აქ ზოგიერთებს გონია — რაკი ჩვენ ბოიკოტი გამოვაცხადეთ და იმათაც შემთხვევით (?) ასე მოუვიდათ, აქედან თითქოს ის გამოდიოდეს, რომ ჩვენც (?) იმათსავით მოვიქცეთო. ალახმა უწყის რის თქმა უნდოდა წერეთელს, მე ვერ გავიგე და რა ვიცი. ამიტომ დავიძახე — это ерунда, а не возражение-მეთქი.

— ბატონო ლომთათიძე! მომიბრუნდა წერეთელი, თქვენ ბევრ ნებას აძლევთ თავს... в самом деле, посади свинью за стол, она и ноги на стол...

— И потому я по мере сил буду Вас гнать от стола, г-н Церетели, — ვუპასუხე მე.

ჩამოგვერიენ ამზანაგები — გაჩუმდით, სირცხვილიაო.

გამოიტანეს შემდეგი ყოვლად ბინძური დადგენილება: თუ მოვლენ და მოხდინან ბოდიშს, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ამაზე, თვარს და არ გეცალია მაგისტვისო... ასე, დამშვიდებული სინიდისით გაათავეს საქმე. ფუ, სირცხვილო!

მე ჩემ აზრს მაინც მიეწერ ც. კ-ს და მოვითხოვ ამ წამის შესახებ ჩემი აზრი ცალკე იქნას გამოქვეყნებული.

ვერაინ ქვეყანაზე ვერ დამაჯერებდა, რომ ოდესმე არ ჩილ ჯაფარიძესთან ასეთ დამოკიდებულებაში ჩავდგებოდი. ღმერთმა იცის მე ის მიყვარდა და დღესაც მიყვარს, დიდ პატივს ვცემდი ყოველთვის... ღმერთმა იცის, სულით და გულით მინდა მე მტყუანი ვიყო იმასთან, მე არ შემრცხვებოდა არჩილის წინაშე ბოდიშის მოხდინა, მე დავსჯიდი თავს, თვითონ დავსჯიდი. მაგრამ მე მართალი ვარ, მართალი ვარ, მართალი! ერთ იოტის ოდენა იქვიც არ შემდის ჩემი საქციელის სისწორეში და ასეთ შემთხვევაში მე ვერ დამახვეინებს უკან ვერავითარი ძალა, ვერავითარი სიმპატია. დეე, მისმა სინიდისმა უთხრას მას ოდესმე, რამდენად მტყუანია ის ჩემთან.

წერეთელი კი?.. Бог с ним... კარგი ორატორია და თუ ოდესმე მომიწია შემთხვევა ხმა მიეცე მის სადებუტატოდ, დიდის სიამოვნებით... ამაში ვარგა, რასაც გააგებებენ, ლამაზად, გაბედულად იტყვის... დანარჩენი კი, ის მისდა, მე ჩემდა, არც მომაკლდება იმის დამდღურებით, არც მომემატება... არც მწყენს რომ შევლანძღე, კვლავაც შევლანძღავ თუ შემთხვევა მომეცება... მე ავტორიტეტის იქამდე მჯერა, სანამ ავტორიტეტი не зазнался და ამასთან какой он авторитет? პარტიულ „სტარუხებს“ ყველა ავტორიტეტი გონია, მე კი მაშოროს უფალმა...

ხვალ ცილიას ენახე, ახალ ამბებს გაევიგებ.

ჩამივარდა ხელში ქართული გაზეთ „წყაროს“ მე-11 ნომერი. უპ, როგორ აქცევენ გურიას, როგორ გარყვენეს ხალხი ამ წუნკლებმა! განა შეიძლება წარმოდგენა თუ ადამიანის ხელიდან ამდენი სისაძაგლე გამოვა?

დღეს ნაშუაღღევს კიდეც გამაცევა. წამაქცია ოხრად, ტახტზე ძლივს ვიმაგრებდი თავს ისე მანძრევდა, გადავიხურე ბალტო, ბურთივით მოვიკუმშე, მაგრამ არაფერი მეშველა. კბილებს ისე მაგრად ვცემდი ერთმანეთს, მეგონა დაიმტერევიდენ. მაწვა ცივება თავზე და მთელადა, მე კი წამის წამ ვიძახოდი:

— Под тобою смерть моя!

ჯერ სერიოზულად არც მიფიქრია იმის შესახებ, რომ მოგვედები, ეს ცივება კი მაეჭვებს, ნახველში გამოერია სისხლი, აქ კი ხომ წამლობა არ შეიძლება, აბა, რას ვასპრის. დღეში ერთი საათია სინათლე, დანარჩენი ხელოვნურად უნდა ანათო, მზეს ვერ დაინახავ. ეპ...

— Под тобою смерть моя!

გიჟივით მეხსიათება ჰეინეს გადაკითხვა, ციხეში მაინც სენათ გადამეჭვა ეს. სულ ვზებპირობ იმის ლექსებს. მიკვირს რუსეთმა რომ ვერ დაბადა ერთი ვერც ჰეინე, ვერც ბერანე... საქართველოზე ხომ „მნათობი“ № 7 — 8

არ ღირს ლაპარაკი, გადაშენებული ქვეყანაა. წინ მივალთ, გვეგონება, ნამდვილად კი ჰავაკავაძე - წერეთლის პოეზიის ნასუფრალით ჩვეულებიან ჩვენი მელექსეები, იმეორებენ და მერმე რა უნიჭოდ, უშნოდ, არა, ჩვენ როდი მივდივართ წინ — წინ მიდიან სხვები და ჩვენ მიტანჩალებით მათ უკან — ლიტერატურაში და ცხოვრებაში, არავეითარი ორიგინალური ნაბიჯი არ გვაქვს... ხანდახან გული მიკედება — რათ არის ასე ღარიბი ჩვენი მდიდარი ქვეყანა მეთქი? ასეთ ბუნებით მდიდარ ხალხს, ასეთ სათაყვანებელ პროლეტარიატს, როგორც არის ქართველი პროლეტარიატი, რათ ახვევია ასე უშნო, რაც ყველაზედ უსაძაგლესია, ასეთი შურიანი, ასეთი ენატანია და გველაძუა, დიახ, გველაძუა ინტელიგენცია? მე მიკვირს ზოგიერთი მათგანისგან მაინც, რანაირად ამაღლდენ ისინი სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებამდე? ისევ ბალშევიკებს (ყოფდა გამოტეხილი ჯობია) ისევ ბალშევიკებს არა უშავთ ამ მხრით, მათ იციან ამხანაგობა, შეუძლიათ გააკეთონ მჭიდრო წრე, მჭიდრო კავშირი — ისინი თლათ არ გადაქცეულან ორდენის წევრებად... ძალიან ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ უნიჭო ინტელიგენციის წყალობით თვით სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟი დაეცეს მუშების თვალში — აი რას მოველი მე ყველაზე უფრო და აი რისი მეშინია...

რუსეთში მენშევიკები თანდათან წყალდებიან, გარბიან პარტიიდან და, ვინ იცის, რას ებღაუჭებიან. დღეს მუშათა სიეზდი, ხვალ პროფ. კავშირები, ზევ კოოპერატივები, უზნეო ქალივით იცვლიან სათაყვანებელ საგნებს. ჩვენში ეს არ ხდება ჯერ, ალბათ იმიტომ, რომ მუშები უფრო მეტი ინიციატივის პატრონები არიან ჩვენში და ისე ვერ თამამობენ ბ-ნი ინტელიგენტები. რუსეთში კი ყველას ყოფნის ჯერჯერობით მუშათა მასსა... ძალიანს დასცინიან ბალშევიკები მენშევიკებს. ერთმა ბალშევიკმა მითხრა პეტერბურგში: მე ერთი შეხედვით ვიციან კაცს, ბალშევიკია თუ მენშევიკიო.

— რანაირათ? — დავეკითხე მე.

— მენშევიკებს მეოცნებე თვალები აქვთო.

ეს მშვენიერად ახასიათებს რუსეთელ მენშევიკებს და ახლა კი, ხელჩართულის ბრძოლის დროს ოცნებობა, როგორც გენებოთ, მაგრამ რალაც ეხამუშება ყურს.

27 — სამშაბათი.

წუხელის, ნაშუალამევს, პირიდან სისხლი წამსკდა. მიუხედავად ამისა სასიეროდ მაინც წავედი — ძალიან სიცივე იყო და ძალიანაც გამიჭირდა, მაგრამ ბოლომდე მაინც დავყავი. მოგბრუნდი თუ არა გამაკცია.

— Под тобою смерть моя!

სამკითხველოდან მივიღე ჰეინეს ლექსები — ვეინბერგის თარგმანი. ისე მოუთმენლად მოველოდი დღეს ცილიას ნახვას — ამბებს მეტყოდა, ყოველ შემთხვევაში სხვადასხვაობა კარგია სატუსალოში — და ცილია კი არ მოვიდა. არ ვიცი რატომ. ეგებ დაიჭირეს, ეგებ ავად არის,

ან ეგებ — რაიც ადვილად მოსალოდნელია — შეეზარა მოსვლა. ^{მე/ბოლო} დროს მე ვამჩნევ აუტანელი გავხდი — წერილი მიეწერე ^{სასტიკი} მის ალაგას მე ამდენ ხანს ავიკრავდი გულანაბადს და ^{ჩემგან} წავიდოდნენ — куда глаза глядят от этого уroda, — ვინ იცის, ეგებ ^{ეს} ^{ქედვე} მოხდა, მაგრამ ციხეში, ასეთ პირობებში, არ შეუბნება.

Зарыт на дальнем перекрестке
Самоубийцы труп в песках,
Под ним растет цветок синий
Самоубийцы цветок...
Там я стоял, вздыхая... вечер,
Все сном и холодом облек,
И при луне качался тихо
Самоубийцы цветок!..

რა მშვენიერებაა!..

Скучно... так скучно, что даже не могу обнять эту громадную скуку... и пустота эта тяжела и мучительна... хоть бы заснуть... но сон для меня превратился уже давно в недосыгаемую мечту — я и трех часов в сутки не сплю... шум какой-то в голове и в шуме этом отчетливо, ясно слышу одну из гурийских удалых песен...

„Мне скучно бес. Забралась пустота какая-то в душу, некуда спрятаться от тоски. Хочется бежать, уйти куда-нибудь скорей, от этой жизни — пытки лютой, от этой грязи вековой, и этой родины святой“. Фауст — Гете.

შივილე ბროდსკისაგან წერილი, ნიქეგოროდის სატუსალოდან ექვს ნოემბერს გამოგზავნილი. სანამ სამსახულოს რეზოლუციას არ გავიგებ, გადავდევი პასუხი.

28 ნოემბერი, ოთხშაბათი.

დღეს სასეირნოდ არ წავესლვარ, ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს. მახარაძემ შემოიჭვრიტა და მითხრა: ცილია ცოტა ავად ყოფილა და იმიტომ ვერ მოვიდა სანახავადო.

სადილობამდე ვიწექი. ნაშუადღევის პირველ საათზე გაიღო კარები და „на свидание“ გამომიძახეს. გაკვირვებულმა, თუ ვინ უნდა იყოს, ჩავიციე ტანზე. დღეს საზოგადოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს გარდა, არ შეიძლება ნახვა ვინმესი. ჩავედი ძირს და ცილია დავინახე, კისერ-შებვეული, ფერდაკარგული — შეწუხდებოდი, ვიცოდი, და თუმცა კისერი მტკივა, დღეს შევიძელი მაინც მოსვლა, დიდი ამბით დავითანხმე ციხის უფროსი და ეს არის ავილე ნებართვაო. აუდიენცია ერთ საათზე მეტ ხანს ვაგრძელდა, ჟანდარმის ოფიცერი ჩამოერია საუბარში და ამ გარემოებამ იმოქმედა ჩვენი ერთად ყოფნის სიხანგრძლივეზე. რეზოლუცია შაბათამდე არ იქნებაო, მითხრა ცილიამ, ეჭვობენ, რამდენიმე კაცს ვა-

ტორლა არ ასცილდებოა — კომიტეტისა და კომისიის წევრებს (მაშასადამე მეც!). ეს დიდი ბედნიერება იქნება შენ ნუ მომიკვდუ, ახლა თუ კატორლაში მიკრეს თავი.

დღეს კარგ ხასიათზე ვარ, ციებაც არ გამკარებია.

ქსენიასაგან მივიღე ორი ღია ბარათი, ერთზე დახატულია „თავისუფლება“ ბიოკლინისა, მეორეზე „ზღაპარი“, მგონი მაკოვსკის, ან რეპინის, არ ვიცი კარგად. პირველზე ქსენიას ხელით დაწერილია რევოლუციონური ლექსი, მიკვირს, როგორ გაუშვა პროკურორმა, მეორეზე კი შემდეგი ახირებული წინადადებაა: Кто не хочет познать жизнь, для него остается одно средство — стараться сделаться полезным.

ახირებული გოგოა ეს ქსენია! საიდან გაიგო მაინც ჩემი სახელი „ქოლა“, ამ სახელით მე აქ, რუსებში, არავინ მიცნობს.

დღეს თითქმის სულ მაქვს ბახის წიგნს ვკითხულობ — Австрия в первой половине XIX века.

ხიდისთავიდან კიდევ არავითარი წერილი არ არის.

მივიღე ლოლას წერილი „ქალების განყოფილებიდან“, რამდენიმე უცნობი ქალიც აწერს ხელს, მოკითხვას მითვლიან. ერთი მწერს ციმბირში ერთად ვიმგზავროთ თუ ვსურსო. ჯერ ესეც კითხვაა ციმბირში წავალ თუ არა, ჯერ კატორლა მაშინებს. და თუ ციმბირში გადამასახლეს, რა თქმა უნდა, კარგია ქალთან მგზავრობა, თუ კი ეს მოსახერხებელია.

29 ნოემბერი, ხუთშაბათი.

დილის თერთმეტ საათზე ცილიასთან მქონდა „აუდიენცია“, რომელიც გაგრძელდა თითქმის ერთ საათს. გადმომცა ბრალმდებლის — კამიშინსკის სიტყვის შინაარსი. სიცრუე, სიცრუე!.. არხეინად დადიოდა თურმე უძალლო ქვეყანაში უჯობოდ. ყაჩაღების ბრბო გვიწოდა თურმე ჩვენ, შეგვადარა გერმანიის ს.-დემოკრატის და, აქო რა ის (შედარებით), გვაძაგა ჩვენ სწორედ ისე, როგორც საქართველოში ს.-ფედერალისტები ჩადიან. სხვათა შორის ნინა მოროზოვის ქალს, ამ უპატიოსნეს წარმომადგენელს საერთოდ პატიოსანი რუსის ქალისას, უწოდა პროსტიტუტკა, ღიმილით, არშიყოებით იჭერდა სალდათებსო... ერთი სიტყვით სიტყვა უთქვამს ისეთი, როგორიც შეპფერის რუსეთის პროკურორს. დღეს ილაპარაკებენ ოთხი დეპუტატ-რენეგატის დამცველები — პერგამენტო, აჯემოვი, ორი სალდათის — კალმანოვიჩი. ხვალ თუ ზეგ უკვე გვეცოდინება ფინალი...

ცილიამ დაქინებით მოითხოვა — თუ გადაგასახლეს, მე შენთან მოვდივარ, თუ კატორლაში გაგაგზავნეს, სადაც შენ იქნები, იქ წამოვალო, ატირდა კიდევ... ნერვები ამიშალა.

ჯერ ვნახოთ, რა იქნება და მერმე ვიფიქროთ ამაზე მეთქი, ვუთხარი. წავიკითხე „ეშმაკის მათრახის“ № 6.

ალექსანდრე არაბიძე გაუთავისუფლებიათ გუშინ, თუ გუშინ წინ, თავდებს ქვეშ, საქმე გადაიტანა სენატში.

30 ნომბერი, პარასკევი.

ცილიასგან მივიღე ოთხი წერილი ერთად, ერთიც ღია ბარათი, სურათით „Наука и искусство“, სიყვარულს მიცხადებს ცილიასგან არ მოეძულდი.

ვიყავი აბანოში — თავს მშვენიერად ვგრძნობ, ხველამ ძალიან მიკლო და სისხლიც არ მოყვება. ეჭიმი ჯინაზე არ მოვიწვიე. არც გუშინ, არც დღეს არ გაუცივებია. თუთუნის წევას უკლე. ხვალ სენატორები გამოგვიცხადებენ განაჩენს... საინტერესო დღეა. რა იქნება? კატორღა? განა არის რამე მოულოდნელი მაგათგან? ვნახოთ.

დღესაც ვკითხულობ ბახის წიგნს — ავსტრიის ისტორიას. ბიბლიოთეკიდან მივიღე ვიღაც სულელის მიერ დაწერილი წიგნაკი — „Сапоги Карла Маркса“. კარგა ხანია ასეთი სისულელე არ წამიკითხავს... ну, ღამე მშვიდობის!

1 დეკემბერი, შაბათი.

ვიცი, რამდენიმე კაცი გაათავისუფლეს... განაჩენის მოსასმენად არ წავედით... ვადაწყვეტით ვიცი, წინათგრძნობა მეუბნება, რომ კატორღა არ ამცილდება. ცილიასგან მივიღე წერილი — ევქვობ, რომ კატორღა იქნება, მაგრამ რა ვუყოთ, ყოჩაღად შეხვდი განჩინებასო... მოვიხმე „ნაღზირატელი“, ვკითხე, რა იცი მეტი. არაფერიო, მითხრა და გამშორდა. შემდეგ შემოიქვერიტა და ფურჩულით მითხრა (აღბათ წინეთ, როცა ვკითხე ვინმე უფროსთაგანი იყო კორიდორში), ათი კაცი გაათავისუფლეს ვიცი, სხვა, ღმერთმანი, არაფერი გამიგიაო... არ მეძინება ცნობისმოყვარეობით... ვკითხულობ დოსტოევსკის „ილიოს“. გარეთ კიტელე-გრაფის სინები საზარლად ზმუიან და წრიალებენ — სასტიკი ყინვაა. ცილიასგან მივიღე საბანი — მშვენიერი.

2 დეკემბერი, კვირა.

ურა! ხუთი წლის კატორღა მომანიჭეს... არ ვიცი სხვებს რა ხვდა, რამდენმა მიიღო ხუთი... მე ყოველთვის ხუთს ვღებულობდი სწავლაში, ხუთი მომისაჯა სამსაჯულომაც. სკოლაში თუ უმაღლესი ბალია 5, აქაც, დანამდვილებით ვიცი, ხუთ წელზე მეტი კატორღაში მუშაობა არავის რგებია ჩვენ საქმეში... ასეთია რუსეთის მართლმსაჯულება.

გაუგზავნე წერილი ცილიას, ე — ს (ფოთში), ბ რო დ ს კ ი ს (ნიენი-ნოვეგოროდში).

ეს მესამე დღეა მშვენიერ ხასიათზე ვარ... კატორღა. ვნახოთ ერთი, რა არის ეს კატორღა, თუმცა ვიცი, რომ იქიდან ცოცხალი ვერ გამოვალ — куда уж при моем здорoвьи.

საწყალი არჩილ ჯ! ის გადაიტანს განა კატორღის? მისთვის, წერეთლისთვის და ჩემთვის კატორღა — ეს სიკვდილით სსაჯელია. ვინ იცის, წერეთელმა ეგებ გაუძლოს ხუთ წელს. მაინც თუ კანონი მო-

გვახმარეს, კატორლაში გატარებული 8 თვე ითვლება ერთ წელად, ასე რომ 3 წელი და 4 თვე უდრის ჩვეულებრივ 5 წელს. თუმცა ჩემთვის ესეც სულ ერთია... ერთი ცილია მანახვა ნეტავი, სამშაბათადღე ასე შორს არის... მენატრება!

პინკლინოვიჩა

3 დეკემბერი, ორშაბათი.

მივიღე ცილიასგან პილდები (თბილი), ვაშლები და წამალი, მივიღე მისგანვე ღია ბარათი ლონდონის — სიტის სურათით (ჩემ მიერ მოტანილი ლონდონიდან).

დღეს წავიკითხე ანდრეევის „Тьма“ — მიდის ხელიდან ანდრეევი, ეხვევა სიმვლიზმის ბურუსში, ყველაზე უფრო სუსტად მომეჩვენა ეს მისი ნაწარმოები — а он великий художник. ხვალ ვნახავ ცილიას — ნახვამდი, ცილია!

17 კაცს კატორლა შეხვდა — მახარაძეს 4 წლით. ყველაზე უფრო იმის მეშინია, ჯაფარიძე — წერეთელთან არ მომიწიოს ყოფნა — это будет двойное наказание... წერეთლის შესახებ უკვე ცდილობს ნიკოლაძეო, მითხრეს დღეს, ეცდება რამდენადაც კი შესაძლებელია შეუმსუბუქოს ხვედრი.

4 დეკემბერი სამშაბათი.

პირველის ნახევარზე მოვიდა ცილია. თავი მზიარულად ეჭირა — ჩვენ კიდევ უნდა ვიცოცხლოთ, მითხრა მან... რა თქმა უნდა, კიდევ უნდა ვიცოცხლოთ! ბევრი რამეები იხუმრა, გამართო. მე თვითონაც კარგ ხასიათზე ვიყავი. მუსაიფი გაგრძელდა 20 მინ. როცა მე გამგზავნიან, ის წავა კავკასიაში, ბავშვთან, მერმე კი, ვნახოთ.

ვილაცამ დღეს გამომიგზავნა რამდენიმე ვირვანქა შაქარი და ჩაი.

5 დეკემბერი, ოთხშაბათი.

მივიღე ცილიას წერილი, დაწერილი განჩინების წაკითხვის შემდეგ, ეტყობა ძალიან აღელვებული ყოფილა რამდენიმე ალაგი კიდევ ამოუფხვებია პროკურორის... მამხნეებს.

ნასადილევს სასიეროდ გავედით. ბატაშოვისთვის დამცველს გადმოუცია, რომ თუ გავსაჩივრებთ საქმეს, სასჯელს აუცილებლად შეგვიცვლიანო. როცა ეს გაიგეს წერეთელმა და ჯაფარიძემ — მოილაპარაკეს: — ჩვენ ვაჭუშმდეთ კაცო ჯერ, აჯერ ნახავ, რომ ყველა წინანდელი ბოიკოტისტები გასაჩივრების მომხრე იქნებიან — ПОДЛОЖИМ ИМ СВИНЬЮ!..

ამ რომის პაპებს ვონიათ — მათ გარდა არავის არა აქვს წარმოდგენა არც თავმოყვარობაზე, არც რამე ასეთზე. ვაგვაცნო დამცველის წინადადება ბატაშოვმა. წერეთელი და ჯაფარიძე განზე დადგნ და ირონიულად დაიწყეს ცქერა. აილო სიტყვა მახარაძემ (ბოიკოტისტი იყო) და მკაცრად დაგმო ვეჭილგების წინადადება. თქვა, მე მგონია, არც ერთი ჩვენგანი ამ წინადადებას არ მიემხრობა და ამიტომ წინა-

დადებს ვიღღევი უკამათოდ უარცყოთ ესო. ერთხმად უარცყენ, რა თქმა უნდა. რომის პაპები იღვენ განზე და თავს აქნევენ. მაინც გასაკვირალია მათი საქმე, ასე გონივრით მართო მათ არ ეშინიათ კატორღეც. ესევე და ავიწყდით, რომ მათ, პარტიულ არისტოკრატებს, უფრო ავიწყება ზურგი, ვიდრე ჩვენ — მე ჩემ სიცოცხლეში კატორღაში ვიყავი, შემაშინე კატორღით, თუ ძმა ხარ!

— რავე გაირყენენ კაცები, რავე გაირყენენ! ბრახმორეული დაიძახა მახარაძემ.

ამბობენ, 12 ამ თვეს, როცა საბოლოოდ გამოგვიცხადებენ განაჩენს, უკვე გადაგვაცემენ ტანზე, ყველაფერ საკუთარს წაგვართმევენ და კატორღანების რეჟიმზე გადაგვიყვანებენო... ენახოთ ერთი, რა არის ეს.

გურიიდან კიდევ არავითარი წერილი არ არის და არა. გამოიბეს ამ წვერძალებმა ძაღლის ბალანი.

ღღეს, სეირნობის დროს, ჩვენთან ასეირნეს ის. რამი შვილი.

ღღეს დავხიე, ლუკმალუკმად ვაქციე ყველა მოთხრობები, შავათ დაწერილი. დასაბეჭდად არ ღირდა და გადათეთრებას კი ვინ მოესწრება. მთელი გროვა შედგა, როცა დარაჯს ნაგავი გაჭონდა — გაკვირდა — ამდენი ქაღალდები სად იყო. ჩემი სიცოცხლე ისე მოეწყო, რომ ვერაოდეს ვერ გადავთეთრე ის, არა თუ ხელნაწერები, თვით ჩემი სიცოცხლეც... ხვალ კიდევ ენახავ ცილიას.

6 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ენახულე ცილია და ბარნაბა შარაშიძე. აღდიენცია ვაგრძელდა 30 წუთს. ბევრი ვიხუმრეთ. მივიღე ცილიასგან ფორთოხლები, ხალვა და სუხარი. ცილიამ მითხრა — ვცდილობ შლისელბურგის სიმაგრეში დაგტოვონ, ეგებ რაშე გამოვიდესო. მე კი მგონია, არაფერი გამოვა — მთავრობას ალბათ სასამართლოს დადგენილებამდე ჰჭონდა აჩენილი ბინა, სადაც ჩვენ უნდა დავგეგმოდნო. დაშლით კი არ დაუშაღე, გულს გადააყოლებს, უხარია, რომ ცდილობს თითქოს, მეხმარება.

ღღეს ხელში ჩამივარდა გაზეთის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია მთავრობის განცხადება ჩვენი პროცესის შესახებ და რომელიც თავდება ასე: по тщательном и всестороннем рассмотрении... всех обстоятельств дела и выслушании сторон (каких сторон? ведь была только одна сторона!) სასამართლომ დაადგინაო და სხვა... ეს тщательное и всестороннее рассмотрение შესანიშნავია — განა სასამართლოს სჭირია ამ სიტყვის ხმარა, თუ ის თავისთავს აფასებს? განა ეს თავისთავად არ უნდა იგულისხმებოდეს? და როცა ის თვითონ ამბობს тщательно და всесторонне გამოვიკვლიე საქმეო, განა სიცილით არ უნდა ეუთხრათ ბნ მსაჯულებს — თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვი-სო? რა თქმა უნდა тщательно გამოკვლევა იყო, სასამართლო ხელმძღვანელობდა საიდუმლო პოლიციის ცნობებით — თორემ, აბა, რა არის საქმეში ჩემ შესახებ საკატორღო კი არა, რამდენიმე თვის ციხეში ჩასა-

ჯენი საბუთი? რა საბუთი ჰქონდათ მახარაძის, უმთავრესად ჩა-
შჩინის წინააღმდეგ? კაციაშვილს კი, რომელსაც უნახეს ბირ-
ველი და მეორე ღუმის ს.-დ. ფრაქციის მიერ მიღებული „ყველა უნაქა-
ზები“, კაციაშვილს გაუღეს ციხის კარები და გაათავისუფლეს. *Уничтожает*
кошка, чье мясо с'ела, илдеვე ამბობს по тщательном и всесторон-
нем рассмотрении ასეთ დასკვნამდე მივედიო... прения сторон!.. ჩვენ
ხომ არც თვითონ დავსწრებივართ საქმის გარჩევას და არც დამცველები
გვეოლია — Какие же были прения сторон?..

ღღეს მთელი დღე ვკითხულობ ვეილის „История республиканской
партии во Франции“. გვარიანია.

7 დეკემბერი, პარასკევი.

მივიღე ცილიას წერილი. ბევრი ალაგი ამოშლილია შიგ პროკუ-
რორისგან. მივიღე ვანა. მთელ დღეს ვკითხულობდი ვეილის წიგნს,
მოპასანის მოთხრობებს და ჰეინესს.

გავიგე, რომ ტოლმაჩევი ადესის გენერალგუბერნატორად დაუ-
ნიშნავეთ, ეგების ახლა ამოისუნთქოს რამდენიმეთ უბედურმა გურიამ.

აფიცრებისთვის ჯამაგირები მიუმატებიათ — ესეც ახალი წყალობა —
ქრთამი შინაურ მტრებთან საბრძოლველად.

წიგნებს ველარ ვშორდები — საშინელი სევდა მეხვევა გულზე, როცა
უსაქმოდ ვზივარ, ან დავდივარ კამერაში. ხ-უ-თ-ი წ-ე-ლ-ი! ვინ ვადააბი-
ჯებს ამოდენა მანძილს?

ვანაში წასვლის დროს ერთმა „ნადზირატელმა“ მკითხა:

— რა სასჯელი გარგუნეს თქვენ?

— ხუთი წლის კატორღა.

— ოჰ, მაგათი... და ერთი რუსულად შეუკუროთხა. მე გამეცინა.

— რა? ძნელია? — ვკითხე.

— ძნელი... ჰო ძნელია, როცა კაცი მართალია!

— განა მართალი ვარ?

— რა თქმა უნდა... მე ყველაფერი ვიცი... ხმადაბლა მითხრა მან.

— მაშ ისიც გეცოდინება, რომ ყველა ეს დაინგრევა... სიმართლე გა-
იმარჯვებს.

— ღმერთმა ქნას... მარა ჯარი ეს... და კიდევ შეუკუროთხა რუსუ-
ლად, — ჯარი ყრუა!

— არაფერია... სიმართლე მაინც გაიმარჯვებს...

მიამა... რა ვიცი, რა კაცია, მარა მაინც მიამა.

8 დეკემბერი, შაბათი.

თერთმეტ საათზე ცილია ვნახე, თორმეტ საათამდე მოგვეცეს ნება
მუსაიდის. ცდილობს თითქოს, რომ შლისელბურგის სიმაგრეში დამტო-
ვონ, თუმცა წინდაწინვე ვიცი, რომ ეს არ შეიძლება. ეცადოს, გული გა-
დააყოლოს. გადმომცა წერილი, ერთი ვაშლი, ორი ფორთოხალი და ჩურ-

ჩხელა. გამომიგზავნა ძეხვები, ერბო, ვიჩინა. მივიღე მისივე წერილი. დღეს მკითხეს, ოთხშაბათს, 12 დეკემბერს, საბოლოოდ აცხადებენ განაჩენებს და გსურს თუ არა დაესწროო. მე უარი უთხარი. ბოიკოტი ვყოფიყფიყფობოიკოტი!

ტოლმაჩევს უთხოვია მთავრობისთვის, გურიას ნუ მომაშორებთო. იმდენი ჭკუა კიდევ შერჩენია, რომ გურიაში უფრო შეუძლია დაფაროს თავის სიგიჟე. ის ნამდვილი გიჟია. ადესაში კი სისასტიკეს გარდა აღმინისტრაციული ნიჭიც არის საჭირო, ტოლმაჩევი კი მხოლოდ მხეტია და მეტი არაფერი.

დღეს, არ ვიცი რათ, უცებ თავში შემიძვრა ფიქრი, უცებ დაერწმუნდი, რომ მე სახრჩობელაზე გვაეთავებ სიცოცხლეს. არაოდეს არაფერში არ ვყოფილვარ ასე დარწმუნებული, როგორც ამ აზრში. ეს მეორეჯერ შემართება. პირველად ასეთი ფიქრი მომივიდა 1905 წლის ოქტომბრის წინათ... აშკარად, ნათლად ვხედავდი ჩემ წინ სახრჩობელას, ჯალათს, პროკურორს და ჭოლას, უკან ხელზეშეკრულს, რომელიც თავს ყოფდა ბაწარში... განზე გავიხედე, იქაც იგივე სურათი დამიდგა თვალწინ, მივიღგი სკამი ფანჯარასთან, შევდექი ზედ და გადავიხედე ქვევით, სადაც სერიანობაზე გამოსული ამხანაგები ყვიროდენ და თამაშობდენ. და იქაც, ელექტრონის ბოძი სახრჩობელად მომჩვენა... 10 წუთს გაგრძელდა ეს გალიუცინაცია. ეს ცუდია, თუ გალიუცინაცია ამიტყდა.

9 დეკემბერი, კვირა.

გამაცოცხლა, გამაცხელა. საღამოს ხუთი საათია და ვწვები... რა დროს ავადმყოფობაა! რა სისაძაგლეა კატორღაში სიკვდილი... თავისუფალ ჰაერსაც ვერ დაინახავ, ისე დაგეხუჭება თვალები. არც ერთი მოყვარული ადამიანი არ იქნება შენ გვერდით!.. ფუ!.. არ მინდა სიკვდილი, არ მინდა!

10 დეკემბერი, ორშაბათი.

მთელი ღამე წუხელის ებოდავდი, ვინ იცის რა ფანტასტიურ ქვეყანაში ვსერილობდი, ოფლმა დამახჩო კაცი. დღეს სადილობამდი თავს კარგად ვგრძნობდი, ნასადილევეს კი ისევ შემიძვრა ტანში ცივება და მაწვალეზს, თუმცა ისე ძლიერ არა, როგორც გუშინ.

ცილიასგან მივიღე ერთი წერილი და ორი ღია ბარათი — ერთზე დახატულია, თუ როგორ ეალერსება დედა პატარა შვილს — გასაცვიფრებელი სინამდვილით არის გადმოცემული „დედის სიხარული“, მანიის სურათის პირი; მეორეზე დახატულია „ბასტილიის აღება“.

კინაღამ გამოვიტეცი სერიანობიდან, ისე გამიჭირდა, ამასთანავე ყველადასძლია სევდამ, ჩაფიქრდენ, თავები ჩალუნეს. ვერ არიან მებრძოლი ბიჭები, ჩენი ყოფილი ფრაქციის უმრავლესობა...

ვკითხულობ ბოლესლავ პრუსის მოთხრობებს, ქრონიკებს. არ მაქვს შეტვი არავითარი წიგნი.

ამალამაც აღრე დაეწვები, ვამიჭირდა. მადა მაინც კარგი მაქვს, მიუხედავად ციებისა. მაგრამ ეს ციება ხომ უბრალო ციება არ არის, აქ ცუდი ნიშნები ჩანს, აღარ უნდა ძიება, რ. ერისთავის ლექსები არაა... არა, სიფილისი როდია, არაოდეს არც ერთი ვენერიულმა მკვანძმა მგარეზბია, — ეს ჭლებია... Под тобою смерть моя!

11 დეკემბერი, სამშაბათი.

ვინახულე ცილია. გული მომაყვანია, დღევანდელმა „სვიდანიამ“ გამიარა ტყუილად, ცივად გამოვემშვიდობე და წავედი. წუხელის ოფლში, მყრალ, ბინძურ ოფლში ვცურავდი. დღეს ნასადილეც ციებას ვგრძნობ ტანში, ამელამაც ოფლი მექნება ვიცი. უბედურებაა ეს. წავიკითხე რადინის სტატია — თუ როგორ გამოიქცა ციმბირიდან. ავი და კარგი ყველა წერს ახლა გაქცევის შესახებ — არაფერი საინტერესო კი არ ყრია შიგ.

ცილიას კი ვწერ, დღითი დღე უკეთესად ვხდები მეთქი, на самом деле все наоборот.

12 დეკემბერი, ოთხშაბათი.

დღეს გამოაცხადებენ საბოლოო განაჩენს ჩვენი საქმის შესახებ. დღესვე იწყება ვიბორგის მოწოდებაზე ხელისმომწერთა საქმის გარჩევა (160 კაცის საქმე).

დღეს კიდევ უარესად ვარ, ხველამ დამახჩო, ოფლმა კი... თუ ეს ბინძური და მყრალი ოფლი ვერ მოვიშორე, რადიკალურ საშუალებას მივმართავ, ვფიცავარ ღმერთს. მოვიწვიე ექიმი, ეს ხარო... გამშინჯა, მირახუნა გვერდებზე, დაითვალა პულსი, გაზომა სიცხე და ფერშლის ხელით გამომიგზავნა... მხოლოდ ორი ფხვნილი ხინა. დავხედე და ისე გავებრაზდი, რომ ბატონ ფელდშერს შიგ ცხვირში მივართვი წამალი, შემდეგ ბოდიში მოვიხადე, ეს დოქტორს ეკუთვნის და არა თქვენ, მაგრამ ის არ იყო და გთხოვთ გადასცეთ ეს ჩემ მაგიერ მეთქი. ენახოთ რას მიზმენ. ახლა ხომ ყოველივე ღირსებაახდილი კაცი ვარ, ახლა უფრო თამამად შეუძლიათ გამიმასპინძლდნენ.

ცილიასაგან მივიღე ცარიელი პაკეტი პროკურორის წარწერით: „Письмо задержано“. ხვალ დილას პროკურორს ვაფუგზავნი ამ კონვერტს წარწერით: „На память прокурору“... რას მიგზავნის, ეს მხეცი ცარიელ კონვერტს — გულზე რათ მაკლავს. დამიბრუნეს ჩემ მიერ გავზავნილი ოცდაორ ნოემბერს წერილი ცილიას სახელზე შენიშვნით: „Указать адрес“. წერილი გავზავნილია ჩვეულებრივი ადრესით, ყოველთვის ამ ადრესით ვავზავნი არა თუ მე, არამედ ყველა ტუსალები, ვინც კი პროკურორის ხელშია. წერილი იგზავნება „პროკურორის კანცელარიაში“, საიდანაც პირდაპირ მიაქვთ ადრესატებს, ყოველდღე მოდიან და მიაქვთ. მაშ რათ დამიბრუნეს? ეს მეოთხეჯერ არის ახლა, ასე რომ მომექცენ. პირველად ვთხოვდი და ჩქარებით გამოვეგზავნა ცილიას

ჩემთვის წიგნები. ოც დღეს მერმე წერილი უკან დამიბრუნეს წერილით: „Указать адрес“. მეორეჯერ „убедительно“ ეთხოვდი, რომ დღე-ში ეშოვა ჩემთვის ბიბლია, მჭიროდა მაშინ ძალიან. შესაძლებელია მეორეჯერ ეთხოვდი წამალს, რაც შეიძლება და ჩქარა. აი ამ ხაზგასმულმა სიტყვებმა დალუბა წერილები. ეს წუნკლები აქაც, ასეთ შემთხვევებშიც, წუნკლობას ვერ ტოვებენ... რომ ჩემათ არ შეიძლებოდეს წერილის გაგზავნა, შენი მტერია, ჩვენ გაგვიპირდებოდა, მეტადრე ვისაც ნათესაეების ნახვის ნებას არ აძლევენ. თუ მარკით გაგზავნე წერილი სულ უარესი — სრული 22 დღე უნდა შპალერის ქუჩიდან (რომელზედაც ჩვენი სატელეფონო) თავრიდის ქუჩამდე (სადაც ცილია ცხოვრობს — ერთი ვერსტი არ იქნება), რომ წერილმა მიაღწიოს და ისიც, ვინ იცის, მიაღწევს თუ არა... ეჰ, რანაირად, რა ბრმად თესვენ ეს წუნკლები სიძულელითა და შურს, რა წინდაუხედავად ასწავლიან სამაგიეროს გადახდას თავის მტრებს, როგორ აბოროტებენ ადამიანებს... წიგნი რომ თავის დროზე ვერ მივიღო, ერთ თვეს მერმე მიბრუნებენ უკან წერილს — ადრესი დააწერეო... ეჰ, თქვე ჯალათებო! განა ასეთ წერილმანმა და გათახსირებულმა ხალხმა უნდა ვაიმარჯვოს!..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მალაქია ბოროშელიძე

ქართული ლიტერატურა

მოხსენება მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 20 აგვისტოს

თანამედროვე ქართული ლიტერატურის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ მისი სათავეები.

ამიტომ, სანამ შევეუდგებოდეთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის შეფასებას და იმ პრობლემებს, რომლებიც მის წინაშე დგას ამჟამად, საჭირო იქნება მოკლედ შევეხოთ ქართული ლიტერატურის ისტორიას და მისი განვითარების მთავარ ეტაპებს.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ იმ განკერძოების გამო, რომელიც არსებობდა კავშირის ერთა შორის ცარიზმის ეპოქაში და იმ ქედმაღლური ათვალწუნების წყალობით, რომელსაც იჩენდნენ „ინოროდცების“ ლიტერატურის მიმართ, ქართულ ლიტერატურას ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება, თუმცა იგი ყურადღების ღირსია თავისი ისტორიული ტრადიციების მიხედვით.



ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის ძველ ლიტერატურათა რიცხვს ეკუთვნის. ჩვენამდე მოღწეული ძეგლები ჩვენი წელთაღრიცხვის IV — V საუკუნეებში მიეწერება, თუმცა ქართული ლიტერატურის აღმოცენება, მთელი რიგი საბუთების მიხედვით, უფრო ადრინდელი ეპოქის ამბავია.

IV — V საუკუნეებზე ადრინდელი ძეგლების დაკარგვა აიხსნება ქრისტიანობის გამარჯვებით, რაიც საქართველოში IV საუკუნის დამდეგს მოხდა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ „წარმართული“ ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობა თანდათანობით გამოვიდა ხმარებიდან, თუმცა მან ღრმა კვალი დასტოვა და დალი დაამჩნია ქრისტიანულ საფუძველზე წარმოშობილ ახალ ლიტერატურას. უწინარეს ყოვლისა ამ ახალ ლიტერატურას მან გადასცა საესეებით და მუშავებული ლიტერატურული ენა, რომელიც კლასიკური ფორმით არის წარმოდგენილი უკვე IV — V საუკუნეების ძეგლებში და ხასიათდება უდიდესი სიმდიდრით.

ამ დროიდან, —IV—V საუკუნეებიდან მოკიდებული, 15 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოში ჩვენ გვაქვს განუწყვეტელი ლიტერატურული ტრადიცია. ქართულმა ლიტერატურამ თავისი არსებობის 15 საუკუნის განმავლობაში შექმნა ფრასის მდიდარი მემკვიდრეობა. ძველი ქართული ლიტერატურა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეკუთვნოს პროვინციალური, ვიწრო ადგილობრივი მასშტაბის ლიტერატურათა რიცხვს. მას სრული უფლება აქვს მიეკუთვნოს დიდ ლიტერატურათა რანგს. იგი თავისი დიაპაზონითა და მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებოდა ქრისტიანულ შუა საუკუნეთა არც ერთ ლიტერატურას.

ეს კიდევ ცოტაა. ძველი ქართული ლიტერატურა რაოდენადმე უნიკალურ მოვლენას და ბედნიერ გამოჩაყლის წარმოადგენს შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს ძირითად ლიტერატურათა ციკლიდან. ეს იმ მხრივ, რომ საქართველოში ბრწყინვალედ განვითარდა წმინდა საერო სიტყვაკაზმული ლიტერატურა. როგორც ვიცით, საქართველოს უახლოეს მეზობლებს, ბერძენ-ბიზანტიელებს, სირიელებს და სხვებს, შუა საუკუნეებში არ გააჩნდათ ისეთი საერო სიტყვაკაზმული ლიტერატურა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომლის მცირეოდნად შედარება მაინც შეიძლებოდა ქართულ ლიტერატურასთან.

ამავე დროს, საერო სიტყვაკაზმული ლიტერატურის გარდა, ძველ ქართულ მწერლობაში ფრიად უხვად არის წარმოდგენილი ყველა ის ჟანრი, რომელიც კი ფეხმოკიდებული იყო შუა საუკუნეების ლიტერატურებში.

რათა ცოტაოდენი წარმოდგენა მაინც მოგცეთ ძველი ქართული ლიტერატურის საერთო ხასიათსა და სტილზე მისი უდიდესი აყვავების ეპოქაში, თითქმის მთელი ათასი წლის დროის მანძილიდან, IV—V-დან ვიდრე XVIII საუკუნემდე, — უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ერთ ძეგლზე, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს.

ჩვენ ვლაპარაკობთ შოთა რუსთაველის — „ვეფხისტყაოსანზე“.

ამ ნაწარმოებზე შეჩერება მით უფრო საჭიროა, რომ ახლა, როდესაც ჩვენს წინაშე დგას წინა ეპოქათა კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების პრობლემა, შოთა რუსთაველის პოემა ყურადღების ცენტრში დგება, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ყველაზე შესანიშნავი ძეგლი.

რუსთაველის პოემა



რუსთაველის პოემა დაიწერა XII საუკუნის დამლევს და XIII საუკუნის დამდეგს (1196 და 1206 წლებს შორის).

იგი უნდა მიეკუთვნოს მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლთა რიცხვს.

რუსთაველის ქმნილებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მთელ შემდგომ ქართულ ლიტერატურაზე; ეს გავლენა დღესაც გრძელდება. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ამ 700 წლის განმავლობაში რუსთაველის პოემა იყო და დღესაც არის ის წიგნი, რომელიც ყველაზე მეტად იკითხება საქართველოში. იგი ხალხის ნამდვილ კეთენილებად იქცა. პოემა იმთავითვე შეიქრა ხალხის ფართო მასებში. მისი პუპულარობა იქამდე მივიდა, რომ იგი განმტკიცდა ფოლკლორში და ამ პოემის სიუჟეტის ირგვლივ თქმულებათა მთელი ციკლი გაჩნდა. პოემის აფორიზმები ხალხური სიტყვიერების საგანძურში შევიდა და პოეტის ბრძნული თქმანი ხალხში ანდაზებად და სენტენციებად მეორდება.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდი არის ის გარემოება, რომ რუსთაველის პოემამ გაუძლო შეიდი საუკუნის გამოცდას და დღევანდლამდე დარჩა ქართული ლიტერატურის აქტიურ ფაქტორად: რუსთაველის პოემა — ერთერთი უდიდესი ნაწარმოებია, რომელიც კი შუა საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურას მოუკია.

რაშია სიღაღე ამ ნაწარმოებისა, რომელიც ქართულ ლიტერატურაში დღევანდლამდე „ინარჩუნებს ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას?“

ვიდრე რუსთაველის პოემის სპეციფიკის გამორკვევას შევუდგებოდეთ, უწინარეს ყოვლისა შევცხოთ ამ ნაწარმოების ფორმას.

რუსთაველის ქმნილებაში ჩვენ გვხიბლავს ფორმის განსაკუთრებული, მიუწვდომელი ოსტატობა.

საჭიროდ მიმანია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმაზე შემცდარი არაფერი იქნება, როგორც იმის ფიქრი, თითქოს რუსთაველის პოემა ხალხური ეპოსის არაბელოვებული ტიპის ნაწარმოები იყოს. პირ-
•ქით, რუსთაველის პოემაში მოცემულია პოეტური კულტურის უმაღლესი საფეხური.

ვიდრე გადავიდოდეთ პოემის ფორმის ანალიზზე, ზედმეტი არ იქნება წინასწარ გავიცნოთ თვით რუსთაველის ars poetica, რომელიც პოემის პროლოგშია მოთავსებული და, სადაც გამოხატულია რუსთაველის შეხედულებანი პოეზიაზე. ეს ars poetica ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივაც, რომ აქ არის მითითება იმ პოეტთა პლეადაზე, რომელიც მუშაობდა რუსთაველის ეპოქაში და ავითარებდა სხვადასხვა თანრს.

მოგვეყავს პოემიდან რამდენიმე საამისო ტაეპი.



შეირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მამრეჲსა
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შეირობა ამაღ კარგი. *მამრეჲსა მამრეჲსა*

კითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მოზურთალსა შოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე შელეჭეთა ლექსთა გრძელთა თჳმა და ხევა,
რა მისჭირდის საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

შეორე ლექსი ცოტაი ნაწილი მოშორეთა
არ ძალუძთ სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე სიტყვა ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა,
დიდსა ვერ მოაკლენ, ხელად აქეთ ზოცვა ნადირთა მცარეთა.

მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,
სააშვიოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად,
ჩვენ მათიყა გვიამების, როცა ოდენ თქვენ ნათელად,
მოშორე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

რუსთაველს შეგნებული აქვს თავისი პოემის მაღალხარისხოვნება და მოუწოდებს მკითხველს მკაცრად შეაფასოს მისი ნაწარმოები.

რაშინა პოემის სპეციფიკური თავისებურებანი?

რუსთაველის პოემაში უმაღლესი ოსტატობის ნიშანი აზის იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ნაწარმოების „შინაგანი ფორმა“, სახელდობრ სიუჟეტის გაშლა. პირველ თავებშივე პოეტი ბოჭავს მკითხველის ყურადღებას. სიუჟეტის თანდათანობითი გაშლა და ინტერესის ზრდა უბადლო არტიტული ტაქტით არის ჩატარებული. მკითხველი დაუცხრომელი ინტერესით მისდევს ამბავს პოემის უკანასკნელ ტაეპამდე.

პოეტი ზომიერების განსაკუთრებულ გრძნობას იჩენს. იქ არაა გაკვიანურება და გამეორება; თვით პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ არის პოეტური მერნის მოხდენილად შეკავება — „რა მისჭირდეს საუბარი“.

ამასთან ერთად პოემის გარეგან ფორმასაც, ე. ი. თვით ლექსს ახასიათებს შეუღარებელი ჰარმონიულობა. რუსთაველი სიტყვის ნამდვილი ჯადოჭარია. მისი ლექსი დღევანდლამდე მიულწიველ იდეალს წარმოადგენს ქართულ პოეზიაში. ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ლიტერატურაშიც ნაკლებად მოიძებნება ისეთი პოეტი, რომელიც შესძლებს ლექსის ოსტატობით გაუტოლდეს რუსთაველს.

ცალკე უნდა აღინიშნოს პოემის მეტრული სტრუქტურა. პოემაში რიტმების იშვიათი შეხამებაა. იქ ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი შემდეგი ფორმალური ამოცანა: რუსთაველმა თავიდან აიცილა იმ ერთიანი რიტმის მონოტონობა, რომელსაც ჩვეულებრივ მისდე-

ვენ ხოლმე ამ ტიპის მონუმენტალურ ნაწარმოებებში (ვექსამეტრი ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში, სპარსელი პოეტის ფირდოუსის საგმირო ლექსი, დანტეს პოემის ერთსახოვანი ფეტიქი (ფესტიკლი), მეორე მხრით, აქ გვერდი აქცეული აქვს მუსიკალურად გადმოქვეყნებული თანაშეუზომელ რიტმთა გადასვლებს, რაც ნაწარმოებს წმინდა ლირიკის ელფერს მისცემდა.

რუსთაველი თავის პოემაში შეხამებულად იყენებს ორ მეტრს, „მაღალ შაირს“ (მაჟორ) და „დაბალ შაირს“ (მინორ). ამასთან ერთი მეტრიდან მეორეზე მწყობრი გადასვლა იმით განისაზღვრება, რომ ორივე ლექსი, მაჟორიც და მინორიც, თექვსმეტ მარცვლოვანია.

ორივე მეტრს, როგორც მინორს, ისე მაჟორს, მთელი რიგი რიტმული მოდულაციები ახასიათებს. ჰარმონიულად შეკავშირებულ ზომათა შენაცვლება განსაკუთრებულ მუსიკალობას აძლევს ლექსს და ნამდვილი სიმფონიის შთაბეჭდილებასა ქმნის.

პოეტის ხელში რითმაც განსაკუთრებული მუსიკალური გამოხატველობის ინსტრუმენტად იქცევა. პოემაში მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი ორმარცვლოვანი და სამმარცვლოვანი რითმებია. ამასთან რითმის ყოველ ტიპს თავისებური მუსიკალური ნიშანდობა აქვს და შეესაბამება: ორმარცვლოვანი რითმები მაჟორის რიტმს, ხოლო სამმარცვლოვანი — მინორის რიტმს. თუ ამასთან შედგელობაში მივიღებთ, რომ ეს მრავალმარცვლოვანი რითმები ყოველ ტაქტში აძლევს 4 თანაბგერას, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რუსთაველის ლექსის განსაკუთრებული მუსიკალობა.

რითმასთან ერთად რუსთაველი ფართოდ სარგებლობს შინაგანი ალიტერაციებით და ამაში საოცარ ოსტატობას აღწევს. მაგალითად ავიღოთ ერთი ტაქტი, სადაც ზედიზედ ეხვდებით „მო“ მარცვლის შვიდ ალიტერაციას:

„მო სით მოვიდა ღარიბი მონა მოყესითა სამითა,
მონა მონურად მოსილი“...

ალიტერაციებთან ერთად პოეტი იყენებს აგრეთვე უშუალო ზგერითმსახველობას, როგორც მაგალითად, იმ სტრიქონებში, სადაც დამახასიათებელ ბგერათა შერჩევით პოეტი ვადმოგვეცემს იერიშზე გადასული ცხენოსანი ჯარის თქარა-თქურს:

ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმა შეჭქნა წრილი-
რა ნახეს, კარნი გააბნეს, ჭალაქით გახდა ზრილი.
სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რილი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიჭნა ბლეთა ტყრციალი.

გამთავრებთ რა რუსთაველის პოემის ფორმის გაკერით დახასიათებას, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველი პოეტური მეტაფორის უბადლო ოსტატია.

არა ნაკლებ ოსტატობას იჩენს რუსთაველი, როგორც აფორასტი. რუსთაველის აფორიზმები ყოველთვის ორგანულად დაკავშირებულია თხრობის ქსოვილთან, მაგრამ ამასთან ერთად ისინი დამოუკიდებელი პოეტური სიცოცხლის მქონენიც არიან. რუსთაველის აფორიზმებში ნაქედია უბადლო პოეტური გამომხატველობით ბრძენი პოეტის ჭკრეტა. რუსთაველის აფორიზმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ხანია ხალხის კუთვნილებად იქცნენ და ბრძენი პოეტის შრავალ ასეულ ბრძნულ გამოთქმას ხალხი დღესაც იმეორებს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველის პოემაში ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული პოეტური გენიალობის შეხამება დიდ პოეტურ კულტურასთან, რაც მოწმობს იმ შალალ საფეხურს, რომელსაც საერთოდ ქართულმა ლიტერატურამ რუსთაველის ეპოქაში მიაღწია.

გადავდივართ რა რუსთაველის პოემის შეფასებაზე შინაარსის მხრივ. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ აქ საქმე გვაქვს მთელ რიგ პრობლემებთან, რომელიც საერთოდ ხაკლებადაა შესწავლილი და სრულიად არ არის გაშუქებული მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის მიერ. ამიტომ ჩვენი შემდეგი თხრობა წარმოადგენს უფრო საკითხების დასმას, აგრეთვე მათი ერთგვარი გადაწყვეტის ცდასაც. პირველ ყოვლისა იბადება კითხვა: რა ადგილი უჭირავს რუსთაველის პოემას მის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში?

ამ საკითხს მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმისათვის, რომ გავარკვიოთ თვით რუსთაველის პოემის სპეციფიკა, არამედ იმისათვისაც, რომ გავიგოთ მისი თანამედროვე ქართული კულტურა და საერთო სტილი XII—XIII საუკუნის საქართველოს მხატვრული ლიტერატურისა, რომლის ყველაზე ბრწყინვალე გამომხატველებს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს.

შედარებისათვის შეგვიძლია ავიღოთ ერთი მხრივ რუსთაველის თანამედროვე აღმოსავლეთის — სპარსულ-არაბული პოეზია, დასავლეთ ევროპის ტრუბადურთა პოეზია, რომელიც აგრეთვე რუსთაველის თანამედროვე იყო და დასავლეთ-ევროპის ალორძინების დიადი წინამორბედის, — დანტეს პოეზია, რომელიც ცოტა მერმინდელ ეპოქას ეკუთვნის.

ერთი შეხედვით შეიძლება ისე გვეჩვენოს, რომ რუსთაველის პოემა ძალიან ახლო ენათესავება აღმოსავლეთის — სპარსულ და არაბულ საშუალო საუკუნეთა დიად ლიტერატურას. მაგრამ უფრო ღრმა შესწავლის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა, კერძოდ რუსთაველის პოემა არ შეიძლება მარტო აღმოსავლეთით განისაზღვროს. იგი წარმოადგენს ორი კულტურის — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთმოქმედების თავისებურ ნაყოფს.

საქართველოს კავშირი აღმოსავლეთთან გამოწვეული იყო, უწინარეს ყოვლისა, სოციალური წყობილების ნათესაობითა და გარდა

ამისა გეოგრაფიული სიახლოვით. როგორც ვიცით, რუსთაველის ეპოქაში ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები, შირვანი და არანი, რომლებიც კულტურულად გასულიყოფილებული იყო, და ჩრდილოეთ სპარსეთის ზოგიერთი რეგიონი, რომლებიც კურად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო საქართველო იმ ეპოქაში საკმაოდ ვრცელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც მთელი კავკასიის ყელი ეჭირა.

კიდევ უფრო მეტიც. XII საუკუნეში საქართველო ერთგვარად სპარსული პოეზიის ცენტრს წარმოადგენს. გასპარსელებული პროვინცია შირვანი, რომელიც XII საუკუნეში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, იმ ეპოქაში სპარსული ლიტერატურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია. სპარსელ პოეტთა შირვანულ სკოლას ეკუთვნიან სპარსეთის დიდი რომანტიკოსი ნიზამი (XII საუკუნე), ხაკანი და სხვები. რა თქმა უნდა, სპარსული ლიტერატურის ამ კორიფეებს, რომელნიც საქართველოს ვასალურ სამთავროდან ჩამომავლობდნენ და რომელთა სალიტერატურო მოღვაწეობა კავკასიაში მიმდინარეობდა, უშუალო ურთიერთობა ექნებოდათ საქართველოს სალიტერატურო წრეებთან.

თვით ტფილისში, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელმა XII საუკუნის დამდეგს მოაწყო თავისებური აკადემია, სახლი მუსლიმან პოეტებისა და სუფიებისათვის. საქართველოს და სპარსეთის კულტურული ჭრთიერთობის ისტორიისათვის დამახასიათებელია, რომ XII საუკუნის ქართველი პოეტი ჩახრუხან-ძე, რუსთაველის თანამედროვე, გვევლინება სპარსეთსა და არაბთა ქვეყნებში, როგორც მოგზაური პოეტი და რაინდი. მეორე მხრივ დამტკიცებულია, რომ მუსლიმანი პოეტები თამარ მეფის პატივსაცემად ოდებს თხზავდნენ.

ქართული და მუსლიმანური, — უწინარეს ყოვლისა სპარსული, — ლიტერატურის უშუალო ურთიერთობის ასეთ პირობებში გასაგებია ღრმა კავშირი ამ ლიტერატურათა შორის.

მაგრამ რუსთაველის პოემა, რომელიც ღრმად დაკავშირებულია აღმოსავლეთთან, ამავე დროს ააშკარავებს საოცარ პარალელიზმებს დასავლეთის ლიტერატურასთან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეული იყო ამ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების სპეციფიკით. საქართველოს ფეოდალიზმი საესეებით ვერ ფარავს აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ წყობილებას და მრავალი ნიშნით ენათესავება დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმს, ხოლო ეგრეთწოდებული „საშუალო საუკუნეთა ქრისტიანული კულტურა“ მათ საერთო აქვთ.

ეს დებულება შეგვიძლია დავასურათოთ ქალის კულტის მაგალითით. ქალის კულტი მკაფიოდ გვევლინება რუსთაველის პოემაში

და პოემის ერთერთ ცენტრალურ თემას წარმოადგენს. რუსთაველის პოემის ქალები — ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ფატმანი, სრულიად სხვა არსებანი არიან, ვიდრე მუსლიმანური საელეთის ქალები, მუსლიმანური ლიტერატურისა და ცხოვრების ქალები. რუსთაველის პოემაში წარმოდგენილ ქალის კულტს ბევრი რამ საერთო აქვს დასავლეთ ევროპის ტრუბადურთა პოეზიასთან.

რუსთაველის ქმნილებაში უეჭველად არის პარალელიზმი დასავლეთის პოეზიასთან. მაგრამ ამასთან შემდეგი გარემოებაც უნდა გვქონდეს მხედველობაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის პოემა საერთოდ ძლიერ ენათესავება დასავლეთის პოეზიას, დასავლეთ ევროპის იმ ეპოქის პოეზია ჯერ კიდევ მოუმწიფებელია ქართულ პოეზიასთან და რუსთაველის დიად პოემასთან შედარებით. საშუალო საუკუნეთა ტრუბადურების „დამები“ ერთგვარ განყენებულ სქემებს წარმოადგენენ. უსისხლო იდეალიზაციისაგან, რომელსაც საშუალო საუკუნეთა მისტიციზმი დაჰკრავს, დიადი იტალიელის დანტეს ქმნილებაც ვერაა თავისუფალი. რუსთაველის პოემის ქალთა პერსონაჟები კი ადამიანები, ცოცხალი არსებები არიან.

შეუძლებელია გაიგოს რუსთაველი, თუ მხედველობაში არ მიიღო XI — XII საუკუნეთა უაღრესად ორიგინალური ქართული კულტურის მთელი სპეციფიკა. უამისოდ რუსთაველის პოემა გვეჩვენება გაუგებარ ფენომენად, იგი თითქოს შემთხვევით შეჭრილა აღორძინების ხანიდან საშუალო საუკუნეებში.

და მართლაც, საიდანაა ეს ფართო მსოფლმხედველობა, რუსთაველის პოემაში გამოვლინებული, რომელიც ჰუმანიზმის სულითაა გამსჭვალული, საიდანაა იგი — საშუალო საუკუნეთა ქრისტიანულ ქვეყანაში დაწერილ ნაწარმოებში?

რითი აიხსნება, რომ ის მძლავრი კულტურული მოძრაობა, რომელმაც აღორძინების სახელი მიიღო, საქართველოში თავის პირველ კვირტებს იძლევა რამდენიმე საუკუნით იმაზე უფრო ადრე, ვიდრე მან ევროპაში კპოვა ნიადაგი? მკვლევარების მტკიცებით ამას ხელი შეუწყო იმან, რომ საქართველო იმყოფებოდა ორი მსოფლიოს — მუსლიმანური აღმოსავლეთისა და საშუალო საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის მიჯნაზე. საქართველოს უშუალო ურთიერთობა ორ კულტურასთან, საქართველოზე ორი კულტურის — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორმაგ გავლენას საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე უნდა დაემსხვებია საშუალო საუკუნეთა რელიგიურ-ქრისტიანული იდეოლოგიის ნაჭუჭი საქართველოში, დაერღვია ნაციონალური კარჩაკეტილობა, ხელი შეეწყო საშუალო საუკუნეთა აზროვნების ხუნდებისაგან განთავისუფლებას.

ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთის კულტურების თავისებური სინთეზი შეგვიძლია შევამჩნიოთ და გამოვავაშქარავოთ რუსთაველის პოემაზე.

ნაკონსული

ასე. მაგალითად, პოეტი იჩენს დასავლეთის, ანტიკური ფილოსოფიის ღრმა ცოდნას. პოეტს მოყავს ციტატები პლატონიდან და საერთოდ პლატონიზმის სული ჩანს პოემის მთელ რიგ ტაეებში. ის საფუძვლიანად იცნობს ნეოპლატონიზმს. სპეციალურ ლიტერატურაში დამტკიცებულია, რომ პოემის მთელ რიგ ადგილებში ჩანს უშუალო გავლენა ნეოპლატონიკოსებისა — პროკლესი, ნემესიოსის, დიონისოს, არეოპაგიტისა — რომელთა ნაწარმოებნი რუსთაველის ეპოქაში ითარგმნა ქართულად და განმარტებული იყო ქართული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლების მიერ.

მეორე მხრივ, პოემაში არა ნაკლებ იგრძნობა აღმოსავლეთის ღრმა ცოდნა, პოემის მთელ რიგ ტაეებში გვხვდება სპარსელი და არაბი ავტორების — ფირდოუსის, გურგანის, ნიზამის, ვზრას — რემინისცენცია. პოეტი უეჭველად იცნობდა სუფიზმს.

პოემას ახასიათებს მსოფლმხედველობის სიფართოვე და კოსმოპოლიტიზმის სული, რომელიც თავისუფალია ნაციონალური კარჩაეტილობისაგან. ამას აშქარად ამტკიცებენ პოემის პერსონაჟები. პოემაში სიყვარულით არიან დახატული სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანები. ასევე ფართოა პოემის გეოგრაფიული პორიზონტიც, რომელიც შეიცავს ქვეყნებს ჩინეთიდან და ინდოეთიდან მოკიდებული ატლანტიკამდე და აფრიკიდან შუაზღვის თურანამდე.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ შეიძლება უცნაურად არ მოგვეჩვენოს ის აზრი, რომ რუსთაველის ქმნილება, რომელიც XII საუკუნის საქართველოს თავისებურ, უაღრესად რთულ კულტურულ პირობებში წარმოიშვა, მთელი საუკუნეებით უსწრებს იდეურ მოძრაობას დასავლეთ ევროპაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის პოემა წარმოადგენს ყველაზე დიად ლიტერატურულ მემკვიდრეობას მთელი იმ საგანძურიდან, რაც მოგვეცა საშუალო საუკუნეთა დასავლეთმა და მთელმა ევრეთწოდებულმა საშუალო საუკუნეთა ქრისტიანულმა მსოფლიომ.

უფრო ადრინდელი პერიოდის საშუალო საუკუნეთა ევროპის პოეზიაზე რომ არა ვთქვათ რა, აღორძინების დიადი წინამორბედის, დანტეს ქმნილებაც კი ვერ შეედრება რუსთაველის პოემას. მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად, დანტე კიდევ ვერ განთავისუფლებულა საშუალო საუკუნეთა აზროვნების ხუნდებისაგან და გენიალური ფლორენციელის ნაწარმოებში სქოლასტიკის მძიმე ბალასტი ერთგვარ მძიმე ნალექად არის ჩაწოლილი; ამის გამო „ღვთაებრივი კომედიის“ საგრძნობი ნაწილი უცხო რჩება ახლანდელი შკითხველისათვის. ხოლო რუსთაველის ნაწარმოებს, რომელიც თავ-

ესი პოეტური ღირსებით ყოველ შემთხვევაში ეთანაბრება შეიძლება ითქვას, აღემატება კიდევაც „ღვთაებრივ კომედიას“, ის უკონტრასტობაა აქვს, რომ საშუალო საუკუნეთა ქრისტიანული ედუკაციის დაღს არ ატარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი საერთოდ ვიწრო რიტუალურ რელიგიურობაზე მალდა დგას. იგი არც ქრისტიანულ დოგმას იზიარებს და არც მუსლიმანურს. ქრისტიანობას პოეტი საერთოდ გვერდს უვლის. როდესაც ღვთაებაზე ლაპარაკობს, პოეტი ერთხელაც არაფერს ამბობს მის სამსახეობაზე, რაც იმ დროის ქრისტიანი პოეტისათვის ერეტიკოსობის გამომვლავლებას უდრიდა. რუსთაველს მოციქულებიდან ციტატები მოყავს, როგორც სიყვარულის მჭადაგებელი ჩვეულებრივი ავტორებიდან. ამასთან ერთად პოეტი ყოველთვის დაუფარავი ირონიით იხსენიებს მუსლიმანობას, ხოლო მუსლიმანურ რიტუალობას პირდაპირ სისულელეს უწოდებს.

პოეტი ქრისტიანობისა და მუსლიმანობის წესობრივ რელიგიურობაზე მალდა დგას და თავისებურ ფილოსოფიურ-რელიგიურ მსოფლმხედველობას ადგია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „სოლარეზმი“, მზის გაომერთება.

თუ რა ფესვები აქვს რუსთაველის ამ შეხედულებას, ეს უაღრესად რთული საკითხია, მეტადრე იმიტომ, რომ პოემა ამ შეხედულებების მხოლოდ ზოგად მონახაზს იძლევა. პოეტს, რა თქმა უნდა, მიზნად არ დაუსახავს პოეტურ ნაწარმოებში მოცუა თავისი ფილოსოფიური კონცეპციის თეორიული დასაბუთება. ამას გარდა, გასაგები მიზეზით, იგი ხაზს არ უსვამს თავის რელიგიურ შეხედულებებს, რომლებსაც აშკარად გამოსახული ერეტიკოსობა ემჩნევა. მაგრამ პოემის მთელ რიგ ადგილებიდან მაინც შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ პოეტს ღვთაება წარმოდგენილი ჰყავდა ერთგვარი ნათელი არსის სახით და მზეს თვლიდა ღვთაების წმინდა ემანაციად, ღვთაებრიობის მატარებლად.

მოგვეყვას პოემიდან ორი ადგილი, სადაც უფრო აშკარადაა გამოხატული პოეტის ეს შეხედულება.

პირველი ადგილია — პოემის გმირი ქალის ნესტან-დარეჯანის წერილის ნაწყვეტი. ქაჯების ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანი დარწმუნებულია, რომ მისი ხსნა შეუძლებელია. ამიტომ იგი ურჩევს თავის მიჯნურ ტარიელს და მის მეგობრებს, ნუ ცდილობთ ჩემ ხსნას, ვინაიდან ასეთი ცდის დროს შეიძლება თითონ დაიღუპოთო. თითონ მე კი გადავწყვეტე ციხის მაღალი კოშკიდან გადავეარდე და მოვკვდეო. და აი თავის მიჯნურ ტარიელისადმი გაგზავნილ წერილში იგი ტყვეობიდან წერს:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კელა დამხსნას სოფლისა შრომასა,
 ყუბლსა, წყალსა და მიწასა, პერთა თანა ძრომასა;
 მომცნეს ფრთენი და აფრინდე, მიეხედე მას ჩემსა ნდომასა!
 დღისით და ღამით ეხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
 განაღამცა მას იახელ, მისი ეტლი არ თუ წბილი!
 მუნა განბო, შინდევ ესახო, განმინათლო გული ჩრდილი,
 თუ სიოცხლე შწარე მჭონდა, სიკვდილიცა მჭონდეს.



პოემის მეორე ადგილას, იმ თავში, სადაც ლაპარაკია ავთანდილის მოგზაურობაზე, მზეს პირდაპირ ღვთაება ეწოდება. პოეტი წერს:

„მიმავლი (ავთანდილი) ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
 აჰა, ღმერთო, გვაჯები“...

ასეთია პოეტის თავისებურ რელიგიურ შეხედულებათა საერთო აბრისი. საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ეს თავისებური სოლარული პ ა გ ა ნ ი ზ მ ი, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ პოეტი მაღლა დგას როგორც ქრისტიანობის, ისე მუსლიმანობის წესობრივ რელიგიურობაზე. რუსთაველმა გადაღაბა საშუალო საუკუნეთა რელიგიური განკერძოება; იგი აღწევს შოთღმხედველობისა და თავისუფალი აზროვნების იმ სფეროთოეს, რომლისათვისაც არ მიუღწევია საშუალო საუკუნეთა დასავლეთის არც ერთ პოეტს თვით აღორძინების ეპოქამდე.



ქართული ლიტერატურის ძველი პერიოდიდან დავსჯერდეთ რუსთაველის პოემის ამ მოკლე მიმოხილვას, რომლითაც ცხადვყავით კლასიკური ეპოქის ქართული ლიტერატურის საერთო ხასიათი.

აღარ შეეჩერდებით ქართული ლიტერატურის განვითარების ძველ ეტაპზე. თავისთავად ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია მიზნად დავისახოთ ძველი საქართველოს უაღრესად მდიდარი ლიტერატურის სურათი გადავშალოთ, მისი რთული ისტორია გავაშუქოთ და თუნდაც ვაკერიტ მიმოვიხილოთ მისი ის მემკვიდრეობა, რომელიც ღრმა ინტერესს იწვევს.

ქართული ლიტერატურის ძველი პერიოდიდან, რომელიც IV—V საუკუნეებიდან გრძელდება და რუსთაველის მაგისტრალით XVIII საუკუნემდე აღწევს, ჩვენ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით შეჩერდეთ მხოლოდ ერთ უკანასკნელ მონაკვეთზე, XVII—XVIII საუკუნეთა ლიტერატურაზე, ვინაიდან ეს პერიოდი ორგანიულად უკავშირდება XIX საუკუნის ლიტერატურას, ხოლო ეს უკანასკნელი ქართულ ლიტერატურის ისტორიაში ახალ ეტაპს მოასწავებს: XIX საუკუნემდე ქართულ ლიტერატურაში თავისებურად შეხამებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთ-გაველენა, ხოლო XIX საუკუნიდან ქართული ლიტერატურა საბოლოოდ ებმება ევროპულ ლიტერატურათა ციკლში.

XVII—XVIII საუკუნეთა ლიტერატურა

გადავიდეთ XVII—XVIII საუკუნეთა ლიტერატურაზე. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უსუსუ სახელმწიფოს პოლიტიკური ძალის დაქვეითებისა და შესუსტების პერიოდი. ის ეპოქა, როდესაც ფეოდალურ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკირა წინააზიის სახელმწიფოთა შორის, უკვე შორეულ წარსულს ეკუთვნოდა. საქართველოს პოლიტიკური შესუსტება გამოიწვია, როგორც სოციალური ხასიათის შინაგანმა ძვრებმა, ისე შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ. ამ ეპოქაში საქართველო თურქებისა და სპარსების პოლიტიკური ექსპანსიის ობიექტს წარმოადგენს. ამ სახელმწიფოთა სამფლობელოები იმ ხანებში საქართველოს ყოველ მხრიდან რაკალივით ერტყა. მას შემდეგ, რაც 1453 წელს კონსტანტინოპოლი დაეცა და ევრაზიის ძველმა სატრანზიტო გზებმა ამიერ-კავკასიიდან სამზრეთისაკენ გადაიწია, საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა დასავლეთიდან უშუალო ურთიერთობას პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში. ამასთან ერთად ჩრდილოეთიდან საქართველოს თანდათან უახლოვდება რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები.

ამ ეპოქაში საქართველო დაქუცმაცებულია მთელ რიგ სახელმწიფოებად და სამთავროებად; ამასთან გარეგან ძალთა ზეგავლენა ხელს უწყობს ამ რღვევას და ეწინააღმდეგება გაერთიანების ტენდენციებს. იმავე დროს გარეგან ძალთა ექსპანსიამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს მოსწყდა მთელი პროვინციები, რომლებმაც ისლამიზაცია და დენაციონალიზაცია განიცადეს.

ამ პოლიტიკურ ვითარებაში იქმნება საქართველოს XVII—XVIII საუკუნეთა ლიტერატურა. მძიმე ისტორიული პირობები ძლიერ აფერხებდნენ ქართული ლიტერატურის ნორმალურ განვითარებას, მაგრამ მათ არ შეეძლოთ შეეწყვიტათ მისი წინსვლა. ქართულმა ლიტერატურამ ამ ეპოქაში შესძლო რამდენიმე დიდი მწერლის წამოწევა.

ამ ეპოქაში ვხედავთ შემდეგი ლიტერატურული ფაქტორების გავლენას. ჯერ ერთი, ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა, უწინარეს ყოვლისა რუსთაველის, ტრადიციების გავლენას; შემდეგ აღმოსავლეთის ლიტერატურების, — უწინარეს ყოვლისა სპარსულის გავლენას; და ბოლოს, უფრო ნაკლებად, დასავლეთის გავლენას; გარდა ამისა, დას. ევროპის (საქართველოს კათოლიკური წრეების და იტალიელ და ფრანგ მისიონერთა მეშვეობით) გავლენასთან ერთად უკვე საგრძნობი ხდება, თუმცა სუსტად, რუსეთის გავლენაც.

მიუხედავად მწვავე ანტაგონიზმისა პოლიტიკურ სფეროში, სველთაგანი სპარსულ-ქართული ლიტერატურული თანამშრომ-

ლობა მილიანად გრძელდება. სპარსული ლიტერატურის გავლენა სპარსულ ნაწარმოებთა მეშვეობით ძლიერდებოდა. XVII—XVIII საუკუნეთა ეპოქაში, ისევე როგორც წინათ, ქართულად იქვეყნებოდა მთელი რიგი სპარსული კლასიკოსები. ასე, მაგალითად, XVII საუკუნეებს ეკუთვნის უდიდესი სპარსული პოეტის ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული გალექსილი ვერსია. „შაჰ-ნამე“, როგორც ეს დამტკიცებულია, ქართულ ენაზე უფრო ადრეც ყოფილა თარგმნილი. სახელდობრ კლასიკურ ეპოქაში, XI—XII საუკუნეებში, მაგრამ ეს ძველი ქართული თარგმანი დაკარგულა. „შაჰ-ნამეს“ ახალ ქართულ გალექსილ ვერსიაზე მუშაობდნენ XVI—XVII საუკუნეთა მთელი რიგი პოეტები, რომელთაგან ერთი, სერაფიონ სოგრატიძე მიღალ მხატვრულ სტილს და დიდ ოსტატობას აღწევს.

დიდი პოეტური ღირსებითაა შემკული აგრეთვე მთელი რიგი სხვა გალექსილი თარგმანები სპარსულიდან. მაგალითად სპარსეთის კლასიკოსის ჯამის („იოსებ-ზილიზანიანი“) და მეტადრე პოემა „ბარამ-გურამიანი“ (რომლის სპარსული ორიგინალი დღემდე უცნობი რჩება) ქართველი პოეტის ნოდარ ციციშვილის მიერ შესრულებული თარგმანი.

პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად ქართულ ენაზე ითარგმნება მხატვრული პროზის მთელი რიგი ძეგლები, როგორც მაგალითად, განთქმული კრებული „ქილილა და დამანა“, „დიდი სინდბადი“, „სიბრძნის საუნჯე“, საგმირო მოთხრობები და რომანები.

საჭიროა აქ ხაზი გავუსვათ, რომ საქართველო ამ ეპოქაში აღმოსავლეთის დიდ გავლენას განიცდიდა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ ცხოვრების სხვა დარგებშიაც. ამით აიხსნება, რომ სპარსულმა ლიტერატურამ ღრმად გაიღვა ფესვი საქართველოს ლიტერატურაში. ქართველი ფეოდალური საზოგადოება ამ ნაწარმოებებში ხედავდა საკუთარი სამხედრო-რაინდული იდეალების გამოხატულებას და ჰპოვებდა თავის ყოფის დამახასიათებელ სურათებს. საკვირველი არაა, რომ ქართველი ფეოდალური საზოგადოება ითვისებდა ფაბულით უცხო, მაგრამ სოციალურად მახლობელ სპარსულ სიუჟეტებს.

ამასთან სპარსულ ნაწარმოებთა ქართველი მთარგმნელები იშვიათად იცაედენ პედანტური თარგმანის მეთოდებს. მათ ვაბედულად შეჰქონდათ ტექსტში ესა თუ ის თავისებურებანი, რომლებსაც ქართველი მკითხველის გემოვნება განსაზღვრავდა და ამით ამ თარგმანებს უფარდებდნენ ქართველი საზოგადოებრიობის ნაციონალურ წარმოდგენებს. სპარსულიდან თარგმნილ თითქმის ყოველ ნაწარმოებს ამა თუ იმ ზომით აზის ქართული ყოფაცხოვრების ბეჭედი; ყოველი თარგმანი შესაძრწევდაა მოსილი ნაციონალური ელფერი.

თეიმურაზ პირველი



იმ პოეტებიდან, რომლებიც ქართულ ლიტერატურულ მიმართულებას წარმოადგენდნენ, ცალკე უნდა აღვნიშნავთ პოეტი თეიმურაზ პირველი, მისი განსაკუთრებული ნიჟის და იმ დიდი გავლენის გამო, რომელიც მან შემდგომ ლიტერატურაზე მოახდინა. თეიმურაზი პოლიტიკაში სპარსული ორიენტაციის დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ პოეტური შემოქმედების სფეროში სპარსული პოეზიის ქვეშევრდომი გახდა. თეიმურაზი არ ფარავდა თავის ალტაცებას სპარსული პოეზიით:

სპარსთა ენათა სიტკობიან მისურვა მუსიკობანიო.

მის კალამს ეკუთვნის სპარსული ყაიდის პოემები, სადაც მან თავისუფლად დაამუშავა ის სიუჟეტები, რომლებიც პოპულარული იყო სპარსულ ლიტერატურაში. ასეთია მისი პოემები: „ლეილა-მეჯნუნიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „შამი-ფარვანიანი“ და „ვარდ-ბულბულიანი“.

მათგან განსაკუთრებით პოპულარულია უკანასკნელი, — „ვარდ-ბულბულიანი“, სასიყვარულო მოთხრობა ვარდსა და ბულბულზე. ამ სპარსული პოეტური სახეების ტიპური სტილით დამუშავებული პოემის მოტივებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს და მისი გავლენის ნაშთებმა XX საუკუნის მიჯნებამდეც კი მოაღწია.

ა რ ჩ ი ლ ი

ქართული ლიტერატურის „სპარსული მიმართულების“ ოპოზიციას წარმოადგენს მეორე მიმართულება, ეგრეთწოდებული „ნაჟიონალური სკოლა“, რომელსაც XVII საუკუნეში ჰყავს თავისი წარმომადგენელი პოეტების ფეშანგის (პოემა „შაჰნავაზიანის“ ავტორი), იოსებ ტფილელის (ავტორი პოემისა XVII საუკუნის მოღვაწის გიორგი სააკაძის შესახებ) და პოეტი არჩილის სახით.

ამ მიმართულების ბელადია არჩილი. რუსთაველისა და თეიმურაზის პოეზიაზე აღზრდილმა არჩილმა განიცადა როგორც ერთის, ისე მეორის გავლენა და სათანადოდ აფასებდა ქართული მხატვრული სიტყვის ძველ კორიფებს. მაგრამ ამან მას ხელი ვერ შეუშალა დარჩენილიყო გაბედულ კრიტიკოსად. არჩილმა სერიოზულად გადააფასა მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა და სასტიკი განაჩენი გამოუტანა სპარსულ, როგორც თითონ უწოდებს, „ნაჟორ“ თემატიკას. ამ „ნაჟორ“ თემატიკას არჩილი უპირდაპირებს „მართალი თხრობის“ თვალსაზრისს. არჩილმა მოგვცა მრავალმხრივ შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები „თეიმურაზისა

და რუსთაველის გაბაასება“, რომლის წინასწარგან-
ბაში შემდეგნიად აყალიბებს თავის აზრს: ყველა ზღაპრულ მო-
თხრობას ეს მართალი ამბავი ვარჩიე, რომ ლექსად მეფექვედუაზე-
ფერი მოგონილი მასში არ არის, გარდა იმისა, რომ მჭ. აუტოტოტაზა
და რუსთაველი ვითომცდა უშუალოდ ებმებიან კამათში. სხვა მხრივ
აქ სწორადაა ვადმოცემული საქართველოს საქმეები.

არჩილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აყენებს თავისებურად
გაგებული რეალისტური მიმართულების პრინციპებს.

გამოდის რა „მართალი თხრობის“ დამკველად, არჩილი საყვე-
დურით მიმართავს წარსულისა და აწმყოს პოეტებს, რომელნიც თავის
ძალღონეს სპარსული სიუჟეტების ვადმოცემაზე ხარჯავდნენ და
თავის მხრივ ხაზს უსვამს, რომ მისი თემა „საქართველოს საქმე-
ებია“. მაშასადამე „რეალიზმის“ პრინციპებთან ერთად არჩილი ნა-
ციონალური თემატიკის პრიორიტეტსაც აცხადებს.

არჩილი თანმიმდევარია, როგორც ნაციონალური ენის პუ-
რიზმის (სიწმინდის) დამკველი, იგი იწუნებს თეიმურაზის სტილს,
რომელიც სავსეა ბარბაროზებით, სპარსოზებითა და თურქოზებით,
და თავის მხრივ თავის პოეზიაზე აცხადებს: ვამბობ ქართულ ენაზე
უცხო ენის გარევის გარეშეო.

არჩილს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა.
„თეიმურაზის და რუსთაველის გაბაასებას“ მოჰყვა ორი პოემა:
„თამარიანი“, სადაც აღწერილია საქართველოს წარსულის
„საქმეები“ და „თეიმურაზიანი“, სადაც პოეტურად ასახულია მისი
თანამედროვე საქართველოს სინამდვილე. მის სხვა ნაწარმოებთა-
ვან ცალკე უნდა აღინიშნოს პოემა „საქართველოს ზნეობანი“.

არჩილის სალიტერატურო მოღვაწეობა საქართველოში და-
იწყო, მაგრამ რუსეთში დამთავრდა. 1681—1684 წლებში იგი ასტო-
რახანს ცხოვრობდა, როგორც ემიგრანტი, ხოლო 1699 წლიდან სა-
ბოლოოდ დასახლდა მოსკოვს, სადაც 1705 წელს ქართული სტამბა
დააარსა, გარდაიცვალა მოსკოვში 1712 წელს.

მოსკოვში ყოფნის დროს მან სხვათა შორის სერბიული ენიდან
თარგმნა ფსევდოკალისტენის რომანი „ალექსანდრიანი“. ეს პირვე-
ლი თარგმანია სლავური ენიდან ქართულზე.

სულხან-საბა ორბელიანი

არჩილის უმცროსი თანამედროვე იყო სახელგანთქმული მწერა-
ლი სულხან-საბა ორბელიანი. მან უკვდავყო თავისი
სახელი ქართულ ლიტერატურაში იგავ-არაკების კრებულით, რო-
მელსაც ეწოდება „სიბრძნე სი ცრუისა“.

კომპოზიციურად ეს კრებული გაერთიანებულია საერთო ქარ-
გით: მოთხრობილია იმ პირთა ისტორია, რომელნიც ამა თუ იმ შე-

მთხვევის გამო არაკებს ამბობენ. მაგრამ ეს ფაბულა მხოლოდ შერეობის ხარისხიდან, წმინდა დამხმარე როლს ასრულებს, ხოლო მთავარს თვით იგავ-არაკები წარმოადგენენ. არაკების გარდა, ექვეყნელებმა პატარა ნოველები, ლეგენდები, სენტენციები.

კრებულში შესული არაკები და ამბები მეტწილად ორბელიანის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია. მასალას არაკებისათვის იგი, როგორც ეტყობა, ფოლკლორიდან კრებდა. წმინდა ლიტერატურული ნასესხები ადგილები ცოტაა. ზოგიერთი არაკი რამდენადმე ჰგავს „ქილილა და დამანას“, „სინდბადის“, ეზოპოსის არაკებს, მაგრამ ეს არაკები თუ მთლიანად არა, მეტწილად მაინც მოხეტიალე სიუჟეტებს წარმოადგენს და შესაძლებელია ფოლკლორიდან იყო აღებული.

თავის მხატვრული ღირსებით და შინაარსის სიღრმით „სიბრძნე სიცრუისა“ არც ერთ ანალოგიურ, მსოფლიოში განთქმულ ძეგლს არ ჩამოუვარდება. ორბელიანის არაკები შინაარსის უაღრესი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით განირჩევიან და ხალხური სიბრძნის ნამდვილ საუნჯეს წარმოადგენენ.

ს. ორბელიანის წიგნი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ს. ორბელიანი თბრობის უბადლო ოსტატია. მისი სტილი უდიდეს მკაფიობას აღწევს: ენა სადაა, მაგრამ ეს უმაღლესი ოსტატობის სისადავეა.

„სიბრძნე სიცრუისა“ ქართული პროზის ერთერთი უდიდესი ძეგლთაგანია. მასზე სწავლობდენ და მომავალშიაც ისწავლიან წერის ხელოვნებას.

ს. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა მართა „სიბრძნე სიცრუის“ წიგნით არ ამოიწურება. ბელეტრისტიკის გარდა იგი ქართული ფილოლოგიის დარგშიც მუშაობდა. მის მიერ შედგენილი ქართული ენის ვრცელი ლექსიკონი — მონუმენტალურ მეცნიერულ ნაშრომს წარმოადგენს, რომელსაც დღევანდლამდე აქვს შერჩენილი მნიშვნელობა.

1713—1716 წლებში ს. ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში (იტალიასა და საფრანგეთში). ეს მოგზაურობა აწერა დღიურის სახით, რომელიც დოკუმენტალური პროზის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს. ს. ორბელიანი — დასავლეთის, ევროპული ორიენტაციის მომხრეა თავისი პოლიტიკური რწმენითა და მსოფლმხედველობით.

ვახტანგ მთაწმიდა

XVIII საუკუნეში ძლიერდება უშუალო კულტურული ურთიერთობა რუსეთთან, რასაც ხელი შეუწყო ვახტანგ VI გახიზნამ რუსეთში ქართული ლიტერატურის მთელ რიგ მოღვაწეებთან ერთად.

თითონ ვახტანგი ეპოქის შესანიშნავი პიროვნებაა. იგი არის პოეტი, მეცნიერი და განათლების გამოჩენილი მოღვაწე. რუსეთში გადასახლებამდე მან დიდი კულტურული მუშაობა გაატარა საქართველოში. ტფილისში, 1709 წელს დააარსა პირველი ქართული სტამბა, სადაც სხვათა შორის დაიბეჭდა შოთა რუსთაველის პოემა თითონ ვახტანგის კომენტარებით; მან მოგვცა ქართული სამართლის კოდიფიკაცია, თავი მოუყარა მემკვიდრეთა ნაწერებს; სპარსულიდან თარგმნა მთელი რიგი ნაწარმოებები, როგორც ბელეტრისტული („ქილილა და დამანა“, „ბახთიარნამე“), ისე სამეცნიერო ხასიათის (ულულ-ბეგის ასტრონომიული ტრაქტატი). ვახტანგ VI ავტორია მთელი რიგი ლირიკული ლექსებისა. მას ეკუთვნის პქონდა პეტრე I-თან სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, რომელიც მარცხით დამთავრდა ვახტანგ მე-VI-თვის. ამის შემდეგ იგი იძულებული გახდა გადასახლებულიყო რუსეთს. მასთან ერთად საქართველოდან წავიდა 1000-ზე მეტი ქართველი, მათ შორის მრავალი ცნობილი ლიტერატორი, პოეტი და სწავლული. ამგვარად საძირკველი ჩაეყარა მთელ რიგ ქართულ საემიგრანტო კოლონიებს პირველ ყოვლისა მოსკოვში, აგრეთვე უკრაინაში. ამ კოლონიებს თანდათან ემატებოდნენ ემიგრანტთა ახალი რაზმები.

დავით გურამიშვილი

იმ ქართველ მწერალთა გუნდს, რომელიც XVIII საუკ. რუსეთ-უკრაინის ემიგრაციაში მუშაობდა, ეკუთვნის გენიოსი პოეტი დავით გურამიშვილი.

საგულისხმოა მისი ბიოგრაფია, რომელიც ღირსია აქ აღნიშვნისა, მით უფრო, რომ მან თავისი გამოხატულება ჰპოვა გურამიშვილის პოეზიაში.

იმ არევ-დარევის დროს, რომელიც სუფევდა საქართველოში ვახტანგის ემიგრაციისა და ოსმალთა მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, დ. გურამიშვილს ტყვედ წაიყვანენ ლეკები და გაგზავნიან დაღესტანში. დ. გურამიშვილი გაიქცევა ტყვეობიდან და დაღესტნის მრისხაა მთებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ გაიპარება რუსეთს ქართველ ემიგრანტებთან. იგი მონაწილეობას იღებს ვახტანგ VI მიერ მოწყობილ ლაშქრობაში, რომლის მიზანიც არის საქართველოს განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. ამ ლაშქრობის მარცხის შემდეგ დ. გურამიშვილი ქართველ ემიგრანტებთან ერთად ბრუნდება რუსეთს და შედის სამხედრო სამსახურში (გუსართა ქართულ პოლკში, რომელიც ემიგრანტებისაგან შედგებოდა). იგი სახლდება უკრაინაში (მირგოროდს, და სოფელ ზუბოვკაში) მონაწილეობას იღებს რუსეთის ლაშქრობაში თურქთა და შვედთა წინააღმდეგ. შეიდწლიანი ომის დროს იგი ტყვედ წაიყვანეს და ჩაამწყვდიეს პრუსიის მაგდებურგის ციხეში. ტყვეობიდან

დაბრუნების შემდეგ დავით გურამიშვილი კვლავ დასახლდა უკრაინაში — ზუბოვკაში, სადაც გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 30 წელიწადი და გარდაიცვალა ღრმად მჭვრეტელი, უთვისტომო და უნათესაო XVIII საუკუნის შინაგან წინააღმდეგობაში.

დავით გურამიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს პოემა „დავითიანს“. ამ ნაწარმოებში პოეტი განაგრძობს ქართული ლიტერატურის ეროვნულ-რეალისტური მიმდინარეობის ტრადიციებს. პოემა წარმოადგენს დიდ ეპოპეას, რომელშიც აღბეჭდილია მისი სამშობლოს ტრაგიკული ბედობა. უცხოეთში გადახვეწილი პოეტი გულითა და გონებით მშობლიურ ქვეყანაშია, რომლის გასაჭირი მას მუდამ ასევდიანებდა. მკვეთრი სახეებით და გასაოცარი ოსტატობით ასურათებს პოეტი XVIII საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას, ააშკარავებს მის უკუღმართობას, რამაც გამოიწვია საქართველოს პოლიტიკური კატასტროფა, განადგურება და მის საუკეთესო შვილთა გაფანტვა სხვადასხვა კიდეც. ამ ნაწარმოებში პოეტი აღწევს ქეშმარიტად ტრაგიკულ პათოსს, რისი მსგავსიც არ მოიძებნება ქართულ ლიტერატურაში.

დ. გურამიშვილი ამ ეპოპეაში გვევლინება მხატვრული სიტყვისა და პოეტური ფორმის დიდ ოსტატად. მან გამოიყენა რუსთაველის ლექსწყობა და მისცა მას ახალი აქლერება. დ. გურამიშვილის ლექსის შეუდარებელი ჰარმონიულობა, მაგრამ ამასთანავე დიადი უბრალოება და ერთგვარი სიმკაცრე, გვაგონებს დანტეს ლექსს.

დ. გურამიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ეპოპეაზე ნაკლები პოეტური ღირებულებისა არ არის მისი ლირიკა. შართალია, მისტიკური სული, რომლითაც გამსჭვალულია მისი ლირიკული ლექსების უმეტესობა, უცხოა თანამედროვე მკითხველისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ლირიკა გვაჯადოებს თავისი ღრმა გრძნობითა და სიწრფელით. მისი მრავალი ლირიკული ლექსი პოეზიის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს.

დავით გურამიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს მის დიდ პოემას „ქაცვია მწყემსს“. იგი წარმოადგენს იდილიას, რომელშიც სოფლურ პოემათა სტილით ასახულია გლეხობის ცხოვრება. ეს არის პირველი ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მთლიანად ეხება დაბალი სოციალური ფენების ცხოვრებას.

თავისი სულისკვეთებით ეს ნაწარმოები სრულიად არა ჰგავს ამ პირქვეში გენიოსის სხვა ქმნილებებს. იგი გამსჭვალულია რეალისტის სიცოცხლის ხალისიანობით და ჯანსაღი იუმორით. მიუხედავად გაქიანურებული ადგილებისა, პოემას დიდი პოეტური ღირსებები ახასიათებს.

დამოუკიდებელ ინტერესს შეადგენს დ. გურამიშვილის პოეტური ტექნიკა. არც ერთ პოეტს, არა მარტო ძველ ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ მთელ ქართულ ლიტერატურაში არა აქვს გურამიშვილისთანა მრავალფეროვანება და სიმრავლე პოეტური ფორმებისა. როგორც აღვნიშნეთ, ეპოპეაში იგი იყენებდა რუსთაველის კლასიკურ ლექსწყობას. ლირიკაში კი იგი იყენებს ახალ მეტრებს და ახალ სტროფიკას.

ზოგიერთი ლექსზომა, როგორც თვით პოეტი აღნიშნავს, შექმნილი აქვს „რუსული“ (უფრო სწორად, უკრაინული) ხალხური სიმღერების გავლენით, მაგრამ არა უბრალო წაბაძვით (ქართულ ლექსის წყობა სხვა ხასიათისაა), არამედ ანალოგიით.

დ. გურამიშვილის ენა მდიდარია და კოლორიტული; იქ უხვად მოიპოვება ხალხური ბრძნული თქმები.

ბ ე ს ი კ ი

XVIII საუკუნის ლიტერატურის რკალს ამთავრებენ ორი დიდი ლირიკოსი — ბესიკი და საიათნოვა.

ბესიკის სახით ეგრეთწოდებულმა „სპარსულმა მიმართულე-ბამ“ ძველ ქართულ ლიტერატურაში პპოვა უკანასკნელი და ყველაზე მკვეთრი მგოსანი. ბესიკამდე სპარსული მიმართულება თავს იჩენდა უმთავრესად ეპიკურ ეპოპეაში. ბესიკმა იგი ლირიკაში დაამკვიდრა.

ბესიკის პოეზიის ძირითადი თემა სიყვარულია. მას სამართლიანად მოხვეჭილი აქვს ქართველი ანაკრეონის სახელი. თავისი თემატიკის ეიწრო ფარგლებით შეზღუდულმა ბესიკმა, შესძლო ამ დარგში მალალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნა.

ბესიკის ლექსი ბრწყინვალედ არის ნაქედი, თუმცა იგი ხელოვნურობის დაღს ატარებს. სპარსულ ლირიკის მოტივებთან ერთად ბესიკმა ქართულ პოეზიაში შემოიტანა სპარსული საჰანგო — სალექსო წყობა და სტროფიკა: ბაიათი, მუხამბაზი, მუსტაზადი და სხვ.

ბესიკმა თავისი ეპოპეა ქართულ პოეზიაში დიდი ხნით ჩანერგა და ძლიერი გავლენა იქონია XIX საუკუნის მთელ რიგ პოეტებზე.

კერძოდ ბესიკის გავლენის ქვეშ სწერდენ ლირიკოსები ალექსანდრე ქავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი.

ს ა ი ა თ ნ ო ვ ა

საიათნოვა ეგრეთწოდებული აშუღური პოეზიის წარმომადგენელია. მისი პოეზია ფართოდ იყო გავრცელებული ქალაქის ხელოსანთა შორის, როგორც საიათნოვას დროს, ისე შემდეგაც, XIX და XX საუკუნეებში.

აშული — პოეტია და იმავე დროს იმპროვიზატორ-მონტირალიც, რომელიც საზანდრის აკომპანიმენტით მღერის თავის და სხვის ლექსებს. ჩვეულებრივ აშულური პოეზია არ იცნობდა კრებულებით ტრადიციას, იგი ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში. *საიათნოვა*

საიათნოვა ხელოსანთა წრიდან იყო გამოსული; იგი სახალხო აშული იყო, ჩამომავლობით სომეხი, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებული კულტურით, ენით და საცხოვრებელი ადგილით (ტფილისი). ამასთან ერთად მას ათვისებული ჰქონდა აღმოსავლური ხალხური პოეზიის ჰანგები. იგი წარმოადგენდა კავკასიის ერების საერთო პოეტს. თავის სიმღერებს იგი ქმნიდა და დამღეროდა სამენაზე: ქართულზე, სომხურზე და თურქულზე. იგი ჩვეულებრივ სიყვარულს უმღერის, როგორც ბესიკი, მაგრამ საიათნოვას პოეზიაში არის მოტივებიც, რომელნიც გამოხატავენ დაბალი სოციალური ფენების გრძნობებსა და განცდებს.

საიათნოვა ქალაქის მდაბიო მოსახლეობის ფიქრთა ნამდვილი მპყრობელი იყო. დღესაც მის ლექსებს ხშირად მღერიან საზანდარზე.

XIX საუკუნის ლიტერატურა

ჩვეულებრივი წარმოდგენით XIX საუკუნეში, რომლის პირველივე წელიწადი აღინიშნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში რუსეთის ბატონობის დამყარებით, ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზა ძირეულად უნდა შეცვლილიყო, სპარსულ გავლენას ადგილი უნდა დაეთმო რუსული და მისი საშუალებით დასავლეთევროპიული ლიტერატურის გავლენისათვის.

ნამდვილად კი ეს ცვლილება ასე სწრაფად არ მომხდარა. ფეოდალური ურთიერთობა ნატურალური მეურნეობის ნიადაგზე, რომელიც ახალი ხელისუფლების დროსაც თითქმის ხელუხლებელი დარჩა, ვიდრე 60-იან წლებამდე. — უფრო მეტად ეფარდებოდა სპარსეთის სოციალურ წყობილებას, — და სპარსული ლიტერატურა განაგრძობს თავის (მართალია, თანდათან შესუსტებულ) გავლენას XIX საუკუნის ნახევრის განმავლობაში.

რუსეთის ხელისუფლების ცდებმა — ლახვარი ჩაცვა ნატურალური მეურნეობისათვის ფულადი გადასახადებისა და ბევრის შემოღებით, მოსახლეობის ბარბაროსულ დაჩაგვრასთან ერთად, გამოიწვია მთელი რიგი წმინდა ხალხური აჯანყებანი (მთიულეთისა — 1804 წელს, კახეთისა — 1812 წელს, გურიისა და იმერეთისა — 1820 წელს, იმავე გურიისა — 1841 წელს), და შექმნა აშკარად მტრული სულსიკვეთება ყოველივე რუსულის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა ერთ ხალხურ პოემაში („არსენას ლექსი“). სიტყვებით: „ათას წილად სიყვდილი სჯობს, იმით (რუსების) ხელში ჩაეარდასო“.

ხოლო მზრუნველობის ქვეშ მყოფ გაბატონებულ კლასს, ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების სახით, იმედი ვაუტრუვდა და 1832 წ. შეთქმულება მოაწყო, რომელშიც მთავრობას დებულობდა იმ პერიოდის ყველა სახელგანთქმული მსჯერი, რომელთაც მოიხადეს სასჯელი საპატიმროებსა და გადასახლებაში (გრიგოლორბელიანი, რომელმაც შემდეგში დაიმსახურა გენერლის ჩინები და კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობათა დროებითი ამსრულებლის თანამდებობა, გრიბოედოვის სიმამრი ალ. ქავჭავაძე, 50-ნი წლების ქართული თეატრის დამაარსებელი გიორგი ერისთავი, ვახტანგოლორბელიანი). ყველა ამ გარემოებას დიდად უნდა შეეშალა ხელი ქართულ ცხოვრებაში რუსული ლიტერატურის გავლენის შემოჭრისათვის. მართლაც, გურამიშვილიდან დაწყებული რუსული ლიტერატურის გავლენა თითქმის წყდება რუსეთის ბატონობის პირველ პერიოდში და თავს იჩენს მხოლოდ 60-იან წლებში. ამ მომენტიდანაც კი რუს კლასიკოსების ნაწარმოებთა ქართულ თარგმანს ძალიან ძუნწად აწოდებენ მკითხველ საზოგადოებას.

საზოგადოდ მეტად დამახასიათებელია თარგმნილი ლიტერატურის ბედი ჩვენში. თარგმნიდენ ისეთ ავტორებს, როგორც იყენენ გრეკოვი, იურკევიჩი და კოზლოვი, რომელთაც, საეჭვოა, იცნობდეს რუსი მკითხველიც კი, ხოლო ძალიან ცოტას თარგმნიდენ კლასიკოსებს. მაგლითად პუშკინს აშკარად არ სწყალობდა ბედი ქართულ ლიტერატურაში. მისი „ევგენი ონეგინი“ ითარგმნა პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის მიერ და მზადდება დასაბეჭდად მხოლოდ ამჟამად. ვანა დიდებულ პოეტისადმი ასეთი დამოკიდებულება არ წარმოადგენს ქართული ინტელიგენციის გარკვეული სულისკვეთების ანარეკლს, რაც გამოიწვია იმან, რომ ლექსის „რუსეთის ცილისმწამებლებს“ — ავტორმა, 1829 წელს ტფილისი ინახულა და მხოლოდ აბანოები და ქარბველი კუდიანები შეამჩნია?

ამ მხრით უფრო უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ლერმონტოვი. მას თარგმნიან, მაგრამ აქ დამახასიათებელი კურობებიც ხდება. მაგალ. „დემონი“ თარგმნა სამშა სხედასხვა მთარგმნელმა, მათ შორის შესანიშნავმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამაც; ყველა ამ მთარგმნელს აფიქრებდა პოემის შემდეგი ადგილი: „Недолго продолжался бой, бежали робкие грузины“. ქართველი პატრიოტისათვის ამ შეურაცყოფილ სიტყვებს ვაჟა-ფშაველა თარგმნის:

„მალე გათავდა ბრძოლა და ომი,
შეზოგადანტენ თავადს მხლებლები“.

საკითხს ასე „ზრდილობიანად“ არ უვლის გვერდს მეორე ქართველი მთარგმნელი მამია გურიელი, რომელიც შემდეგნაირად თარგმნის: დიდ ხანს ომი არ გაგრძელებულა, მეორთხალი ოსები გაიჭენნენ შთაშო.

ქართველები შეცვლილი არიან ოსებით. სახელგანთქმული პოეტი ილია ჭავჭავაძე ნაღვლიანად შენიშნავს თავის „მგზავრის წერილებში“, რომ რუსის საზოგადოების განსაზღვრული ნაწილი ლერმონტოვის ამ ლექსების მიხედვით მსჯელობს ქართველების შესახებო. თითონ მან სთარგმნა „მწირო“, მაგრამ არ დაუმთავრებია, რადგან ეტყობა აღშფოთებული იყო პოემის შემდგომი ადგილით:

И божья благодать сошла на Грузию.
Она цвела с тех пор в тени своих садов.
Не опасаяся врагов
За гранью дружеских штыков.

რომელსაც იგი ასე სთარგმნიდა:

მას აქვთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც ყარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსევე ასეცაღ ზისცეს.

ნეკრასოვსა და დობროლიუბოვს თარგმნიდენ არა ცნობილი პოეტები, არამედ შემთხვევითი ადამიანები. ამას ხელს უშლიდა ნაწარმოებთა იდეური შინაარსი.

ასეთსავე დამოკიდებულებას ვამჩნევთ პროზაიკოსებისადმიც.

ტურგენევის სიკედილის გამო ი. ჭავჭავაძემ სთარგმნა მისი „ლექსები პროზად“, და საქმე ამით გათავდა. გოგოლიმაც კი ვერ შეაცდინათ: გადმოთარგმნეს მისი „რევიზორი“, ალბათ თეატრისთვის და რამდენიმე წერილი ნაწარმოები. „ტარას ბუღბას“ ქართული თარგმანი მხოლოდ 1903 წელს გამოვიდა. დანარჩენი მისი დიდი ნაწარმოებნი დღემდე არ არის გადმოთარგმნილი.

იგივე შეიძლება ითქვას ტოლსტოის შესახებ: „ომი და შშვიდლობიანობა“ და „ანა კარენინა“ დღევანდლამდე ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი. თავის დროზე ითარგმნა „მეუფება წყვილიდისა“ (თეატრისათვის), „ბავშვობა, ყრმობა და სიკბამუკე“ (საბავშვო ლიტერატურისათვის) და „ზღაპრები (საბავშვო ჟურნალებისათვის). საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოიკა: „კაზაკები“, „პაჯი-მურატი“ და ახლად გამოიკა „აღდგომა“.

უფრო ხალისით ეტანებოდენ კრილოვის და ჩეხოვის, რომელთაც დიდმპყრობელური იერი ნაკლებად ემჩნეოდათ. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას კრილოვის შესახებ, რომლის არა-

კები სავესებით შეიძლებოდა მიგვეყენებია ქართული სინამდვილისათვის. სამაგიეროდ არაკების თარგმანში ქართველს პოეტებს შორის ნამდვილი შეჯიბრება იმართება. კრილოვს სთარგმნის გრესხედაცხევა მწერალი, მათ შორის ფრიად ნიჭიერი პოეტები: გ. რ. ხაჩიძე, ნი. რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი და ცახელი. ხშირად ერთსა და იმავე არაკებსაც სთარგმნიან.

თარგმნის ოსტატობის მხრივ ძნელია ითქვას, ვინ სჯობნის — რაფიელ ერისთავი თუ აკაკი წერეთელი.

სულ სხვა დამოკიდებულებას იჩენს ქართული ლიტერატურა და ქართველი მკითხველი პროლეტარული ლიტერატურის მამამთავრის — მაქსიმ გორკისადმი. რევოლუციურად განწყობილი მკითხველის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელმაც გორკის იდეებსა და მოტივებში იგრძნო ორგანული კავშირი მათ შემომქმედთან, — გორკის თითოეული ნაწარმოები ითარგმნებოდა პირდაპირ მეორე დღესვე, როგორც კი იგი რუსულად გამოიცემოდა. მაგრამ აქ უკვე ვგრძნობთ 1905 წლის რევოლუციის მოახლოებას და ახალ კლასობრივ დაჯგუფებას.

დასავლეთ ევროპის კლასიკოსებს შორის თითქმის მთლიანად არის გადმოთარგმნილი შექსპირი, შილერი, მოლიერი, ამასთანავე შექსპირის თარგმანი (ი. მაჩაბლისა) შექსპირის სხვა ენებზე თარგმანებს შორის ერთერთ საუკეთესო თარგმანად ითვლება.

ყოველივე თქმული სავესებით შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა განიცდის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გავლენას, მაგრამ ერთბაშად როდი იღებს ხელს თავის ტრადიციებზე, არამედ იგი სესხულობს ახალ იდეებს, თავისებურად გადატეხს მათ და უფარდებს ქართულ სინამდვილეს.

ასეთივე შესწორება ესაჭიროება შაბლონურ აზრს პატრიოტული რომანტიკის ძლიერი ნაციონალისტური ნაკადის შესახებ, რომლითაც გამსჭვალულია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა.

ჩვეულებრივი წარმოდგენით ნაციონალური რომანტიკა ჩაისახა რუსთა ბატონობის დამკვიდრების მეორე დღესვე და ეს იყო რეაქცია საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაზე, ქართული ენის დევნაზე. რომ არა ეთქვათ რა იმის შესახებ, რომ ნაციონალური რომანტიკის ცალკეული ელემენტები გვხვდება აღმოსავლეთ ლიტერატურაშიც (გურამიშვილი, აგრეთვე არჩილი), რუსეთის ბატონობის პირველ პერიოდში უმთავრესად სჭარბობს აღმოსავლური პანგები: ქალისადმი ტრფიალება, სალხინო სიმღერები და საერთოდ ინდივიდუალური განცდები. ეროვნული რომანტიკა, რომელიც ნაწილობრივ ისახება ამ ეპოქაში, თავის სრულ განვითარებას აღწევს 60-იან წლებში, ი. ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის პოეზიაში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველომ ისეთი ბრძენებითი თვისებებით შეინარჩუნა ფეოდალური პარტიკულარიზმი, რომ ერი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჯერ კიდევ არ იგრძნობდა. პირიქით, ლიტერატურა გამოსახავს არა ერთიანი ნაციონალურ სურსებებს, არამედ დაჰააჰულობას და ზოგჯერ მტრობასაც მის ნაწილებს შორის. გასული საუკუნის 50-იან წლებშიც კი იწერება კომედიები, სადაც დასცილიან იმერლებს (იმავე ქართველებს) და სომხებს (იმერლებთან ერთად და მათ თანაბრად) იმერული კილოსთვის და სომხური აქცენტისათვის ქართულ ლაპარაკში.

XIX საუკუნის უდიდესი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის, რომელიც იმ ეპოქაში მუშაობდა, თითქმის სრულიად უცხოა ნაციონალური მოტივები. მისი „ბედი ქართლისა“ ხოტბას ასხამს ერგვლე მეფეს, რომელმაც ხალხის ბედი „ერთმორწმუნე რუსის მეფეს“ ჩააბარა. კავკასიის მთის დაპყრობას იგი დიდი აღფრთოვანებით ჰხედება. იგი ვერ ფარავს თავის გაბოროტებას მთიელთა წერილი ტომებისადმი, რომელთაც განიცადეს სრული დარბევა და განადგურებაც კი. „ძრწოდე კავკასო, ახლოს არს დღე შენის აღსასრულისა“... ქართველთა მამაცი მებრძოლნი „იმპერატორსა ემსხვერპლეთო“ და სხვა. ასეთია მისი „ნაციონალური მოტივები“, რომელთაც არაფერი შეაქვთ. იმ ნაციონალურ რომანტიკაში, შემდგომ რომ გაითქვა სახელი.

6. ბარათაშვილი

შეგვირდეთ ბარათაშვილის პოეზიაზე.

უდავოა, რომ მისი სახით ჩვენა გვყავს უდიდესი პოეტი არამარტო თავისი ეპოქისა, არმედ მთელი XIX საუკუნისა. მისი გავლენა დღესაც ცხოვლად იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში. ი. ჭავჭავაძე 70-იან წლებშიც ვერ ურიგდებოდა „ყრმა პოეტის“ უდროო სიკვდილს (იგი 27 წლისა გარდაიცვალა) და ამბობდა: „უღეთო იყო შენი სიკვდილი“.

სალიტერატურო ასპარეზზე იგი გამოდის შეთქმულების (1832 წ.) შემდეგ, რომელშიაც მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ იგი მხოლოდ 14 წლისა იყო.

მაგრამ შეთქმულებამ, რომელიც სრული კატასტროფით დამთავრდა, გადამწყვეტი, თუმცა სრულიად სხვადასხვანაირი გავლენა მოახდინა ერთი მხრით შეთქმულებაში მონაწილე პოეტებზე, მეორე მხრით — ბარათაშვილზე.

ყოფილი შეთქმულნი განიცდიან იმედების სრულ გაცრუებას და გეზს იღებენ კარიერაზე სამსახურში. ამ დარგში ისინი აღწევენ უმაღლეს ჩინებს, და თუ პოეზიას მისდევენ, მათ თემატიკას შეადგენს საჭეიფო და ეროტიკული ლექსები. ისინი მხოლოდ დრო-

დადრო თუ გადახედავენ საქართველოს წარსულს და უნიკალურ
ოხვრას ეძლევიან. ასეთნი არიან ალ. ჭავჭავაძე და გ. ორ-
ბელიანი.

ერკენულში

ბარათაშვილი ფიზიკად აფასებს 1832 წლის მტკიცეობას
და ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთელ პოლიტიკურ მდგო-
მარეობას ერეკლე მეფის შემდეგ, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა აღე-
ბული გეზი რუსეთზე. პოეტის აზრით ეს იყო ბრძნული და ერთად-
ერთი სწორი პოლიტიკა. იგი იხილავს საქართველოს ბედს პოემაში
„ბედი ქართლისა“. ასწონ-დასწონის ყველა საბუთს ერეკლეს პო-
ლიტიკის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ და გადაჭრით ემხრო-
ბა რუსეთზე ორიენტაციას. მას აღარასოდეს არ გადაუსინჯავს და
არც კი დაპბრუნებია ამ საკითხს.

ჯერ მარტო ამ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხში საქართვე-
ლოსათვის იგი მთელი თავით მალა დგას თავის თანამედროვეებზე
და არა მარტო მათზე.

ბარათაშვილს არ შეუძლია გაჰყვეს იმედგაცრუებულ
შეთქმულთ ღვინისა და ქალის კულტის სფეროში, სადაც ისინი ეძე-
ბენ თავდავიწყებას თავისი უშინაარსო ცხოვრებისაგან. იგი აღსაე-
სება ძალითა და ენერჯით. მას ჯერ კიდევ არ განუცდია რაიმე გა-
ცრუება იმედებისა, მას სურს მოქმედება და ბრძოლა. მაგრამ საქარ-
თველოს უნიათო სინამდვილე მის მისწრაფებებს უსაგნოდ ხდის,
ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის ახალი სიცოცხლის უნარიანი ძალა,
რომლის მსახურებასაც მოანდომებდა თავის ძალღონეს, ჯერ კი-
დევ არსადაა საზოგადოებრივი სარბიელი, სადაც იგი გაშლიდეს
თავის ნიჭს. ფეოდალური წყობილება ერთობ ნელა განიცდის და-
შლას, რღვევას, რომ პოეტს შეეძლოს დაინახოს თუნდაც სათავეები
ახლად ჩასახული მომავალი ძალებისა, ხოლო ევროპეიზმის გარეგ-
ნული ელვარება, რომელიც შემოჰქონდა რუსეთის ჩინოენიკობას,
სავესებით გარედან მონატანი იყო და ერთ წუთსაც ვერ აესებდა
პოეტის სულის სამყაროს: იგი გარიყული რჩებოდა.

ნ. ბარათაშვილი ეძებს დასაყრდენს, ცდილობს თვითგა-
მორკვევას და ამ ძიებაში ვადის მისი ხანმოკლე სიცოცხლე.

იგი სრულ მარტოობას გრძნობს გარემო ფუჭ ცხოვრებაში.

„И грустно и скучно и некому руку подать в минуту
душевною невзгоды“ იმეორებს იგი დიდი პოეტის სიტყვებს, რო-
მელთანაც ნათესაობას გრძნობს. მაგრამ ამასთან ერთად შეგნებული
აქვს, რომ ეს ბედრკულება არ არის წუთიერი ხასიათისა, არამედ
მან შეიპყრო მთელი მისი არსება და ამას იგი უწოდებს „სულის
ობლობას“.

„ეინც მალალი გრძნობის მექონი მეგონა, იგი ენახე უგულო;
ვისიცი სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიცი
გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია,

ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღულენსა, გამაგეტყველად მშვენიერის სულსა, თურმე ყოფილან ნიშანი ცხოვრებისა, წვეთნი საშინელის საწამლაგისა! სად განისვენოს სულსა — შიდადრიკო თავი? — კითხულობს პოეტი და თავის გრძელს ფსიქოლოგურად აფრქვევს ლექსში „სული თბოლი“.

მისი სულიერი მდგომარეობა ვერ გაიგო მისმა ბიძამაც კი, ნიქიერმა პოეტმა გ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა, რომელმაც უმაღლეს მდგომარეობას მიაღწია და რომელსაც ამაოდ ემუდარება ბარათაშვილი დაეხმაროს, გამოიყვანოს ირგვლივ მყოფ საშინელეზიდან. იგი მარტო საკუთარ ძალას არის მინდობილი, ეძიებს სულის საზრდოს, ისწრაფვის დიდი მოღვაწეობისაკენ და რა ვერ ჰპოვებს მას, განცდის ტანჯვას. გასაკვირველი არ არის, რომ მას ეუფლება ფიჭრი ადამიანის მიზანთა მიუწვდომლობისა, სურვილების „აღუესებელი საწყაულისა“ და „ჩვენი ფუჭი ცხოვრების ამაოებისა“, რაც საბოლოო ანგარიშით მის სულს საშინელი სიცარიელით აღავსებს.

წმინდა ცხოველური ცხოვრება იმ კლასისა, რომელსაც პოეტი ეკუთვნის, ზოგიერთს ხელს ჰკრავს სამხედრო პატივმოყვარეობისაკენ, ქალისა და ღვინის კულტით გატაცებისა, ყმების გაძლიერებული ექსპლოატაციისაკენ; ხოლო მას, პოეტს, არგუნებს განკერძოტოს ის, რაც მის ირგვლივ ხდება, იფიჭროს წუთისოფლის ამაოებაზე, ეძიოს გზები, რათა ეზრძოლოს თავის ბედისწერას, თავის უღმობელ ბედს. ამ ბედისწერას იგი „ბოროტ სულს“ უწოდებს და წყველა-კრულვას უთვლის აღთქმული, მაგრამ შეუსრულებელი იმედებისათვის.

ადამიანებზე გულგატეხილი, იგი მიმართავს ბუნებას, რათა მის მყუდროებაში ჰპოვოს სულის სიმშვიდე. მაგრამ მტკვრის მოღუღუნე ტალღები და მთელი ნალელიანი გარემო აღუძრავენ ადამიანთა ცხოვრების ამაოების ფიქრს; მათ მოელით სრული მოსპობა და დავიწყება, როგორც დაკმაყოფილებულ პატივმოყვარეობის, ისე კეთილი სახელის მოხვეჭის შემთხვევაში. მაგრამ ნ. ბარათაშვილი მაინც გულზე ხელს არ იკრებს და არ გამოყავს „ამა ქვეყნიდან“ წასვლის დასკვნა: იგი მხნედ მოუწოდებს საბრძოლველად და სამოქმედოდ, რადგანაც „არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ბუნების წიაღში იგი ეძლევა ღრმა ფიჭრებს, არ იკეტება თავის თავში, არა ხდება შებნელი პესიმიზმის მსხვერპლად, არამედ ამთავრებს იმით, რომ უბრუნდება იმავე ცხოვრებას და ღრმად სწამს, რომ „ვათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

თავის შესანიშნავ „მერანში“, რომელიც მხატვრული შემოქმედების ნიმუშს წარმოადგენს, იგი განსაკუთრებული ოსტატობით გვიხატავს იმ ადამიანის ტრაგიზმს, რომელიც განწირულია ერთფეროვანი, უსიხარულო ცხოვრებისათვის, მაგრამ რომელიც გამო-

ურკვეველი მომავლისაკენ დაუძლეველ მისწრაფებათა ზეგავლენით არ ურიგდება ამ მდგომარეობას და მთელ თავის ძალას მიჰქართავს იქით, რომ რაღაც უნდა დაუჯდეს დაამსხვრიოს ეს ზეგავლენა.

დაე მას, უგზო-უყველოდ მსრბოლს, უკან მისჩაბრდეს: „საქართველოში შავი ყორანი“; დაე მოწორდეს იგი „თავის მამულს, მოაკლდეს სწორთა და შეგობართა“; დაე „ნულა იხილავს მშობელთა და ტკბილ მოუბარ სატრფოს“; „ნუ დაიმარხება თავის მამულში“; „ნუ დაიტირებს სატრფო გულისა“; დაე „შავმა ყორანმა ვაჟთხაროს საფლავი“ და „ქარიშხალმა ზარით, ღრილით მიაყაროს მიწა“ — მან უნდა გარდაიაროს „ბედის სამძღვარი“, რომელსაც იგი არასოდეს არ „ემონებოდა“, ყოველივე ამას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ შემდგომად „მოდმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი ს მთელი შემოქმედების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მას თავის განცდები აჰყავს დიდ სიმაღლეზე და ხდის მათ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან განცდებად. თავისებურად გადმოგვეცემს იგი სიყვარულის თემასაც. ფიზიკურ მშვენიერებას უპირისპირებს სულის მშვენიერებას, ხოლო ხორციელ სიყვარულს — სულის ნათესაობას, როგორც უმაღლესი ტკბობის შესაძლებლობას.

მის მრავალ ლექსს დღევანდლამდე მღერის ხალხი.

ს ა მ ო ც ი ა ნ ი წ ლ ე ბ ი

ილია ჭავჭავაძე

არ შეეჩერდებით XIX საუკუნის პირველი ნახევრის სხვა მწერლებზე და გადავალთ პირდაპირ 60-იანი წლების ეპოქაზე, რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ეპოქის მწერლებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების უდიდესი ფიგურაა. რომელიც თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებებით ძლიერ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე თვით. უკანასკნელ ხანებამდე.

მისი შემოქმედების შეფასება უაღრესად გაცხოველებულ პოლემიკას იწვევს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და ლიტერატურულ მიმართულებებს შორის: ერთ დროს მის ნაწარმოებებს ყოფდნენ ორ ნაწილად, მკვეთრად უპირდაპირედნენ მის პუბლიცისტურ თხზულებებს მისსავე პოეტურ ნაწარმოებებს, პირველში ხედავდნენ რეაქციულ ან კონსერვატიულ მიმართულებას, ხოლო მეორეში — პროგრესიულს. უკანასკნელ ხანს (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის — რაპპის — ხანებში) მოუნდომეს გადაყრა როგორც უვარგის ნაგავს, მის მხატვრულ ნაწარმოებებსაც და ამით იჩენდნენ კლა-

სიკური მემკვიდრეობის ათვისებისა და გამოყენების სრულ უზრუნველყოფას.

ორივე შეფასება ერთნაირად შემცდარი. ი. ჯავახიშვილმა არ ცხოვრობს „ორი სული“. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა მკვიდროდ არის დაკავშირებული მის პოეტურ შემოქმედებასთან და მისი მთლიანი პიროვნება ამჟღავნებს იმაზე არა მეტ წინააღმდეგობებს, ვიდრე ეს სჩვევია ცხოვრების ყოველ მოვლენას... მის პუბლიცისტურობასთან ერთად მისი პოეტური შემოქმედების უკუგდება ნიშნავს მთელი იმ უდიდესი ღირებულების გაუგებლობას, რომელიც უთუოდ აქვს მის ნაწარმოებებს.

რა სოციალურ-პოლიტიკურ პირობებით განისაზღვრება ი. ჯავახიშვილის შემოქმედება?

ნო-იანი წლები რუსეთსა და საქართველოში ცნობილია როგორც ბატონყმობის ეგრეთწოდებული გაუქმების ეპოქა. ეს რეფორმა საქართველოსთვის ნიშნავდა არა მარტო ურთიერთობის ერთგვარ ცვლილებას ბატონებსა და ყმებს შორის, არა მარტო ახალი ეკონომიური წყობის დასაწყისს, არამედ ფეოდალიზმის საყრდენების ძირის გამოთხრასაც, ფეოდალიზმისა, რომელიც იმ დროისათვის თითქმის უცვლელად იყო დარჩენილი, რაც სხვათა შორის იმით გამოიხატებოდა, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონები არა ცხოვრობდნენ საერთო ინტერესებით და ურთიერთ შორის ჰქონდათ უფრო მტრული, ვიდრე მეგობრული განწყობილება. რეფორმამ ძლიერ შეარყია ეს კარჩაკეტილობა, საქართველოს ცალკე ოლქების პარტიკულარიზმი და ისინი საერთო განვითარების გზაზე, ეროვნული მთლიანობის შექმნის გზაზე გამოიყვანა.

აი ის ნიადაგი, რომელზედაც ფართოდ იშლება ნო-იანი წლების მოღვაწეთა ეროვნული მოტივები, რომლებიც შორს იტოვებენ ყველაფერს, რაც კი ამ დარგში ცნობილი იყო უწინდელი ლიტერატურიდან. ამ მოტივების შინაარსი კი დამოკიდებულია ეკონომიურ პროგრამაზე, გლეხობისადმი დამოკიდებულებაზე.

უდავოა, რომ ნო-იანი წლების ქართველი მოღვაწეები იმყოფებოდნენ რუსი ნაროდნიკების, რუსი რაზნოჩინცების ძლიერი იდეური გავლენის ქვეშ. საერთოდ და მთლიანად ისინი აღიარებდნენ იმავე განმათავსუფლებელ პრინციპებს. მაგრამ რუსეთისაგან რამდენადმე განსხვავებულმა პირობებმა სხვანაირად განსაზღვრეს სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა იდეოლოგიის განვითარება. საქართველოში არ ყოფილან რაზნოჩინცები, არ ყოფილა ინტელიგენცია, როგორც მასობრივი მოვლენა, ამიტომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენში „ხალხში სიარული“, რამაც რუს რაზნოჩინცებს დიდძალი მსხვერპლი გააღებინა; იმ რამდენიმე ათეული ქართველიდან, რომელნიც რუსულ უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, თითქმის ყველა ეკუთვნოდა უმაღლეს თავადაზნაურობას და თავისი სო-

ციალური მდგომარეობით რუს რაზნოჩინელებთან საერთო ნაკლებად ჰქონდათ. და ვინაიდან ახლადწარმოშობილი კლასები იმდენად სუსტი იყვნენ, რომ არ შეეძლოთ რამდენადმე შესამჩნევად განეხილათ. მოხდინათ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეს ინტელიგენციის მთავარი საკითხ-ზის გადაჭრისას მიემხრნენ იმავე თავადაზნაურობას, რომელიც ისტორიულად თუმცა დასაღუპად იყო განწირული, მაგრამ ხსენებულ მომენტში საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდა. 60-იანი წლების ქართველი მოღვაწეები, თუმცა ელოლიავებოდნენ სოციალისტურ იდეებს, თუმცა უტრიალებდნენ განმათავისუფლებელ ლოზუნგებს, მაგრამ ძირითად საკითხში, საზოგადოებრივ კლასთა და წოდებათა ურთიერთობის საკითხში — იცავდნენ გაბატონებული კლასის შეხედულებებს. ისინი სრულიად უარყოფდნენ სხვადასხვა წოდებათა არსებობასაც კი როგორც წარსულში, ისე იმჟამად და მკვეთრად ილაშქრებდნენ კლასობრივი შუღლის გაჩაღების ცდათა წინააღმდეგ. ცხადია, ასეთ თავალსაზრისის მქონეთ, — მათ არ შეეძლოთ სათავეში ჩასდგომოდნენ გლეხთა მოძრაობას და იგი თავადაზნაურობის წინააღმდეგ წარემართათ. უფრო ბუნებრივი იყო, რომ მათ დაეცვათ თავადაზნაურობის ინტერესები.

მაგრამ ეკონომიური პრობლემის ასეთი გადაჭრის დროს წინასწარ წყდება აგრეთვე შინაარსი ეროვნული მოტივებისა პოეზიაში. ერი და მისი ინტერესები აგრეთვე ვანიზილება თავადაზნაურობის თავალსაზრისით. ვინაიდან თავადაზნაურობას აქვს ბრწყინვალე წარსული, მაგრამ არა აქვს არავითარი მომავალი, ამიტომ ამ ეპოქის ეროვნული რომანტიკა საუცხოვო ფერადებით ასახავს წარსულს და აცხადებს მას მომავლის იდეალად. უპირდაპირებს მას ბეჩავ აწმყოს, როდესაც ქართველზე ბატონობს უცხოელი, რომელიც უხეშად თელავს ერის წმინდა საფუძველს: დამოუკიდებლობას, ენას, მთელ სულიერ კულტურას.

ამ ორი მომენტის — ეკონომიურის და ეროვნულის — მჭიდროდ გადაკეანება საფუძვლად უდევს ი. ჯავახიშვილის შემოქმედებას. იგი ნაციონალისტიკა, და როგორც ასეთი, ოპოზიციაში უდგას მთავრობას, რომელიც არ სცნობს არაფერს ნაციონალურს. იგი დასტირის დაღუპვის გზაზე დამდგარ თავადაზნაურობას და იზიარებს სათანადო ეკონომიურ პროგრამას. იგი არ არის მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ და, მიმართავს რა გაბატონებულ კლასს, მოითხოვს, რომ მან შეაუსტოს თავისი ბარბაროსობა საკუთარი უფლებების შეზღუდვის გზით. მაგრამ ამასთანავე იგი ნოვატორს წარმოადგენს ლიტერატურის თითქმის ყველა დარგში. ამდიდრებს მას როგორც ახალი იდეებით, ისე შხატერული შემოქმედების ნამდილი შედეგებით.

იგი მთლიანად იზიარებს 60-იანი წლების მოღვაწეთა შეხედულებას ხელოვნებაზე და გადაჭრით უარყოფს „ხელოვნებას ხელოვნებისთვის“.

ნებისთვის“. თითოეულ მის დიდ ნაწარმოებს წამძღვარებულ აქვს რაიმე ეპიგრაფი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ტენდენცია გააყენა მასში ავტორს. კავკასიის მდიდარი პეიზაჟების აღწერაში ნაწარმოებში იზიდავს მას თავისთავად. ბუნების თითოეული დიდ მკვლევარს თავის მას სჭირდება ამა თუ იმ მისთვის ძვირფასი იდეის ილუსტრაციისა და პოპულარიზაციისთვის. მაგალითად, როდესაც ილია მსჯელობს ყაზბეგსა და თერგზე და ადარებს მათ ერთმანეთს, იგი უპირატესობას აძლევს თერგს. რატომ? იმიტომ, რომ თერგი წარმოადგენს მოძრაობის, თვით სიცოცხლის სიმბოლოს. თავზედ ხელაღებული, გიყი, გადარეული, შეუპოვარი და მღვრიე თერგი მას აგონებს ბრძოლას, რომელიც ავსებს ცხოვრებას და არ აძლევს მას საშუალებას ქაობად იქცეს. პირიქით, მყინვარი, დიდებული, მყუდრო და მშვიდობიანი მყინვარი, მაგრამ ამავე დროს ცივი და მიუკარებელი, განზე დგას ცხოვრების ორომტრიალისაგან; ერთი ძარღვიც არ ატოკდება მის მაღალ შუბლზე.

თავისი სამსახურის საგნად ი. ჭავჭავაძე შეგნებულად იღებს საზოგადოებრივ საწყისს და აცხადებს თავის თავს ყოველგვარი ინდივიდუალური, კერძო ინტერესების მტრად.

არჩევს რა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებს, იგი იძლევა თავის თვალსაზრისს პოეზიის ღირებულებაზე. მისი აზრით, ბარათაშვილი „მით იყო უფრო ძლიერი ღირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზე, რომ მისნი გულისფქმანი, მისნი ვრძნობები, მისნი ქირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიო არიან, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულის ფქმანი“.

თავის განთქმულ პოემა „განდეგილში“, პოეტური შემოქმედების ამ შედეგში, ის სასტიკად გმობს ინდივიდუალიზმს, ეგონისტურ ზრუნვას თავის თავზე. განდეგილი, რომელიც ჩამოშორდა ცხოვრებას, გაექცა ბრძოლას და ზრუნავს მხოლოდ საკუთარ სრულყოფაზე, იწევს მწყემსი ქალის გაკვირვებას. იგი ვერავითარ პასუხს ვერ აძლევს ამ ქალის მიერ პირდაპირ დაყენებულ კითხვაზე: რა აზრი აქვს ამ ყინულებში განმარტოებას, „განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეშხარის ქვიანას, ღვთითვე დაბადებულსა?“

ადარებს რა დღეს ღამეს, იგი უპირატესობას აძლევს პირველს ისევ და ისევ ბრძოლის და აზრიანი ცხოვრების ინტერესებისათვის: „წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა და მომეციო მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა“.

განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს იგი საზოგადოებრივ საწყისს, როდესაც ლაპარაკობს სამშობლოსადმი სამსახურის შესახებ: „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, სამშობლოსთვის სიკვდილი ვისაც დაზარებიაო“. 60-იანი წლების უტილიტარისტე-

ბისაგან ნასესხები ასეთი განწყობილებებითა და იდეებითაა განსჯე-
ლული ყველა მისი ნაწარმოები და ეს განსაკუთრებით ამჟღავნებს
მათ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რაზეა მათში ლაშქარსკაცის უწყინო-
მიურ თუ ეროვნულ პრობლემაზე.

ეკონომიური საკითხების დაყენების დროს ავტორი ხალისიანად
სარგებლობს სოციალისტური იდეებით, მაგრამ ადგილობრივ პირო-
ბებთან შეფარდებით უხეად ახავეებს მას ქრისტიანობის ელემენ-
ტებით და ფიქრობს, რომ ჯვარცმული ივნო სოციალიზმის საქმისა-
თვის. ყველაფერი ეს მას ხელს არ უშლის მოგვეცეს ბატონებისა და
ყმების ურთიერთობის თავისებურად სწორი სურათი. იგი გაბედუ-
ლად გამოდის „შრომის სუფევის“ მომხრედ, გვიხატავს მას მო-
მხიბლავი ფერებით და მის დამყარებას „ძღვევამოსილი ამ საუკუნის“
ამოცანად აცხადებს.

მაგრამ ახალი იდეების ეს საერთო დეკლარაცია, რომელიც პირ-
ველად იჭრება ქართულ ლიტერატურაში, სრულიად ქარწყლდება,
როდესაც დგება საკითხი მომწიფებული ეკონომიური საკითხების
გადაჭრის გზების შესახებ. აქ პოეტი, რომელიც უარყოფს კლასობ-
რე ბრძოლას, სრულ უმწიფობას იჩენს.

პოემა „აჩრდილში“ იგი დაწვრილებით გვიხატავს მონის
ბედს, რომელსაც უპირდაპირებს მის ოფლით მცხოვრებ არისტო-
კრატებს, ვაჭრებს და მღვდლებს. მაგრამ მონა მისთვის წარმოადგენს
შხოლოდ სიბრალულის ობიექტს, დაჩაგრულს და უმწიფო არსებას.
და არა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლს. სად არის ხსნა, ვინ
უშველის ასეთ მონას, ვინ შეიბრალებს მას? ბატონზე იმედს ვერ
დაამყარებ. მას მკერდში გულის მაგივრად ჭეა უდევს და იგი არ
ისურვებს იბრძოლოს ბოროტების წინააღმდეგ, რომლის ხარჯზეც
ცხოვრობს. თვით ჩაგრულ მონას კი, ეტყობა არაფრის უნარი
არა აქვს.

მიუხედავად ამისა, პოეტს სწამს, რომ დადგება „შრომის სუ-
ფევა“, რომელიც აამალღებს მშრომელებს, ისე რომ არავის არ და-
ამციროებს და მაშასადამე არც არავის გააწიბილებს.

პოემაში „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვ-
რებიდან“ ავტორს არსებული სოციალური წყობის წინააღმდეგ
პროტესტანტებად გამოყავს ორი ყაჩაღი, რომელთა პირითაც იგი
გამოთქვამს თავის ალტაცებას ხალხური პოემის გმირის არსენა ყა-
ჩაღის გამო. როგორია ეს ხალხური გმირი? იგი ძარცვავს, მაგრამ
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, რისთვისაც მას ყველგან თან
სდევს ხალხის კურთხევა და თანაგრძნობა. იგი ებრძვის ბატონებს,
მეფის აგენტებს და ვაჭრებს — მაგრამ ამასთან ერთად იჩენს დიდ-
სულლოვნობას, ინდობს მოღალატეს და თავის მოწინააღმდეგეთაგან
არავის კლავს; გმირის ამ თვისებას განსაკუთრებით აქვს გასული
ხაზი ხალხურ პოემაში, როგორც შეტისმეტად საქებ ღირსებას.

ი. ჭავჭავაძის „ყჩაღებს“ არსენა თავის იდეალოდ მიიჩნიათ და პშუტო მისი სახელოვანი ხვედრი. მაგრამ პრაქტიკულად ისინი არსენაზე შორს მიდიან. ერთი მათგანი ჰკლავს ფეფსკრეტლეს, ხოლო მეორე ხოტბას ასხამს მას ამ მოქმედებისათვის. მოცემას მძაბ ხედვით სხვანაირად არც შეიძლება: ბატონის გულჭკაობას აუცილებლად ასეთი ანგარიშის გასწორება უნდა მოჰყოლოდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ავტორს თითონ მოსწონდეს ამგვარი მოქმედება. ამ პოემით იგი თითქოს აფრთხილებს თავადაზნაურობას, სიმკაცრეს შეიძლება მოჰყვეს სრული შენი დაღუბვა. რა საჭიროა მოხუცი ერთგული ყმის შევიწროება, მისთვის მოზრდილი ვაჟის დაუბრუნებლობა? მათი სურვილი რომ დაეკმაყოფილებინა, ისინი გაცილებით მეტ სამსახურს გაუწევდნენ. რა საჭიროა ყმის გადაჭარბებული გაბოროტება, მისი სრული უუფლებობის დემონსტრაცია? რა საჭიროა როზგი და უდანაშაულო მოხუცის წამება? ეს ბოროტებანი რომ არ ჩაედინა, ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის მოგვარებული და ასატანი იქნებოდაო.

მეტი ლმობიერება და სიბრალული გლეხობის მიმართ — აი რას უქადაგებს ავტორი თავადაზნაურობას. იგი არ გმობს ბატონყმობას, როგორც სისტემას, როგორც სოციალურ წყობილებას.

ასეთია ავტორის ტენდენცია, მაგრამ სინამდვილის მხატვრული ასახვა შორდება ამ ტენდენციის ფარგლებს და საუცხოო მასალას იძლევა იმისათვის, რომ იქიდან სრულიად საწინააღმდეგო დასკვნებში გამოვიყვანოთ. ასეთივე ტენდენციით არის გამსჭვალული ავტორის მოთხრობა „გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ ი ც“, სადაც ბატონის კეთილი საქმენი ძალიან გვიან იჩენს თავს. პატრიარქალური ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის სამუდამოდ დარღვეულია. ამგვარ იდეალურ ურთიერთობათა არსებობის შესაძლებლობის წინააღმდეგ ლაპარაკობს მოთხრობის მთელი მხატვრული შინაარსი, რომელიც იმ აზრს აყენებს, რომ რაგინდ იდეალურიც იყოს ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის, თვით ბატონყმობის სისტემა ბუნებრივი აუცილებლობით იწვევს შეტაკებას მათ შორის და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ ბატონყმობის მოსპობით.

კლასთა თანამშრომლობის იდეა ყველაზე მეტად აინტერესებს პოეტს. მაგრამ იგი გულსტკივილით აღნიშნავს, რომ ჩატეხილია ხიდი, რომელიც ამ ორ კლასს აერთიანებდა. მაინც იგი იმედოვნებს ამოავსოს უფსკრული, რომელიც მათ შორის გაჩენილა. ავტორი ფიქრობს, რომ ამისათვის უნდა გამოყენებულ იქნას პუმიანიური გრძობანი, სიბრალული ჩაგრული მოძმისადმი, თავადაზნაურობის მიერ დაღვრილი ცრემლი, გამოწვეული მდგომარეობის უიმედობის შეგნებით და სხვა. ბრძოლაზე თავადაზნაურობის, როგორც გაბატონებული კლასის წინააღმდეგ, რომელიც უნდა წაყვიდეს ისტორიული სცენიდან, პოეტს ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი. მაგრამ ეს იმას

არ ნიშნავს, თითქმის იგი საერთოდ კმაყოფილი იყო ამ წინააღმდეგობის მდგომარეობით და მუხლს იღრეკდეს მის წინაშე, იგი დაუნდობლად ამათრახებს მის უარყოფით თვისებებს, მაგრამ ჩვენს წინაშე, რომ მათი აღმოფხვრა შეიძლება გარეშე ბატონყმობის შიშის გარეშე დამსხვრევსა. სატარულ მოთხოვნაში „კაცია-ადამიანი“ ავტორს გამოყავს თავადაზნაურთა მკვეთრად უარყოფითი ტიპები. მაგრამ მათი გამოსწორების იმედი აქვს. და თუ ეს არ მოხდება, ავტორს მაინც თავისი მოვალეობა შესრულებულად მიიჩნია.

საბოლოო ანგარიშით ი. ჭავჭავაძის მხატვრულმა ნაწარმოებებმა ვერ მიაღწიეს იმ მიზანს, რომელსაც ავტორი ისახავდა. თავადაზნაურობა, რომელსაც უშუალოდ მიმართავდა ავტორი, ყურად არ იღებდა მის ქადაგებას, იგი არ სწორდებოდა, ვიდრე უღმობელმა ისტორიამ არ „გამოასწორა“ იგი.

ქვედაფენებს თავისებურად ესმოდათ ეს ნაწარმოებები და ისინი უარყოფდნენ ავტორის მიერ ტენდენციურად გატარებულ იდეას გაკეთილშობილებული თავადაზნაურობის ხსენის შესახებ. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ იმ როლით, რომელსაც მათ სთავაზობდნენ — სიბრაალულისა და ლმობიერების ობიექტის როლით — მათ ამ ნაწარმოებებიდან ღიაშეკრულად საწინააღმდეგო დასკვნები გამოჰყავდათ. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებამ თავადაზნაურობას კი არ გაუწია სამსახური, არამედ თავადაზნაურობის მოწინააღმდეგეებს.

ი. ჭავჭავაძის პოეზიის ყველაზე დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს ჭარბად მოცემული ნაციონალური მოტივები. აკაკი წერეთელთან ერთად იგი ქმნის იმ ნაციონალიზმს, რომლითაც ათეული წლის განმავლობაში გამსჭვალულია ქართული ლიტერატურა და რომელთანაც დაძაბული ბრძოლა უხდება საბჭოთა ლიტერატურასაც. სამშობლოს სიყვარული, მისი ქება-დიდება, ცამდე ამალეობა, მისი ბრწყინვალე, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული წარსულის გლოვა და ოხერა მომავალზე — აი ამ ნაციონალიზმის შინაარსი.

ი. ჭავჭავაძე ეხება რა ამ თემას, აფართოებს სამშობლოს ცნებას და მის შინაარსს უფრო ამდიდრებს, ვიდრე ეს იყო წინა პოეტების შემოქმედებაში. მას აინტერესებს არა მარტო ქართლის (საქართველოს ერთერთი პროვინცია) ბედი, როგორც ეს ბარათაშვილის შემოქმედებაშია, არამედ აინტერესებს მთლიანად საქართველო. იგი თავყვანს არ სცემს, რა ფიქლ ერისთავის მსგავსად ზევსურთა პატრიარქალურ კარიკატულობას და არ ამბობს: „არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედაო“. მისთვის მთელი საქართველო, განურჩევლად სხვადასხვა ნაწილისა, წარმოადგენს სიყვარულის საგანს. იგი არ კმაყოფილდება გრ. ორბელიანის პრიმიტიული გრძნობებით, რომელიც თავის სიყვარულს სამშობლოსადმი განსაზღვრავს ბუნების ლამაზი სურათებითა და

ბავშვობის ტყბილი მოგონებებით. ი. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე მთელ წიგნის ფიქრებსა და მისწრაფებებს უკავშირებს ცოცხალი ქართველი ხალხის ბედ-იღბალს და მზად არის მის სამსახურს მთელეფსკეფსსეფე შეალიოს. „მას აქეთ რაკი შენდამი ეცან მე სიყვარულად, ქოფეფე მულო, წამერთვა მე ძილი და შვება“ — ამბობს პოეტი თავის გრძნობებზე, რომელიც მას შრავალ ტანჯვას განაცდევინებს. მაგრამ იგი არ დრტვინავს ამ ბედზე: „და მე არ ვიგივი, — ამბობს იგი — მიხარიან, რომ ეგრედ შერება ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“. წარსული და აწმყო, საქართველოს ორი სხვადასხვა სურათი, ერთნაირად ცოცხლობს პოეტის გულში. წარსული მასში აღფრთოვანებას იწვევს, აწმყო კი უსასო სევდას.

იგი არ კმაყოფილდება წარსულ ცხოვრებაზე გოდებით, რომელიც წითელ ზოლად არის გავლებული მთელ მის ნაწარმოებებში. მას შეგნებული აქვს, რომ ასეთი ტირილი სარგებლობას ვერ მოიტანს, იგი მიმართავს „ქართლის დედას“ და მოუწოდებს მას გაბედულად გამოვიდეს ახალ გზაზე: „მას ნულარ ვტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალს დროს ხელით დანთქმულა; ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხსო“.

რაში მდგომარეობს ეს მომავალი; რანაირია მისი შინაარსი? — დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნება — ასეთია პოეტის პასუხი, რომელსაც იგი იძლევა მოხვევის პირით „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ შ ი“. მოხვევე ამბობს, რაც რუსეთის ხელში ვართ, ყველაფერი წახდა და ყველაფერი მოისპოო, წინად ავად თუ კარგად „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და ამიტომ უფრო უკეთესი იყო.

რაც შეეება იმ მშვიდობიანობას, რომელიც ამ ბოლო დროს დამკვიდრდა, ეს დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. დაე ფაქტი იყოს, რომ საქართველოს არბევდენ მეზობელი ხალხები, მაინც იგი დამოუკიდებელი იყო და მთავარიც სწორედ ეს არისო.

ავტორი სრული სოლიდარობისა და თანაგრძნობის განცდით იმეორებს მოხვევის სიტყვებს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და დიდის გრძნობით ამბობს, რომ ეს სიტყვები ღრამდ ჩიიშარზა და საუკუნოდ დარჩა მის არსებაში. ავტორის აზრით სამშობლოს დამოუკიდებლობა უმაღლესი სიკეთეა, რომელსაც სხვა ვერაფერ შვედრება.

რა გზებით შეიძლება მოვიპოვოთ ეს დამოუკიდებლობა? — ამის შესახებ ი. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე ერთ სიტყვასაც არ ამბობს, არაერთარ პროგრამას არ იძლევა. მისი პატრიოტიზმი სჯერდება იმას, რომ აღვიძებს ნაციონალურ შეგნებას, ჭადაგებს სხვადასხვა რაიონის და ახლოებას და იმის აუცილებლობას, რომ განიშსკვალნენ მთლიანი საქართველოს დამოუკიდებლობის ფიქრით. იგი არ აყენებს აქედან

გამომდინარე პრაქტიკულ საკითხებს, არ ისახავს რაიმე პრაქტიკულ საქმიანობას. როგორც თავისი შინაარსით (დამოუკიდებლობის დაბრუნება), ისე თავისი გამოხატულებით (წარსულის გუგუნივით და მისი დაბრუნების პასიური ლოდინი) ეს პატრიოტიზმი საეკსტრაორდინარულად ტრავს მაშინდელ თავდაზნაურობის განწყობილებას.

ორმოცი წლის განმავლობაში განუყოფლად ბატონობდა ეს პატრიოტიზმი ქართულ ლიტერატურაში და მხოლოდ პროლეტარული მოძრაობის გაძლიერებით იგი პირველად შეჭვება წინააღმდეგობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინააღმდეგობა მომავალმა მენშევიკებმა დაიყვანეს ნაციონალური საკითხის სრულ უარყოფამდე. ისინი გამოდიოდნენ მარქსიზმის ვულგარული გაგებიდან და არ სცნობდნენ დამოუკიდებლობის უფლებას მცირე ერებისათვის, რომლებიც ვითომდა უნდა ჩაეყლაპათ მსხვილ ერებს, მსგავსად იმისა, როგორც მსხვილი კაპიტალი ყლაპავს წვრილს. არ არის საკვირველი, რომ, მავალითად ინგლის-ბურების ომის დროს ისინი გარკვევით იდგნენ ინგლისელების მხარეზე, იმიტომ რომ ვითომდა ისტორიული განვითარების კანონი წინასწარ განსაზღვრავდა მათ გამარჯვებას, უნაყოფოდ ხდიდა მცირე ერების ცდას შეენარჩუნებინათ თავიანთი არსებობა. შემდეგში მათ შეითვისეს ნამდვილი ნაციონალიზმი და გაუსწრეს ი. ჭ ა ვ ე კ ა ვ ა ძ ე ს, იქნენ რა ნაციონალ-შოვი-ნისტებად.

თუმცა ი. ჭავჭავაძე არ წარმოადგენს გლეხობის ინტერესებისათვის მებრძოლს, ის მაინც ატარებს ნაროდნიკულ შეხედულებებს ამ წოდებაზე, ის ღრმა სიმპატიით უყურებს, აიდეალურს მას, აწერს მას საუკეთესო თვისებებს და სთვლის მას ყველა სათნოების განსახიერებად. მის ნაწარმოებებში თითქმის არ მოიპოვება უარყოფითი ტიპი გლეხობის წრიდან.

პირიქით, თავადაზნაურთა ტიპები თითქმის ყველანი უარყოფითი თვისებების მატარებლებს წარმოადგენენ.

მოუხედავად ამისა, ის უფრო რეალისტიკა, ვინემ მისი ეპიგონები, ნამდვილი ნაროდნიკები ქართულ ლიტერატურაში.

ნამდვილი მხატვრული ოსტატობის მხრივ ის ვაცილებით მაღლა დგას თავის მიმდევრებზე.

ის თავის ნაწარმოებებში ძალიან ხშირად იძლევა მხატვრულ შემოქმედების ნიმუშებს, მაგრამ ამავე დროს აზავებს პუბლიცისტურ-მსჯელობით. ი. ჭ ა ვ ე კ ა ვ ა ძ ე ს იძულებული იყო ასე მოქცეულიყო. იგი ცდილობდა შეზღუდულიყო თავისი აუდიტორიის გონებრივ დონეს. იგი ხშირად გვერდს უხვევს პოეტურ ფორმას და პუბლიცისტის ენით ერთხელ კიდევ უღეპავს მკითხველს იმას, რაც უკვე მხატვარს აქვს ნათქვამი. იგი ერთდროულად პოეტიკ არის და კრიტიკონ-პუბლიცისტიკ, გოგოლიც არის და ბელინსკიც. ეს თავისებურ ბეჭედს ასვამს მის შემოქმედებას.

რათა შევაჯამოთ ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი კრძალვით უყურებს და ამის შესაფერისად მასწავლებლის პრინციპიალურ სიმაღლეზე აპყავს ყოველი საკითხის მომხსენებელი ეხება. ლიტერატურული ასპარეზი ი. ჭავჭავაძემ დე თითქმის არ არსებობდა. წინანდელი ეპოქის მწერლებისათვის ლიტერატურა ან უბრალო თავშეკცევა იყო (მაგალითად საქეიფო ლექსები), ან პოეტის პირად განწყობილებათა გამოხატულება, რომელიც უნდა გაეზიარებია მის რამდენიმე ახლობელ მეგობარს. ისეთი დიდი პოეტის ნაწერებიც კი, როგორც არის ბარათაშვილი, არ დაბეკდილა მის სიცოცხლეში. იქნებ თვით იგი არც ძალიან წუხდა ამას! ი. ჭავჭავაძისთვის კი ლიტერატურა უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოღვაწეობაა და ამ დარგში იგი ფრიალდა და მომთხოვნი, როგორც თავის, ისე სხვებისადმი.

იგი თავგამოდებით იცავს თითოეულ წამოყენებულ დებულებას. ეს თავგამოდება მან გამოააშკარავა ძველი თაობის მწერლებთან ბრძოლაშიც ენის სიწმინდის საკითხის შესახებ. მან უარყო ძველი, თითქმის საეკლესიო ენა, რომელიც ძნელად შესათვისებელი იყო ფართო საზოგადოებისთვის (უარყო ძველი ორთოგრაფიაც) და სიტყვიერი მასალა გაამდიდრა ხალხური სალაპარაკო ენით. აკაკი წერეთელთან ერთად მან შექმნა ის ლიტერატურული ენა, რომელიც დღევანდლამდე არსებობს.

შტატურული შემოქმედების დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა შეიძლება ი. ჭავჭავაძის ნაწერებით. იგი არასოდეს არ ჩერდება მოვლენათა ზედაპირზე, ღრმად სწავლობს სინამდვილეს, აყენებს პრობლემებს, ქმნის ტიპებს, რომელნიც მიუხედავად ერთგვარი სქემატიურობისა, სწორად გამოხატავენ მათ მიერ წარმოდგენილი კლასებისა და ჯგუფების მისწრაფებებს და განწყობილებებს. მის მიერ, შექმნილი ტიპები თავისი მთლიანობითა და რეალურობით შეუდარებელნი არიან თავისი ეპოქის მკვეთრი გამოსახულების მხრივ. ისინი ზოგად სახელებად იქცნენ და ხალხის მეტყველებაში გადავიდნენ.

ტრადიციები, რომელსაც ი. ჭავჭავაძე იძლევა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, — ესაა სერიოზული დამოკიდებულება შემოქმედების საგნისადმი, მწერლის კრიტიკული მოპყრობა თავის თავისადმი, აღძრული საკითხების აყვანა პრინციპიალურ სიმაღლეზე, ამ საკითხთა თავგამოდებული დაცვა და სამარის კარამდე ერთგულება იმ კლასისა, რომლის სამსახურადაც მწერალი მოწოდებულია.

აკაკი წერეთელი



60-იანი წლების მეორე დიდ ფიგურას ილია ჭავჭავაძის გარდა, აკაკი წერეთელი წარმოადგენს.

მისი შემოქმედება იმავე სოციალ-პოლიტიკური პირობებით ისაზღვრება. ის განიცდის 60-იანი წლების რუსეთის მოღვაწეთა ძლიერ გავლენას, აღიარებს მათ განმათავისუფლებელ იდეებს, აშუქებს მათ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ხელოვნების საკითხებში ის წმინდა უტილიტარისტია. ის არ უგულვებელყოფს მხატვრულ ფორმას, მაგრამ პირველ რიგში ყოველთვის იღებურ შინაარსს აყენებს.

ა. წერეთელი ი. ჭავჭავაძესთან ერთად, და შეიძლება უფრო გულმოდგინდად, ვიდრე უკანასკნელი, ნერგავდა ქართულ ლიტერატურაში მთავრობის საწინააღმდეგო და აშკარა ანტირუსულ მიმართულებასაც კი.

ი. ჭავჭავაძისგან განსხვავებით, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიურ პრობლემას, მან საკესებით ნაციონალური რომანტიკის სამსახურს შესწირა თავი და, თუ ზოგჯერ ეკონომიურ საკითხებსაც ეხებოდა, ამ საკითხებს იგი მთლიანად უმორჩილებდა ნაციონალური პრობლემის ინტერესებს.

ძველ საქართველოს, თამარის, ერეკლე II-ის და სხვათა საქართველოს არ ჰყოლია მეორე ასეთი გულმზურვალე მგოსანი.

იგი უსაზღვროდ აიდეალებს ძველ საქართველოს და მასში ვერაფერს უარყოფითს ვერ პოულობს. სამშობლო ერთადერთი იდეა იყო, რომლითაც ცხოვრობდა ძველი საქართველო, მისთვის პირზე ღიმილით კვდებოდნენ მეფეები, ეს ნამღვილი ანგელოზები, თავადები და კარისკაცი — უბადლო გმირები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები — წმინდანობის ეს ცოცხალი კანდიდატები.

ძველი საქართველოს ბატონყმობაც კი საერთო კეთილდღეობის სურათს წარმოადგენდა.

მეფის თვითმპყრობელობის მოსვლასთან ერთად უეცრად ყველაფერი გაცუდდა და ძველი საქართველო ილუპება. თავადაზნაურობა საბოლოოდ ირღვევა და არაფრის უნარი აღარა აქვს. იგივე მოუვიდა სამღვდელობას, რომელიც გარუსდა და ღვთისმსახურებას ასრულებს არა იმ ენაზე, რომლითაც თამარ ბრძანებდას სცემდა, ქეთევან წამებულ ღმერთს ადიდებდა, ხოლო მოციქულთ სწორი ნინო ქრისტიანობას ქადაგებდა.

აკაკი წერეთელი, ქედს იხრის რა თავადაზნაურობის ძველ დამსახურებათა წინაშე, აღშფოთებით ზურგს აქცევს ამ წოდებას აწმყოში. ამ მხრივ იგი აშკარად არ ეთანხმება ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში ხელმძღვანელ როლს აკუთვნებდა თავადაზნაურობას, თუმცა ბურჟუაზიულ ვარაყში. მისი აზ-

რით ქართველი ხალხის ხსნა შეუძლია მხოლოდ ხალხის ტანად მშრომელ ფენას, რომლის შრომის პროცესებს და ცხოვრების პირობებს რამდენიმე მაღალ მხატვრულ ლექსს უძღვნის.

აკაკი წერეთლის პოეზიაში სპარბობს ლირიკული ტანად მშრომელ რიკულ ლექსებში სხვადასხვა ჰანგზე და სხვადასხვა საბაბით იგი განსაკუთრებული დაბეჯითებით ატარებს დამონებული სამშობლოს განთავისუფლების ერთსა და იმავე იდეას.

როცა იგი სიყვარულზე, სატრფოზე ლაპარაკობს, მხედველობაში ყოველთვის სამშობლო ჰყავს, იგი მისთვის ჩვეული თავდადებით დაუღალავად ურტყამს ერთ წერტილში, აღვიძებს ნაციონალურ თვითშეგნებას, უნერგავს თავის იდეებს. და ამას იგი აკეთებს მიუხედავად სავალალო სურათისა, რომელსაც აწმყოში სამშობლო წარმოადგენს. მას ღრმად სწამს, რომ ეს წარმავალი მოვლენაა, რომ სატრფო არ მომკვდარა, „მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“.

ის სასოწარკვეთილებაში იმის გამოც კი არ ვარდება, რომ სატრფო ცხრაკლიტულშია გამოწყვედული. იგი აიძულებს მას და თან აფრთხილებს, რომ გაიძვერა მოყვარეს სწადია მოინადიროს მისი გული, რისთვისაც მაკლუნებელ საშუალებებს მიმართავს. საჭიროა მხოლოდ დროის მოგება, და მოვლენ გმირები, რომლებიც მას იხსნიან, რომლის წინაშე, ისევე, როგორც ხატის წინ პოეტი „იწეის, დნება“ და „ანთია წმინდა სანთელივით“.

იგი ხოტბას ასხამს ხანჯალს, რომელსაც ავალებს მტერს შიგ გულში ჩაერქოს. მისი წითელი სისხლით იგი შეიღებავს ჰალარას და მტრის სულთბრძოლა საზეიმო მუსიკად მოესმება.

ვარდი, ბუღბული, მაისის ლაშე, მთვარე, კრწანისის ველი, მთაწმინდა — ყველაფერი ეს მოაგონებს მას ერთს, ყველაფერი ეს აღაფრთოვანებს მას უსაზღვრო სიყვარულისათვის სამშობლოსადმი, რომელიც ღვთისმშობლის წილხდომილია და უნდა აღსდგეს განახლებული ძალით. მან ორმოცდაათ წელზე მეტი დროის განმავლობაში ვერ შესძლო ამ თემის ამოწურვა. მისი შემოქმედების წყარო არ დამშრალა, არამედ პირიქით, მხატვრული შემოქმედების სულ ახალ-ახალ სახეებს იძლეოდა.

გასაკვირი არ არის, რომ მისი ლექსი უაღრესად დაიხვეწა და მაღალ სილამაზეს და გამომეტყველებას მიაღწია. ამ მხრივ იგი ი. ჰაევაძემეს აღემატება. უსაფუძვლო არ არის ის გარემოება, რომ მას ძველი ლიტერატურის კლასიკური ნიმუშის „ფეხბის-ტყაოსანის“ ავტორს ადარებდენ. ხალხი მის მრავალ ლექსს მღეროდა, ვინაიდან ამ ლექსებს ბევრი რამ ჰქონდა საერთო ხალხურ ლექსებთან. ამაში მას დიდ სამსახურს უწევდა ხალხური პოეზიის საფუძვლიანი ცოდნა, რომლის ნიმუშების შეგროვებისთვის მან დიდი შრომა გასწია.

ებით, სადაც ავტორი არ ღალატობს თავის ძირითად იდეას, აღი-
დოს ძველი საქართველო და წარმოუდგინოს იგი თანამედროვეთ,
როგორც წასაბამავი იდეალი.

დასასრულ აღენიშნავთ მის დამოკიდებულებას ჯენსის წინაშე
სადმი. მას ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელ ი. ჭავჭავაძესთან ერთად, ბევრი შუბი დაემსხვრა იმ მწერალთა ძველ თაობასთან ბრძოლაში, რომელიც მას აბიაბრუებდა, როგორც ლიტერატურული სტილის ვულგარიზატორს, რადგან ის იყენებდა ადგილობრივ კილოკავებსა და პროვინციალიზმებს. მაგრამ აკაკი განსაკუთრებულ ყურმახვილობას იჩენდა ენის ყველგვარ დამახინჯებისადმი და ამ მხრივ არ ზოგავდა არავის, რაც უნდა დიდი და მსახურებაც ჰქონოდა საზოგადოებისა და ლიტერატურის წინაშე. მაგალითად, ის არ მოერიდა და აშკარად უსაყვედურებდა ისეთსავე დიდ პოეტს, როგორც თითონ იყო, უსაყვედურებდა ვაჟა-ფშაველას. ამ საყვედურით იწყებს ის თავის მიმართვას პოეტისადმი, უთითებს რა, რომ მას არ მოსწონს ვაჟას ენა, თუმცა იგი დიდ ხელოვნად მიიჩნია.

ეს მიმართვა უპასუხოდ არ დარჩა ვაჟას მხრივ, რომელიც მეტად შეშფოთებული იყო და ვერ მიმხედარიყო, თუ რატომ არ მოსწონდა მხცოვან პოეტს მისი ენა. ხოლო აკაკის უკმაყოფილების მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ვაჟა, მისი აზრით, ბოროტად იყენებდა ქართველ მთიელების არქაულ დიალექტს.

აკაკი წერეთელი მუდამ დარჩება, ქართულ ლიტერატურაში სიტყვის მისაბამველ ოსტატად.

დანეულ ზონაჰამ

სამოციანთა რიცხვიდან განსაკუთრებული დეწლი მიუძღვის ლიტერატურის წინაშე დ. ჭონქაძეს.

ეს პირველი ქართველი მწერალია, რომლის ერთადერთი ნაწარმოები გატენილია სოციალური პროტესტით ბატონყმობის წინააღმდეგ.

დ. ჭონქაძემ, რომელიც ვითარდებოდა 60-იანი წლების რუსი ინტელიგენციის მოწინავე იდეების გავლენით, მოგვცა ქართველი ყმა-გლეხების უფლებებო და დაჩაგრული მდგომარეობის ძლიერი სურათი; იმ გლეხებისა, რომლის სიცოცხლესაც უკონტროლოდ განაგებდა სამღვდლოების და ხელისუფლების მიერ ზურგგამავრცელებული მემამულე.

დ. ჭონქაძე ამზილებს სამღვდლოებას, რომელიც თითონ წარმოადგენდა მებატონეს, ვაჭრობდა გლეხებით და პირველ შვეთხვევისთანავე აბეზღებდა მათ არსებულ რეჟიმის განსამტკიცებლად.

ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს მოკლებული გლეხები შედგარ ბრძოლას ეწევიან თავიანთი შიშგერელების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს გლეხური განცალკევების პირობებში, არ ატარებს მწყობრად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ სიათს და შეიცავს ბატონყმური ცხოვრების ცალკეულ ტრაგიკულ ეპიზოდებს.

დ. ჭონქაძემ მოგვცა თავის მოთხრობაში აგრეთვე ბურჟუას ახალი ტიპი, რომელიც მდგომარეობის ბატონ-პატრონი უნდა გახდეს ბატონყმობის გადაყარდნის შემდეგ. ეს ტიპი მოცემულია მეტად დამახასიათებელი თვისებებით: ადამიანის ღირსებას იგი ფულით ზომავს, საყვარელ ქალისაგან ოქროთი უნდა თავი გამოისყიდოს, დაქვანკალებს თავის ჯიბეს და ბოლოსდაბოლოს თავისივე სიმდიდრის მონად იქცევა.

საზოგადოდ დ. ჭონქაძე თავისუფალია მოლიბერალე თავადაზნაურულ მწერალთა შემარიგებელი ტენდენციებისაგან.

რავიელ მკისთავი

თუ დ. ჭონქაძემ გამოხატა სოციალური პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ, სამაგიეროდ გლეხების უმწეო მდგომარეობა, როგორც იგი ჩამოყალიბდა გლეხთა რეფორმის შემდეგ, თავის ლექსებში ასახა რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ე მ ა.

მართალია, როცა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ 40-იან წლებში, მან თავისი მიუზლო ეროტიკასა და პატრიოტულ მიმართულებას, მაგრამ მისი შემოქმედების დამახასიათებელ ობიექტს 80-იან წლებში წარმოადგენს გლეხი მისი ყოფაცხოვრებით, შრომითი პროცესებითა და უუფლებობით.

გლეხს არა აქვს საკმაო მიწა, ამუშავენ მას პრიმიტიული იარაღებით, იგი უმწეოა ბუნების სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლაში, მას ყველფენ მეშამულე, მღვდელი, ხელისუფლების აგენტი და იგი საშინელ გაჭირვებას განიცდის. იგი მწვავედ გრძნობს, რომ მისი შრომა წარმოადგენს მთელი რიგი პარაზიტული ელემენტების კეთილდღეობის საფუძველს, რომლებიც მას არაფერს უტოვებენ სარჩოდ. კითხვაზე — თუ როდის მოსცილდებიან მას ეს პარაზიტები, იგი უპასუხებს, საექვოა მოვესწრო როდისმე ასეთ ბედნიერებასო. ასეთია გლეხი რ. ე რ ი ს თ ა ე ი ს შემოქმედებაში.

პოეტი დიდ მზრუნველობას იჩენს გლეხის მდგომარეობისადმი, მაგრამ ურჩევს მას წესიერად იხადოს თავისი ბეგარა და იჭონოს ღვთის იმედი. მან მხატვრულად ასახა ჩაგრული გლეხობის პასიობა.

შემოქმედებითი ხერხების უბრალოობა და წმინდა ხალხური ენა ერისთავის ნაწარმოებებს განსაკუთრებულ სიმშვენიერეს აძლევს. საბავშვო ლიტერატურაში იგი დღემდის ითვლება სიტყვის ერთერთ სანიმუშო ოსტატად.

ალექსანდრე ჟაზგანი



საქართველოში პატრიოტული ლიტერატურა წარმოდგენილია მრავალი მაღალნიჭიერი პოეტით. მათ შორის ალ. ჟაზგანის შემთხვევაში 80-იან წლების მწერალი, განირჩევა იმით, რომ თავის უშუალო თემად აღებული აქვს არა საქართველოს შორეული წარსული, არამედ რუსეთის ბატონობის დამყარება, რასაც იგი გვიხატავს მდაბიო ხალხის ტანჯვის ფონზე.

თუ წინამორბედი მწერლების ნაწარმოებებში სჭარბობენ ძველი საქართველოს გმირები — მეფეები და მაღალი კლასების წარმომადგენლები, ყაზბეგის ნაწარმოებებში ეს პერსონაჟები განდევნილი არიან. თუ იმის ნაწარმოებებში ზოგჯერ ეხედებით „კეთილშობილთა“ წარმომადგენლებს, მხოლოდ მოლაღატებების და საერთოდ უარყოფითი ტიპების სახით.

მწერლის მიერ გამოყვანილი გმირები ქართველი, ხოლო ზოგჯერ მათი მეზობელი მთიელი გლეხები არიან. ისინი გააფთრებით ემბრძვიან რუსეთის ცარიზმის წარმომადგენლებს, რომელნიც ახორციელებდნენ უაღრესად ბარბაროსულ დამპყრობ პოლიტიკას მიუხედავად მთებში, დაუნდობლად ანგრევენ ცხოვრების ძველ წესებს, ასახლებენ თურქეთში მთელ ერებს და ზოგჯერ კიდევ სპობენ მათ ფიზიკურად.

მწერალი ცდილობს გვიჩვენოს, რომ რუსეთის ბატონობის დამყარებით ყველაზე მეტად იჩაგრება მშრომელი ხალხი, ხოლო მაღალი კლასებისთვის ეს ხელსაყრელიცაა. ამით ალ. ყაზბეგმა ძლიერ შეუწყო ხელი პატრიოტული რომანტიკის პოპულარობას. მთელი მისი შემოქმედება არის ნაროდნიკული ტენდენციების თავისებური სინთეზი პატრიოტულ მიმართულებასთან. ა. ყაზბეგის მეოხებით უკანასკნელი გამდიდრდა ახალი სასიცოცხლო ძალებით და უფრო ძლიერ განმტკიცდა ქართულ ლიტერატურაში.

ვაჟა-ფშაველა

დრიად ორიგინალურ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში პოეტი ვაჟა-ფშაველა, ჩამომავლობით ფშაველი და მიუხედავად მიღებული განათლებისა — მთიელი მთელი თავისი ცხოვრებით. პოეტის არაჩვეულებრივი შემოქმედება მომწიფდა 80-იანი წლების რეაქციის პირობებში, როდესაც ცარიზმი განსაკუთრებული ძალით ავიწროებდა „ინოროდულ“ განაპირა კუთხეებს, დევნიდა ენას, ყოველსავე ეროვნულს და როდესაც გაძლიერებული კაპიტალიზმი ამსხვრევდა ძველ საფუძვლებს და ცნებებს.

ვაჟა-ფშაველას არ შეეძლო რამდენადმე არ განეცადა 60-იანი წლების ლიტერატურის ქართველი კორიფეების გავლენა მათი ნაციონალური რომანტიკით, არ განეცადა აგრეთვე მისდრო-

ინდელი ნაროდნიკების გავლენა, რომელნიც თავყვანს სუემდერ გლეხობას.

მისთვის დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის გზაზე შესწავლა — მაგრამ ყველაზე მეტად მასზე გავლენას ახდენდა ჯარჯიშვილი. თარება — მთიელთა ცხოვრება, სადაც თითქმის ხელუხლებლად იყო დარჩენილი ძველი გვაროვნული ყოფაცხოვრება თავისი პატრიარქალური ურთიერთობით.

პოეტს თანაბრად ძულს ცარიზმიცა და ბურჟუაზიული ეკონომიკაც: ცარიზმი, როგორც საქართველოს დამმონავებელი და კაპიტალიზმი — როგორც ძველი საფუძვლების დამანგრეველი და ნაციონალური საზღვრების მოშლელი. ამით იგი გზას იხსნის წარსულის რომანტიკისკენ, მიმავალი კლასის ოცნებათა სამეფოსკენ. მაგრამ მას არ სჭირდება წარსულის ძიება ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში: ეს წარსული, ცხოველი და ხელსახები წარსული, მის თვალწინ იყო გადაშლილი: ეს გახლდათ მშობლური ფშავესურეთი, რომელიც ძველ ყოფაცხოვრებას განაგრძობდა.

ვაეა-ფ შაველა თავის მასალას იღებს ცოცხალი სინამდვილიდან და ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს ძველი ცხოვრების მხოტბებთან — ა. წერეთელთან და ი. ჭავჭავაძესთან შედარებით. მისი სახეები უფრო მდიდარია, უფრო შინაარსიანია, უფრო სრულია.

მეორე მხრით მის მიერ ასახული გვაროვნული ყოფაცხოვრება თავისი კოლექტიური საწყისით ადვილად უპიროსპირდება კაპიტალიზმს — მისი წარმოების ანარქიით, მრავალნაირი უბედურებით და ეს თანაგრძნობას იწვევს ნაროდნიკთა შორის. იმავე დროს ძველი თემი, რომლის საფუძვლები უკვე შერყეულია, უფრო და უფრო ხშირად გამოჰყოფს თავის წრიდან ცალკეულ პიროვნებებს, რომელნიც პროტესტს აცხადებენ ძველი წყობილების წინააღმდეგ, გაურბიან მას და იღუპებიან მარტოობაში. ისინი წარმოადგენენ გმირებს, რომელნიც იმსახურებენ როგორც თავისუფლებისათვის ნამდვილ მებრძოლთა, ისე ყოველგვარ ინდივიდუალისტთა სიმპატიებს.

ამ მომენტების თავისებური შეხამება ვაეა-ფ შაველას კი არ აახლოვებს წინამორბედ პოეტებთან, რომელთა გავლენას ის თითქოს განიცდის, არამედ განასხვავებს მათგან და მას სრულიად ორიგინალურ მწერლად ხდის.

მისი ნაციონალური რომანტიკის შინაარსს შეადგენს არა ძველი საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უბრალო აღდგენა თავისი წოდებრივ-პოლიტიკური წყობილებით, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდათ მის წინამორბედ მწერლებს, არამედ განმტკიცება გვაროვნული წყობილებისა, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლისა. ის განსაკუთრებული სიყვარულით გეხატავს პატრიარქალურ თემს მისი პრიმიტიული სილადით, კოლექტი-

რეთელს, რომელიც იცავდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული აუცილებლობის იდეას. თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში გ. წერეთელს გამოყავდა კულტურულადგმული ბურჟუაზიის ტიპები.

გარდამავალი ეპოქა, რომელიც წინ უძღოდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, თავის შემოქმედებაში გამოხატა ქართული ლიტერატურის ერთერთმა ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენელმა — ე. ნინოშვილმა.

ეპქრობის და მრწველობის გაძლიერება, რომელიც გალატაკების გზაზე აყენებდა თავიდანაურობას, გაძვალტყავებული გლეხობა, თავისი შემადგენლობით მცირერიცხოვანი და ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელი მუშათა კლასი — აი საერთოდ 90-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების სურათი. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ე. ნინოშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა. ე. ნინოშვილმა დაგვიხატა გლეხობის, განსაკუთრებით მისი უღარიბესი ნაწილის მდგომარეობა. გლეხთა წრიდან გამოყვანილი გმირები წელეზზე ფეხს იდგამენ მხოლოდ იმისათვის, რომ ვაივაგლახით არჩინონ ოჯახი. მათ მთელი თავისი სიმძიმით დასწოლიან და უკანასკნელ სისხლსა სწოვენ მემამულე, მღვდელი და მოხელე. რა პროგრამის, რა იდეალების მიწოდება შეეძლო ე. ნინოშვილს გლეხობისთვის? რა გზა უნდა აერჩია მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? წერილი მესაკუთრე გლეხი, როგორც ასეთი, ბურჟუაზიულ ვითარებაში და ქალაქის ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელი, სუსტი პროლეტარიატის არსებობის პირობებში, არ შეიცავდა შესაძლებლობას მძლავრი მოძრაობის აღმოსაყენებლად.

ე. ნინოშვილის მოთხოვნების მიხედვით, რა უკიდურესობამდეც უნდა იყოს მისული გლეხი, რა პროტესტიც უნდა ბოძოქრობდეს მასში — ვიდრე იგი თავის ძალის ანაბარა არის მიტოვებული, მას არ შეუძლია გააუმჯობესოს თავისი მონური მდგომარეობა.

ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა გმირები გრძნობენ თავის გამოუვალ მდგომარეობას.

ე. ნინოშვილი მიმხვდარია, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი რევოლუციაა.

მაგრამ მას არ მოეპოვება თეორიულად საკმაოდ ნათელი ვაგება ამ რევოლუციისა. მიუხედავად ამისა, ე. ნინოშვილი ახერხებს წეროს რევოლუციაზე, როდესაც საამისო შემთხვევა ეძლევა. იგი ახერხებს მოგვეცეს ისეთი მხატვრული სახეები, რომლებიც მის ნაწარმოებს დიდ ტილოდ აქცევს. ასეთია, მაგალითად, მისი ნაწარმოები „ჯანყი გურიისაში“. იმ დროს, როდესაც ე. ნინოშვილის დანარჩენი ნაწერები დამყარებულია პირად დაკვირვებებზე, ამ რომანმა მოითხოვა მისგან ისტორიული ფაქტების წინა-

სწარი დაწვრილებითი და ხანგრძლივი შესწავლა. მიხედვითად ამისა, რომ „ჯანყი გურიაში“ დროის მიხედვით ე. ნინოშვილის პირველი მხატვრული ნაწარმოებია, ავტორი აქ მკითხველს უმჯობესად რეკომენდებდა, როგორც მომწიფებული ხელოვანი და მოაზროვნე.

კლასთა ბრძოლა წარმოადგენს იმ ლერძს, რომლის ირგვლივ ვითარდება ადამიანთა ურთიერთობა. ე. ნინოშვილი თავის ნაწარმოებებში იწყებს საზოგადოებრივი განვითარების ამ ძირითადი პრინციპის შეგნებას. ე. ნინოშვილი არ იყო პროლეტარიატის იდეოლოგი, ვინაიდან ამისათვის საჭიროა მარქსისტული მოძღვრების შეთვისება და მისი სისტემატური და განუხრელი გატარება პრაქტიკაში. მაგრამ თავის შემოქმედებით იგი ახლო იდგა მარქსიზმთან და პროლეტარულ მსოფლმხედველობასთან. ამას ხელს უწყობდა მისი მხატვრული რეპროდუქციის ობიექტი: გაჭირვებისა და სილატაკისაგან ილაგჯაწყვეტილი, ნახევრადპროლეტარი გლეხების მდგომარეობა. ნინოშვილის შემოქმედების ერთერთ თავისებურებას შეადგენს უნარი, რომ ცალკეული, ნამდვილად მომხდარი ამბები დიდი ოსტატობით გადააქციოს ტიპურ მოვლენებად. იგი არასოდეს არ უგულუბელყოფდა სინამდვილეს, გულდასმით სწავლობდა მას, ეუფლებოდა მასალას და შემდეგ გადაჭონდა იგი მხატვრის ტილოზე. ამით აიხსნება, რომ მის შემოქმედებაში არაერთი უჩვეულო და ფანტასტიური რამ არ ხდება. ყოველ მოთხრობაში ჩანს, რომ ავტორის მიერ თემა შესწავლილია ყოველმხრივ, ტიპები მოფიქრებულია, მოქმედების განვითარება აწონილ-დაწონილია. ნინოშვილს არ იტაცებს ეფექტური სცენები. მისთვის საკმარისია, თუ სისხლი და ხორცი შეასხა იდეას და წარმოადგინა იგი ცოცხალ სახეებად.

თავის ნაწერებში მწერალი დიდი რეალისტის ოსტატობით და ძლიერებით გვიხატავს ცოცხალი სინამდვილის შეაგულიდან ამოგლეჯილ მკვეთრი ტიპების მთელ გალერეას, გვიჩვენებს მათ ბრძოლას და შეტაკებებს. აქ ტიპები, რომელნიც ამა თუ იმ კლასების, ჯგუფების, ფენების წარმომადგენელი არიან, გამოხატავენ ერთმანეთის საწინააღმდეგო საზოგადოებრივ ინტერესთა ბრძოლას. ე. ნინოშვილის ნაწარმოებები უდავოდ წარმოადგენენ მაღალხარისხოვან მხატვრულ პროდუქციას. თავის მდიდარ შემოქმედებაში ე. ნინოშვილმა გამოხატა ახალი სოციალური ფენების გამოხსნა ასპარეზზე და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გლეხობაში ახლადდაწყებულ დიფერენციაციას.

ღრმა ეკონომიური პროცესები ხდებოდა თავადაზნაურობის წრეშიც. XIX საუკუნის დამდეგს მისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ძირიანად შეირყა. საქართველოს თავადაზნაურობა, ტრადიციით მიჩვეული პარაზიტულ ცხოვრებას, იძულებული გახდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეცხოვრა თავის მიწების გაყიდვითა

და დაგირავებით. ეს პროცესი თანდათანობით ფართო ხასიათს იძენს და თავადაზნაურობას ხელიდან ეცლება მამაპაპეულ მამული. იგი გადადის მეფავშეებისა და ვაჟრების ხელში.

ეს საზოგადოებრივი პროცესი თავის გამოხატულებას მხატვრულ ლიტერატურაში, უმთავრესად დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში.

დ. კლდიაშვილმა თავის შემოქმედებაში მოგვცა თავადაზნაურობის ეკონომიური დაცემის, დაკნინებისა და მწუხრის სურათი. მწერალი მკვეთრი ფერადებით იძლევა დასავლეთ საქართველოს გაღატაკებული წვრილი აზნაურობის აგონიას. ჩვენ წინ გაივლის მთელი წყება ტიპები, რომელნიც უდიდესი ოსტატობით აჩიან მოხაზულნი. თითონ დ. კლდიაშვილი გამოსულია წვრილი თავადაზნაურული წრიდან და იძლევა კლასიკურად დამთავრებულ მოთხრობებსა და ამბებს. კლდიაშვილის ნაწერები ჭარბად არის გაღვლენილი დახვეწილი იუმორით. იგი დასკინის თავის „გმირებს“, მაგრამ არა ხდის მათ ბოროტი სატირის ობიექტად.

წვრილბურჟუაზიულ მწერალთა პლეადას ეკუთვნის მწერალი ანასტასია ერისთავ-შტარია. თავადაზნაურობის დეგრადაციის გამოხატეასთან ერთად ხოშტიარია იძლევა სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის სურათსაც.

რევოლუციური ტალღის აღმავლობის პერიოდში მოძრაობაში ებნებიან პროლეტარიატის მომიჯნავე წვრილბურჟუაზიული ჯგუფებისა და შუაფენების წარმომადგენლები. მაგრამ უაღრესად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლათა მომენტში, განსაკუთრებით რევოლუციის პერიოდში, მათ მტრის ბანაკს მიაშურეს. ამგვარი ევოლუცია განიცადა ი. ევდოშვილმა. იგი უმთავრესად პოეტი ლირიკოსი იყო. მაგრამ ევდოშვილი ახერხებდა თავისი პირადი განცდები გადაეხლართა საზოგადოების ცხოვრების მოვლენებთან. იგი გეინახავდა დენილ. ჩაგრულ და ლატაკ აღამიანებს.

ი. ევდოშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა ფართო მასებში. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ი. ევდოშვილის შემოქმედებაში, — როგორც ეს არაერთხელ დამართიათ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, — გარდატეხა ხდება. რევოლუციის ბანაკიდან იგი გადადის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანაკში. ბრძოლის მოტივებს მის შემოქმედებაში ცვლის რომანტიული პატრიოტიკა. მის პოეზიაში უპირატეს ადგილს იჭერს გულგატეხილობა და უიმედობა. იგი ახდენს თავისი წარსულის რადიკალურ გადაფასებას. პოეტი შეპყრობილია ინდივიდუალისტური და ნაციონალისტური განწყობილებით.

რევოლუციის პერიოდის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის სულიერი განწყობილების რელიეფური გამოხატულება მოგვცა ვ. ლომ-

თათიძემ. იგი მენშევიზმის პოზიციებზე იდგა, რომლის პრაქტიკულ ნიშნაც თავისი ბეჭედი დასვა მწერლის ლირიკულ პოეზიაში.

კ. ლომთათიძის ნაწარმოებთა უმრავლესობა კვანძოვან ბუნება მეთვის პოლიტიკური საპრობლემის კომპარატიული მოთხრობებში გრძობს რევოლუციის მონაწილე ინტელიგენტის სულიერ უარაქათობას. იგი ხშირად მიდის პათოლოგიურ ექსალტაციამდე და ნაცვლად შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლისა, იწყებს ფილოსოფოსობას ეთიკურ კატეგორიებზე. მისი მოთხრობა „უბის წიგნიდან“ ყველაზე ძლიერად გამოხატავს დაქანცული ინტელიგენტის განწყობილებას, რომელმაც ვერ გაუძლო რევოლუციის შეტევას და ცდილობს ნავთსაყუდელი ჰაოვოს ნაციონალიზმისა და პესიმიზმის მოტივებში.

რეაქციის პერიოდში სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიან მთელი რიგი მწერლები, რომელთა შემოქმედება მთლიანად ასახავს დაცემულობის მოტივებს და სინამდვილის სამყაროდან მისტიკურ-სიმბოლისტურ განცდითა სამყაროსკენ ლტოლვას.

ამგვარ განწყობათა ტიპური გამოხატველი იყო გალაქტიონ ტაბიძე, ერთერთი ნიჭიერი პოეტი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ვ. ტაბიძის შემოქმედება ისევე, როგორც შემდეგ გამოსულ ქართველ სიმბოლისტთა „ციხურყანწელთა“ შემოქმედება, წარმოადგენდა იმის ცდას, რომ ქართულ ლიტერატურაში გადმონერგილიყო დასავლეთ ევროპიული ლიტერატურის დეკადენტური მოტივები.

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებას, რომელიც ვითარდებოდა დასავლეთ ევროპის დეკადენტური ლიტერატურის უშუალო გავლენის ქვეშ, ახასიათებდა კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკური ვითარებისგან მოწყვეტა, ოცნების მითიური მოჩვენებითა და რომანტიკული ბურჟუაზიული ძველი ცხოვრების სფეროში ნავარდი. ამ აბსტრაქტული პატრიოტული რომანტიკითა და ზოგჯერ მისტიკური განწყობილებებით არის გამსჭვალული მისი ნაწარმები და ლექსები ხსენებულ პერიოდში.

დაცემულობის ამგვარ პერიოდში ასპარეზზე გამოდის პოეტი ი. გრიშაშვილი. მისი შემოქმედება გვერდს უვლის საზოგადოებრივ მოტივებს. მისი ლექსის ეროტიკული ტონი, „ოქროს ფეხის“ ხოტბა დიდ პოპულარობას უქმნიდა მას საზოგადოების მუშანურ წრეებში. სატრფიალო-ეროტიკულ მოტივებთან ერთად მის ლექსებში, რომელთაც ახასიათებს აღმოსავლეთის პოეზიის თავისებური მუსიკალობა და რითმის ნარნარობა, გამოსჭვივის ნაციონალისტური განწყობილება და ქალაქის ბოჰემის (ყარაჩოღელთა) იდეალიზაცია.

რეაქციის ეპოქის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მწერალთა ჯგუფიდან აქტიურად მუშაობდნენ ლიტერატურაში ვ. რუხაძე,

გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ვ. მალაქიაშვილი, ს. აბაშელი, ლ. ქიაჩელი, დ. თურდოსპირელი, პ. ირეთელი, ტ. რამიშვილი და სხვ. მრავალ მათგანისთვის პირველ რევოლუციის დამარცხებით თავისთავად რევოლუციური ბრძოლის განგრძობის აუცილებლობის საკითხი.

ამ პერიოდის ქართულმა პროზამ თავისებური გზა განვლო. მან განიცადა დასავლეთი ევროპის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ძლიერი ზეგავლენა.

ბელეტრისტები — ნ. ლორთქიფანიძე, ა. ქუმბაძე, შ. დადიანი, მ. ჯავახიშვილი და სხვ. იმ დროს ბურჟუაზიული და თავდაზნაურული ფსიქოიდეოლოგიის გამოხმატელები იყვნენ. ნ. ლორთქიფანიძე ცდილობდა მკვდრებით აღედგინა ძველი ფეოდალური საქართველოს შორეული სახეები. ა. ქუმბაძე სატრფიალო სახეებს სიმბოლისტურად ამუშავებდა. შ. დადიანი თავის ესკიზებსა და მინიატურებში თავისებურად აიდეალებდა და აღადგენდა წარსულს. მ. ჯავახიშვილი ბურჟუაზიული თვალსაზრისით აშუქებდა ლუმენპროლეტარული, ბიოგრაფიამოკლებულ „დამცირებულ და შეურაცყოფილ“ ფენათა ცხოვრებას.

რევოლუციის წინაღობინდელი დრამატურგია

ვიდრე ქართული ლიტერატურის შემდგომ ეტაპზე გადავიდოდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ რევოლუციის წინაღობინდელ ქართულ დრამატურგიაზე, რომელიც მთელი ლიტერატურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და ქართული სცენის საშუალებით უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე საქართველოში.

ქართული დრამატურგიის ფუძემდებელია გიორგი ერისთავი, უდიდესი მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული მწერალი, რომელმაც პოლონეთში მოიხადა სასჯელი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

იგი ნათლად ხედავდა, როგორ ირღვეოდა ფეოდალური წყობილება და სოციალურ ასპარეზზე გამოდიოდა ახალი კლასი — ბურჟუაზია. მან შექმნა პირველი ქართული კომედია „გაყრა“, რომელშიც გვიჩვენა ახლადშექმნილი სოციალური ურთიერთობანი.

მისი კომედიის გმირები — დაქვეითების გზაზე დამღვარი თავდაზნაურული წოდების წარმომადგენელი არიან, რომლებიც ქეიფში ატარებენ დროს და თანდათანობით კარგავენ თავის მამულს, რომელიც გადადის ჩარჩ-ვაჭრების, სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების და მაშინდელი ანგარებისმოყვარე მოხელეთა ხელში.

გ. ერისთავის დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შეფასებული. მისი ლექსებით

და განსაკუთრებით მისი პიესებით ლიტერატურაში იჭრება რეალური ენის პირველი ტალღა, რომელიც სდევნის ძველი სალიტერატურო არისტოკრატების ლიტერატურის საეკლესიო-სქოლასტიკურ ენას. მის მიერვე 1850 წელს დაარსებული ქართული თეატრი იჭრება რეალურ ქალაქის მცხოვრების გემოვნებასა და მოთხოვნებს, აესებს თავის რეპერტუარს პიესებით საჭირბოროტო თემებზე, ქმნის რეალურ ტიპებს და მით არა მარტო კავშირს წყვეტს ძველი ლიტერატურის ტრადიციებთან, არამედ განზე დგას იმეამად წარმოშობილი ახალი ლიტერატურისაგანაც, რომელსაც ეროვნული რომანტიკა ახასიათებდა. ასეთი მდგომარეობა გრძელდება 80-იან წლებამდე.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ქართული თეატრი ზდება ქართველ და სომხის აქტიორების და დრამატურგების უაღრესად გაცხოველებული თანამშრომლობის ასპარეზად. გ. ერისთავის უახლოესმა თანამებრძოლმა დრამატურგმა ზ. ანტონოვიმა, წარმოშობით სომეხმა, დაწერა პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელიც დღემდე არ ჩამოდის სცენიდან და რომელშიც მკვეთრი ფერადებით დახატულია მაშინდელი ტფილისის ყოფაცხოვრება. ამავე გეზით წერდა პიესებს საქართველოში კარგად ცნობილი პოეტი რაფიელ ერისთავი.

გაბრიელ სუნდუკიანცი, რომელიც წარმოადგენდა ქართველთა და სომეხთა დრამატურგს და სწერდა პიესებს სომხურ და ქართულ ენებზე, იწყება ახალი ეტაპი ქართული დრამატურგიის განვითარებისა.

გ. სუნდუკიანცი უკვე გამოდის, როგორც ტფილისელი ხელოსნების, მეთევზეების, ბაყლების და სხვათა აპოლოგეტი.

სიყვარულით და სიმპატიით არის გამსჭვალული მისი დამოკიდებულება ხსენებული მშრომელი ადამიანებისადმი.

ამასთან ერთად იგი ილაშქრებს ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ. ამხილებს მათ ყალბობას და გამდიდრების წყურვილს, გაუმძღვრობას. მის ნაწარმოებთაგან გამოირჩევა პიესა „პეპო“, რომელიც ჰუმარტი ტრაგედიის სიმალემდე აღის.

ასევე დიდი დრამატურგი გვყავდა ავქსენტი ცაგარლის სახით. მისი პირველი პიესა „რაც გინახავს ვედარ ნახავ“ ეხება ბატონყმობის ხანას, მებატონის უსაზღვრეს უფლებას ყმის ქალიშვილის მიმართ. ეს იყო პირველი პროტესტის ხმა, რომელიც საგრძნობი დაგვიანებით (1879 წელს), როდესაც ბატონყმობა უკვე გაუქმებული იყო, გაისმა ქართულ დრამატურგიაში. შემდეგ მან დასწერა დიდი დრამატიული მნიშვნელობის კომედია „ხანუმა“, პიესა, გაელენთილი მახვილგონიერებით და მკაფიო სურათოვნობით.

მაგრამ დადგა 80-იანი წლები, რეაქციისა და უცხო ერებით დასაზღვრულ განაპირა კუთხეებზე გააფთრებული შეტევის წლები. ქართული დრამატურგია იცვლის თავის კალაპოტს.

პირველ პლანზე გამოდის პოეტი და ბელეტრისტი ილია ჭავჭავაძე. მის კალამს ეკუთვნის ერთმოქმედებიანი პიესა „დედა და შვილი“, რომელშიც დედა გზავნის ერთადერთ შვილს ლოს განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

მთელ რიგ ისტორიულ პიესებს სწერს მეორე პოეტი-პატრიოტი აკაკი წერეთელი, როგორცაა — „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“ და სხვ.

მეგრამ იმდროინდელ ისტორიულ პიესებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დრამატურგ გ. ერისთავის შვილის დავით ერისთავის დრამა „სამშობლო“. ეს პიესა არ არის ორიგინალური, იგი წარმოადგენს ფრანგი დრამატურგის სარდუს პიესის „La Patrie“-ს მობდენილ გადაკეთებას.

როდესაც ეს პიესა პირველად დადგეს ქართულ სცენაზე და მესამე აქტში აფრიალდა საქართველოს დროშა, ყველა მაყურებელს ფეხზე წამოდგა და თეატრის დარბაზში გაისმა ხმახალალი ქვითინი.

„სამშობლოს“ დადგმისას თეატრი ვერ იტევდა ხალხს და მაშინდელმა ცენზურამ მალე აკრძალა პიესა. რეაქციონურმა „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“, რომლის რედაქტორიც ცნობილი კატკოვი იყო, მასხარად აიგდო პიესა და ურჩევდა ადგილობრივ ხელისუფლებას, სცენაზე გამოტანილი „საქართველოს დროშა“ ცირკში გაგზავნეთო. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ამ გამოსვლამ გამოიწვია ქართული პრესის და საზოგადოებრივობის ძლიერი აღშფოთება.

ისტორიულ პიესებს ხალხში დიდი წარმატება ჰქონდა. „სამშობლოს“ მიბაძვით დაიწერა მთელი რიგი ანალოგიური ნაწარმოებები, გამოჩნდა უცხო ენებიდან გადმოკეთებული პიესების დიდი რაოდენობა.

ამ მიმართულებით მრავალი პიესა შექმნა ვალერიან გუნიამ, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტმა.

ყველა ამ ისტორიულ პიესას 900-იან წლებში აგვირგვინებს სუმბათაშვილი-იუენის პიესა „ლალატი“.

ამ პიესის გავლენა, განსაკუთრებით ქართველ მაყურებლებზე, უდიდესი იყო. მხედარმთავრის, საზიზლარი სატრაპის სულეიმანხანის სახით მას ეხატებოდა რუსიფიკატორი გენერალი.

ეს პიესები მიმართული იყო აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და თავის დროს მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

საქიროა მოვიხსენიოთ ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თანამედროვის — რომანისტ ალ. ყაზბეგის დრამატურგიული ნაწარმოებები და კერძოდ მისი პიესა „არსენა“. მასში აწერილია სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის ცხოვრება და თავგადასავალი.

„არსენას“ იდეოლოგიური მიმართულება მკვეთრად განსხვავდება მის თანამედროვეთა ისტორიული პიესების ასეთივე მი-

მართლებსაგან. დრამის ლეიტმოტივს ეროვნული გრძობა და დიდი წარმოდგენს. ავტორი მასში სასტიკად გმობს ბატონყმობას და მისი სიმპატიები მთლიანად ჩაგრული გლეხობის მხარეზეა. ექსპონატი

მწერალი ქალი ნ. აზიანი თავის დრამატურგებზე „სწერა“ ბებში განაგრძობდა სუნდუკიანციისა და ცაგარლის ხაზს, მის პიესებში „ფული და ხარისხი“, „ინჯინერი თუ დობტორი“, „გაცრუებული იმედები“ და სხვ. მწვავე კომიკური ფორმით გამოყვანილი არიან კონსერვატიული და რეაქციონური ელემენტები და ცოცხლად, დამაჯერებლად და წარმოდგენილი მთელი მათი გარემო პირობები. ეს პიესები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და თვალსაჩინო ადგილი ეკირათ ქართული თეატრის რეპერტუარში.

1905 წლის შემდეგ და რამდენადმე უფრო ადრეც ქართულ დრამატურგიაში გამოჩნდა რევოლუციური შინაარსის პიესები, რომლებშიც უკვე ლაპარაკია მშრომელთა მასებზე, პროლეტარიატზე.

სასტიკი რეაქციის წლებში თეატრი კვლავ უბრუნდება ეროვნულ-ისტორიულ სიუჟეტებს, რომლებშიც საზოგადოების ზოგიერთი ფენები ეძებენ თავის სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ამასთან ერთად მთელი რიგი დრამატურგები სწერენ საყოფაცხოვრებო პიესებს (ნინო ნაკაშიძე, ვალერიან შალვაშვილი, შალვა დადიანი).

მენშევიკური ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ქართულ დრამატურგიაში არაფერი შექმნილა ახალი, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი. ეს იყო დრამატურგიული შემოქმედების სრული გაყინვის წლები.

საგზოთა ლიტერატურა

მენშევიზმის დიქტატურის ხანა, დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის და ეროვნული სპეკულანტური ბურჟუაზიის ბატონობის წლები — ქართული ლიტერატურის უჩვეულო კრიზისისა და დაცემის წლებს წარმოადგენენ.

ლიტერატურული შემოქმედების დაკნინება აუცილებლად დამოკიდებული იყო მენშევიკური „დემოკრატიის“ სოციალურ-პოლიტიკურ და იდეურ დონეზე. უკიდურესი ნაციონალიზმი და შოენინიზმი, ფეოდალური წარსულის რომანტიკა, მტრული დამოკიდებულება ყოველგვარი პროგრესული და რევოლუციური აზრისადმი და პირველ რიგში პროლეტარულ რევოლუციისადმი, აი ამ დროის ლიტერატურის იდეური შინაარსის ძირითადი მომენტები.

ასეთივე მოტივები ახასიათებს მთელ იმ პროდუქციას, რომელიც იმეკდებოდა იმდროინდელ ლიტერატურულ-მხატვრულ ეურნალეებში: „ცისარტყელასა“ და „პრომეთეში“. ამასთან ერთად ვითარდება თვითკმარი ესთეტიზმი — დაცემულობისა და ბო-

პემის პოეზია. ასეთი განწყობილებებით გამსჭვალულია არა მარტო ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლის — „ცისფერ ყანწულბერს“ მწერლების თხზულებები, არამედ აგრეთვე ნაწარმოებები „დემოკრატიული“ პოეტებისა, რომლებიც გადაიქცნენ „ოფიცურ ხალხის“ ლიტერატურის მგოსნებად.

მენშევიკური დემოკრატიის წლებს არ წამოუყენებია არც ერთი ახალი სახელი, არც ერთი ახალი შემოქმედებითი მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურაში.

ამასთან ერთად, მიუხედავად გაძლიერებულ დევნისა და რეპრესიებისა, მწერლების რევოლუციური ჯგუფი მაინც განაგრძობდა თავის ნაწარმოებთა მიწოდებას მშრომელთა ფართო მასებისათვის. ესენი იყვნენ ქართული პროლეტარული ლიტერატურის პირველი პლედის მწერლები: ს. ეული, ნ. ზომლეთელი, ი. ვაკელი და სხვ. ისინი მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ პროლეტარული რევოლუციისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1921 წელს საქართველოში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება. ამ მომენტიდან ქართული ლიტერატურის განვითარება სულ სხვა გზებით, განახლებულ სოციალურ პირობებში მიმდინარეობს. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ლიტერატურას ემჩნევა მკვეთრი გარდატეხა: რევოლუცია იწვევს მწერლებს შორის მწვავე კლასობრივ დიფერენციაციას. იცვლება ლიტერატურული ძირითადი კადრები, წინაურდებიან ახალი შემოქმედებითი ძალები მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რიგებიდან. რევოლუციის წინააღმდეგი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო, პროგრესული ნაწილი რთულ წინააღმდეგობათა გავლით, ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ — თანდათანობით გადადის მუშათა კლასის მხარეზე. მაგრამ ეს გადასვლა ხდება გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. კონტრრევოლუციური კლასების აგენტურა ლიტერატურულ ფრონტზე — ბურჟუაზიულ თავადაზნაურული მწერლები იწყებენ გააფთრებულ ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ეგრეთწოდებული „დემოკრატიული პოეტები“ იჩენდნენ გაცხარებულ მტრობას იმ წითელი დროშისადმი, რომელიც საბჭოთა რუსეთში ფრიალებდა. მაგალითად „დემოკრატიული პოეტი“ ვ. რუხაძე ამბობს:

ჩვენ ზომ „ერთობას“ ვეძახოდით, ქვეყნის ხსნა გვსურდა,
მაგრამ ქვეყანა ჩაუვარდათ სისხლისმსმელ „გმირებს“,
თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით კვლავ დაგვიბრუნდა,
თავისუფლების ობოლ საფლავს ვინ დაიტირებს?

ბურჟუაზიული თავადაზნაურული ჯგუფი ამგვარი განწყობილებებით ცდილობს შეიქრას მხატვრულ ჟურნალებსა და გაზეთებში,

გამოიყენოს ლიტერატურული ტრიბუნა პროლეტარიატისადმი მტრული იდეების პროპაგანდისათვის. საკმარისია ჩამოვთვალოთ ასეთი ანტისაბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოები, როგორც იყო: „ილიონი“, „ლაშარი“, „საქართველო“, „საქართველო“, „ხომალდი“, „ლომისი“, „ქართული სიტყვა“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“ და სხვ., რომ წარმოდგენა ეიჭონიოთ, თუ რა აქტიობა განაეითარეს რეაქციონური ლიტერატურის წარმომადგენლებმა პროლეტარული რევოლუციის პირველ წლებში.

იმ დროის ერთი ურეაქციონერესი ჟურნალი „ილიონი“, რომელსაც რედაქტორობდა მწერალი კ. გამსახურდია, სწერდა: „როდესაც ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება (იგულისხმება პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში), იგი კულტურის ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს, საქართველოში კულტურული „სააღყო წესები“ უნდა იყოს გამოცხადებული — კულტურული დიქტატურა“...

ანტისაბჭოთა ლიტერატურის ბანაკს მეთაურობდენ „დემოკრატიული“ პოეტები. საქართველოში პროლეტარული რევოლუციის პირველ დღეებშივე აღნიშნული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალ. აბაშელი წერდა:

მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით,
დასწყვიტა ცაში ყველა სიმები.
გარდაიცვალა ძველი ზღაპარი
და გადაფრინდენ სურათებში.
სიფრცე დაეთმო შეფურთიან გველებს,
ცაში აეარდა რკინის აფრები,
და პროპელერმა მწუხრის ანგელოზს
მოულოდნელად მოსწყვიტა ფრთები...

მაგრამ ა. აბაშელი მაინც არ კარგავს იმედს: „ვილაც ჩუჩულებს არ არის მკედარი“. აბაშელისათვის ორ განუყოფელ მწვერვალს წარმოადგენს კრწანისის ველი და თებერვალი.

კრწანისის ველზე ოდესღაც სპარსეთის შაჰმა ალა-მამადხანმა დაამარცხა საქართველოს მეფე და დაიპყრო ტფილისი, ხოლო 1921 წლის თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლუციამ. ა. აბაშელი აიგივებს ამ ორ ფაქტს, როგორც „ხალხის ტანჯვის ორ მწვერვალს“.

მაგრამ პროლეტარული რევოლუციისადმი მტრული დამოკიდებულება ყველაზე ძლიერ გამოსახვა ფეოდალურ-არისტოკრატიული ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა კ. მაყაშვილმა, რომელიც უჩიოდა უგზოობას, სიბნელეს, სიცივეს, მზის ჩაქრობას, გულდაწყევტას და ტკივილებს:

გაქრა კვალი ბნელა, ცივა... მოკედა მზე!
 გულში გასწედა რალაც... მტკიცია მოკედა მზე!
 შავი ნისლი ბურავს არეს, მიწის მკერდს.
 სედის ფიფქი გულზე მკვიცია... მოკედა მზე!



ერკონულნი
 გიგლინიძე

ჯერ კიდევ რევოლუციამდე (1916 წელს) გამოვიდა ქართული ლიტერატურაში სიმბოლისტების „ცისფერი ყანწების“ ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლა. უკიდურესი ინდივიდუალიზმი, თვით-მიზნობრივი ესთეტიზმი, რეალობისგან ჩამოშორება, ბოჰემის კულტი, სიმახინჯის ესთეტიკა და სხვა დასავლეთ ევროპული და რუსული დეკადენტური ლიტერატურის მოტივები ახასიათებდა „ცისფერყანწელთა“ მწერლების შემოქმედებას: პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, ვ. გაფრინდაშვილს, კ. ნადირაძეს და სხვ. მიუხედავად „ცისფერყანწელთა“ მთელი რიგი დეკლარაციებისა, მათი ლოიალური დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, თავიანთი შემოქმედებითი პროდუქციით ეს მწერლები თვალსაჩინო ადგილს იკავებენ ლიტერატურული ფრონტის ანტიპროლეტარულ ბანაკში. ისინი ვარდებიან პესიმისმში და იძლევიან დაცემის, თვითმკვლელობის და სხვ. პოეტურ აპოლოგიას. ზოგჯერ კი ისინი შორდებიან თვითკმარი ესთეტიზმის პოზიციებს და იძლევიან ნაციონალიზმის აშკარა გამოსახულებას. ანტიპროლეტარული განწყობილების ლოგიკას მიჰყავს ეს ბურჟუაზიული დეკადენტები პატრიარქალური წარსულის იდეალიზაციამდე.

პროლეტარული რევოლუციის პირველ წლებში საქართველოში გამოდის ქართველი ფუტურისტების ჯგუფი. ფუტურისტებმა გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართული ლიტერატურის რეაქციონერ ბანაკს და თავს დაესხნენ ყველა ბურჟუაზიულ-თავად-აზნაურულ ტრადიციებს ლიტერატურაში. ფუტურისტები ჩემულობდნენ თავიანთი ლიტერატურული პლატფორმის რევოლუციურობას, მაგრამ სინამდვილეში ფუტურისტების „რევოლუციურობა“ ისაზღვრებოდა ვიწრო ლიტერატურული ბუნტარობით. ეს მიმდინარეობა წარმოადგენდა წერილბურჟუაზიული ინტელიგენციის განწყობილების გამოსახულებას. „ქუეამიღმურობა“ (ხაუმ“) ფუტურისტულ სიტყვათა თხზვა, მთელი კულტურული წარსულის ნიჰილისტურად უარყოფა, ბუნდოვანი ლტოლვა ფორმალური ნოვატორობისადმი — აი. ძირითადი საფუძვლები ამ წერილბურჟუაზიული ბუნტარებისა. შემდეგ ეს მოძრაობა ჩამოყალიბდა „ლ ე ფ უ რ“ მიმდინარეობად, რომლის რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელმა თავის შემოქმედებითი ევოლუციის შემდგომ ეტაპებზე შესძლო განთავისუფლებულიყო „ლეფური“ და ფორმალისტური თეორიისაგან. პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან შიახლოვებით მათ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში (ს. ჩიჭოვანი, დ. შენგელაია).

რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული ინტელიგენციის მხოლოდ ცალკე წარმომადგენლებმა შესძლეს გამოეხატონ ანტიპროლეტარულ ლიტერატურულ ბანაკს და თავიანთი შემოქმედებითი პრაქტიკით ჩაბმულიყვნენ ახალი ცხოვრების განხორციელებისთვის ბრძოლაში (გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი).

ამავე დროს კიდევ უფრო ფართოდ ვითარდება პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს ეწყობა ქართველ პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი, რომელშიაც შედიან: ს. უელი, ს. თოდრია, ნ. ზომელეთელი, რ. კალაძე, პ. სამსონიძე, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, ს. თალაკვაძე და სხვ. შემდეგში ეს ჯგუფი გადაიქცა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციად, რომელიც აერთიანებდა მუშათა კლასის რიგებიდან გამოსულ ყველა ლიტერატურულ-მხატვრულ ძალას.

პროლეტარული მწერლების პირველი თაობის შემოქმედებას მთელი რიგი წლების განმავლობაში ახასიათებდა აბსტრაქტულობა, კოსმიზმი, რიტორიკული და პათეტიკურ-დეკლამატორული სტილი. პროლეტარულ მწერალთა ეს თაობა ბევრით გვეგონება „კუზნიცის“ პოეტებს.

საბჭოთა მშენებლობის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობა საქართველოში. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები მუშათა და გლეხთა რიგებიდან.

ჩნდებიან ახალი ნიჭიერი მწერლები, და მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ძალები, როგორიც არიან: ა. მამაშვილი, კ. კალაძე, ე. ლორთქიფანიძე, ე. პოლუმორდვინოვი და სხვანი.

ახალმა თაობამ, რომელიც გაერთიანდა ჯერნალ „პროლეტარის“ ირგვლივ, პროლეტარული ლიტერატურა დაუკავშირა სოციალისტური მშენებლობის და ახალი ყოფაცხოვრების კონკრეტულ თემებს და ამასთან შეფარდებით გააჩალა მუშაობა მხატვრული ფორმის ახალი სახეების დასაუფლებლად.

პროლეტარული რევოლუციის ძლევამოსილმა განვითარებამ, კონტრ-რევოლუციური კლასების და პარტიების ცდათა და მოლოდინის განადგურებამ, საბჭოთა საქართველოს სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებამ — მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვია ქართული მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი ფენების საზოგადოებრივ აზროვნებაში. თუ რევოლუციის პირველ წლებში ქართველ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ და წვრილბურჟუაზიულ მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა ლიტერატურული შემოქმედების განვითარებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოქმედებული ფართო შესაძლებლობას ანტიპროლეტარული იდეების პრო-

პაგანდისტის იყენებდა, ან საბოტაჟის გზით და „შემოქმედებითი სიჩუმით“ ხაზს უსვამდა თავის უარყოფითს დამოკიდებულებას კულტურული რევოლუციის პროცესისადმი, სამაგიეროდ 1926 წლებიდან ქართველ მწერალთა ძირითადი მასა საბჭოთავლებასთან თანამშრომლობის პოზიციაზე დგება და აქტიურად ებმება შემოქმედებითს მუშაობაში.

ასეთი გარდატეხის აშკარა დემონსტრაციას წარმოადგენდა საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც შესდგა ტფილისში, 1926 წლის თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-5 წლისთავზე. აქ პირველად შეიკრიბნენ ყველა აქტიური ხალიტერატურო მიმდინარეობის წარმომადგენელი და საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ისილავდენ რევოლუციასთან მწერალთა თანამშრომლობის საკითხს, კართული ლიტერატურის განვითარების ახალი გზების საკითხებს.

დამახასიათებელია ამ ყრილობაზე უხუცესი ქართველი მწერლის, XX საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთერთი უძლიერესი ოსტატის ვასილ ბარნოვის გამოსვლა. იგი ამბობდა: დიადმა რევოლუციამ ხალხის შეგნებაში დიდი გარდატეხა მოახდინა. ახალი იდეები და ცხოვრების ახალი გზები მისცა ხალხს, მომავლის ახალი სახე წამოაყენა. შეუძლებელია მხატვარი ამას არ გამოეხმაუროს, ვინაიდან მხატვრული სიტყვა ყოველთვის ნამდვილ ცხოვრებას ასახავს. როგორ შეუძლია მხატვარს არ იგრძნოს, თუ რა დიდი გარდატეხა მოახდინეს ამ დიადმა მოვლენებმა ხალხის შეგნებაში, მის ცხოვრებაში? როგორ შეუძლია მწერალს სხვანაირად წარმოიდგინოს ხალხის მომავალი? ქართული ლიტერატურა ყოველთვის უდიდესი მღვლეარებით მოვლოდა ამ მშვენიერი დროის დადგომას. იგი თითონ იბრძოდა ასეთი ეპოქის მოახლოებისათვის. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია ჩვენს 1905 წლის ლიტერატურაში, როდესაც ერთი წუთით ბედმა გაგვიღიმა. ცხადია, ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას არ შეუძლია ამ გზას გადაუხვიოსო.

ასევე კატეგორიულად და ცხადად გამოთქვა აზრი ამ საკითხზე მეორე უხუცესმა ქართველმა მწერალმა, ქართული კლასიკური რეალიზმის „უკანასკნელმა მოგიკანმა“ დავით კლდიაშვილმა საქართველოს საბჭოების ყრილობის საზეიმო სხდომაზე ქართველ მწერალთა პირველი ყრილობის სახელით წარმოთქმულ სიტყვაში.

ქართული ლიტერატურის ყველა მომქმედი მიმართულების წარმომადგენელი ყრილობაზე გამოსთქვამდენ სურვილს, რაც შეიძლება დაჩქარებით გადაელახათ ყველა ის მომენტი, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან ქართველი მწერლების მოწყვეტას, და მიუთითებდენ იმ რეალურ გზებზე, რომლებითაც ეს თანამშრომლობა უნდა წარმართულიყო.

მართლაც, ქართველი მხატვრული ინტელიგენციის ძალიან ბევრი წევრი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას შეუდგნენ. იმ მომენტიდან გაჩაღდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ზრდისა და განვითარების პროცესები.

მაგრამ ეს პროცესები დაუბრკოლებლივ როდი ვითარდება. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, ცხადია, იწვევს ლიტერატურულ ფრონტზე ძალთა პერიოდულ გადაჯგუფებას, ამ ძალების მძლავრ დიფერენციაციას. მთელი ის მდიდარი და მრავალსახოვანი მხატვრული პრაქტიკა, რომელიც დაგროვილია ქართულ ლიტერატურაში 1932 წლამდე (ე. ი. იმ მომენტამდე, როდესაც ს. ა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების სრულიად ახალი, უმაღლესი ეტაპი განსაზღვრა), წარმოადგენს იმ გამწვავებულ კლასობრივი ბრძოლის შედეგად გამოხატულებას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურულ ფრონტზე პროლეტარული რევოლუციის განმავლობაში წარმოებდა.

ურთულეს წინააღმდეგობათა და გააფთრებული იდეური ბრძოლის გზით ვითარდებოდა ჩვენს ლიტერატურაში ანტიპროლეტარული ძალების იდეური განადგურებისა და განიარაღების პროცესი. ძლიერდებოდა მუშათა კლასის მხარეზე უპარტიო მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა გადმოსვლა და პროლეტარული ლიტერატურის ხარისხობრივი ზრდა.

მომავლადი კლასები უბრძოლველად არ სთმობდნენ თავის პოზიციებს მხატვრული იდეოლოგიის ფრონტზე. თუ დღეს ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული იდეოლოგიისაგან ლიტერატურის სფეროში უკანასკნელი ნამსხვრევები-ღა დარჩა, ჩვენი რევოლუციის წინა ეტაპებზე კონტრრევოლუციური კლასების ლიტერატურული აგენტურა აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა კულტურული რევოლუციის მზარდ ტენდენციებს.

ავილოთ მაგალითად მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება; რევოლუციამდე იგი სრულიად უმნიშვნელო ფიგურას წარმოადგენდა. რევოლუციის პირველ წლებში იგი პოლიტიკურ-ლიტერატურულ დეკლარაციებში და რამდენიმე მდარე ხარისხის ლექსში გამოხატავს თავის მტრულ დამოკიდებულებას პროლეტარული დიქტატურისადმი. ხოლო შემდგომ წლებში იგი აქტიური შემოქმედებითი ძალა ხდება და მხატვრულად. ლესავს თავის საბრძოლველ იარაღს მზარდი სოციალიზმისა და პროლეტარული იდეოლოგიის წინააღმდეგ. კ. გამსახურდიას ბექდავს წიგნებს „ტაბუს“, „დიონისოს ლიმილს“, „მარცხენა თვლით“ და სხვ. მთელი ეს პროდუქცია მომავლად მსოფლიოს თემატიკურ მასალაზე იშლება. მისი რომანებისა და მოთხრობების პერსონაჟები სასიკვდილოდ განწირული საზოგადოებრივი ფენების წარ-

მომადგენლები არიან, რომელნიც რევოლუციურ თანამედროვეობაში ყოველგვარ სოციალურ ფუნქციას კარგავენ და რბივ განახლებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილს ვერ პოულობენ. ნეტავად უფარდებიან დაუძლეველ მელანქოლიას, რომანტიულად ცქცქნებათ დებიან წარსულს.

ქ. გამსახურდია უდიდესი სიმპატიითა და სიყვარულით ხატავს ადამიანებს, რომელნიც განახლებული სოციალური ცხოვრების ფსკერზე მოექცნენ. მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე იგი იძლევა პატრიარქალური წარსულის და ფეოდალური საქართველოს მხატვრულ აპოლოგიას. იგი ცდილობს შექმნას წარმტაცი შარავანდედი მისტიკური და რელიგიური რიტუალებისა და ჩვეულებების ირგვლივ. უმღერის ფეოდალური არისტოკრატიის ყოფაცხოვრების დეტალებს და მის მორთულობას. „ცივილიზებული არისტოკრატის“ სულიერი და მორალური დეგენერაცია სრულ იდეალიზაციას პპოებს გამსახურდიას შემოქმედებაში.

წარსულის ასეთი რეაქციული რომანტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული უკიდურეს ნაციონალიზმთან. „ქართული რასა“ გამსახურდიას მხატვრულ კონცეპციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იდეალიზმი და მისტიციზმი განსაზღვრავს მისი შემოქმედებითი მსოფლმხედველობის მთელ სისტემას. შემოქმედების ასეთი იდეურ-თემატიკური შინაარსი, ცხადია, სათანადო მხატვრულ ხერხებს აყალიბებს. მისი სტილი არქაიზმებითაა აღსავსე. მისი სახეები და მეტაფორები ისეთივე ბუნდოვანია და გაელენთილია „მომაკვდავ სამყაროს სურნელებით“, როგორც მთელი მისი მისტიკური და იდეალისტური მსოფლმხედველობა.

მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაეტყო ქ. გამსახურდიას ასეთი პოზიციებიდან დაძვრის პირველი სიმპტომები. მან სცადა ემუშავნა თანამედროვე თემატიკაზე („უკრაინის თემიდი“ და „მთვარის მოტაცება“) და პოეტ ქ. ჭიჭინაძესთან ერთად უაღრესად სასარგებლო მუშაობა შეასრულა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმნით.

ფრიად დამახასიათებელი და თავისებურია ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი მნიშვნელოვანი ფიგურის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი გზა. ქართული ლიტერატურის პორიზონტზე იგი ოქტომბრის რევოლუციის ჯერ კიდევ 15 წლის წინათ გამოჩნდა და თავიდანვე ყურადღება მიიპყრო, როგორც პუმანიურ-ლიბერალური მიმართულების მწერალმა და ნიჭიერად შესრულებული პატარა მოთხრობების ავტორმა. ამ მოთხრობებში გამოყვანილი არიან უმთავრესად წერილ ხელოსანთა წარმომადგენლები. მაგრამ ამ ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ მ. ჯავახიშვილმა შემოქმედებითი მუშაობა შესწყვიტა და ლიტერატურას კვლავ დაუბრუნდა მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის პირო-

ბებში. 1923—24 წლებში იგი გამოვიდა ავანტურისტული კონსტრუქციონის რომანი „კვაკვი კვაქანტირადით“ და პოპულარობა მოიპოვა, როგორც საინტერესო სიუჟეტური კომპოზიციის ოსტატური, რეალური განსაკუთრებით ეხერხება ცოცხალი, რეალური ტიპების აღწერა.

განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა მის რომანს „ჯაყოს ხიზნებს“, რომლის თემატიკური მასალა აღებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდიდან. რომანის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ბურჟუაზიულ-ფეოდალური ინტელიგენციის ბედი რევოლუციაში. ავტორმა რომანის ცენტრში გამოიყვანა ტიპი ინტელიგენტისა (თეიმურაზ ხევისთავი), რომელიც ბევრს ლაპარაკობდა რევოლუციაზე საერთოდ. იგი „საზოგადო მოღვაწეობასაც“ კი მისდევდა, ლაყბობდა თავისუფლებასა და თანასწორობაზე, მაგრამ როგორც კი დაიწყო ნამდვილი რევოლუცია, მან თავისი ადგილი ვეღარ ჰპოვა მისში, დაფრთხა და განახლებული ცხოვრებიდან გარიყული დარჩა. იდეურად და მატერიალურად განადგურებული, იგი თავისი ყოფილი მოურავის ჯაყოს მოსამსახურედ იქცევა. ხოლო ჯაყომ მოახერხა გამოეყენებინა რევოლუციის პირველ წლებში სოფლად შექმნილი ვითარება და ფართო გზა მისცა თავის კულაკურ მისწრაფებებს.

ამ რომანში ავტორმა ძალიან დაამახინჯა რევოლუციური სინამდვილის პროცესები. მან განაზოგადა ერთი ინტელიგენტის პირადი დრამა და მხედველობიდან გაუშვა ის დიფერენციაციის პროცესი, რომელიც მოხდა ძველ ინტელიგენციაში; ამ უკანასკნელის საუკეთესო ნაწილმა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაიწყო. რომანში არც გლეხობის როლი და მდგომარეობა არის სწორად ასახული პროლეტარულ რევოლუციაში. ავტორმა ვერ მოახერხა შეეგნო და დაეხატა გლეხობის დიფერენციაციის პროცესი და მხატვრულად აესახა გლეხობის ის ფენა, რომელიც ნამდვილად პროლეტარიატის მოკავშირეს და მის ძალას წარმოადგენს სოფლად.

ასეთი მნიშვნელოვანი შეცოდებებია ამ რომანში, მაგრამ მიუხედავად ამისა, რომანში ისე შკაფიოდ არის ნაჩვენები რევოლუციით დამფრთხალი ინტელიგენციის ნაწილის უხერხემლობა და უბადრუკობა, ისე გამოკვეთილად და დახატული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპები, რომ ეს რომანი თავის დროზე უაღრესად აქტუალურ ნაწარმოებად იქცა და ავტორს რევოლუციის თანამგზავრის რეპუტაცია შეუქმნა. ამ რომანს მოჰყვა პატარა მოთხრობების სერია, რომლებშიაც განსაკუთრებით კარგია „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“ და სხვ.

მაგრამ მ. ჯაყოს ხიზნების შემოქმედებითი გზის შემდგომი განვითარება უკვე საწინააღმდეგო გეზით წარიმართა. გაფართოებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში, რაიც ახასიათებს ჩვენი რევოლუციის რეკონსტრუქციის პერიოდს, მ. ჯაყოს

შვილი იცვლის პოზიციებს, გადადის მემარჯვენე მანკაზე და მთელი რიგი წლების განმავლობაში თვალსაჩინო ადგილს იჭერს ანტიპროლეტარულ მწერალთა რიგებში.

1926 — 28 წლებში იგი მეთაურობს ლიტერატურულ-მეცნიერულ ნებას „არიფიონს“, რომელიც, გამოვიდა რა რევოლუციისთან შემოქმედებითი თანამშრომლობის პრეტენზიებით, აერთიანებდა უპარტო მხატვრული ინტელიგენციის მნიშვნელოვან ძალებს (შ. დანიანი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიჩელი, გ. ქიქოძე, კ. ქიქინაძე, დ. სულთაშვილი, ი. მოსაშვილი, ლ. მებრეველი, კ. კაპანელი და სხვ.). ამ კორპორაციის აღმანახის პირველმავე ნომერმა დაგვანახვა, რომ „არიფიონი“ წარმოადგენდა ლიტერატურულ ფრონტზე ბურჟუაზიული საფრთხის გაძლიერების სიმპტომს.

რევოლუციური სინამდვილის ყალბი, დამახინჯებული ასახვა. წარსულის ავადმყოფური რომანტიკა, აშკარა ნაციონალიზმი, — აი რა ახასიათებდა ძირითადად „არიფიონის“ მხატვრული პრაქტიკის იდეურ რაობას. ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრიობისა და მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ზეგავლენით „არიფიონმა“ სწრაფად მოახდინა თვითლიკვიდაცია. ამ კორპორაციის ჟურნალში მიხეილ ჯავახიშვილმა დაბეჭდა მოთხრობა „დამპატივე“, რომელიც ასახავდა კოლექტიურ მეურნეობის გზაზე შემდგარი ახალი ქართული სოფლის ყოფასა და ცხოვრებას. ახალი სოფლის მშენებლობის საკითხებში ანტიპროლეტარულ თვალსაზრისზე მდგარმა მწერალმა, ამ მოთხრობაში განაზოგადა და ტიპური მოვლენის ხარისხში აიყვანა შემდეგი შემთხვევითი ამბავი. ვინმე მოქიფე და უსაქმური ადამიანი, რომელსაც კავშირი აქვს სოფლის ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ გახრწნილ წარმომადგენლებთან, ავიწროებს ერთ მშრომელ გლეხს. შედეგად მ. ჯავახიშვილს ნამდვილი პასკვილი გამოუვიდა საკოლმეურნეო მშენებლობაზე.

იმავე პერიოდში მან გამოაქვეყნა მოთხრობათა ციკლი „გივი შადური“, რომელშიც გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციური სინამდვილისადმი; გამოაქვეყნა აგრეთვე მთელი რიგი მოთხრობები, რომელთა შინაარსი პირდაპირ იქითაა მიმართული, რომ მკითხველთა მასის ყურადღება აარიდოს ეპოქის სოციალურ პრობლემას, კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს. მ. ჯავახიშვილის მხატვრული პოტენცია იმ ხანად ეწინდება და ხურდავდება. იგი გადადის იაფფასიანი, სენსაციური სიუჟეტის მოთხრობებზე. აქა-იქ გვხვდება პორნოგრაფიის მომენტებიც.

მ. ჯავახიშვილს ემუქრებოდა საფრთხე, გადაქცეულიყო ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიულ მწერლად ჩვენ სინამდვილეში მაშასადამე, დარჩენილიყო საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობის

ვარეშე. მაგრამ მწერალმა შეიგნო, თუ საით მიჰყავდა იგი ისეთი განვითარების ლოგიკას. „შემოქმედებითი დუმილის“ შემდეგ, რაც 2—3 წელს გრძელდებოდა, მან დაიწყო ახალი რომანის შექმნა მარაბდელის“ ბეჭდვა, რომელმაც ამკარად დაგვანახებინა რეალური მტკიცედ დადგა შემოქმედებითი გარდაქმნისა და პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან დაახლოვების გზას. ამ ისტორიული ეპოქის რომანში, რომელშიც ასახულია საქართველოს მთელი ეპოქა — XIX საუკუნის 30-იანი წლები — ავტორმა ძირითადად სწორად დაასურათა დარღვეული ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატის ტიპები და მათთან დაპირისპირებით გვიჩვენა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გმირები.

მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი საბოლოოდ შორდება წარსულის იდეალიზაციას, თავისუფლდება ნაციონალისტური იდეოლოგიისაგან, მისი სიმპატიები უკვე მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური ძალებისაკენ. მან შესძლო სწორი პოზიციებიდან მისდგომოდა დიდი ისტორიული პროცესების ასახვას.

რევოლუციურმა სინამდვილემ ძლიერი გავლენა მოახდინა ოქტომბრის წინაღობის დიდი მხატვრული ინტელიგენციის ერთერთ ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენელზე, ნ ი კ ო ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ზ ე. იგი სავსებით სამართლიანად ითვლება XX საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთერთ საუკეთესო ოსტატად.

რევოლუციამდე ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს თემატიკური რკალი ძირითადად განისაზღვრებოდა ფეოდალური წარსულის მასალით. მისი „ეპოთა სიავე“, „მრისხანე ბატონი“ და სხვ. წარმოადგენენ მაღალ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც გამოხატულია ქართველი ფეოდალური არისტოკრატის ცხოვრება. ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ხატავდა ამ წოდების კვდომისა და დეგრადაციის პროცესებს. თუმცა მის შემოქმედებაში დიდი სიმართლით არის ნაჩვენები ქართული ფეოდალიზმის მთელი სიმკაცრე და სისასტიკე და ამ ინსტიტუტის კვდომის აუცილებლობა, მაგრამ მაინც იგი რალაც ფართული სიბოთით და სიყვარულით ეპყრობა „დანგრეულ ბუდეებს“.

თავისი შემოქმედების უკანასკნელ ეტაპზე მან მოგვცა მთელი რიგი მოთხრობები („ფეოდალები“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“), რომლებშიც უღმობელი ირონიით თავს ესხმის ფეოდალური წარსულის ნაშთებს. აქ უკვე აღარ არის წარსულისადმი ტრფიალების რაიმე კვალი. ხოლო მისი დიდი მოთხრობა — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ ისტორიულ-რევოლუციურ მხატვრულ ლიტერატურაში.

ამ ბოლო დროს ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე გულდასმით სწავლობს სოციალისტური მშენებლობის პროცესებს, რაც, უმკველია, იმპულსს მისცემს დაწყებული შემოქმედებითი გარდაქმნის გასაღრმავებლად და ისეთი ნაწარმოების შესაქმნელად, რომლის იდეურ-

თემატიკური შინაარსი მთლიანად განსაზღვრული იქნება ჩვენი სოციალისტური სინამდვილით.

საქართველოს შორეული წარსულის იდეალიზაციაშია რომანტიული აღქმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს დიანის რომანი „უბედური რუსი“. მასში დიდი მხატვრული დახვეწილობით აღდგენილია საქართველოს ისტორიის ევროპოცენტრული „ოქროს ხანა“, XII საუკუნე, რუსთაველისა და თამარ მეფის ეპოქა. ამ რომანის ავტორი რევოლუციამდე ცნობილი იყო უმთავრესად როგორც თეატრალური მოღვაწე და დრამატურგი. მხატვრული პროზის დარგში იგი მხოლოდ მინიატურებს და ნოველებს იძლეოდა. აღნიშნული რომანი წარმოადგენს შ. დიანის მიერ შექმნილ დიდ ტილოს. მაგრამ ეს ნაწარმოები ვერ იძლევა აღებულ ეპოქის ნამდვილ გაშლას, მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სწორ გაგებასა და არსების ასახვას.

აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს რევოლუციის წინანდროინდელი პერიოდის ერთერთი ცნობილი ბელეტრისტი ლეო ქიაჩელი, მაგრამ მის გზას საბჭოთა ლიტერატურისაკენ დიდი წინააღმდეგობანი ახასიათებს. მან დაწერა ისტორიული რომანი „სისხლი“, აგებული რევოლუციური მოძრაობის მასალაზე საქართველოში. მან დაბეჭდა აგრეთვე განსაკუთრებული ოსტატობით დაწერილი მთელი რიგი მოთხრობები. მაგრამ ამ ნაწარმოებებში ლ. ქიაჩელმა ვერ შესძლო რევოლუციის მამოძრავებელი ძალების სწორი ასახვა და უღალატა რეალისტური ოსტატობის იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის ცნობილ მოთხრობას „ტარიელ გოლუას“.

რა თქმა უნდა, ეს მარცხი დამოკიდებული იყო იმაზე, რომ ლ. ქიაჩელი ამ პერიოდში ძლიერ დაშორებული იყო რევოლუციურ თანამედროვეობას და მისთვის უცხო იყო პროლეტარული იდეოლოგია. როგორც კი იგი გაბედულად და თანმიმდევრობით შეეცადა გადაეღახა ეს ჩამოშორება თანამედროვეობისაგან, შეეცადა გადაჭრით დამდგარიყო შემოქმედებითი გარდაქმნის გზაზე, ჩვენ მივიღეთ მხატვრული სიტყვის მაღალხარისხოვანი ნიმუშები („პაკი აძმა“ და სხვა მოთხრობები).

ოქტომბრის წინანდროინდელი მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის, რომელნიც აქტიურად გამოდიან საბჭოთა ლიტერატურაში, საჭიროა შევხვით პოეტსა და დრამატურგს სანდრო შანშიაშვილს. ქართულ ლიტერატურაში იგი ცნობილი იყო, როგორც იდეალისტი და მისტიკოსი, რომლის შემოქმედებაც იფარგლებოდა ან აბსტრაქტულ-სიმბოლისტური სიუჟეტებით („ქალი გრძნელი“, „შევების თავადი“ და სხვ.) ან შორეული წარსულის ისტორიული სურათების ჩვენებით.

რევოლუციის პირველ წლებში ს. შანშიაშვილი თავის თემატიკას საზღვრავდა სოფლის და გლეხობის ცხოვრებით. იგი უმღერდა გლეხის შრომას და მის ნაყოფიერებას, მგერაქმუნდებოდა რა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში, მისსაწინააღმდეგოდ სწორად გაეგო სოფლად მზარდი სოციალიზმის ტენდენცია, შეეცნო გლეხობის დიფერენციაციის პროცესი. ამიტომ, როგორც სამართლიანად მიუთითებდა ჩვენი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა, ს. შანშიაშვილს ხშირად გამოუდიოდა გლეხობის კულაკური ფენის აპოლოგია. ძველი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო და მოწინავე ოსტატების აბსოლუტურ უმრავლესობასთან ერთად ს. შანშიაშვილმა შესძლო კავშირი გაეწყვიტა ძველ იდეოლოგიასთან და ლიტერატურულ ტრადიციებთან. თავის უკანასკნელ დრამებში, ლექსებსა და მოთხობებში იგი ამუშავებს თანამედროვე თემებს და ისტორიულ რევოლუციურ სიუჟეტებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ დ. სულიაშვილის და ლ. მეტრეველის შემოქმედება, რომლებმაც აგრეთვე მოგვცეს რევოლუციურ თანამედროვეობასთან მხატვრული მიახლოვების ნიმუში.

საბჭოთა ლიტერატურის სწრაფ ზრდას განსაკუთრებით ჩამორჩენენ ეგრეთწოდებული „დემოკრატიული პოეტების“ სკოლის მწერლები. პოეტების ეს თაობა მტრულად შეხვდა პროლეტარულ რევოლუციას. მათგან მხოლოდ ერთმა, გიორგი ქუჩიშვილმა შესძლო გამიჯნოდა ანტიპროლეტარულ ბანაკს და ამკამად აქტიურად მუშაობს საბჭოთა პოეზიის ფრონტზე.

რაც შეეხება „დემოკრატიული პოეტების“ სკოლის ყველაზე ძლიერ და დამახასიათებელ წარმომადგენელს — ა. აბაშელს, მას განუწყვეტლივ დაჟინებით უჭირავს „საპატიო ადგილი“ ლიტერატურული ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე. მართალია, მან დაბეჭდა ზოგადრევოლუციური განწყობილების რამდენიმე ლექსი. სცადა სოციალისტური მშენებლობის შექმნაც კი, რამდენიმე ლექსში წყველა-კრულვა უძღვნა მენშევიკურ რეჟიმს და მის ბელადებს, მაგრამ ა. აბაშელის შემოქმედების ძირითადი ხაზი იზღუდება „დაკარგულ დიდებაზე“ ვაებით.

თვით უკანასკნელ წლებშიც, რევოლუციისკენ მწერლების მასობრივი მობრუნების და ძველი მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი ძალების შემოქმედებითი აქტივისაციის პერიოდში, ა. აბაშელმა და ზოგიერთმა მისმა ლიტერატურულმა თანამოლაშქრემ ვერ კიდევ ვერ შესძლეს ძველი მსოფლმხედველობის და შემოქმედებითი ტრადიციებისაგან განთავისუფლება და საბჭოთა ლიტერატურის მშენებელთა რიგებში ჩადგომა.

პროლეტარული რევოლუციის და მის ბაზაზე გაშლილი კულტურული რევოლუციის გავლენით ღრმა და მწვავე დიფერენციაცია განიცადა ბურჟუაზიულ-დეკადენტური პოეტების ქართულმა მო-

დერნისტულმა სკოლამ, რომელიც ცნობილი იყო „ცისფერყანწელების“ სახელწოდებით. ამ სკოლამ გარკვეული როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის განვითარებაში. მან გაამდიდრა ქართული ლექსწყობის ტექნიკა, შეიტანა მასში ახალი ლექსიკონი და ცდილობდა დაეკავშირებინა ევროპული მოდერნისტული პოეზიის ელემენტები ქართული ფეოდალურ-რომანტიკული ლიტერატურის პოეტურ ტრადიციებთან.

ამასთან ერთად მათ მოაკლეს პოეზიას სოციალური აქტუალობა, მოსწყვიტეს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს და დაწერეს „თვითმიზნობრივი ესთეტიზმის“, მისტიციზმის ტენდენციები და ბოჰემის, ალკოჰოლისა და ეროტიკის კულტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ეს სკოლა გამოეხმაურა დეკლარაციებით პოლიტიკური ლოიალობისა და პროლეტარიატის დიქტატურასთან კულტურულ თანამშრომლობისათვის მზადყოფნის შესახებ.

რევოლუციის შემდგომ ეტაპებზე „ცისფერყანწელების“ სკოლამ განიცადა მკვეთრი დიფერენციაციის პროცესი, რომლის შემდეგაც „ცისფერყანწელების“ ყოფილი კორპორაციიდან მივიღეთ მთელი რიგი ნამდვილი საბჭოთა მწერლები. ამ მხრივ საჭიროა აღინიშნოს ბელეტრისტ ს. კლდიაშვილის და პოეტ-ბელეტრისტის რ. გვეტაძის მუშაობა.

სიმბოლისტური მინიატურების ავტორმა ს. კლდიაშვილმა უკანასკნელ ხანებში დაწერა მთელი რიგი მოთხრობები, რომლებიც თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას ეხება.

მისი „პროვინციის მთვარე“, „სვანური მოთხრობები“ და განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის მასალაზე აგებული დიდი მოთხრობა „ფერფლი“ ავტორს უქმნის ქართული მხატვრული პროზის ერთერთი მოწინავე ოსტატის რეპუტაციას. მაგრამ ს. კლდიაშვილი ჯერჯერობით კიდევ მტკიცედ არ დგას მუშათა კლასის იდეურ პოზიციებზე. მის მოთხრობა „ფერფლში“ იმპერიალისტური ომის თემა აშკარად პაციფისტურად არის განხილული. ამასთანავე მოთხრობას სტილისტური აგების მთლიანობაც მოწმობს, რომ ავტორს ბოლომდე ვერ დაუძლევია აღებული თემა.

რაცდენ გვეტაძემ დასწერა ორი რომანი, რომლებიც მოწმობს, რომ ავტორი განთავისუფლდა ბურჟუაზიულ-დეკანდენტური ლიტერატურული ტრადიციებისაგან და ხელი მოჰკიდა ჩვენი ეპოქის აქტუალურ თემატიკას.

„ცისფერყანწელების“ ძირითადი პოეტური აქტივი კი (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, კ. ნადირაძე), რომელიც განუწყვეტლივ მუშაობს საბჭოთა პოეზიის დარგში და შეადგენს მნიშვნელოვან ძალას ლიტერატურის ფრონტის ამ უბანზე, დღემდე განი-

ცდის შემოქმედებითი გარდაქმნის სიძნელეებს და რჩება ლიტერატურული თანამგზავრობის მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, მათ შორის არის განსხვავება შემოქმედებითი აქტიობისა და პრეფერენციული იდეურ პოზიციებთან მიახლოვების ხარისხის თვალსაზრისით. რას ყველა აღნიშნული პოეტი ვითარდება სოციალისტური პოეზიის მიმართულებით, თუმცა მათ ზოგიერთი წინააღმდეგობანი ახასიათებთ.

მაგალითად, პ. იაშვილის შემოქმედებაში, იმ ლექსებთან ერთად, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი მშენებლობისა და მისი ენტუზიასტებისადმი და რომელთაც ახასიათებს პ. იაშვილის ათვის ჩვეული პოეტური გაჭანება და ექსპრესია, ჩვენ გვაქვს თვითკმარი ესთეტიზმის რეციდივებიც. ახალი საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილ ლექსებში ტ. ტაბიძე დაეინებით იმეორებს პოეტურ ხერხებს სიმბოლისტური პოეტიკის არსენალიდან, რაც მას ხელს უშლის თავის პოეზიის რეალურ ობიექტის ჯანსაღ და ფხიზელ ათვისებაში, სათანადო სიღრმით მის ასახვაში.

იგივე უნდა ითქვას პოეტების ვ. ვაფრინ და შვილის, გ. ლეონიძის, კ. ნადირაძის შესახებაც, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში მხატვრულად ძვირფასი პოეტური ნაწარმოებები მოგვეცეს.

გარდაქმნის სიძნელე განსაკუთრებით მკვეთრად ემჩნევა ნ. მიწიშვილის შემოქმედებას. თითქმის ყველა მისი ლექსი შეზღუდულია მერყევი ინტელიგენციის განწყობილებით, — რომელსაც ერთი მხრით ახარებს მზარდი სოციალიზმი, მეორე მხრით ღლის მისი ზრდის ტემპები.

ასეთი მერყეობის და „გაორების“ მკაფიო დოკუმენტს წარმოადგენს ნ. მიწიშვილის პროზული ნაწარმოები „ეპოპეა“. იგი დაწერილია მხატვრული ქრონიკის ენარით. მენშევიკური რეჟიმის დამხვერვეა და ქართველი ემიგრაციის ბედობალი საზღვარგარეთ შეადგენს ამ წიგნის თემატიკურ შინაარსს. ნ. მიწიშვილი მკვეთრი და მკაფიო ფერადებით გვიხატავს განადგურებული კონტრრევოლუციის უმწუთო „გმირებს“. მაგრამ წიგნში არის ავტორის ნაციონალისტური განწყობილების მნიშვნელოვანი გამოვლინება და მას ანტიპროლეტარული იდეოლოგიის გავლენა ემჩნევა.

როგორც მოქალაქე მთლიანად აწუხოში ვარ, როგორც პოეტი — მთლიანად წარსულშიო, — ასეთი ფორმულით ახასიათებს ნ. მიწიშვილი თავის მდგომარეობას და ადგილს რევოლუციაში. ეს ფორმულა კარგად გამოხატავს ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის იმ ნაწილის პოზიციას, რომელსაც ჩვენი რევოლუციის განსაზღვრულ ეტაპზე, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის გულწრფელ წადილთან ერთად, ჯერ კიდევ ვერ გარდაუქმნია თავისი შემოქმედებითი კონცეპცია და რომლის შემოქმედებითს პრაქტიკაში ჯერ კიდევ ეამჩნევთ წარსულის აჩრდილებს.

როდესაც ვლადიმერ კობახიძის რევოლუციის წინაპროინდელოზი ინტელიგენციის ჯგუფის მწერლებზე, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურაში მოქმედებენ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფაქტობრივად წინაპროინდელოზი პოეტური კულტურის მეტად თავისებურად დაკავშირებას იათებულ წარმომადგენელს — ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს. თავის დროზე ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს პოეზია მეტად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მას გამოუჩნდა შიმდევართა მთელი პლეადა, რომელსაც ერთ დროს საკუთარი მხატვრული პრესა ჰქონდა და რომელმაც ფართო აუდიტორია გაიჩინა უმთავრესად წვრილბურჟუაზიული მასებიდან.

პროლეტარული საზოგადოების კულტურულ მოთხოვნებთან თავისი პოეზიის შესაბამისობის გამო ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს რევოლუციის პირველ წლებში შეასუსტა პოეტური მუშაობა. მან თითქმის თავი დაანება ლექსების წერას. სამაგიეროდ იგი შეუდგა მეტად სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას ლიტერატურული წარსულის მასალების გამოკვლევისა და შესწავლის ხაზით. მისი მონოგრაფია „ს ა ი ა თ ნ ო ვ ა“, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, „ალექსანდრე ჰაქავიაძე“ და სხვ. მეტად ძვირფას განძს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

უკანასკნელ ხანებში ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს უბჭუნდება პოეტურ ფრონტს. მის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული რამდენიმე ლექსი მოწმობს, რომ პოეტი ცდილობს ჩასწვდეს რევოლუციურ თანამედროვეობის კონკრეტულ სინამდვილეს და თავისი პოეზიის ძირითად შინაარსად გახადოს ჩვენი ეპოქის დიდი იდეები.

რევოლუციის წინაპროინდელოზი პოეტური კულტურის წარმომადგენელთაგან, რომლებმაც შესძლეს წარსულის ტრადიციების ჩამოშორება და მოწინავე ადგილი დაიკირეს საბჭოთა პოეზიის ფრონტზე, განსაკუთრებით ყურადღების ღირსია პოეტი გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე.

იგი გამოჩნდა ქართულ პოეზიაში პოლიტიკური და იდეოლოგიური რეაქციის პირობებში, რომელიც 1905 წლის რევოლუციას მოჰყვა. მან თან მოიტანა ახალი, აღტაცებული მოტივები, მაგრამ მალე აჰყვა დაცემულობის განწყობილებებს და სეპტიციზმს. გ. ტ ა ბ ი ძ ე მ ვაბედულად და ვადაჭრით გაარღვია თავისი პოეტური კონცეპციის მისტიკური და დეკადენტური რკალი და აღფრთოვანებით გამოეხმაურა დაწყებულ სოციალურ ძვრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტ ა ბ ი ძ ე მ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დააღწია თავი წარსულის პოეტურ განცდათა ნაშთებს. მან ჯერ კიდევ ვერ შეიმუშავა თანამედროვე თემატიკის პოეტური განსახიერების იმდენად ღრმა და სრულყოფილი ფორმები, რომელიც მას ახასიათებდა, როგორც „მთაწმინდის მთვარის“ და „ლურჯა ცხე-

ნების“ პოეტს. სწორედ ეს არის ამეამად მთავარი სიძნელე, რომლის გადალახვა წარმოადგენს გ. ტაბიძის წინაშე მდგარ ამოცანას.

ოქტომბრის წინანდროინდელი მხატვრული ინტელიგენციისთვის თვალსაჩინო წარმომადგენელმა პროლეტარულმა რევოლუციურმა ვითარებაში კპოვა ფართო შესაძლებლობა თავისი შემოქმედების სრული გაშლისთვის. იმავდროულად ამ წლებში წარმოიშვა და განმტკიცდა ახალი ლიტერატურული ძალების მთელი თაობა, რომელმაც უკვე ღირსეული ადგილი დაიჭირა ჩვენს მხატვრული კულტურის ფრონტზე. გარდა იმ ძალებისა, რომელნიც ლიტერატურაში მოვიდნენ უშუალოდ მუშათა კლასის წიაღიდან და თავიდანვე იდგნენ პროლეტარული მსოფლმხედველობის პოზიციებზე, ჩვენ გვყავს მთელი რიგი სხვა ლიტერატურული ძალებიც. თუმცა ეს უკანასკნელნი გაიზარდნენ პროლეტარული რევოლუციის ვითარებაში, მაგრამ მთელი რიგი წლების განმავლობაში მათი ფორმაცია წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის საფუძველზე ხდებოდა.

უპარტიო მხატვრული ინტელიგენციის ამ ახალ კადრთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია სიმონ ჩიქოვანი, რომელიც მეთაურობდა ქართულ ფუტურისტულ ლიტერატურულ („ლეფურ“) მოძრაობას.

მისი ლიტერატურული შემოქმედების პირველ ეტაპს ახასიათებს ვიწრო ლიტერატურული ნოვატორობა და ფორმალური ექსპერიმენტები. თუმცა ამ პერიოდში იგი სწერდა ლექსებს რევოლუციურ თემაზე, მაგრამ თავისი მსოფლმხედველობით წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის განწყობილებებს გამოხატავდა.

მაგრამ ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი გზა თანდათანობით ვითარდება პროლეტარული ლიტერატურის გზით, თუმცა მის პოეზიაში ჯერ კიდევ საგრძობაა ფორმალისტური პოეტიკის რეციდევები.

ასეთივე სწრაფი ტემპებით მიდის წინ ბელეტრისტი დემნა შენგელაია.

თავის განვითარებაში დ. შენგელაია მოყვა ფორმალიზმის და ექსპრესიონიზმის გავლენის ქვეშ (რომანი „სანავარდო“, „ტფოლისი“ და სხ.). დ. შენგელაია მხოლოდ ახალი რომანით „ბათა ქექია“ ამთავრებს თავის შემოქმედებითი ევოლუციის ეკლექტიკურ გზას, დგება რეალისტურ პოზიციებზე. „ბათა ქექია“ უკანასკნელ პერიოდის ქართული მხატვრული პროზის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ეს იუმორისტული სტილის რომანი იშლება ისტორიული პროცესების ფონზე საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან 1905 წლის რევოლუციამდე. რომანი ენტუზიაზმისა და ცხოვრებისადმი სიყვარულის მზიარული კოლორიტით არის შეფერადებული.

„ბათა ქექიაში“ ისტორიული მოვლენები მოცემულია წერილი შესაკუთრის თვალთახედვით. ეს გარემოება ასუსტებს ამ ნაწარმოების აქტუალობას საბჭოთა მკითხველისათვის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ილო ზმობაშვილის და ვარლამ ქუჩულის პოეტური შემოქმედება. საბჭოთა პოეზიის მოწინავე პოზიციებზე ილო მოსაშვილი გამოვიდა იმ გზით, რომ სწრაფად გაათავისუფლა თავისი შემოქმედება „არიფონის“ რეაქციონური ლიტერატურული პრინციპებისა და „უიდეო იდილიური ლირიკის“ ტრადიციებისაგან. ასეთსავე შედეგს მიაღწია ვ. ქუჩულმა „ლეფური“ პოზიციებიდან თანმიმდევრული დაშორებით და რევოლუციური თანადროულობის პროცესებთან თანდათანობით დაახლოებით, მათი შემოქმედება პოეტური გამოძახილია ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.

ალექსანდრე ქუთათელი მუშაობს პოეზიის, დრამატურგიისა და განსაკუთრებით მხატვრული პროზის დარგში.

პროზაში მან მოგვცა რომანი „პირისპირ“, რომელიც გეზატაეს საქართველოს ცხოვრებას მენშევიკური დიქტატურის ეპოქაში. ა. ქუთათელი ცდილობს მოგვცეს საქართველოს კონტრრევოლუციური კლასების ტიპები სოციალურ და საყოფაცხოვრებო ვითარებაში. მწერალი ცოცხლად გადმოგვცემს სისხლიან შეტაკებას შამქორის ველზე, ბოლშევიკების მიტინგის დახვერტას ალექსანდრეს ბაღში (ტფილისში) და სხვა ბატალურ სცენებს; მაგრამ ავტორმა ვერ შესძლო საკმაო რელიეფობით დაეხატა რევოლუციონერთა ტიპები და კომპარტიის ავანგარდული როლი. გარდა ამისა, რომანის დიდი ნაკლი ისაა, რომ მხატვრული განზოგადობის ნაცვლად ზოგჯერ მოცემულია მოვლენათა ფოტოგრაფიული ფიქსაცია.

ძირითადი ძალა, რომელიც ქართულ ლიტერატურას ამოძრავებს და იგი ახალ იდეურ თემატკურ გზებზე გადაყავს, ეს არის საბჭოთა ლიტერატურის პროლეტარული ავანგარდი. მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა იზრდებოდა, როგორც განცალკევებული ლიტერატურული მოძრაობა, ბურჟუაზიულ-თავადანაწარული და წვრილბურჟუაზიული ლიტერატურის გარემოში. თუმცა პროლეტარული ლიტერატურა ხშირად განიცდიდა ამ გარემოცვის გავლენას, მაინც ძირითადად მთელი ლიტერატურული ფრონტის წამყვან ძალად დარჩა. დამახასიათებელია, რომ პირველი თაობის პროლეტარული მწერლები არ ჩამორჩენია პროლეტარული ლიტერატურის შემდგომი ზრდის ტემპებს. მათ შესძლეს პლაკატური პოეზიის სტილიდან გადასულიყვნენ რეალისტური შემოქმედების უფრო ღრმა ფორმებზე. ამ პროცესის საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ სანდრო ქუჩის, ი. ვაკელის, ნ. ზომლეთელის, პ. სამსონიძისა და სხვათა შემოქმედება.

მაგრამ ქართული პროლეტარული ლიტერატურის ზრდა კვ გან-
მტკიცება უმთავრესად ხდებოდა ახალი მძლავრი შემოქმედებითი
კადრების ხარჯზე. ქართულმა პროლეტარულმა ლიტერატურამ წა-
მოაყენა და აღზარდა ისეთი შემოქმედებითი ფიგურები, როგორც
არიან — ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ჯ. ჯაფარიძე,
ლ. აბაშიძე, ფ. ნაროუშვილი, ბ. ჩხეიძე და ე. პოლუ-
მორდვინოვი. და ამის შემდგომ კიდევ ახალი თაობა: ირაკ-
ლი აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ა. გომიაშვილი,
კ. ბობოხიძე და სხვ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე თანაბარი ინტენ-
სივობით მუშაობს როგორც ლექსის, ისე პროზის დარგში. მის პოე-
ზიას ახასიათებს ჯანსაღი ლირიზმი, განთავისუფლებული მისტიკის
ელემენტებისაგან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. ლორთქი-
ფანიძის პოემა „მუშა გამომგონებელი“, რომელშიც მან მოგვცა
ხუთწლედის გმირის — სოციალისტური ინდუსტრიის მოწინავე ენ-
ტელზისტის სახე.

მისი უკანასკნელი რომანი „ძირს სიმიინდის რესპუბ-
ლიკა“ ნაგარაუდევია ფართო მხატვრულ ტილოდ, რომელიც ასა-
ხავს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პროცესებს.

ავტორი თვალსაჩინო მხატვრული ოსტატობით გვიჩვენებს ახალ
სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებებს სოფლად. რომანის სუს-
ტი მხარეა ფრაგმენტარობა, მტკიცე კომპოზიციური ლერძის უქონ-
ლობა. ავტორმა ვერ შესძლო საკმაო გამოკვეთილობით დაენახე-
ბინა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი სოფლის სოციალისტურ
მშენებლობაში.

პროლეტარული პროზის ერთერთი მოწინავე ოსტატის პანტე-
ლეიმონ ჩხიკვაძის შემოქმედებას ახასიათებს თემების სი-
უხვე. მისი მოთხრობები და რომანები იშლება როგორც სოციალის-
ტური ინდუსტრიის ფონზე, ისე სოფლის სოციალისტური გარდა-
ქმნის მასალაზე. მისი შემოქმედების ობიექტებს წარმოადგენს რო-
გორც თანადროულობის პროცესები, ისე ისტორიულ-რევოლუციუ-
რი წარსულის მოვლენები. თავისი შემოქმედების ძირითად ამოცანად
იგი სახავს საბჭოთა სინამდვილის განვითარების ტენდენციათა მხატ-
ვრულ გამოვლინებას.

სინამდვილის რომანტიკული ასახვისადმი მიდრეკილებას პ. ჩხიკ-
ვაძე ხშირად მიჰყავს სიტუაციის ერთგვარ ნაძალადეობისა და
ტიპაჟის სქემატიზმისაკენ.

პოეტი დრამატურგი კ. კალაძე თანმიმდევრულად და წარ-
მატებით მუშაობს თანადროულობის პოეტური ასახვის ახალ ფორ-
მათა დასაუფლებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მან მოგვცა საგუ-
ლისხმო ცდა ქართულ პროლეტარულ პოეზიაში დაემკვიდრებინა

ფაბულური პოემის ტრადიციები („უჩარდიონი“, „ამბავი აქაროლ/ამხანაგებზე“).

„უჩარდიონში“ ავტორმა თავისი ენერჯის დიდი ნაწილი მოაწოდო უარყოფითი ტიპების დახატვას, ახალი ცხოვრების წარმოადგენელნი კი უფრო მკრთალი გამოუვიდა.

იდეური გამახვილება და თემატიკური აქტუალობა ახასიათებს ფ. ნაროუშვილის პოეზიას. მისი „ზოლტი ეწვევა აგიტაციას“, „ერიყლაპია“, მრავალი სხვა ლექსი და პოემა მოწმობს პოეტური ნიჭის სიმკვეთრესა და სიახლეს.

ახალგაზრდა პროლეტარულ ბელეტრისტთა შორის უნდა აღინიშნოს ბორის ჩხეიძე. მისი „ღღეები“ გვიხატავს სამხრეთ-ოსეთის ღარიბი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას მენშევიკურ დიქტატურის წინააღმდეგ. წიგნში ნაამბობია ის ბარბაროსობა, რომლითაც მენშევიკურმა დემოკრატამ უპასუხა სამხრეთ-ოსეთის მშრომელ მასათა რევოლუციურ გამოსვლას.

ცხადია, ამ ახალგაზრდა მწერალთა კადრების შემოქმედებითი ზრდისა და განმტკიცების პროცესი უმტკივნეულოდ არ ვითარდებოდა. აქ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი იდეური გარღვევები და ცალკეული მხატვრული მარცხი. მაგრამ მთელი რიგი წლების განმავლობაში თანმიმდევრული შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია, რომ აქ დასახელებული მწერლები მკითხველთა ფართო მასებში უკვე სარგებლობენ უდავო პოპულარობით.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია პ. საყვარელიძის შემოქმედება. საქართველოს მუშებისა და რევოლუციური გლეხობის თავგანწირული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, გამარჯვებული რევოლუციის ბარბაროსული შურისძიება, საპყრობილის, კატორღის და სახრჩობელის საშინელებანი — აი, პ. საყვარელიძის ძირითადი თემატიკა. პ. საყვარელიძემ მოგვეტოვებინა მთელი გაღერა და მთელი რიგი მკვეთრი ეპიზოდები, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

ამ მხრივ მისი „დაფანტული ფურცლები“, „ეკლიან ვზაზე“, „ქვა და რკინა“ და „უქანასკნელი ვადასარბენი“ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს წარმოადგენენ. მაგრამ მის ნაწარმოებთა ინტერესს ასუქტებს ის გარემოება, რომ ავტორი ძალიან დაუდევრად ეპყრობა საუკეთესის აგებას. მისი კომპოზიციური ხერხები მეტად პრიმიტიულია; ტიპაჟი მოცემულია არა მოქმედებაში, არამედ გამიზნების ავტობიოგრაფიებით.

რამდენიმე სიტყვა ჭარბულ საბჭოთა დრამატურჯის შესახებ. აქ დავსჯერდები სულ მოკლე მიმოხილვას, რადგან დრამატურჯის საკითხებზე ყრილობას ცალკე ექნება შესჯელობა.

მთელი რიგი საუკეთესო პროლეტარული პოეტები (კ. კალაძე, ა. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, ი. ვაკელი)

იწყებენ მუშაობას დრამატურგიულ ნაწარმოებებზე. რევოლუციის წინაპროინდელი დრამატურგიის ოსტატები (შ. დ ა დ კ ა ა ნ ი, ს. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი) თანდათან გადადიან რევოლუციურ ნაწარმოებულთა თემატიკაზე, ჩვენი ეპოქის აქტუალურ სპოზიტებზე. ჩნდება მთელი რიგი ახალი თვალსაჩინო ძალები, რომელნიც უმთავრესად დრამატურგულ ეანრზე მუშაობენ (კ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვ. ბ ა ა ზ ო ვ ი, ვ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა).

ამ კადრების შემოქმედებითი აქტივობის შედეგად ქართული ორიგინალური დრამატურგია უკვე იძენს განსაზღვრულ ხვედრითს წონას ქართული თეატრების რეპერტუარში (რომელნიც, რა თქმა უნდა, უარს არ ამბობენ საბჭოთა დრამატურგიის — საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა საუკეთესო ნიმუშებისა და კლასიკური მემკვიდრეობის ფართოდ გამოყენებაზე), იგი ხდება ჩვენი სათეატრო ხელოვნების ფრიად წარმატებული განვითარების წამყვან ფაქტორად.

კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ი ს პიესა „როგორ?“ ასახავს საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პიესა მოკლებულია მტკიცე სიუჟეტურ აღნაგობას, მაგრამ მასში ისეთი სიმკვეთრითა და დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი რევოლუციური წარსულის ცალკე ეპიზოდები, ისე ცოცხლად არის დახატული რევოლუციური გლეხობის ცალკე ტიპები, რომ პიესა გარკვეული პოპულარობით და წარმატებით სარგებლობს, რჩება რეპერტუარში მთელი წლების განმავლობაში. მისი მეორე პიესა „ხატიჯე“ მთელი სიმწვავეით გვიჩვენებს პატრიარქალური ყოფაცხოვრების მსხვერვის პროცესებს აჭარისტანის ერთერთ ჩამორჩენილ მთიან რაიონში, სადაც წარსულის ტრადიციები და ცრუმორწმუნოებანი ვაფთვრებულ წინააღმდეგობას უწევენ გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას. პიესა აგებულია ამ კოლიზიების მასალაზე და ადგილადგილ ღრმა დრამატიზმს აღწევს. რაც შეეხება კ. კ ა ლ ა ძ ი ს პიესას „სახლი მტკვრის პირად“, რომელშიც ავტორი შეეცადა კომედიურად ეჩვენებინა ქართველი ინტელიგენციის რეაქციონური ნაწილის სახე, მან აქ სრული მარცხი განიცადა. ავტორმა ვერ შესძლო დაეხატა ინტელიგენციის დიფერენციაცია და გამოუვიდა მთელი ქართველი ინტელიგენციის ლანძღვა, ამასთან სახეები და მდგომარეობანი მოხაზულია არადამაჯერებლად, ხელოვნურად, გაშარებულად.

ა. შ ა შ ა შ ვ ი ლ ი ს „განგაში“ და პ. ს ა მ ს ო ნ ი ძ ი ს „საღატე“ გაშლილია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საკოლმეურნეო მშენებლობის მასალაზე. პ. ს ა მ ს ო ნ ი ძ ე მ შესძლო თავი დაედღწია სტემატიზმისათვის და ცოცხალი, სისხლქარბი ადამიანები დაეხატა. მან შესძლო გმირები და ამბები ეჩვენებინა საინტერესო სიუჟეტურ კომპოზიციით. პიესის ცენტრში მან დააყენა კომკავშირელი, რომელიც თავდადებით იბრძვის ახალი ცხოვრებისათვის და

რომელიც ჯერ კიდევ არ აღსახულა ქართულ დრამატურგიაში. ყოველივე ამან განსაზღვრა „სალტეს“ წარმატება მაყურებლებში, მიუხედავად ცალკე სიტუაციების გულუბრყვილობისა, ~~დრამატურგული~~ ხერხების პრიმიტიულობისა.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობს უკანასკნელ წლებში ძველი მწერალი შალვა დადიანი, რომელმაც თავისი ახალი პიესებით დამატკიცა გულწრფელი სწრაფვა შემოქმედებითი გარდაქმნისაკენ, აქტიური მონაწილეობისაკენ სოციალისტური ლიტერატურისათვის ბრძოლაში.

პიესით „კაკალ გულში“ მან მოგვცა საბჭოთა კომედიის შექმნის საინტერესო ცდა. ასეთივე ყურადღების ღირსია მისი პიესა „თეთნულდი“, სადაც ავტორის შემოქმედებითს ამოცანას წარმოადგენს ტრაგედიული თანობის გამოყენება მომაკვდავი და აღმომავალი ქვეყნების ბრძოლის მხატვრული ასახვისათვის. ამისთვის იგი ახდენს ამ ძალების პერსონაჟიკაციას ერთი მხრით პატრიარქალურ-გვაროვნული ფორმაციების წარმომადგენლის, ხოლო მეორე მხრით ამ ქვეყნის ეკონომიური, კულტურული და საყოფაცხოვრებო ჩამორჩენილობის დაძლევისათვის მებრძოლ ახალგაზრდათა სახეებად.

მაგრამ შ. დადიანი, რომელიც გადაქრით შორდება თავის ძველ ლიტერატურულ ტრადიციებს, ჯერ კიდევ მტკიცედ არ დამდგარა პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე. მან ვერ შესძლო ამ პიესებში სინამდვილის სწორად ასახვა. პიესა „კაკალ გულში“ წარმოადგენს ბოროტ სატირას საერთოდ საბჭოთა აპარატზე და არა მის ცალკეულ ვაზრწილ წარმომადგენლებზე. ხოლო „თეთნულდში“ მან ვერ შესძლო მშრომელი სევანების ახალგაზრდა თაობის ისეთივე მკაფიოდ და სისხლჭარბად დახატვა, როგორც დახატული ჰყავს ძველი, მომაკვდავ ფორმაციის წარმომადგენლები.

მაგრამ შ. დადიანის შემდგომი მუშაობა და კერძოდ მისი „ნინოშვილის გურია“, რომელიც რევოლუციურ-პროლეტარული ლიტერატურის ერთერთი წინამორბედის ნაწარმოებთა დრამატურგიულ მონტაჟს წარმოადგენს, მოწმობს, რომ ქართული დრამატურგიის ეს დიდი ოსტატი სწრაფად ახდენს თავისი შემოქმედებითი გზების გარდაქმნას და მუშათა კლასის იდეურ პოზიციებს უახლოვდება.

იგივე შეიძლება ითქვას მეორე ძველ დრამატურგ სანდრო შანშიაშვილზეც. თავის პიესაში „სამნი“ მან მოგვცა ამიერკავკასიის მოძმე ერების ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეათა განხორციელება, ამზილა ქართველი მენშევიკების, სომხის დაშინაკების და თურქი მუსავატელების შოვინისტური პოლიტიკა. ამ ნაწარმოებით ავტორმა თავისი შემოქმედებითი მახვილი მიმართა იმ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომლის ტყვეობაშიც ზევით შანშიაშვილიც დიდხანს იმყოფებოდა.

ს. შანშიაშვილის დრამატურგიულ დამსახურებათა შორის უნდა აღინიშნოს მის მიერ ვ. ს. ივანოვის პიესის „ჯავშანოს“ გადმოკეთება „ანზორის“ სახელწოდებით. იგი წარმოადგენს საუკეთესო ქართულ თეატრის — რუსთაველის თეატრის მთავარ წარმოდგენათაგანს და ამ თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ს. შანშიაშვილი, მთელი რიგი მისტიკური პიესების და ნაწარმოებების ავტორი, რომლებშიც იდეალურად წარმოდგენილია ფეოდალური წარსული, სწრაფად დგება რეალისტური შემოქმედების გზაზე, სოციალისტური სინამდვილის მხატვრული ასახვის გზაზე.

ახალი საბჭოთა კომედიის მალალმხატვრული ნიმუშები მოგვცა დრამატურგმა პ. კაკაბაძემ, პიესების „ყვარყვარე თუთაბერის“ და „ბახტრიონის“ ავტორმა. იგი მოხდენილად იყენებს ხალხურ ნიღბებს ქართული ფოლკლორიდან შემკრებლობითი სახეების შესაქმნელად და თავისი პერსონაჟების ხასიათის რელიეფურად საჩვენებლად. პიესების განსაკუთრებით გონებამახვილი ლექსიკური მასალა, დიდი დახვეწილობით და გემოვნებით დამუშავებული, აგრეთვე კომიკურ მდგომარეობათა საინტერესო სელაზე სიუჟეტის აგების უნარი მის პიესებს დიდ პოპულარობას და რეზონანსს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან აგებული ჩვენი სინამდვილის თემატიკაზე.

უკანასკნელი პერიოდის დრამატურგიულ ნაწარმოებთა შორის საჭიროა აღინიშნოს ი. ვაკელის პიესა „შამილი“, რომელიც გვიხატავს კავკასიის მთიელთა ბრძოლას შემოტევაზე გადმოსული რუსული ცარიზმის წინააღმდეგ. ბააზოვის პიესა „მუნჯები ალაპარაკდენ“ გვიხატავს ქართველ ებრაელთა ცხოვრებას, რომელნიც დაადგენ საკოლმეურნეო მშენებლობის გზას. ბოლოს მისივე „ხაგაი“, გვიხატავს მშრომელ ებრაელების ბედობაღას ჩვენში და მძინვარე ფაშისტური დიქტატურის ქვეყანაში, ჰიტლერის გერმანიაში.



საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ მძლავრ იმპულსად გადაიქცა ქართული ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისთვის ბრძოლის პროცესში, ჩვენ შევძელით დაგვესხვრია ჯგუფობრიობა, გადაგველახა „მემარცხენული“ ვულგარიზატორობის და ადმინისტრირების ტრადიციები სალიტერატურო ორგანიზაციების პრაქტიკაში. გამოვლავნებულ და გამოაშკარავებულ იქნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანე-

ლობის დროს შემოქმედების მეთოდის და ლიტერატურული პოლიტიკის საკითხებში ჩადენილი შეცდომები, ანტილენინური განწყობილებანი, გადაჭრით ხელი აიღეს რა ხელოვნური პრესტიჟიზაციების და ადმინისტრაციული ჰეგემონიის ტრადიციებზე, საქართველოს პროლეტარულმა მწერლებმა დაიწყეს ნამდვილი შემოქმედებითი შეჯიბრება უპარტიო საბჭოთა მწერლების საუკეთესო ძალებთან.

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურაში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა — საბჭოთა მწერლების ძირითადი მასა აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში. თვალსაჩინოდ ამაღლდა შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გრძობა. პარტიის გაძლიერებულ ყურადღებას და ნდობას საუკეთესო საბჭოთა მწერლებმა ჩვენი დიდი ეპოქის გმირული სულით გაჟღენთილი ახალი ნაწარმოებებით უპასუხეს.

ჩვენი ლიტერატურის განვითარების ახალი ეტაპი ხასიათდება მდიდარი თემატიკით და ფრიად სერიოზული ცდებით, რომ სოციალისტური სინამდვილის პრაქტიკა სიმართლით აისახოს. ამ პრაქტიკის მრავალმხრიობა იწვევს ეპოქისა და ლიტერატურული შემოქმედების მკვეთრ ფორმათა დიდ მრავალფეროვნებას.

ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილებისთვის, სოციალისტური ინდუსტრიის ზრდა, სოციალისტური ყოფაცხოვრების შექმნა, პროლეტარიატისა და გლეხობის გმირული წარსული — აი მთავარი მომენტები თანამედროვე ქართული ლიტერატურის იდეურ-თემატიკური შინაარსისა, სადაც ძირითად შემოქმედებით პრობლემას წარმოადგენს ახალი ადამიანის ჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მოხდა ქართული ლიტერატურის შემოქმედებითი ძალების დიდი აქტივობაცია, რის შედეგადაც ჩვენ ვვაქვს მთელი რიგი ნაჭიერად დაწერილი ნაწარმოებები, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ვერ კიდევ ვერ შექმნა ისეთი სრულყოფილი ნაწარმოები, რომელშიც მოცემული იყოს თანამედროვე სინამდვილის ფართო სინთეტიკური ასახვა და რომელიც თავისი შესრულების ხარისხით სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანათა სიმალლეზე იდგეს. ლიტერატურის ამ ჩამორჩენას ჩვენი სინამდვილის განვითარების ტემპებისაგან, თავისი მიზეზი აქვს: ჩვენი ლიტერატურის ძირითადი კადრები (უმთავრესად ძველი მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლები), გულწრფელად მიისწრაფვიან სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩაება თანამედროვე შემოქმედებით. მაგრამ მათ ვერ კიდევ ვერ შესძლეს ბოლომდე გარდაექმნათ შემოქმედებითი გზები და ორგანულად დაუფლებოდნენ თანადროულობის კონკრეტულ მასალას. მეორე მხრივ ისინი ვერ კიდევ კრიტიკულად ვერ დაუფლებიან ლიტერატურული მემკვიდრეობის მთელ სიმდიდრეს და ვერ შეუღმუშავებიან ახალი შემოქმედებითი ხერხები, ეს კი აუცილებელია ისტორიული ეპოქის დიდი მოძრაობის მხატვრული აღსახვისთვის.

ჩვენ მწერლებს ჯერ კიდევ ვერ უსწავლიათ — ღრმად ჩასწვლენ სინამდვილეს და მოვლენათა ზედაპირის იქით გამოაქვინონ მათი მამოძრავებელი ძალები. ისინი საკმაოდ არ ამდიდრებენ თავიანთ თავს სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდებით. სასოვოდ იხილიან ძალიან ნაკლებად ზრუნავენ ენისთვის, რომელიც მთავარი იარაღია აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად.

ყველაფერ ამას ერთვის ისიც, რომ ჩვენს ლიტერატურაში არის კლასობრივად უცხო განწყობილების ცალკეული გამოსატყულებები, რომლებსგანაც თავისუფალი არ არის ზოგიერთი პროლეტარული მწერალიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენა, რომელიც ფეხდაფეხ ვერ მისდევს არა თუ ჩვენი მშენებლობის განვითარების ტემპებს, არამედ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ზრდასაც. მასში კიდევ ცოცხალია ჯგუფობრიობის ნაშთები, რომელიც ხშირად ცალკეულ მწერალთა კადრების დეზორიენტაციას ახდენს.

ჩამორჩენის ერთერთ ნიშანს წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურის სისუსტე და ჩვენი მწერლების მიერ სამხედრო-თავდაცვითი თემატიკის უკმარისად გაშუქება.

ჩვენი მუშაობის ერთერთ ძირითად ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ჩვენი მწერლები ორგანულად ჯერ კიდევ ვერ დაუკავშირდნენ საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების: აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის ლიტერატორებს; ძალიან სუსტია ის დახმარება, რომელსაც ისინი ჩვენგან ღებულობენ. ეს ლიტერატორები კი, სისტემატურად ამჟღავნებენ ახალ მხატვრულ ძალებს და აქვთ ყველა პირობა იმისათვის, რომ კვალდაკვალ მიჰყვნენ მთელ საბჭოთა ლიტერატურას. იგივე უნდა ითქვას მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან გამოსულ მწერალთა ახალი კადრების შესახებ. საქმის საუკეთესოდ დაყენებით ჩვენ აქ გვექნებოდა მეტი მიღწევები, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ.

ჩვენი პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე ჩვენი მიღწევების დემონსტრაციას, უკლებლად გაითვალისწინებს ამ ჩვენი სალიტერატურო მოძრაობის სუსტ მხარეებს და დასახავს რეალურ გზებს მათი სწრაფად დაძლევისათვის.

ქართველი საბჭოთა მწერლები, მთელი ჩვენი დიდი კავშირის მოძმე ხალხთა მწერლებთან ერთად, კიდევ უფრო მედგრად გააჩაღებენ ბრძოლას სოციალიზმის მშენებელ, ჩვენი დიდი ეპოქის ღირსი ლიტერატურისთვის. ამის გარანტიას წარმოადგენს ის განსაკუთრებული ყოველდღიური დახმარება, რომელსაც უწევს სალიტერატურო ფრონტს ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ბრძენი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადი, დიდი სტალინი.

გიორგი ნატროშვილი

ღმენა შენგელაია

ბელინსკიმ უზარმაზარ მდინარეს შეადარა მხატვრული ლიტერატურის ისტორია. დიდი მდინარენი წყალს ნაკადულებიდან და ლეღეებიდან, შესართავებიდან და პატარა მდინარეებიდან იღებენ, მაგრამ ვინ დაიწყებს ეოლგის ანალიზს იმ მიზნით, რომ მასში აღმოაჩინოს ოკას და კამას წვეთები? ვინ გასინჯავს მტკვრის წყლის შემადგენლობას, რომ მასში იპოვნოს არაგვისა და ალაზნის ტალღები? ბოლოს და ბოლოს ისინი ყველა ზღვიდან არიან წამოსული. ცხოვრებაც ასეა. კაცობრიობის აზროვნებას და მხატვრულ გენიას რაც კარგი რამ შეუქმნია — დღეს დიალექტიკურად გარდაქმნილი მემკვიდრეობის სახით შედის სოციალისტურ ხელოვნებაში. მაგრამ ეს მდინარე მიდის ყოველთვის ისტორიის და კლასთა ბრძოლის მიერ გაკვალულ კალაპოტით. ასეთი ახალი კალაპოტი გაუჭრა რევოლუციამ ქართულ მწერლობასაც და ის სოციალისტურ რეალიზმის გზაზე გადაიყვანა. ეს გარდატეხა მთელი სიმბაფრით გამოიხატა ღმენა შენგელაიას შემოქმედებაში. „სანავარდოსა“ და „ტფილისის“ ავტორს ერთის მხრით და მეორე მხრით „ფიკის“ და „ბათა-ქეჭიას“ ავტორს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. აქ ორი სხვადასხვა იდეური ქვეყანაა, მძაფრად დაპირისპირებული ერთი-მეორეს; კლასთა ბრძოლის ტალღების ლეღვამ ეს მწერალიც ახალი ქვეყნის ნაპირებისაკენ გადმოიხროლა, ახალი ადამიანის სულის ინტენერად აქცია.

დღეს შენგელაია მტკიცედ სდგას ახალი რეალიზმის პოზიციაზე. მაგრამ დღემდე მან საკმაო ხარკი გადაუხადა მკვდარ თაობათა ტრადიციებსაც. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა „ტფილისისა“ და „სანავარდოში“. ამიტომ მწერლის მთლიან შემოქმედებითი ისტორიის გამოსარკვევად საჭიროა განვიხილოთ მისი შემოქმედების პირველი პერიოდიც. ჩვენც აქედან ვიწყებთ მის შეფასებას.

ტფილისი, როგორც თემა მხატვრულ შემოქმედებისა თავის ისტორიულ და თანამედროვე მნიშვნელობით — განსაკუთრებით საინტერესოა გახდა ქართულ ლიტერატურის ისტორიის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე. ლიტერატურაში ქალაქები მაშინ იქცევენ ასეთ ყურადღებას, როცა

ისინი არიან რაიმე უზარმაზარ ამბის მოწმენი და ახალ, ეპოქალურ გარდატეხათა შემომქმედნი. ტფილისიც ასე იყო. მის კალთებში დაღლია სული ფეოდალურმა საქართველომ, აქ დააწყდა უკანასკნელი სამხრეთ-დასავლეთი ლევი პარაზიტულ კლასებს და ამრიგად ამ ქალაქის სიტუაციით გადაიარა ისტორიის ქარიშხალმა. მის უბეშივე გაიზარდა და დაეკავცდა სახელოვანი ტფილისის პროლეტარიატი, რომელმაც შეტევა ხუდადოვის ტყიდან, ნაძალადევიდან და განაპირა უბნებიდან დაიწყო, შემდეგ მის შუაგულში აღმართა ბარიკადები და დღეს ეს ქალაქი სოციალიზმის მკვიდრ შვილად გადააქცია. საერთოდ ამ „ქალაქების თემაში“ ძველი დროიდანვე არის ტოკრატებს წარსულ დროთა ძახილი იზიდავდათ, ხოლო რევოლუციონერებს ქუჩები და ბარიკადები. დღევანდელ მწერლის აზროვნებას ბევრ რამეს ეუბნება ეს ქალაქი და ამიტომ ვახდა ლიტერატურაში და განსაკუთრებით ქართულ პოეზიაში ტფილისი ლექსის საუკეთესო თემად.

რისთვის უმღერა ასე დიდებულად ბაირონმა „ჩაილდ-ჰაროლდის“ მეოთხე სიმღერაში ვენეციას და რომს? იმიტომ, რომ ისინი მიაჩნდა მას რაინდული ქვეყნის უძველეს სამშობლოდ, მან უწოდა ვენეციას ზღვის დედოფალი და პიონი უმღერა მის ღერბს — ფრთიან ლომს, რომელსაც ცალი თათი გადაშლილ სახარებაზე ედგა. და მით უმეტეს რომი ბევრ რამეს მოუთხრობდა მშფოთვარე არისტოკრატის სულს. „ძვირფასო ქალაქო, ჩემის სულის სამშობლოვ“ — მიმართავდა მას ბაირონი და თაყვანს სცემდა იმიტომ, რომ ის იყო ბრუტოსის სამშობლო, ვირგილიუსის და პორაციუსის წარმომშობი ადგილი. ამ ქალაქში მან დაინახა მთელი ძველი ქვეყნის შორეული აზრდილი, ისე როგორც პეშკინმა მონარქისტულ რუსეთის ძალა პეტერბურგის სახით გამოსახა. ის სწერდა:

„Прошло сто лет — и юный град.
 Полнощных стран краса и диво,
 Из тьмы лесов, из топи блат
 Вознесся пышно, торделиво.
 Люблю тебя, Петра творенье,
 Люблю твой строгий, стройный вид,
 Невы державное течение,
 Береговой ея гранит.
 Люблю военная столица,
 Твоей твердыни дым и гром.
 Когда полнощная царица,
 Дарует сына в царский дом,
 Или победу над врагом
 Россия снова торжествует,
 Или, взломав свой синий лед,
 Нева к морям его несет
 И, чужа вешни дни, ликует.
 Красуйся, град Петров, и стой
 Неколебимо, как Россия!“

პუშკინმა ეს ქალაქი ძველი რუსეთის ბურჯად მიიჩნია.

ალექსანდრე ბლოკი რავენამ გაიტაცა. რა ნახა მან ამ ძველ ქალაქში? „ქალაქს სძინავს ღრმა ძილით — სწერდა ის ერთ კერძო წერილში იტალიიდან — რავენამ ყველა ქალაქებზე უფრო კარგად შეინახა ადრინდელი ხელოვნების ძეგლები... ჩვენ ვნახეთ დანტეს სასაფლაო, ძველი სარკოფაგები, გასაოცარი მოზაიკები, ტეოდორიხის სასახლე. იქვე მინდორზე ვარდ-ყვავილთა შორის — ტეოდორიხის სასაფლაოა“. ხოლო თვით მისი „იტალიანური ლექსები“ რავენას შესახებ — მთელი რომანტიზმია — მას წარმოდგენილი ჰყავს ეს ქალაქი, როგორც ყრმა, რომელსაც სძინავს საუკუნეების მკლავზე. შემდეგ ვახდა ქალაქი მთავარი თემა ისეთი ლიტერატურისა, რომელიც ფოლადის საუკუნემ გაიტაცა. ბალზაკმა და დიკენსმა კლასიკურად გადმოგვეცეს კაპიტალისტური ქალაქის მთელი არსი; გვიჩვენეს მისი ანარქიული ცხოვრება, მისი ქუჩები და სასახლეები. სხვადასხვა ეპოქის მწერალი სხვადასხვა მხრიდან ხატავდა ამ საგანს.

ასე რომ ქალაქის თემას ლიტერატურაში აქვს თავისი ისტორიაც და ტრადიციაც.

დემნა შენგულიამაც ეს თემა აირობა და სწორედ ამ საგნის შემეცნებით ჩვენ გადმოგვცა თავისი იდეური და მხატვრული აზროვნება. ეს იყო მისი შემოქმედების პირველ პერიოდში, როცა ის ჯერ კიდევ არ გადასულიყო იდეალიზმიდან და დოსტოევშინიდან ნათელ რეალიზმზე, რომელზედაც ის დღეს იმყოფება. რა თქვა ძირითადში მან თავისი „ტფილისით?“ დედაქალაქის პროსპექტებზე და ქუჩაბანდებში მან დიდხანს ეძება ძველი დავიწყებული ლეგენდა სამშობლოსი — ნაციონალისტური ინტელიგენციის თაობიდან თაობაზე ზღაპარივით რომ ვადადიოდა. სინამდვილეში კი ძველად ტფილისი იყო ცენტრი უმკაცრესი სენიორალური რეჟიმისა, შემდეგ ოქტომბრამდე კი ჩინოვნიკურ მართვა-გამგეობის და მშრომელთა ექსპლოატაციის მთავარი სადარაჯო. „ტფილისში“ არ გამოჩნდა ახალი სოციალისტური ქალაქი, ხოლო მკვდარმა და ლანდთქცულმა ნანგრევებმა ძველი ტფილისისა ავტორის ყურადღება მიიქციეს როგორც ხელშესახებმა ნაშთებმა ძველი საქართველოსი. და როგორც ყოველ ნაციონალიზმის ჩვეულებაა — აი ეს გაცრეცილი და ქანცგაწყვეტილი ნაშთები — ხდებიან მწერლისთვის იდეალიზაციის საგნად. „რითაა შესანიშნავი ტფილისი?“ კითხულობს მწერალი. შესანიშნავია თურმე იმით, რომ ისა ჰგავს წმ. შუშანიკის ძუძუს თავს, რომ მასში აწამეს ამო ტფილელი, რომ ძველ საგოდებელს ქვემოდ ანთია წმინდა კელაპტრები და მის წინ ლოცულობენ დამხობილი ფეხშიშველა მოხუცი დედაკაცები. ამ ლოცვასთან ერთად ავტორს ესმის მხოლოდ სიონის და ანჩისხატის ზარების გუგუნე. უყურადღებოდ არაა დატოვებული არც რუმბები „ბაყბაყ მდეგებივით“ რომ წამოწოლილან სირაჩხანებში. ამის დავიწყება როგორ შეიძლებოდა, ეს ხომ ძველი პატრიოტულ საქართველოს ნაციონალურ გრძობების სიმბოლოა!!! შემდეგ მწერალი ხედავს ტფილისში შაჰ-აბასის მეჩეთს, მუსულმან ქალის ჩარსავს, აქლემთა ქარავენებს შითან ბაზარში,

რომელთაც სპარსეთის და ერევნის გზები ვადმოუვლიათ, იხმენს სათაროს, ჩამჩი-მელქოს, საათანავას და ბესიკის მუხამბაზების ბორჯეას ტფილისის ბაღებში. ყველაფერ ამაზე ისე თბილი და ნაღვლიანი ვერცხვები — ლაპარაკობს მწერალი — რომ მისი სიმპატია აშკარად იხრებდა წმ. სოციალისტურ-კონყველაფერი ეს კი საკმაოდ ნაცნობი იყო ქართულ ლიტერატურისთვის. ძველი ტფილისი ძლიერ გახმაურებული თემაა: ტფილისის აზიური ნაშთების ირგვლივ შეიქმნა მთელი პოეზია (გრიშაშვილი), სახვითი ხელოვნება (ფიროსმანი, გუდიაშვილი), მხატვრული პროზა (ბარნოვი); „ტფილისში“ დემნა შენგელია ამათ მიერ გაკეთულ იდეური გზით მიდის; „რა არ გახსოვს ტფილისო, რის მომსწრე არა ხარ“ მიმართავს შენგელია ტფილისს, ისე ორგორც ბარათაშვილი მტკვარს ეუბნებოდა: „ვინ იცის მტკვარო რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი, მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვიო“. და ამ ქალაქს, რომელიც მწერლის თქმით „დედალი ხოხობივით კრიახობდა საუკუნეებში“, ახსოვს ხაზარები, სარკინოზები, პუნნები, ბიზანტიელები, მონღოლები, არაბები, სელჯუკები, ოსმალები, განრისხებული ბასილი დიდი კეისარი და გამძვინვარებული საჭურისი ჭოსა ალა-მამამდ-ხანი. მაგრამ ის მაინც მიუტყარებელი დარჩაო — იმედინად გაიძახის ავტორი.

არაფერი საიდელიზაციო აქ არ არის, ეს ძველი ტფილისი, რასაც ასე პათეტიურად თავს ევლებოდა მწერალი — ნაშთია სიძველის და არქაულობის, ამ ნანგრევებს დღევანდელი მწერალი ისე არ უნდა უცქეროდეს, როგორც გრიგოლ ორბელიანი ბეთანიის ეკლესიას, რადგან ეს უკანასკნელი უცხოა ჩვენთვის იდეურად. დღემდე თითქმის კულტი იყო შექმნილი ძველი ტფილისისა და ხელოვნებაც მომზიბლველ ლეგენდარულ ბურუსში ახვევდა მას. სინამდვილეში კი იგი იმავე კატეგორიის მოვლენაა, როგორც რუსული ოკუროვშინა, ეს აზიური უკულტურობის ნაშთი, რომელიც რევოლუციამდე გამანადგურებელი კრიტიკით მიწასთან გაასწორა მაქსიმ გორკიმ. აი რა სთქვა ნიკო ნიკოლაძემ ძველი ტფილისის შესახებ: „როცა ტფილისი... ტუჩებს გააღებს, მის პირში მაშინვე ჩამტვრეულ და გაშავებულ კბილებივით გამოიქვრეტს შუა ბაზარი, ანჩისხატის უბანი. მეჭეკებივით აჩნია მის შუბლს და ლოყებს მეტების ციხე, ტფილისის დანგრეული ციხე-დარბაზი, სპარსელების შეჩეთი და თათრების სასაფლაო“. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეს სტრიქონები დაიწერა. შით უმეტეს დღეს, როცა ხდება ტფილისის გადაქცევა სოციალისტურ ქალაქად — ისევ ამ ნანგრევების გარშემო ტრიალი ჩამორჩენილობის და არქაულობის ნიშანია.

ასეთი ვანწყობილებით მისვლას ტფილისთან დემნა შენგელიას შემოქმედებაში თან ახლდა იდეალიზმის და რომანტიზმის იდეოლოგია. ძლიერ დამახასიათებელი იყო მაშინ მწერლისათვის რეალური და ირრეალური პლანების არევა, ხელშესახებ მოვლენებიდან, ძველი ტფილისის სრულიად პროზაულ ქუჩებიდან, სადაც ყველაფერი ნაცნობი, ყველაფერი ბოლომდე გაგებულა — უცებ გადასვლა მოჩვენებათა ქვეყანაში. იქ, სა-

დაც მწერალი რეალურ ყოფას უბრუნდება — ნართლაც მოსწონს მისი შემოქმედებითი ძალა, აქ მას შეუძლია თავისი გმირი ერთი კალმის მოსმით დახატოს, იცის მათი ყოფა, მათი ქარგონი, გარეგნობა და ქულისკეთება. ასე მაგ. ბაყალი გეო ცოცხლად დაგიდგებათ! ახლა წინ თავის ღუქით; „კიტრი, კიტრი! — იძახის ერთი კინტო — ნუ გეშინიან კიტროჯან, მუხრანში დაჩაგრულო, უბედურო კიტროჯან... აქა ვარ ჩემმა მშემ, აქა ვარ, საღამოთი გაგათხოვებ!.. დედა მოგიკვდეს კიტროჯან“ — და ეს ტიპი მთელი თავის ბუნებით ისეა დახატული, რომ ყოველი რეალისტი მწერალი ხელს მოაწერს მას. მაგრამ რამდენიმე სტრაქონის შემდეგ უკვე იწყება კოშმარები, სპირტუალისტურ ნისლში ეხვევა მთელი ქვეყანა, ჩნდება ზე-ემპირიული შემთხვევანი, რომელთა გაგებაც აეტორის აზრით გონების განკარგულებაში მყოფი ძალებით შეუძლებელია. ასე მაგალითად — სხედან ორი კაცი და ლენოსა სვამენ და უცებ მათ შორის ასეთი საუბარი იწყება:

— იცი, დუდეჯან, რა ვითხრა!..

— რა? შევეკითხე მე და ვაკვირვებით თვალებში მივაცივდი.

— ლამე არაფერი გესმის?

— არა, რა იყო? ვთქვი მე მოლოდინად გადაქცეულმა.

— მაშ ლამე ცაში არაფერი გესმის?

მე რაღაც მენიშნა და მოთმინებიდან გამოსულმა შეუტეე.

— კარგი ახლა, ვითხარ რაშია საქმე?

გეომ შემომხედა, გაჩუმდა და მერე წყნარად სთქვა:

— ღამით ცაში ძალღი ყმუის! არ გაგიგონია? მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს.

მეზვიით დამატყდა ეს სიტყვები, დახლს ავესნატე და ზარდაცემული თვალებით გეოს შევეცქეროდი.

— მაშ ყოველივე ეს სინამდვილეა? მოჩვენება არ არის? მე მეგონა, ყოველივე ეს ჩემი ავადმყოფი წარმოდგენის ნაყოფი იყო. კანკალმა ამიტანა.

— ხატი ძალთაპირი, ხატი ძალთაპირი!.. ვჭურჩულეზდი უაზროდ“.

და ეს ხატი ძალთაპირი, ძალღად გადაქცეული წმ. ქრისტეფორე — გამოყვანილია რომანში, როგორც ნამდვილად არსებული, მაგრამ გამოუცნობი ძალა, რომელიც ყოველ ღამეს ჰყვფს ფუნქციონირიდან. კიდევ უფრო მძაფრი მისტიფიკაციაა შემდეგი ადგილი: „ეს სახლი სადაც მე ვცხოვრობ ჰგავს ვადარეულის კუზიან ბოდვას... ხშირად მეჩვენება თუ როგორ დაბორგავს ქუჩებში ეს მაწანწალა სახლი. დაძრწის ბოდვასავით, დასდევს როყინით პროსტიტუტებს და მერე დაღლილი და აჭოშინებული დაჯდება კრუხივით ქალაქის რომელიმე მოედანზე და ფრთების ფათქუნით აკრიახდება, მიჯრით მიწყობილ კრამიტებს გაშლის ფრინველივით, ფრთას ფრთას შემოჰკრავს და ცად აფრენილი დასჩხავის ქალაქს ყორანივით“.

სახლების გარდა დადიან ღამით ძველი, გარდაცვალებულ თაობათა წარმომადგენლები: „ყოველ ღამე დიდუბეში დგება ნიკო ბარათაშვილი საფლავიდან, გამოივლის მუშტაიღს და მიდის პლენხანოვსკის ქუჩაზე. შეშინებული პროსტიტუტები გზას უთმობენ ამ უცნაურ კაცს“. ბარათაშვილის გარდა გამოვლენ ვორონცოვი და პუშკინი, სეიდაბადის ტუჩით მდიან აბანოში და მთელი ღამე „დგაფუნობენ აპოკალიპსურ ვაყებივით“. რუსთაველის პროსპექტზე დასეირნობს „ნიაზო-რივით ყელმოღერებული მეთორმეტე საუკუნის თეთრი პოეტი რუსთა-ველი“. მე-XVIII საუკუნეში ლესინგმა ტყავი გააძრო ვოლტერს იმის გუ-ლისთვის, რომ ამ უკანასკნელმა თავის პიესაში აჩრდილი გამოიყვანა. ლესინგი როგორც რეალისტი ვერ შერიგებოდა ლანდებისა და აჩრდილე-ბის ფილოსოფიას. მით უმეტეს მე-XX საუკუნეში — ასეთი ფანტასტიური წარმოდგენა ქვეყნისა — ყოველად გაუმართლებელი და მიუღებელია. ეს კლასიკურ იდეალიზმზეც უფრო მარჯვნივ წასვლაა, მთელი ქვეყანა წარ-მოდგენილია როგორც რღვევა და ქაოსი; „ტფილისში“ ავტორს ქვეყანა ეჩვენება როგორც ავადმყოფური ზღაპარი სადაც არაფერი არ უნდა გა-ვიკვიოდეს. არც ეს პუშკინისა და ბარათაშვილის ლანდები, არც მოზერის ოდენა წმინდა ძაღლი, რომელიც ჰყვფს ციდან, არც ეს უამრავი რიცხვი გველებისა, არც მორიელი, რომელიც ქრისტესავით ჯვარზეა გაკრული და ყოველ მესამე დღეს ხდება მისი მკვდრეთით აღდგომა. ეს შემთხვე-ვითი არ არის, „ტფილისი“-სა და „სანავარდო“-ს ფურცლებზე მთელი იდეალისტური ფილოსოფიის სისტემაა გადაშლილი; მაგრამ აქ იდეალი-ზმი უკვე საესეებით გათქვეფილია რელიგიაში, ეშმაკეულთა რწმენაში. „ტფილისში“ არის ასეთი ფრაზა: „ფაქტები მოჩვენებებს ასა-ბუთებენ და მოჩვენებები ფაქტებში გადადიან“. „სა-ნავარდოში“ ერთი გმირი ამბობს: „ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოჩვენებაა, ქვეყანა, რომელშიაც ვცხოვრობთ უნი-კობოდეა“. აქვეა მსჯელობა და საუბარი უნივერსიტეტის შესახებ „სადაც ნოუმენი, რომელიც დიდი ასობით იწერება ვერ იპო-ვნეს“. ამ ფილოსოფიის შედეგია, რომ მისი ცალკეული გმირები ლან-დები არიან, უსხეულო განსახიერებანი იდეიისა, „მიღმა ქვეყნიდან“ მო-ვლენილნი. რეალური ქვეყანა წარმოდგენილია როგორც „მოჩვენება“ და „უნიკობოდეა“ და მასზე მალლა დაყენებულია მეორე, ტრანსცენდენ-ტური ქვეყანა და რჩება შთაბეჭდილება თითქოს მოვლენათა სფეროს, ფენომენთა ქვეყანას ეფინება მკრთალი შუქი სწორედ აი ამ „მიღმა ქვეყ-ნიდან“. შემთხვევით კი არაა „სანავარდოში“ ნახსენები „ყველა საგანთა phenomena-დ და noumena-დ განყოფა“ კანტის „წმინდა გონების კრი-ტიკიდან“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტორი კანტის ამ დუალიზმზეც უფრო მარჯვნივ მიდის; „ტფილისში“ დაკარგულია ყოველგვარი ლოგიკა, გაწყვეტილია ყოველგვარი კავშირი ადამიანს და ქვეყანას შორის, ისინი ერთიმეორეს ველარ იცნობენ, არის მხოლოდ განწყობილება განგაშის და კოშმარების სადაც არაფერ არ უჯერის ფხიზელ გონებას, სადაც ბნელი

ძალების წინაშე შიში უკიდურესობამდე მიდის. ასეთი კომპარტიით სა-
ესეა „ტფილისი“ და დემნა შენგელაიას პირველი რომანი „სანაევარდოც“.
ამ რომანშიც მომქმედ პირებად თავისუფლად გამოდიან ტინკები, წმინ-
დანიანი, წყლის ჭაჯები, ალები და უემურთა-უემურთა^{სანაევარდოც} ადგი-
ლიც „სანაევარდოდან“:

„გულშელონებული ბაყაყები ტბის დალექილ მწვანე ლორწოში გა-
ნართხულან და გრილდებიან.

მზეზე დაწოლილი შეციებული ალი ძიგძიგებს, კბილებს არაკუნებს
და ჰხვევს ვალურჯებულ ძუძუებს, მკლავებს და ფეხებს თმაში, დალერილ
ოქროსავით, რომ ბზინავს მზეზე.

მაღალ ეკლის ჯაგში ახლად რქაამოჭრილ ქინკას კოლოები დაესია,
კებენენ, შხამავენ და საცოდავი მოსთქვამს გამწვარებული, იჭექება, იფხანს
დაკბენილ გამხდარ ბარკლებს.

უეკრად მოსკდება ღვარი იისფერი გველებისა.

ივსება ყველაფერი.

ხვითოს ბზინვა ნიშბივით აფენია გველის თავებს და წმინდანბივით
ინაბებიან წვრილტანიანნი“.

შემდეგ ეს ბაყაყები, ეს ალები, ეს იმერეთის ქაობი ნელნელა ეხვევა
მისტიციზმის ბურუსში, ნელნელა იმოსება ფანტასტიურ ჩრდილით, იკარ-
გება რეალობა, რომელსაც უზარმაზარ ფარდასავით გადაეფარება ეს ნის-
ლი და ქვეყანა კომპარულ ქაოსად იჭყევა. აქ ექცევა მწერლის აზროვნება
ჩიხში, ისევ დაუბრუნდება რეალობას, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით,
შემდეგ კი ისევ იწყება ეს ბნელი ვალბურგიის დამე და გრძელდება ასე
დაუსრულებლად.

მთელ რომანში არ არის არც ერთი ნორმალური ადამიანი, ყველა
ავადმყოფია, შეშლილია; მთელი მომქმედი გმირები ქლეჭის, ციების, ეპი-
ლეპსიის და სხვა ათასგვარი ავადმყოფობის კლანჭებში ფართხალებენ
საცოდავად.



მიუხედავად ამისა „სანაევარდოს“ მაინც ჰქონდა ერთი დადებითი თვი-
სება: მწერალმა მხში მძაფრად ასახა სიკვდილი არისტოკრატიული კლასისა და დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ამ ხალხს აღარავითარი მომავა-
ლი არ გააჩნია. რომანში არის ცდა, რომ მოცემულ იქნეს სურათი ფეო-
დალურ საქართველოს სიკვდილისა და ქვეყნის კაპიტალიზაციისა, რო-
მანის ეპოქა მე-XIX საუკუნეა, მის გმირებს ჯერ კიდევ ახსოვთ შამილი
და ილია ორბელიანი, მეორე თაობა კი უკვე გრძნობს კაპიტალიზმის ბას-
რი ბრჭყალების სიმწვავეს. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ „სანაევარდოში“
მწერალი ჯერ კიდევ შორს არის რეალიზმიდან, ამიტომ ყველაფერი ეს —
ფეოდალიზმის გადაშენება, საგვარეულოს ამოწყვეტა, კაპიტალიზმის და-
მკვიდრება, მისი პირველი მატარებელი და მუშათა კლასის ჩანასახი —
ძალზე ტრაგიკულ ნისლიან ფერადებითაა მოცემული. მკითხველს რჩება

შთაბეჭდილება, რომ აქ ერთი სოციალური ეპოქა კი არ იცვლება მეორეთი, არამედ ხდება რაღაც ზე-ბუნებრივი, რაღაც ბიბლიური მეორედ მოსვლის მგზავსი, თითქო უზარმაზარ კლდესავით იღვწება და იფშენება მთელი ქვეყანა. კაპიტალიზმის გაჩენას მწერალი შემდეგნაირად უწერს: „ცაცხვები შავი ყორნებივით მოფუყულან და წვიმის წვეთები მწუხარედ თქაფუნობენ ფოთლებში.

ბალები ყვიან.

ბასრმა ელვამ გაირბინა ხალხის თვალებში და უეცრად გაისმა ჯერ არსად გავონილი ზარდამცემი წივილი და გამოჩნდა პირველი მატარებელი. მიფრინავს იგი ტყეებში, ღრეებში.

მოფრინავს იგი კბილებ დაღრქენილ გველაშაპივით, კვნესით, ოხვრით.

მოფრინავს იგი და მოაქვს ბაღინჯოები, ტილები, ნავავი, ნაცარი, რკინის აედამყოფობა, ოქრო და ხალხი სულ სხეანაირი, გასაკვირველი. მოდის იგი გამურული და დაკორძებულ ხელებიანი ხალხით.

მოდის კონდუქტორებით, ზეინკლებით, ქალაღის კაცებით, ქონით გატენილი ხალხით და მისი კივილი მთარულ სენივით ედება მიდამოებს, მისი ჩვენება აფრთხობს ყველსაფერს.

მოვიდა ახალი ქაჯი, მოვიდა წითელი უქმური და ცხენები დაფრთხენ, გაღრიგენ, ყალყზე დგებიან, ეხვიან მუცლით მესრის მარგილებს და სადავე აწყვეტილი მიფრინავენ აპოკალიპსურ ჭიხვინითა და თქარა-თქერით მიათრევენ გადმოყრილ ნაწლავებს და ენაგადმოგდებულნი, წუწყი, მუნიანი ძაღლები მისდევენ ტალახში ათრეულ შიგნეულობას, ჰგლეჯენ მსუნაგად ქეჩო-აყრილნი, ბოროტად აღრენილნი“.

„სანავარდო“—ში აღწერილია ბიბლიური მეორედ-მოსვლა და განკითხვის დღე, აქვეა ძველი ბაბილონური ლეგენდა იშტარის და თამუფის სიყვარულის შესახებ და სოციოლოგიური მოტივები დაკარგულია მოჩვენებებში. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ რელიგიამ, მისტიურმა ფილოსოფიამ, ქაოსის მსოფლმხედველობამ შენგელაია, როგორც მწერალი, დაახრო ამ რომანში. ეს კანონია ლიტერატურის ისტორიისა, რელიგიური ფილოსოფია არ ახეირებს მხატვრობას და არ ასეირა არც „სანავარდოს“ და „ტფილისის“ ეპოქის დემნა შენგელაია. ვანა ასევე არ დაემართა გოგოლს? რელიგიურმა მოაზროვნემ ჩაჰკლა მის ბუნებაში მხატვარი და ცეცხლში გადაადგებია გენიალური „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილი. ძლიერი ზიანი მიაყენა რელიგიამ ლ. ტოლსტოის შემოქმედებასაც, მისი ნათელი რეალიზმიც დაჩრდილა და გამოფიტა სასიციოცხოო ძაღებისაგან ქრისტიანიზმმა. ბიბლიისა და საერთოდ ყოველგვარი რელიგიის შხამი ვერ შეურიგდება ჭეშმარიტ შემოქმედებას. ნამდვილი ხელოვნების აყვავება—კლასიკურ სიმაღლემდე აყვანა—შხოლოდ მატერიალიზმისა და უღმერთობის იდეურ საფუძველში შეიძლება. ამიტომ მოხდა, რომ ბნელი საშუალო საუკუნეების ქრისტიანულმა ფანა-

ტიზმმა ნამდვილი ჯალათის როლი შეასრულა ხელოვნების მიმართ; ხელოვნების კლასიკური აყვავება მოხდა მატერიალიზმის პირველდელ სამშობლოში — V და IV საუკუნეების (ქრ. წინ) საბერძნეთში, „ეს ხალხი ვერ დაიპყრო რელიგიამ, ვერ დაიმორჩილა ისინი ისე როგორც დამორჩილებული ჰყავდა ინდოელები და ეგვიპტელები, — ამბობს ტენი, ჰაუზენშტეინის აზრითაც ბერძნულ ხელოვნების აყვავების მიზეზია ურელიგიო მიდგომა სამყაროსადმი და რეალისტურ მსოფლმხედველობის დამკვიდრება. ფრიტც ამ ეპოქის ხელოვნების აყვავებას ხსნის იმით, რომ „მეცნიერებამ და ფილოსოფიამ შესცვალეს მითოლოგია და სარწმუნოება“. ღმერთებს ამ დროს ისეთი სოციალური კონსერვატორებიც კი დასცილნან, როგორც არისტოფანე იყო.

ასეთი მაგალითებით სავსეა ხელოვნების ისტორია. მე-XV საუკუნის იტალიური ხელოვნების აღორძინებაც ამავე ხასიათის მოვლენაა, ამ ეპოქის გენიოსი მხატვარი ლეონარდო და-ვინჩი „მოკლებულია ყოველგვარ მისტიციზმს, ადამიანის სიცოცხლის ფაქტი მას გამოჰყავს სისხლის მოძრაობის კანონიდან“ (ჰაუზენშტეინი). ასევე ურელიგიო იყო მე-XVII საუკუნის ჰოლანდიური მხატვრობაც, ასევე მატერიალისტური და რეალისტური იყო გოეტეს შემოქმედებაც. „გოეტეს სიდიდე მის ადამიანურობაშია, — ამბობდა ენგელსი, — მან გაანთავისუფლა ხელოვნება რელიგიის ბორკილებისაგან“.

ამრიგად როდესაც ეპოქის სოციალ-ეკონომიური ძალები იდეოლოგიაში იწვევდნენ მატერიალიზმის გამარჯვებას, მაშინ ეს საზოგადოებრივი და ფილოსოფიური გადატრიალებანი ახდენდნენ გარდამტეხ ზეგავლენას ხელოვნებაზე, მიჰყავდათ ის რეალიზმის მაღალ მწვერვალებისაკენ. ხოლო იდეალისტური შხამი ჰკლავს მწერალში შემომქმედ მხატვარს. ამიტომ მოხდა, რომ მკითხველი „ტფილისში“ ვერ იპოვის ნამდვილ ტფილისს, ის სადღაც დაკარგა ავტორმა, ამ ქაოსში აღარ გამოჩნდა რეალური ქვეყანა თავის ნამდვილი გმირებით, თავის ადამიანებით, ბოლშევიკებით და პროლეტარებით, რომელნიც ჰქმნიან ახალ ქვეყანას. განთავისუფლდა თუ არა შენგელაია ფილოსოფიური კოშმარებისაგან — ჩვენ მივიღეთ საუკეთესო რეალისტი, რომელმაც თავის ახალ პროზაში შესძლო ეპოქის ნათელი ხილვა. მაგრამ ამაზე ქვემოდა.

„სანაეარდოში“ ავტორს უცდია გამოეყვანა ტიპების მთელი წყება. ესენი არიან ქართული არისტოკრატიის უკანასკნელი ნაშიერნი: თავადი ყარამანი, რომელიც დასტირის თავის კლასის და გვარეულობის მოახლოებულ სიკვდილს. იღუპება ეს ხალხი უკვალოდ, უშთამომავლოდ. კვდება ჭილაძეების მოდგმა, ინგრევა მათი სასახლე, იცრიცება მისი კედლები; ყარამანი ქართველ თავადის ჩვეულებრივი ტიპია, ახალგაზრდობაში მოჭიფვე და მხიარული, თავაშვებული — ხოლო მოზუცობის ეპოს ოჯახურ და სოციალურ ტრაგედიით გამწარებული. რომანის შთაფარი გმირი მაინც ბონდოა, პეტერბურგის არისტოკრატიის წრეში ნამყოფი. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მას რაიმე, თუნდაც სულ

შემთხვევითი კავშირი ჰქონოდა „ნაროდოვოლოცებთან“, როგორც ავტორს უნდა დაგვარწმუნოს. ეს არაა სწორი. ასეთი ახალგაზრდობა შორს იდგა მეფის მოკელის განზრახვიდან.

შენგელაიამ „სანაევარდოსა“ და „ტფილისში“ თქვენი ^{ქვეყნის} სიტყვა იმ ინტელიგენციის სახელით, რომელიც რეაქციის პერიოდში, პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქადაგებდა მისტიციზმს, მეორე მხრივ ამ იდეალიზმის წყარო მისთვის იყო დოსტოევსკი და რუსული სიმბოლიზმი, განსაკუთრებით ანდრეი ბელი და მისი ეპიგონები.

შენგელაიას ადრინდელ შემოქმედებაში ნათლად მოსჩანს დოსტოევსკის კარამაზოვშიანის კვალი. ივან კარამაზოვის ცხოვრება მიიჩნია „უწესრიგო, დაწყველილ და ეშმაკეულ ქაოსად“, ის ამბობს, რომ ლოგიკის კანონებით ცხოვრება შეუძლებელია. ეს მისტიური ანარქიზმი მაგრადაა ფესვმოკიდებული დოსტოევსკის მთელ შემოქმედებაში; აქაც ყველგან იგივე ნისლია, ბნელი წყვლიადი, ადამიანები გულჩათხრობილნი და მწუხარენი, თვით ცხოველებიც კი უცნაური არიან მის წარმოდგენაში. მწერლის თვალეში თითქო ყველგან კოშმარულ სიმახინჯეს ხედავს, არაფერი არაა ბუნებაში ლამაზი; აი მაგალითისთვის ერთი ადგილი — დამდაბლებულთა და შეურაცყოფილთაგან“. მწერალი აღწერს ძალს: „ბალანი ტანზე მას სრულიად გაცენილი ჰქონდა, ასევე კუღზეც. გრძელყურებიანი თავი მოწყენით ჩაელუნა დაბლა. გეგონებოდა იგი მთელი დღე მკვდარი გდია სადმე და როგორც მზე ჩადის ისევე ცოცხლებოა“. ეს ძალზე დამახასიათებელია, დაახლოებით ასეთი სიმახინჯე დაინახა დოსტოევსკიმ ყველგან. „ამოვა მზე — ამბობს მისი ერთი გმირი — და შეხედეთ მას — განა ის მკვდარი არაა? ყველაფერი მკვდარია და ყველგან გვაშები ყრია. მარტონი არიან ადამიანები, მათ არგვლივ კი დღმილია, — აი ასეთია დედამიწა“. („Кроткая“).

ამ სიმახინჯეს, ამ დისპარმონიულობას ხედავს დოსტოევსკი ცხოვრებაში. ძალიან ხშირად ეხება ის ქვეწარმეალებს, მორიელებს, ფალანგას, ობობას; მის გმირებს ეცხადებიან ეშმაკები, მიცვალებულები საუბრობენ სასაფლაოზე მიწის ქვეშ. არავითარი ლოგიკა და კანონზომიერება არა სჩანს მოვლენათა ცვლაში. ქვეყანა დაეცა და დაეცა, დამახინჯებულია — ადამიანებიც, ბუნებაც, ცხოველებიც. „სანაევარდოს“ ქაოტიურობა და სიმახინჯის ფილოსოფია თავის სათავეს იღებს სწორედ დოსტოევსკისაგან. ფაქტიურად დოსტოევსკისებური წარმოდგენა აქვს ქვეყნის შესახებ ანდრეი ბელისაც, ბევრი რამ აკავშირებს დემნა შენგელაიას ამ მწერალთანაც. „სანაევარდოსა“ და „ტფილისის“ მხატვრულ სტილს ატყეია ამ მწერლების გარდა რემიზოვის და პილნიაკის გავლენაც.



„ადამიანები უნდა განვასხვავოთ ცხოველებსაგან ცნობიერებით, რელიგიით... თვით ადამიანმა შეამჩნია ეს განსხვავება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიწყო თავის ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა წარმართობა“ № 7 — 8

მოება. ცნობიერება სხვა არაფერია გარდა შემეცნებელი ყოფიერება. ხოლო ადამიანთა ყოფა რეალური პროცესია მათი ცხოვრებისა, ამრიგად/მორალი, რელიგია, მეტაფიზიკა და სხვა იდეოლოგიური ფენომენები თავის მოჩვენებითი დამოუკიდებლობას“ (კ. მარქსი). ესე იგი დებულებაა მარქსიზმისა. ცნობიერების ყოველგვარი გამოვლენა უნდა აიხსნას მატერიალური სინამდვილის განვითარებით და მოძრაობით. ასევე უნდა ითქვას თვით საზოგადოებრივ ფსიქოლოგიის შესახებაც. ეს კარგად დამტკიცა პლენხანოვმა, როდესაც სცადა აეხსნა ფსიქიკა ერთის მხრივ პირველყოფილი ადამიანის და მეორეს მხრივ მე-XVIII საუკუნის ფრანგულ „არამწარმოებელ“ (არისტოკრატიული) კლასის. დემნა შენგელიას თვისებებზე იმაშია, რომ იგი სცდილობს რაც შეიძლება ძირეულად, რაც შეიძლება ფართოდ და ყოველმხრივ დაახასიათოს იმ კლასის, ხალხის, კუთხის ფსიქოლოგია, მორალი, ყოფითი თავისებურებანი, მსოფლმხედველობა და ტრადიციულ რწმენის ნაშთები, მისი ცხოვრების სტიმული და საერთოდ ხალხური სიბრძნე და შეხედულება ცხოვრებაზე — რომლიდანაც გამოსულია მისი ნაწარმოების გმირი. განსაკუთრებით დაინტერესდა შენგელია სამეგრელოს ყოფით და მითოლოგიით. მაგრამ საქმე არაა: მისტიფიკაციის ნისლი ისე მძლავრად იყო მასში ფესვმოდგმული, რომ ამ მითიური კულტის გავლენას მწერალმა თავი ვერ დააღწია და ცალკეულ შემთხვევებში თვით მოექცა მათი გავლენის ქვეშ, თითქოს იწამა კიდევ კოჩა ივარდავას („მორღუ“) ჯადოსნობა. ამიტომ მან ვერ მოგვცა მატერიალისტური ახსნა ხსენებულ მოვლენათა, მაგრამ მათი ძლიერი მხატვრული ფიქსაცია მოახდინა. ამასაც აქვს თავისი მხატვრული და მეცნიერული მნიშვნელობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ტოტემიზმის და ზოომორფიზმის რწმენის ნაშთები ხალხის შეგნებაში, რომელთა მხატვრულ გადმოცემას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შენგელიამ. ესაა რევოლუციის წინაპროინდელი სოფელი. და ავტორმა საკმაო სიცხადით დაგვიმტკიცა ხალხურ შეგნების შეუფარდებლობა ოფიციალურ ქრისტიანობის დოგმატებთან. „მრავალი წარმართობის დროინდელი ზნე-ჩვეულებანი... არის ხალხში დარჩენილი, რომელთა შესწავლას შეუძლია ძვირფასი მასალა მოგვცეს ძველ ქართულ ღვთაებათა წარმოსადგენად“ — სწერდა ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. ამ ზნე-ჩვეულებათა ასახვა თანამედროვე მწერალს დასჭირდება არა მათი იდეალიზაციისათვის, არამედ იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ჰქმნის ხალხის მორალს და შეგნებას მათივე მატერიალური სინამდვილე. ამ საკითხზე განსაკუთრებით იმიტომ ვაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რომ შენგელიას აქვს სპეციალურად ამ თემაზე დაწერილი მოთხრობები, ასეთია „მორღუ“. მოთხრობის მთავარი გმირია — კოჩა ივარდავა, „ხან ამაყი და შეუპოვარი, ხან მორჩილი და სათნო“; თავისებურია მთელი მისი ცხოვრება; ის „თაყვანს სცემდა უფმურთა-უფმურს, თიხის ჭურს, გველთა ბატონს, ნერჩი-პატენის, რომელსაც მისი წინაპრები ოდესღაც კერიაზე ზავშეებს უკლავდენ საღვთოდ. სძულდა ქრისტე და მისი მოციქულნი, ეკლესიაში ჭული რომ

შეგვედო არ შევიდოდა“. შემდეგ მოთხრობილია, რომ კინაღამ შემოაკვდა ბატონის შვილი გურამი მას კერიაზე — როდესაც მის თაყვანს ავედრებდა „ნერჩი-პატენის“. მის ოჯახში გველი არ მოიკვლევოდა და მისი მათგან ისინი იყვნენ კოჩას ღმერთები, მას ჰყავდა ცხრა შინაურად გველი: ყველა მათგანს ჰქონდა თავის ფუნქცია, მაგ., ყველაზე უფროსი მათ შორის იყო კოჩას ოჯახში ბარაქის შემომატანი. ავტორი მოგვითხრობს თუ როგორ არჩენდა კოჩა თავის ლოცვით და რაღაც წამლით გველის მიერ დაზარალებულ ადამიანებს. „ნერჩი-პატენი“ — ფუძეს მმართველი ღვთაებაა, „ფუძეს ბატონი“. ეს ძველი წარმართული ღვთაებაა, რაც შეეხება გველს — ის მითითური რწმენის მიხედვით სობრძნის სიმბოლოა და საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეებშიაც არის ამის ნაშთები. ამას ამტკიცებს ერთი მხრივ „გველისმკამელი“, ხოლო მეორეს მხრივ ძველი სამეგრელოს მითოლოგია. გველის თაყვანისცემა უძველეს დროებში გავრცელებული იყო — ფრთოსანი და სხვადასხვა ფერის გველების სახით, ასე რომ გველი არის ტოტემი იმ ხალხის, ვისი შთამომავალიც მოთხრობის გმირია. ეს რწმენა დღევანდელ ველურებშიაც დარჩენილია; ასე მაგ., ფრეზერი მოგვითხრობს, რომ სინეგამბიის გველის კლანის წევრებს სჯერათ, რომ მათ შეუძლიათ გველის მიერ მოზამბულ ადამიანის მორჩენა. იმავე სინეგამბიის ნეგრებში მორიელის კლანის წევრებს სჯერათ, რომ მათ მორიელი არასოდეს არ დაზამავს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უფრო საშინელი მორიელი ამ მხარეში იცის. შემდეგ ფრეზერი მოგვითხრობს ტოტემიზმის უფრო ცხოველყოფელ მაგალითებს: ავსტრალიაში ცხოველი — ტოტემი — მაგ., კენგურუ — თავის ნათესავ ადამიანებს მტრის მოახლოებას ატყობინებს ხოლმე. ავსტრალიელი ტომი კერნაი, რომლის ტოტემი ყვავია, თავის მომავალს მისი ჩხავილით ტყობილობს. კუნძულ სამოაზე ბუს კლანის მკვიდრნი, როცა სანადიროდ მიდიან, თვალყურს ადევნებენ ამ ფრინველის ფრენას: თუ ის მტრის მიმართულებით მიფრინავს, ეს იმის ნიშანია, რომ მტერს უნდა დაესხან თავზე, ხოლო თუ ის პირიქით, შორდება მტრის ბანაკს, აქედან გამომჟღავნებს დასვენებას, რომ უნდა დაიხიონ უკან. ამიტომ ზოგიერთ მათგანს ჰყავდა მოშინაურებული ბუ, რომელსაც მიმართავდნენ ხოლმე სამხედრო მოქმედების დროს. როგორ უნდა აგხსნათ ეს მოვლენები? სამართლიანად ამბობს ფონ-დენ-შტიენენი, რომ „ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიცნობთ ამ ადამიანებს, როცა გავშინჯავთ მათ, როგორც მონადირულ ყოფაცხოვრების ნაყოფს. მთელი მათი გამოცდილებების უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია ცხოველთა სამეფოსთან და ამ გამოცდილებათა მიხედვით მუშავდება მათი მსოფლმხედველობა“. ამ საზომით უნდა მივუდგეთ ყველა იმ ცხოველების მითებსაც, რომელსაც თაყვანს სცემენ შენგელაიას გმირები. „ლაფშა“-შიც ევედრებიან წმინდა მუხებს, ნერჩი-პატენის, რომ გადაარჩინოს ხალხი საშინელ უბედურობას, რომელიც მოაქვს კაპიტალისტურ წყობილებას. მთელი ეს წარმართული ღვთაებანი, რომელიც გვხვდება დემნა შენგელაიას შემოქმედებაში — ადგილის დედა,

ნერჩი-პატენი, ბოჩი, ეობი, კიბელე, კოპალა, წმინდა მუხა და სხვა დღეს ისტორიულ კვლევის საგნად არიან გადაქცეულნი. ძლიერო მხატვრული ექსპრესიითაა დაწერილი „მორდუს“ დასასრული. ღამეა, ჩაბნელებული ტყე. საშინელი ქექა-ქუხილი, წვიმა. კოჩა და მის მიერ აღზრდილი ქვეშევი მიდიან, მიაჭენებენ ცხენებს. ამ ქექა-ქუხილში ელანდება კოჩას როგორ მოდის მათ დასალეწად თეთრ-ცხენზე მჯდომარე წმინდა გიორგი. მას წინ აღუდგება ტყე, ჩნდება ცეცხლი, ლაწა-ლუწით იფშენებიან ასწლოვანი მუხები. ვადიან ცხენოსნები სამშვიდობოს და კოჩა კედება. შკითხველს უთუოდ მოაგონდება გოეტეს „ტყის მეფე“. რა თქმა უნდა აქ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია, მით უმეტეს, რომ მეგრულ თქმულებებში არის მითოსი ტყის მეფის, „ტყაში-მაფას“ შესახებ. მწერლები, რომელნიც ხალხურ თქმულებებს ამუშავებენ — არ შეიძლება არ შეხედონ ერთიმეორეს, აქაც ასეთი ჩვეულებრივი შეხვედრაა. ეს ხალხური თქმულებები ისე ჰგავს ერთიმეორეს, რომ ხანდახან შეიძლება მეგრული ზღაპარი გერმანულ თქმულებად მოგეჩვენოს. აი მაგალითად ჰეინეს „ლორელია“ და ბათა ქექას შეხვედრა კაშინასთან — რასაკვირველია არც აქაა არავითარი გავლენა.

ღმნა შენგელაიას და მის გმირებს ამ ტოტემურ ცხოველებიდან ყველაზე უფრო მეტად აწვალებს ცხენი. „საქართველოში — სწერს ვახტანგ კოტეტიშვილი — დღემდე შენახულია ცხენის საგანგებო სიყვარული და პატივისცემა. და ამ სიყვარულში ჩაქსოვილია ისეთი მომენტები, რომელიც გვაფიქრებინებენ, რომ ჩვენში ოდესღაც ცხენის კულტი უნდა არსებულებოდა“. აიღეთ ჯერ მარტო ზღაპრები, თუნდ რუსული და თუნდაც ქართული. შემდეგ ლიტერატურა, პუშკინის „გრძნეული ოლეგი“ და სხვა ამგვარი ლეგენდები. მაგრამ მაინც სხვანაირია ცხენის მნიშვნელობა მეგრულ ეპოსში. ს. მაკალათია გადმოგვცემს, რომ სამეგრელოში არსებობს ერთგვარი ზეიმი, როცა ყველა ცხენის პატრონი ამ ცხოველის გამრავლების მიზნით აცხობს ცხენის ქანდაკებას, შემდეგ უხუცესის მეთაურობით ყველანი მის ვარშემო გროვდებიან, ცხენივით ჭიხენებენ, წიხლებს ისერიან და თან ცხენის გამრავლებისთვის ლოცულობენ. მაგრამ ყველა მკვლევარებზე უკეთესად ეს ცხენის კულტი შენგელაიას შემოქმედებაშია გადმოცემული. „ლაფშას“ მთავარი გმირი თენგიზი გადარეულია ცხენის სიყვარულით, ის მალა აყენებს ამ უქანასკნელს, საყვარელ ქალზეც, სიცოცხლეზეც. თენგიზ პირტახია და ფიფია ღვინოს შეეჭკვეიან და საუბრობენ.

„და ასე რომ იყვნენ ბაასში ვართული, თენგიზმა იგრძნო უჩვეულო. თითქო ბედი მოვიდა და თვალებში ჩახედა.“

— რა დაგემართა წიე? — კი არ შეეკითხა, შეუტია ფიფიამ.

— მაცა, ფაშუ, მაცა!.. ვესმის? ფლოქვის ხმას ყური მიუგდო და მიხედა. — ეს ის იყო, ბავშვობისას, რომ ესიზმრებოდა: ცხენი — ღვთისშობელი. ცხენი — წმინდა გიორგი, ცხენი — ბედისწერა. და ასე მოლოდინად რომ იყო გადაქცეული, მოსახვევში გამოჩნდა ტორ-აქნეული შავი ლაფშა, რა ხელმა გათალა, რამ ჩამოქნა ასე მოხდენ-

ნილი“. ამის შემდეგ ერთი კვირა ავად იყო თენგიზი, ზოლოს ამ ცხენს თავისი სიცოცხლეც შესწირა. უფრო საინტერესოა ამ მხრივ თამაშულ დანელია („ბათა ჭეჭია“); ეს უკვე კოჩას მგზავრი კაცია, რომელიც კონსტანტინე წარმართია, ქრისტე არა სწამს და საკუთარ ღმერთებს ეთაყვანება. მას „ცხენ კაციას“ ეძახიან, ხალხსა სჯერა, რომ მას სხეულში „ჩერქეზული ულავი ცხენის სისხლი უდგას“, ის გასაოცარი ცხენოსანია, რომანში გაზღაპრებულია მისი სახეც; ხალხი ამბობს, რომ ბასია ჩანბას ის „დაკაცებულ ცხენად“ გამოეცხადა, კვიცივით გაიციანა, „ცხენის სულივით აიშართა მის წინ აქიხინებული და წაახდინა კაციშეილი. როცა კვდებოდა ცხენისა და ჯიჯიტების ხატი სულ კვიცივით აქიხინებდა“. „ცხენი? — ამბობს თამაშულ დანელია — ცხენი სხვაა, ცხენი დიდი რაშეა, ბაბა! ცხენი და კაცი ერთი ფერცხალიდანაა გამოღებული, ცხენს, რომ ენა მიცა — კაცი იქნებოდა“.

საერთოდ ის ცხენების სამყაროში ცხოვრობს, ადამიანური ენა და მორალი მისთვის უცხოა და გაუგებარი.

როგორ უნდა აეხსნათ ყველაფერი ეს? ანდა შესძლო თუ არა მწერალმა ამ მოვლენათა სწორი შეფასება?

პლენხანოვი სამართლიანად სწერდა:

„ყველაფერი ეს ნათლად ამტკიცებს, რომ... პირველ ხანებში ადამიანს ღმერთი წარმოდგინა ცხოველის სახით. ბერძენთა ფილოსოფოსი ქსენოფანი ცდებოდა, როდესაც ამბობდა, რომ ადამიანი ყოველთვის თავის სახის მგზავსად ჰქმნის და წარმოიდგენს ღმერთსაო. არა, პირველად ის ჰქმნის ცხოველის სახის მგზავს ღმერთს. ადამიანის მგზავსი ღმერთები წარმოიშობიან მხოლოდ შემდეგ, როგორც შედეგები საწარმოო ძალთა განვითარებისა, მაგრამ შემდეგშიაც ადამიანთა რელიგიურ წარმოდგენებში დიდხანს ღრმად ინახება ზოომორფიზმის ნაშთები“ (ტ. XVII, გვ. 217).

მაშასადამე ისეთი ფაქტების მეოხებით, რომლის მგზავსსაც შენგელაია თავის მოთხრობებში აღწერს — მატერიალისტები საუცხოოდ უმტკიცებდნენ იდეალისტებს და ეკლესიას, რომ ღმერთი ადამიანის მოგონილი ზღაპარია. ყველაფერი ეს მითები, ეს ზღაპრები, ეს წარმართული ზოომორფიზმის თქმულებები იყო საუკეთესო მასალა მარქსის იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ სარწმუნოება კი არ ჰქმნის ადამიანს, არამედ ადამიანი ჰქმნის სარწმუნოებას. დემნა შენგელაიასათვის კი ეს თქმულებანი ახალი საბაზი გახდა მოვლენათა მისტიფიკაციისათვის. მწერალმა იმის მაგიერ, რომ აეხსნა მატერიალისტურად ეს ტოტემიზმი — თვით ჩამოქვეითდა კოჩა ივარდავას ანიმიზმურ მსოფლმხედველობამდე. ცნობილია, რომ ანიმიზმი — მთავარი საფუძველია სუბიექტიური იდეალიზმისა.

ჩენი დროის მხატვარი სხვანაირად უნდა მისდგომოდა ამ წარმართობის ნაშთების მხატვრულ გადმოცემას. ანიმიზმის ტყვეობაში მოექცა დიდი ვაჟა-ფშაველაც. შენგელაიას — ელექტრონის და მძიმე ინდუსტრიის ეპოქის მწერალს — ეს არ უნდა დამართოდა.



დღემა შენგელიას შემოქმედების მთავარ თემად განსაზღვრა მარტო მე-XIX საუკუნის სამეგრელო, არამედ თანამედროვე ეპოქის ხსენება აქტუალური საკითხები, როგორცაა ომი და რევოლუცია. აქ გამოძვლანდა ავტორი, როგორც ნამდვილი საბჭოთა მწერალი და მოწინავე რეალისტი. ხსენებულ თემებს ეხება „ვიქტორია“, „თებერვალი“, „პორტი“, „პატარა ქალი“, „ციმბირი“, „კაც“, — ეს მოთხრობები უკვე თავისუფალია იდეალიზმისაგან, აქ უკვე საქმე გვაქვს პროლეტარულ მსოფლმხედველობის პოზიციაზე მდგომ მწერალთან, რომელსაც აინტერესებს თავ-დაცვითი ლიტერატურის თემების დამუშავება. ლიტერატურა გვერდს ვერ აუხვევს ომის საკითხს. დღეს ბურჟუაზიული მსოფლიო გააფთრებული ემზადება ახალი ომისათვის. ამ მილიტარისტულ იარაღის ქლარუნში, ამ მოახლოებულ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტვის მოლოდინში ფაშისტური ლიტერატურის ხმაც მკვეთრად ისმის. ის აქეზებს ყველა ქვეყნის ნაძირალებს, ამგვარი ლიტერატურის მთავარი გმირი ხდება ავაზაკის და მკვლელის ფიგურა. ხელოვნების კლასიური როლი, მისი მებრძოლი პარტიულობა არასოდეს არ გამოსულა ისტორიაში ასე გაშიშვლებული სახით. ეს ლიტერატურა დღეს ცდლობს კიდევ უფრო გააღრმავოს რასიული სიძულვილი. ფაშისტების მიერ მოსყიდული მწერლები სწუხან — ევროპამ შეცდომა ჩაიდინა როცა თავის ცოდნა, ტექნიკა, გამოცდილება „ფერად რასას“ გადასცაო, ისინი „უფრთხილდებიან“ კიდევ ევროპის ცივილიზაციას. მართალია გაკვრით, მაგრამ მაინც იშვიათი სიმახვილით დახატა შენგელიამ ეს „ცივილიზაციური“ ადამიანები „პორტში“.

ასეთ პირობებში განსაკუთრებით იზრდება საბჭოთა თავდაცვითი ლიტერატურის ამოცანები. ამ ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს ჩვენი ქვეყნის მშენებლობა და მშვიდობიანობის პოლიტიკა; ცხადია ამ თემების კომპლექსში შედის სამოქალაქო ომის საკითხებიც. ლიტერატურაში ომისა და ბრძოლის საკითხებს ყოველ ეპოქაში უდიდესი ყურადღება ექცეოდა! გადავხედოთ ლიტერატურის ისტორიას! რამდენი საუცხოვო მხატვრული ძეგლი შექმნილა სამხედრო თემების გარშემო. ნ. გოგოლის „ტარას ბულშა“, პუშკინის „პოლტავა“, შემდეგ მთელი ლიტერატურული ეპოხის ნაპოლეონის ლაშქრობათა შესახებ, რომელმაც მთელი მსოფლიოს მწერლობა ააბზურა — და სხვა ამგვარი ფაქტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან. ლ. ტოლსტოის „ომი და ზავი“ ნათელი მაჩვენებელია იმ ფაქტისა, თუ რამდენად ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა მწერალი ომის ხელოვნებას, იცნობდა ბრძოლის სიტუაციებს. ჩვენმა თანამედროვე მწერალმა კი ამ საკითხში ჯერ ომის შესამედიც არ იცის. ჩვენი ეპოქა კი სწორედ ახლა მოითხოვს ბოლშევიკურ „ომს და ზავს“, მოითხოვს ასეთ ფართე სოციალოგიურ რომანს.

დღევანდელი რუსული ლიტერატურა ამ მხრივ არ განიცდის გარღვევას; ჯერ მარტო ფურმანოვის „ჩაპაევი“ და „აჯანყება“ დარჩება, რო-

გორც საუკეთესო ნაწარმოები, რომლის ფურცლებზე მომავალში წაიკითხვენ ჩვენი დროის გმირების საოცარ სიმძლავრეზე, შემდეგ ფაბრიკის „განადგურება“ — ეს ნათელი სურათი წითელი კავალერიის ჩასახვისა, მისი პირველი ესკადრონებისა. საერთოდ რუსეთში კომუნისტური იდეა რომ დაიწერა და იწერება, რომელთა ყველას აქ ჩამოთვლა შეუძლებელია.

დემნა შენგელაის შემოქმედებაში წარსულმა სამოქალაქო ომმა ნათელი გამოხატულება მიიღო: საუცხოოდ გვიჩვენა მან თავის მოთხოვნებში გახრწნა მეფის არმიისა და ძველი ქვეყნის დამცველ თეთრგვარდიელთა ბანდებისა. ეს პროცესი ასახულია მოთხოვნა „ციმბირში“. მთავარი გმირი აქ არის შტაბს-კაპიტანი ბონდარჩუკი, უკვე მხეცად ქცეული; ამ მოთხოვნებშიაც გამოჩნდა დემნა შენგელაის ერთი უპირატესობა: მასიურ ფსიქოლოგიის ცოდნა და მისი ოსტატური ვადმოცემა. აქ არის ნაჩვენები გახრწნის და იმედ-დაკარგულობის ფსიქოლოგია, რეალისტურ ფერებითაა ასახული ეს ძველი არმია თავის გაკრეცილი შინელებით, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ამუნიციით, მახორკის სუნით და „სალდათური“ დედის გინებით. მკითხველი გრძნობს თოფის წამლის და სისხლის სურნელებას; მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი:

„ყაზახები საიდანღაც თამბაქოზე დაყენებულ არაყს შოფლობდნენ, სვამდნენ, მსუქან ქალებს სჩქმეტდნენ, ლიბიან მამაკაცებს თითოთ მუცლის სიმკვრივეს უზრდელად უშინჯავდნენ და მერე გაღეშილნი მუხლებამდე ნაგავში მიეყრებოდნენ და დედას აგინებდნენ თვითმპყრობელ იმპერატორს, ოფიცრებს, კოლჩაკს, პაგონებს იგლეჯდნენ და ფეხით თელავდნენ“.

აი მისი „იმპერატორობითი უდიდებულესობის არმია“. თვით კაპიტანი, მიუხედავად იმისა, რომ სისხლისმსმელის სახელი დაიმსახურა, რომ მისი სახელით ბავშვებს აშინებენ, მაინც არ არის გმირი, რადგან ნაძირალია; მოთხოვნაში მოსჩანს ორი ქვეყანა, ძველი და ახალი. პირველის წარმომადგენელია კაპიტანი, მისი ცოლი, პორუჩიკი ევრდოვი, ხოლო მეორისა — ჩინელი ჩე-უ-პე-ი, გლეხი, რომელიც დაბერიტეს კაპიტანის ბრძანებით და ბოლოს შეტევასზე გადასული წითელი პარტიზანები. უძლიერესი მხატვრული ვაჭანებითაა დაწერილი წითლების იერიში შტაბს-კაპიტანის ჯარების წინააღმდეგ.

რუსული არისტოკრატის გახრწნა მთელი სისრულით აქვს ვადმოცემული ავტორს. მკითხველი გრძნობს, რომ ეს კლასი ცოცხალი ლეში ვამხდარა, რომელსაც მძაფრად ასდის გახრწნის სუნი. კაპიტანის ცოლს „ცარსკოე სელო“ ენატრება, ამ მსოფლიო ჭარიშხალის დროს ის „კუჭელიკისა და ჰოფმანის კონცერტებზე“ ფიქრობს. ასეთივე ნაღვლიანი გრძნობით მისტირის თავის წარსულს კაპიტანი. მაგრამ პეტერბურგელ ფრეილინების და კავალერგარდების ეს სანტიმენტალობაც მტკრად აქცია წითლების ტყვიამფრქვევმა და ხმალმა. განსაკუთრებით საინტერესო ტიპია ოქსანა. ის უკვე ბინძურ პორუტყვადაა ვადაქცეული, მაგრამ მაინც ახსოვს სანკტ-პეტერბურგის ბალებში თეთრად გათენებული ღამეები,

ლებ-გვარდიის ოფიცრების კომპლიმენტები და დეზების წყაროები ფრეი-ლინების წინაშე თავის მოსაწონებლად. ასეთმა ქალებმა — უკმა / რუსეთის არისტოკრატიის სიამაყემ — ვინც მოასწრო საზღვარგარეშად გაქცევა და სტამბოლის სამედავო სახლებში „სამსახურის“ შოვნას — „სამსახურის“ ვინც არა და დარჩა რუსეთში ასე ოქსანა ნიკოლაევნასავით. აი ასეთი-ეს „ნაღები“ არისტოკრატიისა. მდიდარი, ოინბაზური, მოვარაყული „მაღალი წოდების“ მოდგმა. ყოველ ისტორიულ ამბოხების დროს ისინი ასე თუ ისე აფარებდნენ თავს, მაგრამ ოქტომბრის ქარიშხალი სულ სხვა ძალისა გამოდგა. მარქსის თქმით პარიზის სამოქალაქო ომი მაშინდელი არისტოკრატიისათვის მხოლოდ სასიამოვნო ინტერმედია იყო. ისინი ბრძოლას დურბინდით უყურებდნენ, ხარბაზნების გასროლას ითვლიდნენ, თავის თავისა და თავის როსკიპების სინიდის ფიცულობდნენ, რომ წარმოდგენა აქ ბევრად უკეთაა დადგმული, ვიდრე Porte Saint Martin-ის თეატრშიო. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, რუსეთის მუშათა კლასმა ისწავლა პარიზის ბრძოლების გამოცდილებაზე, ამიტომ „მაღალი“ წოდების ბედიც სულ სხვანაირად დატრიალდა.

„პორტში“ მოთხრობილია ამბავი თეთრგვარდიელი ოფიცრისა, რომელიც სასიკვდილოდ დაიჭრა პერეკოპის ბრძოლაში და სული ბათომში დალია. ესეც ბარამანდიას მგზავსი ტიპია, „სამშობლოსა და მეფისათვის“ ზვარაკად შეწირული თეთრი არწივი“ როგორც ამბობს სადგურის კომენდანტი ეანდარმული პათოსით. საერთოდ შენგელაიას ძლიერ აინტერესებს ასეთი ტიპები, ეს ორდენებისა და ეპოლეტების საშოვნელად რუსეთში წასული ქართველი თავადები — ასეთია ეს ოფიცერი, მაგრამ ბარამანდია, „რუსეთუმეს“ გმირი — ეს დამახასიათებელი და ჩვეულებრივი გზა იყო ჩვენებური არისტოკრატიული წოდების შეილებისა და ძველი რეჟიმიც ცდილობდა ეს „Маменькины сынки“ გმირებად გადაექცია, მაგრამ ისინი ისევე ვერ გახდნენ გმირებად, როგორც კრილოვის იგაჯ-არაჯში ბაყაყი ხარათ ვერ გადაიქცა. „ვიქტორია“ ისევ ჯარისკაცთა ცხოვრებას ეხება, მენშევიკების არტილერიისტების ყაზარმის უფერულ ცხოვრებას აღწერს მწერალი ამ მოთხრობაში. აქ ყურადღებას იქცევს სტუდენტი ელიბო ლიბაური, ისიც მენშევიკურ ჯარის მეზრძოლია და პირველ ხანებში ვადარეულია კნუტ ჰამსუნის „ვიქტორიათი“, ოცნებობს რომანტიულ სიყვარულზე, უფროთილდება ამ წიგნს, დამალული აქვს, რომ ჯარისკაცებმა არ მოჰპარონ თუთუნის გასახვევად. შემდეგ მასშიც გარდატეხა ხდება. ბინძური სინამდვილე, პროსტიტუტების დევნა და უხეში გამზრწნელი ატმოსფერა ამარცხებს მის ბუნებაში კნუტ ჰამსუნის სანტიმენტალობას. ამის შედეგად ელიბო თავის ნებით აძლევს ზემდეგს ამ წიგნს, „რბილია, თუთუნის გასახვევად გამოვადგებაო“, ამის შემდეგ უკვე ნათელია, რომ ელიბოს რემბრანდტის ტილოები რომ ჩაუვარდეს ხელში — დაუფიქრებლად და დაუნანებლად ჯარისკაცის ფეხსახვევებად გამოიყენებს. ეს ელიბო ლიბაური, შემდეგ გვარდიელები („თებერვალი“) სულიერად გალატაკებული, კრიზისის ეპოქის ადამიანება არიან. „თებერვალში“

მთავარ ყურადღებას იქცევს პატარა გოგონა, ბოლშევიკის ^{შეიქმნა} შემოქმედებით მოხვედრილია გვარდიელთა შორის. ავტორი ^{ჩვენ} სხვათა შორის იმპერიალისტური ომის საკითხებსაც, ამ ^{დემნა შენგელაიას} დამწერელი „პატარა ქალი“, მოთხრობაში არის პროტესტი ^{ფიქტურული} მაგრამ უფრო პაციფისტური და მორალური, ვიდრე მებრძოლი და პოლიტიკური.

განსაკუთრებით ხაზგასმულია შენგელაიას ამ ხასიათის მოთხრობებში საზოგადოების დეკლასიური ელემენტები: ქურდები, პროსტიტუტები, გაქცეული ბურჟუაზია. მოთხრობების მხატვრული სტილი ძარღვიანია, მტკიცე და ხანდახან გადადის სახეობრივ ლირიკულობაში. ამას განსაკუთრებით აძლიერებს მოთხრობებში ჩართული სიმღერები, რომელნიც ხშირად ლირიკულ ხასიათს აძლევენ გმირის ბუნებას. ასეთია მაგ., „ცომბირში“ ჩინელის და „პატარა ქალში“ ოთარის სიმღერები. შენგელაიას მხატვრული მეტყველება ხშირად ამაღლებულ პათეტიკობად იქცევა.

ეს მოთხრობები სამოქალაქო ომის შესახებ იყო მშლავი ნაბიჯი წინ — შენგელაიას შემოქმედებაში. აქ აღარ არის ქაოსი და ბოდვა, მოვლენები ვითარდებიან კანონზომიერად, ფრაზა გამომდინარეობს ფრაზოდან ლოლიკური თანამიმდევრობით; ტიპები მკაფიოდაა მოხაზული და მათი ფსიქოლოგიის მთავარ განმსაზღვრელ ძალებად ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური პირობები გვევლინებიან. ისე რომ ამ მოთხრობებში უკვე სჩანს რეალისტი მხატვარი.



მე-XIX საუკუნის ორმოციან წლებში ფრანგმა მწერალმა ეყენ სიუმ გამოაქვეყნა ავანტიურული ხასიათის რომანი „პარიზის საიდუმლოებანი“. „ძირითადი აზრი ამ რომანისა — სწერდა ბელინსკი — ჭეშმარიტი და კეთილშობილურია“. ამ ნაწარმოებმა მარქსის ყურადღებაც მიიქცია, მან გააჩნია ეს რომანი, გენიალური მოაზროვნე განსაკუთრებით დააინტერესა რომანის გმირი ქალის — მარიას ბედმა. მარია სურს ხუცესს გადააქციოს „ღვთიური ჭეშმარიტების“ მსახურად. მარქსის აზრით კი მარიას ნამდვილი დაცემა სწორედ მაშინ იწყება, როდესაც „წარმართულად მზიარულ და უბრალო“ გოგონას გადააქცივენ სულისათვის და იმქვეყნიურ სიწმინდისათვის შურენველად. მარქსი სწერდა: „ხუცესმა მოახერხა რელიგიურ ექსტაზად გადაექცია მარიას უშუალო და გულუბრყვილო სასიხარულო აღფრთოვანება ბუნების სილამაზით; ბუნება უკვე დამდაბლდა ქრისტიანულ ფარისევლურ წარმოდგენამდე. გამსქვირვალე პაეროვანი ოკეანე გადაქცეულია უძრავ მარადიულობის სიმბოლოდ. მარია უკვე მიხვდა, რომ მისი არსების ყოველგვარი ადამიანური გამოვლენა იყო „მიწიერი თვისების“, რომ მას აკლდა რელიგია, ჭეშმარიტი სიწმინდე, რომ მისი ცხოვრება ანტი-რელიგიურია, უღმერთოა“. აქ როგორც ვხედავთ ბუნების და სიციცხლის ორგვარი შემეცნება დაპირისპირებული: ერთია „წარმართუ-

ლი“, „მიწიური“, სასიცოცხლო სიხარულით სავსე, ხოლო მეორე მარადიული მყუდროების და „ხორცის ჩახრჩობის“ ქრისტიანული ფილოსოფია. ერთია ერრელიგიური შემეცნება ამა ქვეყნისა, მეორე კრილოგურია. და ამ შემეცნების ორ წესს სრულიად სხვადასხვაგვარი ნორმები შეაქვს ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებაში. ერთი უარს ამბობს ცხოვრებაზე იმისთვის, რომ „იმქვეყნიური ნეტარება“ იხილოს, მეორეს ეს ქვეყანა აინტერესებს, რადგან „მიღმა ქვეყნის“ არსებობა — სრულიად სამართლიანად არა სწამს და ზღაპრად მიიჩნია. ეს მკვეთრი დაპირისპირებაა ცხოვრების რომანტიზმისა და რეალიზმისა, ანუ ქრისტიანიზმისა და მატერიალიზმისა. ასეთი აზრი გამოსთქვა მარქსმა მეორე ადგილასაც, როდესაც ის ეხებოდა მე-XVII საუკუნის ფრანგი მატერიალისტის გასენდის მსოფლმხედველობას. „გასენდი — სწერდა მარქსი — განმათავისუფლებელი ეპიკურისა ინტერდიქტისაგან, რომელიც მას დაადვა ეკლესიამ და მთელმა საშუალო საუკუნეებმა — ამ უაზრობის განსახიერების ეპოქამ — იძლევა თავის ნარკვევებში მხოლოდ ერთ საინტერესო მომენტს. ის სცდილობს როგორმე შეარიგოს თავისი კათოლიკური სინდისი თავისსავე წარმართულ ცოდნასთან, შეარიგოს ეპიკური ეკლესიასთან. მაგრამ რასაკვირველია ეს არის ამაო ცდა. ეს იმის ცდასა ჰგავს, რომ მხიარულ ბერძნულ ლაისის სხეულს ვადაფარო ქრისტიანულ მონაზნობის სამოსელი“. როგორც ცნობილია გასენდიმ აღადგინა ეპიკურის მატერიალიზმი და მისი მორალური ფილოსოფია, რომ ცხოვრების მიზანი „მიწიური ბედნიერებააო“, მაგრამ მეორე მხრივ ის იყო ხეცები და შეეცადა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. სცადა შეეროგებია ეს ორი მოწინააღმდეგე სისტემა და აი სწორედ ამაზე ამბობს მარქსი, რომ ეს შეუძლებელიაო.

აი სწორედ ეს საერთოდ ძველი მატერიალიზმიდან გამომდინარე ზნეობრივი ნორმები, ეს სიხარული ცხოვრებისა, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად ანტიური საბერძნეთის ხელოვნებაში გამოჩნდა, შემდეგ მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე ეკლესია რომ სცდილობდა მის განადგურებას, მაგრამ ვერ მოახერხა, ეს მორალი ყოველთვის ჩნდებოდა ხალხში და იყო არა ყოველთვის განსაზღვრულ ფილოსოფიურ მიმდინარეობის მიერ სანქციაქმნილი, არამედ ბუნებრივად წარმოშობილი სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებზე.

„ბათა ქექია“ სწორედ ამ პრობლემების ცენტრში ტრიალებს და ამ მხრივ იგი ძლიერ საყურადღებო რომანია, სრულიად ახალი მოვლენა ქართულ ლიტერატურის ისტორიაში. ბათა ქექიას ცხოვრების ფილოსოფია — ოპტიმიზმია.

ბათას ურელიგო მორალი და ბუნების სრულყოფილი თავისებურ სოციალურ გარემოს მიხედვით აქვს ავტორს ახსნილი. „სანაეარდოსა“ და „ტფილისის“ ადამიანებსა და „ბათა ქექიას“ გმირებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. იქ ყველაფერი სასიკვდილო გახრწნის სუნიით იყო მოცული, ადამიანებს არა ჰქონდათ ცხოვრების პერსპექტივა, იქ იყო სიძულვილი

ცხოვრებისა და დეკადენსი, ბათა ჭექიას ქვეყანა კი ნათელი და ბრწყინ-
ვალეა; ბათას საუბრებს რომ დააკვირდეთ, ასე გეგონება ძველი ბერძენი
პილოძოისტები და ეპიკურელები ლაპარაკობენო, ეს იმიტომ ქდებდა, რომ
ბათა ჭექიას ფილოსოფია — ეს თვით ავტორის ეპიკურეზტუტურა-
ლიზმია, ისე რომ აქ საქმე გვაქვს მწერლის მსოფლმხედველობასთან. თა-
ვის გმირის ზურგს უკან თვით მწერალია ამოფარებული; ისე როგორც
ბაირონის ჩაილდ-პაროლდი, ლ. ტოლსტოის ოლენინი („ყაზახები“) და
ნახლიუდოვი („ადღგომა“) თავის ავტორების აზრებს ლაპარაკობდენ,
ასევე ბათაც — დემნა შენგელიას მსოფლმხედველობას გამოსთქვამს.

შენგელიას კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი არასოდეს
არ ჩერდება მოვლენების ზედაპირზე; „ბათა ჭექიამდე“ იგი ხალხურ მი-
თოლოგიის და რწმენის კვლევით იყო გატაცებული, „ბათა ჭექიაში“ კი
მას უცდია მოეცა სოფლის ესთეტიკა და ზნეობრივი ნორმები. „სანავარ-
ლოში“ და „ტფილისში“, როგორც ზემოდ ვნახეთ, ქვეყანას მისტიციზმის
ბნელი ძალები განაგებდენ. ასეთ ხელოვანის შემოქმედებაში რეალური
ქვეყანა ემზგავსება მტერიან ეკლესიას და ადამიანები, ჰკარგავენ რა ცოც-
ხალ სახეს — იქჩირებიან როგორც ხატები, შეიძლება ხანდახან ლამაზად
შემგობილიც ძვირფასი ქვებით, მაგრამ მაინც უსიცოცხლონი და ვაცრე-
ცილნი. ბათა კი ნამდვილი უღმერთოა. მას ერთნაირი კლასიური სიძულ-
ვილით სძულს ქრისტიეც და მემამულეც, მან იცის, რომ „ღმერთი მათ
შესაშინებლად იყო გამოგონებული“, მას უყვარს მუშაობაც და მხიარუ-
ლებაც.

მოვეუსმინოთ ახლა თვით ბათას:

„შეებედავ ცას, — მიხარია, გაეზედავ ამ გულგადაღელილ მიწას, —
ისევ ვხარობ, გავსცქერი ამ მწვეანე მინდორ-ველებს, თოვლით ჩამოფე-
ნილ კავკასიონს, აბრეშუმვიით აშრიალებულ სიმინდის ყანებს, ამ რიონს,
ამ ტბას ნარიონალს, შვილებს, შვილიშვილებს, — ვინ მოსთვლის მათ?
ჩემი ოფლით მონაგარ ფაცხას და რა ვქნა შვილებო, ბიძიებო, რომ მიხა-
რია?... განა ჩვენ არ ვიყავით პირველად ანდრია მოციქულმა ჭანეთიდან
ჩვენს მოსაქრისტიანებლად, რომ ჩამოიარა და სოფელ ბანძაში ქადაგად
დაცემულის მქუხარე და სასოებით აღსავსე წმინდა სიტყვებზე თვალითა-
ვან ცერისოდენა ცრემლები ლაპა-ლუპით ჩამოგვდიოდა?

— არა კაც კლა! — და ჩვენ პირქვედამხოზილნი ვგმინავდით გულზე
სასოების ცეცხლ-შემონთებულნი.

— არა იმრუშო...

— არა იპარო! — და ჩვენ ამ სიტყვებზე, მიწაზე გასნატულნი მი-
ვეფორთხავდით გოდებით, ვაგბით მოციქულის ფეხებში, კალთას ვუკოც-
ნიდით და — ფუი დასწყევლა ეშმაკმა — როცა მის წმინდა კვართს კალ-
თას ვუკოცნიდით, ვხედავთ, იმ დალოცვილს ფეხზე ისეთი ახალთ-ახალი
ლაზური ქალამნები ეცვა და ხელში ვერცხლის ჯავარიანი ყავარჯენი ეჭი-
რა, რომ თვალს მოსჭრიდა ადამიანიშვილს“. ამის შემდეგ დაღლილმა ქა-
დაგმა დაიძინა, ხოლო ამ ბათას წინაპრებმა მას ქალამნებიც მოჰპარეს

და ყავარჯენიც. „განა ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცილთაგანი არ იყო ის ცოდვილი — განაგრძობს ბათა — რალაც შეცდომით სამოთხეში რომ მოხვდა, წმინდა გიორგის თეთრ ლაფშაზე გული შეუფერდა, კსულმა არ მოუთმინა, ზედ მოასტა და სამოთხიდან სღურფს დასწდოვანა მე არ ვიყავ ნაბატონარ ბაქარ მანდარიას შავი დღე რომ დავაყენე და ჩვენი მიწაწყულიდან ფეხი სამუდამოდ ამოვადგმევინე?“

ბათას ფილოსოფია, ნამდვილი პირვანდელი ეპიკურეიზმია, სოფლურ ცხოვრების ენაზე გადათარგმნილი. „დასწყველოს ღმერთმა ჩემი ასე უკუღმართად გამქედი“, ამბობს ბათა და ის მართლაც უკუღმართთა ქრისტიანიზმის თვალსაზრისით. ბათას მთელი ცხოვრება „ცოდვა“ და „წაწყმედაა“ ქრისტიანული ეთიკის მიხედვით, მაგრამ ბათამ იცის, რომ „ცოდვა თაფლია, შაჭრია. ცოდვა ტკბილია და მეც ამ თაფლით ვიტკბობდი სიცოცხლესაო“. ბათას სიყვარულიც სევდიანი კი არ არის, ქანც-გაწყვეტილი, რომანტიული, არამედ რალაც თავისებური ეშხით შემოსილია და სოფლურ ცხოვრების სილამაზით გაელენთილი. ეს მფეთქავი სიცოცხლეა, რომლისათვის შრომაც სახალისოა, მიწაც ლამაზია, მაგრამ ამ ქვეყნად არსებული კლასობრივი ჩაგვრა მას სულს უხუთავს. სძულს მთელი მეფის მთავრობა, მთელი გაბატონებული წოდება, ეს მისთვის შავი ღრუბელია მოწმენდილ ცაზე. ეს ფეოდალურ-გელური ექსპლოატაცია სამართლიან კლასიურ სიტუაციას იწვევს მასში; მაგრამ მაინც რომანში მთავარ ადგილს ბათას სიცოცხლისადმი სიყვარული იჭერს. აქ არის ღრმა და თავისუფალი სუნთქვა იმ ბუნებისა, რომლის კალთებში ის დაიბადა და გაიზარდა. ბათას თავის კერძო მესაკუთრის ფსიქოლოგიით ეს წუთისოფელი რალაც ბარაქიან ყანასავით აქვს წარმოდგენილი, რომელიც ღელავს ნიავის ქროლვაზე. ამ ცხოვრებაში ადგილი არა აქვს ფილოსოფიურ ტრაგიზმს ისე როგორც ეს „სანავარდოშია“. აქ არასოდეს არ დაისმება ასეთი საკითხი: რატომ ვცხოვრობთ? რისთვის? რა აზრი აქვს ჩვენს არსებობას? პირიქით, „განვლილ დღეებს რომ გავხედე, დამენანაო“, ამბობს ბათა. „დამენანა, რომ ისინი უკან იყვნენ და არა წინ; რა სიამოვნებით მოუბრუნდებოდი მათ და ხელახლა დავიწყებდი ცხოვრებას“.

ბათა ქეჭიას მორალი, რა თქმა უნდა, დღევანდელობისათვის იდეალი არ არის, ის კერძო მესაკუთრის მორალია, ახალი ადამიანის ეთიკა სულ სხვაგვარია და მისი ოპტიმიზმიც ძირეულად განსხვავდება ბათას ოპტიმიზმისაგან. ეს ძველი ეპიკურეისტული მორალია, რომელიც სოფლის ცხოვრებაში მოძებნა და სისტემაში მოიყვანა მწერალმა. და ეს მორალი უსასტიკესი მტერია ქრისტიანულ ზნეობისა, მას „სულს ისევე შემწვარი თხა უჩვენია“. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანის მესამე ნაწილის მეორე თავი. აქ მთელი ზეიშია ჯანსაღი სიცოცხლისა. ბათას არა მარტო ასკეტურ ცხოვრების დაცინვა შეუძლია, არამედ მის წინააღმდეგ პრაქტიკული ბრძოლაც, მუშაობაც, ცხოვრებაც და სიხარულიც.

ამრიგად „ბათა ქეჭია“ ისეთივე ნაწარმოებია — როგორც ილია ჭავჭავაძის „განდევლი“. მგზავსობა სწორედ პრობლემის გადაჭრაშია, იქაც

და აქაც საბოლოოდ განადგურებულია ასკეტიზმი და ზემოთს ადამიანის წუთისოფლური ცხოვრება.

„ინ შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა რიგ ტბილია!
აქ სიყვდილია, იქ კი სიცოცხლე
აქ ჭირია და იქ კი ლხინია“.

გარკონული
გინგლინოთიქა

ამას უპირისპირდება განდევილის ასკეტიური ფილოსოფია:

„... რა ვითხრა შეილო!
ყველაზე უფრო სული ტბილია,
იგი ტყვე არის წუთისოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

ბოლოს ეს ქრისტიანიზმი მაინც მარცხდება. მათი შერიგება, როგორც მარქსი ამბობს ვასენდის შესახებ, — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ასეთია „ბათა ჭექიას“ ფილოსოფია.

რომანში ამას გარდა ბათას ცხოვრების სხვა მხარეცაა ნაჩვენები. ბათა მშრომელი გლეხია — კერძო მესაკუთრის ფსიქოლოგიით. ის აქტიური მონაწილეა კლასობრივი ბრძოლების, რომელიც ხდებოდა რევოლუციამდე სოფლის ცხოვრებაში. ავტორს ბათა გამოჰყავს როგორც ცხრაასხუთი წლის ამბოხებულ გლეხობის ტიპური წარმომადგენელი; დანარჩენი ტიპებიც მთელი ფსიქოლოგიური და სოციალური სიღრმითაა ასახული რომანში. ასეთებია მღვდელი საბა, ბათას ცოლი, სიდუ, ჭიონია და სხვები.

„ბათა ჭექია“ ფილოსოფიური და სოციალოგიური რომანია. ლიტერატურა, როგორც მძლავრი მიმდინარეობა საზოგადოებრივ იდეოლოგიისა, — შემეცნების ერთი სახე იყო თავიდანვე და ჭეყენის ფილოსოფიურ შემეცნების მხარდამხარ მიდიოდა. და როგორც სამართლიანად ამტკიცებდენ ბელინსკი და პლენანოვი, ლიტერატურა ფილოსოფიისაგან განსხვავდება არა თავისი შინაარსით, არამედ მხატვრულ ფორმით, გამოთქმის და გამოსახვის საშუალებით. მათი შინაარსი კი ერთია; ესაა ნაყარი ყლორტები კაცობრიობის აზრისა, რომელსაც ზრდის და ასაზრდოებს მარად მწვანე ხე ცხოვრებისა; და ამ ცხოვრების მღვდელვარე ოპტიმიზმის საუკეთესო ეპოპეიაა „ბათა ჭექია“. ისე როგორც დონკიხოტი არის სიმბოლო ამათ თავგანწირულებისა, ჰამლეტი — რყევის და სკეპტიციზმის, მაკბეტი — პატივმოყვარეობის, ობლომოვი და თათქარიძე — უქმობის და პარაზიტობის — ასევე ბათა ჭექია არის სასიცოცხლო სიხარულის და ოპტიმიზმის სრულყოფილი სახე. ბათა კლასიკური ტიპია და ის მტკიცედ დარჩება ლიტერატურის ისტორიაში როგორც ერთ-ერთი მძლავრი ნაბიჯი თანამედროვე ჭარბული მწერლობისა. დემნა შენგელია არ არის გულუბრყვილო რეალისტი, ის მუდამ ძიებაშია, მუდამ წინ მიდის და თავის მხატვრულ არჩევანს მხოლოდ მწვავე პრობლემების ირგვლივ აჩერებს. აი სწორედ ერთი ასეთი პრობლემათაგანია წამოჭრილი ხსენებული რომანის ფურცლებზე და უდიდესი მხატვრული ფერებით გაშუქებული.

განსაკუთრებით საინტერესოა დემნა შენგელაიას ^{უკანასკნელი მო-}თხრობები: „სხა“ და „ფიცი“. სსენებულ მოთხრობებში მწერალი უკვე დგას სოციალისტურ რეალიზმის მკვიდრ საფუძველზე „სხა“ ეხება ლენინის გარდაცვალებას და სტალინის ფიცს. აქ ^{მწერალი ახალა} მოცემული სინამდვილე, ავტორს კარგად გაუგია ბოლშევიზმის და მისი ბელადის ფოლადისებური სიძლიერე; ეს ახალი ნაბიჯი ძლიერ მისასაღმებელია ჩვენს მწერლობაში. შენგელაია ამ უაღრესად აქტუალურ პოლიტიკურ თემას ძლიერი მხატვრული ექსპრესიით გადმოგვცემს და ნათლად ასახავს ბოლშევიზმის გმირულ ბუნებას.

„სხა“ განახლებულ მთას ეხება. მისი შინაარსი კლასთა ბრძოლის და მწყემსთა კოლექტივის ფონზეა გაშლილი. მწერალს ნაჩვენები აქვს მოსახლეობის კლასიური დიფერენციაცია, მოთხრობაში გვხვდება ახალი ადამიანის ტიპები, რომელთათვის სოციალიზმის საერთო საქმე უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ნათესაური გრძნობა. მოთხრობაში მახვილადაა მოცემული კულაკობის ლიკვიდაცია, გამძაფრებული კლასიური ბრძოლა.

შენგელაიას ამ მოთხრობებს ახასიათებს კონკრეტული მისვლა სინამდვილესთან, მის შემოქმედებაში კვალიც აღარაა დარჩენილი იმ „ავად-მყოფური“ პერიოდისა, როდესაც მას ლანდები და სინამდვილე ვერ გაერჩია ერთი-მეორისაგან, როდესაც მისთვის დრო და სივრცის კანონები არარაობას წარმოადგენდა ფანტასტიურ მოჩვენებათა ბურუსთან შედარებით.

ასეთია დემნა შენგელაიას შემოქმედებითი ისტორია სუბიექტიური იდეალიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე.

იოსებ მებრელიძე

საიათნოვას უცნობი ლექსები და ცნობილზე შენიშვნები

1. გიორგი ზაქარიას-ძე ბაშინჯალიანი — გამოჩენილი მხატვარი-პეიზაჟისტი, მწერალი და ხელოვნების დიდ მოყვარული იყო. იგი დაბადებულია 1858 წელს ქ. სიღნაღში. 1883 წ. პეტერბურგში ჯილდოზე დაუშთავრებია „სამხატვრო აკადემია“. და თავის ცხოვრებაში 2.000-ზე მეტი ნახატი შეუსრულებია, რაიც დღესაც ამშვენებს მუზეუმებსა და იზიდავს მნახველებს საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებისას. უმუშავებია იტალიასა და შვეიცარიასშიც, დაუსურათბატებია არა ერთი ადგილი კავკასიის მდიდარ პეიზაჟებიდან და მიუწოდებია ევროპიელებისათვის.

იგი ჯერ კიდევ იმ დროს იცავდა მხატვრობისა და მწერლობის გაუთიშველობას. მისთვის მწერლის ენა აესებდა იმას, რაც მხატვრის ფუნჯს ვერ დაუძლევია, და დაუწერია მოთხრობები, რომლებიც რამდენიმე ცალკე წიგნათაა გამოცემული სომხურს ენაზე. ნაწილი თარგმნილია ქართულზედაც. მონაწილეობდა სომხურს, რუსულსა და ქართულს ერთდროულ გამოცემებში, და განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ქართველ მწერლებთან. მშენიერად იცოდა ქართული ენა, იყო ძველის ტფილისის კარგი მცოდნე. ძლიერ ჰყვარებია საიათნოვა და მისი ძველის პროექტიც გ. ბაშინჯალიანს ეკუთვნის. მის კუთვნილ წიგნებშივე ინახება საიათნოვას უძველესი სომხური გამოცემა¹⁾.

თითოეული წიგნი გულდასმით წაუკითხავს და თითოეულში საკორექტურო ნიშნებით შეუტანია შესწორებები. ლექსებში სიტყვები შეუცვლია, ახლები ჩაუესვამს, ზოგან სულ ჩაუმატებია და კორექტურული შეცდომები უსწორებია. საიათნოვას გამოუცემელი ლექსები, სადაც კი შეპხვედრია, თითოეულად ჩაუწერია. სომხური ცალკე ფურცელზე ნაწერი სომხურს გამოცემაშივე ჩაუდგია და ქართული — ხსენებულ ი. გრიშაშვილის გამოცემის, ლექსების ბოლოს ლექსიკონის დასაწყისში მე-126 გვერდზე მოუთავსებია. ამ ქართულს გამოცემასაც ისევე მოპყრობია, როგორც სომხურს:

¹⁾ გ. ახვერდოვის გამოცემა. „საიათნოვას სომხური ლექსები“, 1852 წ. მოსკოვი. ამით დაიწყო საიათნოვაზე ინტერესი და მისი შესწავლა. იგი დასაყრდენი გახდა შემდეგ გამოცემებისათვის.

კორექტორული შეცდომები გაუსწორებია, ზოგ ლექსში სიტყვები შე-
უცვლია და ზოგან სულ ახალი ჩუსვამს.

როგორც ეტყობა განზრახული ჰქონია საიათნოვას ლექსების გამო-
ცემა, ან მათზე რისიმე დაწერა, თორემ ასეთი სიზუსტით არც ერთი ცხად-
ყოველივეს, მაგრამ ველარ განუხორციელებია; 1924 წელს (მარტის 4-ს)
ვარდიცვალა. ღიღის პარტიისციემით დაასაფლავეს ტფილისში, (სურფ-
გეორგის) ეკლესიის გალავანში, საიათნოვას საფლავის გვერდით.

გ. ბაშინჯალიანის შენიშვნები მეტად ძვირფასია მეტადრე იმიტომ,
რომ საიათნოვას ყველა ავტოგრაფები არ დარჩენილა და შემდეგ ჩამ-
წერლებს თუ მთხრობელებს ვინ იცის რა არ შეუტანიათ შიგ და რა არ
შეუცვლიათ. ¹⁾ იმიტომ აქვე ვიძღვევი წიგნში ჩაწერილ ყოველ შენიშვნას.

ბ. ლექსში „ზღვას ვინ გააშრობს“ ²⁾ პირველი ტაქტის მე-3 სტრიქონში
„ქარი რას დააკლებს ქვითკირის კლდესა“, სიტყვა „ქვითკირის“ ფანქრით
წაშლია და არშიაზე მიუწერია „ქარაფსა“ ³⁾. სტრიქონი ასეთი რჩება:

„ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი!
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?
ქარი რას დააკლებს ქვითკირის კლდესა,
თუ გინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს“.

ღებულობს ასეთ სახეს:

„ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი!
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?
ქარი რას დააკლებს ქარაფსა, კლდესა,
თუ გინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს“.

როგორც ეტყობა, მას კონკრეტული საბუთი ჰქონდა ასეთი ცვლილება
შეეტანა ლექსში სიმკვრივის გადმოსაცემად. სიმავრის შესადარებლად. სა-

¹⁾ ავტოგრაფების ძლიერ უმნიშვნელო რიცხვია დარჩენილი. ჩამწერთა შორის ყვე-
ლაზე უფრო სანდო საიათნოვას შეილი ივანე უნდა იყოს, მაგრამ მასაც აუარებელი
შეცდომა აქვს. მისი გადანაწერი თუ ჩანაწერი პირველად ნ. მარტის უნახავს 1889 წ.
და გადაწერია კადეც. შემდეგ მისგანვე ი. გრიშაშვილის გამოცემაში შევიდა (იხ.
ი. გრიშაშვილის საიათნოვა გვ. 45) ამ ხელნაწერის („...Рукопись Азватского Му-
зея“ Грузинский фонд № 222) და გამოცემულს ზოგიერთი ლექსები ძლიერ გან-
სხვავდება ერთი-მეორისაგან. ზოგი ახალი ლექსებიცაა შიგ. მაგრამ აქ აღარ მოგვყავს
ეს სხვაობანი, გარდა ამ წერილთან დაკავშირებული ადგილებისა. მასზე უმუშავნი
მგოსან ი. გრიშაშვილს და თავად შეასრულებდა ყოველივეს, რაც საჭირო იყო. აქ ამ
შენიშვნით დაგვამაყოფილდეთ.

ამ ხელნაწერის შესახებ დაახლოებით სწორი ცნობები იხ. გრიშაშვილის გამო-
ცემის 45 გვერდზე. აგრეთვე გ. ლუნიძის წიგნაკში („მგოსანი საიათნოვა“, ბიბლიოგრა-
ფიული ისტორია. 1930 წ. ტფილისი) გვ. 11, 43 და სხვა.

²⁾ ი. გრიშაშვილი, საიათნოვა (ტფილისი, 1918 წ.), გვ. 97.

³⁾ ქარაფი დიდი კლდე.

იათნოვა სხვაგანაც ხმარობს სიტყვა „ქარაფს“. ერთ სომხურ ლექსში იგი ამბობს: „მე ის საიათნოვა არა ვარ, რომ ქვიშას დავეფუძრო“¹⁾. ის იწუნებს ქვიშის საძირკველს და მეორეში მგოსანი „ქარაფს“ ვეძებულობს:

„ვეელას არ ძალუძს ჩემი წყლის დაღვეა, — იგი სხვა წყალსი,²⁾
ვეელას არ ძალუძს ჩემი ნაწერის წაკითხვა, — იგი სხვა ნაწერია.
ჩემი საძირკველი ქვიშა არ გეგონოს, — ქარაფია, ქვითკირია“³⁾.

მართალია „სააზიო მუზეუმის“ ხელნაწერებში „კვითკირი“ სწერია, მაგრამ საკითხს ის ხელნაწერი ვერ გადაწყვეტს, რადგან მასში აუარებელი შეცდომაა ჩამწერის მიერ საიათნოვას ლექსების კარგად არ ცოდნის გამო. მას ზოგი ხელნაწერიდან გადაუწერია, მაგრამ ცუდად უწერია და ბევრი შეცდომა დაუშვია. მასში ეს ტაეპი ისედაც განსხვავდება გამოცემულისაგან. იქ ასეა:

„ზღვას როგორ გააშრობს ვარსკვლავის სიტყე!
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?
ქარი რას დააკლებს ქვითკირსა, კლდესა,
თუ გინდ წელის-წლამდე ქროლა დაიწყოს“⁴⁾.

ამავე ლექსის უკანასკნელ ტაეპის (ე. ი. 5) პირველ სტრიქონში „ეს ყმაწვილი“ ამოუგდია და მიუწერია „საზანდარი“. ვღებულობთ:

„ნურვინ იტყვის ეს ყმაწვილი ვინა ვარ?
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ“-ს
ნაცვლად: „ნურვინ იტყვით — საზანდარი ვინა ვარ?
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ“-ისა.

ლექსში: „ჰვალობს თუთის ყაზალახი“, (გვ. 101) უკანასკნელ ტაეპის პირველ მარცვალში „თვალო“ შეუცვლია „ქალო“-თ ე. ი. „მოდი თვალო. დამიჯერე, არა ვარ შენი ორგული“. — „მოდი ქალო, დამიჯერე, არა ვარ შენი ორგული“-თ და მართლაც, რომ ასე უნდა იყოს, ეს ნათელია მომდევნო სტრიქონებიდან. მასში საიათნოვა მართლაც მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „მოდი ქალო“⁵⁾. დამიჯერე, არა ვარ შენი ორგული.

ხელმეორეთ ნულა დამწვავ, იმ თავით ვარ დადაგული,
საიათნოვა მოგახსენებს: შენ ვარდი ხარ, მე ბულბული!
ჩამსვი ოქროს ყაფაზაში, — ნუშის ლებანი მინდოდა!“

მომდევნო ლექსში „ზოგ-ზოგი კაცი“ (გვ. 102), ვიორგის სიტყვები „ჰქონდეს“ და „ედვას“ გადაუსვამს: მათთვის ადგილი შეუცვლია, პირ-

¹⁾ იხ. მელიქეთ-ბეგის საგულისხმო წიგნი „საიათნოვა“, (1930 წ. ტფილისი) გვ. 5

²⁾ Ibid. გვ. 112.

³⁾ იხ. „Рукопись Азиатского Музея“. (Грузинский фонд № 222), გვ. 38. ხელნაწერი დაუგვერდავია. ვთვლი გვერდებს პირველიდან.

⁴⁾ სააზ. მუზ. ხელნაწერში „თვალო“ სწერია.

ველი მეორე სტრიქონიდან მესამეში გადაუტანია და მეორე მესამედან მეორეში, ე. ი. ტაეპი:

„მეცხვარეს რად უნდა აღმასი ძველი,
ოღონდ პინით ჰქონდეს ახალი ყველი!
სასთუმლად ქვა ედვას, სარტყლად — საბელი...
ბეგთაბეგის ქირმან-შალს დაიწუნებს“.

ერკონულნი
პინულნიძე

შეთსწორებია ამგვარად:

„მეცხვარეს რად უნდა აღმასი ძველი,
ოღონდ პინით ედვას ახალი ყველი!
სასთუმლად ქვა ჰქონდეს, სარტყლად — საბელი...
ბეგთაბეგის ქირმან-შალს დაიწუნებს“).

ლექსს „არავის ვარი არ უთქვამს“-ში კი (გვ. 103, ტაეპი მე-3) „პირი-სახე მზეს მიგიგავს მთვარესავით გაბადრული“ ამ გვარად გადაუყეთებია: „პირისახე გაბადრული, მთვარესავით გამოსული“, ე. ი. „მზეს მიგიგავს“, შეუცვლია „გაბადრული“-თ და ტაეპს მართლაც უფრო უხდება; ხოლო ლექსს „შე საწყალო ჩემო თავო“-ს მე-5 ტაეპში (გვ. 107) სიტყვა „მტრედი“ შეუცვლია და „ქორი“ მიუწერია. მართლაც აქ სწორედ „ქორი“ უნდა ეთქვას საიათნოვას, რადგან შედარების დროს „მწყერის“ საწინააღმდეგო ცნება „ქორი“ უფროა ვინემ „მტრედი“. ეს შესწორება მართლაც საგულისხმოა და ცვლილება (რასაც მგოსანი ნაღვლით ვადმოსცემს) ვაცილ-ბით უფრო ცხარეთაა ვადმოსცემული. გ. ბაშინჯალიანს ნაცვლად:

„ბრინჯი ვიყავ — ქერობა რად მინდოდა?
მტრედი ვიყავ — მწყერობა რად მინდოდა?“

დაუსვამს:

„ბრინჯი ვიყავ — ქერობა რად მინდოდა?
ქორი ვიყავ — მწყერობა რად მინდოდა?“

და ღვთის შორწმუნე მგოსანს ამ ცვლილებით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ, ერობიდან ბერობაში გადასვლამ, ათქმევინა:

„ერთი მითხარით, ბერობა რად მინდოდა“-ო.

ასეთ დროს, როცა ბერი ბერობას ჩივის, რა თქმა უნდა მტრედობიდან მწყერად ცვლას არ ჩათვლიდა იმდენ უბედურებად, როგორც ქორობიდან მწყერობას, და არ იტყოდა:

¹⁾ სააზიო მუზ. ხელთნაწერში ეს ტაეპი ასეა:

„მეცხვარეს რად უნდა აღმასი ძველი,
ოღონდ პინით ჰქონდეს ახალი ყველი!
სასთუმლად ქვა აქ(ეს), სარტყლად — საბელი
ბეგლარ ბეგის თირამა-შალს დაიწუნებს“ (გვ. 30).

ამ ლექსის ნაბეჭდი და ხელთნაწერი ძლიერ განსხვავდება ერთი-მეორისაგან. ნაბეჭდში 5 ტაეპია, ხელთნაწერში 4, და სხვადასხვა ვარიანტების ტაეპებია.

„რომელს დავაბარო, რისაგან არის?
ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის“. (იქვე გ. 107).

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ გ. ბეჭეტაძე ასე ბეჯითად არ შესცვლიდა ამ სიტყვას, რომ ხელთ რაიმე განაჩინა ანუ ფაქტი არ ჰქონდა. იმ საბაბით, რომ მეორე უფრო უდგება, ვინემ პირველი, ის არ მისცემდა თავის-თავს უფლებას „მტრედის“ ნაცვლად „ჭორი“ დაეწერა. ამ ცვლილების საფუძვლიანობა სრულებით გაამართლა გ. ლეონიძის ახალმა გამოქვეყნებულმა მასალებმა¹⁾. მის მიერ გამოქვეყნებულს „კალმასობის“ დაუბეჭდავ ნაწილიდან გამოქვეყნებულ საიათნოვას ლექსში, მართლაც „ჭორი“ სწერია:

„ბრინჯი ვიყავ, ჭორობა რად მინდოდა,
ჭორი ვიყავ, ძერობა რად მინდოდა,
ერი ვიყავ, მღვდელობა რად მინდოდა, და ა. შ. ა).

მასვე (გ. ბაშინჯალიანს) ლექსს „კოკობი ძუძუთ ვაზრდილო“-ს (გვ. 108) მე-3 ტაეპის პირველ სტრიქონში „თემი“ შეუცვლია „ცანი“-თ. ნაცვლად: „ცანგლით თემი და ჭვეყანა,
ცანგლით მე მეჩვენე შენა“.

გამოუყვანია:

„ცანგლით ცანი და ჭვეყანა,
ცანგლით მე მეჩვენე შენა“²⁾, და რა თქმა უნდა არა იმ საბუთით, რომ ასე უფრო ალიტერაციულია, არამედ მით, რომ სხვა გამოცემებში მართლაც ასე სწერია, რაიც მგოსან ი. გრიშაშვილს არ გამოპარვია და წინა თავებში ლექსების გარჩევისას აქვს აღნიშნული (გვ. 51).

¹⁾ გ. ლეონიძე, მგოსანი საიათნოვა, ბიბლიოგრაფიული ესკიზი, 1930 წ. ტფილისი.

²⁾ იხ. გ. ლეონიძე, მგოსანი საიათნოვა, გვ. 29. აქ ნაცვლად „მწვერობის“ სწერია „ძერობა“, გ. ბაშინჯალიანმა, ალბად კარგად არ იცოდა ის ლექსი და „მტრედი“ შეცვალა „ჭორით“, ოღონდ „მწვერობა“ დატოვა უცვლელად. გ. ლეონიძის ვარიანტში რომ „ძერობა“ იკითხება, ალბად ეს იმით უნდა აიხსნას, რომ „კალმასობის“ ჩამწერს არ სკოდნია ეს ლექსი კარგად, ან ეს ადგილი არ იკითხება კარგად. მეტადრე ამ სიტყვების არევაც ადვილი შესაძლებელია გადორმებით: „ძერობა“ და „მწვერობა“ ან სხვაგვარი შეცდომა, კორექტურული ან კალმისა. უდავოა, რომ „მწვერობა“ უნდა იყოს და არა „ძერობა“ (თუ ეს ასე სწერია „კალმასობაში“, „უნივერსიტეტის სიძველეთ მუზეუმის“ ხელნაწერ № 537-ში). აქ აზრით ჩანს, რომ „მწვერობა“ უნდა იყოს, რადგან მოცემულია ლექსში „ბრინჯი“ და მისგან „ძერობა“, კარგიდან ცუდი „ჭორი“ და „მწვერობა“, — ძლიერი და საპირისპიროდ უძლური. საიათნოვა დასტურის ძლიერებიდან უძლურებაში გადასვლას და თუ „ჭორობიდან“ „ძერობას“ ეღივრებოდა, სატირალი რად ჰქონდა?!

³⁾ სააზ. მუხ. ხელნაწერში (№ 222) „თემი“ სწერია. ეს ტაეპი ისედაც განსხვავდება გამოცემულისაგან.

(შეად. „ცანგლით თემი ჭვეყანა, ცანით მეჩვენე შენა,
უბეში გაქვს ვარდის კონა, — პირში გაქვს ბულბულის ენა.
მიწის გვარი ანგელოზი — სიზმარივით მომეჩვენა;
მას აქვთ ვეზიარ და ვტირი, (ს) სასგან ლამაზ ხარ“ (გვ. 24).

შემდეგ ამისა ლექსი „ყურმოჭრილი“ (გვ. 118) შეუსწორებია და მე-3 ტაეპის მე-3 სტრიქონში „დაგბულბულებს“ ამოუვდია და მიუწერია „დაგტრიალებს“. ნაცვლად: „თიბათვისა ბალო-ბაღჩავ, დაგბულბულებს კიავს ბულბული“ მიუღია: „თიბათვისა ბალო-ბაღჩავ, დაგტრიალებს კიავს ბულბული“. 112 გვერდზე მე-2 ტაეპის ბოლო სტრიქონში „გაჩვენე“ შეუცვლია „მაჩვენეთ“, ნაცვლად — „შესავით პირი გაჩვენე, დამწვარი ვარ, იცი განა? ასე გადაუკეთებია:

„შესავით პირი მაჩვენე, დამწვარი ვარ, იცი განა?“

ლექსში „მოდის საყვარელო“ (გვ. 120) მე-2 ტაეპის მე-2 სტრიქონში „საზი“ შეუცვლია „სალი“-თ.

„მეჯლის-საზანდარი საზი ჩენია“-ს მაგიერ:

„მეჯლის-საზანდარი სალი ჩენია“, ე. ი. ისე როგორც ეს შეასწორა პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა¹⁾. მოქვიფე აშუსს, სალი საზანდარი უფრო ესახელება, რადგან საიათნოვა იმდენ ძალას გრძნობს მკლავში, რომ საყვარელს ბაღში პატივობს, ეუბნება ბაღში წაყვდიდით და სიკვდილამდის ნუ გამოვალთო. მებაღეს აღარ აყენებს თავის ბაღში და სატრფოს ამხნეებს:

დაელით ღვინო, არაყი ჩენია,

მეჯლის-საზანდარი სალი ჩენია!

გავაგლოთ მებაღე, ბაღი ჩენია!

ლხინი კარგი... დრო კარგი... დღე კარგი“. გვ. 120).

შესაძლებელია პირველიც, ე. ი. რომ საიათნოვას ეთქვას „მეჯლის-საზანდარი, საზი ჩენიაო“, რადგან საზი ის იარაღია, რომელსაც საიათნოვა მშვენიერად ამღერებდა. მაგრამ აქ უფრო სარწმუნო „საზანდარი სალია“. გარდა იმისა, რომ ის ასე აღუდგენია გ. ბაშინჯალიანს და პროფ. მელიქსეთ-ბეგს, აქვეა მოსახსენებელი ისიც, რომ ასევეა „სააზ. მუზ.“ ხელთნაწერში²⁾. იქაც „საზანდარი სალი“ სწერია.

123 გვერდზე სტრიქონ „შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა“-ში (ტაეპი მე-4) სიტყვა „გაცემა“ შეუცვლია „დაცემა“-თ. „გაცემა“ ზემო სტრიქონშიც მეორდება და ამ პატარა ცვლილებით არა მარტო აზრს სცვლის, არამედ ლექსსაც უფრო აფეროვნებს.

¹⁾ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, გვ. 48. და არც შეიძლება ვინმე კორექტურულ შეცდომად ჩათვალოს, რადგან „სალი“ შეგნებულად აქვს დაწერილი. შენიშენებში უჩვენებს, რომ დაბეჭდილში საზია.

²⁾ იქ (სააზ. მუზ. ხელით. № 222) ეკითხულობთ:

დაელით ღვინო, — არაყი ჩენია,

მეჯლის — საზანდარი სალი ჩენია!

გავაგლოთ მებაღე, ბაღი ჩენია!

ლხინი კარგი... დრო კარგი... დღე კარგი... (გვ. 26).

„ნათქვამია: ერთხელ შთა მთას ეცემა,
 ლეთის ნებაა წყალობისა გაცემა!
 შენის ზელით იყოს ჩემი დაცემა¹⁾.
 ნეტა არ გაგვგდე, კარგად გეცემა,
 ჩემი სულიერი დედმამა ხარო!..“



ბ. სიტყვების ამ გამოცვლის გარდა გ. ბაშინჯალიანს ზოგან ახალი ჩაუმატებია. მაგალითად ლექსს „დამიჯერე“-ს (გვ. 121) მე-4 ტაეპის, მე-3 სტრიქონში „ხო“ ჩაუსვამს:

„ზოგი კაცი იტყვის — კაი გვარი ვარ,
 მაშინ ტირიფიც იტყვის კვარი ვარ“,

ასე შეუესია: „ზოგი კაცი იტყვის — კაი გვარი ვარ. მაშინ ხო ტირიფიც იტყვის: კვარი ვარ“²⁾. შეუმოწმებია ლექსის მარცვლოვანება და პირველი ტაეპის მე-3 სტრიქონიდან ერთი ხმოვანი ამოუგდია. ისიც ხუთძეკტ მარცვალზე დაუყვანია: ნაცვლად:

„ხის თეფში რა გინდა ზერნიშით³⁾ მოაწყონ,
 მაინც დასაწევავსა პინას⁴⁾ იტყვიან!“

დაუტოვებია:

„ხის თეფში რა გინდ ზარნიშით მოაწყონ,
 მაინც დასაწევავსა პინას იტყვიან“.

ასევე მარცვლები ჩაუმატებია ლექსში: „შენთან მიტომ ვლაპარაკობ“ (გვ. 124); პირველი ტაეპის მე-2 სტრიქონის თავში „რომ“ მიუმატებია, და უკანასკნელ სტრიქონში „ოქროს“ ნაცვლად „ოქროსი“ მიუღდია.

ე. ი. „შენთან მიტომ ვლაპარაკობ,
 დღეს ტურფა ტანი ვნახე!
 შიგ იწვა მზეთ უნახავი,
 ოქროს აკვანი ვნახე!“.

ასე გამოუყვანია:

„შენთან მიტომ ვლაპარაკობ,
 რომ დღეს ტურფა ტანი ვნახე!
 შიგ იწვა მზეთ უნახავი, —
 ოქროსი აკვანი ვნახე!“

¹⁾ სააზ. მუზ. ხელთნ. № 222, „გაცემა“ წერია (გვ. 33).

²⁾ ეს ტაეპი სააზიო მუზ. ხელთნაწერში ასე სწერია:

„ზოგი კაცი იტყვის — კაი გვარი ვარ,
 თუ დაუჯერო — ტირიფიც იტყვის კვარი ვარ“ (გვ. 29).

განსხვავებულია ამ ლექსის დასაწყისიც ხელთნაწერისა და გამოცემულის.

³⁾ ზარნიშინი — ჩუქურთმა.

⁴⁾ პინა — ხის ჯამი.

ბ. არა უმნიშვნელოა ის ცვლილებანიც, რომელიც მას „ვეტუსტარა“ დიოთ ასოს შეცვლით. კორექტურული და არა კორექტურული შესწორებები. ლექსში „გიხდება ზარი“ (გვ. 100) მე-5 ტაეპის პირველსტრიქონში „ვი-ცოდი“, დაუსვამს მე-3 პირში. „წალმართი სიტყვა არ ვიცოდი, ვინ მოგაჩვენა“. ამგვარად შეუსწორებია: „წალმართი სიტყვა არ იცოდი, ვინ მოგაჩვენა“.

მომდევნო სტრიქონში სულ მე-3 პირშია დასმული ზმნები და აქაც ასე უნდა ყოფილიყო.

გაკვრით ზემოთაც შევნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ საიათნო-ვეს ლექსებში გ. ბაშინჯალიანის მიერ შეტანილი აქ მოხსენებული ცვლი-ლებები არ არის აღმოცენებული უბრალო თვითნებობის ნიადაგზე. მან ან ზეპირად იცოდა ყველა ეს, ან ხელთ ჰქონდა რალაც მასალა და იმის მიხედ-ვითაც ასწორებდა. მათი საფუძვლიანობა ცხადია. ეს „მტრედი“-ს „ჭორად“ გადასწორების, „თემი“-ს „ტანი“-თ, „საზი“-ს „სალი“-თ და სხვა მაგალი-თებზე დავინახეთ. საიათნოვეს ლექსების გამომცემლებისათვის ეს ანგარიშ ვასაწვევი ფაქტებია და მხედველობაში უნდა მიიღოს.

2. ახლა გადავიდეთ ამ წერილის იმ მნიშვნელოვან ნაწილზე, რომელ-მაც მოგვცა საბაბი ეს შენიშვნებიც გამოქვეყნებულყო.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, საიათნოვეს უცნობი ლექსებ-გ. ბაშინჯალიანს შეუგროვებია და ი. გრიშაშვილის გამო-ცემაში თავისუფლად დატოვებულ 126 გვერდზე ჩაუწერია. ნაწერი ძა-ლიან კარგად იკითხება და, როგორც ლეონ გიორგისძე ბაშინ-ჯალიანი ამოწმებს, გიორგის ხელწერაა. იქ სულ მოთავსებულია სამი ქართული ლექსი და ქვეშ მიწერილი აქვს ორი სტრიქონი სომხური — საიათნოვეს ლექსებიდანვე.

მათგან პირველი შესდგება 5 ტაეპისაგან (20 სტრიქონი), მე-2 4-საგან (16 სტრიქონი) და მე-3 6-საგან (24 სტრიქონი), ე. ი. სულ 15 ტაეპია (66 სტრიქონი) ¹⁾.

ეს 15 სტროფი ყველა პირველად არ იბეჭდება. ზოგი დაბეჭდილია პირ-დაპირ ან სხვა ვარიანტით, ან დაბეჭდილი იყო და ავტორს არ იცნობდა არავინ.

ა. პირველი ლექსი ისაა, რომლის სტრიქონი მოჰყავს ი. გრიშა-შვილს გრ. ორბელიანის ლექსის ციტატად წამძღვარებულ ადგი-ლიდან. შემდეგ მთელი სტროფიც უშოვნია და შენიშვნაში მოუთავსე-ბია. ის სწერს: „ეს ლექსი სრულად ვერ აღმოვაჩინეთ. ალბად როგორც მისი სხვა მრავალი ქართული ლექსი — ესეც გაუჩინმაჩინებულა! მხოლოდ ბნ-

¹⁾ თვალსაჩინოებისათვის ამ გვერდის ფოტო-სურათსაც აქვე ვიძღვეით. იხ. 327 გვერდზე.

სკანდარნოვამ გადმოგვცა ამ ლექსის ერთი კუბლეტი, რომელიც შევიძინა ვინმე ქუჩაზ ვალუსტასაგან:



სათა-სულს რაქვებოე რქვებო

ღმობიან ვაზლუ ვისი ხს
შეაბ არცოფენ ხეჭმალ სხო
ხრამთა ვე სქამბს ვყოს
ი-ქმლ ხუ. სმ ვეხერ ვიხათ

სეხე სევე ს მკვიან-
ე ვე ხანი მ ვევიან.

სკალ მბხბხე ხე მუხს
უჭევე ვეძე ვადანთ

სკალ ვანბ მსვი-ქ-აველი
მსხე ვეკობ სქმ-ველი

ი-ქმლ ხო სმ აქლ ვევი
სამე ვეხე მკვიან ხსო

მბხბხე რეკსევე ვე-
მხრლ სე რეკმალ ხე-
მეხე ხს ვე სევე-ველი

მეხე ხს ვე სევე-ველი
მეხე ხს სმ ვეველი ხსო

ვსე ქეხბხეველ აო ს მქვ
სეი ვეველი ხო ს მქვ

სათა-სულ ამბს ხსო ს მქვ
ხეკლ რბხე, ქ მუვი ხსო

II

სემ ვეხე რეხსე, მუხბხე, მუხბხე
ვევიან ვე რეხსე ხსო რ მხეველი

ხე ვეხევე ამბიან ვეხე ვსე ვეველი
ვეხეხეხეხე მუხბხე მხო სეველი

სეველი ვეხევე, ავი იომ სე მხო ხს
ხეხევე მხეხელ ვეხე ვეხე, სე ვე სე ვეხე ხს

ხს ვეხე, რ ხს ვეხე, ვე ავი ვე ხსხე ხს
სათა-სულ ხს რ ხსხე ვეხეხეხე ვე მუხბხე

ვანბ რბხე, სეველი ვეხე ვეხე ვეხეველი
ვსე ხს ვე ვეხეხეხე ვეხეხე ხს ხეხეველი

ხეხეხე, ხეხეხე ვე ხსო ი-ველი
ვე-ქ-მე ვეხეხეხე ხეხეხეხე ვეხეხე

მეოქმალ მეოქმალ მეოქმალ ვეველი
მეხეხეხე სეველი სეველი რ ხს
ქო ავი მქვ ვე ვსე სეველი ვადანთ
მუხბხე ხსო სეველი სეველი სეველი

III

ავე მქვსეხე ქველი, მეოქმალ
რ ვანბს ვეველი ავი სეველი
მხს ქვს მხს ხე ვე მქვ
ოქ-ოქ სეველი მხს სეველი

მეხეხეხე ხსო სეველი
მუხბხეხე ხს სეველი ხსო
ხე ვეხეხე მხეხეხე ხსო
ქველი ქო მხს მხს სეველი

ვეხეხე სეველი ქო
სეხე ვეხე მუხბხეხე მხს
ვეხე ხსო მხს ვეხეხეხე
სეველი სეველი სეველი

სათა-სულ სეველი სეველი
ვეხეხე ვეხე ვეხე სეველი
ვეხეხე სეველი ვეხეხე ხსო
ავს ვანბ მხს ვეხეხე ხსო

სეველი მხს სეველი-
ხსო სეველი ვეხეხეხე ხსო
ვეხეხეხე ვეხეხეხე ხსო
ოქ-ოქ მუხბხეხე სეველი

ვეხეხე ვეხე სეველი
ვეხეხე ხსო რ ვეხეხეხე
ვეხეხეხეხე ხსო სეველი
მუხბხეხეხე ხსო სეველი

მუხბხეხეხე ხსო სეველი

ქვს ვეხეხე ხსო
ვეხე ხსო ხსო ხსო

„არ ვიცი, რა ვიფიქრო, რა მოვიგონო,
მე შენი ზიანი არ გამეგონო.
როდის მობოძანდები, ჩემო ბატონო,
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდახათა.
ყველგან მიღებულო სუფრის მაზათა!“⁷⁾

⁷⁾ ი. გრიშაშვილი, საითონოვა, გვ. 54, 76შ. 1. და იგივე ტაეპი მე-5 სტრო-
ქონის გამოკლებით მეორედება ამავე წიგნში გვ. 76.

ამის შემდეგ ეს ლექსი მთლიანად იპოვეს და აქ მოყვანილი დიგილი-მასში მეორე ტაეპად ზის. მცირეოდენი სხვაობაც არის მათ შორის. მაგრამ ვერვინ იტყვის, რომ თითქოს სხვადასხვა ლექსთან გვეჭონდნენ ქვეყნივე!

„არ ვიცი, რა ვიფიქრო რა მოვიგონო მე შენი ზიანი“¹⁾ „გამაგონო“-ში შეცვლილია სიტყვები: „არ ვიცი რა ვიფიქრო“: „ნეტავი რა უყო“-თი და „გაევიგონო“ „გამაგონო“-თი. სრულად:

ნეტავი რა უყო, რა მოვიგონო
მე შენი ზიანი არ გამაგონო“.

ამ ტაეპის უკანასკნელი სტრიქონი „ყველგან მიღებული სუფრის მანათა“. ახალ ნაპოვნში პირველი ტაეპის მე-12 სტრიქონია, ცოტაოდენი ცვლილებით: „მუდამ თან გიდევნო სუფრის მანათა“.

ბ. მე-2 ლექსი უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი სულ უცნობი იყო ამ დრომდის. მისი მხოლოდ თითო-ორი სტრიქონებია შესული სხვა ლექსებში ცვლილებებით. ეს ლექსი იწყება ასე: „ჩემსა ვარდსა დაეხსენი, შე კრახანო, შე ორგულო“, და ასეთივე სტრიქონი გვხვდება ლექსს „მტკვარო ამღვრეულო“-ში (გვ. 99) — „დაეხსენ ჩემსა ვარდსა შე კრახანო“. სხვა საერთო ადგილები არ აქვთ ამ ორ ლექსს.

ერთი ადგილი ძლიერ უახლოვდება „ხან ტურფა“-ს ერთ ადგილს. მგონი პირველში ამბობს „“

ნუ გადახეაღ პირობიდან, ვარდის კონაე, თაიგულო;
გათენებამდე ჭიკჭიკებ — ტურფა ხმიანო ბულბულო!“

მეორეში „“

საიათნოვაე! რა ყარიბ ბულბული ხარ!
დილ-დილით ჭიკჭიკებ, ნაზებიანო! (გვ. 109).

ეს მეორე ლექსი (აქვე ქვემოდ მოყვანილი) ასე თავდება:

„შე საწყალო საიათნოვაე, საყვარლისგან დაჩაგრულო“...

და დაახლოებით ასევე თავდება ლექსი „შუალამის ვარსკვლავით“. მასშიც ბოლოს ამბობს საიათნოვაე: „შე საწყალო საიათნოვაე, რაში ხარ?!“ (გვ. 113)¹⁾.

¹⁾ ამ მეორე ლექსის მე-2 ტაეპია:

საყვარლო! შეისმინე, დღე და ღამ ჩემი დარდი ხარ,
როგორც ბულბულს ვარდი უყვარს, ისეც შენ ჩემი დარდი ხარ.
ხან ვეტრფი და ხან გიკვერი, ვაი თუ შენც ნამარდი ხარ, —
სანთური ხარ და ჭამანია, მეჯლისებში გამოთქმული!

ამის ვარიანტი „საიათო მუზეუმი“ (222 №) ხელნაწერში ამგვარადაა:

„შუალამის ვარსკვლავებით ცაში ხარ,
წითელ ვარდო, ყანაში ხარ, მკაში ხან,
გაზაფხულის ისავეით მთაში ხარ.

ბ. მე-III ლექსი „ანაბაჯისათვის შესხმული ხობაა“. მას შეიძლება სათაურად „ანა-ბაჯი“ დაესვას, მაგრამ აქ მოგვეყვას ისე, როგორც ეს ხელნაწერშია — უსათაუროდ. იგი პირველად გამოქვეყნდა ტფილისის ყოველგვარი სიბრძნის მოსიყვარულემ იოსებ ჯვრამ: მქმეფელმა¹⁾. იგი მისი აზრით „უაეტორო და უპრეტენზიო ხალხური მუხანბაზია“. მან ეს ლექსი მიაყოლა ეთიმ გურჯის ლექსების გარჩევას „რომ დავიწყების ნაელმა არ დაჰფაროს“-ო²⁾. გ. ბაშინჯაღლიანი კი, როგორც ვხედავთ, საიათნოვას აკუთვნებს და მართლაც ასეც უნდა იყოს. რადგან ლექსი ამგვარად თავდება:

„მეც გმირი ვარ ნუ მიყურებ შურითა!
შენ ხმლით ხარ და მე ჭიანჭურითა...
დაგიხედები ახალ საიათნურითა
ამაღლებას თუ რომ ჩამობრძანდები!“

საიათნოვა ასე ხშირად ეპატივება მსმენელებს და აქვე პირველ ლექსშიც ამბობს: „ნეტავი რა უყო, რა მოვიგონო,
მე შენი ზიანი არ გავიგონო...
როდის ჩამობრძანდები ჩემო ბატონო!
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზათა“³⁾.

უმთავრესი ის არის, რომ ამ ლექსში (მე-III-ში) თვითონ ამბობს: „დაგიხედები ახალ საიათნურითა“-ო. ეს სიტყვები სხვასაც შეეძლო ეთქვა, რომ „დაგიხედები ახალ საიათნურით“, ე. ი. ახალს ლექსს, საიათნოვასებურ ლექსს გეტყვი“-ო, მაგრამ აქ საიათნოვა უნდა ამბობდეს: ახალ, ჩემებურ ლექსს გეტყვითო. ის გარემოება, რომ თავის-თავს განზე აყენებს, მე-3 პირით გადმოსცემს სათქმელს, არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს ლექსი საიათნო-

სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ,

ზღვის ფარული ჯერანი ხარ, რაში ხარ! (გვ. 7).

გვერდ მოცემულია ი. გრიშაშვილის გამოცემაში ლექსი: „შუალამის ვარსკვლავით“ (გვ. 113), სადაც აქ „წითელ ვარდო“ გვიწერია, გამოცემულში იქ „ღალის ვარდო“-ა და უკანასკნელი სტრიქონიც განსხვავებულია. აქ ვკითხულობთ:

„სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ,

ზღვის ფარული ჯერანი ხარ, რაში ხარ!“

იქ დაბეჭდილია:

„სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ,

ზღვის პირველი ჯერანი, რაში ხარ! (გვ. 113).

ხელნაწერში ლექსი „შუალამის ვარსკვლავით“ (სააზ. მუზ. № 222) თავდება ამავე „სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ, ზღვის ფარული ჯერანი ხარ, რაში ხარ“-ით. ეს აკლავს ი. გრიშაშვილის გამოცემას.

¹⁾ იხ. ი. გრიშაშვილი „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოკემა“. (1928 წ. ტფილისი) გვ. 157 და 158.

²⁾ Ibid.

³⁾ აგრეთვე ი. გრიშაშვილის გამოცემაში გვ. 54.

ვას არ ეკუთვნოდეს. იგი ხშირად ხმარობს ასეთ ხერხს. თავის ლექსებში თავის-თავს მე-3 პირით გადმოგვცემს ხოლმე. მაგ., აქვე დაბეჭდილ ლექსის ბოლო სტრიქონებში:

„საიათნოვა ამბობს — ბრალი არა მაქვს,
ნულარ დამწვაგ, ეს მეყოფა ჯაზადა“.

ან „საიათნოვა შეინახე შენთანა...“

საჯინებებს დააშენე ცხენთანა! და სხ. მრავალი ასეთი ადგილები მოეპოვება. რა თქმა უნდა ყველაზე უფრო საიათნოვას ეთქმოდა, მესტუმრე და საიათნურს გეტყვიო. ეს საფიქრებელია იმიტომაც, რომ სტილი მთლიანად საიათნოვასია და მისი ყაიდის აშული ეთიმ-გურჯი სწორედ „ანა-ბაჯზე“ იწყებს მელექსეობას¹⁾.

ის არა თუ სტილსა და ხერხებში ბაძავს საიათნოვას, არამედ თემასაც მისგან სესხულობს და თავისებურად აკეთებს. ყოველ შემთხვევაში თუ არ გამოირკვევა, რომ „ანა-ბაჯი“ ცხოვრობდა საიათნოვას შემდეგ, მანამ ეს ლექსი ყველაზე უფრო მასვე ეკუთვნის. რა თქმა უნდა ხალხში იქნებოდა ამ გმირ ქალზე გადმოცემა და იგი მგოსანმა გამოიყენა, მაგრამ მასში რომ საიათნოვას სიტყვის მარილია, ის უდაოა და ხალხური მუხანბაზი არ უნდა იყოს.

გ. ბაშინჯალიანის აქ მოყვანილი „ანა-ბაჯი“ (ლექსი) და ი. გრიშაშვილის გამოცემული იმდენად ერთი და იგივეა, რომ ვარიანტებადაც არ ჩაითვლება ცალკ-ცალკე აღებული. ეტყობა, რომ ორივე ჩამწერთ პირდაპირი გზით დაუტყრიათ. მათ შორის ასეთი სხვაობაა: ი. გრიშაშვილის გამოცემულის მეორე სტრიქონში სწერია: „და მომართონ ყველამ თავისი ჰანგები“. გ. ბაშინჯალიანის ჩანაწერში: „და გამართონ ყველამ თავისი ჩანგები“, ე. ი. ის განსხვავებაა, რომ სადაც პირველში სწერია „მომართონ“, იქ მეორეში გვაქვს „გამართონ“ და პირველის „ჰანგები“ მეორეში „ჩანგები“-თაა შეცვლილი. პირველშია „მომართული ჰანგები“ და მეორეში „გამართული ჩანგები“.

პირველის მე-3 ტაეპში ვკითხულობთ: „ცხენზედ მჯდომი, მოქარგული ზარშია“. მეორეში „ცხენზე მჯდომი მოქარგული ზარშია“, განსხვავებაა „ცხენზედ“ „ცხენზე“.

პირველში მე-4 ტაეპის პირველი სტრიქონი იწყება ასე: „სახე შეენი ნათელ სახესავითა“. მეორეში: „სრულად პშვენის ნათელ სახესავითა“, სადაც ერთში „სახეა“. იქ მეორეში „სრულად“ სწერია. მე-5 ტაეპში დაბეჭდილია: „ულოცა“ (1 სტრიქონი), აქ სწერია „ებოძა“.

უკეთ პირველში: „რადგან ანამ საქართველოს ულოცა“...

მეორეში გვაქვს: „რადგან ანამ საქართველოს ებოძა“. აი ის მცირე სხვაობანი, რომელიც ამ ორ „ვარიანტს“ ახასიათებს. ახლა ვათავსებთ აქვე გ. ბაშინჯალიანის ჩანაწერ ლექსებს. მათში პუნქტუაციის მეტს არა-დერს არ ეცვლით.

¹⁾ იხ. ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ზოგება“ გვ. 157.

შენიშვნებში, ლექსში მოყვანილი, ახლა ნაკლებ გავრცელებული სიტყვების ახსნა უმთავრესად ი. გრიშაშვილის წიგნის მიხედვითაა წარმოდგენილი¹⁾).

ერკონულნი
ბიზლირთიქს

საიათნოვას დაუბეჭდავი ლექსები

I

სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ!
მუდამ თან გიდევნო სუფრის მაზათა²⁾,
ტანადობით შენ სჯობიხარ ყველასა,
ალვის ხეო, რამ გავხარდა ვაზათა!

ნეტაეი რა უყო, რა მოვიგონო,
შე შენი ზიანი არ გავიგონო
როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო!
ფეხქვეშ გავგეშალო ფიანდაზათა.

როდის გნახამ მარგალიტ-იაგუნდითა,
წარბები შეგეღებოს სურმ-გუმდითა³⁾
ალმასის ჯილა ხარ ოქროს ბუდითა,
სირმა ვერცხლი მოგიხდება რაზათა!⁴⁾

ზოხობივით დაგლორავედე ველშია.
ბროლის ჩაფი დაგეჭვიროს ხელშია.
ნაჭები ხარ შენ სუყველაფერშია,
შეგარდენო რამ გაქცია ბაზათა!?

ეიწვი ეშხისავან ალი არა მაქვს,
ნებით გეხვეწები, ძალი არა მაქვს,
საიათნოვა ამბობს — ბრალი არა მაქვს,
ნულარ დამწვამ, ეს მეყოფა ჯაზათა!

¹⁾ აქ მოციხსენეთ, რომ გ. ბაშინჯალიანის ერთ წიგნში იდო საიათნოვას სომხური ლექსები. მას აქ ვერ ვაქვეყნებთ. დაწერილია ქართული ანბანით, ხოლო სიტყვები სომხურია. მაგრამ ეტეობა, რომ იგი ჩაუწერია სომხურის არა მკოდნეს. შიგ შეცდომებია. სიტყვებში ერთ ასოს ნაცვლად მეორე სწერია. ეს ხსენებული გვერდი გ. ბაშინჯალიანის ხელთაწერი არაა. იგი მისთვის სხვას გამოუგზავნია.

ორი სტრიქონი, რომელიც აქ ლექსების ბოლოში სომხურად მიწერილია, ნიშნავს:
„სანამ (ჩემი) დრო და საქმე (სიტყვა) იყო, —

სულთანისა და ხანისა ჩემი ხმა იყო!“

²⁾ მაზათა — სუფრის სიკობტავე, დამამშვენებელი.

³⁾ სურმ-გუნდი, სურმა და გუნდა წარბის საღებავი წამალია დამწვარი გუნდისაგან გაკეთებული.

⁴⁾ რაზათა — სურნელება.

II

ჩემსა ვარდსა დაეხსენი, შე კრაზანო, შე თრგულო!
 ყველანი შენ დაგნატრიან მაისო და გაზაფხულო.
 ნუ გადახველ პირობიდან ვარდის კონაე თაიგულო,
 გათენებამდინ ჭიკჭიკებ ტურფა ხმიანო ბულბულო!



საყვარელო! შეისმინე დღე და ღამ ჩემი დარდი ხარ,
 როგორც ბულბულს ვარდი უყვარს ისეც შენ ჩემი ვარდი ხარ.
 ხან გეტრფი და ხან გიცქერი, ვაი თუ შენც ნამარდი¹⁾ ხარ,
 სანთური²⁾ ხარ და ჭამანჩა, მეჯლისებში გამოთქმულო!

ღიბის³⁾ ლობდანი ჩაგიცვამს ფერადფერად შეღებული,
 ვისაც რომ შენ უნახავხარ, ჭკვიდან არის წაღებული!
 საფრანგეთში დაუხატავთ შენი სახით აღებულო. —
 ვერა ოსტატი გაჯობებს ოქრომკერდში მოჭარგულო! —

არც თუ მძინავს, არც თუ მღვიძავს, არც ვიცი ვუკრამ საზია!
 მიჯნურთანა სიყვარული რა ტურფა და რა ნაზია!
 ერთი თავი მაქვს, შენ გზაზე სულ მუდამ ფიანდაზია,
 შე საბრალო საიათნოვავ! საყვარლისგან დაჩაგრულო!

III

თუმც მოჭუნდენ ქვეყნის აშულებია
 და გამართონ ყველამ თავის ჩანგები, —
 ანნას ქებას მაინც სრულ ვერ იტყვიან
 თუ არ იყოს ისევ შოთას ჰანგები!

ბატონისგან ამილია ნებანი,
 მომიმართავს ჩემი ჩანგი, ებანი,
 რო დავიწყო ანნა ბაჯის ქებანი, —
 ქვეყნის ქალნი მასთან არის დანგები!

დაეინახე საჯირითო ჯარშია,
 ცხენზე მჯდომი, მოჭარგული ზარშია,
 ყველა იცნობს ანნას გურჯისტანშია,
 ნატრულობენ სპარსნი, ჰინდი, ფრანგები.

¹⁾ ნამარდი — შეუფერებელი, უღირსი.

²⁾ სანთური — საკრავი იარაღია, „სიმებიანი ყუთია ჩხირებით საეღერი“.

³⁾ დიბა — ჩადრი, პირსაფარი — ოქრომკედლით ნაკერი.

სრულად კშეენის ნათელ სახესავეითა,
 ბრძოლის ველზე გადის ტყვიასავეითა,
 მტერსაც სრესავს ფეხქვეშ კიასავეითა,
 თავს უბრიან მონად თურქნი ¹⁾, ზანგები.



რადგან ანნამ საქართველოს ებოძა,
 ბრძოლის ველზე ბევრი მტერი უხოცა,
 დიდ ბატონმა ვერცხლის ხმალი ებოძა,
 დააწერა მამულისა რანგები ²⁾.

მეც გმირი ვარ. ნუ მიყურებთ შურითა.
 შენ ხმლითა ხარ და მე კიანურითა,
 დაგიხედები ახალ საიათნურითა,
 ამაღლებას თუ რომ ჩამობრძანდები.

¹⁾ ხელნაწერში თურქი სწერია.

²⁾ რ ა ნ გ ი — ღირსება, თვისება.

ბ. ნატროშვილი

ს. კლდიაშვილი — მოთხრობები

I წიგნი. „ფილიპისა“. 1934 წ.

სერგო კლდიაშვილის მოთხრობების პირველი წიგნი ნათელი მაჩვენებელია მწერლის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზისა მთელი მისი დანდებითი და უარყოფითი მხარეებით. თითქმის ყველა მოთხრობა („ფერფლისა“ და „ციცინო გურიელის“ გამოკლებით) ეხება ერთ მთავარ თემას: ესაა პროვინციალური ქალაქის წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის ყოფაცხოვრება. ეს თემა ს. კლდიაშვილისთვის სპეციალურ თემად გახდა. მისი შემოქმედების პირველ პერიოდში, ისე როგორც გოგოლისათვის ჩინოვნიკების წრე, დ. კლდიაშვილისათვის იმერეთის აზნაურები, ნ. ლორთქიფანიძისთვის — „დანგრეული ბუდეები“. ადამიანთა სოციალური ტიპები, რომელნიც მხატვრული სიმახვილით და მწარე ირონიით არიან ასახული სერგო კლდიაშვილის მოთხრობების პირველ წიგნში — საკმაოდ ნაცნობი თემაა ლიტერატურის ისტორიისათვის. ასეთი პატარა გაქანების „ზედმეტი ადამიანების“ შესახებ სწერდა თავის დროზე კალმის ისეთი უდიდესი ოსტატი, როგორც იყო ჩეხოვი. მაგრამ სერგო კლდიაშვილმა, როგორც სხვა ეპოქის და სხვა მხატვრული თავისებურების მწერალმა შეირჩინა ორიგინალობა. ძველი პროვინციალური ქალაქის უფერული ყოფის რღვევა ასე ნათლად არავის არ უჩვენებია დღევანდელ ლიტერატურაში. და მით უმეტეს დამაჯერებლად იმიტომ მოსჩანს ეს ხალხი, რომ კლდიაშვილი მათს ცხოვრებას გადმოგვეყვამ შესაფერი მხატვრულ ხერხებით და ფორმებით. ეს არის ფორმა პატარა ნოველისა. ფართო სოციოლოგიური რომანი აქ ადგილს უთმობს მცირე ფორმის ნოველას, რომელშიაც მწერალი სულ რაღაც სამი ფურცლის მანძილზე ახერხებს გვიჩვენოს თემის მთელი არსი და მინიატურულ ფორმაში დახატოს ადამიანი. ამ ადამიანების, აბესალომ ნახუცას, სარდიონ შოშიას, აფრასიონის, ნიკას და სხვების გადმოცემა არც შეიძლება სხვაგვარი მხატვრული ფანრიით. ისინი არ არიან რთული ფსიქოლოგიის ადამიანები, ძლიერ ჰგვანან ერთიმეორეს, ერთი სოციალური ყოფის შეილება არიან, მათ არ შეუძლიათ იდეური ბრძოლა იმიტომ, რომ არავეთარბი იდეები არ გააჩნიათ, მათ არ შეუძლიათ ქვეყნის გარდაქმნა, არ ეკუთვნიან ხალხის იმ ნაწილს, რომე-

თქვას. მაგრამ მოთხოვნაში მაინც მთავარია ომის საკითხი. წარსულ იმპერიალისტურ ომის საშინელებანი, მისი გამანადგურებელი შედეგებია ჯარში გაწვეულ მშრომელებზე, რევოლუციონერ განწყობებზე, მაშაშა შექმნა ამ ნიადაგზე — ყველა ეს მომენტები კარგად არის ნაჩვენებში „ფერფლში“. აქ კლდიაშვილის გმირებმა უკვე იციან სოციალური ბოროტების სათავე. განსაკუთრებით საინტერესოა სახეები მშრომელი ახალგაზრდობის, რომელიც ახლად გაუყვანიათ მეფის არმიაში. ისინი მოსულან ღარიბულ ჭოხებიდან და თავისი ძვლებით აპოხიერებენ პოლონეთის და ბალტიის ველებს. საინტერესოა ტიპები არიან დათია, მარიამი, იაკობ მეიერი, პარშენ ლანჩა და სხვები.

„ფერფლში“ არის ნაწილობრივი გავლენა რემარკის და შოლოხოვის „წყნარი დონის“. „ფერფლი“ შოლოხოვის რომანს წააგავს არა მხატვრული ფორმის მხრივ, არამედ ზოგიერთი ფაბულიარულ ამბების და ტიპების შგზავსებით. მაგ. გაიანე ძლიერ ჰგავს აქსინიას, შემდეგ შემთხვევა, როდესაც გაიანე და არსენა წვიმისაგან თავს იფარავენ გამოჭეხულში — ეს ამბავიც გამოძახილია „წყნარი დონის“. შემდეგ, კლდიაშვილის უცნობი ჯარისკაცის დღიური ჰგავს შოლოხოვის უცნობი ჯარისკაცის დღიურს.

საერთოდ „ფერფლი“ უდიდესი მიღწევაა მწერლისათვის. მასში არ არის არც არაჩვეულებრივი შედარებანი, არც ლექსიკის სიმდიდრე, მაგრამ არის სინამდვილის შეგრძნობის უდიდესი ალლო და უბრალოების მხატვრული ოსტატობით გადმოცემა.

კლდიაშვილი საუკეთესო ოსტატია სიუჟეტისა, მას შეუძლია ერთ პატარა ნოველაში დახატოს მთელი ადამიანის არსი, რასაც ზოგიერთი მწერალი მთელ ტომში ვერ მოახერხებს. მორიგი ამოცანა მისთვის არის მეტი თემბათიური სიახლე, მეტი მუშაობა საბჭოთა სინამდვილის თემებზე. გარეშე ამისა სერგო კლდიაშვილის რეალიზმი ვერ გადაიჭყვევია სოციალისტურ რეალიზმად. ეს კი აუცილებლად უნდა მოხდეს, ასეთია დღევანდელ მოწინავე მწერლობის წათელი პერსპექტივა.

მახტანგ ბერიძე

ბოროზდინი—„სამეგრელო და სვანეთი“

ბოროზდინის მოგონებები სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ, რომლებიც ამას წინად გამოსცა სახელგამმა, უეჭველად საყურადღებო წიგნია. იგი შეეხება იმ მეტად საინტერესო ეპოქას ჩვენი წარსული ცხოვრებისას—როცა მოხდა სამეგრელოს დიდი აჯანყება და როცა დასავსაქართველოს ორი ნაწილი—სამეგრელო და სვანეთი საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. სამწუხაროდ, ეს ეპოქა, რომელიც მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას იძლევა როგორც მეცნიერ-მკვლევარისთვის, ისევე მხატვრული სიტყვის ოსტატთათვისაც—დღესდღეობით არ არის საკმარისად გაშუქებული ჩვენს ლიტერატურაში. დაინტერესებული პირი იძულებული იქნება კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის აქტებში ეძიოს ცნობები ამ ამბების შესახებ, ხოლო ჩვეულებრივ მკითხველს კი, ამისი შესაძლებლობა, ცხადია, არ ექნება. და სწორედ ამიტომ, უთუოდ დროულად უნდა ჩაითვალოს ბოროზდინის წიგნის გამოშვება ქართულ ენაზე.

კ. ბოროზდინს 1854-დან 1861 წლამდე მოუხდა სამეგრელოში მუშაობა—ჯერ როგორც სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შეილესის აღმზრდელს, ხოლო შემდეგ კი სენაკის ოლქის უფროსს. ამ ხნის განმავლობაში იგი საფუძვლიანად გაეცნო ამ მხარეს და მის მცხოვრებლებს, რომლებთანაც უშუალო ურთიერთობა ქონდა. მის დაკვირვებათა შედეგს წარმოადგენს ეს ნაშრომი, რომელიც თავდაპირველად, რუსულ ენაზე—ორ ნაწილად დაიბეჭდა—ერთი ნაწილი „სამხედრო კრებულში“ 1873 წ. შემდეგი სათაურით: „ომერ-ფაშა სამეგრელოში“, ხოლო მეორე კი „საისტორიო მოამბეში“ 1885 წ.—„ორი ავტონომიის გაუქმება“. იმავე 1885 წ. ორივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვიდა იმ სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილია ქართული თარგმანით (ამიერ-კავკასიის შესახებ ბოროზდინის რამდენიმე სხვა ნაშრომიც აქვს).

უმთავრესი ღირებულება ამ წიგნისა ის არის, რომ მასში ძალიან დაწვრილებითაა აღწერილი ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი, დიდი და საინტერესო ფაქტობრივი მასალაა წარმოდგენილი. ეს გარემოება განსაკუთრებით არის ხაზგასასმელი, რადგანაც მეორე და მეტად მნიშვნელოვანი მხარე ამ ნაწარმოებისა, სახელდობრ მიდგომა აღწერილ ამბებისადმი, ავტორის მსოფლმხედველობა—ჩვენთვის სავსებით მიუღებელია. და ეს

სრულიადაც არ არის საკვირველი, იმიტომ რომ, როგორც ვიქტორ ბოროზდინი მეფის მოხელე იყო და ძალიან ერთგული მოხელეც, იგი ყველაფერს ისე უყურებდა, როგორც ქეშმარიტი შვილი რუსეთის მმართველისა, ასეთი იყო მისი მოღვაწეობა, ასეთია მისი წიგნიც. მარტინოვიჩის წიგნი ბოროზდინს ლიბერალად გვისახავს, მაგრამ სინამდვილეში იგი მხოლოდ თავისი ჭკუითა და კულტურით განსხვავდებოდა მეფის მთავრობის იმ მოხელეთაგან, რომლებიც პირდაპირ ცეცხლითა და მახვილით იკაფავდნენ გზას. თუ ეს უკანასკნელნი მხოლოდ ძალმომრეობით ცდილობდნენ საქმის გაკეთებას, — ბოროზდინი და მისი ტიპის ხალხი, თუნდაც მის მიერვე დახასიათებული კოლუბაკინი — უფრო ჭკვიანურ ხერხს მიმართავდა: ისინი ტკბილ სიტყვასა და დაპირებებსაც არ ზოგავდნენ და ამით ცდილობდნენ ხალხის მიმხრობას. ამ მხრივ დამახასიათებელია ბოროზდინის წიგნში მოყვანილი, გენერალ ანრევის სიტყვა, რომლითაც მან მიმართა დაღესტნის მკვიდრთ: „ჩვენ თქვენი მტრები არა ვართ, არამედ ახლობელი მეგობრები. ჩვენა გვსურს თქვენს შორის განათლება შემოვიტანოთ, რომელიც მიზნად ისახავს თქვენს სიკეთესა და ბედნიერებას. თქვენ ახლა ღარიბები ხართ, მაგრამ ჩვენ გაგამდიდრებთ და გასწავლით, როგორ შეიძინოთ ამ ქვეყნიური სიკეთე. ამისთვის თქვენს მხარეში გავიყვანთ გზებს და დავიარსებთ სკოლებს, სადაც თქვენი შვილები ყველა სასარგებლო ხელობას ისწავლიან და ამის საშუალებით შეიძენენ ყოველნიერი სიმდიდრეს. როცა ჩვენოდენათ გაგანათლებთ, თქვენთან ერთად დაეამუშავენთ იმ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომელიც ასე უხვად მოიპოვენა კავკასიის მთებსა და ბარშიო“ (გვ. 89). ასე ლაპარაკობდნენ ეს ლიბერალები, ტკბილად და აღერსიანად, მაგრამ რაღა თქმა უნდა, რომ საბოლოო მიზანი და დაწინაურება ამ „ლიბერალებისაც“ და არალიბერალებისაც — ერთი იყო: კავკასიის დაპყრობა, მისი საბოლოო შეერთება რუსეთთან და კავკასიის ერთა რაც შეიძლება სრული და საბოლოო გარუსება. ბოროზდინი პირდაპირ ამბობს: „რუსეთს აზრადა აქვს ყველა შემოერთებულნი ხალხნი აღმოსავლეთის ქვეყნებისა გაარუსოსო“, და თვითონაც საცხებით იზიარებს ამ პოლიტიკას (გვ. 259). ჩვენ აქ არ შეეჩერდებით იმაზე, თუ როგორი „სიკეთე და ბედნიერება“ დამკვიდრდა ამ გარუსებით, მეფის ხელისუფლების შესვლით დაპყრობილ ქვეყნებში, მხოლოდ ვიტყვი, რომ ის „ტკბილად“ ლაპარაკიც თავისებური პოლიტიკა იყო, რომელიც არც იმდენად ემყარებოდა კაცთმოყვარე გრძნობებს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ვანა დამახასიათებელი არ არის შემდეგი სიტყვები, რომლითაც ზემოთ უკვე ნახსენები კოლუბაკინი (ქუთაისის გუბერნატორი) მიმართავს ვაგარინს? (იხ. მისი რამორტი) „...ვერ დავიჯერებ, რომ კავკასიაში რუსი კაცის სიტყვას არ შეეძლოს ძალიან ხშირად ხიშტისა და ზარბაზნის როლის შესრულება. არ უნდა დაგვა-ვიწყდეს, რომ სამეგრელო აესილია ოსმალეთიდან ჩამოსულებით და იმიტომ ჩვენს ყოველ გასროლას, ადგილობრივ მკვიდრთა წინააღმდეგ მიმართულს, — გაიგონებენ კონსტანტინეპოლსა და ევროპაში, ხოლო ლონ-

დონში კი, რომელსაზე მიტინგზე, მთვრალი ორატორი გამოიყენებს ამ ამბავს და ილაყბებს რუსეთის არაადამიანურ სიძაყის შესახებ“ (იხ. Акты Кавк. Арх. Ком. т. XII, გვ. 253).

გაქვეყნდა

ამგვარად, ბოროზდინის წიგნის კითხვის დროს ზარბაზნაძემ არ უნდა გვაფიწყდებოდეს მისი ავტორის ვინაობა. როგორც უკვე ვთქვით, ჩვენთვის მხოლოდ ფაქტიურ მასალას აქვს მნიშვნელობა და ამ მხრივ კი ბოროზდინს საყვედური არ ეთქმის.

უმთავრესი და ყველაზე უფრო საინტერესო მის წიგნში სამეგრელოს აჯანყების ამბავია, რომელიც მას ძალიან დეტალურად აქვს აღწერილი. ეს აჯანყება, როგორც ცნობილია, გამოწვეული იყო სამეგრელოს გლეხობის პირდაპირ აუტანელი მდგომარეობით. ბოროზდინს მოყავს აჯანყების მეთაურის უტუ მიჭავას სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის, შემდეგიც არის ნათქვამი: „ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალოებზე უარესად მოგვდგენ... მთელი ჩვენის შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა კითხოს, გლახს არაფერი უნდა ჭონდეს და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ, თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც... მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არა გვჯობდეს... პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები...“

ეს აჯანყება ძალიან გაიზარდა და თითქმის მთელ სამეგრელოში გავრცელდა. გლეხები ბატონ-ყმობის მოსპობას მოითხოვდნენ. ხალხის დასამშვიდებლად სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ რუსების ხელისუფლებას თხოვა დახმარება. ბოროზდინი აღნიშნავს, რომ გლეხობა ყველგან სიხარულით ხვდებოდა რუსის ჯარს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო... გლეხობა, რომელიც უშუალოდ განიცდიდა დახავსებულ, ძირმომპალ რეჟიმის, ფეოდალიზმის უსასტიკესი ფორმების მთელ სიმძიმეს — ცხადია, იმედით შეხედავდა ყოველგვარ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც, მისი აზრით, უნდა შესძლებოდა არსებულ მდგომარეობის შეცვლა. მაგრამ, რალა თქმა უნდა, ეს იმედები ხანმოკლე და უდღეური იყო. მართალია, პირველ ხანებში გლახს თითქმის შეუმსუბუქდა უღელი, მას ცხოველებზე ველარ გადაცვლიდნენ და პირუტყვსავით ველარ გაყიდდნენ, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა, პირიქით — ერთ ბატონს მეორე მიემატა და გლეხი კი კვლავ მონად დარჩა. რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს საქმეების გამოსარკვევად გაგზავნა დუკრუასი, რომელმაც შემდეგი მიმართებით აღწყა სამეგრელოს გლეხობას თავისი ჩასვლა:

„მეფის ნაცვალს სურს თქვენი დღევანდელი მდგომარეობის გაცნობა და მე მომანდო თქვენსა და თავის შორის შუამავლობა. ჩემმა ჩამოსვლამ უნდა გიჩვენოსთ, თუ როგორ ზრუნავს ხელმწიფე იმპერატორი ყველა თავის ქვეშევრდომისთვის, მაგრამ არ იფიქროთ, რომ მონარქის წყალობამ ნებაც მოგკეთ თქვენ — წესრიგის ოდნავი დარღვევისა. თქვენ გყავთ მებატრონები და მთავარი, მათი ხელისუფლება ხელმწიფე იმპერატორისგანაა დამტკიცებული და თქვენ ვალდებული ხართ დამოორჩილოთ მათ. თქვენი საჩივრები, თუ ამას ღირსად ვცნობთ, გადაეცემა მონარქს.

უხმოდ დაექვემდებარეთ ყველა ხელისუფალს და უცადოდ შეეცადნენ გადაწყვეტილებას. გახსოვდეთ, რომ სიწყინარისა და დაწესებულ კანონთა დარღვევა სასტიკ სასჯელს გამოიწვევს. შეევედრეთ ყოვლისშემძლე უფროსს, ისევე როგორც მე ვევედრები, რათა კეთილად დასრულდეს „საქმე“ (АКТЫ. XII. გვ. 279).

რალა თქმა უნდა, რომ ამგვარი ხელისუფლება გლახობას ბევრს არას არგებდა. რუსეთმა მხოლოდ დრო იხელთა, სამთავრო გააუქმა და სამეგრელო საბოლოოდ შეუერთა თავის იმპერიას. იმის შესახებ, თუ როგორ გაჭირვებაში იყო გლახობა ამის შემდეგაც, ბოროზდინთან ვერაფერს ვერ ვნახავთ, ავტორი მკვეთრად ხატავს გლახობის შევიწროვებას მხოლოდ სამეგრელოს მთავრისა და თავადების მიერ. ამას გარდა, იგი აჯანყების მეთაურთა — მიქავას და თოდუების დახასიათებასაც იძლევა. იგი ცდილობს ობიექტურობის დაცვას და თოდუებს სიმპატიურ ტიპებად გვიხატავს. რასაკვირველია, მას მათი მებრძოლობა კი არ მოსწონს, არამედ მათ მიერ მოჩაილების გამოცხადება (რუსებისადმი).

სწორედ ამ აჯანყებისა და რუსეთის სამეგრელოში დამკვიდრების შემდეგ მოუხდა ავტორს სახელმწიფო მოხელედ მუშაობა იქ და ამის შემდეგ თავის წიგნში იგი მხოლოდ მისდამი რწმუნებულ, სახელდობრ სენაიკის ოლქს ეხება.

აქაც ბევრ საინტერესო რასმე ნახავს მკითხველი. ავტორი გადადის რუსების მართვა-გამგეობის აღწერაზე, ჩერდება საპოლიციო და სასამართლო საქმეებზე, რომელთა გარჩევაც უხდებოდა მას, თანამდებობის გამო; აღწერს პირველ ორთქლმავალ გემის რეისს რიონზე; დიდ ყურადღებას აქცევს იგი მთავრის მამულების აღწერას მზრუნველის მიერ და საერთოდ მთელი ამ საქმეების მიმოხილვას და აგრეთვე თვით მზრუნველს დიმიტრი ყიფიანსაც. აღსანიშნავია, რომ მის წიგნში დიმიტრი ყიფიანი გამოყვანილია მხოლოდ როგორც დიდი მოხელე და არა როგორც საზოგადო მოღვაწე; (თვით დ. ყიფიანი თავის მემუარებში მოკლედ ლაპარაკობს სამეგრელოს მთავრის საქმეებზე. იხ. მისი „მემუარები“ — 1930 წ. გამოცემა. გვ. 55 — 60).

მეორე, ძირითადი და საინტერესო ნაწილი ბოროზდინის მოგონებებისა არის მეშვიდე თავი, რომელიც სვანეთის სამთავროს გაუქმებას შეეხება. აქაც დაწვრილებით არის განხილული სვანეთის მაშინდელი მდგომარეობა, რუსების პირველი ექსპედიციები ამ მიუვალ კუთხეში, შემდგომი ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებისა სვანეთის მთავრებთან და დასასრულ კი — თვით შეერთება სვანეთის სამთავროსი, რომელმაც, როგორც ვიცით, იმსხვერპლა მურზაყან და დეშქელიანი და ჭუთაისის გენერალ-გუბერნატორი ვავარინი. კარგად არის დახატული და დეშქელიანისა და აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის პორტრეტები. საერთოდ, ეს ნაწილი, ისევე, როგორც სამეგრელოს შესახებ ნაწილიც, ნათელ სურათს იძლევა ცარიზმის დამკვიდრებისას ჩვენში, მისი მართვა-გამგეობის მეთოდებისას, თვით მმართველ ხალხისას, ხატავს გლახობის არსებობის

საშინელ სურათს მთავრის ბატონობის დროს და ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, მდიდარს და დასაფასებელ მასალას იძლევა.

ალარ შეეჩერდებით წიგნის სხვა ნაწილებზე, რომელთა შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა ომერ-ფაშას შემოსევის აღწერა.

ბოროზდინის მოგონებები ძალიან კარგად არის დაწერილი, თავიდან ბოლომდე შეუწინაღებელი ინტერესით იკითხება და ამ მხრივ ბევრ მხატვრულ ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება. ენა მარტივი და ადვილად გასაგებია, ტიპები მკვეთრად არიან მოხაზული, ისე, რომ უთუოდ აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში.

აუცილებელია ერთი-ორი სიტყვის თქმა ქართული გამოცემის შესახებაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მშვენიერია თედოს ახთკიას თარგმანი. რუსულ გამოცემასთან შედარებით ცხადად გვიჩვენებს, რომ მთარგმნელის მიერ ზუსტად არის გადმოცემული ორიგინალი, მაგრამ, ამავე დროს არც ქართული ენა ზარალობს: მთელ წიგნში ვერ ნახავთ ადგილს, რომელიც ოდნავ მაინც ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდეს ამ მხრივ. ეს გარემოება განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ამჟამად, როცა ბევრი უცხოელი ავტორი ითარგმნება და როცა ჩვენი წიგნის ბაზარი სავსეა მახინჯი თარგმანებით.

გარეგნულად წიგნი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში თანდათან მკვიდრდება წიგნის კულტურა: ამას მოწმობს გემოვნებით გაკეთებული ყდაც, ძალიან კარგად შერჩეული და კარგად დაბეჭდილი ილუსტრაციებიც და რაც მთავარია, ის, რომ კორექტურული შეცდომები თითქმის სრულებით არ არის არა მარტო ქართულს, არამედ ფრანგულ ტექსტშიაც კი, რომელსაც ამ წიგნში რამდენიმე გვერდი უჭირავს.

საკითხავია, მხოლოდ, რად არის გამოტოვებული ავტორის წინასიტყვაობა?

საერთოდ, ამ წიგნის ქართულად გამოცემა სასარგებლო და მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ალ. ბარამიძე

ლევან ასათიანი: ვოლტერიანობა საქართველოში

ნარკვევი. ტფილისი. 1933. 133 გვ. სახელმწიფო გამომცემლობა

სარეცენზიო პატარა წიგნაკი ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ვოლტერიანობა (5—97 გვ.) და 2. მანანა (101—122 გვ.). ამას გარდა დართული აქვს დამატება „ციების და მანანას გაბაასების“ ტექსტი (123—126 გვ.) და შენიშვნები (129—133 გვ.). ორივე ნარკვევი გადმობეჭდილია 1927 წლის ჟურნალ „ქართული მწერლობიდან“. „ნარკვევი“ გამოცემულია საუცხოოდ, გაფორმებულია ლამაზად და დასტამბულია საუკეთესო ქაღალდზე.

შინაარსებულად „ნარკვევი“ ფრიად საინტერესო და სერიოზულ საკითხებს ეხება მე-18 — მე-19 საუკუნეთა მიჯნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიიდან. წიგნში აღძრული საკითხები პირველად არის გამხდარი სპეციალური კვლევა-ძიების საგნად და ამ მხრივ ავტორს წინამორბედი არ ჰყავს, მიუხედავად ამისა საკვლევი თემები საერთოდ დაძლეულია და „ნარკვევი“ მთლიანად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ლ. ასათიანს წერა კარგად ეხერხება, პოპულარულად და დალაგებით აშუქებს მრავალ საყურადღებო მომენტს. მაგრამ თავის დადებით თვისებებთან ერთად „ნარკვევი“ არაა მოკლებული დეფექტებსაც.

1. ავტორის აზრით, ალექსანდრე ამილახვარი ყოფილა „პირველი ქართველი მწერალი, რომელიც ეზიარა დასავლეთის „განმანათლებელთა“ იდეებს“ (51), ამიტომ სამართლიანად ამას უთმობს თავის „ნარკვევში“ პირველ ადგილს. ამხ. ასათიანი შედარებით მოკლედ ჩერდება ამილახვარის მსოფლმხედველობითი თვალსაზრისის გარკვევაზე და უფრო დაწვრილებით იხილავს ბიოგრაფიულ საკითხებს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ავტორს გამოჩენია გამოსაკვლევი პირობების თარიღი, არც მის გარდაცვალებაზე ამბობს რაიმეს, სამაგიეროდ მოჰყავს ტიმოთე ამილახვარის ვრცელი ეპიტაფია. ალექსანდრეს დაბადებაზე კი პირდაპირი ცნობა მოიპოვება იმ ცნობილ რუსულ პამფლეტში, რომელსაც უმთავრესად ემყარება „ნარკვევის“ ავტორი. დაბადებულა

ალექსანდრე 1750 წლის 20 ოქტომბერს (ჩვენ ესარგებლობდით ალექსანდრე ამილახვარის „ისტორიის“ ძველი ქართული თარგმანით, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი № 99H, გვ. 37b). ამხ. ასათიანი ვიკიტუბი, თითქოს „ალექსანდრე უფროსი (დაყოფა ჩვენია, პაი 23) [ქართული] დიმიტრი ამილახვარისა“ (52), ეწინააღმდეგება თითონ ალექსანდრეს მოწმობას: „ვიშვე მე უბადრუკი მესამე ძე 1750 წელსა, ოქტომბრის 20 დღესა“-ო (იქვე). დიმიტრის უფროსი ვაჟი იყო გიორგი, რომლის საბედისწერო ქორწილმა ერეკლე მეფის და ელისაბედზე ისეთი სამწუხარო ნაყოფი გამოიღო. ალექსანდრეს ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ ამხ. ასათიანი წერს: „ალექსანდრე ამილახვარმა ვიბორგის საპყრობილეში გაატარა ცხრა წელიწადი და შემდეგ, როგორც იქნა, ძლიეს-ძლიევობით გამოითხოვა განთავისუფლების წყალობა“ (57—58). ეს ცნობები წყაროს დაუსახელებლად ამოღებულია ე. თაყაიშვილის „არხეოლოგიური მოგზაურობიდან“ (I, 1907, გვ. 223), ე. თაყაიშვილი თითონ ბროსეზე მიუთითებს, ხოლო ბროსეს თავისი აზრი სიფრთხილით აქვს გამოთქმული სქოლიოში და წყაროდ რაღაც თავის „კერძო შენიშვნებს“ (notes particulières) იმოწმებს (Histoire de la Géorgie, II, გვ. 248, შენ. 1). საინტერესო ცნობებს იძლევა ამ საკითხზე ისტორიკოსი ბაგრატი ბატონიშვილი: „ალექსანდრე ამილახვარიშვილი (წარგზავნეს) ციხესა შინა ვიბურღს, რომელიცა ეგო წელსა 17 პატიმრად... ალექსანდრე ამილახვარიშვილი განთავისუფლებული იმპერატორის ალექსანდრესაგან, წელსა 1802 მოკვდა ასტრახანსა შინა“-ო (ბაგრატის შესახებ სპეციალური საუბარი ქვევით გვექნება). ბაგრატის ცნობას უდგება პ. ბუტკოვის მოწმობაც: „Князь Амилахоров (Александр) от императора Александра в 1801 году получил свободу возвратиться в отечество, но умер на пути, в Астрахани“ (Материалы, II, 134). მაშასადამე, ალექსანდრე ამილახვარის საბოლოო განთავისუფლება მომხდარა 1801 წელს, ხოლო გარდაცვლილა 1802 წელს ქ. ასტრახანში.

უფრო მეტ დაზუსტებას საჭიროებს ალექსანდრე ამილახვარის ცხოვრების ზოგიერთი სხვა თარიღებიც.

2. უფრო სრულია დავით ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა, მაგრამ ავტორი სრულად მაინც არ ეხება დავითის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მე აქ მინდა შევჩერდე ერთ კერძო საკითხებზე, რომელსაც ამხ. ასათიანი ეხება და რომელსაც დიდი მენიერული მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ამხ. ასათიანი შენიშვნებში წერს: „დავით ბატონიშვილს დაუწერია თითქოს (? , ა. ბ.) ერთი ისტორიული ხასიათის შრომაც, რომლის სათაურია „ნამდვილი ისტორია ესე, აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ, ისტორია ესე ახლად შედგენილი ქართლის ცხოვრებისად“. ეს თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744—1840 წლებსას, გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ 1905 წელს... გა-

მომცემლის აზრით, ეს შრომა დავითს მთლიანად არ ეკუთვნის, არამედ 1819 წლამდე, შემდეგ კი ბატონიშვილს ბაგრატს. პროფ. კ. კეკელიძის აზრით იგი დავითს 1819 წლამდეც არ უნდა ეკუთვნის, — ვინაიდან „დავითი იყო ურწმუნო კაცი, ვოლტერიანელი, წიგნი კი საყვებს სასწაულებით და რელიგიური ელემენტით; სტილი მისი თავიდან ბოლომდე ერთია“. ეს ცნობა მოგვაწოდა პატ. პროფ. კ. კეკელიძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდითო (გვ. 132).

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ შეცდომაშია შესული დასახელებული საისტორიო მასალების გამომცემელი დამსახურებული მეცნიერი მ. ჯანაშვილიც, ნაწილობრივად პროფ. კ. კეკელიძეც და მათთან ერთად სარეცენზიო წიგნის ავტორიც. მართლაც-და, გარდა გამოცემისა ჩვენ მოგვეპოვება „მასალების“ შემცველი სამი ხელნაწერი (საქართველოს მუზეუმის №№ — 1766A; 25, 26H). გამოცემული ტექსტი გადმოებეჭდილია უშუალოდ № — 25 ხელნაწერიდან, ამას იმეორებს №№ — 26-ც. ხოლო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს № — 1766. ეს არის ავტოგრაფი დავით და ბაგრატი ბატონიშვილებისა. ხელნაწერს ცალ-ცალკე დართული აქვს ორივე ავტორის წინასიტყვაობა. მოგვაქვს დავით ბატონიშვილის წინასიტყვაობა: „ესე ქართლის ისტორია ახალი დაწერილი არს ან გაკეთებული მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა და ძისა მისისა მეფის ვიორგის პირმშოს ძის მიერ დავითისაგან, საქართველოს მემკვიდრისა და რუსეთის ლიანარაღ-ლეიტენანტის მიერ და სენატორისა და მქონეთა კავალერთა წმინდისა ალექსანდრე ნევისკისათა და წმინდის ანასისა პირველისა ნარისხისა, რომელმანცა აღწერა ყოველივე ქეშმარიტი და უნაკლულო. აღიწერა წელსა 1814, დეკემბრის 26, ს. პ. ბ.“ არც ბაგრატი იფიწყებს თავის ლეწლს. უკანასკნელის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1819 წლის 4 მარტით. ამჟამად დავითისა და ბაგრატის მასალები აკონაქლია ერთ წიგნად, დავითის ტექსტი ნაწერია სხვაგვარ ქალაღდზე და სხვაგვარი მელანით. თავისი ტექსტის დასაწყისში ბაგრატი საგანგებოდ შენიშნავს: „ეს ზემო აღწერილი ჩემს ძმის დავითისაგან არის აღწერილი და ეს ახალი მოთხრობა ჩემგან“. დავითის ისტორია იწყება 1744 წლის ამბებით და იხურება რტიშევისა და ახვერდოვის დანიშვნით, ე. ი. 1812 წლით. ეს უდრის მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემული ტექსტის 106 გვერდს (აშ გვერდის უკანასკნელ აბზაცამდე). ბაგრატის ნაწილი 1745 წლით იწყება და დავით ბატონიშვილის გარდაცვალებით სრულდება (დავითი გარდაიცვალა 1819 წლის 13 მაისს)¹⁾. ბაგრატი თავისივე ძმის სიცოცხლეში ერთი მხრივ აღწერს ძველ ისტორიულ ამბებს და მეორე მხრივ უშუალოდ აგრძელებს წამოწყებულ საქმეს. მაგრამ დავითის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად ბაგრატს ორივე

¹⁾ მხოლოდ შემდეგში მიუწერიათ 1824 და 1840 წლის შესახები ორი პატ ცნობა, რომელიც ხელნაწერის ერთი ფურცლის ნახევარ გვერდსაც კი ვერ ავსებს.

შრომა გაუერთებია, დავითის მასალა თავიდან ბოლომდე უცვლელად დაუტოვებია, ოღონდ აქა-იქ ზოგიერთი ახალი დეტალებით შევსება თავის ნაწილიდან, სხვათა შორის შეუტანია რამდენიმე სასწაულებრივ ეპიზოდს, ტექსტი მთლიანად დაუყვია პარალრაფებად ჰქმნა „მცხეთა-საბალო ქორონიკონებიც ჩაუსხამს. ამრიგად „საისტორიო მასალების“ ახალი, უფრო სრული რედაქცია გამოვიდა. ჩვენამდე მოღწეულა ბაგრატიონების ხელით გადარჩეული ეს რედაქცია; ესაა სწორედ ის ხელნაწერი (№ — 25H), რომელიც საფუძვლად დასდებია მ. ჯანაშვილის გამოცემას. (ამ უკანასკნელი ხელნაწერის რამდენიმე ბოლო ფურცელის ტექსტიც სხვის მიერ უნდა იყოს დამატებული).

მაინცდამაინც დავითი უდავოდ „საისტორიო მასალების“ შეკრების ინიციატორია და პირადად მის კალამს ეკუთვნის ამ „მასალების“ მომეტებული ნაწილი. როგორც მოსალოდნელი იყო, დავითისათვის უცხოა ყოველგვარი სასწაულებრივი მომენტი და სხვებთან შედარებით ერთგვარ ისტორიულ ობიექტურობას იჩენს, სხვათა შორის, „თვითკრიტიკის“ წესითაც.

3. დავით ციციშვილის შესახებ ესკიზში ორი მომენტია საეჭვო. ჯერ ერთი არსაიდან ჩანს, რომ „კალმასობაში“ მოხსენებული ციციშვილი იყო უსათუოდ დავით ესტატის ძე, ეს გარემოება ამხ. ასათიანსაც აქვს გათვალისწინებული და სიფრთხილეს იჩენს „თუ არ ვცდებით“ — ო (81). ჩვენ გვგონია, რომ ავტორი მართლაც ცდება. ამას შემდეგი გვაფიქრებინებს: დავით ციციშვილი ყოფილა ივ. კერესელიძის დროინდელი „ცისკრის“ ახლობელი თანამშრომელი (მისი წერილები დაბეჭდილია — ლ. ასათიანისვე მოწმობით — 1857 წლის ნომრებში), თითონ კერესელიძე დავითს უწოდებს მის „თანამედროეს მწერალს“ (86), ხოლო „კალმასობის“ ციციშვილი იონა ხელაშვილის სკოლის ამხანაგია და „აღზრდილი დავით რექტორისაგან თელავს“ (79). საყურადღებო ისიცაა, რომ ციციშვილი დასახელებულია „კალმასობის“ პირველსავე გვერდებზე, რომელიც დაწერილია 1814 — 1816 წლებში (იხ. დ. კარიჭაშვილის წერილი კალმასობის შესახებ „საქართველოს არქივში“, II, 1927, გვ. 36) პეტერბურგს, მაგრამ არსებითად შეეხება მე-18 საუკუნის ვასულს, კერძოდ გიორგი მე-13-ის დროინდელ ცხოვრებას. საეჭვოა, რომ მაშინ დავით ციციშვილი ყოფილიყო ცნობილი მოღვაწე და მოაზროვნე. დავით ციციშვილი ცნობილია როგორც ქარელის მცხოვრები, „მოკალმასეებს“ კი ქარელში დახვდათ მდივანბეგი ნიკოლოზ ციციშვილი.

მეორეც, ვოლტერჩიანული აზრები, თუ ასეთებს „კალმასობის“ პერსონაჟები ამეღავენებენ, უწინარესად ყოვლისა თითონ „კალმასობის“ ავტორისათვის არის დამახასიათებელი. სამართლიანად აღნიშნა პროფ. ვ. ჯავახიშვილმა, რომ „კალმასობის“ ავტორს, სხვათა შორის, მიზნად ჰქონდა დასახული მოთხრობაში „გამოყვანილ პირთა მხილება

ან ქება“ (კალმასობა, დაუსწრებელი პედინსტიტუტი, ტფილისი 1933, გვ. 4). და სწორედ იმის გამორკვევა საინტერესოა, თუ როგორ ასახავს იოვანე ბატონიშვილი („კალმასობის“ ავტორი) ვოლტერის პერსონაჟებს და ვოლტერიანულ მოძღვრებას. ამ მხრივაც მსახდებია გ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ „კალმასობის“ ავტორი „ე. წ. განათლებული რაციონალიზმისაკენ“ იხრებაო (იქვე, გვ. 12 — 13). სამწუხაროდ, ლ. ასათიანის მიერ დამოწმებული ადგილი ბევრს ვერაფერს ამბობს ვოლტერიანობის შესახებ, პირიქით „ვოლტერიანულ“ ციციშვილს წმინდა საღვთისმეტყველო საკითხები აინტერესებს (ათი მცნება, ცხრა ნეტარება და მისთანები). ლევან ასათიანი სარგებლობს „კალმასობის“ მხოლოდ გამოცემულ ნაწილით, უფრო საინტერესო ცნობები ვოლტერიანობის შესახებ დაცულია „კალმასობის“ გამოუცემელ ნაწილში. საილუსტრაციოდ აქვე მოვიტან დამახასიათებელ ნაწყვეტს (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი № — 2153H): „დღესა ერთსა მივიდა ბერი (იონა ხელაშვილი) სახლსა მეფის ძისასა და იხილა მუნ მუხრან-ბატონის ძე გრიგოლ, და ეანბორა იოანეს და რქვა: დიდი ხანია ვეღარ ვნახეთ.

იონა: — მეც მსურდა ხილვა თქვენი, გარნა თქვენ მყოფობთ პაეუბის კორპუსში.

გრიგოლმან: მე ახლა შევასრულე ჰსწავლა და კიდევ გამოველ და ყოველთვის შინ ვარ.

იონა: რასაც ანბობენ თქვენთვის, თუ ის ჰსწავლა მიგიღიათ, სულ რომ არა გესწავლა რა, ის უმჯობესი იქმნებოდა და უსარგებლესი.

გრიგოლმან: რაი?

იონა: სარწმუნოებისა არარად რიცხვა!

გრიგოლმან: თქვენსავით ცუდმორწმუნეობა არ ვისწავლე, ვოლტერის ჰსწავლას შეუდეგ.

იონა: მეც მაგისტრის მოგახსენე, რომ ცუდად დამაშვრალხართ თქვენ მაგ ჰსწავლაზედ, ამისთვის რომ ვოლტერის შემდეგნი (ე. ი. მიმდევარნი) ღმერთსაც წინააღმდეგ არიან და ხელმწიფეთაც და სჯულლისაცა.

გრიგოლმან: ვოლტერ ყოველთა ასწავლის თავისუფლებასა და საზოგადოების ერთობასა და უბრძოლველობასა ურთიერთისადმი.

იონა: მართო მაგას არ ასწავლის, არცა ღვთის ყოფას ასწავლის და არც სულისა უკვდავებასა. და ამისთანა ჰსწავლა რა საჭირო არს, რომელიც ასწავლის უწმინდურებასაცა?

გრიგოლმან: ის ორკერძოდ უბნობს: ერთ კერძოდ უბნობს მყოფობასა ღვთისასა, ხოლო მეორით უარყოფს. ეს სახედვე სულისათვისცა, და სიწმინდისა და უწმინდურობისათვის გკითხავ და მომიგე... (ამას მოსდევს კითხვა-პასუხი ზნეობითი ფილოსოფიისა და თეოლოგიური პრობლემების გარშემო).

მოტანილ ნაწევებში შედარებით ღრმად და დასმული ვოლტერიაზობის საკითხი, უფრო ნათლად გამოსჭვივის ავტორის განწყობილება ამ მოძღვრებისადმი და ვოლტერიაზად არის გამოყვანილი ცნობილი ესტორიული პიროვნება გრიგოლ მუხრან-ბატონიშვილი. ლ. ასათიანისათვის რომ ეს ეპიზოდი ცნობილი ყოფილიყო, ალბად გრიგოლსაც თავის ადგილს მიუჩენდა „ნარკვევში“, მაგრამ იოანე ბატონიშვილმა რაღა დააშვა?

5. ალექსანდრე ჭავჭავაძე ძალიან მკრთალადაა წარმოდგენილი. სხვათა შორის, ხელნაწერი № — 303, რომელსაც „ნარკვევის“ ავტორი იმორწმებს, გადაწერილია არა დავით გიორგის ძე ავალიშვილის მიერ, არამედ თითონ გიორგი ავალიშვილსაგან (ეს გიორგი საქართველოს ელჩი იყო ვარსევიან ჭავჭავაძესთან ერთად რუსეთის კარზე). ლ. ასათიანი შეცდომაში შეუყვანია ე. თაყაიშვილის უნებლიე შეცდომას (არხეოლოგიური მოგზაურობანი, I, გვ. 224; აღწერილობანი, II, 410), ე. თაყაიშვილს თავისი შეცდომა შემდეგში გამოსწორებული აქვს (შედარ. აღწერილობანი, II, 412, 417 და შემდგ.). საინტერესო და საყურადღებოა, რომ გიორგი ავალიშვილი გამოჩენილი არისტოკრატი და პოლიტიკური მოღვაწე გადაწერის გზით ხელს უწყობს თავის დროისათვის რადიკალური აზრების შემცველი თხზულების გავრცელებას. ამ ფაქტს გარკვევა სჭირდება.

6. ლ. ასათიანს კუროზულად მიაჩნია, რომ „ვოლტერის თხზულებას ქართულად სთარგმნის სასულიერო პირი“ მღვ. იესე გარსევანიშვილი და ამის მიზეზებს ეძებს (94). საჭმე ისაა, რომ იესე გარსევანიშვილი პროფესიონალი მთარგმნელი იყო რუსულიდან ქართულ ენაზე და სათანადო ჰონორარით დავით დადიანის შეკვეთებს ასრულებდა. ამიტომაც გარსევანიშვილის ნათარგმნი ტექსტები მთარგმნელის მსოფლმხედველობითს თვალსაზრისს კი არ გვითვალისწინებს, არამედ შემკვეთელისას. ამ შემთხვევაში იესე გარსევანიშვილის გვერდით (თუ მის ადგილას არა) დავით დადიანიც უნდა ყოფილიყო მოხსენებული.

7. კრიტიკული ესკიზი პოეტ ჭალ მანანას შესახებ კარგია.





შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

პაოლო იაშვილი — დილა (ლექსი)	83-3
„ „ — შწვერვალეზიდან (ლექსი)	4
გიორგი კაკაბიძე — აიენიანი სახლი (ლექსი)	5
ვარლამ რუხაძე — არქტიკის გმირებს (ლექსი)	10
კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება (გაგრძელება)	11
გიორგი ლეონიძე — ტფილისის განთიადები (ლექსი)	58
„ „ — რა საჭიროა ლექსისთვის ტაში (ლექსი)	59
ს. ჩანბა — სეიდიყი (გაგრძელება)	60
კალე ბობოხიძე — სიყვარული (ლექსი)	93
ელენე ქართველიშვილი — ნოველები	96
ნ. ზომლეთელი — დომნა (პოემიდან)	103
ე. პოლუმორდვინოვი — იღვიძებენ მთები (გაგრძელება)	119
ედგარ ალღან პო — ზარები (ლექსი)	158

ნარკვევი

ს. ფაშალიშვილი — უდაბნო	161
-------------------------	-----

წარსულიდან

ქოლა ლომთათიძე — დღიური	198
-------------------------	-----

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

მალაქია ტოროშელიძე — ქართული ლიტერატურა (მოხსენება მწე- მწერალთა საკავშირო ყრილობაზე)	220
გიორგი ნატროშვილი — დემნა შენგელაია	296

სალიტერატურო არქივი

იოსებ მეგრელიძე — საიათნოვას უცნობი ლექსები და ცნობილზე შენიშვნები	319
---	-----

ბიბლიოგრაფია

გ. ნატროშვილი — ს. კლდიაშვილის ნაშრომები	334
ვახტანგ ბერიძე — ბორის პაიჭიაშვილის „და სვანეთი“	337
ალ. ბარამიძე — ლევან პაიჭიაშვილის „ვოლტერის მანა“ საქართველოში	342





საქართველოს
საბჭოთაო სოციალისტური
რესპუბლიკის

